

# მნათობი



3-4

---

2000

# მნათობი



წელიწადი 76-ე

№ 3-4

2000 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პოეზია, პროზა, დრამატურგია

ემზარ კვიციანიშვილი – სიკეთის შუძი. დოკუმენტური პროზა	3
გივი ძნელაძე – ლექსები	44
ლია ელიაშვილი – ლექსები	48
ნოდარ ხუნდაძე – ლექსები ციკლიდან – „გოდება: ო, აფხაზეთო!“	50
ზაურ კილაძე – ხვალ, ხვალ, ხვალ... რომანი. გაგრძელება.	52
ივანე იონიანი – ორთა გოდება. პიესა.	
ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერმა	79

### კრიტიკა, ავტობიოგრაფიკა

შოთა ზოიძე – ტიციან ტაბიძე	90
აკაკი ხინთიბიძე – „რა ზურგული ესმის ჩემთა ყურთა?“	95
გიორგი შაყულაშვილი – ძნელია, გაგარამ აუცილებელი!	103
დავით პაიჭაძე – მიხაკო წერეთლის „საქართველოს უფლებები“	108
ლია კიქნაძე – ახალი სახელი ქართულ ლექსიკონგრაფიაში	113

### ხელნაწები

დალი ყურულაშვილი – რუსთაველის თეატრის სალიბრეტო ნაწილი	116
--	-----

### თვალსაზრისი

ელენე შერვაშიანი – ჩიტების ენა	122
--------------------------------	-----

### ავტობიოგრაფია

<b>აკაკი გაბრიაძე</b> – სამი მწერალი.	
პუბლიკაცია მოამზადა ლამარა კიკილაშვილმა	128
გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი გარეგან ორგანიზაციებში.	
წინასიტყვაობა და შენიშვნები გრიგოლ ზარქუასი	138



**შინაარსი**  
(გაგრძელება)

**შეცნობა**

მანანა ხილაშვილი – მითოლოგია – არქაული საზოგადოების აზროვნების წესი	142
ჯულიანა გაგოძე – აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ ახალი ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო	150

**რეზიუმე**

მერი ინაძე – ახალი სიტყვა მიქანოლოგიაში	157
---	-----

**მთავარი რედაქტორი**  
**თამაზ შილაძე**

- სარედაქციო საბჭო:
- მარიამ აბიაშვილი
  - ანდრო გუაჩიძე
  - აკაკი მინდიაშვილი
  - მანანა მიქელაძე
  - მზია შატბერაშვილი
  - ვაჟა ჩორღელი (პ.მგ. მდივანი)

## სიკეთის შუქი\*

შარშანდელი იენისის თევზი განსაკუთრებულად აფორიაქებული ვიყავი, რალაცას მიგრძნობდა ტანი. ათი წელი სრულდებოდა მამაჩემის გარდაცვალებიდან. ხშირად ფიქრობ მამაჩემზე, მაგრამ იმხანად სულ თვალწინ მედგა. გული მომდიოდა ჩემს თავზე, ჩემს მოუხერხებლობასა და უნიათობაზე — ენა ვარ, რანაირი შეილი, რომ ამ კაცის ხსოვნის აღსანიშნად, მოსაგონებლად ისიც კი ვერ შევძელი, მისი უახლოესი პიროვნების, პატივისმცემლებისა და ჩემი მეგობრებისათვის მომეყარა თავი, ერთი სუფრა მაინც გამემართა. რა გამოიღობარ, რანაირი კაცი, ამას რომ ვერ გააკეთებ?!

თვითონ ხომ ასეთი რამე არასოდეს დაემართებოდა, ყველაფერს იღონებდა, ხალხში სირცხვილი რომ არ ეჭამა.

ასე აწრიალებული, ჩემს პატარა, ნაბოლარა ბჭთან ერთად ლანჩუთში, მამისეულ სახლში გავემგზავრე, ღრმად მოხუცებულ, თითქმის დაბრმავებულ აღმზრდელ მამიდას ჩავაკითხე. იქაც არ მომშორებია მამაჩემზე ფიქრი. ძველ საოჯახო ალბომს ვათვალიერებდი. ყმანელკაცობაში მეგობართან გადაღებული სურათი ვნახე. იმ ფოტოზე ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა თუ იქნება. ვიბეებიანი, მოყავისფრო შალის ხალათი აცვია, მორგვალეული, დაბალი საყელო ორ დიღზეა შებნეული, ნაბლისფერი თმა გვერდზე გადაუეარცხნია. ნაღელიანი გამომეტყველება და ანგელოზურად წმინდა, ნათელი სახე აქვს.

სწორედ ავადმოსავრობარ 25 იენისს (ამ დღეს დაღია მამაჩემმა სული), სოფელში მყოფმა, საშინელი ამბავი შევიტყვე — ჩემი სიყრმის მეგობრის, ზღაპრულად კეთილი კაცის, მთელი ქართული მწერლობისთვის უსაყვარლესი ადამიანის ზაურ ბოლქვაძის უცნაური გარდაცვალება. თავხარი დამცა ტელევიზიით გამმოცემულმა ამ ცნობამ. ლანჩუთიდან ზაურის ახლო მეგობართან, ფურნალისტ კუკური კუკულაძესთან ერთად ნამოვედი.

28 იენისს დღით, ზაურის დასაფლავების დღეს, მე და კუკური კუკულაძე მოსანახულებლად აუვით მამაჩემის დიდი ხნის მეგობართან, ჩვენს ცნობილ, მხცოვან დრამატურგთან და პუბლიცისტთან ბატონ კო-

ტა ბუაჩიძესთან, ვაკეში, მის ბინაზე. აქ მოხდა ის, რასაც ალბათ შინაგანად შეძრული ველოდებოდი. კიტა ბუაჩიძე ახალგაზრდაობის ეპოს, როგორც პოლიტიკურად არასამედო პიროვნება, მამაჩემთან იმყოფებოდა ორთაქალის მეორე კოლონიამში. შედარებით შესუსტებული რეჟიმის ავჭალის კოლონიამში იგი შემდგომ გადაეყვანათ. ბატონმა კიტამ მითხრა — სწორედ ავჭალის კოლონიამში, ილი გოგიას საშუალებით (იყო პატიმართა თანამგრძნობი ასეთი ლეთისნიერი ადამიანი, ვისზედაც მოგვიანებით ვიტყვი ორიოდ სიტყვას) მამაჩემმა გამოიმუხა ზანა ორი რვეული, მისი ხელით ნაწერი. დავითის მიერ ჩაწერილია მამის იქ მყოფი პატიმრის, საქვეყნოდ სახელგანთქმული ვაჟაკის, დედებულის ნარმოშობის პიროვნების გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრების ეპიზოდები.

ამის მოსმენისაა ალბათ ერთბაშად გამომეხატა სახეზე სიხარული და გოაცება, როგორც იტყვიან, გულმა რეწხი მიყო. გვანჯი ჩიქოვანის სახელი ადრეც არაერთხელ გამეგონა. 1969 წლის შემოდგომაზე, ახალგაზრდა მწერლების ჯგუფთან ერთად ზუგდიდში ჩასულს, ოთარ ქითანავა გემასპინძლობდა, მნიგნობარი, დიდად განათლებული და გულისხმიერი ვაჟაკი. მახსოვს, ქალაქის ცენტრში ფოტოების ვიტრინა დაეთვალეურეთ. ერთ-ერთ ფოტოზე ყაბალახნაკრული, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მეტად სასიამოვნო გარეგნობის მოხუცის სახემ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. იგი გვანჯი ჩიქოვანი აღმოჩნდა. მამინაც გაიმეორეს მთარული ნათქვამი — ეს კაცი რევოლუციამდე ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში ჯიშის ასამალელებლად იყო გაგზავნილი. ეტყობა, ამ საქითიორ „მოხაზრდას“ თვით ბატონი გვანჯის ხუმრობა ედო საფუძვლი; ერთხელ ახლობლებში ეთქვა — ხელმწიფე იმპერატორმა შორეულ აღმოსავლეთში გამგზავნა ყვითელკანიანებთან, ანტირესებმა, ჩემი და იმითი შეჯვარება რანაირი შთამომავლობას მოგვეცემდაო. აქ რეზო ქვიშვილის ნაამბობივ გამახსენდა. იგი ვუბოდა — ერთხელ პროფესორი ლევან მენაბდე და მე სუფრასთან შევხვდით გვანჯი ჩიქოვანს, გულთბილი, გულახდილი საუბარი

\* გვანჯი ჩიქოვანი (1879-1967) მოგონებები თბილისის შარო კოლონიამში პატიმრობის დროს, 1948 წელს ჩაიწერა პაქეშთა ექიმმა დავით კვიციანიძემ. ამ მოგონებებს მალე გამოაქვეყნებს ლიტერატურის მუზეუმის ორგანო „ლიტერატურული მატარაი“. ნინამდებარე წერილი მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებზე.

გექონდა. შევეკითხეთ, მანჯურიაში თუ ბრძანდებით ნამყოფი-მეთქი. გავლიმა და გვიპასუხა: კი ვყოფილვარ, მაგრამ არა იმ საქმეზე, თქვენ რომ გგონიათო...

და, აი, ახლა, ამ კაცის ცხოვრების ამსახველი ფურცლები უნდა მენახა, ნახევარი საუკუნის წინ მამაჩემისაგან მოსმენილი და ჩანერილი. კიტა ბუაჩიძემ მარმან თურმე თავის არქივს ალაგებდა, ანესრიგებდა და დახარისხების დროს ნააწყდა მის მიერვე ოდესღაც საგანგებოდ შენახულ ამ რვეულებს. გალიმებულმა ბატონმა კიტამ ცოტა ხნის მერე, სამუშაო ოთახიდან კიდევაც გამომიტანა ის ორი გამოხუნებული, ცალხაზიანი, მეტწილად იისფერი მელნით შევსებული რვეული. აღლევებულმა გამოვართვი. მომჭრენა, რომ ამ ნაპოვნით მამაჩემმა თეთიონვე აღნიშნა თავისი გარდაცვალების ათი წლის-თაჲი. სასოებით მეჭირა ხელში ეს რვეულები. უშალ ვიცანი მამაჩემის კალიგრაფია. ძველებური, ფოლადის კალიმითა ნანერი. გარკვეული მიზეზის გამო, ჩამოწერი თავის ვინაობას არ ამხელს. Тетрадь моя мамини — ანერია ორივე რვეულს; მერე შედარებით მდარეა, ნაკლები ხარისხისა და ზედ დასტამბული ორი სიტყვაც ფრჩხილებშია ჩასმული (НОЯ карманом), მაგრამ იქაც მელნით გაუგრძელება მამაჩემს წერა და, საბედნიეროდ, დადღანბრდა არაა, ისიც გარკვევით ეკითხება. პირველ რვეულს ანერია: „მეშურები. 1948 წელი. წარსულის მოგონებანი. გვანჯი ჩიქოვანი“. ეს გვარ-სახელი მამაჩემის დაწერილი არ არის. საფიქრებელია, თეთიონ ბატონმა გვანჯიმ წააწერა რვეულის გარეკანს. დიდი მიხედვარა არ იყო საჭირო, ხელთ მეტად ძვირფასი და საინტერესო მასალა მქონდა. ბატონმა კიტამაც მითხრა — თავის დროზე ძალიან გამოიტაცა ამის კითხვამ, მამაშენიც მითუღიდა, ეგებ გამოგადგეს, შეასწორე და გამოაქვეყნეო, მაგრამ მაშინ საამისო ვითარება არ იყო, ლამის „პერესტროიკამდე“ ვერ გამოიტანდა ამ რვეულსაგან მზის სინათლეზე. ეკ კი არადა, სულ მამაჩემის ხელნაწერი, არ გაეწიროკათ და ხელნაწერი არ ეპოვნათ, მისებურად ილიმებოდა ჩუენი ბუერის მომსწრე მასპინძელი.

კიტა ბუაჩიძემ მაღლიერების გრძნობით მოიგონა აუქალის კოლონიის უფროსი, ლავრენტი ბერიას ბიძაშვილი (დედის, დიდად კეთილი და ღვთისმოსაჲი ადამიანის, მართა ჯაყელის შერიდან) ილიკო ჯაყელი, რომლის მეოხებითაც იქ მყოფები ისერიგად ვერ გრძნობდნენ მამაშენელი რეჟიმის მთელ სისასტიკეს. როგორც ზემოთ ითქვა, ბატონ კიტას იქ გადასცეს მამაჩემის ხელნაწერი, მაგრამ, ბუნებრივია, ასეთი რვეულების კოლონიაში დატოვება საშიშად ჩათვალა და

თავის დას, ოლია ბუაჩიძეს გაატანა სახლში. შეიდი წლის პატიმრობიდან კეთილდღეობულმა, საგულდაგულოდ ვუდამოყვანე ვინმე საექტო კაცს არ მივცხო და, დროთა განმავლობაში, ეტყობა, იმ რვეულების არსებობა კიდევაც გადაავიწყდა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი.

ბატონმა კიტამ გაიხსენა ორთაქალაში ყოფნის პერიოდი, მითხრა, მამაშენი სანიტარული ნაწილის გამგე იყო, ცალკე ოთახი მქონდა და ყველანი, მათ შორის უფროსები დიდ პატივს სცემდნენო. გვანჯი ჩიქოვანიც იქ ყოფილა იმ დროს, აბანოს გამგეობა ეპარა თურმე. მისი ხასიათიდან და უნარიდან გამომდინარე, უეჭველია, ბატონ გვანჯის, იქაური პირობების კვალობაზე, ყველაფერი იდეალურად ექნებოდა მოწესრიგებული და პატიმართაგანაც, ცხადია, არავინ ეყოლებოდა მომდურავი.

გვანჯი ჩიქოვანი, გაცნობისთანავე, ყველაზე ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას და გამონაკლისი არც მამაჩემი იქნებოდა, მამაჩემი დააინტერესებდა მისი უჩვეულო ბიოგრაფია, წარსული. ისინი ძალზე მეხმატკბილებულიები ყოფილან. ხშირად საუბრობდნენ თურმე და, როგორც ჩანს, მამას მაშინ დაეებადა სურვილი, თავის სამუშაო ოთახში დიდად საყურადღებო თავგადასავლის მქონე პატიმრის ცხოვრების ეპიზოდები ჩაწერა. მამაჩემი პრაქტიკოსი ექიმი გახლდათ (და-პატიმრებული მეცნიერულ მუშაობას როგორღა გააგრძელებდა), ემარჯუებოდა აუადმყოფთა ისტორიების შედგენა, გამომეებით უხდებოდა წერა და, ამდენად, არ გაუჭირდებოდა, გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობი შესაფერის ფორმაში მოექცია, არსებითზე გაემახვილებინა ყურადღება.

ბატონმა კიტამ ისიც ითქვა — გვანჯი ჩიქოვანი ხშირად ელაპარაკებოდა პატიმრების დიდ ქობაგს და ფარულ თანამოაზრეს, კოლონიის თანამშრომელს ილი გოგას, განპირდებოდნენ, მიადგებოდნენ თურმე მყუდრო ალაგას და საათობით ქუქუქებენ მერგულად.

ილი გოგას დროადრო გამოქჷონდა კოლონიიდან პატიმართა წერილები. საპასუხო ბარათებიც მახვე მოქჷონდა. ჩვენთანაც არაერთბელ მოსულა, ამოუვლია რკონის ხვეული კიბეები (მაშინ სხვა სასაარულო არ გექონდა). ლანდად მახსოვს მომცრო ტანის ქერა, თმაგაცვენილი, ქროლაფალება კაცი. მთანმინდის უბანში ცხოვრობდა. დედაჩემი მის სახელზე ილიცებოდა, ილი გოგას ოჯახი გაახაროს ღმერთმაო. ჩვენმა ხალხმა, მთაშიმავლობამ უნდა იცოდეს ასეთი კეთილშობილი პიროვნებების არსებობა, იმ უძნელეს დროში, წარმოუდგენელი გაბე-



დუღების ფასად ამოდენა სიქველეს რომ ამვლანებდნენ. ილი გოგია პატიმრებს (განსაკუთრებით მამაჩემსა და კიტა ბუაჩიძეს) თურმე ეხვეწებოდა — ნუ შაქვებთ, ხმამალა, სხვების განავგონად ნუ გამოთქვამთ მადლიერებას, თორემ ეს ამბავი ჩეკისტების ყურამდე მივა და თქვენთან მეგობრობა არ ჩამივლის კარგად, ხელად გამაფუჭებენო. ორმოცდაათი წლებში ილი გოგიას კოლონიაში მუშაობისთვის თავი დაუნებებია და რესტორან „ორიანტიში“ ადმინისტრატორად დამდგარა. კიტა ბუაჩიძე ხშირად აკითხავდა და ეს ყურადღება, ეტყობა, ძალზე სიამოვნებდა. ათასობით პატიმარს გამოუვლია ჩემს ხელში და იმათგან შენ ერთს გახსოვარო, უთქვამს. მალე კიდევაც გარდაცვლილა ეს მადლიანი კაცი. ცხადია, მამაჩემსაც მუდამ ახსოვდა მისი ამავი და უბედური შემთხვევა რომ არა, გადასახლებიდან დაბრუნებული, უთუოდ მოინახულებდა და პატივისცემასაც არ დააკლებდა ყოვლად უფლებო, გატანჯულ პატიმართა ამ უანგარო ქოშავს, კეთილისმყოფელს.

ამ რეულების ნახვამ და მამაჩემის მეგობრის ნაამბობმა მრავალი ფიქრი ნამოსალა ჩემს ალგზნებულ გონებაში, ბევრი რამ გამახსენა. მამა დაპატიმრეს, 1942 წლის 25 ნოემბერს, 2 საათზე (ორი დღის მერე მე შეიდი წელი უნდა შემსრულებოდა, იმხანად მამადაჩემთან, სოფელში მოფეს) ბავშვთა საავადმყოფოში ღამენათევარი, მორიდგობის შემდეგ, მაშინდელი ათარბეგოვის ქუჩაზე მომავალი. შეიდი წელი აქ ჰყავდათ, ჯერ ორთაქალის ციხეში, მერე იქვე, მეორე კოლონიაში. 1949 წელს, პოლიტპატიმართაგან ერთ-ერთი უკანასკნელი, გადასახლეს თითქმის ყირღიზეთის ოკეანის სანაპიროსთან, ქალაქ ვორკუტაში და იქაც შეიდი წელი ამყოფეს. 1956 წლის შემოდგომაზე, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, მე ოცდაერთი წელი მისრულდებოდა. ძნელია იმ განცდის სიტყვიერად გადმოცემა, თბილისის ვაგზალში რომ დამეუფლა მის დანახვაზე. ვაგონიდან გადმოვიდა თუ არა, ხელში ავიტაცე იმოდენა კაცი, დეპატრიალე, ვებვეოდი. უსაზღვროდ გახარებულს, სახეზე ნამონითლებულს, მომლიძმარს. უბრალო, თეთროსაფარველი, ღია მწვანე ფერის ბაზისის კოსტუმი ეცვა, სათვალის შუშები მიზეზე უბრწყინავდა. ის დღე ალბათ ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

ეინ მოსთვლის, ამ დღის დადგომამდე რამდენი ვიება და უბედურება გამოიარა ჩვენმა ოჯახმა. შეიძლება ითქვას — ბავშვობა ციხის კარებთან მაქვს გატარებული. დათქმულ დღეს (ყველაფერი დანახებული იყო) საცოდავი დედაჩემი და მე კოლმეურ-

ნეობის მოედნამდე ხელით მივითრევდით ამანათს. იქ ჩამოდგებოდნენ სკრინიშული ნომერი ტრამვაი და ორთქილ-სკრინიშული რიგინებდა. საათობით ვეცხდებოდა ლოდინი, სანამ წამით გახსნილი პატარა სარკმლიდან მიტანილი ამანათის გადაცემას გვამცნობდნენ. ზოგჯერ ახლაც მომეხანდება ხოლმე წრედარტყმული, ორვაგონიანი წითელი ტრამვაის ტლანქად გადაღებოდა, ატყეპილი კოფი (აფთიაქთან მოუხვევდა და ჩერდებოდა); იმ გაუზარელ, ბურუსიან დღეებში დანთქა დაბალ, დანისპირივით ალესულ ლიანდაგებზე მისი რწევა და უსიამო ხრქიალი...

მომხდარა ასეთი რამეც — მამაჩემი, როგორც ექიმი, სჭირდებოდათ კოლონიის უფროსობას და ზოგჯერ ქალაქშიც გამოკვადათ. ასეთ დროს, მცირე ხნით, სახლშიაც ამოვგაკითხავდა ხოლმე, ახლობლებიც, ნათესავებიც მოუნახულებია.

ერთხელ, 1948 წლის ზაფხულში (სწორედ ამ წელს არის ჩანერილი გვანჯი ჩიქოვანის მოვონებები), ეთილმა ადამიანებმა იმდენი მოხებრებეს, მე შემიყვანეს კოლონიის რკინის კარებში, იქ დავრი და ერთი ღამე მამაჩემის გვერდით გავათენე. კარგად მახსოვს, როგორ დამატარა მამამ კოლონიის მოზრდილ ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა სახელისწილი და საამქროები. იქაურობა ძალიან მომწონდა, უამრავი მშენიერი ნაკეთობა ენახე, რაღაცეები კიდევაც მისახსოვრეს — შიგნიდან ღამაზად, ნაირფერად მოხატული ნიფლის ხის კონტა, ლაქით გაპრიალებული სათუთუნებები (სახურაეებში ღერძად პატეფონის ნემშები იყო გაყრილი და მჭიდროდ იკეტებოდა), ნაირ-ნაირი კოლოფები, ძენკეები... ცხადია, იქედან არაფერი შემომრჩა — ზოგი გამიტყდა, ზოგიც მაშინვე გაეაშუქე. იქ სულ დამყვებოდა და ტყბილუვლით მანქანებზედა ექთანნი, მამაჩემის დამხმარე და პატივისცემული, ძალზე კეთილი ქალბატონი კატუშა ინაკავაძე. მისი ქალიშვილი, თბილისის ერთ აფთიაქში პროვიზორად მომუშავე, ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც რეცეპტი გაეწოდებ, გამომეცნაურა. კარგა ხანს გულთბილად ვისაუბრეთ. სამწუხაროდ, სახელი და გვარი აღარ მახსოვს.

მოგვიანებითაც არაერთხელ მინახავს პატიმართა მიერ ციხეში დამზადებული სხვადასხვა ნივთები (კრიზოლანთები, ბექედები, ყელსაბამები, სამაჯურები, საყარცხლები, დანები, კამათლები, ხეზე ამოკვეთილი თუ ამომწვარი პორტრეტები, ხატები, ჯვარცმები და სხვა), გავუოცებიათ ნამუშევართა სინატიფეს.

შავი სამყაროდან გამოსული და ციხეებში მრავალჯ ზის ნაფეოში სახელგანთქმუ-



ლი ფრანგი მწერალი ჟან ჟანე თავის გახმაურებულ ავტობიოგრაფიულ რომანში „ქურდის დღიური“ საგანგებოდ აღნიშნავს პატრიარქსა ამ გასაოცარ უნარს, როცა მათი თითები ასანთის ღერებიდან, თოკისაგან, კარტონის ნაჭრებისა და ვინ ჩამოთელის, რისგან აღარა, სახანაულებს აკეთებენ და ამ თავისებურა შედეგებით კიდევაც ამყოფენ. ვანეს მსატყუარად აქვს მომარჯვებული თავისი „შავი იუმორი“ და იქვე წერს – ციხეში მოსული მწახველები ისევე ასხამენ ხოტბას, ვთქვათ, კაკლის ნაჭუჭისგან პატრიარქის მიერ გაკეთებულ სამელნეს, როგორც ძაღვს და მაიმუნებს აქებენ, როცა მათი ემპაქური მოსახრებულბა აოცებთო.

მამაჩემმა, სანამ შორეულ ვორკუტაში გადაასახლებდნენ ბაქოს გავლით (მასხოვს, დედაჩემს ატყობინებდა ღია ბარათით, ჩემოდანი და ლეიბი ბაქოში დაეტოვო), სახლში გამოგვიგზავნა უზარმაზარი ხის ყუთი. სამედიცინო ნივთების გარდა, მხატვრული ლიტერატურაც იყო. რამდენიმე ნივთი დღემდე შემომრჩა. იმ ყუთშივე ენახე საბუღალტრო ბლანკების მეორე მხარეს დანერილი და ძაფით აკინძული მამაჩემის პიესა (კომედია), რომელიც კოლონიაში მოხვედრილი გრიგოლ კოსტაეას თხოვით დაწერა. ჩვენს შესანიშნავი მსახიობი (რომ დასცლოდა და ისიც არ გადაესახლებინათ) იმ კომედიის დადგმას აპირებდა თურმე. სცენისმოყვარე პატრიარქი დახი ჩამოუყალიბებია იქვე. პიესა საკმაოდ ცოცხლად, მახვილგონიერულად იყო დაწერილი, თავთავიანთ კილოზე მეტყველებდნენ იქ გამოყვანილი სხვადასხვა ეროვნებათა ტიპები (ქართველი, ებრაელი, სომეხი, ოსი და სხვები), კომედიურ სიტუაციებსაც არა უშავდა. რამდენიმე ახლობელსაც ნაეკითხე, მოეწონათ, მაგრამ კითხვა-კითხვაში დაიშალა, ფურცლები დაშეფანტა და, საბოლოოდ, ის პიესა დაგვარგა.

ახლა რომ ვუკვირდები, გულახდილად უნდა ვთქვა – კიდევ კარგი, გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრების ჩანაწერები მამამ თავის მეგობარს, კიტა ბუაჩიძეს გაუგზავნა და მიაბარა, თორემ იმხანად ამ რეგულების ფასი მე არ მცოდინებოდა და ვერც შევინახავდი, სხვა რამეებივით განადგურდებოდა.

ზედმეტი იქნებოდა იმის აღნიშვნა, თუ, ბატონი კიტასგან დაბრუნებული, საღამოს, როგორი მღელვარებითა და რა გულისყურით ნაეკითხავი მისგან ვადმოცემულ რეგულებს. ამ ფაქტისაგან ფერგადასული, გაცრეცილი ფურცლების კითხვა რომ მოვითავებ, ვინებამი უნებურად ამოტივტივდა ვალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის სტრიქონები, სხვა დროს და სხვა შემთხვევის გამო დაწერილი:

მას შემდეგ ორმოცდარვა უმძაფრესი წელია... ქვეყნულ მართლაც უზარმაზარმა მწერალმა და მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებით სისხლის ტბებითა და უდიდესი ძვრებით აღსავსე ეპოქამ გაიარა „მას შემდეგ“. ქემშარიტად უმძაფრესი წლების“ მოწმენი გავხდით; რამდენი რამე მოხდა განვლილ დროში, რა აღწერსავს, ვისი თვალის და გული გასწვდებდა ყოველივეს...

ამჟამად სულ სხვა რამეზე ვწუხვარ – ხანდახან მამაჩემი ყვებოდა ციხის ამბებს, სხვათა თუ საკუთარ თავს გადაამდგარს. იმ მონათხრობიდან ზოგი მახსოვს, უფრო მეტი დამაინტერესებდა, რომ მამინეე არ ჩავინიშნე, რასაც ამბობდა. ერთხელაც რომ მესხერებინა გვანჯი ჩიქოვანი, უმაღლესი გაახეხედივდა კოლონიაში მასთან მეგობრული ურთიერთობა და ეჭვი არ მეპარება, მამაჩემი ბევრ ისეთ რამეს მეტყვოდა ამ დიდებულ პიროვნებაზე, რაც, მიზეზთა გამო, რეგულებს მიღმა დარჩა.

მოგონებების ჩანერისას გვანჯი ჩიქოვანი, როგორც თავად ამბობს, მეშვიდე ათწლეულშია გადაამდგარი. ეს ასაკი ხელს არ უშლის, რისი მომსწრე და მხილველიც იყო, ზუსტად გაიხსენოს, წელი, ზოგჯერ თვე და რიცხვიც კი დაასახელოს მომხდარისა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ შეკუმშულად მოთხრობილში ყველაფერს ვერ მოყვებოდა; ზოგი რამ განზრახ არ გაამილა, შევნებული დუმილი ამჯობინა, ზოგი შემთხვევა კი, დროთა განმავლობაში, ალბათ დაეინყვიეს ბურუსმა დაფარა.

წარსულის გაცოცხლებას როდესაც ლაზომ, კაცმა არ იცის, ამ დროს რა გაკრთება გონებაში. შეხადლოა, ამის გამოც წერს ანა აბმატოვა ერთ თავის დღიურში: „ადამიანის მესხერება ისეა მოწყობილი, რომ იგი, პროექტორის მსგავსად, ანათებს ცალკეულ მომენტებს, ირგვლივ კი გაუჭრელ წყვილად ხტობს“.

ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გვანჯი ჩიქოვანმა ბევრი რამ ვერ ან არ გაიხსენა. ჩვენ შევეცდებით, ალაგ-ალაგ, დამატებითი მასალები და ცნობები მოვიხმოთ და ნაკლები ადგილები შეძლებინდა გვარად შევავსოთ, ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად ტექსტს კომენტარები აქვე დავეურთოთ, რათა მკრთალი მონახაზი უფრო გამოიკვეთოს და ეპოქის სურათი რამდენადმე სრული გახდეს.

მეტად სასიამოვნო და ერთგვარ სიმბოლურ ფაქტადაც უნდა მივიჩნიოთ, რომ მარმანე, ქუთაისში (გამომცემლობა „ავტორაფი“) გამოვიდა ვლადიმერ ქანტურიას

(იგი გვანჯი ჩიქოვანის შვილიშვილის, ფლორა კუმულავას მეუღლეა) მცირე მოცულობის, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი, უცნობი მასალის შემცველი ნიგნი „გვანჯი ჩიქოვანი“. იგი მოგვანოდა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ სოსო სიგუამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ვლადიმერ ქანტურიას ნიგნში ზოგიერთი უნებლო უზუსტობაა გაპარული, მაგრამ ეს ნაშრომი, უმეტეს შემთხვევაში, მეტად საყურადღებო ეპიზოდებით ავსებს თვით გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებს, რაზედაც გზადგება ვიტყვით. ამ მცირე მონოგრაფიის ღირსება ისიცაა, რომ მასში საკმაოდ არის ნარმოდგენილი იშვიათი ფოტოები და გვანჯი ჩიქოვანის მეგრულად დანერგილი ლექსები. აქვეა გვანჯისადმი მიძღვნილი პოემა (იგი სიმონა დოლიძეზე და სისონა დარშიაზე შექმნილ სიმღერა-ბალადებს გვაგონებს), ცნობილ სახალხო მთქმელს დაეით ჭითანავას რომ ეკუთვნის. ყოველივე მარჯვედ, ოსტატურად გადმოუქართულებია გოგი შონიას, დაეით ჭითანავას პოემაზეც მას დაურთავს შაირითვე გამართული მშვენიერი, მძაფრი ეპილოგი.

მართლაც „ლეგენდად მთარული“, ქემ-მარიადა დიდი კაცის მნახველნი და მომსწრენი დღესაც ამბობენ, რომ გვანჯის სიტყვას თავის კუთხეში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ოქროს ფასი უქონდა, მრავლად შეურიგებია მოსისხლენი, მრავალი ადამიანისთვის უშველია და სასიკვდილო საფრთხისგან უხსნია. შუამავლობა, ერთმანეთზე გადავიდებულ მოშუღართა პერიგება სულაც არ გახლავთ უბრალო რამ. „ენეადების“ ავტორი, ანტიკური სამყაროს გენიალური მოაზროვნე, ფილოსოფოსი პლოტინე, თანამედროვეთა შორის ამითაც იყო სახელგანთქმული. გვანჯი ჩიქოვანი თვით მტრების მიმართაც ისე იქცეოდა, რომ ერთბაშად ანიარაღებდა ყველას, ვის გულშიც ბოროტება ან შურისძიების გრძნობა იყო დაბუდებული. ამ მხრივ იგი ქაბუა ამირეჯიბის უბრწყინვალესი რომანის მთავარ გმირს დათა თუთაშვიას მოგვაგონებს. გვანჯი ჩიქოვანის ამ უნიკალურ, შესაბამურ თვისებას სახალხო მთქმელი ქებით იხსენიებს:

**უადრებულს არ იყადრებს, იცის თავის დაფასება,  
ყველან მორიე-მოთავეა, ჭირია თუ დაბდება,  
საქმე მეტად დახლართული,**

**თუკი მწვლად გააწყნდება,  
ერთს იტყვის და მოათავებს,  
არ სწევია გადადება.**

პოემის პირველსავე სტროფში მთქმელს მარჯვედ მოუხაზავს გვანჯი ჩიქოვანის

შთამბეჭდავი გარეგნული პორტრეტი და მისი რაინდული, კეთილმოზღოვანობა და მადლი:

**ნიგლირთაქს**

**ქელი თავადიშულია დიდი გვანჯი ჩიქოვანი,  
მასზე ლექნი რომ დაეწრო,**

**თავი ვალდებულად ვცანი,  
დაბადებით დაუნათლა არამუტეს სიგრძე-ვანი,  
ჭკუა, გონება და სიბრძნე შესაფერი, შესაგვანი.**

მონოგრაფიის ავტორს მოკლე მიმოხილვაში მოხმობილი აქვს ზუგდიდისადმი მიძღვნილი ჩვენი საუკეთესო პოეტის ტარიელ ქანტურიას ლექსი, სადაც მეტად უშუალო, საგულისხმო სტრიქონებია, ამ ქალაქის იერს რომ ხატავს:

**შენი გვანჯი ჩიქოვანიო,  
საშა ვვუტათიო,**

**სულ ასეთი უნდა იყო —  
უბრალო და დიდი...**

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ერთ-ერთი ცენტრალური და განმსაზღვრელია ის ეპიზოდი, როცა ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში დამალული ბიძამისი (დედის ძმა), სამართლიანობით, ეაგაკობითა და თვალტანადობით განთქმული პიროვნება გიდ ემხვარი თავდაშემშელს, პოლიციელთა რაზმის მეთაურ გოგოლიშვილს (ვლადიმერ ქანტურიას ნიგნიდან ირკვევა, რომ მას ტიტუკო რქმევია, თუმცა ზოგიერთ ცნობაში ურადნიკი გოგოლიშვილი კონიადაც არის მოხსენიებული.) მოკლავს და თვითონაც მისი ნასროლი ტყვიით კვდება. ამ დროს გიდ ემხვარს ბაღში, ნაბლის სის ძირას ეძინა, იქ დაადგნენ თავზე და ესროლეს. სასიკვდილოდ დაჭრილი გიდ ემხვარი ურადნიკი ბერიძესაც გაიყოლებს და ასე ახდება მისი გრძნული სიზმარი, დალუპვამდე დისწულს რომ მოუყვია. გვანჯი უშუალო მხილველი და მთბრობელია ამ ამბისა და მისი ნათქვამი (როგორც ეტყობა, არსებობს სხვა ვერსიაც) უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია. გვანჯი ჩიქოვანი ხშირად ზეპირად ნარწმისთქვამდა თურმე ამ თავდაუზოგავი შეტაკების ამსახველ ხალხურ ყაიდაზე ამოთქმულ ლექსს („ლომმა ვეფხვსა შეუტია...“).

ვლადიმერ ქანტურიას თავის ნიგნში მოაქვს ერთი მეტად ძვირფასი ცნობა, რაც თვალნათლივ ნარმოგვიდგენს გვანჯი ჩიქოვანის დიდებული ხასიათის ზემოთ ნახსენებ გამორჩეულ თვისებას, მის გასაოცარ უნარს — ერთმანეთთან შეერიგებინა და დაემოყვრებინა თვით მოსისხლე მტრებიც კი:



„1923-ით 1924 წელს გვანჯის ბათუმში სტუმრად ზღუზია მისი ბიძაშვილი ჯანსულ ემუხარი (ბიძის სახელი ერქვა) – რამდენიმე პირით. ბათუმელებს მათთვის კარგი პურ-მარილი გაემართათ. სუფრაზე შემთხვევით შემოუხედავს ერთ ლამაზ ახალგაზრდას. მოქვეყნებ ბათუმელებმა იცნეს იგი და სუფრასთან მიიპატივეს, შემოსულს სტუმრები გააცნეს. როცა მან ხელი ჩამოართვა ჯანსულს, ამ უკანასკნელმა ნარმოიქვა საკუთარი გვარი – ემუხარი, ამ გვარის გაგონებაზე შემოსულს უთქვამს: – დიდი ხნის წინათ შენმა სახელი კაცმა მოკლა მამაჩემი სოფელ ქადაუაშიო.“

გვანჯი მაშინვე მიხვდა, რომ შემოსული ახალგაზრდა სწორედ გიდი ემუხარის მოკლული გოგოლიშვილის შვილი იყო. თავისი არისტოკრატიული მანერებით, დიდი, დარბაისიერი საუბრით შეტად მოხიბლა ეს ახალგაზრდა კაცი, შემდეგ კი დაწერილებით მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა მოხდა გიდი ემუხარსა და გოგოლიშვილს შორის. ერთი პოლიციელი იყო, მეორე – აბრაგი. ისინი პარისპირ გადაეყარნენ ერთმანეთს, სახელი არ შეურცხვენიდა და ვაჟკაცურად შეაკედნენ ერთმანეთს.

– თქვენ მათი შვილები ხართ, როგორ მოიქცევით თქვენ? – შეეკითხა გვანჯი გოგოლიშვილს.

გვანჯი და საუფრის ნევრთა საქციელთი მოხიბლულმა სტუმარმა დაუფიქრებლად უპასუხა: – ჩვენ ძმები ვიყოთო.

მათ გადაკოცნეს ერთმანეთი, ხოლო საუფრის ნევრებმა ფეხზე ადგომით დალიეს მათი დაძმობილების სადღეგრძელო.

გვანჯი ჩიქოვანის მემუარების პირველივე ეპიზოდების კითხვისას ჩემს ნარმოსახვაში უნებურად ცოცხლადებოდა ქაბუა ამირეჯიბის ხსენებული რომანის „დათა თუთაშისა“ სამყარო (აბრაგისა და ფანდარშების დაპირისპირება, სისხლიანი შეტაკებები, დაპატიმრება, ციხე, პატიმრების გაქცევა, სუფრებზე ქართული დროსტარებანი, რევოლუციის მიზანში სროლა და მისთანანი), თითქმის იგივეა მოქმედების ძირითადი ადგილი და ეპოქაც ემთხვევა, ბევრ შემთხვევაში ტიპაჟიც მსგავსია და ეს იმაზე მეტყველებს, რაოდენ ღრმად შეუსწავლია რომანის ავტორს ჩვენი ქვეყნის შედარებით აბლო ისტორიული ნარსული, სამეგრელოს ყოფა.

ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდანვე ვიგეტ, რომ რევოლუციის მოხდენისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს მიზანსამინისტროში გამოძახებული გვანჯი ჩიქოვანი, როგორც გამოცდილი ოლიცერი, ჯერ ცხინვალში ვაუზნავდით, ხოლო მერე აჭარაში მოუღვნიათ მილიცი-

ის კომისრად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას დიდი სიამაყე გამოიჩინა, სწავლულს მღებულ ავაზაკებს ებრძოდნენ, მშვენიერად მოსვლას აჭარაში დახვედრია და ერთხანს (1924 წლამდე) იქვე ვაუზრძებელია მუშაობა.

გარკვეული მოსაზრების გამო, თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე მრავალჯერ რეპრესირებული გვანჯი ჩიქოვანი არაფერს ამბობს. ცხადია, გვანჯისთანა გამოჩენული და ავტორიტეტული პიროვნება უსასტიკესი კომუნისტური რეჟიმის დროს მიზანში ყუროლებოდათ ამოღებული და ფაშიდან ფაშიდებ არ მოასვენებდნენ.

1924 წლის გამოსვლების დროს, როცა მთელმა საქართველომ საშინელი რბევა, განადგურება და დახვერტები განიცადა, სხვა ღირსეულ პიროვნებებთან ერთად გვანჯი ჩიქოვანიც დაუპატიმრებიათ, ექვსი თვე სოფელ ლიის ციხეში პულით გამომწყდეული, ვერავითარი დანაშაული ვერ უპოვეს და იძულებული შეიქნენ, გაეთავისუფლებინათ. არაერთი უსიამოვნება დაატეხეს თავს მის ოჯახს, შვილებს. რა გასაკვირია, 1937 წელსაც რომ დაიჭირეს, მაგრამ დაღუპვას მაშინაც გადაარჩა. ვინც იცნობდა, თურმე ყველა ერთხმად ამბობდა – გვანჯის ბრალი არაფერში არ მოძღვის, მისი გარეგნობა, ფიზიკური აღნაგობა ღუპავსო. აღნაგობა კი მართლაც გოლიათური ჰქონდა.

ომის დაწყების დროს გვანჯი ჩიქოვანს ახალი პროვოკაცია მოუწყვეს. სინდისგარეცხილმა ადამიანებმა (სამმა ცრუმონქემ) ალაღ-მართალი კაცი დაასმინეს, ფაშისტური გერმანიის გამარჯვებაზე ოცნებობსო და მალე სასამართლოც მოუწყვეს. ზუგდიდის მაშინდელი უშიშროების უფროსი, ვილაც არაკაცი, თურმე ტრაბახობა და ზეიშობა ასეთი გამოჩინებული პიროვნების „გაუფებელყოფას“.

ვლადიმერ ჭანტურიას ძალზე მკაფიოდ, სურათოვნად აქვს გადმოცემული ეს ეპიზოდი, რომელსაც სიციხად შეაქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, ნათესა ფენის მისი დაპატიმრების გარემოებას, რაზედაც თვითონ მხოლოდ ზოგადად მიგვანიშნებს. შეუძლებელია, ეს გულისშემძვრელი ამბავი ნაიკითხო და ტანში ყრუანტელმა არ დაგვიროს. აი, რა ხდება ამ სამარცხვინო, უნიჭოდ დადგმულ „სასამართლო“ ფარსზე:

„ვინ იყო სიამართლის გამგონე, გამოხარებული. გვანჯის არც მოუხმინეს, სასამართლომ მას რვა წელი მოსაჯა. მოსამართლემ განაჩენის ნაკითხვის შემდეგ გვანჯის მიმართა:“

– უკანასკნელი თხოვნა ხომ არა გაქვთ რამე?



— მე ვიცი, განწირული ვარ, სათხოვარიც მაქვს, მაგრამ რად მინდა ეთქვა, სულ ერთია, თქვენ მას არ ამისრულებთო, — უპასუხა გვანჯემი.

— თქვენს თხოვნას მოვისმენთ და შევეცდებით, შეგისრულოთო, — უპასუხეს „იშარ-თლის დამცველებმა“.

— მე ისეთი რამე უნდა გთხოვოთ, რომელსაც თქვენ ვერ ამისრულებთ, რადგან ასეთი რამ კანონში არ გინერიათო.

— თქვით მაინც! — უთხრეს მას.

როცა სასამართლო დარბაზი დაწყნარდა, გვანჯემი დაიწყო დინჯად:

— მე მინდა გთხოვოთ, რომ ნახევარი საათით გამიშვათ სახლში, გეფიცებით სინდისსა და პატროსნებას, ნახევარი საათის შემდეგ დაებრუნდები და ჩაგბარდებითო.

— კი, მაგრამ რა მიზნით, რა უნდა პუნათ ამ ნახევარ საათში? — კითხეს მას.

— აგერ, ეს კაცი, — თითი მოუშვირა მან ერთ-ერთ ცრუ მოწმეს, — მასწავლებელია იგი ჩემი შვილებისა და ბევრი სხვისი შვილის აღმზრდელია, მაგრამ ასეთი სულმძაბალი კაცი ვერ შესძლებს ღირსეული ადამიანების აღზრდას, მათ ჩაუნერგავს უწმინდურ სულს, ისეთს, როგორიც თვითონ აქვს.

იგი დაამახინჯებს მათ, აღზრდის არაკაცებს, სხვის შვილებს ჯვარი სწერია, მე კი სახლში იმითომ მინდა წასვლა, რომ ბოლო მოვულო ჩემს შვილებს, ამის აღსაზრდელებს, რომ მომავალ საქართველოს ქორი მოეკლო და საზრუნავი შევეუქმეო.

ზალხი ფეხზე ადგა, ყვიროდნენ: „კანთავესუფლეთ მართალი კაცი“, მაგრამ ვინ იყო შემსმენი. მას ბორკილები გაუყარეს და საპყრობილეში გაგზავნეს“.

დაპატარებულ გვანჯემ ჩიქოვანს წერილი გაუგზავნია სტალინისთვის, ფოტოც დაურთავს, შეუხსენებია, რომ ქუთაისის ციხეში ისინი ერთად იხსდნენ ახალგაზრდობისას. სარწმუნო ცნობად აცხადებენ, თითქოს სტალინს მომართვა გამოგზავნოს საქართველოს მამონდელი პროკურორის ვ. მონიას სახელზე, მაგრამ ამას პატიმრის ბედზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

გვანჯემი ჩიქოვანის სულის სიღრმეზე, ქუმპარიტად ქრისტიანულ ბუნებაზე მეტყველებს ის კეთილმოზილური საქციელიც, რომ საპატიმროდან გამოსვლისა და რვაბილიტაციის შემდეგ მან ყველაფერი მოუტევა სამივე „მონმეს“, სამივენი მასზე ადრე დაიხოცნენ და ყველა მათგანის სატირალში მოსულა, სამიძმარი უთქვამს. ამ საქციელითაც ენათესავება იგი ღვთაებრივი ძალმომილენის რიანდს დათა თოთაშხიას, ვინც სივლახესა და ბორკეტებს სიკეთით ჯაბნიდა.

გვანჯემი ალექსის ძე ჩიქოვანს გარდაიცვალა 1967 წლის 9 სექტემბერს და დაკრძალავებულია მშობლიურ სოფელ ყაქაღაშში.

თვითონ გვანჯემი ჩიქოვანი თავისი დაბადების თარიღად 1881 წელს ასახელებს. ვლადიმერ ქანტურიას ნიგნის მიხედვით, დაბადებულია 1879 წლის 11 სექტემბერს (ოთხმოცდაათი წლის შესრულებას ორი დღე დაჰკლებია), იმავე სოფელში. განსხვავება ორ წელსწადშია, მაგრამ 1879 წელი უფრო სარწმუნო ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მონოგრაფიის ავტორს საარტიკო დოკუმენტები ეწებება მოპოვებული და შესწავლილი.

ვლადიმერ ქანტურიას ნიგნისგან იმასაც ვიგებთ, რომ გვანჯემი ჩიქოვანის ერთ ბიძას, გიგ ემხვარის ძმას ომარი რქმევიცა. ომარის ერთ-ერთი ვაჟი თამაზ ემხვარი მეფის ოფიცერი ყოფილა და რევოლუციის შემდეგ, როცა მეფის გვარია დაუშლიათ, სამშობლოში, სოხუმში დაბრუნებულა. ერთ დღეს იგი ქუჩაში გადაყრია წავსადგურში შემოსული გემიდან გამოსულ რევოლუციურად განწყობილ მეზღვაურებს, რომელთაც თამაზი მასხრად აუგდიათ და მეფის ოფიცრის ბრწყინალა სამხრეები აუგდევიათ. შესლამეზობლაში თავმოყვარე, ფიც თავად რამდენიმე მეზღვაური მოუკლავს და თვალის დახამბამებაში მიმალულა. რევოლუციურ გემს ქალაქის ხელმძღვანელობისათვის ულტიმატუმი წარუდგენია, თუ საღამომდე მეზღვაურთა მკვლელს არ გადასცემდნენ, სოხუმს ზარბაზნებს დაუშენდნენ და დაიგრევენდნენ. ეს არ იყო ტყუილი მუქარა.

სოხუმელებს სხვა გზა აღარ პოინდათ და თამაზ ემხვარი გამხეცებული მეზღვაურებისთვის გადაუციათ. გემბანზე ასული თავადიშვილი იმათ კელა აბუჩად აუგდიათ და წვალზე დაურწყიათ. თამაზს უცრად ილაშაში დამალული ბრაუნინგი დაუძერია და ორი კაცი დაუცხრილავს. ამის შერე შურისმაძიებელ, ცაცოფებულ მეზღვაურებს თამაზ ემხვარი გემის საქებაში ჩაუგდიათ და ცოცხლად დაუნვაეთ.

ვლადიმერ ქანტურია აქვე აღნიშნავს: „ეს ისტორია რამდენადმე გადასხვაფერებულად და მხატვრულ ფორმებში აღწერილი აქვს მწერალ ლეო ქ. ჩელს თავის მოთხრობაში „საკი აძმა“.

ლეო ქიარელს სინამდვილეში მომხდარი თავისებურად რომ არ გადაეხარმა, არ გადაესხვაფერებინა და არ გადაეაზრებინა, შესაფერისი ფორმა და ფსიქოლოგიური სიმართლე რომ არ მიეცა, მის უბრწყინვალეს მოთხრობას, ქართული პროზის ერთ-ერთ შედევრს, ასეთი სახე არ ეწებოდა.

ერთი ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ნათქვამი რომ გამოიყენეთ — დამაჯე-

რებლად, მართლად მხოლოდ ის შეიძლება მოყვე, რაც არა უბრალოდ იყო. აქ იგულისხმება „უმაღლესი სიმართლე“, რაც მხატვრულ გამოხატვის უკავშირდება.

მწერლის ამ უფლებას, ცხადია, ვერაინი ვახდის საცუოდ. შეუსაბამობად მიგვაჩნია სხვა გარემოება — ვლადიმერ ქანტური იმონებებს სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის, განათლებული და კეთილშობილი პიროვნების ნიკაიძის ბახილიას 1954 წლის ნაამბობს. ამ ადამიანს, ახალგაზრდობისას სოხუმში, გავიდა მომხდარი ტრაგედიის შესახებ და ყველა სხვისგან მოსმენილს. ამიტომ ზოგიერთ რამეს ლეგენდის შეფერილობა აქვს — გამოთქმულია ჩვენთვის ნაკლებად სარწმუნო მოსაზრება, თითქოს ეს ამბავი გახდა საბაბი გიდ ემზვარის ყაჩაღად გაყარებისა.

სწორედ ამ ოფიცრის (მას თამაშები ერქვა) ისტორიასთან არის დაკავშირებული გვანჯის მეორე ბიძის გიდი ემზვარის ისტორიაც.

მომსწრენი იგონებენ, რომ სწორედ იმ დროს, როცა ტრაგედია დატრიალდა თამაშს ემზვარის თავზე, იქვე, შორიახლო მჯდარა გიდი ემზვარი. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, იგი პორტისკენ გაიქცა, სადაც უცაბედად რუს ჯარისკაცებს გადაეყარა და ერთი კაცი შემოაკცა. ამის შემდეგ იგი ტყეში გაჭრილა აბრაგად. ეს ბუნებრივი იყო, რადგან დასალუბად განზრული თავდაზნაურობის უკანასკნელი იმედი სწორედ ეს გზა იყო, სხვა გზა მათ მოჭრილი პქონდათ.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობიდან სრულიად აშკარაა, რომ მისი საცვარელი ბიძა გიდ ემზვარი პოლიციელებთან შეჯახებისას 1901 წლის ივლისში დაღუპულა. ამ თავდასხმის დროს თვისთონ გიდ ემზვარმა მოკლა ორი კაცი — რაზმის მეთაური გოგოლიშვილი და ურიადნიკი ბერიძე. სოხუმში მომხდარი გახმაურებული ტრაგედიის დროს, დაღუპვიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, გიდ ემზვარი ბაღში ვერ იქნებოდა და თავისი ძმისწულის მისამველებლად ვერ გაიქცეოდა. ლეო ქიჩელს დოკუმენტური სიზუსტით აქვს აღნიშნული, რომ მის მოთხრობაში აღწერილი ამბავი მოხდა 1918 წელს, როცა რუსეთში უხასტიკევი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

ისიც უეჭველია, თავის ბიძაშვილის, თამაშს ემზვარის ჯოჯოხეთური ნამება გვანჯი ჩიქოვანს დანერვილებით და სხვებზე უკეთ ეცოდინებოდა (პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი ერთად მსახურობდნენ კავკასიურ, ე.წ. „ველურ დივიზიაში“), მაგრამ 1948 წელს, საბჭოურ პერიოდში მყოფი, იგი

ვერ გაამხელდა, რომ მისი სისხლით ნათესავი რევოლუციონერ მწერლის ნამება შეეჯახა, რამდენიმე მათგანს მსჯელობისათვის დაიღუპა, ამაყი ვაჟკაცი როგორ ემსხვერპლა მათ ცინიზმსა და გაუგონარ ბარბაროსობას.

თუ რამდენად თავზარდამცემი, ქუიდან შემშლელი ყოფილა ეს ნამება, ამის ნარმოსადგენად ერთი ფაქტიც კმარა — გავრის ძეგლმა მკვიდრმა, ამჟამად დეენილმა ქალბატონმა საშურა შენგელიამ (იგი თამაშს ნადარიშვილის დედა გახლავთ) მიამბო, რომ თამაშს ემზვარის უახლოესმა, განურყრლმა მეგობარმა, ოფიცერმა კონსტანტინე ლაკერბაიამ, ამ წრეგადასული სადინზის თვალთ მხილველმა, სოხუმიდან გუდაუთაში დაბრუნებისთანავე, საკუთარ ოთახში ჩაკეტვით, რევოლვერით მოიკლა თავი.

მრავალჯერ თქმულა და დანერვილა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანის „მთვარის მოტაცების“ ერთერთი მთავარი გმირის, ნათავადარ გვანჯ აფაქიძის პროტოტიპი გვანჯი ჩიქოვანია. თვით ამ ნაწარმოებში, აგრეთვე, ვლადიმერ ქანტურიას სხენებულ ნივთში უხვად არის ამის დამადასტურებელი მასალა.

ვლადიმერ ქანტურიას მოაქვს ჟურნალისტ ისაკ ქორთუას ცნობა, რომ ნათესავი დასაფლავებამზე ზუგდიდში ჩასულ კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით მოუსვენს გვანჯი ჩიქოვანი და მწერალს სიამაყით უთქვამს: „ეს ჩემი გვანჯი აფაქია და კიდევ მეტს გეტყვი: „მთვარის მოტაცება“ ამ დიდებულმა კაცმა დამანერინაო. მერე პაპიროსის მოუკცა და დაუმატა: ამ რამდენიმე ხნის წინ ინგლისიდან ერთმა ლორდას ასეთი ნერილი მომწერა. იმას ნაუკითხავს ჩემი „მთვარის მოტაცება“ და შეკითხვას მისვამს, რომელი ვეროპელი სპეციალისტი იყო თქვენი მრწველი, ცხენის ხასიათები ასე კარგად რომ გაქეთ აღწერილიო.“

მე მივწერე, ჩემი კონსულტინტი იყო თავიად გვანჯი ჩიქოვანი-მეთქი...

აქ ბევრი რამ არის ნათქვამი, რათა ვერწმუნოთ, რომ გვანჯ აფაქიძის სახის შესაქმნელად გვანჯი ჩიქოვანის პიროვნება, მისი გარეგნობა და თვისებებია გამოყენებული. რომანის პერსონაჟსა და პროტოტიპს შორის საკმაოდ საგრძნობი განსხვავება იმან განაპირობა, რომ მწერალს, სოციალური დაკვეთის შესაბამისად, გლუბობასთან დაპირისპირებული კლასობრივი მტრის სახე უნდა შეექმნა და ცხადი იყო, ამ ხასიათში ბევრი რამ უნდა შეეცვალა და გამძაფრებინა, თუმცა ბევრი რამ (ამის მიხედვარა აღარ არის ძნელი) გვანჯ აფაქიძეს გვანჯი ჩიქოვანისა შერჩა.

თავისი მონაყოლისა და იმ დიდი სახე-ლის მიხედვით, რაც გვანჯი ჩიქოვანში თავისი ცხოვრების მანძილზე მოიხვეჭა, შეუძლებელია იგი გაქნილ და გაიძვერა, სისხლიანი ინტრიგების დამხლართავ გვანჯ აფაქიძესთან გაეაიგივოთ, მაგრამ არის რამდენიმე უეჭველი მომენტი, რითაც მწერალს უსარგებელია და რამაც რომანში არაერთგან იჩინა თავი. გვანჯ აფაქიძეც ცხენებისა და ცხენოსნობის უებრო მცოდნე, ნამდვილი ტრფიალია. გაეიხსენოთ, რაღას არ კადრულობს ეს კაცი არხაყან ზეამბაიას სწორუპოვარი ცხენის, არაბიას ხელში ჩასაგდებად, რაოდენ ცოლბასა და სიყვარულს ამჟღავნებს აფაქიძე ამ უმშვენიერეს ცხოველთა მიმართ. მსგავსად გვანჯი ჩიქოვანისა, იგიც დიდად იყო დაახლოებული ზუგდიდში მცხოვრებ მიურატთა ოჯახთან, იმპერატორის კარზე მოტრიალედ უმაღლესი წრის ქართველ თავადობასთან, რითაც ტრამბაზობს ხოლმე და ძველ დროსაც სინანულით იგონებს.

„მთუარის მოტაცებაში“ გამოჩენისთანავე ჩვენ ვხედავთ „ამბახ კაცს“, „ქობაშემოხულს“, „მთელ ქვეყანაზე აღრენილ ნათავადარს“, რომელიც დაურიდებლად ლანძღავს და აგინებს „ქრისტეს ფეხის მკენეტელ“ ბოლშევიკებს; იგი დახასიათებულია, როგორც თვით არხაყანის „ქოსისხლე მტერი“. ამავე დროს გვანჯ აფაქიძე, როგორც მისი რეალური პროტოტიპი, „ცხენოსნობის დიდოსტატი“ და აღტაცებას ვერ იოკებს, როცა მარულაზე ჩამოყვანილ ჯიშთან არაბიას ეყრება.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, რაც უნებლიეთ გვახსენებს გვანჯი ჩიქოვანის ნარსულს:

„ისიც ახსენა, მისი ცხენები მთელს საერსეთოში ქებული რომ იყო. თავად პრინც მიურატი რომ მის გაზრდილ ცხენებზე იჯდა. არც ის დაუმაღავს, პრინცი მიურატი მას ყოველ შორე დღეს სადილად რომ კმატოვებდა. საოცარი ის იყო, თავისი ცხენების ფერიც, სახელიც და აღნაგობაც რომ ახსოვდა. ყველას სათითაოდ იგონებდა და ისე გულმოკლული ლაპარაკობდა მათ გამო, როგორც დედა ახსენებს ხოლმე თავის მიცვალებულ შვილებს. და ისე მტკივნეულად ხიოდა გვანჯ, თითქოს გუშინ წაერთმიათ მისთვის ბოლშევიკებს ენგურის ქალები, კოდორის ნისქილები, ცხენის რემა და თხის არე“.

მიურატების ოჯახთან, პრინცესა სალომესთან ასეთი ახლო, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა სწორედ გვანჯი ჩიქოვანს ჰქონდა.

რომანში ნახსენებია ნარსულში გვანჯ აფაქიძის „აბრაგობა აკაკიძე ქაჯაძეს შორის, გვანჯი ჩიქოვანსაც უარყოფს მტრებს, რომ იგი, ტყვენი გაეზარდნო, ყანალონდა და მას პრინცესა სალომესთან, ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილთან, ამ მონაჩმახის გამო, თავის მართლება მოუხდა.

მდაბიო წარმოშობის სიძესთან, ჯოტო გეასალიასთან წარდის თამაშში გართული გვანჯ აფაქიძე რომანის ბოლოს სინანულით ნამოიძახებს:

„ყველას მოგიხდათ ეს წყეული დრო, შეილოსან, ჩემს გარდა, ყველას მოგიხდათ, დუშაში არ დამიჯდა დროზე, თორემ მე ახლა ცარსკოე სელოში ვიქნებოდი გამოქიმული. პრინცესა მიურატს ჩემი ბედის კარტები უკვე ჩაწყობილი ჰქონდა, შტალამისტერი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გავხდებოდი. მერმე ის იყო, ამ წყეულმა რევოლუციამ მომისწრო და დაფუშა ჩემი ცხოვრება“.

„მთუარის მოტაცებაში“ ტრაგიზმის მძაფრი განცდით, დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული თამარ შერვაშიძის მიერ დედის სამარის მონახულების ეპიზოდი. უღმობეული სიშართლით არის აღწერილი, თუ რა შემზარავი, დამთრგუნველი სურათი დახვდა ამ უღამაზეს, შველივით არსებას ახლობელთა აფუნგულ ძვალთშესაღამში:

„იავარქმნილი იყო მთელი ხასაფლაო. გაღავანი აეღოთ ჩრდილოეთისკენ, უსარმაზარი ცაცხვი მოეჭრათ, ღორები ჩიქნიდნენ მინას, ბატების სკორეთი ნაბილ-ნულიყო სამარის ლოდები, ნამოექციით ფრთაგაშლილი ანგლონები, ისინი პირქვე დამობილად ეყარნენ მინაზე, თითქოს მეორედ მოსვლას ეგებებინათ. უნესრიგოდ ეყარა მინაზე ლოდების ნამუსრევი, ქვის ჯვრების ნამსხვრევები, ანფანტერიის გენერლები“, „კოლეჯის ასესორების“, „ქნიაზების“, „ეპისკოპოსების“, „მისი იმპერატორული უდიდებულესობის კონფისი ოფიცრების“ ტიტულუბიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებილნათ და მოესვართ“.

ეს სწორედ ის ადამიანებია, ვის გვერდითაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა თავაზიანობითა და აღნაგობით, საქმიანობითა და სიტყვა-შასხებით გამოჩენულმა დიდებულმა კაცმა, გვანჯი ჩიქოვანმა, რის შემდეგაც წუთისოფლის სიმუხთლისა და ამოუების მთელი სიმწარე იწვინა. უღმობელმა ახალმა დრომ გათელა, გაანადგურა ეს კეთილშობილი პიროვნებანი, ხოლო მათ და მათს სახელოვან ნიშანებს წმინდათაწმინდა, სალოცავად მიჩნეული სამუდამო განსახსენებელი – საფლავებიც აღარ შეარჩინა.

მოგონებათა პირველსავე თავში გვანჯი ჩიქოვანი ახსენებს ქუთაისის გუბერნატორ ალექსანდრე გაგარინის მკვლელს, სვანეთის უკანასკნელ მთავარს კონსტანტინე დადეშქელიანს, რომელსაც იგი დედის, ეკსა ემზეარის მხრივ ენათესავებოდა და რომლის შთამომავლებთან, ოჯახის ახლობლებთან (თვით დადეშქელიანები, ემზეარები, დადიანები) ჩიქოვანებს მჭიდრო, ნათესაური ურთიერთობა პქონდათ.

სამეგრელოში ნლობით ნამსახურებ მეფის მოხელეს კორნელი ბოროზდინს თავის მოგონებათა ნიგში „სამეგრელო და სვანეთი“ დაწერილებით აქვს აღწერილი გაგარინის მოკვლასთან დაკავშირებული გარემოებანი. სრულიად ამკარაა, რომ ქუთაისში მყოფი კონსტანტინე დადეშქელიანი რატომღაც აითვალუნეს, უკიდურესად გააღიზიანეს, შეიძლება ითქვას, გააცოფეს გენერალ-გუბერნატორის ხელქვეითმა ჩინოვნიკებმა უსლარმა და ბარტლომიმ; მოკლევნები სახედისწეროდ წარიმართა. საბოლოოდ, როცა გაგარინმა დადეშქელიანს დროებით საცხოვრებლად ერევანში წასვლა მოსთხოვა (ეს იყო 1857 წლის ოქტომბერი. მეფის მთავრობას ამ დროს გადაწყვეტილი პქონდა გაეუქმებინა სვანეთის სამთავრო, ხოლო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე პეტერბურგში გასამგზავრებლად პყავდათ გამზადებული), მთავარმა სამი თვე ითხოვა სვანეთში წასასვლელად და ხაოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. გაგარინმა (იგი იმპერატორისა და მთავარმართებლის ბრძანებას ასრულებდა, თუმცა შეიძლება იყოს იგივე რომელიმე მისი ხელქვეითისთვის დაევალებინათ) კატეგორიული უარი განუცხადა, რასაც მოჰყვა სამინილი ტრაგედია.

დადეშქელიანმა თავად განაცხადა სასამართლოზე, გაგარინის მოკლა აზრადაც არ მქონია, უსლარი და ბარტლომი უნდა მომეკლა, იმ ბოროტებმა დაუბნის ტვინი გენერალ-გუბერნატორს. გაგარინმა ყვირილი დაიბნყო, მე, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ ასეთ მოპყრობასო. აქვე სინანულით მოიხსენია მის მიერვე მოკლული კიდევ ორი კაცი, არდიშვილი და ილია, რომლებიც თვითონ დაეცნენ მოსაკლავად.

ბოროზდინი ორმხრივ სინანულს გამოსთქვამს – ერთი, რომ ქუთაისის გუბერნიამ, გაგარინის სახით, დაკარგა დიდად მზრუნველი, მრავალი სიკეთის მომტანი მოხელე, ხოლო მეორე მხრივ, დაიღუპა შინაგანად პატიოსანი, დიდებული ახალგაზრდა ვაჟკაცი, რომელიც ტაქტიანი მიდგომის შემთხვევაში სისხლს არ დაღვრიდა.

არავრთ ფაქტსა თუ მოვლენას კ ბოროზდინი ობიექტურად ცნობს. მისი აზრად აღწერს, მაგრამ იგი მარტოვე არ იქნება მოხელეს; საქართველოს კუთხეთა მკაცრი მოხელეა და გამთლიანება მისთვის, როგორც იმპერიული, რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგული მსახურისთვის, არ იყო სასურველი. ამიტომაც ერთგან ძირითად ტექსტს ურთავს მეტად საჩოთირო შენიშვნას, სადაც, სხვათა შორის, წერს, რომ სამეგრელოს სკოლებში სწავლება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ ქართულ ენაზე; პირდაპირ ამბობს – მეგრული დიალექტი არ ენათესავება ქართულს და ქართული ენა მეგრულისთვის ზედმეტ ბარჯს წარმოადგენდა, მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოყა და რუსული.

გაუგებრობაზე დასყარებულ ამ თვალსაზრისს მოსდევს მთარგმნელის, ბრწყინვალე მექართულის, ჩვენი გამოჩენილი ლექსიკოგრაფის თედო სახოკიას შეტად ტაქტიანი „შენიშვნის შენიშვნა“, სადაც ნათქვამია: „პატივიცემული ავტორის დროს, მეგრული-სა და ქართულის ნათესაობა, მართალია, გაურკვეველი იყო. ქართველებშიაც არავინა გვყავდა, რომ ეს საინტერესო კითხვა გამოენულიანა. მას აქეთ ოთხმოცი წელიწადი, მეტია გასული. ამ კითხვის მკვლევარი ბევრი გამოჩნდნენ, ნაშრომებიც ბევრი დაიბეჭდა, სასარგებლო და საინანაღმებლო აზრი ბევრი ითქვა, მაგრამ უდავოდ აღიარებულ იქმნა იგივეობა ქართულისა და მეგრულისა. და ახლა მარტო ამ ენათა უცოდინარი თულა იტყვის – ესეიხ სხვადასხვანი არიანო. ბოროზდინს, როგორც ზემოთხეულით არმცოდნეს, როგორც ქართულისა, ისე მეგრულისა, მის მიერ გამოთქმული შემცთარი აზრი, რა თქმა უნდა, სავსებით ეპატიება“.

აქვე ბარემ იმის თქმაც შეიძლება, რომ გვანჯი ჩიქოვანი თბილად, სიყვარულით იგონებს გადასახლების შემდეგ ქალაქ ირკუტსკში ყოფნის პერიოდს, როცა მან დიდი დახმარება გაუნია ჯანმრთელობაშეღახულ თედო სახოკიას, რომელსაც ირკუტსკიდან შორეულ, ცივ მხარეში გადასახლებულს უპირებდნენ. გვანჯი ჩიქოვანმა, მეგობრების ხელშეწყობით, სასახლო თანამშემამულე იხსნა ამკარა დაღუპვისაგან. ერთხანს ისინი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. მოყოლილია, თედო სახოკია – საუცხოო მთარგმნელი, ილიასა და აკაკის მოძღვრებაზე აღზრდილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ეთნოგრაფი – უცხოეთშიც როგორც ზრუნავდა ქართული ენის სინმინებზე. ეს ადგილი არის ჭეშმარიტად მშენიერი და უცნობი ფურცელი სპეტაკი მამულში-

ლის, თედო სახოკიას მოწამებრივი ცხოვრებისა.

ბოროზდინის წიგნში თავმოყრილია მრავალი საყურადღებო ცნობა, კავკასიისა და კერძოდ, საქართველოში რუსთა მმართველობას რომ შეეხება; ცოცხლადაა დახასიათებული ჩვენს მიწაზე მომსახურე არაერთი დიდი ჩინოსანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეფის ნაცვალის მიხეილ კორონცოვის მოღვაწეობას. კორონცოვის გამჭრიახობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი რუს მოხელეებს ავალზედა ადგილობრივ მცხოვრებთა ენა შეესწავლათ და მოსახლეობას დაახლოებოდნენ. ბოროზდინს ნარმოქნილი აქვს მეფის ნაცვლის კონკრეტული საქმიანობა, რაც მისი პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. აქ ზოგი რამ შეიძლება ამოგვეჩერა ბოროზდინის მოგონებებიდან: მაგრამ უკვლავ საყურადღებო, ალბათ, მაინც ეს ადგილია:

„კორონცოვი უუადიდეს სტრატეგიულ მუშაობას ანარმოვებდა, ეს მუშაობა უუადიდესი იყო როგორც განზრახვით, ისე თავისი წერილმანებითაც, და სწორედ ასეთმა მისმა პროგრამამ შეგვადლებინა კავკასია საესებით დაგვეპყრო“.

თავის წიგნში ბოროზდინი არაერთგან საგანგებოდ ლაპარაკობს ალექსანდრე გაგარინზე და აღნიშნავს, რომ იგი იყო „კორონცოვის ერთი უსაყვარლესი და საუკეთესო მოწაფეთაგანი“.

მარტოოდენ დასახელება იმისა, რა და რა ხეზილი შემოიტანა გაგარინმა ქუთაისის გუბერნიამში (მათ შორის, დღესდღეობით, ასე გავრცელებული იზაბელის ფიშის ყურძენი), რომდენი კარგი შენობა ააგო თვით ქალაქში, იკმარებდა ამ კაცის საშუააშო ღვაწლის გახსენებლად, მაგრამ იქვეა ნათქვამი, რომ გაგარინი იყო ზედმეტად მოძრავი, ფიცხი, სწევოდა გაცხარება, ყვირილი და სწორედ ეს გახდა საბაბი მისი დაღუპვისა.

ქართულ არისტოკრატიათან გაგარინის სიახლოვე განაპირობა იმანაც, რომ ცოლად აყავდა დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის (რუსულ წყაროებში მას რატომღაც დაეითად იხსენიებენ) ასული ანასტასია. გაგარინი ამავე დროს ჭეისლი იყო მეფის ნაცვალისა და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, შამილის დამატყვევებლის, ალექსანდრე ბარიატინსკისა, რომელმაც ცოლად შეირთო (თავის ადიუტანტს, პოლკოვნიკ დაეიდოვ-გრამონს ნაპეგარა) დიმიტრი ორბელიანის მეორე ქალიშვილი, სილამაზით განთქმული ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი.

გვანჯი ჩიქოვანი რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილეა. იგი მომსწრეა იმ სამარცხუნო

დამარცხებებისა, რუსეთის უსისტემო, მოუქნელი, თავმოზებული ექვემდებარებული ზედმედ რომ განიცდებდა მარცხებზე. ხავს ბრძოლის ველზე შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი კუროპატკინი და გვიყვება ძალზე სახაცილო აშბავს იმაზე, თუ მათმა ერთმა უცნაურმა, მოთაღლითო რაზმელმა სამხედრო იზნელმა, ვითომდა სასტიკ შეტაკებებში რამდენჯერმე მძიმედ დაჭრილმა, როგორ დააჯილდოვებინა თავი ჩამოვლავზე მოსულ მთავარსარდალს. ამავე ნაკვეთშია ნახსენები გრაფი ვიტე, რომელმაც იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად გაიგზავნა.

რუსეთის მმართველი წრეები და მისი ევროპული მოკავშირეები ძალე დარწმუნდნენ, რომ რუსეთს სასწრაფოდ უნდა დაედო ზავი იაპონიასთან, რადგან ვეებერთელა იმპერიას იმ ომში გამარჯვების არავითარი შანსი არა ჰქონდა და მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო გამანადგურებელი დამარცხებები. მოლაპარაკების მთავარი რწმუნებულად, როგორც ცნობილია, შეარჩიეს ადრე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნაშახური და შერე გადაყენებული სერგეი ვიტე, მეტად გონიერი და პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე. თვითონ ვიტეს დანერგებით აქვს აღწერილი, თუ როგორ მარჯვედ გაართვა თავი საქმოდ რთულ მისიას. ზავი 1905 წლის ივნისში დაიდო ამერიკის ქალაქ პორტსმუტში. რუსეთს ყოველნაირად უჭერდა მხარს პრეზიდენტი რუზველტი (დიდი როლი ითამაშა ამერიკის მოსახლეობის განწყობილებამაც) და, ძირითადად, ამან განაპირობა, რომ ზავი დაიდო დამარცხებული მხარისთვის, რუსეთისთვის, მომგებიანად – კონტრიბუციის გადახდისა და ტერიტორიების დათმობის გარეშე. გრაფ ვიტეს დიპლომატიურ არენაზე ამ დიდი წარმატების შემდეგ კვლავ ჩამოართვის დიდი თანამდებობა (იგი მეფეს დაურიდებლად, პირში ეუბნებოდა სიმართლეს და ესეც იყო მიზეზი, რომ ზედმეტად კორექტულ ნიკოლოზ მეორეს უჭირდა მასთან ახლო ურთიერთობა).

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაბადებულსა და აქვე გიმნაზიადამთავრებულ სერგეი ვიტეს (იგი ძალზე კარგად იცნობდა ქართულ გარემოს, ჩვენს ხალხსა და ჩვეულებს), თავის მემუარებზე მუშაობა, გვანჯი ჩიქოვანის დარად, მეშვიდე ათეულ წელში გადამდგარს დაუნყოფა. ამ დიდად საინტერესო მოგონებებიდან ჩვენ ზოგი რამის მოხმობა და დამონებვა დაგვიჩრდება.

სერგეი ვიტეს პიროვნებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თვით მისივე ნათ-



ქვემო: არც ლიბერალი გახლავართ და არც კონსერვატორი, მე უბრალოდ კულტურული ადამიანი ვარ. მე ადამიანს ციმბირში ვერ გადავასახლებ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემსავეთ არ აზროვნებს, ვერც სამოქალაქო უფლებებს ნაერთმევე მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იმავე ტაძარში არ აღაველენს ღმერთისადმი ლოცვას, სადაც მე ელოცვლობ”.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი პიროვნება მკაცრად აკრიტიკებს კავკასიაში მეფის რუსეთის ტლანქ, მოუზიმავე, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ქვბით იხსენიებს იმ შეფისნაცვალებსა და მთავარსარდლებს (მ. ვოროსიკოვი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, ა. ბარატიჩისკი, ა. დონდუკოვ-კორსაკოვი...), რომელთაც აქაურ მაცხოვრებელთა ზნე და ხასიათი კარგად იცოდნენ და ადგილობრივ მკვიდრებთან თბილი დამოკიდებულება უქონდათ, რუსებისაგან არ ანსხვავებდნენ. ამავე დროს ს. ვიტე ყოველად გაუმართლებლად მიიჩნევს თავად გოლიცინის ძალადობაზე დამყარებულ „ენრო ნაციონალიზმს“ ანუ შოეინიზმის პოლიტიკას, რამავე სათავე დაუდო კავკასიაში შემდგომი ათწლეულების არეულობასა და რუსთა მმართველობისადმი ადგილობრივ მკვიდრთა მტრულ დამოკიდებულებას. მოგონებებში ნინასწარმეტყველურადაა ნათქვამი, რომ ასეთი მცდარი, პოლიციური მეთოდები რუსეთს ზიანის მტკარაფერს მოუტანს. სამწუხაროდ, ამ ბოროტ, დამლუპველ ხაზს თავისებურად, გაუგონარი ცინიზმით აგრძელებენ რუსეთის ახლანდელი „დუმა“ და საგარეო საქმეთა სამინისტრო, რაც ამ ყოფილ ზესახელმწიფოს კარგს არაფერს უქადის.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაზრისი რუსი მოაზროვნე ნიკოლოზ ბერდიაევი ფილოსოფიურ-პოლიტიკური ესეეების კრებულში „რუსეთის ბედი“ (1918 წ.) ბევრს ფიქრობს რუსი ერის ფსიქოლოგიაზე, მის როლსა და ადგილზე მსოფლიო ისტორიაში და იმ დასკვნამდეც მიიღის, რომ „რუსულ სახელმწიფოებრიობაში დაფარულია ბნელი ირაქიონალური ხანისი და იგი თავდაყირა აყენებს პოლიტიკური რაციონალიზმის ყველა თეორიას, მას არავითარი რაციონალური ახსნა არ უზერდება“.

მეტისმეტად ძნელია, განსაზღვრო მოქმედება ისეთი ნყოობისა და სულისკვეთების ქვეყნისა, რომლის სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოებრივი გონიერება და საზრისი, არავინ იცის, იგი როდის რას მოიმოქმედებს.

თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნიგნში „არქიპელაგი გულაგი“ აღუქანდრე სოლჟენიცინი (თუკი იგი ნამდვილად გულნრფელი) სერს:

„ერთ თუ არა დიდი ერი, ეს არც ვივტერ-თელა ტერიტორიითა და მსხვერპლებით, ხების რაოდენობით, არაა მნიშვნელოვანი და დიდად თუნდა დაეამტკიცოთ“.

ჯერჯერობით, რამდენიმე საუკუნეა, სი-დიადის მაცნე ძალზე ცოტა რანს რუსეთის ქმედებაში და ალბათ დროა, ამ გიგანტურ სახელმწიფოში გამოჩნდნენ საღად მოაზროვნე, კეთილი ნების პოლიტიკოსები, რუსეთის სწორ მმართველებას რომ მისცემენ და თითო რუს ერს პატივისცემისა და ღირსებას მოუზღვევენ მსოფლიოში.

სამწუხაროდ, ჩვენი დიდი წრდილოელი მეზობელი ნაკლებად უფლებს ყურს თავის გამორჩეულ შვილთა ბრძნულ რჩევას და კვლავ განუხრელად ადგას იმ ძველთაგანვე ცნობილ თვალსაზრისს, რომ ზნეობისა და პოლიტიკის გზები სხვადასხვაა, გაყოფილია. ასეთმა მიდგომამ, თავის დროზე, არაერთი დიდი სახელმწიფოს იმპერიული, მტაცებლური მისწრაფებანი დააკმაყოფილა, მაგრამ ამჟამად, მეოცე საუკუნის დასასრულს, ცხადი ხდება, რომ მორალისა და პოლიტიკის გათიშვას სასიკეთო არაფერი მოაქვს.

გონიერი რუსი მოაზროვნეები კარგა ხანია იმ აზრისკენ იხრებიან, რომ სიმტკიცისა და ერთიანობისთვის დიდ იმპერიას ესაჭიროება კოსმოპოლიტიკური მიმართულება და არა ვინორ ნაციონალისტური, შოეინისტური, ფერვიანიკული, როგორც რუსეთს დღემდე აქვს. ამ პრობლემაზე მოგვიანებითაც ვიტყვით ზოგ რამეს.

მეოცე საუკუნის მონურულმა, ჩვენს მაგალითზე, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რუსეთის საკმაოდ გავლენიან, იმპერიულ ბნელ ძალათა მცდელობა იქნათკნაა მიწურული, რომ საქართველო და ქართველი ერი გაქრეს, პირნმინდად მოისპოს.

იგივე ნიკოლოზ ბერდიაევი, რომელსაც მომავლის განჭყერტის საკმაო უნარი უქონდა და მსოფლიო ისტორიის გამოცდილება-საც ითვალისწინებდა, გულახდილად წერდა:

„თუკი რუსეთმა სიყვარული არ დაიმსახურა, იგი მსოფლიოში დაკარგავს თავისი დიდი მდგომარეობის საფუძველებს. მისი იმპერიალიზმი შეუძლებელია აგრესიული იყოს“. შემამფოთებელი ამბავია, რომ დღევანდელი რუსეთის ცრუ პოლიტიკოსები, როგორც უკვე ვთქვით, ძალადობისა და აგრესიისაკენ არიან მიდრეკილნი.

სწორედ ამ ავადმყოფური, ბოდეითი დაფინების გამო წერდა თავის დროზე ალექსანდრე სოლჟენიცინი – მოთმინებით და გავებით უნდა მოეკიდოთ სურვილს იმ ხალხებისა, რომელთაც ჩვენთან ცხოვრება არ



უნდათ, თუ მათ არ დაეუთმეთ, ეს უგუნურობა და სიმბეჭე იქნებოდ. საბოლოოდ ეს ასედაც მოხდება და ისტორიის ჩარხიც ისე ბრუნავს, რომ ათორმდე წლის წინათ დანებებული სასიკეთო ძეგლები იმ ბოროტი ძალების ნება-სურვილზე უკვე აღარ არის დამოკიდებული.

გვანჯიჩიქოვანის მონათბრობიდან აქარად ჩანს, როგორ არ უნდოდა მას მეფის ჯარში უშუალოდ სამსახური. შორეულ აღმოსავლეთში ვიტიგენსტეინის (შემუარებში არაერთგან მოხსენიებულ ამ იშვიათ პიროვნებაზე ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება საუბარი) პარტიზანულ შენაერთში ყოფნა რეგულარულ არმიამი სამსახურად ვერ ჩაითვლება. მოგვიანებით, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ფრონტზე მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა, ახლობლებმა (მეფის კარზე ცნობილმა უჩა დადიანმა და სხვებმა) დიდი ხეცნა-მუდართი დაიყოლიეს გვანჯიჩიქოვანი, კავკასიელებისაგან შემდგარ „ველურ დივიზიამ“ ჩარიცხულიყო და ეომბა, სამგალითო მხედრული სიმაძაცე, მოსაზრებულობა გამოეჩინა და ჯილდოებიც მიეღო.

აქ უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ ვიქტორ რცხილადის მიერ 1994 წელს გამოცემული (მასალები მან მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნებიც მანვე დაურთო) მრავალმხრივ საინტერესო კრებული: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მყოფი მსოფლიო ომში“, რომლის უმთავრესი ღირსებაა საბჭოთა და ზეერვის მიერ მოტაცებული გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებები. ეს მოგონებები მრავალ ძვირფას, უნიკალურ ცნობას შეიცავს და იგი 1975 წელს, ძალზე საბიფათო დროს, მაგნიტოფონის ფირზე ჩაინერა თავად ვიქტორ რცხილადემ (ერთი კასეტა, სამწუბაროდ, დღემდე დაკარგულად ითვლება).

წიგნის შემდგენელი და გამომცემელი მრავალრიცხოვანი ფაქტების პირუთვნელად შესწავლის შემდეგ იძულებულია გულდასაწყვეტი, სავალალო დასკვნა გამოიტანოს: „ასეთი არის ისტორიის ირონია და ქართველი ზალხის ტრაგედია, რომ სხვის ომებში, სატანური იმპერიების დროშის ქვეშ საქართველოს შეიღებოთ თავს წირავდნენ და მათი ძელებით მოფენილია უკიდევანო რუსეთის, გერმანიის, ეგვიპტის, აელანეთისა და სხვა ქვეყნების მიწები“ (გვ.9).

„ქართველები სხვათა ომში“ – მრავალჯერ დამოუკიდებელი და მაინც დიდი, ამოურთავი თქვამა. ამაზე ტომები შეიძლება დაინეროს. ამ პრობლემას ჩვენ ვერ შევქვიდვ-

ბით, მაგრამ ზოგი რამის გახსენება მზინც მოგვიწევს. მამულუკებ შერჩეს მამულუკური ეთქვათ, შეიძლება დაეწმუნა მამულუკები საუკუნის ფრანგი მოგზაურის ფან ბატისტ ტავერნიეს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა სიმაძაცეს იჩენდნენ თურქეთში მყოფი ქართველები. მაგალითად, სულთანის კარის მცველი ორი ქართველი, შუალამისას, შეთქმულ, შეიარაღებულ თავდამხმელთა მრავალრიცხოვან რაზმს გაუშკლავდა, მოიგერია. მარტო სწორუპოვარი მეომრის, გაორებული, ტრაგიკული პიროვნების გიორგი სააკაძის ფიგურა რამდენ საფიქრალს აღძრავს დღემდე, რა ცხარე პაექრობათა საბაბს იძლევა. აქვე შეიძლება დავსახელოთ გენიალური ქართველი პოეტი, ლექსებთან ტყვეობის შემდეგ რუსეთში მოხვედრილი და ქართველ პუსართა პოლკში ნაშახური დაეით გურამიშვილი, რომელსაც ბედმა უპარავი სიმწარე არგუნა. სიმაძაცისა და მხედართმთავრული გენის ნამდვილი განსახიერება იყო პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც, აგრეთვე თავისი სამშობლოს გარეთ მოუხდა თავისი უბადლო გმირობის გამოვლენა. ერთერთ გენერალ ბაგრატიონს, „ველური დივიზიის“ მეთაურს, კარპატების კენ მიშავალი გვანჯიჩიქოვანი თავად გადაეყრება გალიციის საზღვარზე და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება. გენერალთან სადილზე მიმატიებულ გვანჯიჩიქოვანსა და ბაგრატიონს შორის უნდა იყოს საქართველოდან ჩატანილი ზეარქიკარას უნდა იყოს კეთილ მასპინძელს. ბაგრატიონს მოხიბლავს ახლადგაცნობილის საქციელი და გარეგნობა და, ძირითადად, მისი მონადინებით ხდება გვანჯიჩიქოვანის „ტუხემნაია“ ანუ „ველურ დივიზიის“ ჩარიცხვა. მოგონებებში მოხსენიებული არ არის ამ ბაგრატიონის სახელი, თუმცა გვანჯიჩიქოვანი ამბობს, რომ მის დანიშვნამდე ხსენებულ დივიზიას დიდი მთავარი მიხილ ალექსანდრეს მე მეთაურობდა. ეს უკეთილშობილესი პიროვნება 1918 წელს პერმში დაბერიტეს ბოლშევიკებმა.

მაგალითების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ამჟამად ჩვენი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ შემთხვევას გვინდა შევეხოთ და ნათელი მოეფინოთ ს. ვიტეს ზემოთ დასახელებულ მოგონებებში აღწერილ ერთ საარაკო გმირობას.

გრაფი ვიტე იხსენებს დედის მხრიდან თავისი ბიძის, დედად განათლებული პიროვნების, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილის როსტისლავ ფადეევის ნაამბობს, რუსეთის ჯარების მიერ ყარსის აღებას (1853 წელი) რომ უკავშირდება. აქ ნათქვამია ფადეევის გულითადი მეგობრის, ერთი ქართველი ოფიცრის,



ორბელიანის გახაოცარ სიმაძაქვეზე. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენიებულია მხოლოდ გვარი, რამდენიმე მინიშნება გვარსმუნებს — ეს ოფიცერი გახლათ ჩვენი გამორჩენილი პოეტო-რომანტიკოსი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ვახტანგ ორბელიანი. მოგონებებში აღნიშნულია, რომ მისი ნათესავი, ორბელიანის ქალი, კავკასიის მთავარმართებლის ფელდმარშალ ბარიკატინსკის ცოლი გახდა, ეს კი, როგორც ვიცით, ვახტანგ ორბელიანის ძმისშვილი, დიმიტრი ორბელიანის ასული ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი იყო. თვით ვიტყვ ნერს, რომ ამ ორბელიანს ემანუილობის ფაშს ხშირად ხუდადდა, რადგან მის ვაჟ ნიკოლოზთან ერთად სწავლობდა ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში. ნიკოლოზ ორბელიანი — პოეტ ვახტანგ ორბელიანის ვაჟი — პროფესიით იურისტი, მართლაც, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ამგლის ბილეთით გარიცხვის შემდეგ, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მფარველობით, გადაიყვანეს ოდესაში, სადაც ს. ვიტკისთან ერთად მოუხდა სწავლა თურქულ ფაულტეტზე. იმის აღნიშნავს უიძღვებოდა, რომ შემდგომში ნიკოლოზ ორბელიანის სიძე გახდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში მთავარი მაინც ვახტანგ ორბელიანის მხედრული თავდადებაა. ფაფევის მონათხრობის თანახმად, ვახტანგ ორბელიანს შეტევაზე წაუყვანია ჯარისკაცთა ერთი მწკრივი და მიუხედავად ტყვიების სეტყვისა, თურქების პოზიციამდე მიულწვია. ამ დროს გაოგნებულ და შეძრწუნებული ფაფევი ზედას დაუჯერებლად სურათს — ორბელიანის ზის ცხენზე და გარდიგარდმო იქნევს ხმალს, რათა ჯარისკაცებს გზა გაუკვალოს, მისი ცხენი კი თურქების ხიმტებზეა აცმული. ფაფევი ყვება: „... ორბელიანი თითქოს კვარცხლბეკზე იყო, იგი წარმოსაბადა თავისებურ ქანდაკებას, რომელიც იფაა არა კვარცხლბეკზე, არამედ თურქი ჯარისკაცების ხიმტებზე“.

ს. ვიტკისა და ბიძამისის განცვიფრებას ყველაზე მეტად ის იწვევს, რომ ამ სამხედრო ჩეხვისა და ჩაბა-ჩუნის შემდეგ ქართველი ოფიცერი, რომელსაც ცივი იარაღით მოყენებული რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა, სიკვდილს გადაურჩა.

სრულიად ბუნებრივია, როსტისლავ ფაფევი, ამ ამბის თვალთ მხილველს, ვახტანგ ორბელიანი ცოცხალ ქანდაკებად მოიხედავდა. ქანდაკება არ ვიცი, მაგრამ ვინმეს რომ დაესაბა ეს ბატალური სცენა, უთოვდ ძალზე მთამბეჭდავი სურათი გამოვიდოდა. აღნიშნული ეპიზოდი სხვანაირი შარავანდე-

დით მოსავს დიდებულ მამულიშვილსა და საქართველოს ბედზე ნიადგმუნებში უნაშინაუნაე პოეტს, რომელმაც ცხენსა ჩრქმს მტყმდე გენერლობა მიიღო, მაგრამ თავისი არწმანსაიდან გამომდინარე, რუსეთის მეფის მონაში სამსახურს თავი გაანება. სხვათა შორის, იმ ომში, ბაქარდიკლართან (გავიხსენოთ დემნა შენგელაიას ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა) დაიღუპა ასევე უმაძაქესი ქართველი ოფიცერი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა ილიკო ორბელიანი.

ვახტანგ ორბელიანის იშვიათ თავმდაბლობაზე, კეთილშობილებასა და რაინდულ ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ქალიშვილის, მარიამ ორბელიანის მოგონებებზე დართული მისივე მცირე ჩანაწერი:

„მამაჩემი სიმაძაქისათვის ბევრჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებით. მახსოვს ისიც, რომ მამაჩემს ოქროს ხმალი ჰქონდა. იგი არაერთარ ყურადღებას არ აქცევდა ჩონებსა და ორდენებს. არ უყვარდა დღესასწაულები. როცა მისი იურილეს გამართვა მოინდომეს, მან დიდი იური სთქვა“.

შეიძლება ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნეს, რომ ამ ნიადსელებს არაერთარი კავშირი არა აქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებთან, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის და ამას თანდათან დაეინახავთ. მაგალითად, მარიამ ორბელიანის მოგონებებში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ვაჟის, პოეტ გიორგი შერვაშიძის გვერდით (იგი ბარიკატინსკის ადიუტანტი იყო) ნახსენებია სილაშაზით განთქმული, მარიამზე ექვსი წლით უფროსი და სიმშვენიერთი მისი დამატყვევებელი პაშა (კარასკევა) დადიანი, დედა ალექსანდრე ვიტკენსტინისა, ვინაც პრინცესა სალომე დადიანის ვაჟ ნაპოლეონ მიურატთან ერთად ძალზე დიდი ამაგი დასდო ბედუკულმართობის გამო შორეულ აღმოსავლეთში მოხვედრე გვანჯი ჩიქოვანს.

წინამდებარე ნარკვევში შეძლებისდაგვარად გვინდა მიმოვიხილოთ საველადოდ გამჭრალი სოციალური გარემო, ალაგ-ალაგ წარმოვანიწოთ დასალუშად განწირულ არისტოკრატთა და ინტელუგენტთა ცალკეული ტიპები, ადამიანთა ის წრე, ვისთანაც ნათესაური კავშირი ან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გვანჯი ჩიქოვანს, თუმცა მოგონებათა მთხრობელი თავადაც გვაცნობს იმ დიდებულ ადამიანებს, რომელთა ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე თვითონ იყო. ძალზე ვრცელია მის მიერ მოყვლილ ეპიზოდთა არეალი, გეოგრაფია, სადაც მთხრობელი უხდება ყოფნა, ცხოვრება, ბრძოლა.

უპოქაზე, რომელსაც ზედაპირულად, გაკერით უნდა შეეხებით, აურაცხელი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული ცდის შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტური ხასიათის ნიგნს მოვიშველიებთ.

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, ძირითადად, მოთხრობილია რევოლუციამდელი, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციის პეროდიისა და სამოქალაქო ომის დროინდელი ამბები; იგი საგანგებოდ აღნიშნავს რუსეთის იმპერიის ისეთ საკვანძო და საბედისწერო მომენტს, როგორც იყო რასპუტინის მკვლელობა, ნახსენებია არაერთი მამინდელი ისტორიული პიროვნება. ამგვანად, ზედმეტი არ იქნება, აქ მოვიხმოთ რასპუტინის პირადი მდენის არონ სიმანოვიჩის მოგონებათა ძალზე მიმზიდველად, გონებაშაბეილურად დანერილი და მრავალი საინტერესო ფაქტის შემცველი ნიგნი რასპუტინი და ებრაელები, სადაც დაახლოებით იგივე ეპოქაა დახატული და ამასთანავე მრავლად არიან მოხსენიებული ქართველები, კონკრეტული პიროვნებანი. ქათ შორის, იმპერატორის კარზე დიდად გავლენიანი, ნიკოლოზის უსაყვარლესი ადამიანი, მეფის დაცვის უფროსი, ბრწყინვალედ აღზრდილი, სიმამაკით გამორჩეული თავადაუწა დადიანი, რომელთან ერთადაც გვანჯი ჩიქოვანს პირველ მსოფლიო ომში უხდებოდა ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე.

ისტორიულ თემებზე მომუშავე ზოგი თანამედროვე ავტორი არონ სიმანოვიჩის „მაკლერსა“ და „აფერისტს“ უწოდებს. ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. მსგავსი შეფასებები ძველი, სტანდარტული აზროვნების ნარჩენებია. ამჟამად ჩანს, ხსენებული ნიგნის ავტორი მარჯვე, მოხერხებული, გონიერი კაცი იყო. კიდეში მცხოვრები დაბელოვნებული ოქრომჭედელი დიდ ჩინოვნიკებს, გავლენიან პიროვნებებს, მათ ცოლებს იაფად, ხელსაყრელ ფასებში სთავაზობდა ძვირფას ნივთებს; ასე დაიმსახურა ამ ხალხის კეთილგანწყობა და მალე პეტერბურგის არისტოკრატიულ საზოგადოებაში, თვით სამეფო კარის კენ გაცივალა გზა, ყველასათვის მეტად საჭირო ადამიანი გახდა. ასეთი ნარჩენების მოპოვება ებრაელი კაცის მიერ მაშინდელ რუსეთში მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო. სიმანოვიჩს გახსნილი პქონდა კარტისა და სხვა აზარტულ თამაშობათა სახლები, სადაც თავს იყრიდნენ ფულიანი და გავლენიანი პიროვნებები. ამ დროს დაუბალოდა არონ სიმანოვიჩი მეფის ოჯახში დიდად მიღებულ გრიშა რასპუტინს. რასპუტინის გაუთავებელ ღრუობებსა და ორგეებს დიდძალი თანხა ესაჭი-

როებოდა, რასაც მომჭირნე დედოფალი ენნაალდეგებოდა და ესწრაფებოდა; სიმანოვიჩმა იტვირთა, სტანდარტული ებრაელ ვაჭრებს იყენებდა. სამაგიეროდ, სიმანოვიჩმა, ყოველად უანგაროდ, თავის მოძმეები არაერთ უბედურებასა და რბევას გადაარჩინა; იგი თავდაუზოგავად იბრძოდა ებრაელთა უფლებებისათვის და ამ მხრივ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. შემოსავალი და ფულის წყარო მას სხვაე საქმისა ქონდა, არ მალავს ისეთ შემთხვევებს, როცა რაიმე საქმის მოკვარახსენების მერე ვასამრჯელოს ბლომად იღებდა და რასპუტინსაც უზანიღებდა. თვითონ რასპუტინი მუდამ ემბარებოდა ღარიბ-ღატაკებს, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მისი კარი ყოველთვის ღია იყო მშვიდრთა და უპოვართათვის, იქ ყველას უმასპინძლდებოდნენ.

იმთავითვე ცნობილი იყო ნიკოლოზ მეორისა და, განსაკუთრებით, დედოფალ ალექსანდრას ლტოლვა სპირიტული სიხსნების, ოკულტის შიშისა და სხვადასხვა ჯურის „ინანსნარმეტყველების“ თუ „სანსაულმოქმედთადმი“. სწორედ ამის გამო, საეტყოდ გაიხსო საიმპერატორო კარი თვალთმაქციებითა და ნაირნაირი „ჭუდაკებით“. „ციმბირული მუჟიკი“, ეშმაკი, ტყვიანი, გაუნათლებელი, მაგრამ განსაკუთრებული შინაგანი ძალის მქონე რასპუტინი (იგი 1905 წელს გამოჩნდა ცარსკოე სელოში) სწორედ ამ ტალღას მოჰყვა და მტკიცედაც დაიმკვიდრა ადგილი სასახლეში, სანამ შეთქმულებას მოუწყობდნენ და მოკლავდნენ. რასპუტინის სულიერ მოძღვრად დაყენება და შეუცვლელობა იმანად განაიბრობა, რომ იგი შედარებით გვიან გაჩნდა და შემოფილნი და ავადებულ უფლისწულს, ტახტის მემკვიდრეს, ეფექტურად მკურნალობდა, ხშირ სისხლისდენას უჩერებდა, რის გამოც დედოფალს მფარველად, წმინდანად მიაჩნდა და თითქმის ყველა მის სურვილს ასრულებინებდა უხეზბისყოფო მეუღლეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ — უბრალო წარმოშობის, მაგრამ ნიჭიერი, მოქნილმა და აღლიანმა ებრაელმა კაცმა არონ სიმანოვიჩმა მკვეთრად გამოხატული ანტისემიტის ნაშის პირობებში შესწლო სამეფო კარს დახმარებოდა და მძლავრი ზემოქმედება მოუხდინა სახელმწიფოებრივი საქმეების მდინარებაზე. იყო ისეთი პერიოდიც, როცა ყოველი მინისტრის დანიშვნასა თუ გადაყენებას ყოველს შემდეგ რასპუტინი მას უთანხმებდა. ზედმეტად რომ არ გათამამებულიყო და სიმანოვიჩის ნებას დაჰყოლოდა, რასპუტინი ასე იოლად არ გახდებოდა თავად ფელიქს იუსიპოვისა და სხვა შეთქმულთა მსხვერპლი. ეს კი უნიანსარმეტყველა

„მინდამა ეშმაკმა“ მეფის ოჯახს – მე თუ დიდგვაროვანთა შეთქმულებას შეეწირე, თქვენც მალე დაგვოცავენ, ჩემს სიკვდილს ტახტის დაკარგვა და რომანოვთა დინასტიის დაღუპვა მოაყვებათ.

საკმაოდ ზუსტად, მოუკერძოებლად ახასიათებს სიმანოვიჩი რუსეთის ბოლო იმპერატორის ნინაალმდებლობრივ, ორჭოფულ პიროვნებას. ჩვენ უნდა ვერწმუნოთ მას, რომ ნიკოლოზ მეორე პიროვნულად არაერთაირი „სისხლიანი“ და ტირანი არ ყოფილა. პირიქით, ზედმეტ ლიბერალობას იჩენდა, როგორც მონარქი, მეტისმეტად რბილი იყო, მძლავრ გაელენიამი აყავდა მოქცეული დედოფალს, რაც დიდგვაროვან რუს პატრიოტებს აღიზიანებდა. თვით სტალინს უთქვამს ადრევე, ჩვენი ხელმწიფე ზუსტიაო. სუსტი და უნათლო რომ არ ყოფილიყო, ისა და მისი ამფოსონები ამდენჯერ და თანაც ასე დაუბრკოლებლად ვერ გამოიქცეოდნენ შორეული გადასახლებებიდან.

ამავე დროს მემუარების ავტორი ნიკოლოზს მეტისმეტად უნდა, გადაუნყვეტელ, ეჭვიან კაცად წარმოხაზავს. იმონებებს კიდევაც ხელმწიფის ნათქვამს – ადამიანს მხოლოდ ორ წლამდე შეიძლება ენდო, სამისა იგი უკვე მოტყუებას იწყებსო.

მეფის ჩინოვნიკები გუბერნიებად დაყოფილ ჩვენს სამშობლოში თუმცაღა დიდ-მპყრობელურ, საძრახ პოლიტიკას ახორციელებდნენ, მაგრამ თავად ნიკოლოზ მეორეს ქართველების მიმართ საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა, რაზედაც სამეფო კარზე ქართველთა დიდი სიმრავლე მეტყველებდა. ამის გამოც მოგვიწევს ზოგი რამის თქმა.

სიმანოვიჩი წერს, რომ ნიკოლოზ მეორეს ძველი სამეფო კარის, დედისა და ნათესავეების შეთქმულებისა ემინოდა და თავის დაცვაში, უპირატესად, ქართველებსა და თათრებს იღებდა. პირადად მას კავკასიელი თავადები იცავდნენ და მათ სიახლოვეს თავს მხნედ ვრძნობდა, ბუნებით ეჭვიანი, მათი ერთგულებისა სწამდა.

იმპერატორი რომ ასე ენდობოდა ქართველებს, ამის დასტურად მეგვიძლია კიდევ ერთი ცნობა მოვიხმოთ. ლიტვური წარმომავლობის ბრწყინვალე რუსი მხატვარი მსტრისლავ დობუჟინსკი (1875-1957) მოგონებათა შესანიშნავ ნივთში გასაოცარი ფერადოვნებით აღწერს თავის ბავშვობისდროინდელ, მეცხრამეტე საუკუნის მინორულის პეტერბურგს, ნევის პროსპექტს, სადაც მრავლად იროდნენ ნაირნაირ ფორმებში გამოწყობილი სამხედროები. ერთხელ, სიჭაბუკის ფაშს, მას დაუნახავს აქ მომავალი ნამდვილი რაინდი, რომელსაც ჯაჭვის პერანგი

სიციმა და წელზე კაპარტი მქონის ჩამოკიდებული. მოგონებათა ავტორს სწავნიან, რომ მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მხოლოდ ფის მცველთა რაზმი, კავკასიელთა ასეული, რომელთაც უძველესი ხევისურული თორაბჯარი ეცვათ. უეჭველია, ეს რაზმი ქართველებისგან იქნებოდა შედგენილი. ისიც საგულისხმოა, რომ დობუჟინსკისაც, გვანჯი ჩიქოვანის დარად, სამოც წელს გადაცილებულს დაუნყია თავის მოგონებათა წერა და ისიც, დაახლოებით, იმავე ეპოქას ასახავს.

ყველაზე უხვ მასალას, ამ მხრივ, ისევ სიმანოვიჩის ჩანაწერები გვანდის. არონ სიმანოვიჩი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფის პირად დაცვაში მომსახურე მშენებელს, თავად ვიტგენმეტურების (ერთი მათგანი, ალექსანდრე, როგორც უთქვით, სმირად იხსენიება გვანჯი ჩიქოვანის მონათბრობში) გაცნობას. მათი მემკვიდრეობით დაუახლოვდა დედოფლის უაღრესად გაელენიან სეფეცალს, ნიკოლოზ მეორის ყოფილ საფარულს კენილა ორბელიანს, რომლის მიმართ დედოფალი ალექსანდრა განსაკუთრებულად გულმონხველ იყო. მათი მეოხებითვე გაიქონო მეფის პირადი დაცვის თავკაცი უჩა დადიანი და ალექ ამილახვარი, დაცვის თითქმის მთელი ოფიცრობა. უჩა დადიანმა იმავე ხანებში სიმანოვიჩი დააახლოვა ასევე დედ გაელენიან კენიას სოფიო თარხნიშვილთან, რომლის სიძემ, თავადმა გელოვანმა რევოლუციის შემდეგ დაპატიმრებულ სიმანოვიჩს მეგობრული მფარველობა გაუწია, სატუსალოდან იხსნა, სიცოცხლე შეუნარჩუნა. საქმეში ეკრესიკიც იყო ჩარეული.

სოფიო თარხნიშვილის სიძე უნდა იყოს სახელმწიფო სათათბიროს წევრი, დიდებული პიროვნება, მცირე ერების ინტერესთა თავგამოდებული ქომაგი კუჭიკო გელოვანი, დიდი სითბოთი და სიყვარულით მოხსენიებული გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, კაცი, ვინაც თავისი დაღუპული ბიძის, კონია მერვაშიძის ცხედრის ნასასვენებლად პეტერბურგიდან შორეულ ფრონტზე წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი სახადით დაიღუპა ყარსში. გარდაცვლილის დიდი პატივით დაკრძალეს თბილისის ჩამოსული გვანჯი ჩიქოვანიც დასრუბით:

აღსანიშნავია, რომ სიმანოვიჩის ზოგჯერ ემლება მის მიერ ნახსენებ თუ დახასიათებულ ადამიანთა ეროვნება – დადიანსა და ამილახვარს, იგი „კავკასიელ თავადებს“ უწოდებს, მეფის კარზე საკმაოდ მიღებულ თავადს, მიზეზი ანდრონიკოვს, ავანტიურისტს, გერმანიის შპოინად შერაცხილი, იგი სომეხად თვლის მაშინ, როცა იქვე ჩამოთვლის მის ნათესავეებს – კენილა ორბელიანს,



თავად შერვაშიძეს, დუმბაძეს და სხვებს. რასპუტინის ერთ-ერთი სახიობო იყო ოფიცერი სიმონ ფხაკაძე (მას კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპადაც მიიჩნევენ), რომელსაც სიმანოვიჩი აგრეთვე სომეხად ნათლავს. ეს ქორწინება არ მოხდა, ვინაიდან რასპუტინმა თავისი პიპონოზური ძალით იგრძნო, ფხაკაძეს იგი უნდა მოეკლა. გაოგნებულმა, საქციელწამხდარმა სასიძომ თვითონვე დაიჭრა თავი, ხოლო მერე მეფის ოჯახის უახლოესი ადამიანის ანა ვირუბოვას შემწეობით დედოფალთან შეხვედრა მოახერხა, ცოფეა მოინანიდა და შეწყალებულ იქნა. ამ ინციდენტის დროს სიმონ ფხაკაძეს ახლდნენ ძმები — ნესტორ და სამა ერისთავები. (გენერალი შალვა შალვაკელიძე ზემოთ ნახსენებ თავის მოგონებებში ზოგიერთ ცნობას გვანდის სამა (ალექსანდრე) ერისთავზე, მაგრამ ეშლება, როცა მერი შერვაშიძის ქმრად ასახელებს მის ერთ-ერთ ძმას, მიტუმას. ცნობილია, რომ მერი შერვაშიძის მუუღვე იყო გიგუშა ერისთავი. სხვა მხრივ, გენერალ შალვაკელიძის ცნობები სანდო ჩანს: „სამა, ალექსანდრე ერისთავი იყო მეფის ამალის გენერალი, ქართლიდან ცხრაასხუთ წელს ნასულა რუსეთში მისი ოჯახი. სამა ერთ-ერთი შვილი იყო, ნახევრად გარუსებული, ცოლიც რუსი პეკადია, შვილი არ მყავდა. დენიკინის არმიამ იყო, მისი ახლობელი კაცი იყო და ცხოვრობდა პარიზში. მისი ძმა მიტუმაც გენერალი იყო, ცნობილი, უღამახუესი ქალის, მერი შერვაშიძის მუუღვე. ნიკოლოზ მეორემ უთხრა მერი შერვაშიძეს: „ეი, კნიაგინია, გრემიტე პერედ პრიორადო“ — ბუნებასაც არ შეუქმნია ასეთი სილამაზეო. ალექსანდრე იყო მეფის საარტილერიო პოლკის უფროსი.“ (გვ. 145)) ისინი ხშირად ესწრებოდნენ რასპუტინის ღრეობებს და გვანჯი ჩიჭოვანს კიდევაც აქვს აღნიშნული, რომ რასპუტინის მოკვლის შემდეგ ორივენი დააპატიმრეს, ალბათ, როგორც ეჭვმიტანილები.

ერთგან არონ სიმანოვიჩს აღწერილი აქვს სახელგანთქმული რუმინელი მჭვილიანის გულუკისკის მიერ გამართული სადღი და ჩამოთვლილია ამ სადღიზე მიწვეული სტუმრები: „კავკასიელი თავიად ნიკოლოზ ნიგარაძე (ეს უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა მარშალი კოლია ნიგარაძე, რომელიც გვანჯი ჩიჭოვანმა არკუტსკში გაიციხო, ფრონტზე მოხალისედ ნასული), მეფის კამერგერი ივანე ნაკაშიძე, ნითელი ჯურის მთავარი სამმართველოს ნეკრი უჩა დადიანი, მეფის ფლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ერისთავი (სწორედ იგი დააპატიმრეს რასპუტინის საქმეზე, თავის ძმასთან, ნესტორთან ერთად), ქუთაისის გენერალ-

გუბერნატორი და ცნობილი სულელების მავა თავიადი ორბელიანი...“ (ქართულ-რუსული სიმანოვიჩისთვის წერილები, ს. ნონიძე იყო). იქედან თანამეინახეზი გრაფინია ზარნიკაუს სახლში გადასულან და ნამდვილი ქართული ქეიფი გაუჩაღებიათ. ამ დროს გრაფინიას სახლს სახახლის ავტომობილით მისდგომია მეფის ფაფორიტი ალექსანდრევიჩი და მათთვის გადაუცია ზელმნიფის მინევეა და ყველანი ცარსკოე სელოში გაშურებულან.

არონ სიმანოვიჩი გრაფინია ზარნიკაუს კი ახსენებს, მაგრამ მის ვინაობაზე არაფერს ამბობს. ამ მხრივ, თავის მოგონებებში, საყვარადღებო ცნობებს გვანჯის სურგვი ვიტე. მას ვიქემი გაუცნია გრაფინიას მეუღლეს კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი, დროსტარების მოყვარული ფრიად მზიარული კაცი. გაუთავებელი ლოთიობის, ფულების ფლანგვის და აზარტული თამაშების გამო იგი პეტერბურგიდან კავკასიაში იყო გადასახლებული, ქუთაისში შოლის მეთაურად დაენიშნათ და ახლა ვიქემი დასთან იყო ჩამოსული. ქუთაისში მას შეყვარებია იქაური ოფიცრის ცოლი. ის ქალი, აგრანფინა იოსელიანი, ქმარს (ტარიელ დადიანს) გაყრია და ამ კონსტანტინე ოლდენბურგელის მუუღვე გამხდარა, რის შემდეგაც მიუღია საგრაფო ტიტული და გრაფინია ზარნიკაუდ ინოდებოდა. ვიტე მას აქებს, როგორც გონიერსა და სასიამოვნო გარეგნობის ქალს, პეტერბურგის მაცხოვრებელს, მაგრამ იქვე დასძენს, კულტურა აკლდა, ფრანგული ლამარაკი უჭირდაო. ვიტე აგრანფინა იოსელიანსა და ტარიელ დადიანს გვარ-სახელებით არ მოიხსენიებს, მაგრამ მათი ოჯახური ამბავი თავის დროზე დიდად ყოფილა გახმაურებული და ძველ ქუთაისში თურმე ზალხურ ყაიდაზე განყობილი სახუმარო ლექსიც იმღერებოდა:

აგრანფინა კისკისა,

ტარიელმა პრინცს მისცა?!

ვიტე აღნიშნავს, რომ რუსი ოლდენბურგელები იმპერატორის, ეკატერინეს ფსიქიურად დაავადებული ვაჟის პავლე პირველის შთამომავლები იყვნენ და თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლებს ეტყობოდათ გადახრა, არანორმალურობა, რაღაც უცნაურობა. კონსტანტინე ოლდენბურგელმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ მიატოვა ლოთობა, მუდამ ვალეებში იყო. თავის სისხლით ნათესავე, გულმონყალე ნიკოლოზ მეორესაც სძალავდა ფულს და ბოლოს ნიცამი გარდაცვლიდა.

აღსანიშნავია, რომ გადასახლებიდან გამოპარული და საქართველოში მცირე ხნით, ნამალევადა ჩამოსული გვანჯი ჩიჭოვანი

სულ პირველად გაგრაში მის მაშინდელ მფლობელს ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელს ეწვია, კონსტანტინეს ძმას. ცხადია, გვანჯის მიხედვითა და მის ოჯახში. კონსტანტინესაგან განსხვავებით, ალექსანდრე ოლდენბურგელი ქვიზიანი ორგანიზატორი, უნარიანი, დიდი ქონების პატრონი, მაგრამ მომჭირნე კაცი ყოფილა. ვიტე ოხუნჯობს, ქველმოქმედებას ეწეოდა, მაგრამ ამას სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე აკეთებდა. ნიადაგ ვალებში ჩამხრეული და ნაგებაში მყოფი გალოთებული ძმა მასაც ხშირად თხოვდა ფულს, მაგრამ უნდა ეიფიქროს, იგი იმპერატორივით გულუხვობას არ გამოიჩენდა გრაფინია ზარნიკაუს მეუღლის მიმართ.

იმპერატორმა იცოდა თავისი პირადი დაცვის, ქართველი ოფიცრების სათაქლო მიდრეკილებები (აზარტული თამაშობანი, გაუთავებელი ღრუბები). მაგრამ სამაგალითო ერთგულების გამო ყველაზე მეტად მაინც მათ ენდობოდა. მეფე ხშირად იხდიდა თურმე ქართველების მიერ კარტში ნაგებულ ფულს. აქვე მოთხოვნილია ის ანგედოტური შემთხვევაც, უჩა დადიანმა ნაგების შემდეგ საკუთარი ეპოლეტები რომ დააგირავა და ამის თაობაზე ხელმწიფეს გაეზდო, ვალის დაფარვა სთხოვა. ნიკოლოზი, ჩაღს, ქართველების ასეთი საქციელის გამო გულისწყრომას არ გამოსთქვამდა, ითმენდა.

როცა თებერლის რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ მეორეს გადადგომა მოსთხოვეს და ტახტზე უარი ათქმევინეს (ეს გააკეთეს გენერალმა რუსკიმ, სათათბიროს დეპუტატებმა შულგინმა და გუქოვმა), სიმანოვიჩი მართებულად შენიშნავს, მათადა ბედად, იქ არ იყო მეფის პირადი დაცვა (იგი ქართველ ოფიცრებს გულისხმობდა), თორემ კაცმა არ იცის, როგორ ნავიდოდა საქმე, ვერცერთი მათგანი ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო.

ჩემს თაობას, ჩემზე უფროებხაც კარგად ახსოვთ არისტოკრატიული ნარმოშობის მსუქანი, ტანდაბალი მოხუცი (იგი კინოსტუდიაში შემოიხიდა), სიძველეთა საუკეთესო მცოდნე, კოლექციონერი და შეხანიშნავი მთარგმნელი, აკაკის ნათესავი, ბატონი პაპუნა წერეთელი, რომელიც საიმოვნებით გვიყვებოდა ხოლმე გარდასულ დროთა ამბებს. იცოდა ბევრი რამ, რაც ხდებოდა რუსეთის ხელმწიფის კარზე. იგონებდა თავის აბლობელთა, თვალთ მზილველთა მონაყოლს, როგორ სადავდ, უბრალოდ ეცვათ რიდიტა და ზრდილობით აღსალეს იმპერატორის შეილებს, ხალხისგან მალულად (ამას შემდგომშიაც მალავდნენ), ლე-

ნინისა და სეკრდლოვის ვერაგული მითითებით ეკატერინბურგში, „იპეტკინს შაჰტის“ სარდაფში ჩაყრილები. ~~ქველმოქმედება~~ ოჯახის წევრებთან ერთად, ასე უმოწყალოდ რომ ჩახოცეს 1918 წლის 17 ივლისს. დღეს მთელ მხოვლითს მიამნია, რომ ბოლო შევიკთა მიერ ჩადენილი უთვალავი სისხლიანი დანაშაულიდან ეს მკვლელობა ყველას აღემატება. ბატონი პაპუნა იმასაც გვეტყოდა, რა მრავლად ტრიალებდნენ მეფის სასახლეში ქართველი თავადმოკლები, ქართული სისხლის მჭოფე ულამაზესი ფრულინები, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ბევრ რუს არისტოკრატს დედა ქართველი ჰყავდა (აგრეთვე დიდგვაროვანი), უძველეს ქართულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილები და ხასიათი, რაინდული ქცევა, მანერები, თვით შესახედობაც ქართული ჰქონდათ. ამის საუცხოო მაგალითად ბატონმა პაპუნამ დაასახელა უჩვეულოდ ლამაზი პაპა დადიანის ბრწყინვალე ვაჟი, გვარად ვიტგენშტინი (გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მისი სახელი ნახსენებია არაა და პირველად ჩვენმა დიდებულმა ქალბატონმა, საუკუნეს მიტანებულმა ბაბო დადიანმა მითხრა, რომ ალექსანდრე ერქვა), იმპერატორის ნათესავი, რომელმაც მატარებელში ქალთან გამოჩენილი უტაქტობის გამო, დულში გამოიწვია იმ ქალის თანხლები გენერალი და კოდევაი შეაკვდა. გენერალმა მასთან ერთად ლამედათულ, ვაგონის ფანჯარასთან მიმდგარ ქალს, საყვარელს, ხუმრობა-ხუმრობაში „უადგილო ადგილას“ ხელი ჩამოკრა. აკის კისებულ ქალს სახე შეეცვალა, თანაგრძობისათვის ვიტგენშტინის შეხედა და კუპეში შევარდა. ვიტგენშტინმა უცხო, თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მის თვალწინ დამცირება პირად შეურაცხყოფად ჩათვალა, დაიფინა დუელი და სასიკუდილოდ დაიჭრა. აქ შეიძლება უნებურად გავგახსენდეს მოპუნპაუერის ერთი სექპტიკური გამოთქვამი: „რაინდული ღირსება ამპარტანობამ და უგრდებამ ნარმოშვა“, მაგრამ ჩვენებური სულისკვეთებით გავზრდილი ვაჟაკი, ეტყობა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ხანამ სული ამოხდებოდა, მომაკვდავი ნიკოლოზ მეორეს აბლობლურ ბართს ნერდა, რომ ყველაფერი ნესების დაცვით მოხდა და გენერალი (მას მხოლოდ ქუდი გაუზერტა სიმნრისგან ჩაოქილი ვიტგენშტინის საპასუხო ტყვიამ) არ დასჯილიყო. ამ საუბარს ჩემთან და რამდენიმე კაცთან ერთად ჩვენი ძვირფასი რევაზ იხანაშვილი უსმენდა. მოგვიანებით მან დანერა უბრწყინვალესი ნოველა „ფრთხვებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“ რეზოს ეპიგრაფად მოაქცეს ბროკაუზისა და ეფრონის



ენციკლოპედიის ცნობა, რომ ვიტგენშტეინები იმავნად გაქრობის პირას მისული რუსი თავადები არიან. სინამდვილეში ეს არის ავსტრიული ნარმომავლობის უძველესი არისტოკრატიული გვარი. ნოველის ავტორი, გარდა იმისა, რომ დიდებულ, დაუდინყარ პორტრეტს ხატავს, გმირის შინაგან სამყაროში ჩანდომის იშვიათ უნარსაც ავლენს. დასაღუპავად განწირულ ვიტგენშტეინს როცა იღივლები შეუდგებიან და სადგურის მოსაცდელში შეიყვანენ, როგორც თქვა, იგი იმპერატორის სახელზე ბარათის დასაწერად საწერ-კალამს ითხოვს. აქ საყურადღებოა ერთი თითქოსდა უზრალო, მაგრამ განსაცვიფრებელი დეტალი, რისი დანახვა და გადმოცემაც მხოლოდ ნიჭიერი ოსტატის თვალს შეეძლო: „შინდისფერ ჩოხაზე თითქმის არ ეტყობოდა სისხლი“. იმის ნარმოსადაგუნად, თუ რაოდენ ძლიერი, მომხიბლავი ნაწარმოები შექმნა ჩვენმა მარად დაუდინყარმა მწერალმა და მეგობარმა, ამ ნოველის ერთი გვერდი მაინც უნდა ამოვიწეროთ:

„თავად ვიტგენშტეინი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი მთამომავლის პაპა დადიანის ვაჟიშვილი თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა მატარებლით. ამ ჯერაც ისევ ახალგაზრდა კაცს, ლეიბგვარდიის პოლკოვნიკს, ბავშვობა დედულეთში ჰქონდა გატარებული, მოსწავლეობის წლებშიც, არდადეგებზე, ჩამოდიოდა ხოლმე სამეგრელოში. იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც. აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები. მათთან, ნათესავებთან თავი ისე ეტყრა, როგორც ზრდილ მეგრულ ყმანვილს შემფერის (გამოცდილი თვალის მაინც შეამჩნევდა გვრმანულ შედანიტიზმს), განაფული იყო ნახევრად ევლური ჯოგის ცხენების ჭენებაში. ცხენიდან სროლამი, ტახებზე ნადირობაში. იცვამდა ჩოხას, ქართულ უძირო ნაღებს, იხურავდა მეგრულ ფაფანასაც კი.“

ახლაც, მატარებელში, ასე ეცვა – მნიფე შინდისფერი, თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა, პირისფერი ახალუხი, მუხლქვემოთ სადა ლეკვრთხებმემოჭერილი უძიროები. ეკიდა სპილოს ძელის ტარიანი ხანჯალი. შესაშურად აღნაგვი, წელში ლარივით აჭიმული, თავისი სხეულის საამოდ მფლობელი, ან წიგნს კითხულობდა კუპეში, ან არაფა ეაგონის ფანჯარასთან მდგარი, ხელბუკანდანყოზილი, მშვიდად გაიყურებოდა გარეთ. თვალს მოგტაცებდათ მისი მალალი კისერი, კავასიური პატარა, მკერივი კეფა, ზემოთ ნასული ნარბები, ოდნავ ეკხიანი, თხელი ცხერი და თხელივე ტუჩები. ხამრეთულად

შემოკიდებულს, მაინც შერჩენოდა ჩრდილოეთური მოკეითალო სიფითრე. იშვიათად, რომ ვინმეით დანატყრეს მისი სხეულობა სახეზე, თუმცა ვერც მისი მტკიცებით ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ვინმე. ძალდაუტანებელი თავაზიანობით გაატარებდა ხოლმე ეაგონში განივლებს. მკერძი-ლილიმით უსმენდა გამოლაპარაკების მსურველი, მორჩილად ხრიდა თავს, მოუგებდა უმთავრესად შეკითხვებზე და თუ გრძობდა, რაღაც არ ხედებოდა ისე, როგორც ამას ნესი და რიგი მოითხოვდა, ოდნავ გვერდზე გადააქონდა მხერბ.“

ასე დაეტოვოთ იგი – ცოცხალი, თავადურად ამაყი, მშვენიერი. აი, ამ ჯიშისანი რაინდის ელეგანტურ მიზურა-მოხერას ვხედავთ, მის კეთილშობილურ ხმას ვისმენთ გენჯვი ჩიქოვანის მოგონებებში (გენჯვიც არ ახსენებს მის დალუპვას) და უფრო ამიტომაც დაეაკვირდით მის განუყოფელ პიროვნებას, მისი ფოტოსურათიც ამის გამო მოვიძიეთ. ალექსანდრე ვიტგენშტეინის უნიკალური ფოტო, მის ბიძაშვილთან წინო დადიანთან, დალუპვამდე აღბათ ცოტახნით ადრე გადაღებული, მოგვანოდა ქალბატონმა საშურა შენგელიამ, რომელმაც აღმოაფრული გაგრიდან (მისი მამაპაპეული სახლი აფსუა კაციქამიგებმა და მათი მზარის ამბებულმა ევლურმა ბანდებმა დანვეს) მხოლოდ საოჯახო ალბომის ნამოლება მოასწრო.

რუსეთი-აპონიის ომის დროს გენჯვი ჩიქოვანი სწორედ ალექსანდრე ვიტგენშტეინის პარტიზანულ შენარტომი ირიცხებოდა, რაც ადრე უკვე აღვნიშნეთ. მანამდეც და მერეც ბევრი რამ გადაახდა თავს. ამ ამბებში ზოგი ძალზე დაძაბული, დრამატულია, ზოგიც – უფადრებით უზრალო, ჩვეულებრივი. ერთი შედარებით უზრალო, ჩვეულებრივად აღნიშვნის ღირსია.

მონღოლეთში, უდაბურ ადგილას, ცხენების შესაძენად და ჩამოსაყვანად ნასული გენჯვი და მისი ამხანაგები უეცრად გაიგონებენ ნალექიან მეგრულ სიძღვრას „პოუ ნანას“, რომელსაც თეთრწვერა, ადრე კაცის შემოკედომის გამო კატორღაში გაგზავნილი და სახალისიდან გამოქცეული, შემდეგ კი მონღოლ თავად განთიშიროვთან მოჯამაგირედ დამდგარი, მოხუცი მეგრული მწყემსი, ფვანია მღერის. ადვილი ნარმოსადგენია, როგორ გაოჯადებოდნენ ამის გამოგონენი და მხილველნი.

ზღაპრულ, დაუჯერებელ ამბავს გაესთვით ფვანის პატრონთან, განთიშიროვთან სტუმრობა და იქ გაგონილი. ოჯახის უფროსი, უცხო სტუმრების პატივსაცემად, მონღოლეთში ამ დროს კეიცს დაკლავს

ხოლოვე, მაგრამ რაბან განთიმიროვმა მოსულთა ქართველობა შეიტყო, ცხერები დააკლევინა, გრძელ მაგიდაზე სარდაფიდან ამოტანილი შამპანურის ბოთლები დაანყვეს და დიდებულ ღვინო გაიმართა.

ნადიმზე ხუთ კაცს, დანარჩენი მონღოლებისგან განსხვავებით, შავი ნევრ-ულვაში ამშვენებდა, რაც იმ მხარეში იშვიათობაა. გვანჯი, რუსულის მცოდნე თარჯიმანის შემკობით, შამპანელს ამის მიზეზს ეკითხება. გაღიმებული თავადი პასუხობს, რომ შეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში მის ნინაპრებს, მონღოლებს, თითქმის მთელი მსოფლიო და მათ შორის კავკასიაც დაჰყრობილი ჰქონდათ. ჩვენმა მთავარს არ დალმა ჩინგიზ ყაენმა და სხვებმა თან ნამოიყვანეს დატყვევებული ლამაზი შამაკაცები, ქართველები და ჩვენ იმათი შთამომავლები ვართო. ღვინოს მოთავეების შერე ცრემლმორეული მოხუცი მწყემსი, გვანია, კარგა დიდ მანძილზე აცილებს სასწაულებრივად მოვლენილ თვისტომებს და შენუხებული მოსთქვამს, რომ მშობლიურ მიწაში დამარბვა არ ეღირსება.

ეკრ ვიტყვი რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ამგვარი აზრიც გამჩენია – გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მრავალი ისეთი ეპიზოდია, რომ პროფესიულად დამუშავების, გამოცხადების და კომპოზიციურად შეკერვის შემდეგ ძალზე საინტერესო სატელევიზიო ფილმის მასალად გამოდგებოდა.

შესადლოა ჩემი ვალდომანებელი გარჯა და ამ წიგნის გამოცემა ვინმემ არც ჩათვალოს საჭიროდ, აუცილებელ და საბურ საქმედ. კაცმა რომ თქვას, გვანჯი ჩიქოვანს იმდენი მადლი აქვს გაკეთებული და სამზეოზე ისეთი სახელი დასტოვა, მუდამ პატივით მოიხსენიებდნენ, ისედაც ცხოვრობს თავისი მადლიერი კუთხის, მთელი საქართველოს მესხურებაში, მრავალ ლექსსა თუ სიმღერაში და ამ ხსოვნას უღმობელი დროც ვერ წამლის, მაგრამ დოკუმენტური მასალა, საპატიმროს კედლებში მისგანვე მოყოლილი, სხვა მხრიდან დაგვანახებებს, მტრ ნათელს მოუწეს ამ მრავალჭირნაბული პიროვნების მიერ ღირსეულად განვლილ დიდ გზას და, ვფიქრობთ, სხვა მხრივაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. თუმცა საკმაოდ ბევრი დაეპირე, ათასი რაღაცა გააღწევი, მაგრამ ერთი ამდენი ალბათ კიდევ დამრჩა სათქმელი იმის გადმოსაცემად, რა საფიქრალიც ჩემთვის ესოდენ ძვირფასმა ხელნაწერმა აღმოძრა.

● მოგონებების ნამკითხველი ადვილად შეამჩნევს – ქართველი კაცის ღირსებასა და

სიამავეს გვანჯი ჩიქოვანი არასოდეს არ კარგავს, რა მდგომარეობაშიც არ იყოს, სადაც არ უნდა მდებარეობდეს.

აღუქხანდროვის ციხეში მოხვედრილი ტუსალი გაიგებს, რომ ამ სოფელში იმყოფება, ლაღად, თავისუფლად ცხოვრობს ერთი ქართველი პატიმარი, კატორღამის-ჯილი ვანო ჯორჯაძე, რომელსაც მეგობარი ქალის, მდიდარი და ქველმოქმედი მარი ინოკენტის ასული გორბუნცოვას მეშვეობით ციხის ადმინისტრაციაზე დიდი ზეგავლენა აქვს. ციხის უფროსი, პატიმრების შემონახვის, თვალში მოუვლა ვაგაკავერი შესახედობის ახოვანი, ლაზათიანად ჩაცმული გვანჯი ჩიქოვანი და ეკითხება, იცნობს თუ არა იგი ვანო ჯორჯაძეს. გვანჯი პასუხობს, რომ არ იცნობს და დიდად დაუმაძღვლებს უფროსს, თუ იმ კაცს გააცნობს. თუკი თითონ არ გიცნობს, შენთან რატომ უნდა მოვიდესო, ირონიულად დაეკითხება ციხის უფროსი. ამ კითხვას ისევე გვანჯის პასუხი მოხდევს, ამაყი, თავდაჯერებული: „თუ ჯორჯაძე ჩემს გვარს გაიცნობს და ჩემთან მოხვლას არ მოისურვებს, ეს იმას ნიშნავს, ქართველი არ ყოფილა...“ რამდენი რამის მაცნე და დამტყევა ეს მოკლე ფრაზა.

უფროსის სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაკრთება, იგი საკნიდან გადის. ერთი საათის შემდეგ, გვანჯი ჩიქოვანის ნათქვამის ქეშენიკიტების დასტურად, მას იხარებენ კომანდატურაში, სადაც ვანო ჯორჯაძე ელოდება. ამ შეხვედრამ განსაკუთრებული შედეგი იქონია, ძირფესვიანად შეატრიალა ყმაწვილი კაცის ბედი. ვანო ჯორჯაძე, თავისი მეგობარი ქალის მეშვეობით, მაშინვე ციხიდან გაათავისუფლებინა გვანჯი ჩიქოვანი, კატორღისა და გადასახლება კვალაზე მეფური პირობები შეუქმნა. ეს ყველაფერი გასაოცარი სისწრაფით გაკეთდა. გვანჯი ჩიქოვანი ის კაცი არ გახლდათ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეშველა და არცავე გახსენებოდა. იგი მაშინვე იწყებს ზრუნვას, რომ ციხეში დარჩენილ ამხანაგებს დაეხმაროს, ტანჯვა შეუშუსბუქოს. მარი გორბუნცოვას მოქმედება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ლამაზ, ტყვიან, გველენიან და ბუნებით კეთილ ქალს ყველაფერი შეუძლია, ყველაზე ანარ მდგომარეობიდან იპოვის გამოსავალს. ეს ეპიზოდები დიდი სიმართლით, თანმიმდევრულად, დანერვილებით არის მოთხრობილი.

სანიშნულოა გვანჯი ჩიქოვანის დამოკიდებულება სხვადასხვა ვროვნების ადამიანთა მიმართ. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, კაცის პირადი თვისებებია მთავარი და მის ეროვნებაზე საგანგებოდ არ ამხარავს ყურადღებას. დავაკვირდეთ, როგორი სიტო-



თი და მადლიერებით გვიხატავს იგი უცნობ რუს კაპიტანს, კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ჯერ როსტოვის ციხეში, შემდეგ კი მოსკოვის საპატიმროში გადაყვანილს, სიტყვის უთქმელად, სრულიად უანგაროდ ეხმარება.

სხვა შემთხვევაში გვანჯი ჩიქოვანი უსიამოვნო გრძნობით იხსენებს შაერაზმელ რუს მღვდელს, როცა ეს კაცთმოძულე „ღვთის მსახური“ ჩელიაბინსკში, მოედანზე შეკრებილ ბრბოს მოუწოდებს, გაელიტონ ებრაელები და კავკასიელები, როგორც რუსეთის იმპერიატორის მოღალატეები. იქვე მდგარი ბრგე ტანის კავკასიელი ოფიცერი, გვარად ალიხანი, შეხლა-შემოხლის შემდეგ, ხმლით ნაცლის თავს ამ ბოროტად მოქადაგებს.

ერთი რამეც იმთავითვე საგრძნობია – გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში სხვა საქართველოს და სხვანაირ ქართველებს უხვადვთ. ეს ადამიანები, შეიძლება ითქვას, სულს უბერავენ ერთმანეთს, გაჭირვებაში ჩაუარდნილი თვისტომის დასახსნელად, ხელის გასამართლად არაფერს იშურებენ. ცხადია, თითო-ოროლა უკეთური, დამსმენი და ჯაშუში მათაც გამოერეათ, მაგრამ ეს ზღვაში ნვეთია იმ სიკეთესთან შედარებით, რასაც უცხოობაში მყოფი ქართველები ერთმანეთის მიმართ იჩენენ. ამის მრავალი შემთხვევა აღწერილია ირკუტსკში. სიმტიციითა და სიმრავლეთა გამოირჩევა ხარბინის ქართველთა სათვისტომო, რომელსაც სათავეში ედგა ან გარდაცვლილი ცნობილი მწერლის, უპატრიონსისი მამულიშვილის ლუკან ხაინდრავას მამა იელიანე ხაინდრავა, რომელთან ერთადაც იმყოფებოდა მისი ძმა სამსონი (ჩვენი შესანიშნავი მსახიობის თათია ხაინდრავას მამა). იელიანე ხაინდრავა მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ არეულობაში მონაწილეობის გამო, ყმანეილობისას, დააპატიმრეს ქუთაისში და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. იქ მან ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ამ საქმისათვის საქირო უნარი გამოამტლავა, დიდძალი ქონება დააგროვა და ბევრს უწყევდა შემწეობას. გამოგია, ხარბინის მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ქართული გახეთიც ჰქონდათო. ამ და სხვა მოვლენებს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება, თუკი ვინმე საამისო სურვილს გამოავლენს და შესაძლებლობაც ექნება.

გვანჯი ჩიქოვანს დიდი სიყვარულით ჰყავს დახატული იშვიათი სიკეთისა და გარეგნობის ვაგაკი, სავაჭრო საქმიანობის გამო, ხარბინში დროებით მცხოვრები პლატონ დადიანი, რომლის მისამართი მას ირკუტსკელმა ქართველებმა მისცეს და პლატონთან დეპუტაც გააგზავნეს. რკინიგ-

ზის სადგურში ჟანდარმთა მკაცრი მეთვალყურეობა იყო და გვანჯი ჩიქოვანმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხარბინში ჩასვლა. უცნაზევარი ლოდინი დასჭირდა. კრისტელმა საკენძო სადგურ მანჯურიაში დაინახა ვაგონიდან გადმოსული, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წარმოსადგეი ვაგაკი, რომელსაც პატარა ლამაზი ბიჭუნა ახლდა. გვანჯი ჩიქოვანმა მაშინვე იაზრა, რომ ეს ბიჭუნა პლატონ დადიანი, რომელსაც თავისი რვა წლის ვაჟი თბილისში მიჰყავდა ქართულ გიმნაზიაში მისაბარებლად, რათა ყმანეილს მშობლიური ენა არ დაეინყებოდა. ეს ფაქტიც მრავლისმეტყველი გახლავთ. ძალზე ამაღლევებელია მათი მოულოდნელი შეხვედრა და პლატონისგან გამოჩენილი გულისხმიერება და ძმური დახმარება, რისი წყალობითაც გატანჯულმა კაცმა ბოლოს ჩააღწია ხარბინში. თბილისელ დადიანებში როცა ვაკეთობ პლატონ დადიანის შემდგომი ბედი, მითხრეს, ოცდაჩვიდმეტი დახვრიტესო. ადვილი შეხატლებელია ასეც იყო, მაგრამ ამას მაინც დაზუსტება ესაჭიროება.

მოგონებებში მთელი გაღურვა გვხვდება ღირსეული, კეთილშობილი ქართველები, მუდამ მზად არიან გაჭირებულთა დასახმარებლად. ირკუტსკში მცხოვრები ქართველებიდან სიკეთით, გულუბნობით გამოირჩევა ძებველთი მოვაჭრე ნესტორ გვათუა, მალევე რომ გაკოტრდება და კვდება. აქ უთუოდ უნდა ვახსენოთ ხელმოკლედ მცხოვრები ბათუმელი კაცი ბიქტორ ლოლუა, რომელიც უკანასკნელ ლუკმას დათმობს, გადაწყვეტს ოჯახის ნივთები დააგირავოს, ოღონდ ხიფათიან გზაზე დამდგარ თვისტომს ცოტაოდენი ფული მისცეს. სტუ-მონი ამას არ დაანებებს, იმზანად უფულობას არ უჩივის. სწორედ ბიქტორ ლოლუას პასპორტის მიემგზავრება ბათუმში იქ მალულად ჩასული, გადასახლებაში მყოფი გვანჯი ჩიქოვანი. ასე ძმა არ გადასდებს ძმისთვის თავს.

მკითხველი იხედავს მიაცქევს ყურადღებას პირველი მსოფლიო ომის ეპიზოდებს, მაგრამ ჩვენ ერთ დამახასიათებელ შემთხვევას გამოვაცალკევებთ (ეს შემთხვევა ერთხელ უკვე ვახსენებ. ჯოჯოხეთურ ბრძოლაში იღუპება პოლკის მეთაური, დიდებულ ვაგაკი კონია შერვაშიძე. თანამებრძოლი, ქართველი შუკუ დგებუთაძე მოკლულს იმ ცეცხლის ნიაღვარში არ ტოვებს და ორთვალაზე დადებული შოაქეს. ამ დროს შეხვედრიან მას საგანგებოდ ჩასული გვანჯი ჩიქოვანი და მიხილ მზეიძე, მიცვალეულის გამოტანაში მიეხველებიან, გათენებისას ძლივს გამოვლენ სამშვიდობოს. მა-



ლე იმასაც შეიტყობენ, რომ ძველ დგებულებას, ნაწილში მიბრუნებისას (მან უნებართოდ დატოვა ფრონტი) თავადაც იღუპება, მაგრამ მის უსულღ, ტყეობით დაცხრილულ სხეულს ველარ პოლკობენ. სხვა ეროვნების ადამიანთათვის გაუგებარი, დაუფერებელია ის თავგამოდება, რასაც ქართველები იქნენ კონია შერვაშიძის ცხედარის სამშობლოში წახსენებლად. ამ სამგლოვიარო ცერემონიალის აღწერას რამდენიმე გვერდი ეძღვნება.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად ჩანს ქართველების ერთი ხაქები თვისება – სამშობლოს მომორებული სხვადასხვა კუთხის შეიღები ერთ მუშტად არიან შეკრულნი, ერთმანეთს ეშველებიან, ქომაგობენ. ამავე დროს ვერც წრეგადასულ ქეიფსა და დროსტარებას ელევიან, მამა-პაპათა ჩვეულების კვალზე, ხშირად უჭირაეთ ხელში ლეინით სავსე სასმისი, ისმის გაუთავებელი სადღევრძელოები. გვანჯი ჩიქოვანიც მათთანაა, მაგრამ ამასთან ერთად იგი მოვალეობის კაცია, დაკისრებულ საქმეს მუდამ დროზე და პირნათლად ასრულებს, სიტყვას არასოდეს გატეხავს. ამიტომაც ყველგან პატივისცემით ეპყრობიან.

ამ ჩანაწერებში ცხადი ხდება – თვითონ გვანჯი ჩიქოვანი ქალების მადვეარი კაცი არ ყოფილა, ხოლო თუ ისინი თავად მიეტანებოდნენ, მაშინაც შესაფერის თავდაჭერილობას იქნდა, თავისი მომხიბლობა და მიმზიდველი გარეგნობა ბოროტად, ანგარებით არაქვითნ გამოუყენებია.

ერთი სახიყვარულო, სამიჯნურო თავგადასავალი თვითონ საკმაოდ ცოცხლად, სურათოვნად და გულახდილად აქვს მოყოლილი. ხარბინში იმ დროს ქმართან ერთად იმყოფებოდა სილამაზით განთქმული უმდიდრესი პეტერბურგელი ქალი ალექსანდრა პოლუტკია (ეს ქმრის გვარია), რომლის გულის მონადირებას, საყვარლად გაბდომას მორიგეობით ამაოდ ცდილობდნენ იმჟამად იქ მომსახურე ბრწყინვალე გვარიშვილები ნაპოლეონ მიურატო და ალექსანდრე ვიტგენშტიინი. ეშხიანი, თამამი ქალი მორიგად და დამყოლ ქმარს დიდად არ ერიდებოდა და თავყვანისმცემლები ხშირად სტუმრობდნენ მის ოჯახში. ერთხელაც მიურატმა და ვიტგენშტიინმა გვანჯი ჩიქოვანი ნაიყვანეს თან. დიასახლისი უმალ მოხიბლა მისმა გარეგნობამ, მოქცევამ და იმ დღიდანვე მათ შორის თავდაფიყნებამდე მისულ რომინი გაიბა. ეს ულამაზესი ქალბატონი არაერთარ ხარჯებს არ ერიდებოდა და არც რეპუტაციას უფრთხილდებოდა, ოღონდ ახალგაზრდა ქართველ თავადთან

მისი სიყვარული გაგრძელებულყო. მოილაპარაკეს კიდევაც, რომ გვანჯი ჩიქოვანს მას ირკუტსკი დაელოდებოდა, სიტყვასწერა პოლუტკიას იქაც ჰქონდა სახლი და ერთად იცხოვრებდნენ. ამ დროს მოხდა გაუთავლისხმნებული რამ – რკინიგზის მუშები გაიფიცნენ და პოლუტკიას ქალმა ველარ მესძლო ჩასულიყო ირკუტსკი, სადაც მთელი თვე ელოდებოდა გვანჯი ჩიქოვანი, ხანამ მოთმინება გააფენურებოდა და საქართველოსკენ გასწევდა. მოგვიანებით მასზე უსახღვროდ შეყვარებული ქალი წერილის უგზავნის გვანჯი ჩიქოვანს, სინანულით ატყობინებს ჩამოუსვლელობის მიზეზს, მეგობრულად საყვედურობს, რატომ არ გამომხილე, პატიმარი თუ იყავი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩს უთხოვედი და გაგათავისუფლებდნენ, ყველაფერი მოგვარდებოდაო. ეს არ არის ყახიდად ნათქვამი, ასედაც იქნებოდა: ნიკოლაი ნიკოლაევიჩი სხვა არავინ უნდა იყოს, თუ არ დაუნდობლობით, სისასტიკით ცნობილი ყოელისმემძლე დიდი თავადი, იმპერატორის მოგვარი და ახლო ნათესავი, რუსეთის უმალესი მთავარმთავარადლი, რომელიც სიმანიოქს თავის მოგონებებში სამდეილ სადისტად, სისხლისმსმელად ჰყავს გამოყვანილი, ბრალად სდებს ათეულ ათასობით ებრაელთა განადგურებას, თუმცა ომის წლებში იგი არც სხვებს ინდობდა. პირადად უყვარდა ხელქვეითთა, თვით მალალი ჩინის ოფიცერთა დასჯა, ურტყამდა, ვიდრე მსხვერპლს თავ-პირს არ დაუსისხლიანებდა (მშვიდობიანობის წლებში სისხლის დაუოკებელ წყურვილს ნადირობით იკლავდა, დაუნდობლად, უანგარიშოდ ცვადა თურმე გარეულ ცხოველებს).

სხვათა შორის, პოლუტკია ცნობილი, აღრიდანვე გახმაურებული გვარი იყო პეტერბურგში. უნებურად გვახსენდება ინტრიგება და ბოროტ ხლართებში გამობრძმედილი, პუშკინის სამიწელი მოძულე იდალია პოლუტკია (იგი გრავ გ.ნ. სტროგანოვის უკანონო ქალიშვილი იყო და მუელლის, სამხედრო პირის გვარს ატარებდა), რომელსაც დიდი ბრალი მიუძღვის რუსეთის უპირველესი პოეტის დაღუპვაში – მან თავის ბინაზე, წმინდა ნიკოლაის ეკლესიის ერთმანეთს შეხვედრად დანტესი და ნატალია გონჩაროვა, რაც ჭორებისა და მოთქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ეს, უბრალოდ, სიტყვას მოწყევა, თორემ გვანჯი ჩიქოვანის მეგობარ ქალს, ლალსა და გულკეთილს, ბნელ და მხამით გატყინილ იდალია პოლუტკიასთან, პეტერბურგისა და ქმრის გვარის გარდა, არაფერი აკავშირებდა.

გვანჯი ჩიქოვანმა ირკუტსკივე, ქალქის ბაღში გაიციწო კვედამოსილი, საუცხოო



გარეგნობისა და უაღრესად სათნო ბუნების რუსი გოგონა ნადეჟდა ნიკოლაევა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლადაც შეირთო (საქართველოში ჩააკითხა საცოლოემ). ერთგან გვიანტი ამბობს, რომ მოხიბლა ნადეჟდა ნიკოლაევის განსაკუთრებულმა ქალოუნებამ. ეს სიტყვა (ქალოუნება) ამ ფორმით არისად შემხვედრია და იგი ზედმინვენით ესადაგება თვით გვიანტის მინაგან ბუნებას, მის ფაქიზ დამოკიდებულებას საყვარელი ცხოვრებისადმი. ნადია ნიკოლაევა მისი ცხოვრების უერთგულესი თანამგ ზაერი გახდა და მასთან ოთხი შვილი ეყოლა. მოგონებების ბოლო ნაწილში გვიანტი ჩიქოვანი სიყვარულითა და სითბოთი, მოუნელებელი მწუხარებით იგონებს მოამაგე, ნაადრევად გარდაცვლილ ძვირფას მეუღლეს, ვის შემდეგაც მისი ცხოვრება ერთი გაბმული ტანჯვა იყო.

ბატონმა ვლადიმერ ქანტურიამ სოფელ ქადაშიდან ნამოილი და გამოსაქვეყნებლად გადამოცა ჩიქოვანების ოჯახის რამდენიმე იშვიათი ფოტო. ერთ მათგანზე ახლადმუღებელი ნიკოლაი — ნადეჟდა ნიკოლაევა და გვიანტი ჩიქოვანი აღბეჭდილი, ბედნიერები, ერთმანეთის საფერნი. სურათი ქალაქ ირკუტსკშია გადაღებული, 1907 წელს. ზედგვა ამოტიფრული, ერთ დროს ოქროსფერა ფოლგით მოვარაყებული, იქაური ფოტოგრაფის გვარ-სახელი: გუსტავ ენე.

ჩვენდა საბედნიეროდ, გვიანტი ჩიქოვანი ერთი ძმათგანი იყო, ვისაც გვიანტის მთხოვნი სხვაგან ყოფნას სამშობლოში სიკვდილი ერჩივნა. ამიტომაცაა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვის და ყველგან ქართველად რჩება. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, მეფური პატივი რომ მიაგონ და ოქროს მთები დაუდგან, გული მუდამ მამულისკენ მოუნეწს. არანაირ ხიფათს და ფათერაკს არ ერიდება, ოღონდ ნლობით უცხოეთში გადაკარგულმა, საქართველოს მინას დაადგას ფეხი და ქართული ლაპარაკი გაიგონოს, მშობლიური პაერი ნაისუნთქოს.

რუსეთის იმპერიის გარდაუვალი კრახისა და მამინდელი ქალტური ყოფის სურათი რამდენადმე ნათელად რომ წარმოვიდგინოთ, ცოტა ხნით ისეთ უნდა მიუბრუნდეთ რასაპუტინის მკვლელობას, რის შემდეგაც სამეფო ტახტი ძირფესვიანად შეტორტმანდა და უფსკრულისკენ დაქანდა.

მიუხედავად იმისა, გაცილებით მეტი ეცოდინებოდა, გვიანტი ჩიქოვანი ამ ეპოქალოური მნიშვნელობის ფაქტს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს უთმობს, მაგრამ ამკარად

იგრძნობა, დედოფლის უცნაური ჩასაყვნი, ნიკოლოზის უნებისყოფიდან და რასაპუტინის გახმაურებული ორგანიზაციის მხარეში მის გამო რა განწყობილება იყო რუსეთის ზედა ფენებში. იმჟამად რუმინეთის ფრონტზე მყოფი უნა დადიანი ამკარად უკმაყოფილოა და საკუპტიკურად განწყობილი. იგი მინაგანად ელოდა კატასტროფას, თუმცა თავის მხედრულ მოეაღებობას პირნათლად იხიდა. ეტყობა, რასაპუტინთან დაკავშირებულმა ამბებმა და მერე შეთქმულთა მიერ მისმა მოკვლამ უნა დადიანს საბოლოოდ გაუტეხა გული მისთვის ესოდენ ახლობულ რომანიოთა ხელისუფლებაზე და თებერვლის რევოლუციას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი, „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა“ უწოდა. მაშინ იგი ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ რევოლუციის მოზდენიდან რვა თვის შემდეგ ბოლშევიკები მოექცეოდნენ ხელისუფლების სათავეში.

თვით თებერვლის რევოლუცია ნორმალურად რომ ვერ წარიმართა და განვითარდა, სხვადასხვა პარტიების გადაუწყვეტლობით, გაიმყვებულ ქაოსით ბნელმა ძალებმა რომ ისაარგებლეს და ხელი იგდეს მმართველობა, ამის უმთავრეს მიზეზად საქმეში ჩახედულნი ინტელიგენციასა და ხალხს შორის თანდათანობით გაჩენილ უფსკრულს ახახელებენ.

საქართველოში დაბრუნებული უნა დადიანი მუროვიგებლად, სამკედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მალე ჩვენს სამშობლოშიც დამყარებულ სისხლიან კომუნისტურ რეჟიმს და ემიგრაციაში მოუხდა ნასვლა; წლების მერე ამერიკაში, ნიუ-იორკში პაოვა აღსასრული. უნა დადიანის უაღრესად დრამატული, მღელვარე ცხოვრება საკმაოდ სრულად, პანორამულად არის ახახელი ფუცუ დგებუაძის რამდენადმე ტენდენციურ (მას ბეერი რამე რედაქტორებმა გადაუკეთეს) ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი“, რომლის წერისას აეტორს ცნობებს ანედიდა გვიანტი ჩიქოვანი.

ამ რამდენიმე წლის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ უნა დადიანის პიროვნებასა და მის გარემოცვაზე ძალზე საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა მსოფლიანმა ჟურნალისტმა აგული დადიანმა და საზოგადოებას არაერთი საგულისხმო ფაქტი ამცნო.

გარკვეული მოსახზების გამო, აქვე ზოგი რამ უნდა ვთქვათ სახელმწიფო სათათბიროს ნეერზე, ებრაელთა დარბევების ცნობილ ორგანიზატორზე, პირნაყარდნილ შავრანზელზე ვლადიმერ პურიშკევიჩზე, რომლის ნასროლმა ორმა ტყვიამ (ორი დააცუნდა) საბოლოოდ შეინორა მანამდე იუსუპოვის მიერ დაჭრილი, მოხულეიერებული და

ქუჩაში გახავარდნად გაქცეული რასპუტინის სიცოცხლე, ხელი მოუთავა მას (თითონ იგი რამდენიმე წლის შერე ხატეუ ვითარებაში გარდაიცვალა; ფიქრობენ, რომ მონამლეს).

1916 წლის 19 ნოემბერს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან პურიშკევიჩმა ნარმოსთქვა ორსაათიანი მგზნებარე სიტყვა, რომლის პათოსი იმპერატორ იყო მისი და არა მარტო მისი აზრით, საშინელების, საზიზღრობის ნინაღმდეგ, რასაც მეფის კართან დაახლოებული რასპუტინი ნარმოადგენდა. დაშნარე საზოგადოებამ მხურვალედ დაუჭირა მხარი პურიშკევიჩს. მეორე დღეს მას თავადმა ფელიქს იუსუპოვმა – გრაფმა სუმაროკო-ელსტონმა – დაურეკა და შეხვედრაზე შეთანხმდნენ (გვანჯი ჩიქოვანს იგი მოხსენიებული ჰყავს, როგორც რასპუტინის მკვლელი, რადგან პირველმა სწორედ მან ესროლა მოსაკლავად გამზადებულ, ნამცხვრებით მონამლულ, შმაგვარეულ ღვინოთ გამაჰინძღებულ და მინც ფეხზე მდგარ, უკვე დაქვებულ რასპუტინს, რომელიც ამაოდ ელოდებოდა დაპირებულ სახურველ ქალს).

პურიშკევიჩზე მეტად სასიამოვნო მთაბეჭდილება მოახდინა 30 წლის ულამაზესი გარეგნობის, დახვეწილი მანერების მქონე ახალგაზრდა დიდგვაროვანმა ოფიცერმა. მათი სურვილები და ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და სახსრაფოდ დაგვექმეს რასპუტინის მკვლელობა. პომოსესუალისტი იუსუპოვს თავისი ბოღმა ჰქონდა რასპუტინის მიმართ, რომელიც არა პირდაპირ, მაგრამ მანინც ხელს უშლიდა მის დაქონინებას დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ქალიშვილზე, ირინაზე და ფელიქსს, მისივე მშობლების თხოვნით, პიპროზითა და როზგით მკურნალობდა, რაც სასიამოვნოდ არ დარჩებოდა ამაყ სასიძოს. იუსუპოვს შურის საძიებლად ხელსაყრელი მომენტი დაუდგა შემთქმულებაში აქტიურად ჩაება. იგი შეპირდა რასპუტინს – თავის სასახლეში, გვიან ღამით, მისთვის დიდად სასურველ ქალს დაახვედრებდა და ასე მიიტყუეს ორგებს გადაყოლილი „წმინდანი ეშმაკი“, რომელიც რის ვაიუფგლახით მიკლეს და თოკებით გაკოჭილი გაყინულ ნეკაში გადაადგდეს. რასპუტინის ყოველ ნაბიჯს პოლიციის სამი უწყება ადევნებდა თვალს და მისი მკვლელობის გარემოებანი მაძინვე ცნობილი გახდა. ექვმიტანილმა იუსუპოვმა ყალბი ფიცით აღსავეს ფარისებულური ნერილი გაუგზავნა დედოფალს, თითქოს მომხდარ ამბავზე არაფერი იცოდა.

თვითონ პურიშკევიჩს სახელდახლოდ დაწერილ დღიურებში დაწერილებით აქვს

აღწერილი მკვლელობის მომზადება, მთანაფიქრის განხორციელება ფაქტობრივად დაქვემორებული დეტალები. ფუქცაჩიქოვანსვე ამკარად ბნელი პიროვნება ინატკება, მაგრამ აქვე ჩანს მისი საფუძვლანი, კლასიკური განსწავლელობა. იარაღმომარჯვებულს (ხელში, როგორც რამდენჯერმე თეგომწინედ აღნიშნავს, „სოფაის“ სისტემის მიძიმე, საუცხოორეკოლევერი ჰქონდა ჩაბოფუელი) პორაცოუსის პირველიწინის მეათოღის დახანყის აკვიატებია და აფორიაქებული ლათინურად ნარმოსთქვამს მაგიორ სტრიქონებს:

ნულარ მკეითებები ნურადვრს, ლევეკონოია, არ გვინერია გაგება იმისა, თუ რა გველოდება, რა ბოლოს გვიმზადებენ მე და შენ ღმერთები...

მკვლელობის მეორე დღესვე რუმინეთის ფრონტზე მატარებლით მიმავალი პურიშკევიჩი შემფოთებულია რუსეთის იმპერიის არსახარბიელო ბედით და თავისი დღიურების ბოლოს სიმწირით აღმოხდება: „ღმერთო ჩემო! რა წყვდიადით არის მოცული მომავალი!“ იგი არც მალავს, მის სამშობლოს მცირე ერების ჩაყლაპვა რომ უნდა და ამავე დროს დაქვებულია, რამდენად შესძლებს ამას რუსეთი:

„ვართ კი ჩვენ დიდი ხალხი, ვისაც შექმლება ეროვნული მიწიარის კალაპოტში გზა გაიკვლოს წინ, თან თავის წყლებში მთანთქას სხვა ტომები და ნერილ-ნერილი ხალხები, თუ? თუ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებულია და უკვე მოგვსპო, დაგვანაკუნა და გაგვეწინა ფამთა დინებამ, განწირული ვართ საიმისოდ, რომ ნარმოვადგვრდეთ არენას სხვა ტომებისა, რომლებიც სლავების თელიან უმდაბლეს რასად, ვისაც შეუძლია მხოლოდ გააპობიეროს ველ-მინდვრები იმ ქვეყნებისა, მისსავე ძელებზე რომ გადადიან და ესნარაფვიან სინათლეს, ცოდნასა და მსოფლიო ბატონობას, რის მიღწევაც ბედმა ჩვენ არ გვარგუნა?“

ეს დიდმპყრობელური, უკვე დრომოქმული იმპერიული ზრახვები, რომელსაც ვერა და ვერ დახსნია, დღესაც რღვევისა და უფსკრულისკენ მიაქანებს ამბიციური, თავხედი, გაიძევრა და უჭკუო პოლიტიკოსების ხელში ჩაივარდნილ რუსეთს.

საკუთრივე ჩვენ რაც შეგვებება, პირდაპირ უნდა ითქვას – გამუდმებული ძახილი და იმის იმედად ყოფნა, რომ რუსეთი და საქართველო ერთმონწმუნე ქვეყნებია, დასახანი გულბურყვილობა და თავის მოტყუება. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაგვიკრუდა იმედი და რამდენი შეთანხმება ფარატინა ქალაღდი დარჩა. დღამდე ასე იყო. ისტორიკოსმა გიორგი ქავთარაძემ ამის არაერთი მეტყველი ფაქტი მოიტანა დიდად

საყურადღებო წერილში „კაცკასია და საქართველო“ (მნათობი, № 3-4-5, 1997 წელი).

● კარგა ხანია, მივლს მსოფლიოში ცნობილი, თუ რა უმაგალითო ხოცვა-ღლეტა, მილიონობით უდანაშაულო ხალხის სისხლი და ყოვლად გაუმართლებელი, მზეცური რეპრესიები მოპყვა ოქტომბრის გადატრიალებას, ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურას.

გვანჯი ჩიქოვანი, ძველი არისტოკრატიული გვარის შთამომავალი, ბუნებით თავისუფლებისმოყვარე პიროვნება, მრავალგზის დანაქერი და ნანვალები, ბუნებრივია იმ დროსა და იმ პირობებში ვერ გამოხატავდა თავის ნამდვილ დამოკიდებულებას უსასტიკესი საბჭოთა რეჟიმის მიმართ, იძულებული იყო, საკუთარი განწყობილება დაემალა.

სამწუხაროა, რომ დღეს ბევრი შეუგნებელი, ტვინბნელი ადამიანი მისტიკის სულთამბუთველ კომუნისტურ წყობას, ავიწყდება, სამოცდაათი წლის მანძილზე და მეტო, მისი დამლის შემდეგაც, რა სამინელებები დატრიალდა დედამიწის ერთ მეექვსეზე.

ნამით ახალ ისტორიასაც შეგვიძლია გადავავლოთ თვალი. გავიხსენოთ, რა დამართა არეულობის ფაშს ისეთი უზარმაზარი კულტურული ნარსულის მქონე ევროპულ ქვეყანას, როგორც საფრანგეთია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ორი საუკუნის წინათ, როცა მეფის გვარეულობასა და არისტოკრატიული ნარმოშადობის ადამიანებს, თავისუფლების სახელით, მუსრი გაავლეს, კაცს თუ ქალს დაუნდობლად ფატრადენენ, ცალიოტინიდან სისხლის ღელეები მოედინებოდა, ძუძუთა ბავშვებს დედებთან ერთად ზერეტდენენ, ხოცვის ტინითა და სისასტიკით ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს პროლეტარული ნარმოშობის დანაშაულებმა“ (დონალდ თომასი, მარკოზ დე სადი, 1998, გვ. 28). ამ ეპოქას, მეთურამეტე საუკუნის მონურულის საფრანგეთში მომხდარ სამინელებათა სურათებს, უდიდესი სიცხადითა და ძალმობილებით, მიუკერძოებლად გვიხატავს თომას კარლეილის უკვდავი წიგნი „საფრანგეთის რევოლუცია. ისტორია“.

ამჟამად არავითარ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს – რუსეთში შექმნილი ხანგრძლივი არეულობა და ოქტომბრის გადატრიალება, ძირითადად, გერმანული კაპიტალის მეოხებით მოხდა, რათა მსოფლიო ომში ჩაბმული რუსეთი დაესუსტებინათ. ამ ევრაგულ დაფინანსებას ფრიად სავალალო შედეგი მოპყვა.

ცნობილი თეთრგვარდაელი გენერალი მიხეილ დიტერისი, ავტორი მწვენიველი წიგნისა „მეფის ოჯახის დაწვევების სახლის წევრთა მკვლელობა ურალში“, ჯერ კიდევ ოციან წლებში წერდა:

„ჩვენ ვიცით, რომ გერმანიამ თავისი მონინალმდეგეები პატიოსან, ღია ბრძოლაში ვერ დაამარცხა; მაშინ ბრძოლის არანიარ საშუალებას არ დაერიდა და ჩვენს ფრონტსა და ზურგში შემოაგდო ბრძოლის ყველაზე უფრო საზიზღარი იარაღი, შმაშიაგან ყველაზე ამაზრზენი – პოლიტიკური შხამი, ბოლშევიზმის შხამი, ანარქიზმის სენი. თუმცა იგი თვითონვე გახდა მსხვერპლი ამ ბრძოლაში მის მიერ დაქირაებული მონებისა“.

ხელმწიფის სამსახურში ჩამდგარ მამიდაპილს, მის მადეერასა და მახეების დამგებს, ჯანდარმ მუშნი ზარანდიას დალუჯამდე სამი წლით ადრე გააგონა, ხმა მიანვდინა დათა თუთაშხიამ, რომ ცხენის ჩუქებას უპირებდა. საბედისწერო მომენტო ახლოვდებოდა. ხანამ დათას მისივე ნაშიერი ბუხართან რევოლვერის ტყვიას დაახლიდა, აბრაგ ჩანაფიქრი თითქმის მომზადებული ჰქონდა. ბალყარეთიდან, ერთი იკაური მეგობრის ხელშეწყობით, საუკეთესო ჯიშის ულაყი ჩამოიყვანა, საიდუმლოდ ჩააბარა პოლიციასთან მეკრულ მეჯინებს მოსე ჯაგალიას, თან ცხენის მოსაგელელად ოცდახუთი მანეთი მისცა და დაუბარა: „კაცი მოვა შენთან ჩემი სახელით. გეტყვის, ვის უნდა მიუყვანო და როდის უნდა მიუყვანო ცხენი“. ცხადია, ისიც დაასწავლა შემხიბულ და თან დანამუსებულ მეჯინებს, ცხენის გადაცემისას იმ კაცისთვის რა უნდა ეთქვა.

დათა თუთაშხია მუდამ სიყვარავს მოელოდა მუშნი ზარანდიასგან და მომაკვდავმა, კეფაგასისხლიანებულმა, გასროლისთანავე საფეთქლებზე რომ იტაცა ხელები, უშალ მიხვდა, ვისგანაც იყო დაგებული ეს ჯოჯოხეთური მახე. ისე, რომ მუშნი არც უხსენებია, გამწარებულმა, სასიკვდილო ტკოილისგან სახედარბეცელმა, მამინვე წამოიძახა:

„ - რამ მოაფიქრებინა ეს! მავლობა მანინც...“

საკითხავია, ვინ ვის აჯობა. დათა თუთაშხიას ერთი მთავარი სამოქმედო პრინციპი იყო სიგლახის, ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა. იგი ქრისტეს მცნებას წერგავდა ცხოვრებაში, როცა ამბობდა: „მტრად არ უნდა ჩათვალო ცუდი კაცები...“ ამით იგი ძალას უკარგავდა ბოროტებას. თუ გავიხსენებთ, გვანჯი ჩიქოვანიც სწორედ ასე მოიქცა, როცა უპატივებელი ზნედაცემულობა მუუნდო სინდისგარეცხილ დამსმენებს და

თვითულის სატირალში მივიდა, სამძინარი უთხრა ჭირისუფლებს.

მახეების დაგებაში განაფიქრებულმა ტში მესულმა მუშნი ზარანდიამ კი იმდენი ქნა, რომ ძმად კუთვნილ ბიძაშვილს, ბეერი რამით თითქმის საკუთარ ორეულს, მკვლელოდ თავისივე შვილი მიუგზავნა, რითაც, საბოლოოდ, თვითმკვლევობა გამოუვიდა.

ნოემბრის თვეა. სასიკვდილოდ დაქრილი, განწირული დათა, სახამ შვილის დანამაჟლის კვალის ნასამულელად ზღვაში გადაეარდებოდა, მჭედელ მალაქია ნინუასთან მილასლასდება, აკაკუნებს, სამჭედლოში არც შევა, ისე უბარებს კეთილ ნაცნობს: ინახელოს მოსე ჯაგალია და გადასცეს - დეკუმბრში თავისი მეგობრის, სეიმონ გულისა ქორნილში ჩამოსულ მუშნი ზარანდიას მიუყვანოს ის მიბარებული ცხენი და შემონათვლივ უთხრას.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა ქორნილში თავმოწონედ მყოფ ხელმწიფის კაცს, ხალხთი, მოყვრებითა და პატივისმცემლობით გარშემორტყმულ მუშნი ზარანდიას, როცა უკვალოდ გამჭრალი დათა თუთაშხიასაგან ძღუნად ასეთი შეუდარებელი სილამაზის ბედაურს მიართმევდნენ. ერთი გაფიქრება, ალბათ, იმასაც გაიფიქრებდა, რომ მკვდართა ქვეყნიდან მისგან დევნილი და დალუპული ბიძაშვილის სული გამოეცხადა. ამის შერე მას დიდხანს აღარც უცოცხლია.

მე სრულებითაც არ მინდა, მამაჩემი, ბავშვთა ექიმი დავით კვიციანი, მისი ახლო მეგობრის რომანის უკვად გმირს, დათა თუთაშხიას შევადარო, მაგრამ ერთი რამით ნამდვილად გავდა - ბოროტებას ისიც სიკეთით უპირისპირდებოდა და აპარცებდა კიდევ. თავისი ტანჯული ცხოვრების მანძილზე მრავალი მტრულად განწყობილი, ბოროტი ძალების სამსახურში ჩამდგარი კაცისთვის გაუმართავს ხელი, უშველია და ძირფესვიანად გარდაუქმნია. ამაზე მისი მეგობრებიც წერენ.

ერთი რამაც არის გასაოცარი. მამაჩემის მოულოდნელი „ნობათიც“ მისი ამ ქვეყნიდან ნასვლის მერე მივიღე და კარგად ვიცი, რასაც მეტყვობა მისი კეთილი, ყოვლის მიმტყებელი სული; მთხოვდა, ამ ჩანანერისათვის მიმეხედა, დრო გამომეძებნა, მომელო და მომეწესრიგებინა.

შარმანს აქეთ ეუტრიოდებ, ცდა არ დაეკელი და, შეძლებისდაგვარად, მზარი შეუდგე მამაჩემის ხელით ავებულ შენობას, შეკუმშულ მონაკეთის უძნელესი, ხიფათიანი თავგადასავლისა, „გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრება“ რომ ჰქვია; შევეცადე, სხვა წყაროთა მოშველიებით, გუმანიტაც, რამდე-

ნადმე შემეესო ნაკლოვანი, ბოლომდე უთქმელი ადგილები. ზოგი რამ, ვფიქრობ, მოგვიანებით, სამომავლოდ დაზუსტდება.

თავიდანვე აღნიშნე — თითქმის ნახევარი საუკუნე (ორმოცდარვა წელნადაი) ინახებოდა ბატონ კიტა ბუაჩიძესთან ეს გამოხუნებული, ფერგადასული რვეულები და შილოდ მამაჩემის გარდაცვალებიდან ათი წლის გასვლის შემდგომ იხება განგების ძალამ, ეს მოგონებები ჩემს ხელში მოხვედრილიყო. უცნაური განცდით ვხურავ ამ კიდებშემოცრეცილ რვეულებს და კვლავ მახსენდება თითქოსდა საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის ამოთქმული გალაკტიონ ტაბიძის ცეცხლოვანი სტრიქონები:

**მას შემდეგ ორმოცდარვა**

**უმძაფრესი წელია...**

მართლაც უმძაფრესი და უმძიმესი იყო განვლილი ორმოცდარვა წელი. ჩამოთვლაც გაძნელებდა, რამდენი სისხლი, ცრემლი და უბედურება დაიტია ამ წლებმა. შეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო (არც მეორეში დაგვიკლებია ჭირი და ვარაძი). მე შილოდ მკრიალად, ისიც სხვათა მიერ აღნუსხული ფაქტების უმცირესი ნაწილის დამონშებით მოუხაზე განვლილი კომმარული ხანა.

დედნის კეთილსინდისიერად მოშაბეზა არ არის იოლი საქმე, მაგრამ ჩვენს დღევანდელ პირობებში არანაკლებ საძნელა სასტამბოდ გამზადებული ხელნაწერის ნიგნად გამოცემა. ამის გაკეთება ხელმოკლე კაცისათვის, როგორც ჩანს, არც ძველად ყოფილა მთლად იოლი. დიდ გერმანელ ასტრონომსა და მათემატიკოსს იოჰანეს კეპლერს (1571-1630) გამოუცემელი დარჩა ბრწყინვალე იუმორით, გონებამახვილობითა და ღრმა ცოდნით დანერგილი თავისი განთქმული მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაშრომი „ძილი ანუ მთვარის ასტრონომია“, რომლის დასრულებისა და დასასტამბავად გადაცემის შემდეგ უცნაური ძილქუმი დავუფლა და აღარც ვაგმოდვითა, როგორც წერენ, მისი სული მთვარის მიღმა სამყაროსკენ გაეშურა.

გამოჩენილი სწავლულის ვაჟმა, მედიკონის კანდიდატმა, მაგისტრმა ლუდვიგ კეპლერმა, პესუნის ლანდგრაფს, კეთილშობილ და განათლებულ მთავარს ფილიპუს (ასეთი ხელწიფენი საკმაოდ იყვნენ საგრაფოებად დაყოფილ მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანიაში) მაინის ფრანკფურტიდან თხოვნა გაუგზავნა, რათა გულმონყალე მმართველი გარდაცვლილი მამის ხელნაწერის გამოქვეყნებაში დახმარებოდა.

ამ თხოვნა-წინათქმაში ასეთი რამ წერია: „რაც არ უნდა იყოს, შეიღმა არ უნდა მიწ-

ქმალის განთქმული და პატივდებული სახელი მაშისა. თუკი მას გამჩნევი უნდა შექვი არ მისცა, რომ თავისუფალიყო შენგე ნამრავლის, შეძლებისდაგვარად ის მაინც უნდა ქნას, მშობლის ღვაწლს არაფერი დააკლდეს.“

წინამდებარე წიგნის გამოცემისთანავე, მამაჩემის მიერ გაკეთებულ მრავალ მადლიან საქმეს ეს ერთიც მიემატება, მაგრამ ჩემი მიზანი უფრო ის გახლავთ, თვით ამბავთა მთხრობელი, უკეთილშობილესი პიროვნება გევანჯი ჩიქოვანი და მისი დიდად საინტერესო, მართალი თავგადასავალი ნარეუდგინო ჩვენს საზოგადოებას.

მარკ შაგალი ავტობიოგრაფიულ წიგნში თავის მამაზე ამბობს — რა ვთქვა, როგორ შევფახო კაცი, რომელსაც ფასი არ დავედებაო. იგივე იყო ჩემთვის მამაჩემი. მიჭირს სიტყვის მოძებნა, მის განუზომელ სიკეთეს რომ დახატავდა. აურაცხელი სატანჯველის მნახველი, გადასახლებიდან მაინც ხალისიანი დაბრუნდა, ყველაფრისადმი ინტერესს იჩენდა.

თუმცა თითხმეტი წელნადაი დაშორებული ვიყავით მამაჩემი და მე, მასთან ურთიერთობა ოდნავადაც არ გამჭირვებია; გაუცხოება, ასეთ შემთხვევაში რომ ხდება, არ მიგრძენია. ქკუის დარიგებით მამა, მაინც დამაინც, არ მამეზრებდა თავს. გაფრთხილებით კი მაფრთხილებდა ხოლმე — ისეთი არაფერი შეგეშთხევს, საციხოდ გაგიხდეს საქმე, თორემ სინანული გვიანლა იქნება, საბჭოთა ციხეში მოხვედრილ ადამიანს პირუტყვის ბედიც სანატრელი გაუხდებოა. იმასაც შეტყობდა, კაცს მუდამ ახსოვდეს მთავარი რამე — მოვალეობის გრძობა, უამისოდ იგი კაცად არ ივარგებსო.

მისთვის არ არსებობდა დარი და ადვარი; დღე-ღამის რა დროც არ უნდა ყოფილიყო (შულაძისას, თავსხმამი), თუ საჭიროდ ჩათვლიდა და შატარა პაციენტის მდგომარეობაც ამასვე მოითხოვდა, აეადმყოფს უჭქველად შიაკითხავდა. გადაყოლა იცოდა ახლობლებზე, ნათესავებზე, სრულიად უცნობ ადამიანებზეც. სულო ცოდვილო, ზოგჯერ ისიც მიფიქრია, რომ იგი გადამეტებულად, გამალიზიანებლად კეთილიც კი იყო.

მამაჩემი იშვიათად თუ მოყვებოდა ციხის ამბებს, თავს გადახდენილს; რალაც-რალაცები უფრო სხვებისგან მაქვს გაგონილი. ახალდაპატიმრებული ძალიან დაუტანჯავთ. თავი განზრახ დაიშოვნა, ხმას არ იღებდა, ჩვენების არ აძლევდა გამოძიებლებს. ერთ ექიმს, უფრო კი უვალათს, გვარად რა ზმამეს, ხმა რომ ამოვლებინებინა, პატიმარს სიმწრისგან დაეყვირა, მუხლის თავ-

ზე, სადაც ზემგრძობიარე ნერვებია განლაგებული, ვეება ნეშის დაურტყამს რამდენჯერმე. მამაქმს არაადამიანური ტიპის თვისის გაუძლია და ის ექიმი, მისი „ყოლევა“, გაოცებისგან სახტად დარჩენილა. ერთ გამოძიებელს, ვინმე დალიძეს, ფიზიკური შურეარცხოფა მოუყენებია. სხეას კიდევ უტყვამს, შენისთანებისთვის ჩვენ „ცხრა გრამს“ არ დაინანებთო (მამხანის ტყვიის ნონასა და დახერვტაზე მიანიშნა. მართლაც, ორმოცდაბუთი დღე პყავდათ გამოკეტლი დასახერვტ საკანში). მოუხედავად ყველაფრისა, როგორც ეთქვი, მამაქემი ოდნავადაც არ გაბოროტებულა, მის გულში არ დაუბუდებია შურისძიების გრძნობას. გადასახლებებიდან დაბრუნებულს როცა ვუთხარი, შენს მანამებლებს მოეძებნი და სამაგიეროს გადაუხდომ-მეთქი, გაფითრდა, სამინდად ადელდა, ხელები აღმართა, ამის გაკეთება არც იფიქრო, ისინი ცოდვა ხალხია, იმათი ბრალი არ იყო, ასეთ ყოფაში არა-ადამიანურმა სისტემამ ჩააყენა ყველანი და იმიტომ გამხეტცდნენო. მე თვითონაც არაერთი მაგალითი ვიცი იმისა, საძრახი საქციელის ჩამდენებს მამა ღმობიერად რომ მოქცევიდა და მათზე სასურველი, კეთილი ზეგავლენა მოუხდენია. თუმცა ისიც კარგად მახსოვს, ამკარა უსინდისობას როგორ ვერ ითმენდა და ხასტიკად განრისხებულცი ბევრჯერ მინახავს.

გვანჯი ჩიქოვანი მცირე ნინათქმაშივე აღნიშნავს: „... ჩემი მოკლე აღწერალობით არ ვისახავ არავითარ სხვა მიზანს, გარდა იმისა, რომ ის დაუფტოვო ჩემს შვილებსა და ახლო ნათესავებს, რათა მათ მომიგონონ, როგორც მშობელი და როგორც მეგობარი“. რალა თქმა უნდა, ასეთ ვინჩრ, საოჯახო დანიშნულებასა და ფარგლებს ამკარად სცილდება ეს მოგონებები და, დღესდღეობით, ბევრად მეტ მნიშვნელობას იძენს.

აქვე შეგვიძლია მოვიხმოთ შერეე ქართულის, საკმაოდ ცნობილი პიროვნების მაგალითი და განსხვავებული თვალთახედვა. ეს გახლავთ მეჭვიდმეტე საუკუნის ძალზე ნიჭიერი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე – რჯულგამოცელილი, სპარსეთში, ისპაანში ათუელი ნლობით ნაცხოერები და შპანის თვალსაჩინო მოხელედ, მოურავად ნამსახური კაცი. ძველ აღმოსავლურ სიბრძნეს ნახარები, ეჭვებით, სკეფსისით შეპყრობილი, ნათესავებსა და ახლობლებზე გულგატეხილი გორგიჯანიძე თავისი თხზულების ბოლოს უნდობლად დასძენს: „ძმა და შვილი თუ კარგი ყოფილიყვნენ, ღმერთსაც ვყოლებოდა“.

ახლა ასეთი, რამდენადმე კაცობოძულე თვალსაზრისის საპირისპირად, საფრთხისით მეთურამეტე საუკუნის ქატიმელს მქცხტსანს ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“. სამოც წელს მიტანებული, აუ ნინათგრძნობით შეპყრობილი იესე (შალე იგი, ახალციხისკენ მიმავალი, კიდევაც მოკლეს ლეკებმა) წერს ქრისტიანული ზნეობით, სიბრძნით, ტკივილებით აღსავსე ამ მრავალშრიე საურაადლებო და ქკუის სასწავლო ნიგნს და ნახაკითხად, გვანჯი ჩიქოვანის მსგავსად, თავის შვილებს უტოვებს. ეს მოკრძალებული სურვილი „ცხოვრება-ანდერძის“ თავშივეა გაცხადებული.

„მე, უხადრუკმან და ქემშარიტად დიდად ბრალულმან, ოხეს შვილმან იესემ ვინებე თვით ხელითა ჩემითა აღწერა ცხოვრებისა ჩემისა. ვინათგან ვიქმე დასახვის ქვეყნისა და ცხოვრებისა შვილთა ჩემთასა, ვერ იყო, რათამცა ძეგლიცა ესე დამეტევა მე შვილთა ჩემთათვის.“

ნიშანდობლივი, დამაფიქრებელი და საგულსხმობა ის ამბავი, რომ ვერ კიდევ მამინ, საბოლოო გზაზე დამდგარ იესეს ანუ-ბებს: „არეთული ქვეყნები და რუსის მიზეზით დიდად მოძულენი ჩვენნი“.

უთუოდ სწორი და გასახიარებელია ის დიდი შეფასება, სხენებულ ძველზე ბორის დარჩიას რომ აქვს გამოთქმული:

„ცხოვრება-ანდერძი“ თუმცა იესემ შვილებისთვის შექმნა და მისი უშთავრესი მიზანი საკუთარი ცხოვრების ჩვენება იყო, ამ დოკუმენტურ თხზულებაში თვითმხილველის სიზუსტითა და უშუალობით XVIII საუკუნის 30-80-იანი წლების საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის უამრავი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტი და მოუღენია აღწერილი – ლეკიანობა, ნადირ-შაჰისა და ომარ-ხანის შემოსევები, ალბ-მიცემა და ა.შ. ცოცხლად არის დახატული და ნარმოდგენილი ცალკეული როგორც მალალი თანამედრობის ისტორიული პირები, ჩვენი ნოღანეები, ისე უბრალო ადამიანები, მათი საქმიანობა და ურთიერთობანი. ერთი სიტყვით, ეს ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება საუკეთესო პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის ჩვენი ქვეყნის შესწავლისა და გაცნობისათვის“ (ქართული მწერლობა, ტომი მერვე, თბილისი, 1990, გვ. 620).

ამერიკის შვერთებული შტატების შესამე და ყველაზე დიდი პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი კოლოსალურ, მრავალი დარგის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ფლობდა; მისი თავმჯდომარეობით შემუშავდა და 1776 წელს მიღებულ იქნა საქვეყნოდ ცნობილი დამოუკიდებლობის დეკლარა-



რაცია. ტიტანური ძალისხმევის სახელმწიფო მოღვაწემ, მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაუღალავმა დამცველმა, ოთხმოცი წლისამ დაიწყო „ავტობიოგრაფიის“ წერა და თუმცა მშვენიერად იცოდა, რა მნიშვნელობისაც იყო მისი ნააზრევნი, თავივე განაცხადა, რომ ამ ჩანაწერებს თავისი ოჯახის წევრებს უტოვებდა. მართლაც მრავლისმეტყველი და დამაფიქრებელი ფაქტია.

კარდინალი დე რეცო თავისი სახელმწიფოვეჭილი „მემუარების“ პირველსავე თავში შენიშნავს: „უნიც საკუთარი ცხოვრების აღწერას განიზრახავს, იგი ორ ნაყოფეშა რიფს – პატივმოყვარეობასა და ცრუ თავმდაბლობას უნდა აერიდოს“.

გვანჯი ჩიქოვანის გულწრფელ, სადა მონათხრობს ამგვარი სამიშროება არ დამოქრებია; მას ბაქაიობა, ცუდმედიდობა არ ჭირდებოდა და ყმანელიკაცობიდანვე გამოკვეთილ პირად ღირსებებზე მუდამ ზომიერად, თავმკავებულად ლაპარაკობს. ეს ყველასათვის საცნაური გახდება, ვინც ამ მოვონებებს გულსყურით ნაიკითხავს. შთაბეჭდილება მხოლოდ ასეთი იქნება – ჩვენ სამაგალითოდ აღზრდილი, ყოველმხრივ შემკული ოჯახშიშვილი, ნამდვილი რაინდი გვესაუბრება.

მამაჩემის დატოვებულ წვეულებებში მე ვიხილე და სხვებისთვისაც შეხვედრებში ლაღებინა მართლაც განუხერხებელი პირის როვნების, გვანჯი ჩიქოვანის დიდი კაცობის ანარეკლი, წლების სიღრმიდან მოღწეული სიკეთის ჩაუქრობელი შუქი.

ერთ ძალზე საინტერესო, ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვების უნარით გამორჩეულ რუს მწერალს კონსტანტინ ვაგინოს ნათქვამი აქვს: მეტი წილი აღმიანებისა, თანამედროეობიდან რომ მიდიან, სამუზეუმო ექსპონატებად იქცევიანო. გვანჯი ჩიქოვანის ტიპის კაცი, მისი აღნაგობის, ჩაცმულობის, სიტყვა-პასუხის, მიზერა-მოხერის და ზნეობის პიროვნება დღევანდელ საქართველოში სანთლით რომ ეძებო, ნამლადაც ვერსად ნააწყდება. იგი მთლიანად წარსულის კუთვნილებაა და მისი სახე, თვისებები, რამდენადმე დამაჯერებლად და სრულად, გარდასული დროის ფოტოსურათებსა და ჩანაწერებში თუ იქნება შემონახული. უეჭველია, ბევრი რამის გახსენება შეეძლება მათ, რომელთაც ეს გასაოცარი კაცი პირადად უნახავთ, მოუსმენიათ მისი საუბარი, მისი პიროვნული მომხიბლაობა გამოუცდიათ, პქონიათ ბედნიერი დღეები მასთან ახლო ურთიერთობისა და ამავადაც ცოცხლები არიან.

**P.S.** დასასრულ, დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ქალაქ აბაშის მთავარ ეკიმს, ჩვენი ახლო წარსულის საუცხოო მცოდნეს, შესანიშნავ მწერალსა და პიროვნებას პაატა ქურდოვანიძეს (იგი ან გარდაცვლილი ცნობილი ფურნალისტის აგული დადიანის დისწულია), რომელმაც გვანჯი ჩიქოვანზე არაერთი ძვირფასი წერილობითი და ფოტო-მასალა მომანოდა, ბევრი რამ საარქივო წყაროების მიხედვით დამაზუსტებინა.

31 ივლისი, 1998 წელი



# ნიგნიდან: „ბოლოთქა“

## საუკუნიდან — საუკუნეში...

... ახალგაზრდობა ბობოქრობდა ერის ნუგეშად,  
მაგრამ პასუხად მტრებისათვის შაცრად გამცემი —  
რამდენი იყო მეცხრამეტე საუკუნეში  
პატიოსანი, პატრიოტი ბერყაცები!..

... დრო — დროს ებრძოდა, —  
სხვა ცეცხლი და სხვა ქარი გაჩნდა —  
ახალი ყოფა შეუფერობს, — ძველის დამცემი...  
მეცხრამეტედან გადმოსული აქა-იქ დარჩა  
პატიოსანი, პატრიოტი ბერყაცები!..

... ახალგაზრდობ! —  
გულის ცეცხლი ანახლეთ მუდამ, —  
თქვენი ჭაღარაც  
მწამს იწუნება პატიესაცემი:  
დროს შეოცედან მომღვეწოშიც  
გადაჰყევს უნდა —  
პატიოსანი,  
პატრიოტი  
ბერყაცები!..

## დაბადება

... მახსოვს:  
მზის სხივზე ჩამოვეცივდი,  
ვითარცა თოცზე  
და მუხის კედლის ჭუჭყრუტანიდან  
აგვისტოს დილას შევეყვი ქოხში...

... მახსოვს:  
კარდალა შუაცეცხლზე კვიდა შავად  
და უხმოდ იჯდენ ჯორჯოებზე  
ქალი და კაცი...  
— ბიჭი! —

შესძახა კაცმა რიხით და გაიბადრა...  
ქაღმა კ... თაზე ვადამბო სათუთად ხელი...

და — მომეწონა იჭაურობა!..  
და — დაერჩი ქოხში!..  
და — **ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ** —  
მზის სხივს ზემოთ  
(აღარც კი ვიცი, რა დავწერო —  
„ზემოთ“ თუ „უკან“...)  
და — **ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ** —  
მზის სხივს მაღლა არ ავყოლილვარ!..

## მთაპარი სული

... ხანდახან — რამხელა ვარ,  
ხანდახან — რა პატარა!..  
ხან — ცათა ნათება ვარ,  
ხან — მართლა ვადადარა!..  
... ამ ბოლოს ვატყობ —  
ერწმუნდები თანდათან —

რადაცა დასთმო  
წესმა და ადამთა!..  
... დღემდე თუ გეფარა  
მაღალმა ღმერთმა —  
ვიქნებით მარად  
მართალთან ერთად!..



... სულ სული გვედგა  
 ღვთისგანი ბედით...  
 ყველაფერს ეხედავ  
 წინასწარ ხედვით:  
 ენთება ხეალაც  
 ნათელი ირგვლივ, —

დაიდგამს კვლავაც  
 სიმაღლე ვეირვანი  
 ... კვლავ ითქვას სიტყვა  
 დარბაისლური:  
 — ჯერ კიდევ გვიდგას  
 მთავარი სული!..

**მონუვის წუხილი**

„რაც კაცი ღმერთს ენდობს,  
 ღმერთი კარგს უნამს, არ აუნა“.  
 დავით კურამიძე

... ბედმა აგებურდა-დაგვებურდა,  
 ცხოვრება გაუდაბურდა,  
 კვერცი, წისქვილის ბორბალიც  
 ჩვენს თავზე ერთად დაბრუნდა,  
 თვალში გვევრება გამხმარი  
 მზე, ბრელო, ბარდიც და ბურღაც,  
 უცებ დაგვესხა თავბრუ და  
 უპაურობამ გაგვეგუდა,  
 ურუმი გადაგვიბრუნდა —  
 ვხა მაინც არ ჩანს, ბაბუ, და...  
 ცად მუხმა გადავირიალა,  
 მჭახე ხმით გადახრაგუნდა,  
 ავრგვინდა მრუშე ღრუბელნი,  
 როგორც უღაყნი დრაგუნთა, —  
 დროგები რყინის ბორბლებით  
 ბოვირზე გადახრაგუნდა,  
 ავორდა გუნდა —  
 ზეჯ-მეწყრით

წყალნი შავ-მღვრიედ  
 დაგუბდა, —  
 ხანდახან წალმა მბრუნავი,  
 ჩარბი უკულმა დაბრუნდა!..  
 ... ჩვენო მარადო მფარველო —  
 წარღვნივან დაგვიფარევი! —  
 ღმერთო, არ მოსცდეს ზეავი და  
 ცეცხლმოდებული ღეარები,  
 ღმერთო, შენ გადაგვარჩინე  
 (ცოტას ჩვენც წაგვებმარებით!), —  
 აბრწყინვე ჩვენი მშვეები,  
 ანათე ჩვენი მთვარენი, —  
 მოეც ქვეყანას შვება და  
 დღესასწაულის სუფევა:  
 ერთ მშვენიერ დღეს გვახარე  
 სამღვლი თავისუფლება!..

26.05.99 წ.

**გაიხედე, თუ კმა ხარ!..  
 ვარიანტი**

... ეს ზეცა და ეს მიწდორი,  
 ეს ღელე და მთა —  
 მე არც მომიტანია და...  
 კერც წაიღებ თან!..  
 ამ დალოცვილ მიწაზე  
 ყველაფერი თავდება —  
 რამე თუ არ იწამე  
 უკვდავების თავდებად...

ჯერაც ღურჯა ჯვეწილი  
 როდის დათავთავდება, —  
 ო, რა წელა თენდება,  
 ო, რა ჩქარა ღამდება!..  
 ... ცხადია თუ... სიბმარი,  
 ეხედავ თუ... მელანდება:  
 — გაიხედე, თუ მმა ხარ, —  
 თენდება თუ ღამდება!..

## მონატრეპულ ბიჭებსა თქვენი



ბავშვი კრებული  
ბავშვი კრებული

... ხელს უსაერო ვიხუთავთ ღამე,  
ხმაში (ო, ღმერთო!) გეპიწვევით ზხარი...  
„საქართველოზე გვითხარით რამე...“,  
ემუდარებით ჩამოსულ მგზავრებს!..

.. ეკ, — ვულზე ცეცხლი შემომეკიდა —  
ძლივს ამოვუბდა თქვენი ხმა ზემოთ...  
ადრე წასულნო ამა ქვეყნიდან  
და ჩემთვის მაინც ცოცხალი ძმებო!..

... არსთა განმრიგე ვის და რაი კითხვებ,  
მაგრამ... ყოფნა რომ შევხებოვო  
დიდხანს,  
უთქვით და... მისმინა  
მაღალმა ღმერთმა  
და მათუხალის მიბოძა ბედი —  
მომენატრება შეხვედრა თქვენთან  
და... რა მიშველის  
სიყვდილის მტეტი!..

1967 წ.

## წამსკლულ-მომსკლელის იყოს!..

## „წამსკლულ-დამრწომის“ მიხედვით

... მე მალე წავალ... შერე შენ მოხვალ! —  
შენ მოხვალ — აჰ...  
ხუთი წლის შემდეგ...  
მე არ მჩვევია მუცელზე ხოხვა,  
არც ის —  
წაქცეულს წიხლებით შევდგე!..

... აჰ — „ხუთის“ ნაცვლად  
რომ მეთქვა „ათი“ —  
ტყუილს ვიტყვოდი, —

გუმანში მერდე...  
გახვეული ვარ სიზმრების ხლართში, —  
წუხელ სიზმრების ბუნაგში ვეგდე...  
... ვერ გავარცხევი რაიმე დღემდე —  
მინდა ცის კეღელს  
მჯერდით ეუბნებო...  
შენ მოხვალ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, —  
მოხვალ და... იტყვი ჩემს  
სადღევრძემლოს!..

## შეხიროვნება

1.  
... გადამრიე და გამაგიეყე —  
სანამღი ვინდა მძენძო და  
მოუნთო...  
გადამინისლე, გადამიშავე  
ხულის საეანე...  
პარმალი... ერდო...  
გული ღიობად გადავიშაღე, —  
კლოცულობდი და სანთელი მუნთო...  
რა დაგიშავე!..  
რა დაგიშავე! —  
ამხსენი, ღმერთო!..  
ამხსენი, ღმერთო!..

2.  
... დაბადებიდანე-შეთქი —  
ვერ გეტყვი, მაგრამ...  
მას შერე, რაც ცნობაზე მოვედი —  
დამჩემდა: ადამიანის თვალებში, —  
დიდი ხიზარულის დროსაც, —  
მე ეხედავ ხედას და ნალეკებს,  
ნალეკებს და სევდას!..  
და... მთ უმტებს — ქართულის თვალებში!..

3.  
... სანამღე ვინდა — გეძენძო და გეთენთო:  
— აგვხსენი, ღმერთო!..  
— აგვხსენი, ღმერთო!..

## როგორ იშვირება წინადადება...

... ზოგჯერ ნერვებზე, წარმოსახვით,  
ხელს გადავისვამ  
დასაწყნარებლად...  
და ნებიურად, და მაღლიურად,  
და თეინურად, და დანდობილად  
კრეტუნებს სული, — კატასავით

კრეტუნებს სული,  
კატარული და მოთენთილი,  
დაღლილი სული!..  
უეცრად სისხლი აღლულდება, ამღვლეჯარდება,  
ამქვეყარდება სისხლი ძარღვებში —  
თითქოსდა თავი დაწნასოს



განაბულ კატას...  
 ისეუბებს სისხლი კატასავით,  
 იჭერს თავებს — სიტყვებს, —  
 ჯერ — ერთს... მეორეს... მესამეს და —  
 მილიონ სიტყვას...  
 მილიონიდან გამომარჩევს უფრო საჭიროს,  
 პუნქტიურად მოულაგებს ერთმანეთს გვერდით

და იწერება აზრიანი წინადადება —  
 ვიქვით, აი — ქვეყნის  
 შიგლირთხვეს  
 „ზოგჯერ... ნერვებზე, წარმოსახვით,  
 ხელს გადავიხვამ  
 და — კატასავით  
 გატრუნული კრუტუნებს სული!“

### უსასრულობა

#### 1.

... დროთა ბრუნვაში მიჰქროდა აღუკაზმავე მერანი:  
 ოდენ — თოქალთო!.. და ერთიც, — შუბლზე ცხენს ჯვარი — მეფურად!..  
 ... ცეცხლს ჰკეხდა უკალ ქვიშარზე ფოლადის ფლოქვთა თქერანი, —  
 ვერც ზვატი, ვერცა გრიგალი მხედარს ვერ ემიჯნებრა!..

... როს ნანატრ ტაძარს მიადგა — სცხო მამალმერთომა მირონი, —  
 ლამე შეთენდა ყომრალი, მოალიონდა, მოციყრდა...  
 გაეზე ხელი დაკვრა და ნებას მიუშვა მერანი, —  
 გაყრა იმათი მოქვევდა გაფრას სულის და ზორცისა!..

#### 2.

... დევნით დაოსდა ყორანი, — ვერ უძლო სრბოლას მერნისას, —  
 ზეციურ ხმებში ჩზავილი ჩაიფერფლა და განიბნა...  
 ლეთიე გ'რდმოვლენილ ნათელში აიცამაღლა ვარიბმა:  
 წარსული აწმყოდ იქცია და აწმყო გაიმერმისა!..

29.2000





**ზამთრის მოტივი**

ასრულებდეს თითქოს უმარტივეს მოტივს, —  
ფანჯარაში ნაძვი დაყურებული თოვლით,  
აფახულებს წიწვებს ციმციმით და თრთოვლით  
და პერში ცეცხა მტკვერი მარგალიტის, —  
ეს, ეტყობა, ძილში შეფრთხილდა ჩიტი,  
ანდა ციციქა ციციქა მონაცვლა ტოტი.

**პირისპირ**

არსით ვართ შეუვუები:  
მომღიმარ-დაღრუჯილები,  
კაცებს დაასყდათ გულები,  
არაკაცთ — ღიბზე ღიღუბი.  
საფიხუნოს ჩარჩინი დამსხდარან,  
იმზირებიან ამრეხით,  
ბაზრის სადახლო გამხდარა  
მორჭმულთა სრა-ასპარეზი.

ჯავრი გეჭამს ოხრად დაყიდულ  
ქალ-რძალის, მიწა-წყალისა,  
უთელელ ცხრავლიტულს დაყუდულ  
კაი ყმის, სვეგამწურალისა.  
ერთი ისეთი დიდი დღე  
გათუნდება ჩვენში ოდეს:  
სამშობლოს არეინ ჰყიდიდეს,  
სამართალს აღარ შიოდეს?!

1998 წ. თბილისი

**ფინელ ჯარისკაცის სასაფლავოზე**

აქ არ იციან (აუკრძალა ვინ?)  
უსახელოთა სამშო საფლავი,  
არც სული დაძრწის დაუკრძალავის,  
არც ვმირი კმუნავს დაუდაფნავი.  
აქ განისვენებს ყველა უმაღვე  
ერემლით განწმენდილ-გადანაბანი,  
სალი კლდის უღვეთ თავსახუშპალი,  
ქათქათა თოვლის სურავთ საბანი.  
ქარგავს ელეკრე ზამთრის ვობულენს  
თეთრი სახილვების ათინათები,

არაკის ცეცხლი ჩაუქრობელი,  
არაკინ ბნელში ფეხით ნათელი.  
ირგვლიე ფიჭვები გადანისლული,  
შავი ლანდების ნელი დინება,  
ვლოვა მდუმარე, დარბაისლური,  
ზღვა სინანული და მოთმინება.  
ისე, ვით თოვლზე თეთრი გვირილა,  
უბმო მუსყა, სიტყვა, ფიციე კი,  
ცად განფენილი სული ვმირული  
და შუქჩრდილების მერთალი ლიცილიცი...

1998 წ. კელსინკი

●  
საწუთროვ, რისად გამწორე?  
მიუსაფარი დაველ,  
როს მოუგია მიწიერს  
ბედისწერასთან დავა?!

ნაძლევის გარდასახდელი  
ბეკრეკერ ვიწვნიე მწარედ,

ვერცერთ ოცნებას ახდენილს  
ცხადად ვერ მოვესწარი.  
სიკვდილსაც დაავგვიანდა,  
ქვეყანა დავამძიბე,  
ამაოდ ვემბე ნიადავ  
ბნელში გაბნულ მძივებს.

1998 წ. კელსინკი



**კოლხური ზაფხული**

ვერდენი მამის ხსოვნას  
 სრულყოფილი  
 ზიგლირთხას

მწიფობა თმაგაწეწილ  
 სიმინდებს აღლევებს,  
 ებრაწებათ ღაწეები  
 ღელის პირას ღლევებს.  
 ირხევიან ფოჩები  
 ვეკალიატის თავშლის,  
 ჩანან ოჩო-კოჩებად  
 კაშეჩები ღაფში.  
 საღამოფამს კონცურტი  
 სინესტეში კირის,

ბაყაყების ორგესტრი,  
 კოლოების კრინი,  
 ვასაყების კრუალი,  
 შარიშური შყერის,  
 ცრემლიანი ვუალი  
 მოშიშინე კერის,  
 მოთოცილი ენგურის,  
 წაღვეილი ქეიშის...  
 საღღაც კენესის ჩონგური:  
 — „აჲა სირეკიშო!“\*

1997 წ. თბილისი

**გაზაფხული ბროწეულაში**

ჩემს ეზოში ახლა აღბათ  
 ბროწეული ღუის  
 და ბალახი ფესვით ღამბავეს  
 საბანს ჭია-ღუის.  
 მიჯნურივით ჩაკონვია  
 რაცულს ღერწი ვახის,

ხეჭეჭურის ხეს მჭეჭაღ  
 ღოყოყინა მის.  
 ბუბრის ბოლს თავისად ართავს  
 ცივეომბორის სიო,  
 გადაურჩა ნეტავ ზამთარს  
 ბებო ფედოსია?!

1996 წ. მოსკოვი



\*„შენ ერთადერთი ხარო!“ (მეგრ. ბიმღერა)

## სიკლიდან — „გოდება: ო, აფხაზეთო!“

●  
ო, აფხაზეთო, შემოდგომა ისევ შემოდის,  
ეს მეშვიდეა, არ მეშლება დროის სიხუსტე,  
მაინც შევხარი, უნდა ვითხრა ჩემი სისუსტე, —  
ხელმოყვლედ ვცხოვრობ და არა ვარ ამჟამად მოდის.

მომწვინდა თითქოს ძველი პანგი და მელოდიაც...  
რა ვნა, არა მტყის აღრინდელი დღეს სასოება,  
მიმიძივს ტკივილი, შენს დაკარგვას რომ გამოება,  
და გულის ნაცვლად მკერდში თითქოს ძიძმე ლოდია.

გამიშვლდა, თითქოს გადამხადეს გულის სარქველი.  
დარდს და სატკივარს იქაობა სურს დაიძვიდროს,  
მოწყურებული დავეძებ და მიველტვი იმ დროს,  
როცა დაცხრება ტკივილი და იოფმის სათქმელი.

არ მესწავლება, მწამს, სათქმელი რომ უნდა ითქვას,  
შენც კარგად უწყი, პირველ იყო ღმერთი და სიტყვა.

●  
ო, აფხაზეთო, შენი ტბილი ბუბუთ ნაზარდი  
და ნაფერები შენი მზის და შენი ნიავის,  
სინათლესა და სიყვითლესი ისე გავზავდი,  
ჩემში იოტიც კი არ არის ლაქა ხიავის.

მე შენი მთების დამყვა მადლი და სიამაყე,  
შენი ველების სილალე და ვულგამლილობა,  
შენი ხალი კლდე ჩანჩქერების ცინცხალს რომ აფრქვევს,  
გულს მიაძებ და მოურჩენელს მირჩენს ჭრილობას.

შენი მზავსი ვარ, შენი ასლი და ალი-კალი,  
მზადა ვარ, მოძმის სანაცვლოდაც გაწვირო თავი,  
მოვდივარ შენკენ, გზას მინათებს ფიჭვების კვარი,  
უნდა დავლენო „აოზონატის“ მზაკერული ნაი.

მე შენი დამყვა, მშობლიურო, ყველა სიყვითე,  
მტანჯავს, ასე რომ გამწირეს და შენგან მომკვეთეს.

●  
ო, აფხაზეთო, კარს მოგვადგა სხვა საუკუნე-  
სიახლის მკვლავს სხვა ღიმილი აზის სახეზე  
და, რაკი მხოლოდ სიყვითისთვის ასე გვაქვებებს,  
ეგების შველა მოუტანოს ჩვენს დაჭრილ გულებს.

არადა, როგორ მიგვესვლება ზეცაში ღმერთთან,  
როცა იმჭვეყნად დაგვიღვება განციოხვის ჟამი,  
ხელდარეულნი უმორწალოდ ჭირით და ჟამით, —  
თუ საუკუნის მობრძანებას ვერ შევხვდით ერთად?!

ვეცადოთ, ვველა სატკივარი დროს გაეყოლოთ,  
ეძლიოთ სიავეს და ბოლმისგან განვტვიართოთ გული,  
მონანიებით დაეამყაროთ მშვიდობა სრული  
და მიტყევა გავიხადოთ წმინდა სიმბოლოდ.

მოვინდომოთ და სხვა ტალღაზე თუ ვადავერთეთ,  
ერთად შევხვდებით კარზე მომდგარ ოცდამეერთეს.

●  
ო, აფხაზეთო, მშობლიური ჩემი ხარ სახლი,  
რომ ვერა გებდავ, საშინელი მღრღნიან ეჭვები,  
მე უშენობა ხელს მიშფოთებს და ვერ ვეჩვევი,  
ჩემი სახლიდან მოძალადე ისარს რომ მახლის.

შენ მივალობდი იაენანას ტყბილი პანგებით  
და შენი ლოცვით მატარებდა შენი ბორანი,  
ახლა შენს კალთას თავს აფარებს შავი ყორანი  
და იმ ბორნიდან, ეშიშობ, ხომ არ დაშეკარგები.

მე უფლება მაქვს, შენს წიაღში რომ დავივანო,  
მწეავდეს შენი მზე, მიგრებულეს ხელს შენი ჩრდილი,  
ვიცი, გაწუხებს ნაკვალევი ჩემი, წაშლილი,  
ვიცი, დროებით ჩემს დაყარგვას გლოვობ და ნანობ.

ჩემო გამზრდელი, მოიშორე მკერდიდან გველი,  
წელგამართულმა მომაგებე დედური ხელი.

●  
ო, აფხაზეთო, ისევ იხე გვეზრუნულები,  
ზეცას აღეავლენ უცილობლად შენზე ვედრებას,  
ვინ გამიბედავს საძრახ სიტყვას ან დავედრებას? —  
შენზე ფიქრობენ დატანჯული შენი შვილები.

შენს კალთაში კი იბუდებენ ჭიაღუები,  
კაცმა არ იცის, ვინ საიდან მოეხეტება,  
გეტმასნებიან, გიმრუდებენ სულსიკვეთებას, —  
უბაქმურები, მჩხავანები, გულით ყრუები.

მე ის მაშფოთებს, გვეჯიჯგნება ვაგლახად მკერდი,  
ხარხარებს უშმა და საშინლად წუის მათრახი,  
აღარ დადიან შენს წინაშე რიდიოთ, თავდაბრით,  
დეეს სისხლიანი მუზარადი ლეჩაქის გვერდით.

ისმის ხორხოცი, ღრიანცელი, წუის მათრახი, —  
გადამთიელი გვეჯგნის ურცხვად, ცრუ და ნაძრახი.



# ხვალ, ხვალ, ხვალ...

საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

რომანი

## ხონა

ვინ იყვნენ ისინი, მე რომ მოვედი და ვინ არიან ახლა, როდესაც მივედივარ და ვინ იქნებიან ხვალ, კიდევ რომ მოვალ, თუმცა კი შეიძლება მაშინ სანახევროდ დაცლილი დამხვედეს მინა, რადგანაც იქნებ ადამიანიშვილი მრავალნაცადი მოგზაური გახდეს და კარგა ხნით იყოს ნასული იქ, საიდანაც ასე იდუმალ იმზირებიან ეს მელნისფერი ზეცა და ვარსკვლავები; კიდევ ერთხელ რომ მოვალ, შეიძლება კი დამხვედეს უკან დაბრუნებული და ბედნიერი, მჯდომარე ენით უთქმელი სილამაზის ტახტზე, როგორც თქვა იოანემ, იასპისა და სარდონის ქვას ჰგავდეს სახით, ცისარტყელა იყოს გადარკალული იმის თავზე, სმარაგდის მსგავსი.

ხოზას ჩემი მოგზაურობა გამახსენა ამ ზეცამ, სწორედ ასე მელნისფრად შეფერილიყო, როდესაც დილას აქეთ ქანცგანყვეტილმა ცხენმა ჩემი ძველი მეგობრის, ბახატას, ჭიშკარს შეუფრუტუნა თივისა და სადგომის მოლოდინში. ცარიელი იყო იქნებ ჭიშკრის მიღმა ბახატას სამყოფელი, არადა გულითა და სულით მინდოდა მისი ნახვა და სანამ აქაურ ერისმთავარს, ვარშაყს ვესტუმრებოდი, იმის ქვაბისკენ გამოვნივ. ის იყო ვარშაყის სასახლისკენ უნდა მიმეტრიალებინა ცხენი, რომ ქვაბის კარმა გაიჭრიალა, სადღაც იქით ჩირალდნის შუქმა გაანათა და იმ წუთასვე ჩაქრა.

„შეი, შეი, ბახატა, ბახატა-მეთქი“, — შევევირე იმ ჩირალდნის მერე დაყურსულ სიბნელეს.

ბახატა უცოლშვილო იყო, დები ჰყავდა და დაბოცოდა სუყველანი. მაშინ ბახატამ კაბადუკია დააგდო და აქ, ხოზას გადმოიხვენა, ეს ქვაბი ნახა, გარშემო ღობე შემოაოლო ამ ადგილს, იმ ქვაბს კარი შეკიდა და დაიწყო ცხოვრება. მგონია მას მერე რაც პირველად მოვიდა, თხუთმეტი წელიწადი იყო გასული, მე კი ახლა მეორედ ვიყავი იმასთან ჩამოსული. უზანგზე შევდექი, იმ ჭიშკარს ავაცილე თავი და გა-

ვიხედე, ლანდი დავინახე, სულ ჩუმად აქეთ, ჩემკენ რომ მოინეოდა და ასე გამილულა თავში, ხომ დღის ლანდია ლანე და ლანდის ლანდი რაღა უნდა იყოს, ვინღა უნდა ყოფილიყო ბახატას მეტი და კვლავ გაეძახე სიბნელეს კი არა, ამ სიბნელესა და სიმარტოვეში ლანდად ქცეულ კაცს. ბახატა, ბახატა, გენყინა ჩემი სტუმრობა თუ რა არის, ხმას რომ არა მცემ-მეთქი, ურდულის გაჩხაკუნება გავიგონე და ჩურჩულით ნათქვამი, ეს შენა ხარ, ზაბილონ!

ღამეა და, ალბათ, ამიტომ ჩურჩულებს, თუმცა კი უკვე შეინიშნავდა, ჩვენს მეტი აქ არაფერ იყო და მეც ჩემდა უნებურად ასე ვუთხარი ჩურჩულითვე:

„ბახატა, ხომ მარტო ხარ?“

„ვინ უნდა იყოს, ვინ უნდა მყავდეს“, — კვლავ ჩურჩულით მითხრა მან.

გავიარე ის ჭიშკარი და რაღაც კიდევ ჩაიჩურჩულა ბახატამ, და ველარ გავიგვე, ეწყინა თუ გაუხარდა ჩემი გვიანდელი სტუმრობა.

ასე დამამახსოვრდა ის ღამე.

ქვაბისკენ მიმავალ ბილქს ხეები გარშემოჯარვია და ეს სავალი ჩამუტებული, თითქმის გაშავებული მოჩანს სხვა, ნაკლებად ბუნდ ფერებთან შედარებით. ნიავმა დაბერა უცებ და ფოთლები აფრთხილდნენ ორიოდე ნამით და ისევ გაირინდნენ, სიმყუდროვემ და სიწუმემ დაივიანა ქვაბის ირგვლივ, თუმცა კი ისევ ცოტა ხნით და ისევ მომესმა იდუმალი შრიალი ნიავის, რომელიც, ვინ იცის, რომელ მხარეს იშვა, სადაც არცა ვარ ნამყოფი და არც ვიქნები არასდროს. გვერდით კი ბახატა მომყვება და იმისი ჩურჩული და ფოთლის ფაჩრთი ერთად შეკრულიყო რაღაც უბილავი, ჯადოსნური ძაფებით. ასე გამახსენდა, ბახატას აქვს ნათქვამი, ჩემთან, კოლასტრას იყო ჩამოსული ამ ხუთი წლის წინ, გაუჩნდა თუ არა ფიქრი კაცს, მიხვდა თავის უბადრუკობას, თავის სიბეჩავეს და იმ წუთასვე დაუდგა ხატი თავ-



ვის სიფიადეს, მოუცილებელი და წარუვალი. მაგრამ სადღაც შორს, მე მგონია, ამ მიწის მიღმა ჩანდა ის ხატი შუქმომიწინარე და აქვე მცოცავი რას მიხვედბოდა იმის იდუმალებას, იმდენად ბუნდება და იდუმალს, რომ მხოლოდ თვალისმომჭრელ ხაზებს ხედავდა იმისას და გამონვლილვით ვერ გაეგო იმის რაობა.

მახსოვს ასე ვუთხარი, სად არის ხსნამეთქი.

ბახატამ მომიგო, რა ზნეც სჭირს კაცს, ასეთივე სახე აქვს მიწას. ვიღაც აქ რომ ჩამოადის, უშერს ამ მიწას და უკვე იცის ვინ არიან კაცნი, მქონენი ასეთი თავგადასავლისა. ნუთუ ამდენი ხანი ასე ვაგლახად გვათამაშებებს ამ მიწის ნაშობვეი ქაოსი, და თუ ასე გაგრძელდა (მე კი მგონია გაგრძელდება), შეიძლება აღარც დაედგომოს ამ მზისქვეშეთში.

უცებ შუბლზე ხელი მიიფო ბახატამ, სიტყვა განწყვიტა და რაღაც ფიქრს მიეცა. დაბოლოს, ასე მითხრა, თუ გახსოვს რა აქვს ნათქვამი ეკლესიასტეს, რაც იყო, იგივე იქნება, რაც ხდება, იგივე მოხდება, ახალა არასოდეს არ იქნებაო, თუ გახსოვს, სად არ იქნებაო?

არ მახსოვს-მეთქი, ასე მიუუგე.

მზისა ამას ქვეშეო, ამბობს ეკლესიასტე, მითხრა ბახატამ.

მერე ხელი ჩამკიდა და ჩემდა გასაოცრად ჩამოურჩულა ყურში, ორჯერ გაიმეორა, მზისა ამას ქვეშეო, გაეყურდა, მაშინ მგტი არაფერი არ უთქვამს.

ჯერ კიდევ იმ ხანად კოლასტრას რომ იყო, რაღაც ფიქრი ღრღინდა დაუძინებელი მატლივით და, მე მგონია, ჩემი დღევანდელი ჩამოსვლის მიზეზი ეს გაუთავისებელი აზრი უნდა ყოფილიყო, ახლა კი როგორია მისი ფიქრების გორგალი-მეთქი.

„შენი გოგო რასა იქმს, ნინო? – მომესმა ბახატას ხმა და არც კი დაუცადა პასუხს, ისე მიატრიალა სახე. მე კი თვალწინ დამიდგა, ნინო მიუბუტებია სოსანას და ამინებს. სანათი ბჟუტავს, სარკმლიდან ნაძენარის ბინდნარევი-მოტყობო სურნელება მოიღვრება და უცებ ბათმეს ეზოში იცომ დაიყვება. იმ ნუთასვე სარკმელთან მივედი, მინდოდა დამეხურა, მაგრამ სოსანამ თქვა, ნუ, ნინოს არ ეშინო იცოს ყვეფს.

უსეც ვამახსენდა. პირველად რომ მოვიდა ბახატა ჩვენსას, ნინო იმ ოთახში არ იყო, მერე შემოვიდა. ცხრა წლის იყო მა-

შინ, სტუმარს მიესალმა და იმის წინ დადგა თავდახრილი. მერე ამდენს ამკრულსათ კაცს, გაუღიმა, ხელი წუნებუ მარჯვენა მუხართან მიიყვანა, დიდ მორუქურთმებულ სკამთან, ასე უთხრა, დაბრძანდითო, ძიაკაცო. ერთხანს ჩუმად უშერდა მას ბახატა, მერე კი მიუგო, ძიაკაცო, არა, ჭიაკაცო. დიხხარა, მიეხიყვარულა ბაღლს, შუბლზე აკოცა, დაბოლოს, ასე დასძინა ძლივს გასაგონი ჩურჩულით, შეიძლება მართლაც გახდესო ჭია კაცი.

ქვაბში, სინათლის შუქზე დავიანახე თუ არა ბახატა, თავზარი დამეცა, ძალიან გამოცვლილიყო, დაბურულ ნევრულვამში პირისახე არც კი უჩანდა და ასე გავიფიქრე, იქნებ ამიტომ მესის იმისი ნათქვამი ჩურჩულით-მეთქი. მაცხოვრის ხატის წინაშე დაეცა და ლოცვა დაიწყო. მერე ნამოდგა და მითხრა, ჩემი ღმერთი ისეთია, როგორც უნდა იყოს, რადგანაც მე ვარ ცუდი და იმან უნდა მიხსნას. რანი ვართ ჩვენ – მდაბალი ხორცი, რომელიც ეზიარა რაღაც ნაწილს ღვთაებრივი გონისას და ჰაი, რა ხშირად, რა ცხადილივ ეხედავთ ამას, ეს გონი მორჩილებს ამ ხორცს და ამისი შემცნობელი დღენიადაგ ვესწრავით რაღაც მაღალს რაც მაღალია თავისთავად, თანდათან სულ უფრო და უფრო საცნაური შეიქნება ეს ბუნდი და მოუხელთებელი სწრაფვა და ყოველივეს, რაც ამ მდაბალი ხორცისასა, თავს მოეწლება ამ სწრაფვის შარავანდელი და ის, რაც თავისთავად მაღალია, თანდათანობით გადამოვა ჩვენს სულში და ეს სული გახდება სრული ხატი და ანაბეჭდი ამ მაღალის.

მერე ქვაბში გამოჭრილ სარკმელთან მივიდა, მეც მივეყვი, უსწორმასწორო ნაჭერი გამოჩნდა იმ მელნისფერისა და ზედ ოქროსფრად მოციმციმე-მოელვარე წერტილი. ბახატამ თითი მიაშვირა იმას და თქვა:

„ახევე ზეცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუკი შეგიძლია იმათი დათვლა. აიხედა აბრაამმა და დაითვალა ვარსკვლავები, ანუ, ასე ფიქრობდა რომ ვითვალეო, მაგრამ იმაზე ფიქრით კი არ შეუნუხებია თავი თუ რად სურს კაცს, სურს კი არა ხშირად ოცნებობს კიდევ, ხშირად ნატრულობს კიდევ, იქნებ მიხსნას უფალმა, იქნებ ამომხადოს ასე გაორბეული სული და იქნებ გავხედ არსება ერთი უბრალო სულია – ცის ფრინველი ან სულაც ხე და აღარსად იქნება ეს

ჩემგან ასე მიმძლავრებული მინა და ზეცა, ჩემივე მსგავსნი ან არამსგავსნი. სწორედ ამიტომ, ასე გააფთრებით მიველტვით მაღალს, თუმცა კი ვიცით, ჯერ არ დამდგარა საამისო დრო და ფაში და დღემუდამ ვეცემით ამ ნაადრევი გააფთრებული სურვილის მქონენი, კიდევ უფრო და უფრო ვისვრებით, და ასე იქნება მანამ, სანამ დიდი მოგზაური არ შეიქნება კაცი\*.

ვუსმენდი ბახატას და ვფიქრობდი, რადიდი მოგზაური უნდა ყოფილიყო ადამიანიშვილი, ანუ სად უნდა იმოგზაუროს თავისი ორი ფეხით და, თუ გნებავთ, ოთხივეთი, თუკი ცხენზე შეჯდებოდა. მერე ასე გავიფიქრე, კაცი, ანუ ის რაც ახლა არის, სწორედაც უნდა იხსრაფოდეს გაეცალოს სხვას და ის სხვაც უნდა გაეცალოს მას; შეიძლება ამიტომაც გახდეს დიდი მოგზაური. იქნებ მისი სავალი ამის მერე იყოს მხოლოდ აღმასვლა, რომელსაც არც არასდროს მოჰყვება დაღმართი და იმან, იმ კაცმა, რომელიც ამ კაცის სანაცვლოდ მოგვევლინება, შეიძლება მაღალნიოს იმას, რაც აქამომდე სიზმრადაც არავის არ დასიზმრებია; ასე გადაივლის ყოფნა-არყოფნის საზღვარს.

თითქოსდა ამ ჩემი ფიქრების ექოდ ბახატას სიტყვები ჩამესმა, ამ აბურდული ფიქრებიდან ჯერ კიდევ არ ვიყავი გამორკვეული და თითქოსდა თავად შე ვამბობდი იმას, რაც შესმოდა:

„იქ ადამიანი ვერ ნავა ისეთი, როგორიც ახლაა და თუ არ გახდა ისეთი, როგორიც ახლა არაა. ახლა კი ის არის, მეფე სოლომონი რომ ამბობდა, ძლივს ხედება რაც მინაზება და იმასაც ძლივს პოულობს რაც ხელთ აქვს, ხოლო რაც ცაშია, იმას რას გაიგებს. იქაური ღმერთი როგორია, არ ვიცი და რომ ვიცოდე, მაშინ იმათ წარმომაველობასაც გავიგებ, იქ რომ არიან. სიმდაბლეს ესაძირკვლებათ თუ სიდიადე, თუ სიმდაბლეს, როგორ, რა გზით მიელტვიან სიდიადეს, თავისივე მსგავსთა გვემით თუ უსისხლოდ როგორც ეს ღეთაებრივი ჩამომავლობის არსებათ ხელენიფებათ ან თუ იქნებ ჯერ მდაბალი იყვნენ და მაღალი გახდნენ და აღარ სჭირდებოდათ ღმერთი, რადგანაც უკვე თავად არიან ღმერთნი, თუ იმთავითვე მაღალნი იყვნენ სულაც\*.

მერე ჩვეულებისამებრ შუბლზე ხელი მიიდო და ასე გაირინდა, ცოტა ხნის მერე ისევ გავიგონე მისი ხმა:

„იქნებ მე აქ არა ვარ დაბადებული, იქა ვარ (ისევ მიაშვირა იმ მელქისედეკს მსგავს ხელი) და ახლა რაც მეფედაც არც შეგია, რაც იქ მერქვა და რაღაც ძალიან გამოსაცდელოდ აქ გადმოშისროლა და ნამგვარა რაც იქ მქონდა და ახლა ის ვილაც, რომელმაც უკედავთ სამოსლისგან განმძარცვა და მოკედავთა სამოსლით შემოსა, მიმზერს და ფიქრობს, თუ ამალღებოა ისევ\*.

კვლავ გაჩუმდა. მე კი არ მინელდებოდა ყურში ეს მისი უცნაური ჩურჩული და ამისდა კვლავ თითქოსდა ცხადელივ ვხედავდი იმის განანამებ სახეს. იმ სარკმლის ბინდში ზღაპრულ არსებას დამსგავსებოდა ეს დაბურულ წვერულვაშიანი კაცი და უსწორმასწორო ჩარზოდ გარშემოვლებოდა ის სარკმელი:

„და ერთხელ იყო დასწყველა უფალმა ადამიანიშვილი, შენ იქნები ის, რასაც იქმ და არა ის, რაც გინდა რომ იყო. შენ ის კი არა ხარ, რასაც ამბობ, არამედ ის, რასაც იქმ. ამას რომ მიხვდები, იქნებ მერე იხილო ხსნის გზა და კაცის მთელი უბედურება ის არის, რომ ისე მიელტვის მაღალს, არც კი იცის, რა არის მაღალი\*.

აქ სიტყვა განყვიტა ბახატამ, გაჩუმდა, მგონია აღარ უნდოდა, თუ აღარ ძალუძდა ამ თავისი სათქმელის გასრულება. მერე მოცილდა სარკმელს და დიდხანს, დიდხანს შელაპარაკებოდა, კარგად მახსოვს რასაც მეუბნებოდა, აქ მხოლოდ ნალექი უნდა გამცნოთ იმისი ნათქვამ-ნაუბარის, ჭურში ნახევარი საუკუნე მდგარ ღვინოს რომ აქვს, ისეთი — ჩვენს მიღმა არისო სხვა სამყარო, არა მარტო სხვისი, ჩვენიც, სწორედ ეს არის კაცისთვის გულის მომკვლელი, ჩვენიც რომ არის და მანაც შორეული და მოუხელთებელი. დღეს ასეა. შორეული და მოუხელთებელი არა მარტო ის, რაც შორეული და მოუხელთებელია სიერციტა და დროით, შორეული და მოუხელთებელია ისიც, რაც ჩვენი სიერციტა და დროის საზღვრებშია მოქცეული. უფალმა ასე რად გავგნირა, ანუ რა ცოდვის საზღაურს ვიძიოთ, რომ ჩვენი სამყარო ახლა იმ სამყაროს მიღმაა და ჩვენც ამიტომ შემზარავად უცხონი ვართ ჩვენივე თავის. და მე მგონია (ასე ამბობდა ბახატა) ჯერ უნდა გავხდეთ მეუფენი ჩვენი სულის დრო-ფაშისა და სიერციტის, მერე სხვისა. თუ ხედავ, ზაბილონ, ორი დიდი უფსკრულოვანი გვაქვს გადასაცვლელი.



ნათელი იყო, რალაც ერთი ფიქრი აწვალუბდა და ესლა მინდოდა გამეგო, ჯანსალი გონების ნაშობევი იყო ეს ფიქრი თუ შედეგი იმ აბურდული ზმანების, მარტოდ მყოფ, ქვაბს დაყუდებულ კაცს რომ ესტუმრება ხოლმე და აღარ სცილდება.

დღეს, თქვა ბახატამ, მითაგორა რომ ამბობდა ასეა. მიწასთან პაერი გახრწნილი და მენება და ყოველივე რაც ამ პაერშია, მოკვდავია, ხოლო უმაღლესი პაერი მარადმეფინია, ნმინდა და მრთელი, ყოველივე რაც იქაა, უკვდავია და ამიტომაც ლეთაებრივი და როცა ინანა უფალომა, რად შექქმენიო ადამიანი, მიხედა რაც სჭირდა იმას, მიწის მტვერიაო და აღარ უნდა იყოს იგი მიწის მტვერი.

შეგრდა აქ ბახატა, სული მოითქვა და ასე განაგრძო, რაც ამის მერე მითხრა, სიტყვა-სიტყვით მინდა ამჯერად გამცნოთ:

სხვა მზისქვეშეთში რომ ვყოფილიყავით, იქნებ ისეთი არ ვყოფილიყავით რაც ვიყავით, ანუ სხვა მზისქვეშეთში რომ ვიქნებით, ისეთი არ ვიქნებოდით რაცა ვართ, და სულ მუდამ მიელტვის ადამიანიშვილი იმას, რასაც იმისი სულის ცხრა კლიტულში ერთი მტკაველი სისქის მტვერი ადევს და მხოლოდ სხვა მზისქვეშეთში გამოშვურდება. მხოლოდ ამის მერე ვიხილავთ იმ სიმაღლეს, რასაც ბუნდად ვგრძნობთ, დამარხულია და არა ჩანს, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ყოვლისშემძლე მოგზაური ვახდება იგი, მოვა დრო, კაცი შეჭამს დროს და მოგონებად დარჩება ის დრო, დრო რომ სჭამდა კაცს. ხვალ იქნებ იმ უცხო, სულ სხვა ფერის მზის ქვეშ განიბანოს ეს ჩვენი ცოდეგები და იქნებ ასე განბანილი უკან დაეზრუნდეთ და გვეცოდინება უცხო ზეცის მტკაველით გაზომვა, უცხო მთებისა და მთაგრეხილების სასწორზე აწონვა და უკვე მიმხედარი იქნებით, რაც მიწაზეა, დაღლილ-დაქანცულია, ქალამანივითაა გაცვეთილი, დაბზარულია ძველი ხიდივით ჩვენი ფეხმოუცვლელიობით. და მერე ასე ვიტყვით ცრემლორეული, პაი რანი ვყოფილვართ თურმე და აღარ ვიქნებით, აღარ უნდა ვიყოთ აღარასოდეს. და იმ მზისქვეშეთის ნათელი ამ მზისქვეშეთის ნათელს რომ შეუერთდება, რა ყოვლისშემძველი სინათლე იქნება და აღარსად იქნება მტვერი, რომელიც მტვერია და მტვერადვე უნდა მიიქცეს, იქნება მხოლოდ ნათლის სვეტი უსასრულობას მიბჯენილი”.

ამის მერე, კარგად მახსოვს, რალაც კიდობანი ახსენა ბახატამ და მსახრამთქვს, კი ვიცით რა ქნა იმ კიდობანმა, მსახრამ ისეთი ველარ გვიშველის, იმას ხომ ჩვენი მზისქვეშეთის მთაზე აყვანა შეუძლია მხოლოდ.

კარგად მახსოვს-მეთქი, იმიტომ გვუბნებით, რომ ეს ამბავი (რალაც კიდობანი რომ ახსენა-მეთქი ბახატამ) იმ დღეს იყო, ანუ, უფრო სწორად, იმ ღამის მერმინდელ დღეს იყო, როდესაც იმ გამოქცეულში მძინარეს მეზმანა ზღვა და ხომალდი, ზღვა ცისფერი, პაერზე უმსუბუქესი და თითქოსდა სასრულსუქონელი იყო იმ ხომალდის სავალი, თუმცა კი რაც უნდა გაუთავებელი იყოს სავალი, მაინც ხომ უნდა მიადგეს რალაც ნაპირს. სწორედ რალაც ნაპირი უნდა მეხილა, რომ ხმაურმა გამოძალიდა. სწრაფად ნამოედექი და გარეთ გავიხედე, რბილი და გრილი სიბნელე გარშემომხვია. ღია დარჩენოდა კარი ბახატას, ნიავემა თუ შეათრთოლა და ჩუმი ქრიალი ალბათ მაშინ მომესმა მძინარეს.

შემოვედი, დაგნეკი, თვალი დაეხუჭე, აღარ დამეძინა, ისევე ადევტი და ბახატას სენაკითა რომ ჩავიარე, პოი, საკვირველებზე, მისი ჩურჩული ჩამესმა, ჯერ ბუნდად მესმოდა მისი ხმა, თითქოსდა ვილაცას ელაპარაკებოდა იგი, მერე უცებ ასე გავიგონე ნათლად და მკაფიოდ:

ვილაცა რომ ჩამოვა გარესკნელიდან, ვილაც უცხო გარესკნელიდან, მხოლოდ ის თუ მიხვდება რაცა გეჭირს, ის თუ მიხვდება, ვილაც უცხო გარესკნელიდან, მხოლოდ ის თუ გვიშველის, ის თუ გვიშველის, ვილაცა უცხო გარესკნელიდან, ვისაც ასი თვალი აქვს და ასი ყური, სულის გარეთ, გარემოცვეული და კიდევ ასი თვალი და ასი ყური, სულის შიგნით, შიგნით მიქცეული, ვილაცა უცხო გარესკნელიდან”.

მერე მცირე ხნით გაილია ის სიზმარული ჩურჩული და კვლავ მომეახლა:

აჲ, ვიხილე ვილაც მოსული გარესკნელიდან, ჩვენსას მოსული გარესკნელიდან, შეჭირვება ნახა ჩვენი ჩვენსას მოსულმა გარესკნელიდან. ამ სიშორეზე ჩვენსას მოსული გარესკნელიდან ძლიერი უნდა იყოს და უნდა იყოს ბრძენი და იყოს მეუფე ჩვენ აქ, ამ სიშორეზე ჩვენსას მოსული გარესკნელიდან”.

მეორე დღეს, კარგა ხნის გათენებულ იყო უკვე, ნამომავონდა ის კიდობანი რომ ახსენა წინადღეს, ასე გავიფიქრე,



ვკითხავ-მეთქი, თუ ბახატა მეტყოდა, ურთხელისა უნდა იყოსო ის კიდობანი, მაშინ ასე თუ ისე ჩაეხვებდებოდი ამ მისი სულის საკვირველ მოძრაობას. ცოტა ხნის მერე, ვითომ სხვათა შორის ასე ვუთხარი: „ურთხელისა უნდა იყოს, ჩემო ბახატა, ის კიდობანი?“

გაოცებული დამაცქერდა ბახატა, ბოლოს ასე მითხრა, მართლაც, ვინ იცის, შეიძლება უზრალო დამთხვევა იყოს, შეიძლება „ურთხელს“ შეგაფედეს ის სიტყვა თავისი ასოებითა და ბგერებით, თუმცა ამას დღეს ვერ გავიგებთ, მაგრამ ეს კი ვიცო, არც არაფერი იქნება, რადგანაც (რა გულის მომკვლელად დასძინა მან) ამას ბევრი ხვალ უნდა და ის კიდობანი ხვალ დაგვჭირდებაო.

ვხედავდი, უიმედობა და იმედი, უსასოება და სასოება ებრძოდა ამ კაცში ერთმანეთს და გამოსაფლავს ეძებდა, დაბოლოს, ისე გადაენასკვა ერთი მეორეს, რომ დიდი ხნის მერე თუ მოახერხებდნენ ერთმანეთის დაცილებას, მაშინ გასრულდებოდა სიმღევე, აქამომდე გაუთავებელი, მუდამდე ადამიანიშვილის დამამცრობელი ძალების ქიდილი და ასე შეიქნებოდა ღირსი იმ ღვთაების, რომელმაც თავისი ნათელი-სასტიკი მაგალითი აჩვენა მას ორივე ერთად, ერთდროულად თუ რა არის იგი და რა შეიძლება იყოს, და რომ ის ღვთაება თურმე არ ყოფილა ჩვენთვის უცხო და მიუწვდომელი და რადგან ასეა, ასეა საეარაუდებელი, მოვა დრო და ჯერ კიდევ სრულიად ვერგამომზევრებული ჩვენზე არსის მემვეობით გახდება ნათელი და მისანვდომი. მაგრამ ის კი არ ვიცით, როდის და როგორ! ზუსტად-მეთქი, თორემ ისე, დაახლოებით, იმ მაგალითის ძალით უკვე ვიცით როგორ, მაგრამ საბოლოოდ და გამონვლილვით ამის მოსაძიებლად ის საშინელი, ზოგჯერ უსამველოდ მდებარე და ზოგჯერ უსამველოდ მაღალი ზღუდენი გვაქვს გასავლელი, იმას კი ჩვენი სული ქქვია და რომლის სანყაული მირიადია და თავისთავადაც მირიადი, თავის ნიაღში მრავალი და მრავალი მირიადი უნდა იყოს, იმდენი, რამდენიც უფალმა მიანიშნა აბრაამს.

დაახლოებით ისიც ვიცით, როდის, ანუ ის ფაზი და დროება ერთი რომელიმე ხვალეა და თუ იმ ხვალის მცირეოდენ ნაწილს დღეს თუ არ მივაკვლიეთ, განწირულნი ვიქნებით, რადგანაც კაცი მრავალი თუ არა, ერთი და ორი საფეხურით მაინც უნდა

ამაღლდეს სახვალიოდ და იმ ხვალეთა მწვერვალზე მოსაქცეულნი წმინტების, რამდენი საფეხური აქვს ასევე მწვერვალს.

ნამით ამ ჩემი ფიქრების ნიაღში ეჭვის სიმმა დაჰკრა, ნუთუ ეს შესაძლებელია, ჩემო ბახატა, თუ ეს შენი ნაგვემ-ნატანჯი სულის საამური ოცნებაა, რომელიც აქ, ამ მხარეს, ხოზას, ასაზრდოებს შენი საკუთარი და ღვიძლი სიცოცხლის ხეს და ასე ებრძვის ადამის მოდგმის ნუთისოფლის სიმრუდეს. მაგრამ თუ ეს ასეა და მართალია ეს ეჭვი, მაშინ ხომ არსებობენ დროისა და ფაზის მიღმისეული სივრცეები, მაგრამ სად, ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუმცა კი სადღაც უთუოდ არის და კაცი ნელ-ნელა, თანდათანობით, დიდი ნვალებით მიაკვლევს იმთა ადგილსამყოფელს.

## მცხეთა

ესე ანასტო და ქმარი მისი უშვილონი იყვნენ და ფრიად სწუხდნენ. სიყვარული იყო და უნაყოფო, სიღამაზე იყო და უღამაზო, რადგან გამხმარი ჰქონდათ სინორჩის ხე, როდესაც არა ჩანს სინორჩე მათი, საკუთარი, ღვიძლი, იმ მომავალ საუკუნეებს მიახლებული და მარადიული, რამდენადაც შეიძლება მარადიული იყოს ეს ცა და ეს მიწა. გული დამითუთქა ანასტოსა და მისი ქმრის სიმწუხარემ და მიხსნა უფალმა, გამომეცადა კაცი ნათლისფერი ნეტავი თუ შეიძლება კაცი მთლად ის იყოს რაც არისო, თქვა ბათმე ბიძიამ და სარკმელში გაიხედა. ის დღე იქვრიტებოდა სარკმლიდან, იმ დღეს (იმ დღის საღამო ხანს) ესეც თქვა მამამ, კიდევ იქნება მხოლოდ ზეცა და მხოლოდ წყალი, მაშინ მოვა კაცი ქუმმარიტი, რადგან აღარ იქნება ეს ძველი მიწა მისი მომლორებული და მაცდუნებელი, იქნება კაცი ვითარცა ფრინველი და ვითარცა თევზი, ღრენა არ იცინას ფრინველ-თევზებმა და მარქვა, ნაძვია ერთი ამ ზაღში და იმის ძირში ვაზი, მცირეოდენი მიწა აილე იმ ადგილიდან და კაცს შეაჭამე. აღარ იქნება ის, ანასტო, ვილაცის არამშობელი, ვითარცა ის დიაცნი, მრავლის, მრავლის არამშობელი რომ არიან, სამარე აღარ იქნება, ნალკოტი იქნება იმისი, ვინც დაიბადება იქნება ბავშვი სხვა სამყაროში, ის სამყარო ისეთი იქნება, სადაც სამუდამოდ დარჩება ადამიანიშვილი



ბავშვად, იქნება გონებაგრცელი და იქნება დიადი, აღბეჭდილი ბავშვური სინამდისით, რადგან ხომ წმინდა და უსუსური იბადება ბავშვი, იმდენად უსუსური და იმდენად წმინდა, რომ არ ძალუძს აირჩიოს თავისი ქვეყანა და თავისი მშობლები და ენა თავისი. ის წმინდა და მშვენიერია, და ჩვენ, იმის გარშემო, ნებით თუ უნებლიეთ ვსვრით იმას და ისიც ასე დასვრილი, ან უკვე უწმინდური და დამცრობილი, ვალევს თავის წილ ნუთისოფელს, რაკილა თურმე, დაბადების დღიდანვე შეგადებენ იმ გალიამი, რომელსაც მისი ქვეყანა ჰქვია და მცველები ამ გალიისა ხალხი და ენაც მისი, თუკი რაღაც ბომონს სცემენ თავყვანს. თავიდათავი ის არის, როგორი ქვეყანა დახედება მას, როგორი დედ-მამა დახედება მას და ეს არის აკვანი ქვეშარბიტი, თუ წმინდაა ეს აკვანი, მხოლოდ მაშინ იქნება საშობი აქაც, ამ მინაზე და იქაც, სადაც ეს ბავშვი ავა თუ მივა. მაშინ ერთი ამბავი გვიამბო ბათმე ბიძიამ, კოლასტრას ახლოვე სოფელ მესამი ორი ბავშვი დაკარგულა. სულ ჩვილები ტყეში გაფოფხებულან თურმე და დედა მგელს უწოვებია იმათთვის ძუძუ. მხოლოდ რვა წლის მერე უპოვიათ. რადგანაც ასე მომხდარა, იმათი ძველი სახელები ასე გადაუკეთებიათ, ახლა ასე ეძახდნენ - მგელიკა და მგელკა. ბევრი ეცადნენ, მგლობდა ვერ მოაშლევით, ოთხზე დარბოდნენ, იფხოჭნებოდნენ, იღრინებოდნენ, იკბინებოდნენ. დედა მათი, სულიზა, ამ დარდს გადაჰყოლია, ნეტავი დარჩენილიყვნენო იქ, სადაც იყვნენ. ათ წელიწადში მხოლოდ ათი ოდე სიტყვა ისწავლეს და მე მგონია, ასე ამბობდა ბათმე ბიძია, თუ ისინი ამდენი ხნის მერე მგლებთან ყოფნის შემდეგაც მგლებადვე დარჩნენ, ასეა სავარაუდებელი, რომ ჩვენს, ადამის ძეთა წიაღში, ანუ, ჩვენს ადამიანების გარემოში არის რაღაც, რაც იმთავითვე მუსრავს ჩვენი შვილების სულიერებას, და თუ შეიცვლება ეს ჩვენი წიაღი, ვახდება მაღალი, ისინიც შეიქნებიან ღირსნი ამ წიაღისა თუ გარემოსი.

უფლის ბოძებული რაღაც ნიჭი, რომ მას შეუძლია გახდეს მსგავსი მშობლებს, მოშიც ინყებს ცხოვრებში...  
 სწორედ ასე უნდა იყოსო, მიუვო ბათმე ბიძიამ.  
 ანუ, თუ ვთქვათ, განაგრძო დედამ, ადამის ნაშეირი ბალი შეიძლება ვახდეს მგელი მგლების წიაღში...  
 მო, ჩემო სოსანა, სიტყვა გაანყვეტია ბათმე ბიძიამ, მხოლოდ ადამიანის ნაშეირ ბალს აქვს ასეთი ნიჭი, ხოლო ვთქვათ, იგივე მგლის ნაშეირი ლეკვი, სადაც არ უნდა მოახევედროს განკვებამ, მთელი ცხოვრება მაინც ვერ მოიშლის მგლობას.  
 ხოდა, რახან ასეა, უთხრა დედამ, უკვე დამტკიცებულად შეიძლება თქმა, ადამის ძის ნაშეირი ზნემაღალი, ზნეკეთილი, ზნედაცული ვახდება, მაგრამ მთელი ჩვენი ოდინდელი და გაულეკელი უბედურება ის არის, რომ ეს ჩვენი, ადამის მოდგმის გარემო არ არის ზნემაღალი, ზნეკეთილი, ზნედაცული და მხოლოდ ერთეულები თუ შეძლებენ ხოლმე ზნედაცემულობის მომკადნიერებელი ზეანჯრებიდან თავის დაღწევას.  
 მართალს ამბობო, სოსანა, თქვა ბათმე ბიძიამ, კაცის მთელი ძალისხმევა, ვერ ვიტყვი რამდენადმე მაინც გათავისებული-მეთქი, უფროვე ქვეშევსეული ძალისხმევა სწორედ აქეთაა მომართული და დადგება ფამი, როდის არ ვიცო, რომ ის დაინყვებს ამ ძალისხმევით მოპოვებული მაღალი სულიერების წიაღში ცხოვრებას. შეჭამა იმ კაცმა ის მინა, რომელიც ნაწილი კი არ იყო სამარის, სიცოცხლის დასაბამი ვახდა და ესვათ შვილი.  
 ხუთი წლის ვიყავი მაშინ, უთხრა ბათმე ბიძიას დედამ, სიტყვა გავანყვეტე, აღარ დავაცადე, კაბის კალთაზე ხელი მოვიკიდე, და ასე ვკითხე დედას (მერამდენედ კითხულობს ამას ბავშვი და ვინ იცის მერამდენე ვიყავი მე, ვინც ამას კითხულობდა, სწორედ ისევე, როგორც, ვინ იცის, იმ ოც დღეში მამას იმ ზაფხულს ზღვისპირზე რომ ვყავდი, უკვე მერამდენე ფერად-ფერადი, გამჭვირვალე კენჭი მომეგროვებინა. ზღვა თავისი სლიპინა ენით ამოლოკავდა იმ კენჭებს და იმ ნაშხვ ჩქაფუნით გამოაჩენდა იმათ სვარაკო სილაშხვს. ახლა კი ისიც ვიცო. თურმე ის დღეები ზღვა ჩუმი იყო და

შენ იმისი თქმა ხომ არ გინდაო, თქვა დედამ, ადამის მოდგმის ბალღში არის

აუბობოქრებელი, საამურად მფშვი-  
ნავი); ვინ ვარ მე, დედა-მეთქი. შე-  
რომხედა დედამ, კარგა ხანს მიყუ-  
რებდა, მათვალისწინებდა, რალაც  
უნდოდა ვთქვა, მერე გაიცინა და  
მითხრა, ამ ხუთი წლის წინათ ერთ  
ბაღში ვიყავი. უღამაზესი ხეთა წვე-  
როკინები ზეცას ებჯინებოდა და იქ  
ერთი ველობიც იყო მშვენიერი, ნა-  
ირფეროვანი ყვავილებით მოფენილი,  
და ანაზდეულად, ერთი რომელიღაც  
ყვავილიდან გამოხედი მენ, შვილო,  
ასე მომაცხებ, შენ იყავიო ჩემი დედა.  
მე ვუთხარი, ჩქარა მარჯვენა ის ყვა-  
ვილი. თავი აღარ დავანებე, ორი  
დღე ვეხევენბოდი, ორი დღე-მეთქი,  
ხოლო ის ორი ღამე ცუდად მეძინა,  
ვმფოთავდი და კვანესოდი, მესამე  
დღის დილა რომ გათენდა, გათენე-  
ბისთანავე ნამიყვანა დედამ იქ, სა-  
დაც ველი იყო კოლასტრას ახლორე,  
ყვავილები, ყვავილიანი იმ ველზე  
ყველგან. რომელია, რომელია, დედა-  
მეთქი, ვეუბნებოდი. ერთი ყვავილი  
მონყვიტა დიდრონლურჯფურცლია-  
ნი ნეტარნი არიან დედაქემისნაირები და  
ნეტარნი არიან ისინიც, ვისაც მრავალ-  
გზის უხილავთ ის ბავშვი, რომელიც არც  
არასდროს პუოლიათ ხორცის დამდბ-  
ლება სულის ამალღებაა, თქვა დე-  
დამ და მე გამომხედა და კიდევ  
ასე თქვა, თუმცა შვილიერებაც არის  
ამალღება სულის. პო, პო, არა, არა,  
ამბობდა სარა ნიაფორი, წარუვალი  
და წარმავალი ერთმანეთს შეჭიდუ-  
ბიოო. მე ვარქვი იმათ: ძალითა ქრისტესა,  
ძისა ღვთისა, დაუსაბამოსი, რომელიც  
თანამოსაყდრე არის მამისა და სულის  
წმიდის, ჩვენი ხსენითვის განკაცნა,  
ჯვარს ეცვა, დაიფლა და აღსდგა მესა-  
მესა დღესა, ზეცად ამალღდა, მარჯვე-  
ნით მამისა დაჯდა და კვალად მოვალსა  
მაგრამ ხომ არის სინათლე ქვეშა-  
რიტი, რომელიც სულ მუდამ იქნება  
ქვეშარიტი და ამიტომაც უნდა იყო-  
სო ქვეშარიტი.

შეიძლება გვაცდუნოს ამ სინათლემ,  
რადგანაც სინათლე ხშირად მალავს  
უკუღმართობასა და სიმრუდეს, და რო-  
დესაც ამას მივხედებით, მაშინ მოგვაბ-  
ლება სინათლე ქვეშარიტი.

ვიცი, ვიცი, როგორია ქვეშარიტება,  
ამას ბოლო გვამცნობს იმისი, ამ ბოლოს  
მიხედვით გამომშვეურდება იგი, მაგრამ

პაი რომ ამ გამომშვეურებას ერთი კაცის  
სიცოცხლე არა პუოფნიტ *მეწიწე* ქვეშარიტი  
თავდაღმართზე თუ აღმშვეურებ-  
ს ურემს, შეიძლება ცოცხალი არ იყოს, შე-  
იძლება სხევის, იმის შემდგომ მომავალს  
გადაუბრუნდეს ურემი და ამ ურემის ისევ  
თავის თვლეზე დაშვერებული ერთი-ორი  
საუკუნის მერე დაიბადოს სულაც. ხოდა,  
რახან ასეა...

კი გვეცოდინება რაც იყო, მაგრამ იყო  
ხომ წარსულია და არც არაფერი არ ეშვე-  
ლებაო, თუმცა კი შევლიან ვითომც და ის  
კი არ იციან, რომ სიძველის მიუხედავად  
წარსული ახალ-ახალი ნიღბებით გვევლი-  
ნება მუდამდღე.

ალიარა ქრისტე იმ ცოლ-ქმარმა, და-  
მემონაფენენ ფარულად. ქალაქის გარეთ  
ეპოვე ერთი ბუჩქი მაყვლისა და ეს ადგი-  
ლი გახდა ჩემი სამყოფელი, გვაკეთე და  
აღმართე ჯვარი ნასხლევის ჯვარს ეცვა  
იმიტომ, თქვა მამამ, რომ დავაგდოთ  
მდაბალი და ვეზიაროთ მაღალს. ბათმე  
ბიძიამ უთხრა, რა არის მდაბალი  
და რა არის მაღალი. უფლის შეწე-  
ნით თუ თავისით ნახავს კაცი ძა-  
ლას იმის გასაგებად რა არის ქვე-  
შარიტად მაღალი და ქვეშარიტად  
დაბალი, სრული ქვეშარიტება არა-  
ამქვეყნიურია. მამამ თქვა, კი, მისი  
შეწევით აუცილებლად, მაგრამ ისე,  
თითქოსდა თავად ნახა ის ძალა.

ცოტა ხნის მერე ასე დასძინა, ქრის-  
ტემ ვანუტხადა თავის მონაფუტებს, იერუ-  
სალემს უნდა ნავიდე და დავითმინო  
გვემა-ნამება უზუცესთავან, მღვდელ-  
მთავართავან და მნივნობართავან, სასიკ-  
ვდილოდ მივცე თავი და აღესდგე მესამე  
დღეს. პეტრემ გაიხზო და კიცხვა დაუნ-  
ყო: შორს შენგან, უფალო, ღმერთთა ნუ  
ქნას ვე! ხოლო ის მოუბრუნდა პეტრეს და  
უთხრა: ვამშორდე, სატანა! ჩემი საცთუ-  
რი ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ,  
არამედ კაცისას. ხოდა, მრავალნი და მრ-  
ვალნი ღმერთისას ფიქრს რომ დაიწყებენ,  
თანდათანობით მოელება ბოლო ეშმას  
ბოგინსო. როდის, როდის იუნება ეს, ზაბი-  
ლონ, მიაცხა ბათმე ბიძიამ. მერე მამამ  
მწუხარებით ასე მიუგო, ხეაღ, ხეაღ,  
ხეალო. მაშინ ასე თქვა ბათმე ბიძიამ, კა-  
ცი მამონ ინყებს ამალღებას, როცა ვაი-  
ცებს რა მდაბალი ვყოფილვარო. დაბო-  
ლოს, ასე ეზიარება იმ სიმალღეს, ქრის-  
ტემ რომ თქვა, ღმერთისას ფიქრობო.  
მართალი ხარ შენ, ზაბილონ, სუყველანი



მალე გაევიგებთ, შეწყალებისა და ამალღუბის ღირსნი თუნდაც იმიტომ ვართ, რომ ვართ ისა, რაცა ვართ, რასაც ადამიანიშვილის უძახიან, კარვად იცის ეს ჩვენმა მაცხოვარმა.

როდის მალეო, მიუვო მამამ.

**გაახილაჯა**

ბევრჯერ მიფიქრია, ჩვენ იქნებ სიზმრებით სავსე ზესკნელიდან ვართ გადმოსროლილნი ან იქნებ თავად ეს ჩვენი სიცოცხლეა სიზმრებით სავსე და დროებით ვართ დასახლებულნი ამ სიზმარულ ქვეყანაში. სწორედ ერთი თვით ადრე, ერთ ღამეს, სანამ გაახილაჯას გამოვემგზავრებოდი, უცნაური სიზმარი შესიზმრა, სიზმარში სიზმარს ვხედავდი და სიზმარშივე გამომეღვიძა, და ახლა უკვე ესეც, სიზმარში რომ გამოვდიხებული ვიყავი, ქვე სიზმარი იყო. მერე სიზმარში ისეც ჩამქინდა და ეს სიზმარი ვნახე, თითქოსდა მამინ ვაჭრენილვარ, როდესაც მთები არ დამყარებულყვენენ ჯერ კიდევ, არც ბორცვები ამოსულიყვენენ და ქვეყანაც არ იყო შექმნილი თავისი მინდორ-ველებითა და პირველი მტვერით, არ იყო აქ ჩრდილები და არც ქარები, ის ჩრდილები, გაახილაჯას მთებსა და ველებს რომ ეცემოდა ხოლმე და ის ქარები, გაახილაჯას ცის ქვეშეთში რომ დაქროდა ზოგჯერ. ამ სიზმრის მერე გამახსენდა კიკური. მე მგონია, გაახილაჯელი კიკური იყო მუფე ამ ჩრდილებისა და ქარების. სწორედ ამ კაცს დავუშეგობრდი ამ რამდენიმე წლის წინათ აქ რომ ვიყავი, თუმცა კაცი იყო თუ არაკაცი, მიჭირს ამისი თქმა, ვის ჰყავს ნახაზი კაცი შვიდპირიანი, შვიდენიანი, შვიდცხვირიანი, შვიდთმიანი (თავზე შვიდი ფერის თმა ესხა ერთი მეორის მიყოლებით), თოთხმეტთვალისანი, თოთხმეტნაშნამიანი და თოთხმეტნარბიანი (სხვადასხვა ფერად შეფერილი თითოეული წყვილი). ტანი ჩვეულებრივი კაცისა ჰქონდა, თუმცა კი დიდებული და გოლიათური აღნაგობისა იყო და უფრორე ქანდაკება, ხელოვანის შემოქმედების უსულო ნაყოფი გვერდებოდათ, ვიდრე იმისა, ვისაც სული უდგას პირში, სულიერია. ოღონდ თუ ვიტყვით, სული უდგასო პირში, ასე უნდა ვთქვათ, იმას სული შვიდ პირში ედგა, მაგრამ ვინ იცის, ერთი სულისა იყო თუ შვიდისა, ტანად კი გახლდათ უნაკლო, ოღონდ ფეხის თითები იმდენი არ ჰქონდა, რამ-

დენიც უნდა ჰქონოდა, ათის წიკვლად მარცხენა ფეხზე არც ერთი უფროსწორად, ერთი ჰქონდა, მარცხენაზე ერთი. მთლიანად იმის თავს შვიდი ფერი გადასდიოდა — ძონისფერი, ნაბლისფერი, ზაფრანისფერი, ზურმუხტისფერი, ცისფერი, ლურჯი, იისფერი. ეს იყო ის ფერები, რომლებიც იმთავითვე, დაბადებისთანავე დაპყლოდა კიკურის, მაგრამ რომ დაკაცდა, ხან ერთი ფერი მოეველებოდა მთლიანად, ხან მეორე მთლიანად, ხან მესამე მთლიანად... ხან კი ისეც ის ოდენად, ბავშვობისდროინდელი ფერები მოიცავდა და მამინ თუკი დაიძახებდით, კიკური, კიკურიო, ისიც გამოჩნდებოდა თოთხმეტი თვალის ბრიალით, იმათი შუქით აელვარდებოდა მთელი არემიდამო და საამურად მოეფინებოდა ყოველივეს; ის, ვისაც ეს საარაკო ნათელი დაეცემოდა, ასე იტყოდა, საოცარ ამალღუბას ვგრძნობ, თითქოსდა სრულიად ხორცისგან განძარცვული ვხედედი და განსპეტაკებული. შეიძლება ეს აზრი ზაღაც ზმანების ნაყოფი იყო და არარეალური, მაგრამ რაკი თუნდაც ასეთი აზრი უჩნდებოდა იმის მნახელს, ესეც შეება უნდა ყოფილიყო გაახილაჯელთა შფოთსავსე ცხოვრებაში. ამ შფოთიანობის თავიდათავე კი ის შვიდფეროვანი კიკური გახლდათ. შვიდი ფერისას გაახილაჯელი ბალები გვერდიდან არ ცაილდებოდნენ, შემოფინებდნენ, ეთამაშებოდნენ, ზურგზე ასხდებოდნენ (მისი ზურგი დიდად სქარბობდა ხარისას და ერთს კი არა, ბევრ ევროპეს დაიტევდა და ასე გადაცურავდა ზღვებსა და მდინარეებს), ჰკოცნიდნენ იმის ლოყებს, თავზე ადგამდნენ გაახილაჯური მთა-ველის ყვავილების გვირგვინებს, წინკნიდნენ ფუნთულა თითებით იმის სხვადასხვა ფერის თმას, მერე კი უვარცხნიდნენ, განსაკუთრებით მისი შვიდი ფერის თმის დავარცხნა უყვარდათ გაახილაჯელ გოგობიქებს. მაგრამ წუთო ის რაც კიკურის სჭირდა, დღედაღამე ვფიქრობ ამის შესახებ, აუცილებელი უნდა ყოფილიყო?

ხანდახან ისე გამძვინვარდებოდა, რომ თვალცრემლიანი გაახილაჯელები ასე ნატრულობდნენ, ნეტავი იმას, ვისაც ერთი პირი აქვს და ერთი ენა, ორი თვალი და ორი ყური ან უთვალ-უპირო-უყუროა სულაც. თუ რა იყო იმ მრავალი პირის, მრავალი ენისა და მრავალი ყურის მქონე კაცის ზოგჯერ ანაზდუელი სიძლევის მი-

ზეზი თითქოსდა მხოლოდ მე ვხედებოდი და, კაცმა რომ თქვას, ეს ვარაუდები უნდა იყოს და მეტი არაფერი. თავად კიკურიც მეუბნებოდა თავისი რომელიმე ერთი პირის მეშვეობით ამის შესახებ, მაგრამ ერთი პირის ნათქვამი რა სიმართლე უნდა იყოს. თუმცა კი შეიძლება ამის რამდენადმე ნათელი ახსნა, ანუ თითქოსდა კი ჩანს რალაც კავშირი მიზეზ-შედეგებს შორის.

ზოგჯერ უშმაკის ხრიკი თუ იყო, თითქოსდა სრულიად უშიზეზოდ გამძვინვარებოდა კიკური და ხან ძონისფერი მოედებოდა მთლიანად, თავიან-ფეხიანად, ხან ნარინჯისფერი, ხან ზაფრანისფერი, ხან ზურმუხტისფერი, ხან ცისფერი, ხან ლურჯი და ხან იისფერი, რომელი ფერიც გაიმარჯვებდა, მთლიანად იმ ფერის ხდებოდა კიკურის სუყველა პირი და ენა, სუყველა თვალი და ყური, თმა, ნარბები და ნაშნაშნები (თუმცა კი ეს ცვლილება მრავალთათვის ტანჯვა-ნაშუების წყარო ხდებოდა). დიდებული სანახავი ნარმოგვიდგებოდა ამის მერე ეს არსება. მართლაც და, თუნდაც მთლად მახინჯი კაციც კი საუცხოო სანახავი და ლამაზი ხდება თუ ერთი ფერის სამოსელს ჩაიცვამს, ზედაქვედას, ფეხსამოსსაც. მთელ გაახილაჯას ის ფერი მოედებოდა, რა ფერისაც გახდებოდა კიკური. ნარმოიდგინეთ ერთი ფერისაა მთელი ქვეყანა და ამ ქვეყნის ყოველი სახლი, ხე, ბუჩქი და მდინარე-ნაკადულები. ძონისფერი მოველებოდა მთლად და კიკური ტყეში გაიჭრებოდა, მოჰყვებოდა ხეების ჩეხვას, ჩეხავდა და ჩეხავდა, ცვიოდა და ცვიოდა ტოტები. ნარინჯისფერი აჯობებდა და იწყებდა გაჯგიმულ სვლას კიკური, მიდიოდა და მოდიოდა, მიაბაკუნებდა და მოაბაკუნებდა იმ თავის ერთითიან თუ ორითითიან ფეხებს, რასაც გზად შეხედებოდა, ყველაფერს გადასწავდა. ზაფრანის ფერის მორევის ხანს საშინელ და მოურჩენელ სენს მოსდებდა მთელ გაახილაჯას და მუსრს აელუბდა ყველას. ზურმუხტისფერი გაიმარჯვებდა და სადღაც ბუჩქებსა და ფოთლებში შეიმალებოდა კიკური, თავადაც, ჩვეულებისამებრ, რაკილა ზურმუხტისფერი შექმნილიყო, ველარავინ ამჩნევდა, ხაფანგებად აქცევდა მთელ საერისმთავროს და ვაი იმას, ვინც იმის ასე მზაკერულად დაგებულ მახეში გაგებებოდა. სიცისფრე მოუვიდოდა კიკურის და ზღვებსა და მდინარეებს მისცემდა

თავს, ვაი იმ ნავს, ტიცსა და ხომალდს, რომელსაც კი გადაეყრებოდა. კიკურიც ფერის გამარჯვების შემდეგ კიკური ქვეყნელსა და უფსკრულოვანებში ჩაიჭრებოდა, წყალს ვერ დალევდა ამის მერე კაცი, მღვრიე და მუქი ხდებოდა მინისქვეშეთის და ცისქვეშეთის მდინარეები და ნაკადულები. იისფერი მოველებოდა იმას და იისფრად შეფერილ ყინულოვან-თოვლიან მთებში დაშლივინობდა, მთელი ირემ-ჯიხვები გადაჭამა, რამდენი მონადირე გადაჩეხა კლდეში, ამას ვინ მოსთვლიდა.

მახსოვს ერთხელ, როდესაც გაახილაჯას ვიყავი, ასეთი შემზარავი სურათის მხილველი გაეხადი თავად.

გათენდა და სულ მალე ძონისფერი მზის სინათლე დაეფინა ყოველს და ყოველივეს, ძონისფრად ანთია კიკურის თითხმეტივე თვალი და ყოველივეს ბურღავს ძონისფრად აბრდღვიალებული თვალების მძვინვარე მზერა, მხოლოდ დაღამების ხანს, როდესაც სიღურჯე ჩამოწვა და თითქოსდა გაილია ძონისფერი თვალების ის მომაკედინებელი ნათება, მცირეაფდენი შვება ვიგრძენი, თუმცა ხანდახან მაინც გასჭრიდა ძონისფერი სხივები ღამის სიღურჯეს ამაზრზენი შუთილით. მაგრამ უფროვე შემაძრწუნებელი ის იყო, როდესაც კიკურისეული სიღურჯე მოველებოდა მთელ გაახილაჯას და ნაიშლებოდა დღისა და ღამის სამანი, ვერც კი მივხედებოდი რომდის დღე იყო და რომდის ღამე და ყოველთვის უკვე სულ ერთი იყო რა ფერის უნდა ყოფილიყო განთიადი, ოღონდ კი ყოფილიყო, თუნდაც ძონისფერი, თუნდაც ნარინჯისფერი, თუნდაც ზაფრანისფერი, თუნდაც ზურმუხტისფერი, თუნდაც ცისფერი, თუნდაც იისფერი.

ხოდა, ამ უმსგავსი ფერისცვალების ეამს იმ ერთი ფერის არილი გადასდიოდა კიკურის და ამ დროს ჩვეულებრივი ცინარტყელის ნაცვლად ამ ერთი ფერის ცინარტყელა (არ ვიცი რა დავარქვა ამას, რაკილა ნამდვილი ცინარტყელა როგორ უნდა ყოფილიყო ერთი ფერისა) გადაიჭიმებოდა ზეცაზე, ერთი ბოლოთი ზევით, სულ ზევით ამაველი, და ამ ერთი ფერის ელვარებით გარშემოვლებული კიკური ასე ეუბნებოდა თავის შეიდივე პირით ერთდროულად ყველა შემხვედრს, მის წინაშე დამნაშავესავით გარინდებულს და თვალემახირილს:



„შენ ვინა ხარ, კაცო, ჩემ წინ მდგომარე, ჩემ წინ-მეთქი, ვისაც ზეცად ასვლა და ჩამოსვლა შეუძლია, მთებში ქარის შეჩერება შეეძინა, სამოსელში წყლის გახვევა, ქვეყნად ყველა საზღვრის დადგენა...“ — ასე აღარ ამთავრებდა თავის საუბარს შეიდ ერთნაირ ხმაზე კიკური, ზოგჯერ ის საბრალო იმის წინ გაქეპავებული კაცს ვეღარ მოითმენდა, რაკილა რაც უნდა იყოს, მოლორებით ეშუქრებოდნენ იმასაც კი, ვინც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო ამ ქვეყნად და თითქოსდა სხვათა შორის (შიმით აღარ იყო და რალა უნდა ექნა) ასე ჩაურთავდა დამნაშავეს ლიმილით, სულ ერთი ფერით ნახაზი ზომ არ იქნები, კიკური, დრო მოვა და აღარ დაგიჯერებენ ის ბალები, რადგანაც უკვე ბალები აღარ იქნებიან სწორედ.

ამაზე კი კიკური (ანუ იმისი შეიდი პირის მთელი ქორი) ასე მიუგებდა:

„შენ იცი, ერთხელ დიოგენემ (ნეტაეი მისმა რომელმა თვალმა ამოიკითხა ან მისმა რომელმა ყურმა მოისმინა დიოგენეს ამბავი) ქუჩაში გამოსულმა დაიყვირა, პეი, ხალხნო, და როცა იმასთან მიიღბინეს, გაყარა სუყველანი, მე ადამიანებს ეუბნობ და არა ვიგინდარებხო. ასეთი გულურყვილო როგორ იყო ის დიოგენე. და მერე ერთხელ კი არა, შეიდჯერ დავიყვირებ და შეიდგანის ათასჯერ უფრო მეტი მოირბენს ჩემთან, მე კი არ გავყრი საკუთარი ნებით ჩემთან მოსულებს, რადგანაც სწორედ ისინი მჭირდება მე და ყურს დაუგდებენ ჩემს სიტყვებს ისინი, ვინც ჩემთან მოირბენენ საკუთარი ნებით. ძალიან, ძალიან შემეცდარი იყო ის დიოგენე“.

იდგა კიკური იმ კაცის წინარე და თან ბურღავდა თავისი თოთხმეტი გალურჯებული (თუ გაძონისფერებული, თუ განარინჯისფერებული, თუ გაზაფრანისფერებული, თუ გაცისფერებული, თუ გაიისფერებელი) თვალით. დაბოლოს, ასე დასძინდა, აქაური ბავშვების სათაყვანებელი მე ვარ და ვიცი, კარგად ვიცი, ათიოდე წლის მერე შეეყოლება ხალხი (და აქ ამაზრუნენად ჩაიხიბიხიებდა შეიდივე პირით, სამარენიო ამ ბავშვების), რომელთა კბილები მახვილები იქნება და რომელთა ლოჯები — დანები. მაგრამ ყველაზე უარესი და, როგორც ჩანს, საბედისწეროც, გააბილაჯელთა ცხოვრებაში ეს იყო, კიკურის ერთფეროვნების ხანს, ჯერ იშვიათად, მერე და მერე კი უფრო ხშირად, ხოლო,

სულ ბოლოს, კიკურის სიკედილამდე სამი, ოთხი წლის მანძილზე, ფრეფრეფრეფრე სუყველა ბავშვი იმავდ ფერად აჩვენებოდა, რა ფერისა იყო იმამად კიკური. ხოდა, ახლა, გააბილაჯას რომ ჩახვალთ, კიდევაც ნახათ სხვადასხვა ფერის ადამიანებს, კიკურის დროს გაჩენილებს, თუმცა იმათ კიკურის ძალამოსილება და გოლიათური აღნაგობა არ დაჰყოლიათ.

კიკურის ერთფეროვნების ხანს რა ესარძიკვებოდა იმის უწყალო ძალამოსილებას, ცბიერებას, სივერაგეს? რალაც ჩვენთვის მიუწევდომელი ქვეშარიტება თუ იქნებ მხოლოდ ის ქვეშარიტება, მხოლოდ მისი საკუთარი რომ ხდებოდა, მხოლოდ მის საკუთარ გულ-გვამში ჩანწული რომ ხდებოდა და სრულიად საყოველთაო რომ ეგონა ზოგჯერ ასე შმაგს. თუმცა სრული როგორ უნდა იყოს რამე, როდესაც (ასე აქვთ მოხსენიებული თავიანთ ტრაქტატში რომაელ ღვთისმეტყველებს ორდინოსა და ვასს) ჯერ კიდევ ადამი უნდა მიმხედარიყო, ვერც ვერასდროს დაინახავდა სრულად ევას გამონვდილ ვაშლს, და ვინ იცის, იქნებ იმ ვაშლმა კი არ აცდუნა იგი, არამედ ფერის მშვენიერებამ მოხიბლა, მისკენ მიტყეულ მხარეს რომ ქეონდა იმ ვაშლს. თუ იქნებ ამისი მიზეზი იყო რალაც იდუმალი და დღემუდამ მოუხელთებელი აზრი, რომ კაცი, ადამის ნაშობი ჯერ კიდევ არ არის კარგი და სანამ კარგი გახდება, აქვს უფლება მთლად ის ფერი მიიღოს რაც სურს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მინას უჭირს მისი ზიდეა. მაგრამ რა სანახავე უნდა იყოს ამ დროს ზეცაზე გადაჭიმული მხოლოდ ერთი ფერის ცისარტყელა ან შეიძლება, ესეც უთქვამთ იმ ორდინოსა და ვასს, კაცს იმთავითვე წყველასავით მოსდევს საშიშროება, რომ არაკაცი გახდეს ანუ მხეცი. მიმადლებული (თუ ან უკვე მისჯილი) კაცის გონებით. თუ იქნებ კიკურის სულის ნიაღში ერთმანეთს ეომებოდა ნარუვალი და ნარმავალი; იმის სულში თუ სულებში გუგუნე გაქეონდა ამ ორივე ხმას და ზოგჯერ, როდესაც მე იმას ვენვეოდი, ისე ძლიერ გაუმინადებოდა ნარუვალს, რომ ასე ფიქრობდა, უფრო სწორად, ფიქრიც არ ეთქმოდა ამას, რალაც ზარზეიმური განწყობილება ეუფლებოდა, თითქმის სრულიად გაუთავისებელი, ქვემეცნეული (ასე რომ არ ყოფილიყო, იქნებ შეძლებდა ამ განწყობილების საბედისწერო შედეგების გათვალისწინებას), რომ ეს ნარუვა-

ლი სულ მასთან იქნებოდა სამარადისოდ; ამ დროს სრულიად დავინწყებოდა წარმატებული, და ეს დავინწყება, ვერგახსენებ უდიდესი მარცხის თავიდათავი ხდებოდა. მე მგონია, ეს იყო საფუძველი იმისა, რომ ზოგჯერ სრულიად ერთი ფერი მოეცლებოდა იმას თავიანთ-ფეხიანად და ასეთი ავი ზნე დასჩემდებოდა; თითქოსდა ამ ზნის მეშვეობით, ანუ, იმ საქციელისა და საქმეთა მეშვეობით, რომელსაც ეს ზნე ესაძირკვლებოდა, შესაძლებელი იყო იმის რამდენადმე ახსნა თუ რა იყო ჩაბუდებული იმის სულში (თუ სულეშში). კიკური შემცდარი არ იყო, როდესაც ამ ზნეს თავისი სულის თუ სულების ნიალიდან მომდინარედ თვლიდა, მერე, უკვე გონს მოსული, ანუ, როგორც გაახილაჯელები ამბობდნენ, „ამრავალფერცხებული“, თავისი სულის გარეთ აღარ ეძებდა ზოგჯერ ამ თავისი გაუკულმართებულ სულიერების რაღაც საფუძველთა საფუძველს. მართლაცდა, ჩვენ, უბრალო მოუცდავნი, ხშირად ვფიქრობთ, რომ სხვანი არიან ჩვენი საშინელი მარცხის მიზეზნი, როდესაც ეს სხვანი ჩვენი სულის გარეთ არიან და სწორედ აქედან მოდის ჩვენი უბედურება. მაგრამ თურმე, როგორც ჩანს, სხვანი მაშინ არიან ჩვენი სულის გარეთ, როდესაც, ეშმაკის ხრიკები თუ არის, ხშირად ჩვენც ვრჩებით ჩვენი სულის გარეთ და ამ ქვეყნად ყოველ წუთს ვეძებდით იმის დამანგრეველ გამოვლენებას. სწორედ სრულ სულიერებაზე, უფრო სწორად, შვიდ სულიერებაზე მოქცევის მერე იწყებდა კიკური ამბვლებას და ისეთ გასაოცარ სიმბალეს აღწევდა, რომ ყოველი გაახილაჯელი ბაღლის სათაყვანებელი ხდებოდა, საკვირველი კიდევ ის იყო, რომ ამ დროს თითქოსდა ბაღლები ზრდას აჩერებდნენ და მუდამდღე ბაღლური თვალთ ხედავდნენ ყოველს და ყოველივეს. ვიცო, რა ზღაპრული და მშვენიერი იყო ეს ხედეა, ისეთი ზღაპრული და მშვენიერი, რომ თუკი ეს საარაკო თვისება მთელი ცხოვრება გაჰყვება ადამიანიშვილს, დიდად გაიხანგრძლივებს თავისი სიცოცხლის ბედნიერ საათებსა და ბედნიერ წამებს. ის ბაღლები ზრდას აჩერებდნენ თითქოსდა ამ ფიქრით თავზარდაცემულნი, ვაითუ, მე ესა და ეს გაეხდე ზრდასრულობის ხანს, სად ის და სად ეს ჩემი ბაღლობაო, როდესაც თითქოსდა ჯადოსნურ სარკეში ირეკლება რაც წმინდა და შეურყვნიელია, რაც დიდებული და

მშვენიერია, რომელიც ზრდის კვალობაზე უღვთოდ ისვრება და კარგად მაშინ მიიქცევა იმად, რაც კაცობის ქაჩრდა ხოლმე. იქნებ სწორედ ასეთი ბაღლთაგანი იყო ერთი პატარა გოგო, მარიულტ (კარგად დამამახსოვრდა იმისი სახელი, ალბათ იმიტომ, რომ კარგად მახსოვდა ესეც, კიკურის იმ დროს ზაფრანისფერი მოსდებოდა), რომელმაც შიში დაავინყა, მასთან მიიზიზნა პანანინა მუშტების ქნევით და მწარედ აქვითინებული, ნუ, ნუ ძიავ, ნუ, ნუ-მეთქი, ახლა რა ცუდი ხარო. კიდევ კარგი მაშინვე მოაცილა დედამ ის ბაღლი კიკურის.

ერთხელ იყო კი თავად კიკური გაბმული იმ თავისივე დაგებულ მახეში (სრულიად გაღურჯებული ყოფილა იმხანად), თავისივე ამოთხრილ, მელნისფრად ამომზირალ ორმოში (ჯოჯობეთის სარკმლებს ეძახოდნენ ასეთ ორმოებს გაახილაჯელები) ჩამზღვრულია, მაგრამ არც ფეხი მოუტეხია და არც კისერი, მხოლოდ რამდენიმე ხნით, სანამ თავის ან უკვე ლურჯისფრად შეღებილ ცისქვეშეთს ლურჯფერისავე ქარებს მოუხმობდა საშველად, ორი დღით თავს რეტი დასხმია და ველარ ამოდიოდა. სწორედ მეორე დღეს, შუადღე რომ უნდა ყოფილიყო, იმ დროს, თავზე წამოვადექი და უცებ ვერკი კი მივხედი, ვინ იყო ჩავარდნილი და როდესაც ჩავყურებდი, საშინელი ხმით ამომღრიალა, ჩქარა, ჩქარა ამომიყვანეო. შიშით ჩავძახე, ვინ ხარ შენ, კაცო. მაშინ ისევე ამომღრიალა მან, რაღას მიცნობდა, ცოფებმორეული იყო.

თავგზაარული ჩავყურებდი იმ კაცს, ვინც თავისი პირით (თუ პირებით) ამომბეზოდა პირუტყვივით-მეთქი, ვერ ვიტყვი, უფრო სწორად თუ ვიტყვი, მეტად პირმეტყველი შექმნილიყო, ოღონდ ეს მტყვევლება, ცხადია, სისხლისმსმელსა და მტარვალ ცხოველს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კაცს (თუ ასე არ იყო, მაშინ შლევკი უნდა ვყოფილიყავი და თვალთ და ყური მატყუებდა ან ეშმაკის ბადეში ვიყავი გაბმული). ჩავყურებდი-მეთქი იმ ხნარცემი ამაზრუნეი სილურჯით მოცულ არსებას, უცებ ასე გამიელვა თავში, ღმერთო, რა კარგი იქნებოდა სხვა დროს რომ დაგებადებულიყავი და სხვა დროს დაბადებულთა ხანს რომ მეცხოვრა. მაშინ კიკური იყო სწორედ ამ აბურდული ფიქრის მიზეზი. მაგრამ, მაშსოვს, სულ ორიოდ ნაშში ეს მწარე ფიქრი ნეტარების გრძობა-



ბად გარდაისახა, რაკილა ასეთი სურათი მეზმანა, რადგანაც ჩვენი სული ხომ უდიდეს გვეშაშიაც ეძებს თავისდა უნებურად რალაც შევბახ: ზეცის თავანი ახდილიყო და ზესკნელიდან მზე და ვარსკვლავები დამყურებდნენ, აღარ იძროდნენ და დიდებული ცისარტყელა გამოჩენილიყო, ანუ შეიდფეროვანი სვეტი მალლა, სულ მალლა ამაველი, ზესკნელისავე ჭიპს მიბჯენილი. კიკურის თავი დაეღნია ამ შემზარადი ორმოხთვის, ნარხოცოდა ხილურჯე და გამქრალიყო ეს მისი ყოვლისმომცველი ფერი. დამოქილიყო კიკური გაახილაჯას ერთ მშვენიერ ტბასთან და შეიდივე პირით ხერება შეიდფეროვან, შეიდივე ფერით შეღებულ წყალს. ხანდახან შეისვენებდა და ჩუმი ხმით ასე ამბობდა, გულს სალბუნად შედებოდა მისი შეიღნაირი ხმის საამური ჩურჩული, თავად დრო-ჟამი აღარსად არისდა, ხაზილონ, რადგან დრო-ჟამის მქვინვარებას აღარ ეგრძნობო; და ის ცისარტყელა დანათოდა იმის თავს და თითქოსდა თავადაც ასე ამცნობდა შეიდფეროვან ტბაში მაცქერალს ხმამალლი ჩურჩულით: მოვა დროა, ჩემო კიკური, აღარსად იქნება დრო და არც ის, რაც მომხდარა ამ დროში და რაც უნდა მოხდეს ამ დროში, რადგანაც აღარ იქნება დრო”.

შვიდი ფერის ცრემლებმა დაულტო კიკურის სახე, კისერზე, ტანსა და ფეხზე ჩამოედინა, საამური ხმისათ მყოფო მთებსა და ველებს, ისე თვალისმომჭრელად ააელვარა, რომ ყოველს თავი ბაღლობის ხანის პირველად მოსმენილ ზღაპარში ეგონებოდა. მახსოვს, მუხლებზე დავეცი და თავდაბრილი დაეყურებდი მინის ან უკვე მრავალფეროვან სისველეს, ნეტანების ბურანში გახვეულს მეც ჩამომდიოდა ცრემლები ღაპალუპით, ოღონდ, ამასაც ეგრძნობდი ცხადლივ, რა უფერულნი, უფერულნი! თუმცა კი სიხარულით ვხედავდი, ნამის უმალესად უერთდებოდნენ შეიდფეროვან სისველეს გაახილაჯას მინისას.

ფერადინა, კიკურის დაი, ძმისგან განსხვავებით შეიდპირიანი, შეიდენიანი, შეიდცხვირიანი, თოთხმეტთვალისანი და თოთხმეტყურიანი არ ყოფილა. უღამაზე სი დიაცი იყო. იმისი თვალების მშვენიერებაში ერთ დროს მოხიბლა ფარუ, გაახილაჯული ერისმთავრის პირში, მიუხედავად იმ კაცის არამსგავსი კიკურის დაი რომ იყო, ცოლად ითხოვა. ხუთიოდე წე-

ლინადმი ფერადინა გაახილაჯას სარკისმთავრის დედოფალი გამდაჩხოფუ ეხქელი ასე მოუბნებოდა, კიკურის ვრთფეროვნების ჟამს თითქოსდა ყოვლისაგან იძარცვებოდა მთელი არე-მიდამო და კაციცა და დედაკაციც; ყველა ასე ნატრულობდა, ნეტავი პირუტყვნი ვიყოთ და არ გეტანჯავდეს ეს ჩვენი უცნაური სიმომველე, როდესაც უსამოსლობა კი არ გვანუხებებს, არამედ რალაც ენით გამოუთქმელი სიმნუხარე, თითქოსდა სიმომველე გეტქის სულისა და ხორცის; ყველა უნდა ხედავდეს ამ სიმომველეს და ყველაფერი უნდა ჩანდეს, რასაც კი ეგრძნობთ და რასაც ვფიქრობთ; ამ დროს კი რა შემზარავად გაისმოდა კიკურის შეიდივე პირის ნიალიდან ამოხეთქილი ხმა ზოგჯერ ასეთ აბაუბდა სიტყვებად გარდასახული:

ჩემი დღეები არ წარიხოცება ამოოდ და აღმოვალს მზე და ჩემს ადგილს მოვა, რადგან ჩემი ფერი, გნებათ მხოლოდ ძონისფრად, გნებათ მხოლოდ წარინჯისფრად, გნებათ მხოლოდ ზაფრანისფრად, გნებათ მხოლოდ ზურმუხტისფრად, გნებათ, მხოლოდ ცისფრად, გნებათ მხოლოდ იისფრად იქნება შეფერილი ეს მზე და იცით თუ არა, იყო ჟამი ჩემი შობისა და არ იქნება ჟამი ჩემი სიკვდილის და არა, არა-მეთქი, არ იქნება ყოველივე ამაო და ველარაინ იხილავს ამაოდ, ამაოდ-მეთქი დაღერილ სისხლის ზღვას, და არ იქნება ამაოებამ ამაოთაი და არ იქნება, არ იქნება ყოველივე ამაო”.

ერთი ასეთი ზნე სჭირდა კიკურის, თავისი ერთფეროვნების დროს ზომა-წონა ემატებოდა, ანუ კიდევე უფრო გოლიათური აღნაგობისა და იმსიმომვე ხედებოდა, სწორედაც მინას უკვე უჭირდა მისი ტარება. მერე როცა დადგებოდა ხანი, განგების ნებით თუ საკუთარი ნებით (დღესაც არ ვიცი სწორად) და მრავალფეროვნება უნდა დაბრუნებოდა, ამ დროს (ერთხელ გულაჩუყებულმა და რალაც სინანულის მაგვარი გრძნობადაუფლელმა ასე გამიხილა), შიში მჭირსო რალაც, გაურკვეველი, ბუნდი, რაც, ვიცი, ჩემი ზომიწონის შემციირებითაა გამოწვეული. ესეც კარგად ვიცი, ხსენებული შემციირება სულაც არ არის საზიანო, პირიქით, ჩემთვის სასიკეთო სწორედ ეს არის, მაგრამ ვერა და ვერ ვძლიე ამ შიშს და ხშირად იმას ვიქმ, რაც ჩემი სულელების დამანგრეველია, ზომა-წონაში აღარ ვკლებულობ და ისევე ისე, დაუძლეველი ძალით მიველტი ამ ჩე-



მი და მრავლის დამლუპველ ერთფეროვნებასა და სიდიდეს.

მერე, კიკურის რომ დაეცილიდი და ვეღარ ვხედავდი, ბევრჯერ მიფიქრია ამის შესახებ, კიკურის გულ-გვამში სრულად განსხვავებულიყო ერთი საბედისწერო თვისება, რალაც შიში აიძულებოდა გავკეთებინა ის, რაც ყველამ ვიცოდით, შემშუსვრელი იქნებოდა მისთვის, სუყველასთვის იმის გვერდით და რაც უფრო სავალალო და მოშაკვიინებელი იყო, იმათთვისაც, რომლებიც არც კი ცხოვრობდნენ იმის სიახლოვეს და პირადად არც კი იცნობდნენ მას, შეიძლება სულაც არ უყავდათ ნანახი, და კიდევ იმათთვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბადებულინი და მერე უნდა მოვლინებოდნენ გაახილაჯას.

გაახილაჯამდე ერთი დღის სავალი იქნებოდა დარჩენილი. ცხენიდან ჩამოვხტი, პირიდან ლაგამი გამოვაცალე, უნაგირი მოვხსენი და საბალახოდ მივეშვი. მნანენდ ხახასებოდ ამ ველზე ბალახი, ერთი ღრუბელიც არ ჩანდა ზეცაზე, დამაველი მზის სხივები საამურად მოიდვრებოდა. შორს საყდარი მოჩანდა, ნითელი კრამიტის სახურავს ზემოთ სამრეკლოზე ჯვარი ელვარებოდა ოქროსფრად. აქვე ზელმარჯენივ ოქროსფერივე გარშემოვლებოდა საღამოსულ გორაკს და ზედ სქლად შეფენილ ბუჩქნარს. ბალებშია გამოირბინეს იქიდან და ორიოდ ნაშში ისევ შეიმალნენ. შორით მონიშნა ზარის რეკვა, პირჯვარი გადავიწერე და ნამოვნეტი, ნაბადი გადავიხედე. შეპეულამ გაიფრთხილა შორიახლოს, ფუტკარმა გაიბზულია, მანამ არ განელებულა ეს ხმა, სანამ არ ჩამეძინა და ასე მესიზმრა, მხოლოდ ეს იყო, ფერები ვერ გავარჩიე სიზმარში იმ ცისარტყელისა, რომელიც ჩემს თავში ჩატყულიყო, სწორედ ამ ცისარტყელის მივხალა კიკური და, მახსოვს, გამოქვინდა ჩემს თავში როგორ მოქცეულიყო ეს გოლიათი კაცი, მივხალა ცისარტყელას და, მგონია, ერთი ფერის მოტებვა შეძლო. თუშცა რა ფერის, კიდევ ვერ გავარჩიე. ჩამოვიდა, დაჯდა თავისი სახლის ბანზე, ვეებურთელა ფილში ჩაყარა რაც მოატება და ვეებურთელა ფილთაქვით დაუნყო ნაყვა. ყრუდ ავგუნდა დედამინა, კიკურიმ მუჭით ამოღო რაც დანავა და ტან-ფეხსა და ხახზე ნაიცხო, კვლავ ვერ გავარჩიე, რა ფერის შექმნილიყო კიკური.

კარგა გათენებულიყო რომ გამომღვინა, ცხენზე შევეჯექი და ნამოვედი, რამ-

დენიმე საათში გაახილაჯას საშლევარს მივადექი. შემზარავად დანატყნა ცხენმა, თავზარდაცემულმა მტყნტყნა მტყნტყნად გავიხედე, სადაც გაახილაჯა იწყებოდა. მთელ იქაურ ცარგველს ზურმუხტისფერი შარავანიდი გადახდიოდა, ზურმუხტისფერი სახლები მოჩანდა, ასეთნაირადვე პრიალელება იმათი სახურავები ასეთივე მზის ქვეშ, და ყოველი რაც კი იყო იქ, ზურმუხტისფრად აელვარებულიყო და აქეთ, ამ ჩემ ნინარე გადაჭიმულ ხიდისკენ მოინეოდა ზურმუხტისფერი ნათება. ამ, აღბათ, ხვესითა და ნესტით შემპალ ხიდზე როგორ გადავიდოდი ისე, რომ არ ჩატყბილიყო. ზურმუხტისფრად შეუფერილ წყალში ამოყოფდი თავს და ვერც გადავიწყობდი უამრავი წყალმცენარით დამბლადაცემულ მდინარეს. შორს ტყე მოჩანდა, ნათლად გამოკვეთილიყო მისი ზურმუხტისფერი სიმუქე შედარებით ნაკლებად მკრთალი ზურმუხტისფერი ზეცის თვალსანიერზე. მდინარე რაკილა ასე უსიაშოვნოდ გარინდებულოყო, ყველაფერი მოისმოდა ვალმოდან, ზურმუხტისფერ შარავ ასეთივე ფერის მერანის ფლოქების თქარათქური გაისმა და ავარდა ზურმუხტისფერი მტვერი. ზურმუხტისფერი ხის ჩრდილი დანაცემოდა ხიდის მეორე მხარეს მდგომარე ზურმუხტისფერ და ზურმუხტისფერადვე აღჭურვილ გუმბაგს. იმ მერანის მერე ზურმუხტისფერი ურემი გამოჩნდა, მდლოვად მიაჭრიალებდნენ ასეთივე ფერი ხარები, ასეთივე ფერის ფრინველებმა გადაიფრინეს იმათ თავზე, სიმღერა არ ისმოდა ზურმუხტისფერის მეურმის.

გულმა დოლაბივით დამინყო ბრუნვა, უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, გაახილაჯას ველარ ჩავიდოდი იმ წელინადს.

მეორე წელინადს კი გავიგე, მომკვდარიყო კიკური და მე იქაურობას ველარ ვნახავადი ველარასოდეს. ასე ამბობდნენ, ერთ დღემდე, ერთი მეორის მიყოლებით ჩაქრნენ ის თვალები და იმათი სიკვდილის ფაშს ის ფერი ჰქონდათ ყოველს, რაც დაბადებიდანვე მოენიჭებინა განგებას. ჯერ მონისფერი ნათება გაილია, მერე ნაბლისფერი, მერე ზაფრანისფერი, მერე ზურმუხტისფერი, მერე ცისფერი, მერე ლურჯი, მერე იისფერი და ის სული (თუ სულები) კიკურის რომ აღმოხდენია, უფერული ყოფილა სრულიად, როდესაც ზესუნელში აიჭრა და შეუერთდა ცის ფერს. იმავე წამს, ამასაც ამბობდნენ, დიდებულები ცისარტყელა გამოჩნდა თავისი შეი-

დევე ფერის ბრწყინვალეობით და დღემდე არ მოსცილებია გაახილაჯურ ზეცას.

## მცხეთა

სარა ნიაფორისგან ვიცოდი უფლის კვართის ამბავი. ვიცოდი, მცხეთელ პური-ათ ნამოვლოთ, ვნახე ერთი პურია, მღვდელი, აბიათარ და მისი ასული სიდონია, ვაზიარე რწმენას ქეშმარიტს. იმათთან ერთად სხვანიც იყვნენ ექვსნი დედანი. მირიან შეფე და მისი ძმისწული სპარსთა მეფე საბურძნეთს ნავიღენე საომრად. კონსტანტინემ, ბერძენთა მეფემ, აოტნა მომხდურთა სპანი. სწორედ იმხანად მიუღია ერთი წერილი აბიათარს, თავზარი დამეცა, ჩუმი ქვითინის ნიღ მომეახლა ეს სიტყვები, შორეული და ახლობელი, სიტყვებითი, ანუ, უფრო სწორად გამოძახილი მათი: რომელი იტყვდა... თავსა თვისა ძედ ღმრთისად... ნაზარეველისა იესოს სიკვდილისა... ხოლო ანი ვინაიდან ხელი შევახს მამათა მათ ჩვენთა ძესა მას დედაკაცისა მწირისა და მოკლეს იგი...

ამის მერე ყოველივე წარჩილცა ჩემ ირგვლივ; კვლავ ცხადლივ ჩამუსმა შრიალი, მსგავსი ხეთა შრიალისა, ჩემი და საამური, ცხადლივ, ცხადლივ-მეთქი ბათმე ბიძია იყო იმ დღეს ჩვენსას, აღარ იცდიდა, მიდიოდა, მიიქაროდა, ტენებავას უნდა ჩავიდო მალე, ეუბნებოდა მამას. მამამ კი უთხრა, ნახვალ შენ, ბათმე, გამოხდება ხანი და დადგება ფაში, ჩვენი მესხიერების კუთხე-კუნჭულებში ბევრი მოიყრის თავს და შენც იმათ შორის, ჩემო ბათმე, ბევრი-მეთქი, ვინც გვინახავს, და ახლა აჩრდილებად გარდასახულნი დარჩებიან ჩვენ შორის. ბათმე ბიძიამ გაიცინა და თქვა, მაგრამ ხანდახან კი ამოყვეყვლავედებიან დავინყების ბურუსიდან და მოგვეახლებიან ცხოვლად, ნათელნი და სხივმფინარნი. მამამ ასე მიუგო, იცი რა, ჩემო ბათმე, შენ ჩემი მეგობარი ხარ, დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ მაინც უცნობი ხარ და მით უმეტეს უცნობი იქნები თუ, ვთქვათ, დიდი ხანი დარჩები ჩემთან, თუ ნახვალ და დიდი ხანი ველარ გნახავ, მაშინ კი შეიძლება ნელ-ნელა მიეხვედ ვინა ხარ და რა ხარ, ჩემო ბათმე, ეუბნებოდა ასე მამა, ლურჯი, სინათლეჩამდგარი თვალებით შესცქეროდა, უცინოდა, მერე კი ასე განავრძო, მაგრამ თუ იცი,

ბათმე, ყველაზე დიდი უცნობი ვინ არისო? ვინ არისო, ტყეკუთხუა ჭაჭამე ბიძია, კარის ზღურბლფუნჯეჭყეჭყერი ოდნავ გაელო, საიდანაც დამავალმა მზის სხივებმა შემოატანეს და მამის სახეს მოსწვდნენ, მამინ მამამ სანამ ბიძია ბათმე სულ გაალებდა კარს და გავიდოდა, ასე მიაძახა, უდიდესი უცნობი საკუთარი თავიაო. ბიძია ბათმე უკან შემობრუნდა და უთხრა მამას: ეს როგორ. მამამ მიუგო, როგორ და გგონია ბევრი იცი საკუთარ თავზე და ამიტომ, ეს ცოდნა ცდომილებათა ზღვაა, კიდევ ამიტომაც; და მით უმეტეს მამინ, თუ ნინასწარმეტყველებას იწყებ, ასე ვიქმ და ასე იქნებო და საშინელ ქიმერად ქცეული ნოქავ და ნოქავ ამ ცოდნას, ვერასგნით ვერ ამოიყორავ სტომამქს, რომელსაც ხშირად ჭკუა-გონებას ვეძახით და მწყურვალე მივალთ იმ ქვეყანას, მხოლოდ თითოეულნი დაუხსლებიან ამ მწარე ხვედრს. ბათმე ბიძიამ თქვა, მხოლოდ ის კი არ არის ამბავი, რაც მოხდა, არამედ ისიც, რაც არ მოხდარა, ესეც გვანვალებს დღემუდამ, მე გუშინ ასეთი ვიყავი და ხვალ აღარ ვიქნები ასეთი. ეს ხვალე კი პირსისხლიან კერპად გარდასახული გვიღრენს გაუთავებელივ და ასე ვადის მთელი სიცოცხლე; უკანასკნელად რასაც დავინახაუთ, ეს არის, ჩვენი წუთისოფლის პირიდან შემზარავად გამოჩრილი ეშვები და ალესილი კბილები, მგონია შენ მართალი უნდა იყო, ზაბილონ, ასე დაასრულა ბათმე ბიძიამ და გავიდა, ნავიდა, ჭიკარი გაიარა, თვალს მიეფარა. სიცხის აღმური ასდიოდა იმ დღეს კოლასტრას, შეკითხებოდა აბიათარ, თუ ვინ იყო იგი, ძე ლევისა როგორ იყო გაიგვებს იმის ჯვარცმას, მიხვდება ვინცა ვართ და გვეტყვის, რანი ყოფილხართო თურმე, ასეთი რომ ხართ, იმიტომ ენამა იგი, ეუბნებოდა ბათმე ბიძია მამას. მამა იმ დღეს: ზეცა ჩუმი-აუმღვრეველი, ლურჯი, თითქოს შენს შორეულ თვალებს ვუმზერდი, მამა, გავიარე, გაველო სამანები პანანინა ლურჯი სარკმლების და მივექანები სულის სიღრმეში, სადაც ტბაა ჩუმი და ლურჯი, სადაც (როდესაც დადგა დრო და ფაში) ჩაისახა და იშვა სული ჩემი, ალბათ, იმისი მსგავსი სული და ისეთივე ლურჯი, თუქცა, ღმერთო, არ ვიცი, ვერ

მივმხვდარვარ რა ფერისაა ახლა და აქ, მცხეთას, გაუხსენი პირი და ვითარცა ჯურ-ღმული აღმომდინარე ვეუბნებოდი, ემძღვრავდი აბიათარს, ვატყობდი, მძინარე იღვიძებდა, გონით გარდასული გონს მოდიოდა და ესმოდა თუ ვინ იყო, იესო ქრისტე ქრისტეს მოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო ერთი კაცი კითვრას. დიდად ზნეკეთილი. ამ მხრივ და სხვა მრავალმხრივაც გამოიჩინოდა ამ ქალაქის მცხოვრებთაგან, საარაკო გახდა მისი სახელი მას შემდეგ, რაც მოველო მთები და ველები, ქალაქები და სოფლები, საქმენი და სიტყვანი მისი მომდინარეობდა ვითარცა წყარო ანკარა იმისი დიდებული სულიდან. დაენაფნენ ამ წყაროს სიცილ-ხლის უქმად გამლევი და უკან ანთხედნენ დასერილ-ამღვრულს სიცილ-კისკისით, ამაზრზენი ხორხოციით, სასტიკად დასცინოდნენ, არად აგდებდნენ სიქველეს, პატოსნებას, დიდბუნებობას მისას, გულუბრყვილობად, უჭკუობად, სიმღვგედ მოენათლათ ეს მისი მალალი თვისებები. კვლავ გაუთავებლად გაისმოდა ყველგან ის შემზარავი სიცილ-კისკისი, ხარხარი. თავზარი დაცა მას, ვეღარ გაუძლო იმისმა დიდმა და მალამხედმა გონებამ, დაეპინდა, ამ ბურანმა ნაპვევარა ნათელი ზედვა და სმენაც, მერე კი უკვე გონებადაბშულმაც წყლის ნისქილებს დაუნყო ბრძოლა, ცხენდაცხენ მიეჭრებოდა და თავპირისმტვრევით ცხენდაცხენე გადაეშვებოდა ნისქილიდან გამოვარდნილ მოღრიალე, დუფ-მორულ წყალში, ხმა უნდა ჩავანყვეტიოო ლელეში ჩანოლილ გველეშაპს, ნახირსა და ცხერის ფარას ველზე გამოვრავნილ გველეშაპად წარმოიდგენდა, გააფთრებული ყვირილით შეიჭრებოდა ხოლმე იმით შუაგულში. დაბოლოს, ამ მტკისმეტი მძვინვარებისაგან და ამისი თანამდევი ურვა-კაემ-ნისაგან დასუსტდა, გახდა, დადნა, სულ მალე ამ სიტყვებით მიიცვალა, პოი, მოდგმავ ურწმუნო და უკულმართო: სამარეშიც კი მიპყვებოდა ის სიცილი და ხორხოცი. სიკვდილის ეამს ასხლტა მისი სული და სასოებამოხდილი, აქვითინებული მიეახლა ზეცას. გულში ჩაიკრა უფალმა ეს სული, მთლად არ შემცდარეუარო იმ მეხუთე დღეს. ნება არ მისცა ამ სულს უსასრულობას შე-

ერთბოდა, გადაკრაგულიყო სივრცეთა უფსკრულოვანში და სამუდამოდ მიუწვდომელი დარჩენილასქრისქამას ძეთათვის, კვლავ უნდა მოეუვლინო ეს სული ცოდვილ მინას. ღვთაებრივ სახეს ამ კაცისას ჯერ ზეციდან წარმოვაჩენ, მაშინ კი სწორედ აღარ ექნებათ სიცილ-ხორხოცის თავი და მოპყვება მოთქმა-გოდებას ყოველი ტომი დედამინისა. მერე თავის სიახლოვეს რომ ნახავენ ძე ღვთისას, კიდევ უფრო დაეცემათ თავზარი; და როცა ის იტყვის, მე ვარ ძე კაცისა, გაუვლით შიშის ზარი და მოვახლებათ რწმენად გარდასახული სინათლე, ეს რწმენა გადააჩენთ მათ ძე კაცისა, ესმოდა მისი ვნება და აღდგომა, მორედ მოსვლა; ამა, ღირსი შეიქნენ ქრისტეს ხორციისა და სისხლის ზიარებისა, ვინც შეინირა ცოდვილი სოფლის გამო იმ დღეს, რომელიც მრავალგზის განმეორდება ჩვენი სულების სამანებში მოქცეული, ჩვენი სულის სამანების გამწვევი და ამშალეველი, დღენიდაგ ჩვენი სულიერების დამამკვიდრებელი, ანუ, ეს არის წარვეალი იმედი, აღმოცენებული იმ დღეს, რომელიც იყო და კიდევ, კიდევ იქნება ან უკვე ჩვენი სულებით გარშემოზღუდული, ჩაუქრობელ ლამპრად დანთებული. იყო-მეთქი წარსული უარწყავი, განადიდე მომავალი, თუნდაც ანწყო სისხლიანი გქონდეს, ნუ გეშინიაო. ამაზე კი წამოენთო მამა, მომავალი უნდა უარყო, წარსული უნდა განადიდო და ანწყოს უსისხლო გვექნებაო. მაშინ შვილებში მომავალი აღარაფერი ყოფილაო, შეპყვირა დედამ. რა მომავალიო, თქვა მამამ და სახე მიატრიალა. მომავალი შეიქმს შიშს, ანწყო კი მსწრაფლწარმავალია, შიშის დრო აღარ გერჩებაო, მიუგო იმათ ბათიმე ბიძიამ, მხოლოდ, წარსულის არ გვეშინია, ეს მაშინ, როცა ყველანაირი სამიწელება და გვემა-ნამება ლამაზად გათლილ თაროებზეა დალაგებული. მხოლოდ წარსული არ იცვლება და არც არსად მიდის, გარინდებულა ვითარცა გოლიათი რტომრავალი ხე უქარო ამინდში, გათენიის ხანსო. დედამ გაანყვეტია, ვითომ ასეა ყოველთვის? მამამ ისევ გამოხედა; ვივრძენი, ვერ მხედავდა, ანუ ლანდად მხედავდა მხოლოდ, რადგანაც იმასაც მივხვდი (თუ იქნებ ახლა ვხვდები ამას) გულზე ნისლი შემოსწოლოდა და ამ ნისლში ნათ-



ლად ჩანდა სამივე თუ ერთი ასე უგვა-  
ნოდ დაყოფილ-დანაწილებული ნარ-  
სული-ანწყო-მომავალი. ბათმე ბიძიას  
ხმა მომესმა, ნარსული კაცისა უკუ-  
ჩაბრუნებული ქვევრია, იმპისა ლეონოს  
რალას გააჩერებ, ცრემლებითაა საესე  
და იღვრება, იღვრება ცრემლებად. ნუ-  
თისოფელია კაცის ცხოვრება და მო-  
მავალს იმიტომ ეპოტინება. ცხოველს  
თუ ხმა აღმოხდება, ყოველი ბგერა  
მხოლოდ და მხოლოდ მომავალს მიგ-  
ვანიშნებსო თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი  
და იქნა ნათელი, ბნელი გახდა ნათელი ვინ  
იცის იქნებ ნათელი ბნელია და ბნე-  
ლი ნათელი, თქვა ბათმე ბიძიამ ნათე-  
ლი მოდიოდა, ნათელი უნდა მოსულიყო  
მცხეთას.

### ტენებაბა

მრავალგზის უთქვამთ, აღიგავო კაცი  
მინისაგან პირისა, მაგრამ თუკი აღგვა შე-  
უძლია რამეს, ეს უფროვე მისი გრძნობე-  
ბი უნდა იყოს, მირიადი და აღურიცხავი;  
ზმირად ვერც ნახულობენ იმის ალი-კვალს,  
სწორედაც რომ აღგვიღა არამცთუ მინი-  
საგან პირისა, ჰაერშიაც კი არ არის მისი  
ნარჩენ-ნატამალიც კი. ლოყმანეს ერის-  
მთავრობის დროს და იმის მერც კარგა  
ხნით იყო აღგვილი ის გრძნობები, ლოყმა-  
ნემდე რომ თანსადეგდათ ტენებაგელებს,  
თუკი შევეცდებით ამ გრძნობებისთვის სა-  
ხელების შერქმევას, შეიძლება ასე ნარმო-  
ვამინოთ მათი რაობა, ოფლისღერა და ჰა-  
ტიოსნება იყო აქ თავიდათავი და, უნდა  
ვთქვათ, ოფლს არა მარტო ის ღერიდა, ვინ-  
ც ყანაში ან სამჭედლოში ტრიალებდა,  
ისიც, ვისაც თუნდაც საერისმთავროს მარ-  
თვა-გამგეობა ევალებოდა, რადგანაც ერთ  
დროს ტენებაგელებს ეს ჰქონდათ მთავარ  
საზრუნავად, არ გაცუდებულყოფი იმისი  
შრომა და მეცადინეობა, ვინც პურს იძი-  
და და ვინც აქ სამჭედლოში მუშაობდა. ასე  
იყო ლოყმანეს მამის, თევდოტი ერის-  
მთავრის დროს და იმის შემდგომ ტენება-  
გელთა ასეთი სულიერი განწყობილება  
თანდათანობით აღიგავა მინისაგან პირისა.  
მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება და არის  
შემთხვევები, როდესაც კაცი და მისი  
გრძნობები არა და არ აღიგება, როგორ-  
ღაც განსხვავებული სახით კარგა ხანს  
ბოგინობს მინაზე ვითარცა მტვერი უჩი-  
ნარი, რომელსაც მზის სხივები თუ ნარმო-  
აჩენს ხანდახან. ასე, მაგალითად, რა

გრძნობები და მისი თანამდევნი რა ფიქრე-  
ბი ჰქონდა ტენებაგის ერისმთავრის ლოყ-  
მანეს, დიდხანს არ აღგვიღვ მტვერს პურ  
რისა და მათი გამოვლინება კარგა იყო მი-  
სი სიკვდილის მერცხე.

ლოყმანე რომ მომკვდარა, დიდი საფ-  
ლავი გაუთხრიათ მისთვის და სხვადას-  
ხვა ნივთებთან ერთად სანმისგადაკრუ-  
ლი სკამი ჩაუტანებიათ. სწორედ სკამი და  
არა უნაგირი. თუ რატომ სკამი, ამას ახლა-  
ვე მოგიხსნებო. ლოყმანეს ამბავმა ჩემი  
მონიფულობის ხანს მიატანა თავის ზეო-  
ბას და კარგა ხანს არ გასრულებულა, იმ  
დროს ტენებაგაში სულ სკამი ეკერათ  
პირზე და ასეც ამბობდნენ, მეტადე ამაღ-  
ლებულაო ლოყმანე. პირველად ასე რომ  
მითხრეს, მე ვიკითხე, ამაღლებულა და  
სადა სდგა-მეთქი? ღმერთზე დაბლა და  
სკამზე მაღლაო. მაგრამ, განაგრძო იმან,  
ვინც ეს მითხრა, თუ კაცი სკამზე ზის, ამ  
სიმაღლეს ვერა და ვერ გავიგებთ, რად-  
განაც სკამზე მჯდომარე რა სიმაღლეზეა,  
უფლის გარდა სწორად არც არაფერ იცის.

ტენებაგაში არც კაცი ჰყავდათ სპი-  
ლენძისა, არც ოქროს ხზო, არც ცეცხლი,  
არც ცხოველი, არც ქვენარმავალი, არც  
ფრინველი და რა საოცრებაა, არც სულმწა-  
თი მზე და არც სულმწათი მთვარე, სკამი  
იყო აქ კერპად და იმას საერისმთავროს  
ყოველ კუთხე-კუნჭულში ნახავდით. ყვე-  
ლა აქ სკამს თავყვანს სცემდა და აღმერ-  
თებდა. სულ თავიდან კი ასე დაიწყო ყვე-  
ლაფერი. ვილაც ხოზამელი კაცი ჩამოსუ-  
ლა ტენებაგაში და ლოყმანეს კარზე მსა-  
ხურობდა დიდხანს. ვემაგურ იყო იმისი სა-  
ხელი. ხოდა, ამ ვემაგურს ერთი უცნაური  
თამაში უსწავლებია ლოყმანესა და მისი  
დიდებულებისთვის. თავის სიყმანეილში  
ქეროშეას ყოფნის ხანს საკვირველი, კარ-  
გი ნახელავი სკამი უნახავს ვემაგურს, ორ  
ძირიანი, ანუ ორ საჯდომიანი, ჩვეულებ-  
რივ, თითოეული სხვადასხვა ფერისა. ტე-  
ნებაგაში თითოეულ ამ საჯდომს იმ ფერად  
ლებავდნენ, რა ფერის სამოსელიც ეცვათ  
მოასპარეზე მოთამაშებებს. სკამი ყოფილა  
თურმე იმხანად ამ მეტად გავრცელებუ-  
ლი თამაშის განუყოფელი ნაწილი. საბე-  
დისწერო შექმნილა ეს, თითქოსდა ერთი  
შეხედვით, უწყინარი თამაში ტენებაგელ-  
თა ცხოვრებაში, მაგრამ უტებ არ მომ-  
ხდარა, თანდათანობით მოხდა ასე.

თამაში კი ასეთი იყო.

პირისპირ დადგებოდნენ გუნდისთა-  
ვები და ვინც პირველი მოასწრებდა, დაი-

ძახებდა, არჩევანი მეო, მეორე კი მიადახებდა, არადანი მეო. პირველი კი ეტყოდა, გადამტრიალებელი მეო, მეორე კი გადამოტრიალებელი უნდა ყოფილიყო.

საკამა რომ თქვას, ამას რა ღარი და ხაზი უნდა, ცხოვრებაშიც ზომ ასე ზდება ხოლმე, ვინც რამეს გადატრიალებს, იმას უთუოდ გადმოტრიალება მოჰყვება.

მოგებული კი ის რჩებოდა, ვინც უფრო მეტს გადატრიალებდა (თუ გადმოტრიალებდა) სკამს ველის ბოლოში. მერე და მერე, ეს თამაში რომ დაიხვეწა (თუმცა კი სწორედ დახვეწის შემდეგ მიუღია ამაზრზვინი ხასიათი და ასე უმსგავსოდ მიმძლავრებულა ტენებაგელთა მთელ ცხოვრებაზე), საბოლოო გამარჯვება იმას შეხვედებოდა, ვინც მოწინააღმდეგეს დაუსხლტებოდა და იმ სკამზე დაჯდომას მოახერხებდა, რაღა თქმა უნდა, ჯერ სკამი უნდა გადაეტრიალებინა თუ გადმოატრიალებინა.

ერთხელ, აღარ მახსოვს, გადამტრიალებელი იყო გამარჯვებული თუ გადამოტრიალებული, დიდი ღვინო გამართულა გამარჯვებულთა საპატრიცეციუმოლად და თავად ლოყმანე იჯდა თამადად. სუფრამ თავილი მომჭრა. სასმელ-საჭმელი უამრავი. სუფრის ქვეშ კი უთვალავი ძალი (ძნელბედობის ფაშს და დუხჭირი ცხოვრების დადგომის მერე, როცა ლუკმა-პური სანატრელი გახდა, ამ ძაღლების ზროვამ ქუჩას მისცა თავი და ისე გაველურდნენ და გათავებდნენ, რომ მათი შიშით ასე თუ ისე შეძლებული ტენებაგელი კარგად შეიარაღებული დაცვით თუ გაბედავდა სახლიდან გამოსვლას და სადმე წასვლას, ხოლო ღარიბ-ღატაკნი იძულებულნი შექმნილან სხვადასხვა ძმობაში გაერთიანებულიყვნენ და ისე გამოდიოდნენ დღის ხინათლებზე. მერე და მერე ეს არაფრისმქონენი ისე გაძლიერებულან და მოლონიერებულან, საცხადო ზეგავლენას ახდენდნენ ტენებაგას ცხოვრებაზე. ხოდა, იმხანად აქ ბევრნი წყევლა-კრულეთი იხსენიებდნენ მათ ასე თავისდა უნებურად შემაკავშირებულ და ძალის მომნიჭებულ ძაღლებს). სულ მალე გამძღარ-დასივებულნი ეს ოთხფეხნი იქვე დაეყარნენ, დილას კი წელი ძლივს აათრეის და გარეთ გაიძურნენ, მგონია, კარგა ხნის შეზიზღებოდათ ეს დარბაზი. ზღვა ღვინო დაილია, მრავალი სადღეგრძელო შეისვა, ტენებაგას მზე ფიცვლომდნენ მალ-მალე წვეულნი. დაეჯექი თუ არა, მაშინვე ერთი ასი წლის ბერიკაცი მოშიჯდა გვერდით, ბენიტროს, როგორც ვაუივ. ქმარი იმ დედაკაცისა, ვინც

ბებიაკალი ყოფილა იმ ხინად, როდესაც თუეფოტი ერისმთავრის მტრულად უამას, ლოყმანე შეეძინა. და ზღაღღამ ჩანდა დახა, ლოყმანეს გაუმარჯოსო, ენად გაიკრიფა ბენიტროს და ლოყმანეს დაბადების ამბავი მოიყვა. მთლად ჩვეულებრივად არ შეხვედნია ლოყმანე თავის გაქმნას, უჩვეულო კი ის იყო, რომ დაიბადა თუ არა ლოყმანე, ანუ ის, ვინც მერე ლოყმანე უნდა შექმნილიყო, იმ ბებიაკალმა, ბენიტროს ცოლმა, ფრთხილად გამოატარა სიკვდილ-სიცოცხლის სუეტებს შუა, და თურმე ისე უყვირია ახალშობილს, იმ გამოცდილ ბებიაკალს (გამოუცდელს ვინ მოუყვანდა ტენებაგას დედოფალს) ხელიდან გაეკარდნია და დაბლა გაქანებულა, ქვის იატაკზე უნდა დანარცხებულყო თავით, მაგრამ სანმის-გადაკრულ სკამზე დაცემულა თურმე და ამან გადააჩრინა. თუეფოტი ერისმთავრის ბრძანებით ის სკამი ლოყმანეს დარბაზში დაუდგამთ და არც არახდროს მოუცილებათ, სულ იმის თვალწინ იყო და ძალიან უყვარდა ლოყმანეს ბუხართან იმ სკამზე ჯდომა და, ვინ იცის, იმ ვეშაგურს იქნებ ამიტომ არ გათმელებია ტენებაგამი დამკვიდრება იმ თამაშის, რომელიც ჯერ წესიერად და უსისხლოდ მიმდინარებოდა, მაგრამ მერე და მერე იმდენად გაურცვლებულა, რომ დიდი ენებათა ლელვის სათავე შექმნილა. დღე არ გავიდოდა რომ სისხლი არ დაღერილიყო. ჩვეულებრივ ეს ასე ხდებოდა ხოლმე, გაიჭრებოდა რომელიმე ყოჩალი მოთამაშე, მისნი-მოსნენედა სუყველას, სკამთან მიიჭრებოდა, გადაატრიალებდა (თუ გადატრიალებდა) და ზედ დაჯდებოდა; მაშინ ასეთი დიდი მარცხით გამძვინვარებული რომელიღაც გონითთ გადასული მოწინააღმდეგე მივარდებოდა და თუ მხოლოდ ცემა-ტყეპას დასჯერდებოდა, ხომ კარგი, თუ არა და სულაც ზედ იმ სკამზე დააკლავდა. დაბოლოს, რაკი მიხედნენ, ასე არ იქნებოდა; იმ სისხლისმსმულ კერპად ქცეული სკამის საკურთხეველზე მრავალმა დიდებულმა მოთამაშემ თავი მსხვერპლად რომ მიიტანა, ასე თქვეს, მაყურებელთა არჩევანით და უსისხლოდ მოხდესო ყველაფერი; ასე დაადგინეს, აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო იმ სკამის გადატრიალება (თუ გადმოტრიალება) ასეთი დიდი ბრძოლითა და მთელი იმ სარბიელი ველის მრავალგზის თაუპირის მტკრევით გადარბნით და გადმორბნით, ამის შემდეგ იმ სკამის გადატრიალებით და გადმოტრიალებით. ეს ამბავი ასე მოუგვარებიათ, დაპირისპირებული



გუნდებიდან გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვისაც მაყურებელი აირჩევდა და დახურულ დოქში ამ ორი გუნდის სიმბოლო ფერის უფრო ბევრ კენჭს ჩააგებდა. მერე იმ დოქს ხალხის წინაშე ველის შუაგულში იმ დოქს საგანგებოდ გამოტანილ ფერად-ფერადი ხელის მტყეწებიტა და ყვაველებით მოხატულ ქვაზე დაამსხვრევდნენ, ერთი ფერის კენჭებს ცალკე დაანყობდნენ, მეორე ფერისას ცალკე; ამის შემდეგ ოთხი წელზევით შიშველი მამაკაცი მივიდოდა იმ გროვებთან, თითო-თითო აიღებდნენ იმ კენჭებს, კარგად დაანახებდნენ თითოეულის ფერს მაყურებელს და ასე დათვლიდნენ საგულდაგულოდ. ზოდა, ასე გამარჯვებული გუნდისთავი საზეიმო სელით, ზარზეიმით გავიდოდა ველის ბოლოს და სკამს გადაატრიალებდა (თუ გადმოატრიალებდა). ჩვეულებრივ პირველ გუნდს „გადამატრიალებელს“ ეძახდნენ, ხოლო მეორეს – „გადმომატრიალებელს“, მაგრამ ამ, როგორც ჩანს, თითქოსდა გამოსავალმა ვიღაც-ვიღაცებს გული გაუხეთქა და ასე იყვირეს, ვითო მაყურებელმა მხოლოდ „გადამატრიალებელს“ (თუ „გადმომატრიალებელს“) გაამარჯვებინესო სულ მუდამ. და აქ ასე გამოიქვლია ანუ ასე მყვირალეთა საბედისწერო გულუბრყვილობა: რაღაც განსაზღვრულ დროს სულ მუდამ დაარქვეს, სრულიად დაივიწყეს რომ სულ მუდამ არც არაფერია ამ ქვეყნად და იმ ქვეყნადაც, ანუ თუ გნებავთ, ზესწელშიაც, იქაც ყველაფერი განუწყვეტლივ მოძრაობს და იცვლება. თითქოსდა ერთი შეხედვით უბრალო ამბავს რომ ვერ მიხვდა ვიღაც-ვიღაც გულგახეთქილი („სკამგახეთქილი“, ცბიერი ღიმილით უთქვამს ერთხელ დიმიონს, ლოყმანეს ტუძმეტეს) გადამატრიალებელი (თუ გადმომატრიალებელი), ისევ ის უმსგავსო ილეთი გამოივრეს და ზოგჯერ ასე გამარჯვებულ მოპირდაპირეს სვე თრევა-თრევით ჩამოათრევდნენ სკამიდან და ზოგჯერ ანდერძსაც აუგებდნენ სულაც.

სწორედ იმ ხანად, ლოყმანეს სასახლეში, სადაც აუღებელი იყო სუფრა, ჩხუბი მომხდარა. ჩხუბის მიზეზი დაივინებულ პქონდათ, ანუ, ისეთი განსაკუთრებული რა მიზეზი უნდა პქონადათ დღე და ღამე სუფრასთან მჯდომარე ხალხს. ამ ჩხუბის მერე რაც მოხდა, ის კი დამახსოვრებით კარგად. სასახლის ის დარბაზი სულ მთლად მიუღწე-მიუღწეწიანთ და ამ დროს ბევრი სკამიც დაუმსხვრევიათ, იმათი ნატყეწებილა ეყარა ყველგან. ის სკამე-

ზიც, რომლებიც გადარჩენილიყო გადატრიალებული ეგდო ამ დარბაზში და მტყეწებიტა რომ მოუხმეს, იყო ერთი, ვინც ზოგჯერ თუ დასჭირდებოდათ, სასახლის მასხარაც ეს ხელობა, ნამდვილ მასხარაზე ბუნებრივადაც, რადგანაც არა მარტო ქუუანაკ-ლული, ენაბრველიც იყო და ამ დროს ეს მისი გამრუდებული მტყეწელება (ისე, როგორც სხვას არავის) დიდად სასაცილოს ხდიდა. ზოდა, მაშინ ამ კაცს, ვისაც მამიკოას ეძახდნენ, ასე უნდა ეთქვა, ამდენი გადატრიალებული სკამი როგორ გადამოვატრიალოთო, მაგრამ რაღაც ჩვენთვის საკვირველი და გაურკვეველი, ხოლო მისთვის კი, როგორც ჩანს, სულ ჩვეულებრივი სულის მოძრაობით ასე ამოთქვა:

„კი-კი-კი, და-და-სნ-სნ-ყუ-ყუ-ვლ-ვლ-ოს-ოს ღმ-ღმ-ერთ-ერთ-მა-მა, რამდენამდ-ენი-ენი სკამ-სკამ-თაყ-თაყ-ვა-ვა-ნი-ნი-სც-სც-ემ-ემ-ე-ე-ლი-ლი ყო-ყო-ფი-ფი-ლა-ლაო აქ-აქ, ტ-ტი-კი“.

ეს ამბავი იმ დროს მომხდარა, როდესაც ტენებაგაში ენით უთქმელი ღალატი ჩაუდენიათ თურა იყო ეს ღალატი, როგორც ბევრი რამ ამ ქვეყნად, გამონვლილვით ესეც აღარ ახსოვდათ. მხოლოდ დიდი ხნის მანძილზე ამ ღალატის შედეგის გაუთავებელი გამოვლინება პვემმა ტენებაგალებს, რადგანაც ამ ამბის მერე საცხადო, ამქარა გახდა ტენებაგელთა გადაგვარების ნიშნები, რაიც სულ უფრო და უფრო დამანგრეველი შეიქნა, ეთქვათ, მომხდურთათვის სულ ჩვეულებრივი ოდინდელი სახელი დაერქმიათ და ამისდა კვალად ისეთი ჩვეულებრივი შემართება გამოეჩინათ, კაცს რომ მტრის მოგერიებაში შევლის. ასე გონებადბუნელი თუ გონებადბუნელი ტენებაგალები არა მარტო მტერს მოყვარეს ეძახდნენ, პატრონებდა სირეგენედ მონათლეს, ვაჟაკობა – სიგიყედ, მშრომელ კაცს სულელი შვარქვეს; დაბოლოს, სამშობლოს სიყვარული მხოლოდ სუფრაზე ახსოვდათ და სრულიად დაივინებოდათ, რომ ასეთი სიყვარული ყოველ ნუთს, ყოველ წამს, ყოველდღე უნდა იყოს ნმინდად და ნათლად გამოვლინელი არა მარტო დიდმნიშვნელოვან საქმეში (რასაც ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს ეძახიან), არამედ თუნდაც ისეთ საქმეში, რაც შეიძლება იყოს, ეთქვათ, ქუჩაზე უადგილო ადგილას გაველა, გინდ ურმით, გინდ ცხენით, გინდ ფეხითაც.

განმრავლდა დანაშაული, რაც სათუ-  
ოს ხდოდა ამ სიყვარულს. იმ დროს ტენე-  
ბაგაში ხშირად ისეთი დანაშაულიც კი  
ხდებოდა, რომ არა მარტო დამნაშავეს  
გარმეშო მყოფნი გებულობდნენ იმის ვუ-  
ლის მომკვლელ, დამამცრობელ, შემზა-  
რავ, ზოგჯერ კაცის სიცოცხლის ხელის-  
მყოფელ შედეგს, არამედ მრავალნი, თუნ-  
დაც ტენებაგას შორეულ მხარეშიც  
მცხოვრებნი, მათ შორის მოხუცებიც, ქა-  
ლებიცა და ბალებიც. ყველაზე მეტად  
ამაზრზენი ის შექმნილიყო, რომ ვითომ-  
ცდა კაცთმოყვარეობის გამო, დასას-  
ჯელს დაუსჯელად რომ ტოვებდნენ, ბევ-  
რი უდანაშაულო ეწირებოდა ამ ამბავს,  
სულიერად და ხორციელად. ესაია წინას-  
წარმეტყველის არ იყოს, ნისლივით წარ-  
ხოცილიყო მათი დანაშაული და ჯანლი-  
ვით იფანტებოდა მათი ცოდვა.

კიდევ ბევრი მიაბზო ბენიტროსმა, თუ  
რა ხდებოდა ტენებაგაში. იმ ხანად სულ  
ჩვენთან იყო, ჩემთან და დიომთან, ვერა  
და ვერ ვიცოდებდით თავიდან, ერთი წუ-  
თითაც ენა ვერ გაუწერებინა. სულ ცოტა  
მახსოვს იმისი გაუთავებელი მონათბრო-  
ბიდან. სრულიად დაშინებულა ზოგიერ-  
თი უმნიშვნელოვანესი ფურცელი ტენე-  
ბაგას მართლაცდა მდიდარი და საკვირ-  
ველი ისტორიისა.

მაგრამ აქ ზემოთქმულს დაეუბრუნ-  
დეთ.

შეიძლება ასე არ იყო, შეიძლება სულ  
სხვანაირად, შეიძლება ამ გაუთავებელმა  
დავიდარაბამ განარისხა უფალი და თუმ-  
ცა კი შეძლო ამ თავისი მრისხანების მო-  
თოკვა და ამჯერად მოურჩენელი სენი არ  
მოუვლინა ტენებაგას, არც მინისძერა და  
არც გრიგალი, რომელმაც ამ ათიოდე წლის  
წინათ აქ სახლი არ დატოვა დაუზგრველი,  
ხე და ბუჩქი ამოუტრიალებელი და რაკი  
ახსოვდა უფალს თუ რად გარდაიხსაბა ის  
მისი მაშინდელი მძვინვარება და ახლა თავ-  
ვისი ისეთივე მძვინვარების ნიშნად ყვე-  
ლას, თითქმის ყველა ტენებაგელს ზეობა,  
ანუ, ის მოანდომა, რაც უმაღლესი იყო აქ,  
ერისმთავრობა, და აქ ისეთი ამბები დატ-  
რიალდა, რომის გრიგალი, როგორც ამბობ-  
და დიომონ, სანდომ-საამური გახდა ყვე-  
ლასათვის და ყოველი, რომელმაც გაუძ-  
ლო საცთურს და გამოცდას უფლისას, ასე  
ლოცულობდა დღენიდავ, უფალო, თუნ-  
დ გრიგალი იყოს შენი მრისხანების ნიშ-  
ნად და თუნდაც მინისძერა, ნუ, ნუ,  
უფალო, წყალობის თვალთ გადმოხედე

ტენებაგას, ნუ, ნუ, უფალო, გულიდან ამო-  
ურცხე ყოველ ტენებაგელს, სურვილი  
ერისმთავრობისა, მხოლოდ მან რჩეულ-  
ნი იყვნენ ამისი მსურველინი. და ხანა  
უფალმა, ისინი, ვინც მესხობოდნენ ამას,  
არ ცდებოდნენ, რადგანაც დიდი იყო ტე-  
ნებაგას ნგრევა, თუმცა კი თვალთუხი-  
ლავი, მაგრამ ყოვლისმომცველი და საბე-  
დისწერო. კიდევ ცოტა ხანიც და გახდე-  
ბოდა თვალსაჩინო და ხილული, ტენება-  
გა მინისაგან პირისა ისე აღიგვებოდა,  
რომ დარჩებოდნენ, სრა-სახლები, ბალ-  
ვენახები როგორც ძველნი ტენებაგას  
არსებობისა, როდესაც იყო უფლის წყა-  
ლობა თევდოტი ერისმთავრობის დროს  
და არ ჩანდა ნიშანი მისი მრისხანებისა.  
თუმცა კი ამ ამბის მეორენაირი ახსნაც  
არსებობს და ასე მეუბნებოდა დიომონ, შე-  
იძლება ამ უბედურებაში არც კი ერია  
უფლის ხელი, ძნელი დასაჯერებელი,  
უფალი ასე როგორ განირადა ხალხს, რა  
ცოდვილიც უნდა ყოფილიყო. შეიძლება,  
მეუბნებოდა დიომონ, ამ სკამთთაყვანის-  
მცემლობის ხანს ლოყმანეს თავისი ტახ-  
ტი შესძლებია, თავისი დიდებული პა-  
პისპაპის ბარსუს დროინდელი, იმ ხანად  
ხოზას, გაახილაჯას, თმონიდას და რალა  
თქმა უნდა, ტენებაგას სახელგანთქმული  
ოსტატის, დემშას ნახელავი, ოქროთი მო-  
ჭადილი, ვეებერთელა, სულ ზადახშით  
განყობილი ტახტი; ასე იყო თუ არა, ვინ  
იცის, ის კი იყო ცნობილი, რომ ერთ დღეს,  
ამ საარაკო ტახტიდან ნამოვარდნილა  
ლოყმანე და დაუყვირია, ჩქარა გაიტანე-  
თო აქედან, მომაცილეთო, უბრალო სკა-  
მი მომიტანეთ, იმაზე დაეჯდებიო ანი. ტა-  
ში შამოპკრეს სიხარულით და გარეთ გაც-  
ვივდნენ იქ მყოფნი. ერთი კვირის მერე  
მთელ ტენებაგას მოედო ეს ამბავი. სიხა-  
რულის ცრემლისგან მიწა დაატალახეს,  
პკრეს ბუცხა და ნალარას, ასე გაიძახოდ-  
ნენ ტენებაგელები, რაკილა ჩვეულებრივ  
სკამზე მჯდომარე იქნება ლოყმანე, მწედ  
და მწველელად მოვეკვლინება, უფრო გა-  
იგებსო ჩვენს ურვა-კაეშანს და გასაჭირს.  
მაგრამ კაცი ბჭობდაო.

გამოხდა ხანი და თითქმის ყოველი ტე-  
ნებაგელის გულს ჯერ უწუმრად და ბუნ-  
დად, მერე კი ცხადად და ნათლად ღრღნა  
დაუნყო ერთმა მოუცილებელმა ფიქრმა  
მარად დაუძინებელი მატლივით, ასეთი  
სკამი ხომ შეიძლება ჩვენც გვექონდეს,  
ჩვენც შეიძლება ასეთ სკამზე დაე-  
ჯდეთო; ველარ დაიძალა მუბი ხალთაში,



ჯოჯობეთის ცეცელმა ამოხეთქა, დიდი უბედურება დატრიალდა, ქირის ქარმა დაბერა ტენებაგაში და ყველას ერისმთავრობა მოუნდა. ზოგი ვერც მალავდა ამას, ზოგი ამ თავის აბოპოქრებულ, მოურვეელ ვნებას გულში იმარხავდა და სადაცა ვასკდებოდა ეს გული, ვაუსაძლიონი ხედებოდა უმოქმედება. ძმა ძმას აღარ ინდობდა და მამა-შვილს.

სწორედ ეს დრო იყო, როცა ერთხელ ძალიან შეჭირვებულმა ლოყმანემ გული გადმოშობა. ყველას ის მისი სკამი რომ მოსურვებოდა და მისი გადაგდება უნდოდით, ქვეყანა აირევა და იქნებ მე დაეჯედო იმ სკამზე. თუმცა კი ისე (რაც უნდა იყოს, ლოყმანეს ყოვლისშემძლე მანდატურების შიში უკონდათ), რომ რუ სხვას უნდა ეთხარა და ქირის სხვას უნდა ენახა, წყალი კი იმას დაეღია, იმ ხანად ტენებაგელთა ასეთმა სიყვარულმა, ცბიერებამ სულ მთლად გააცოფა ლოყმანე. იმ დღეს იმის დარდსა და შფოთიანობას თავისი გაეტანა და დილიდანვე ქეიფს მიჰყო ხელი, კარგა მაგრად რომ დათერა, თავის გვერდით მჯდომარე მანდატურუხუცესს, სვერეს, თვალი დაუბრიალა, იქით გადაიო, მე მომიხმო, გვერდით დამისვა და ასე მითხრა, შენ გუუბნები, ჩემო ზაბილონ, სხვას არც ვეტყვი, ვერ გაიგებსო. მერე ხელი მოშვია და პირი ზედ ჩემს ტუჩთან მოიტანა: ერისმთავარი რომ ხარ და იგრძნობ, ხალხს აღარ უნდა შენი ერისმთავრობა, მიზეზი რა არის, ახლა არ მოვეყვები, სულ ერთია, რაც უნდა იყოს, და როცა დაგინცებენ მსურას ვითარცა მგელს და პა და პა, სადაცაა უნდა გვეთავევს კიდევაც, მაშინ სამშობლო შენდა შეატყლი ამ ხალხს და სულ მალე შენი მონა-მორჩილი გახდება. სამშობლო შეძლებულ ხალხს რა ბრძოლისა და დავიდარაბის თავი ექნება, სულაც ფეხებზე არ უკიდათ ერისმთავრად ვინ ეყოლებათ, შენი ერთგულნი დარჩებიან საფლავის კარამდე.

ხოდა, მთავრათანობით ეს უმსგავსო თამაში მთელ ტენებაგას მოეოდ და ამდენმა ტანჯვა-უვაებამ, სანუთრო რა ხრიკიანია, არც თუ ისე მცირეოდენი სიკეთე შემატა იმათ, უფრო სწორად, იმათ სულიერებას და ბოლოს ისე ამაღლდნენ, რომ სულაც შეზიზღდით სკამი და ტენებაგას ზოგმა ისე გალია ნუთისოფელი, ერთხელაც აღარ დამჯდარა არამცთუ სკამზე, ქვაზეც კი, კუნძუც კი. მაგრამ ეს მერე, ლოყმანეს სიკვდილის კარგა ხნის მერე მოხდა.

და აქ დიმიონის ერთი ნაამბობი უნდა მოგიხროთ, დიდი ამბები დასტრიალებულა ტენებაგას. სწორედ რამ ხანი იყო, ჩიქვს ლოყმანეს შეენარჩუნებინა ის თავისი ტახტად ქვეული სკამი და ის დღეები სულ ასე ღიღინებდა: „სანუთროს ქირის ნამგლითა ხომ მოვიმკე სიზარულითა ყანაო და თავის ჩემი თანა მყავს, თანა მყავს, თანა-თანაო“, მაგრამ სულ მცირე ხანი იყო გახარებული ასე ლოყმანე, რადგანაც სწორედ ამ ამბების გასრულებისთანავე მალიხულიას სენი შეეყარა, სამინელი თავის ტკივილები დასჩემდა, უძილობაც, დადნა, ჩამოხმა. უკვე საბოლოოდ განამებულს, გამძვინვარებულს მნახველებ-მომკითხველების მთელი ჯარი მოსდგომოდა, იმ საღამომდე ყველა შემოუშვა და კიდევ იმ ღამესაც რომ არ დაეძინა და რომ გათენდა, ასე გაიფიქრა, ვაითუ დღესაც გუშინდელივით იყოსო, გადაირია და როცა დაუდასტურეს, კიდევ მოდიანო, ბატონოო, დაიღრიალა, დაიძახა, ფუ თქვენო, მერე ნევრზე ხელი მოივლო, ნავალ, ნავალ და იცოდეთ აღარ მოვბრუნდები, ჩემს გადაფურთხებულს აღარ აელოკავო. გარეთ ვაყარა და ასე ყვირილით და სიმწრისგან წვერს იღლეჯდა. შეჯდა ცხენზე იმ წვიმიან-თოვლიან ვანთიადს და გასწია, გამოუდგნენ მისი ერთგულნი და მოსძახოდნენ, ვალაღაბდნენ. იმან კი ერთი შეაყენა ცხენი და გაიმეორა, არა, არ აელოკავო და ამ დროს იმისმა მანდატურთუხუცესმა, მეჯინიბეთუხუცესმა და მეჭურჭლეთუხუცესმა, სვერემ, ლაპამ და დღუბუმ ჯერ და მერე სხვებმაც, სამასნი იყვნენ სულ, იღრიალეს, მე... ჩვენ აელოკავთო, დაბრუნდი, დაბრუნდი, ლოყმანე ბატონოო. ერთი წამით გაირინდა ლოყმანე, მსაჯული გედუონი გაახსენდა, ისიც გაახსენდა, რომ სამასი იყო იმის მხვლეპელთა რიცხვი, უფლის ხელი ჩანდა ამ ამბავში, ასე თქვა გულში, იქნებ დაემბრუნდე, მაგრამ ჯერ არაო. შოლოდ საიმ წლის მერე გადაწყვიტა დაბრუნება. დაბრუნდა. თუმცა მთლად იოლი არ იყო მისი ერისმთავრად აღზევება კვლავ. იმის მაგივრად უკვე ტახტზე დეფეე იჯდა (მამისეული სკამი გადაედგო და ისევ ის პაპის-პაპის ტახტი შემოატანინა სუფუ-დარბაზში), მისი პირმშო და საყვარელი პატარა ლოყმანეს მამა. დაბრუნება რომ გადაწყვიტა ლოყმანემ, სასახლეში მოუცვიდნენ ის სამასნი მისი ერთგულნი და აქაურობა გადააყრეს ყვირილით: „ლოყმანე, ლოყმანე“



დევფემ ასე უბრძანა თავის მანდატურებს, მე დამაცადეთ, ისარი არავინ გაისროლოს. სასახლის კიბის თავზე გამოვიდა დიდი თავივლით ხელში, ყვავილებს აძრობდა და მომხდურებს ესროდა. ჯერ გაოგნდნენ ჯავრით აყაყანებულნი მსვლელები, თვალს არ უჯერებდნენ. მაგრამ ერთ იმათათგანს თვალში რომ მოხვდა დევფეს გამოხროლილი ყვავილი, ია თუ იასამანი, საშინელი ხმით იყვირა, როგორ, დავგიციინის ოხერი თუ რა არისო? თითქოსდა ეს ნიშანი ვახდა, სეტყვასავით ნამოვიდა ისრები და ქვები. კიდევ კარგი მცველებმა იყოჩაღეს, საკუთარი მკერდით გადაეფარნენ დევფეს. საშინი დაილუპუნენ მაშინ მცველთაგან. ხოდა, ერთი დალუპულის დედამ სიმწრის ცრემლების ფრქვევით მიაძახა დევფეს – „შენ არ გაიხ...“ სათქმელი აღარ დააცალეს, მიცვივდნენ, რას ამბობ, ეს რა წამოგცდა, გულში როგორ გაივლეო ამის თქმა. თავმლის წვერით ცრემლები მოინმინდა იმ უხედაურმა ქალმა. თავისი შვილის ცხედრის წასასვენებლად ნათესავეებს მოუხმო, ნავიდნენ, სულ მალე გაეცალნენ იქაურობას.

ბერჯერ მიფიქრია, ასეთი ზნე როგორ სჭირდა დევფეს, სად იყო საძიებელი ამ ზნის საფუძველი და წარმოშობა. შეიძლება ეს იყო რაღაც სიღამაზის გრძნობა, რომელსაც ისე მოეწონებოდა დევფე, სულ დააკარგვინა სინამდვილის აღქმა და შეცნობა. მე მგონია, ესეც უნდა ყოფილიყო და ისიც, რომ ერთხელ ასე მოეწონებოდა და მოჯადოებული ვერ დასხლტომოდა იმის დამანგრეველ ხვანჯებს, ზედიზედ გაუთავებელივით არც თუ ისე უწყინარი, რომელიც სულ მალე გახდა საცნაური, შეცდომები მოსდიოდა ან შეიძლება სულაც ეს იყო, რისთვისაც პლატონის სახელმწიფოებრივი სირვეცენ დაურქმევია, როდესაც ხელისუფალი კი არის ტახტზე (ანუ შევსებული აქვს ის ადგილი და ამ დროს სხვა, უფრო შესაფერისი ვერაივინ ვერ მოხვდება თუნდაც ამ ადგილის სიახლოვეს), მაგრამ ხელისუფლების არა გაეგება რა ან ძალა, ნებისყოფა, ან სულაც ქჟუა არ ჰყოფნის თავისი, თუ გნებავთ, ლეთისა და ხალხისგან ბოძებული მოვალეობის მოსახდელად. ხოდა, ამ დროს ასე გასტანჯავს, ანუ ზნე აცვამს მრავალსა და მრავალს, შეიძლება მთელ ქვეყანასაც. მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება ვთქვათ, ძალიან უყვარს

თავისი ქვეყანა და თავიანს სიცივე კიდევაც.

დევფეს ზნის ამბავი უცნაურმა ბრძანებამ გახდა საცნაური. მხოლოდ ამიტომ ღირს ამ ამბის აქ მოყვანა. ერთხელ დევფემ ასეთი ბრძანება გასცა, არ გაბედოს ვინმე ოთხფეხს რამე დაუშავოსო.

„ყოფიან ძალსაცო“ – ასე ჰკითხეს. არც დაფიქრებულა დევფე, ისე მიაძახა, ჰო, იმასაც, თავად მოკვდებო მიიცი.

ერთმა შეხვდა: „კი მაგრამ, სანამ მოკვდება, ხომ შეიძლება ვინმე დაჰკინოს, შეიძლება ბევრიცო?“

განრისხდა დევფე და დაუყვირა, უნდა გაეცალნონ, თუ არადა თავის თავს დააბრალონო.

შედეგი კი ის იყო, რომ მრავალნი, მათ შორის ბალეობიც შეენიწინენ დევფეს ამ დაუფიქრებელ, საბედისწეროდ გაცემულ ბრძანებას.

ცხადია, დიდი ხანია არ გაგრძელებულა დევფეს წინააღმდეგობა, სულ რამდენიმე დღეში ის და მისი მანდატურები სასახლიდან ნავიდნენ. მხოლოდ ეს ჩაულაპარაკია დევფეს, მამა მოდის და მოვიდესო. ნავიდა. პირველადვე, დასასვენებლად რომ გაჩერდნენ, ტენებაგა უკვე დატოვებული ჰქონდათ, ასე უოქვამს დევფეს, ამ მის ნათქვამს მისი თანმშლებნი ყველანი ერთხმად ადასტურებდნენ, ლოყმანედ გახდომას ოცდაცხრა წელიწადი მიიწე უნდა, სამ წელიწადში, ასე უცებ ლოყმანე როგორ გახვდებოდით. მაგრამ თავად იწებ სულაც ვერც გამხდარიყო ლოყმანე ვერც ათ და ვერც ოცდაცხრა წელიწადში. მხოლოდ მალაღმაღმერთმა უწყის, უბრალო მოკვდავნი ამას ველარასოდეს გაიგებენ.

წინასწარმეტყველური გამოდგა დევფეს სიტყვები, ოცდაცხრა წელიწადი მართავდა ამის მერე ლოყმანე ტენებაგას. თავისი მმართველობის ოცდამესამე წელს, ერთხელ, საღამო ხანს, დიდი ლოყმანე იმ თავის სანმისგადაკრულ სკამზე ბუხარს მიჯდომოდა და გამზიარულულ ცეცხლს ისე გაეხურებინა იქაურობა, რომ იძულებული გახდა ყველაფერი დაეფარებინა მუხლებზე რაც კი ხელთ მოხვდა, დაბოლოს, გაიხედა-გამოიხედა და ველარაფერი რომ ვერ ნახა გადასაფარებელი თავის სიახლოვეს, იყვირა, არქაით, მანდ ვინა ხართ, დავინვი, კიდევ მომიტანეთო გადასაფარე



ბელი რამე. პატარა ლოყმანე ერთხანს უყურებდა თავის ასე შეჭირვებულ ბაბუას და მერე უთხრა, ცოტა ხანიც, ბაბუა, და მთელ ამ სასახლეში მუხლებზე გადასაფარებელი აღარაფერი დარჩებოა, სჯობს ცოტა აქეთ გამოიწიო მაგ შენ სკამიანადო. დიდი ლოყმანე გამრა და ერთხანს ჩუმად უმზერდა თავის შვილიშვილს და მერე იყვირა, შეხედე, ქკუა არ მასწავლაო ამ ლლაქმა. თავისი ერისმთავრობის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ლოყმანეს ზღაპარში ეგონა თავი, ანუ როგორც ამბობდა ალექსანდრე მეფის მხედართმთავარი და მწერალი, ნეარქე, მრავალი წლის ერისმთავრობის ხანს კაცს შეიძლება ერთგვარი საერისმთავრო სენი შეეყაროსო. დაბოლოს ასე დასძენდა, თრიაქის-მწვევლის დარად აბრუებს, ათრობსო მას ხელისუფლება, ანუ შეიძლება სიკვდილამდე საარაკო ქვეყნის ბინადარი შეიქნას, არარსებულ არსებულს ვეროს და არსებული არარსებულსო. მართლაცდა, მთელი ათი წელიწადი ლოყმანემ ველარ დაიბრუნა ის ადრეული თავისი პირვანდელი ნათელი ხილვა, რაც დიდად შეელოდა იმ დროს საერისმთავრო ტახტის შენარჩუნებასა და ქვეყნის მართვაში.

დევფეს ნასელის დღიან დიდხანს მისი სახელის ხსენება ბევრსაც კი უხეთქავდა გულს. ვააჯერებდა ვინმე ბაღლი მამას და ისიც თითის ქნევით ასე ეტყოდა, პაიტ, შე მამაძაღლო, დევფეს მამა-მამა-მ-მ-მ-მ-მ და იმ ნუთსავე გადაფიჩინდებოდა, ჩალურჯებოდა და ის ბაღლი და გულგახეთილი ერთი-ორი დღით მაინც ხდებოდა დედ-მამის გამგონე და მორჩილი. ბევრი ვიმტკიცე ამაზე თავი და მერე ჩემად, ცხადლივ როგორ გავბედავდი, სხვას არ ვაუგონია, ისე ეკითხე ერთ აქაურ ბრძენ კაცს (თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებს-მეთქი) ჩემი ზაბილონ, (ასე ერქვა იმასაც), მაინც არ არის დევფეს სახელის ხსენებაც რომ სალანძღავ-სათათხავი გამხდარა. იმანაც ასე მითხრა ჩურჩულთი, დარჩებოდა კიდევ დევფე ერისმთავრად და ამას და ამას იზამდა (რასა და რას, ამის ჩამოთვლას ვერ მოვყვები, დიდხანს მოუწუნებდი, ერთი სიტყვით, კი, დაგვაქცევდაო, მეუბნებოდა ზაბილონ). შე მიფუგე, დარწმუნებული ხარ კი იზამდა ამას? კოკა სანამ გატყდებო, მანამ უნდა შეეღა, მომადახა ზაბილონმა, შევატყვე ეწყინა ჩემი შევითხვა და მეც ჩქარა ვუთხარი, ხო, ხო, კი იზამდა-მეთქი.

მიშმა ამიტანა და სასწრაფოდ გაეცალა. მერე და მერე ბევრჯერ მიფიქრა ამის შესახებ. როდესაც საქვეყნო დაგვიდარაბაში ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან ჩათრეულნი, ზუსტად იმის განჭვრეტა თუ ვინ რას იზამს შეუძლებელი უნდა იყოს. მართლაცდა, როდესაც ერთი კაცი ერთ კაცზე იტყვის, ამას და ამას იზამსო, შეიძლება არ ცდებოდეს. მაგრამ თუ ამ ერთ კაცს ათასი და კიდევ ათასი კაციც, ვთქვათ, მსაჯულლობა აბარია, ძნელი განსჭვრეტო თუ რას იზამს ეს ერთი კაცი, ანუ, შეიძლება ასეც ვთქვათ, ამ ათასი და კიდევ ათასი კაციდან ეს ერთი კაცი რასაც იზამს, ამის გაგება უზრალო მოკვდავი ნამდვილად არ შეუძლიათ. თუ რამდენად სწორია ამ ერთი კაცის, თუკი ის მსაჯულია, დღევანდელი ნაქნარი, დღეს ვერა და ვერ მივხვდებით, ამას ხვალ, ანდა სულაც ზეგ გაუგებო, როდესაც ასე თუ ისე გვეცოდინება ამ ერთი კაცისა და ამ ათასი კაცის ბედობა. ასე რომ ზაბილონის მტკიცება მრავალმხრივ ჩანდა მცდარი, თავად განსაჯეთ, იმას უნდა სცოდნოდა ის, თუ რას იზამდა ეს ათასი კაცი ერთად ან თუ რას იზამდა ამ ათას კაცთაგან მათი მცირედენი ნაწილი თუ ნაწილები და, ვინ იცის, რამდენ ნაწილად დაიშლება თუ ათასი კაცი. დაბოლოს, ისიც გასანთვლისწინებელი იყო, თუ რას იზამდა ეს ერთი კაცი ამ ათასი კაცის თუ მისი ნაწილების ზოგჯერ გულშემზარავი დავიდარაბის შემყურე. ნამდვილად, ვინ იცის, რას იზამდა ეს კაცი, ამ ათას კაცს თუ იმის ნაწილებს ყველას ერთად მოუვლიდა თუ იმისი ნაწილებიდან ერთს ან ორს, თუ, ვინ იცის, იცის, იქნებ სულაც გული გახეთქოდა და ასე დაესრულებინა თავისი სიცოცხლე. ვინ, ვინ იცის-მეთქი. მერე თუ რამე გვეცოდინება, იმიტომ გვეცოდინება, რომ წარსული უკვე წარსული ხდება და ყოველივე რაც იქ მომხდარა, თითქოსდა ხელის გულზე გვაქვს დალაგებული და გინდ აქედან შევხედავით და გინდ იქიდან, და ასე ვფიქრობთ, ჩვენდა უნებურად, რალა თქმა უნდა, ჩვენ რომ მაშინ, იმ წარსულში ვყოფილიყავით, სწორედაც იმ გაგვიძნელებოდა უშეცდომოდ მოქცევა, ვერც კი მიმხედარავით, ამას იმიტომ ვფიქრობთ, რომ მაშინ არ ვიყავით და ცხადია, მაშინ რომ ვყოფილიყავით, ასე ვერც ვიფიქრებდით, რადგან მაშინ სიმართლე არამცთუ ხელის გულზე გვექნდა, საიდან გვეცემოდა და რომელ კედელს გვარტყმევინებდა თავს, მხოლოდ ღმერთმა თუ

იცოდა, ჩვენთვის კი იმ ნუთას ეს ამბავი ცხრაკლიტულში იყო დაგმანული და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მოგვეპოვენიდა იქნებ ზოგიერთს მაინც ამ ცხრაკლიტულის გასაღები.

ჯერ კიდევ დიდი ლოყმანეს დროს ელაც-ვილაცებს შეპარვით ეჭვი, ამ სკამობანას თამაშმა ხომ არ გადაგვაჯიშაო, ამ ეჭვის აღმოცენებას ისევ პატარა ლოყმანეს მიაწერდნენ. ხალხი რომ დაიქანცა და რალაც ზღვარს მიატანა და ყველა ერთმანეთს აბრალედა ამ საშინელი ცხოვრების დადგომას, პატარა ლოყმანეს ერთხელ ის უთქვამს, რაც არც არავის მოსვლია თავში. თუმცა კი, რასაკვირველია, სრულიად გულუბრყვილოდ და ბევრმურად, ყველაფერი იმისი ბრალია, ვინც პირველმა მოინდომა სკამის გადატრიალება და კიდევაც გადაატრიალაო. ვილაცამ, იქ მყოფმა შუბლზე იტყიცა ხელი, მართლაცდა, კარგი იყო რომ პირველად აქ მოგვსვლოდა ეს მარცხი, ახლა კი ასე საბედისწეროდ მოწყვეტილ და აგორებულ ქვას რალა გააჩერებსო.

პაი, ქვა დრომ გააჩერა, მეტი რალა შეძლებდა იმის გაჩერებას, მაგრამ კარგა ხანი დასჭირდა ამ დროის დადგომას. ყველაზე მეტად გულშემზარად ამბავს მაინც, არ ვიცი რამდენად სწორია, კიდევ ორი ტენებაგელი ბრძენკაცის, მამა და შვილის მინაოზისა და კოსმანის საბედისწერო შეცდომას უკავშირებდნენ, და აქ დადასტურება უპოვია იმ გამოცდილებამ, რომ უბრალო მოკვდავთა ცდომილებასთან შედარებით ბრძენთა (ანუ ისინი, ვისაც ასე ეძახიან, ანუ ასეთი სახელი აქვთ, ასე იცნობენ) შეცდომები მომაკვდინებელი შეიქმნება დიდად. მოხდა ისე, რომ სწორედ ამ მინაოზისა და კოსმანის ლოცვა-კურთხევით აღზედა ერთხელ ლოყმანე და სულ მალე, ბედი არ გნებდა, ეს მამა და შვილი ერთ ნელინადში ისე დახოცილან, რომ არც კი უნახავთ ამ თავიანთი თანადგომის სავალალო შედეგი და, რალა თქმა უნდა, ვერც შეძლეს უკვე ასე თავგზაირულ ტენებაგელთა სწორ გზაზე დაყენება, რაც, ვიცი, სამი-ოთხი წლის მერე იმათთვის, როდესაც გონს მოვიდოდნენ, სულაც არ იქნებოდა ძნელი.

მერე კიდევ რალაც-რალაცები გვიამბო დიომონა ლოყმანეს შესახებ. საბოლოოდ სკამთაყვანისმცემლობას რაც მოჰყვა, ეს იყო ლოყმანეს ზეობა და დამკვიდრება, უფრო სწორად, იმ სულიერების დამკვიდ-

რება, იმას დაბადებიდანვე რომ გამოჰყვა და ჯერ ბავშვური წმინდა ტყუარაძე-რული ფაშთა სელაში სტრუტურულ მტყუარაძე-ლი სახით წარმოგვიდგა. მართლაც, ყველა მოკვდავის დარად, სიცოცხლის გარიყვრაზე ლოყმანესთვის ყველაფერი ამ ქვეყნად იყო წმიდა და აუმღერველო, შემდეგომ, დავაგვაცებისდა ევალად მან გაიგო, ანუ იქნებ სულაც გაუცნობიერებლად მიხვდა, რომ ის მისი ან უკვე გარდასული ბავშვობისდროინდელი აუმღერველობა და სინწინდე ერთი საამური-სანეტარო გაელევა ყოფილა თურმე, და ვერა და ვერ შეეგუება ამას, მთელი თავისი არსებით ხშირად დაუნდობელ ბრძოლას გაუმართავს ამ, როგორც ის შეიძლება ხშირადვე ფიქრობდა, უსამართლობასა და სოფლის სიმუხთლეს, და სწორედ მაშინ, უკვე ზრდასრული კაცი გააღმერთებს (ყველას ხომ ნუთისოფლის თავისი საწყაული აქვს) სკამს, რაც, ხშირადვე სწორედ ამ დაკარგული სინწინდის აუმღერველობის ძიებაა მთელი სიცოცხლე სულ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. დაბოლოს, კიდევაც ნეტარებით დაღვეს კაცი სულს იმ აზრით გამსჭვალული და დაიშვებული, რომ ამ თავისი კერპით შეძლო ასე თუ ისე დაებრუნებია ის ერთი უთქმელი სინწინდე და აუმღერველობა. ხშირად კი ეს არის უდიდესი გვემა-წამება საკუთარი თავისა და სხეულისა, მრავლის უმრავლესის მოლოცებაა, რადგანაც ამ კერპის საკურთხეველზე მრავალი უნდა დატანჯულიყო; მხოლოდ მცირეოდენი თუ მოახერხებდნენ დაბრუნებოდნენ იმ მდგომარეობას, ამ კერპის თაყვანისმცემლობის გაჩენამდე რომ იყვნენ, მრავალნი კი სულაც აღმოჩნდებოდნენ თავისი განვითარების იმ უმდაბლეს საფეხურზე, რომლის არსებობა ეჭვადაც არ ეჭონდათ თურმე.

სწორედ ასე იყო ლოყმანეს შემთხვევაში, ამას ვერ ვიტყვით, შეიძლება ასეც ყოფილიყო ან არ ყოფილიყო, ის მისი ამბავი უკვე იდუმალებით მოცულია და ზედმთხვე საფლავის ქვა ადევს. ამ ქვის გადაწევა არა კაცს არ ძალუძს, რადგანაც ამისი სურვილი და ხალისი ტენებაგელებს არც არასდროს გასჩენიათ, უფრო მეტიც, მეორეც დაუნდობლივთ ან იქნებ, რაკილა მისი განსასვენებელი ადგილი მცირე ვერდობის ძირში იყო, ეს მეორე ქვა სულაც მინისძვრის დროს დასდებია იმის საძველეს.

მრავლეს უმრავლეს ტენებაგელს ლოყმანე რალაც შარავანდედის სახით



წარმოუდგებოდა. თვალუნდენელი და შეუცნობელი უფსკრულიდან იყო ამონ-  
ვდილი ეს შარავანდედი და თავადაც ისე-  
თივე თვალუნდენელი და შეუცნობელი  
ჩანდა. სწორედ ამიტომ (მგონია არ უნდა  
ვცდებოდე) ბევრმა ტენებაგელმა ლოყ-  
მანეს სიბრძნე იწამა და კიდევაც გაება  
ამ შარავანდედის მაცდუნებელ ზეანჯებ-  
ში და დიდხანს ვერ მიხვდა, ეს ეშმასუ-  
ლი ცეცხლით წამოგზანებული შარავან-  
დედი იყო და არა სიბრძნე. გამოხდა ხანი  
და ეს შარავანდედი იმად გარდაიხაზა რაც  
უნდა ყოფილიყო და იმისმა ცეცხლის  
ნებმა მრავალი ტენებაგელის სიცოცხლე  
შეინარა თავის უწყალო და ამოუყორავ  
სამსხვერპლოზე.

ლოყმანეს თავყანისცემა ბრმა და  
უსაზღვრო გამოდგა და მისი სახელის  
ხსენებაც კი იწვევდა დიდ ალტაცებას,  
იმასაც, რასაც ეს ალტაცება იწვევს, სიბ-  
რმავეს, სწორედ ამ სიბრმავეს დაუღუ-  
პავს ლოყმანეს უერთგულესი კაცი, მისი  
მეგინიბითუხუცესი ღაპა. სწორედ იმ  
დღეს, როდესაც დვეჯე უნდა წასულიყო,  
უნდა დაეტოვებინა ყველაფერი და ცხრა  
მთას იქით გადაკარგულიყო, მაშინ გალა-  
ვანზე გადმომდგარმა ღაპამ დაიყვირა,  
არიქა, არიქა, დვეჯე, მდევარი, მდევარიო,  
ლოყმანე ერთ, ასევე უერთგულეს მსა-  
ხურს ასე მოსჩვენებია ეს ყვირილი, აქა,  
აქა ვარ, დვეჯეს მიმდევარიო, იმავე წამს  
ზურგში ისე ატყვარა შუბი, რომ სახეც არ  
უნახავს მისი, ვისაც კლავდა.

იმ დროს კი პატარა ლოყმანე იმდენად  
ჩვილი იყო, რომ რა ენაზე მეტყველებდა,  
ვერც ვერავინ მიმხვდარიყო. ტენებაგას  
იმხანად გაახილაჯელების აურაცხელი  
ჯარი შემოსეოდა და სულ პირველად ქა-  
ლაც ამადისს შემოარტყეს ალყა. მაშინ  
იყო რომ ქალაქის დამცველთა გასამხნე-  
ვებლად ლოყმანე ჩაივდა და ყოველ იმის  
მოქმედებას ეს ერთი დიდებული (და პიი,  
რა მაიცდუნებელი) აზრი მსჭვალავდა, არ  
იქნებოო დიდი ლოყმანეს დამარცხება.  
ამადისელებს გული მოეცათ და არც არა-  
ვის უფიქრია გახიზვნაზე. მართლაც არა-  
ვინ მოელოდა ლოყმანეს სამინელ მარ-  
ცხს.

მოადგა ოლოფარნა, მტრის ჯარის  
სარდალი და წამის უმაღლესად ურჩხულე-  
ბად გარდაისახნენ ყოველნი აქ მცხოვ-  
რებნი, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყ-  
ვნენ, კაცნი, დიაცნი, ბაღლნი, მოხუცნი,  
ქალწულ-მხეთუნახანნი. ასე იყო სწორედ.

ასე რომ არ ყოფილიყო, ოლოფარნას წო-  
გორ მოადგებოდა ის სიტყვეთუხუცეს-  
ბიც ზარის შემზარავ ტყვედქვარტყვე-  
და ყოველს ამეზობდა ნგრევასა და გლო-  
ვას. ზოდა, ასე იძახოდა ოლოფარნა ქალა-  
ქის მისადგომებთან მდგომარე, პირწმინ-  
დად ამოვრეცხავო ამადისს, როგორც  
ჯამს ამორეცხავს კაცი, ისე ამოვრეცხა-  
ვო და გადმოვაპირქვავებ. და ქვაბი გახ-  
და ის ქალაქი, ამადისი, მცხოვრებნი კი  
ზორცნი მისი და აქ დაქრილ-დაკეპილე-  
ბის მზარეული სადღაც ცხრა მთას იქი-  
დან უთვალთვალებდა და მალე უნდა მო-  
სულიყო შეჭამანდის გასაკეთებლად. ასე  
ამბობდნენ, ბოროტს მიემთხვია ასე  
უღვთოდ, იმან გასწირა ჯოჯოხეთისთვის  
ოლოფარნა და იმანაც, რაღა თქმა უნდა,  
ვინც აქ გამოავზავნა იგი. ასე, მუუზნებო-  
და იმხანად დიშონ, კაცს არც არასდროს  
გასწირავს რაც ბოროტებაა საბოლოოდ,  
რაღაც მაცდუნებელი შარავანიღ ლუპა-  
ვს მას, ახვევს მას ენით უთქმელ სხივებში  
და მხოლოდ ამის მერე ხებდა იგი განწი-  
რული და მოლორებული. მოხდა ისე, რომ  
ლოყმანეს, ნებით როგორ ვიტყვი, უნებ-  
ლით შქონდა წვლილი ამ ჯამის ამორეც-  
ხვასა და გადმოპირქვავებაში. ხელწარ-  
თულ ბრძოლაში ჩართულს, თავში თავი-  
სივე მოქნული ხმლის ვადა მოხვდა და  
იქვე უგონოდ დაენარცხა მინაზე. დიდის  
ამბით რომ მოასულიერეს, გონს მოსულს  
თავისი სადაურბა ისე უწყალოდ დავიწ-  
ყებოდა, ომანიანი ხმით დაიწყო ყვირილი  
ამ თავისი ასე სავალალოდ წაგვრილი მეხ-  
სიერების გამო, მე ვარ ლურთუნგი, გაა-  
ხილაჯელთა სარდალიო! ოლოფარნასკენ  
გაიქცა და იმან ეს მისი ყვირილი რომ გაი-  
გონა, იმავე წამს მიხვდა მტრის  
მრავალნაცადი მზედართმთავარი რაც  
სჭირდა მას, ასე დაიძახა, სად ხარ, ჩემო  
ბატონო, ძალიან გვიჭირს, მოგვეშველეო.  
თავზარი დაეცა ტენებაგელებს ეს რომ  
დაინახეს, მერე კი ეს ამბავი ტენებაგელ-  
თა მთელ ლაშქარს მოეძო. ფარხმალი და-  
ყარეს და თავქუდმოგლეჯილნი გამოიქ-  
ცნენ ბრძოლის ველიდან. მრავალი ამოი-  
ხოცა და დაიჭრა, ხოლო ვინც გადარჩა,  
მთის ბილიკებს ამოუყვა, თოვლიან-ყინუ-  
ლიანის საველით დატოვა თავისი ქვეყანა,  
მხოლოდ ნანილმა გამოაღწია მშვიდობით  
და ზოხას ჩაივდა.

მინამ ამოატრიალა ქიპი და ამოანთხია  
ჯოჯოხეთი და ჩვენ, რომლებმაც არ ვი-  
ცოდით, როგორი იყო ჯოჯოხეთი და სულ

მუდამ გვზარავდა იქ მოხვედრა, ცხად-ლივ ვიხილეთ აქ, ტენებაგას მიწაზე. და ხომ იყო მშვენიერი ქალაქები სოდომ და გომორი და ეს სახელები არც რას გვამცნობდა, გვამცნობდა მხოლოდ იმას, რომ იყო ქალაქები სოდომი და გომორი, აწვი-მა უფალმა გოგირდი და ცეცხლი და გახ-დნენ ეს ქალაქები რაც გახდნენ და ახლა მათი სახელების ხსენებაც კი გულს გვი-ხეთქავს. სწორედ ასეთი ხდებოდა ჩემ თვალწინ ამადისი და არ იყო ძალა, რომ ტენებაგა იმად დარჩენილიყო, რაც იყო და არ შექმნილიყო ახალი სოდომ და გომორი, ანუ სახელები ენით უთქმელი, შემზარა-ვი და გულის მომკვლელი. უკვე რამდენი ხანია წარმოვიციო ის ცეცხლი, თუნდაც მცირეოდენ სინათლეს რომ მოფენდა ტე-ნებაგას, ანუ აღარსად იყო ის ვარსკვლა-ეები, რომელთა ნათელს შეეძლო ტენე-ბაგას შემზარავი ღამის განათება.

თუმცა კი მერე, როცა გამოიძიეს ამ დამარცხების მიზეზი თუ მიზეზები, ლოყ-მანცა გამარტლება კარგად მოახერხეს. მაშინ ვილაყამ, მე მგონია, ჭკუაგამოლე-ულმა (პაი, სამინელომგამოვლითა ზედე-რი სწორედ ეს არის ან შეიძლება ასე უთხრეს ის ზემოთ ხსენებული ლოყმანეს დაქრისა და მეხსიერების დაკარგვის ამბავი) განაცხადა, იმიტომ კი არ ჩამო-დიოდა ლოყმანე ბრძოლის ველზე, ჩვენ გავიმარჯვითო, იმის შიში ჰქონდა, ვაი-თუ ჩვენ გავიმარჯვითო, იმდენად დიდი ყოფილა ეს შიში, შუაგულ ომში შეიჭრე-ბოდა ხოლმე, ჩემიანმა ვინმემ მეტისმე-ტად არ მოიქნოსო მახვილი. ამაზე კი ერთმა მიუგო, აღშფოთებული იყო ვითარ-ცა დიდი ქარისგან ზღვა, ყრუ იყავი და რას გაიგებდი, ბრმა იყავი და რას დაინახა-დიო. მეორემ კი მიაცხადა, ნურც ასე გაიმე-ტებ, შავბნელი დღეები იყო და იმიტომ გახდა ლოყმანე მთლად ლოყმანე. მესა-მემ კი თვალები დაუბრიალა იმათ და ასე თქვა, ჩვენც ხომ, თითქმის ყველანი, ვხვდებით მთლად ის რაცა ვართ მხოლოდ დიდი გაჭირვების ფაშს, უბუმბლონი და უნიღბონიო. მეოთხემ კი ასე დასძინა, ლოყმანე არც შენ სახსენებელია და არც შენო. მერე კი, ასე ამბობენ, ერთმანეთ-ზე განუულან და კიდევაც დაუღენით ერთმანეთისათვის თავ-პირი. ასე, ის, რაც ამკარა იყო ბნელით შეიშინა და რაც ბნე-ლით იყო შემოსილი, კიდევ უფრო დაბ-ნელდა და ასე და ამგვარად ის დამარცხე-ბა ბოლოს გამარჯვების ბადალი გახდა,

თანაც ამ დროს ლოყმანე მრავალი ტენე-ბაგელის მწე და მშველქორ მქმნსლქმწო, რადგანაც მისი შენეენქმწო მქმნსლქმწო ზეობა ჰგონებიათ იმათ თავიანთი მსწარაფლწარმავალი წუთისოფელი და მი-სი თანამდევი ოქრო და ვერცხლი, ისე და-ინწყეს ძახილი, დიდი, დიდი არისო ლოყ-მანემე შეიძლება ამ ძახილმა მოაღწია ლოყ-მანემე (მე მგონია, შეიძლება კი არა, ნამ-დვილად მოაღწედა) და რათა ის თავისი გამორჩეულობა და სიდიდე დაემტკიცე-ბინა, აიღო და ის თავისი დამარცხებული სარდლები ტოტე, ბეკე და იაკიდი იმით დააჯილდოვა, რაც უპირველესი იყო ტე-ნებაგაში, ოქროს სკამის რაინდობა\* მოუ-ბოდა. ამ ქვეყანაში ვინცა ნამყოფი, იმას უთუოდ ემახსოვრება სიმბოლო ხსენებუ-ლი რაინდობისა – ვერცხლის მოგრძო ჯაჭვზე (ზოგიერთს ჭიპამდეც კი სწედე-ბოდა) დაკიდებული ოქროს სკამი და იმის საზურგეზე მჯდომარე ბადახმის არწივი, ნისკარტმოღერებული. საოცარი ოსტა-ტობით უქერულებინა ეს სიმბოლო ლოყ-მანეს ოქრომჭეველს თუდას. სწორედ იმ ხანად ასეთი ჭორი დადიოდა ტენებაგაში, დიდი ლოყმანე თავისივე შეილიშვილს გა-მოუჭენებია, დიდი როგორ არისო ჩემი ბა-ბუა, იმის სკამს გრძელი ფეხები აქვს და ეს ადიდებსო მახ. სკამის ფეხების სიგ-რძეზე რა მოგახსენოთ, მე არ გამიზომია, შეიძლება ისე პატარა იყო მისი შეილიშ-ვილი და ბაბუას სკამის ფეხები გრძელზე გრძელი მოსჩვენებია. მძიმე დრო იყო მა-შინ, უკვე მერამდენედ სიმწრით შუბლის ძარღვი გაუნყდა ლოყმანეს, იჭრიალა სისხლმა და მენამულისფრად შეუღება მთელი სახე და ნეერ-ულვაში, ბევრი ნმინ-დეს, ნმინდეს და ვერა და ვერ მოაცილეს ის შემზარავი სინითლე. ლოყმანეც ძლიე-ს დაუსხტლა ოლოფარნას მჭვივარებას; იმ მცირეოდენთ, ვინც ამადისს დაარჩენენ, არც ჰქონდათ შეწყალების იმედი.

ჩემი კოლასტრას გამომგზავრების დროც დადგა, ერთი კვირის მერე უნდა ნამოვსულიყავი. ერთხელ, სალამო ხანს (იმ ერთი კვირის რომელიღაც დღის სა-ლამო ხანს) ასე გვითხრა მე და დიომონს ლოყმანემ; ის ნათქვამი მთელი მისი იმ დღევანდელი გაუთავებელი საუბრის და-სასრული იყო და შეიძლება ამიტომაც და-მამახსოვრდა ასე კარგად:

გარდასულ დღეებს შეეკითხეთ თუ გნებავთ, თქვენამედი რომ იყო, თქვენს აქ მოსვლამდე რომ იყო, ასე არის ახლა და



ასე იქნება სულ მუდამ ტენებაგამი და მე მრცხვენი ტენებაგელი რომ ვარ.

ცოტა ხანს იყურა ლოყმანემ და მერე ასე ჩაიჭრულა, მგონია, თავისთვის და არა ჩვენს გასაგონად, რა ვქნა, რა ჩემი ბრალაია, ზუნდებახსნილი სული ყოვლის დამანგრეველია და მხოლოდ შემოსაზღვრული სული ებრძვის ქაოსს და მხოლოდ იგი ამყარებს უმაღლეს ნესრივს.

კიდეც ერთ საღამოს (იმ კვირის სხვა, მეორე საღამოს) მდინარის პირას გამოვედით, დიმონ, ლოყმანე და მე. მთვარე დანათოდა ტენებაგას ამ უმშენიერეს არემიადამოს, ქვემოთ ხევში მთის მდინარე ენენუნტი მოშუოდა და თითქოსდა მთელ სივრცეზე ჩაჭდებულიყო იმაში ოქროსფერი ნათელი მთვარისა. თვალის-მომჭრელად ლაპლაპებდა წყალი. მისაუბრობდნენ ლოყმანე და დიმონ; რას ვხედავ, ათი ნაბიჯით წინ მიდიოდა ლოყმანეს ჩრდილი, დიმონის კი ათი ნაბიჯით უკან და კარგად გავიგონე, ასე გასძახა დიმონის ჩრდილმა ლოყმანეს ჩრდილს, საიდან მოდიხარო?

ქვეყნად ნანნალიდანო, იმან მოუგო. რაო, საიდანო?

სადაც ახლა არა ხარ, იქ ველარ იხილავო ცისკრის ნაშნაშებს, იყო პასუხი.

ცისკარი მარტო ნათელი არ არის, ბნელიც არის ჯერ კიდეც და ბნელი ნაშნაშებს რას გამოაჩენსო.

კიდეც ერთ საღამოს იმ უკანასკნელი კვირისა, ამჯერად მე და დიმონ გამოვედით ენენუნტის პირას.

მახსოვს, სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, სიჩუმე და სიღამე არეულიყო ერთმანეთში და სულ მალე გარდაიხახა იდუმალეზად. ცოტა ხნის მერე ეს იდუმალეზა ჩურჩულით ამოთქმულ სიტყვად იქცა და დიმონის ყურას მოეახლა, ჩურჩულითვე ამოთქვა იმან ეს სიტყვები (რა დამავინწყებს):

„ნუხელ ძილის წინ, დაძინებამდე, სანამ გამეცლებოდა აზრი და ღონე, ჩამესმა ჩემი ჩურჩული, ჩემი ჩურჩული – სახელის გარეშე ვითარცა კვამლი ისე მოედინებოდა ვაება ჩემი! ბნელს მივეცი თავი, ძილმა წამილო, მეყსეულად დამეცა ღამე შაფერი, დავინწყების ხელმა დამკრა, გამაბრუა. გათენდა, დარეკა ზარმა ჩემი გრძობიერებისამ. ცოტა ხნის შემდგომ კი მოვიდა, ფიქრის მორევში გახვეული, ფამ-ფამად სიტყვებითაც გარემოსილი და ან უკვე ჩემი სულიერების ყვაილებად

აჯეჯილებული. ასეა ჩემს სულში, ასე ან ამგვარად. შენში კი, ვინ იცის, რა მხეველ ულა ხორცად ან მახვილად აღწერილი პირდაღრენილი, დუფმორეული, თვალუბნისისხლიანებული რომ შესცქერის ცისკრის ნაშნაშებს ჯერ კიდეც გრილი და საამური ბინდით გარშემოზურვილებს“.

გაჩუმდა დიმონ, ერთხანს თითქოსდა თავისი სულის სიღრმეში ჩაებრუნებინა მზერა. ცოტა ხნის მერე კი ასე მითხრა, თუ ვახსოვს, იმ საღამოს რა უცნაური შხული ისმოდა მდინარის, მთვარის ზღაპრული სხივები რომ დასნაფებოდა.

მახსოვს-მეთქი, მე მივუგე.

და მამონ ასე განაგრძო დიმონმა:

„კაცის სული ჰგავს მთვარის სხივებდაკრულ წყალს, რომლის ზედაპირი საოცრად პრიალებს და იმის ქვეშ რაც არის, იდუმალეზითაა მოცული და ბნელია. ღვთისგან ბოძებული კაცის სული მორჩილებს იმას, რაც ჯერ კიდეც ღვთაებრივი არ არის და არც შეიძლება ღვთაებრივი იყოს და, ცხადია, ღმერთი უცეც ვერ მონატებდა თავის სიმაღლეს და მხოლოდ ნვა-დაგვისა და დიდი გამოცდილებით შეიცნობა სიცოცხლის მაღალი ხე; მხოლოდ ამის მერე იქნება კაცი ღვთაების დარი, ახლა კი მისი სული ჯერ კიდეც (პე, მრავალი და მრავალი ათასწეულია ეს ჯერ კიდეც!) დამძიმებულია არალეთაებრივი, მდებალი ზუნდებით; თავად კაცნი უნდა მიხვდნენ ამას, თავად ისინი უნდა გახდნენ განაჩენის გამომტანნი და სასჯელის აღმასრულებელნი; მხოლოდ ამის მერე შეიძლება ჩაერიოს ღმერთი და თქვას, რომც არ ჩაერეულიყავი, თავადაც იზამდა ამას, თავადაც მომეახლებოდა სულითა და ხორციით ერთად თუ არა, სულით მაინც. ამ სულს კი თითქოსდა არცა სურს კაცის სხეულში დაბრუნება ან ზოგჯერ სხვათა სხეულს არჩევს თავის ახალ საბუღრად, თუნდაც რომ ეს საბუღარი მდებალი იყოს ან სულაც უსხეულოდ განაგრძობს მარადიულ სრბოლას. იმ საღამოს სწორედ მიცვალებულთა სულები გასდგომოდნენ გზას, სულების მატარებელთა ამბრის ხის ნავეები შევნიშნე, ზოგი ნაეი ზესქელდა უნდა ასულიყო და ზოგი უნდა ჩასულიყო ქვესკნელს; მათ სხვა ამას გვამცნობდა, განაფული ხელი მართავდა იმ ნავეჭურჭლებს, კარგად იცოდნენ მენავეებმა ვინ სად უნდა ნაეყვანათ. იმ ნავეების მენიჩბეთუხუცესნი, სუყველანი, ტანვეებანი არიან, ნვერ-

ხმელანი და კბილებგამოყრილნი. ამ კბილებს ნაეის ქვეშ მოლივლიე წყლისამებრ ცივი ნათება გააქვთ. ადამის ფამის ხნისანებს ტურები ვალეული აქვთ და არც ტყავი შერჩენიათ შუბლზე და იმის ზემოთაც და ასე იმ კბილებისნაირადვე უპრიალეხთ შუბლისა და მთლიანად თავის ძვალი. ხოლო მათი მძლავრი ხელები ვერ შეუმუსრავს დროთა უფსკრულოვანს, რადგან სულ საქმედ მომარჯვებულ დიდ ნიჩბებს ატრიალებენ. დაბოლოს, როცა მიხვდებიან ეს მრავალნაცადი მენიჩბეთუხუცესები, საითაც უნდა წაიყვანონ ნავთა ქიმებზე გაქვავებული ხორცი და ძვალი და იმათ სიახლოვეს მოფრთხილენ სულელები, ზეალმართავენ თავის ნიჩბებს, მკვეთრი მოძრაობით სამოთხის ნათელ მდინარეს მისცემენ თავს ან ჯოჯობეთის მრუმემომალეებულ, წარუვალი სევდა-ვაგებით სავსე აქაფებულ მორევს; თუკი სწორედ ზესკნელს კი არა, ქვესკნელს უნდა მიმართონ ნავეები, მაშინ იმათ შუბლსა და დაღრქენილ კბილებს სითეთრე სულ მალე გადაუგვით და შავად აელვარდებიან, შავფერივე არილი მოველებათ იმათ თავს. ლოყმანეს სული რომ მიუვათ, იმ ნაეის მენიჩბეთუხუცესი უცებ ვერ მიხვდება, სად უნდა იყოს მისი სამყოფელი, ვიდრე მისი ღრმა მზერა ახლო და შორეულ მომავალს არ მისწევდება და არ გამომზერდება შედეგი, შედეგი-მეთქი იმის საქმეთა. სულ მალე იქიდან ეს ლანდის სვეტივით ნავეზე დაყუდებული კაცი თვალს მიაპყრობს ისევ ლოყმანეს სულით თავს მოვლებულ, ოქროსფერისხივეებით მოფენილ მდინარეს და მენიჩბებს და იმათ მენიჩბეთუხუცესს უკვე ეცოდინებათ, საითკენ უნდა წაიყვანონ იგი სული\*.

ნუთუ უფალი გამოცდას გეიწყობს იმასაც, ჩვენც-მეთქი, მე მივაძახე.

დღეს ასე უნდა იყოს, ამოიხვენემა დომონმა.

„და რამდენი ხანი იქნება ეს დღეს, დომონ? — კვლავ მივაძახე.“

ალარაფერი მითხრა იმან სულ მალე უნდა ვალეულიყო მორიად საღამოთაგან ეს ერთი საღამოც. სულ უფრო და უფრო იწავლა ბინდმა, ბინდისნაირივე ფერი დაედო დომონს, თვალი იქით მიაპყრო, სადაც ამ საღამოსეული სივრცე თავედებოდა და იწყებოდა სხვა, უსასრულო და უკიდევანო.

მეორე დღეს, როდესაც გათენდა, მზემ გამოანათა, ტენებაგადან მიედოიოდი და მთელი ღამის უძილობით განამებულს თითქმის შევება მომგვარა ამ დილის შეურყენელმა ნათელმა, ოთხი-ხუთი საათის მერეც ეს წმინდა ნათელი, ჩემდა გასაოცრად, არ გალენულა, ანუ, უფრო სწორად, უკვე ჩემს სულსა და გულში იყო დევანებული. ნაშუადღევს, ამ ქვეყნის საზღვართან მოსული და დაძველებულ-დაფუტუროვებულ ფიცრის ფუნდუქში მწირ სუფრასთან მჯდომარე მოხეტიალე ქნარზე დასკვრელებს ვუსმენდი, ტენებაგაში ყოფნის ხანს ჩემთვის უცხო და წარმორღვენელი იმ დილანდელი ის ნათელი გრძნობა ამ ფიქრებად გარდაისახა, ჯერ ბუნდად მოახლებულნი, მერე უეცრად ნაშოიშაღნენ, დაიძრნენ და სულ მალე აზვირთდნენ, ადიდნენ ვითარცა მდინარენი გაზაფხულზე.

დაახლოებით ასეთი იყო ჩემი წამონთებული გონების ნიაღში ამ ფიქრების გაღლა — მო, მო, ლოყმანეს უნდა ვუმაღლოდეთ, რაც უნდა იყოს, თითქმის ყოველი ტენებაგელი რომ ამ ოცნებას შეუპყროს, როგორც არის, ისე არ უნდა იყოს და, ამისდა კვალად, იმათ წარმოუდგებათ, რა ნეტარებაა, ის საამური დრო და ის საამური წამი, როდესაც ისე იქნება როგორც ახლა არ არის და, ვინ იცის, ტენებაგელნი იმ საამური ფიქრით ვალევენ ნუთისოფელს, რომ ღამეს დღე უნდა მოჰყვეს, დამდაბლებას — ამალლება; ასე დაინთქმებოდა ტკბილ ბურუსში მათი საშინელი, გაუხარებელი ანწყო. ღმერთსაც ხომ ესმის იმათი სულების ყოველი მოძრაობა და ნელ-ნელა, ნელ-ნელა ეს მათივე ოცნება სინამდვილედ გარდაისახება.

დასასრული იქნება

# ორთა ბოლვა

პიესა

ცილ ჩელტონს  
იუ პენოს  
ანტუან ბურსელიეს

## მოქმედი პირნი:

ქალი  
კაცი  
ჯარისკაცი  
მეზობლები

## დამკრახის

ერთი ჩვეულებრივი ოთახი: სკამები, სანოლო, ტუალეტის მაგიდა, სიღრმეში ფანჯარა, კარი მარჯვნივ, კარი მარცხნივ. ქალი, ავანსცენის მარცხნივ, კართან ახლოს, ტუალეტის მაგიდასთან ზის. კაცი, ოდნავ ვალიზიანებული, ზურგზე ხელუბდანყობილი, სცენაზე დადის, ზოგჯერ ქერს აჩერდება, თითქოს ბუზების ფრენას უყურებსო. ქუჩიდან ხმაური, ყვირილი, სროლა ისმის. პირველი სამოცი ნაშის განმავლობაში სიჩუმეა: კაცი ოთახში დადის, ქალი თავისი ტუალეტითაა გართული. კაცს საკმაოდ ქუჩყიანი ხალათი აცვია. ქალის ხალათი კი მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც კეკლუცობა უყვარდა. კაცი გაუპარსავია. ორივე უკვე ახალგაზრდა აღარ არის.

**ქალი.** დიდებულ ცხოვრებას მპირდებოდი მერე სად არის? შენი მშვენიერი თვალების გამო, ქმარს გაცვეყარე! ღმერთო, რა რომანტიკული ტუტუცი ვიყავი! ჩემი ქმარი ხომ ასეჯერ უკეთესი იყო შენზე, მაცდურო! ჩემთან ასე ბრწყინვალად არ კამათობდა!

**კაცი.** განგებ ხომ არ ვაკეთებ. სისულელეს რომავ, მე კი წინააღმდეგობას გინეცქემშარიტება ჩემი ვნებაა.

**ქალი.** რა შუაშია ქემშარიტება? გუბნები, განსხვავება არ არის-მეთქი. ეს არის ქემშარიტება. ლოკოკინა და კუ – ერთი და იგივეა.

**კაცი.** არა-მეთქი, სხვადასხვა ცხოველია.

**ქალი.** თვითონა ხარ ცხოველი, ჩერჩეტო.

**კაცი.** ჩერჩეტის ხმა მესმის.

**ქალი.** შეურაცხყოფას ნუ მაყენებ, უგუნურო, არამზადაც, მაცდურო.

**კაცი.** მომისმინე მაინც.

**ქალი.** რატომ უნდა მოგისმინო? ჩვიდმეტი წელია ვისმენ. ჩვიდმეტი წელია უჭმროდ ვარ; სახლი არა მაქვს, რომ თავი შევადარო.

**კაცი.** ეს რაღა შუაშია.

**ქალი.** აბა, რა არის შუაში?

**კაცი.** ის, რაზეც ვკამათობ.

**ქალი.** რა არის აქ საკამათო. ლოკოკინა და კუ – ერთი და იგივეა.

**კაცი.** არა, ერთი და იგივე არ არის.

**ქალი.** არა, ერთია.

**კაცი.** ყველა ამასვე გეტყვის.

**ქალი.** ვინ ყველა? კუს ჯავშანი აქვს? მიპასუხე!

**კაცი.** მერე?

**ქალი.** ლოკოკინას ნიჭარა აქვს?

**კაცი.** მერე?

**ქალი.** განა ლოკოკინა და კუ თავიანთ სახლებში არ იმალებიან?

**კაცი.** მერე?

**ქალი.** განა კუ ლოკოკინასავე ნელა არ დადის? განა ლორწოიანი არ არის? განა მოკლე სხეული არ აქვს? განა პატარა რეპტილია არ არის?

**კაცი.** მერე?

**ქალი.** მერე და დაგიმტკიცე კიდევ: განა არ ამბობენ „კუს სისწრაფით“ -ო და „ლოკოკინას სისწრაფით“ -ო? განა ლოკოკინა კუსავით არ დაცოცავს?

**კაცი.** მთლად ასე არ არის.

**ქალი.** მთლად ასე არ არის – არა? რა გინდა თქვა, ლოკოკინა არ დაცოცავს?



**ქაბი.** არა, არა.

**ქალი.** აი, ხედავ? ლოკოკინა იგივეა, რაც კუ-

**ქაბი.** არა.

**ქალი.** ჯოჯოკო ლოკოკინა ან იხსენი რატომ.

**ქაბი.** იმიტომ რომ...

**ქალი.** კუ, უფრო სწორედ ლოკოკინა, თავის სახლს ზურგით ატარებს. ეს სახლი ზურგზე ლოკონიებით აზის, ამიტომაც ეძახიან ლოკოკინას.

**ქაბი.** ლოკოკინა ლოკოკინასებრია. ეს ლოკოკინა უსახლოა. კუს კი ლოკოკინასთან საერთო არაფერი აქვს. ხომ ხედავ, მართალი არა ხარ.

**ქალი.** ზოლოდვიაში თუ ძლიერი ხარ, მაშინ ამხსენი, რატომ არა ვარ მართალი.

**ქაბი.** იმიტომ რომ...

**ქალი.** ამხსენი რა განსხვავებაა, თუკი განსხვავება საერთოდ არსებობს.

**ქაბი.** ის რომ... განსხვავება... რაღაცეები საერთო არსებობს, არ შემოძლია უარყო.

**ქალი.** მაშ, რატომღა უარყოფ?

**ქაბი.** განსხვავება ისაა, რომ... ისაა, რომ... არა, ამაოა ლაპარაკი. დანახვა არ გინდა. მომწიქნა და მტკიცება. მეყოფა.

**ქალი.** ახსნა იმიტომ არ გინდა, რომ მართალი არა ხარ. პატრონსადა რომ კამათობდე, დაძვინებებოდი. სამართლიანი კამათი კი არ გინდა და არც არასოდეს გდომებია.

**ქაბი.** ღმერთო, რა სისულელეა მოიცა, ლოკოკინა ეკუთვნის კლასს... უფრო სწორედ, ლოკოკინა... კუ...

**ქალი.** არა, საკმარისია. უმჯობესია ვაჩუქდე. არ შემოძლია ამ ბოძვის მოსმენა.

**ქაბი.** არც მე შემოძლია, შენი მოსმენა არაფრის გაგონება არ გინდა.

**(ისმის ძლიერი აფეთქების ხმა)**

**ქალი.** ეერასოდეს შევთანხმდებით.

**ქაბი.** აბა, საიდან. (სიჩუმე) მომისმინე, კუს რქები აქვს?

**ქალი.** არ მინახავს.

**ქაბი.** ლოკოკინას აქვს.

**ქალი.** ყოველთვის არა, როცა გვიჩვენებს მაშინ აქვს. კუ კი ლოკოკინაა, რომელიც რქებს არ აჩენს. რითი იკვებება კუ? საღათით. ლოკოკინაც. ასე რომ, ეს ერთი და იგივე ცხოველია. მითხარი რას ჭამ და გეტყვი, ვინა ხარ. ამიტომაც მიორთმევენ კუსაც და ლოკოკინასაც.

**ქაბი.** მაგრამ სხვადასხვანაირად ამზადებენ.

**ქალი.** ერთმანეთს კი არ ჭამენ, არც მგლები ჭამენ ერთმანეთს, რადგან ერთი სახეობისა არიან. უკიდურეს შემთხვევაში, ორი ქვესახეობაა. მაგრამ, მნიშვნელობა არ აქვს, მაინც ერთი სახეობაა, ერთი სახეობა.

**ქაბი.** სახე შენ იდიოტური გაქვს.

**ქალი.** რა თქვი?

**ქაბი.** რა და ის, რომ მე და შენ სხვადასხვა სახეობას ვეკუთვნი.

**ქალი.** ბოლოს და ბოლოს, შეამჩნიე.

**ქაბი.** მაშინვე შევამჩნიე, მაგრამ ძალიან გვაიანი იყო. ადრე უნდა შევამჩნიე. პირველ დღესვე გახდა ნათელი, რომ ერთმანეთს ვერ ვუგებდით.

**ქალი.** დაგეტოვებინე ჩემს ქმართან, ჩემს ოჯახში, გეთქვა, რომ ასე უკეთესია. ჩემი მოვალეობები შეგეხსენებინა. ჩემი მოვალეობები... რა სიხარულით შევასრულედი და ეს საუცხოო იქნებოდა.

**ქაბი.** ეშმაკმა შეგაცდინა და ჩემთან ნამოგიყვანა!

**ქალი.** ეშმაკმა კი არა, შენ შემაცდინე! მცდურო! ჩვიდმეტი წელია უკვე! რა გამეგებოდა მაშინ? შეილები მივატოვე; თუმცა შეილები არ მყავდა, მაგრამ შეიძლება მყოლოდა. რამდენიც მომინდებოდა, იმდენი მეყოლებოდა. ვაჟები მეყოლებოდა და მათი მფარველობით ვიცხოვრებდი. ჩვიდმეტი წელი!

**ქაბი.** კიდევ ბევრი ჩვიდმეტი წელი ჩაივლის. ჩვიდმეტი წლის სამყოფი დენთიც გაქვება.

**ქალი.** ცხადია, არ გინდა აღიარო, რომ ლოკოკინა თავის სახლს მალავს და არ აჩენს. გამოდის, რომ ლოკოკინა, მამასადამე კუცაა.

**ქაბი.** გამახსენდა, ლოკოკინა—მოლუსკია, მუცელფეხა მოლუსკი.

**ქალი.** თვითონა ხარ მოლუსკი. მოლუსკი რბილია, კუსავით, ასევე ლოკოკინაც. არავითარი განსხვავება. თუ ლოკოკინას შეაშინებ, ის თავის სახლში იმალება, კუც გამოდის, რომ ერთი და იგივე ცხოველები არიან.

**ქაბი.** კარგი, როგორც გინდა ისე იყოს. რამდენი წელია ამ კუსა და ლოკოკინას გამო ერთმანეთს ვითახავთ.

**ქალი.** ლოკოკინა და კუ.

**ქაბი.** როგორც გენებოთ, ამის მოსასმენად ძალა აღარ მაქვს. (სიჩუმე) მეც მივატოვე ცოლი. მართალია, მაშინ ჩვენ უკვე გაყრილები ვიყავით და თავი იმით დავიმშვიდეთ, რომ ჩვენამდე



ათასობით ადამიანი გაყრილა. გაყრა არ ღირს. რომ არ დავექორწინებულოყავი, არც გავეყრებოდი. კაცმა არ იცის, როგორ ჯობია.

**ქალი.** სწორია, შენთან კაცმა არ იცის, როგორ მოიქცეს. ყველაფერზე მიდიხარ. ოღონდ არაღურის თავი არა გაქვს.

**ქაბი.** ცხოვრება უშომავლოდ, უშომავლოდ ცხოვრებაა და ცხოვრება არ არის.

**ქალი.** ზოგიერთებს ბედი აქვს. ბედია-ნებს ბედი აქვს. უბედოებს კი ბედი არ აქვთ.

**ქაბი.** მცხელა.

**ქალი.** მე კი მცივა. უფრო დროს გცხელა.

**ქაბი.** ისევ გაუგებრობა. მარადიული ურთიერთგაუგებრობა. ფანჯარას გაეღებ.

**ქალი.** ვინდა გამყინო? მომკლა?

**ქაბი.** რატომ უნდა მოგკლა; პაერის ჩასუნთქვა მინდა.

**ქალი.** შენ არ ამბობდი, სიცხეს უნდა შევეჩვიოთ?

**ქაბი.** როდის ეთქვი? არ შეიძლებოდა, ასე შეთქვა!

**ქალი.** არ შეიძლებოდა? შარშან თქვი. ღმერთმა იცის, რალას არ რომავ-მუდამ საკუთარ თავს ეწინააღმდეგები.

**ქაბი.** საკუთარ თავს არ ეწინააღმდეგები. მაშინ წელიწადის სხვა დრო იყო.

**ქალი.** როცა გცივა, ფანჯრის გაღების უფლებას არ მძლევ.

**ქაბი.** აი, ესეც შენი მთავარი ნაკლი: როცა მე მცივა, შენ გცხელა; როცა მე მცხელა - შენ გცივა. თუ ერთს სცხელა, მეორეს აუცილებლად სცივა.

**ქალი.** თუ ერთს სცივა, მეორეს აუცილებლად სცხელა.

**ქაბი.** არა, თუ ერთს სცხელა, მეორეს აუცილებლად სცივა.

**ქალი.** იმიტომ, რომ შენ ისეთი არა ხარ, როგორც ყველა.

**ქაბი.** ისეთი არა ვარ, როგორც ყველა?

**ქალი.** დიას, საუბედუროდ, ისეთი არა ხარ, როგორც ყველა.

**ქაბი.** არა. საბედნიეროდ, ისეთი არა ვარ, როგორც ყველა.

**(აფეთქების ხმა)**

**ქალი.** საუბედუროდ.

**(აფეთქების ხმა)**

**ქაბი.** საბედნიეროდ **(აფეთქების ხმა.)** აფეთქდა. ჩვეულებრივი ადამიანი არა ვარ. იმ რეგენებს არ ვგავარ... იმ რეგენებს, შენ რომ ეამფსონები.

**(აფეთქები ხმა)**

**ქალი.** აფეთქებენ.

**ქაბი.** უგვარტომო როდი ვარ! პრინცი-სების სტუმარიც კი ვყოფილვარ, რომლებსაც კუჭებამდე ჩახსნილი ფეხკრეტები ეცვათ, ზემოთ კონსტით დაფარული, სიკარემ სულ შიმვლები იწებოდნენ. გენიალური აზრები მომდიოდა, არაეის უთხოვია, თორე ჩავინერდი. შემედლო პოეტიც გავმხდარიყავი.

**ქალი.** ნუ წარმოიდგენ, თითქოს სხვებზე ქვეიანი ხარ. შეშლილობის წუთებში, ეს მეც კი დაეიჯერე. არა, მართალი არ არის. ისეთი სახე მივიღე, ვითომ დაეიჯერე. მაცდუნე და დაეიჯერე. მაგრამ, სულერთია, კრეტინი ხარ.

**ქაბი.** კრეტინი შენა ხარ!

**ქალი.** კრეტინი ხარ, კრეტინი! მაცდურო!

**ქაბი.** შეურაცხყოფას ნუ მაცენებ. მაცდურს ნუ შეძახი. უსირცხვილო!

**ქალი.** ეს შეურაცხყოფა არ არის. საგნებს თავის სახელს ვარქმევ.

**ქაბი.** მეც დაეარქმევ თავის სახელს. მოიცა ერთი, სიფათი მოვისწორო **(სახეში ძლიერად ურტყამს).**

**ქალი.** არამზადე! მაცდურო! მაცდურო!

**ქაბი.** ფრთხილად...

**ქალი.** დონ უფანო! **(სილას გაანწავს.)** მშვენიერია!

**ქაბი.** გაჩუმიდი! მომისმინე! **(ქუჩაში ხმაური ძლიერდება, ისმის ყვირილი, სროლა. ხმაური უფრო ახლო ისმის, ვიდრე უწინ ისმოდა, ანუ ფანჯრის ქვეშ. კაცი, რომელიც საპასუხოდ ემზადებოდა, უცებ გაიტრუნება, ქალიც.)**

**ქალი.** რა ხდება?

**ქაბი.** არაფერი. სამია მოკლული.

**ქალი.** ვინ?

**ქაბი.** ყოველი მხრიდან თითო, ერთიც გამვლელი, რომელიც ნეიტრალიტეტს იცავდა.

**ქალი.** ფანჯარასთან ნუ დგახარ. შენც მოგკლავენ.

**ქაბი.** ახლაც დავებურავ. **(ფანჯარას ხურავს.)** უკვე აღარ ისერიან.

**ქალი.** მაშასადამე, წავიდნენ.

**ქაბი.** დაიცა, დაეინახო.

**ქალი.** ფანჯარას ნუ ალებს. **(კაცი ფანჯარას ალებს.)** რატომ წავიდნენ? რას ფიქრობ? დაბურე ფანჯარა, მცივა. **(კაცი ფანჯარას ხურავს.)** სიცხისაგან შეიშლება ეს კაცი.

**ქაბი.** ისევ ერთმანეთს მისდევენ. იმ მხარეს ორ თავს ეხედავ, ორს კიდევ ამ მხარეს? **(ქუჩაში ჯერ ვერ გავალით. გასულა ჯერ**

არ შეიძლება. მერე გადავწყვიტოთ, რა ვქნათ. ხვალ.

**ქალი.** მშვენიერი მიზეზია ისევ არაფერი გადავწყვიტოთ.

**ქაბი.** რას იზამ.

**ქალი.** მომივალშიც ასე იქნება. ხან ქარიშხალი; ხან რკინიგზაზე გაფიცვა, მერე გრიპი, მერე ომები. როცა ომი არ არის, მაინც ომია. აჰ! ყველაფერი მარტივია. ვინ იცის, ჩვენ რა გველის? გამოცნობა ძნელი არ არის.

**ქაბი.** სულ სხვადასხვანაირად ივარცხნი, ხან ასე, ხან ისე. ისედაც ლამაზი ხარ. ამაზე ლამაზი ვეღარ იქნები.

**ქალი.** შენ არ გიყვარს, როცა ცუდად ვარ და ივარცხნილი.

**ქაბი.** ახლა კეკლუცობის დრო არ არის. სრულიად არ არის.

**ქალი.** ჩემს დროს ვუსწრებ და მშვენიერი მომავლისთვის ვემზადები.

**(ფანჯრის მიწას ტყვია გახვრეტს და ოთახში შემოვარდება)**

**ქაბი და ქალი.** აჰ! დაინახე? დაინახე?

**ქალი.** ხომ არ დაგჭრა?

**ქაბი.** ხომ არ დაგჭრა?

**ქალი.** ხომ გითხარი, დარაბები მიხურეთ. მეთქი.

**ქაბი.** სახლის პატრონს უნდა ვუჩივლო. ამას როგორ უშვებს? და საერთოდ, სად დაიკარგა? ცხადია, ალბათ, ქუჩაში გასართობად გავარდა. ოჰ, ადამიანებო, ადამიანებო!

**ქალი.** დარაბები დახურე (კაცი დარაბებს ხურავს, სიბნელე.) სინათლე აანთე. სიბნელეში ხომ არ ვისხვებით.

**ქაბი.** შენ ხომ დარაბების დახურვა მთხოვე. (სინათლის ასანთებად მიდის, რაღაცას ფეხს ნამოსდებს.) ვაი! მეტკინა!

**ქალი.** გამოშტერებული!

**ქაბი.** ასე, ასე, მაგინე. სად არის ეს ობერი? ამ სახლში ვერ გაიგებ, რა რისთვისაა. ჩამრთველები, ღმერთმა იცის, სად არის. ცოცხლებივით იცვლიან ადგილს.

**(ქალიც ჩამრთველის საძებრად მიდის და კაცს დაეჭაკება)**

**ქალი.** ფრთხილად შეგეძლო ყოფილიყავი.

**ქაბი.** შენც.

**(ქალი სინათლის ანთებას ახერხებს)**  
**ქალი.** რომ დამეჯახე, შუბლზე კოპი დამაჯდა.

**ქაბი.** შენ ფეხზე დამაბიჯე.

**ქალი.** განგებ გააკეთე!

**ქაბი.** შენც განგებ გააკეთე! (ორივე ჯდება. ქალი ერთ სკამზე, ქალი-შეორეზე. პაუზა.) ერთმანეთს უჩინარ შერეხვადროდით და ერთმანეთი არ გაგვეცნო, რას ვიზამდი? ალბათ, მხატვარი გავხდებოდი. იქნებ, სხვა რამეც შეკუთვინა. შეიძლება, მთელი სამყარო შემომეცვლო. იქნებ, ახალგაზრდობაც შემენარჩუნებინა.

**ქალი.** მოხუცებულთა თავშესაფარში მოკვდებოდი. ალბათ, მაინც შეეხედებოდი ერთმანეთს; შეიძლება სხვანაირად არც შეიძლებოდა. რას გაიგებ ახლა?

**ქაბი.** და იქნებ, საკუთარი თავისთვის არც შეკითხა, რისთვის ვცოცხლობ. შეიძლება, სეფდასაც აზრი შეეძინა.

**ქალი.** მე კი ვინახავდი, როგორ გიზრდებოდნენ შვილები. იქნებ, კინოშიც რამე როლი მეთამაშა. ვიცხოვრებდი მშვენიერ, ციხე-დარბაზში, ყვეაილებს შორის და ვიქნებოდი... რა ვიქნებოდი?

**ქაბი.** ნავედი (შლაპას იღებს, კართან მიდის, ამ დროს ძლიერი ხმაური ისმის. ის კარნი ჩერდება.) გესმის?

**ქალი.** ყრუ ხომ არა ვარ. რა არის?

**ქაბი.** ხელყუმბარა. შეტევაზე გადავიდნენ.

**ქალი.** გამბედაობაც რომ გეყოს, მაინც ვერ გააღწევ. ორ ცეცხლშუა ვართ. რატომ იქირავე ბინა ამ ორი კვარტლის მიჯნაზე?

**ქაბი.** თვითონ ვინდოდა აქ ცხოვრება.

**ქალი.** სიცრუეა!

**ქაბი.** მახსოვრება დაკარგე თუ განზრახ თვალთმაქცობ? შენ ვინდოდა აქ ცხოვრება, რადგან ფანჯრიდან ლამაზი ხედი ჩანს. ხომ ამბობდი, შენში ახალ აზრებს გააღვიძებსო.

**ქალი.** ეს რაღა მოიგონე?

**ქაბი.** ნინასნარ ვერ განჭვრეტდი... ვერ ინიანსნარმეტყველებ...

**ქალი.** ხედავ? ხომ გამოტყდი, რომ სახლი შენ აირჩიე.

**ქაბი.** როგორ თუ მე? აზრადაც არ მომსვლია.

**ქალი.** ჩვენ ეს ისე უბრალოდ გავაკეთეთ. (ბინის კედლებს იქით ხმაური ძლიერდება. კიბეზე ყვირილი და ფეხის ხმა ისმის.) ამოდიან. კარი კარგად დაკეტე.

**ქაბი.** კარი დაკეტულია. ცუდად იკეტება.

**ქალი.** მაინც კარგად დაკეტე.

**ქაბი.** კიბის ბაქანზე არიან უკვე.

**ქალი.** ჩვენი?

**(კარზე კაკუნი)**



**ქატი.** დამშვიდდი, ჩვენთან არ არის. მოპირდაპირე კარზე აკაკუნებენ.

**(ორივე უსმენს, კაკუნია არ წყდება)**

**ქალი.** მიიყავით.

**ქატი.** ზეით ადიან.

**ქალი.** ჩამოდიან.

**ქატი.** არა, ადიან.

**ქალი.** გეუბნები, ჩამოდიან-მეთქი.

**ქატი.** აუცილებლად რალაც უნდა დაიფინო. ხომ ვთქვი - ადიან-მეთქი.

**ქალი.** ჩამოდიან. ვერც კი ხედები, ხმაური საიდან ისმის. შიშისგან მოგდის.

**ქატი.** რა განსხვავებაა, ადიან თუ ჩაადიან? შემდეგში ჩვენთან მოვლენ.

**ქალი.** ბარიკადები უნდა აღემართოთ. კარადა, კარად მიადგი კარს. თან ამბობ, რალაცა აზრები მაქვსო.

**ქატი.** არ ვამბობ, თორემ...

**ქალი.** რალას უდგებარ, კარადა გადადგი. **(მარჯვენა მხარეს მდგარ კარადას ორივე შეეჭიდება და მარცხენა კართან მიათრევენ.)** ასე გული უფრო მშვიდად გვექნება, ცოტათი მაინც.

**ქატი.** ესეც სიმშვიდეა რა. შენც ამბობ რალაცას.

**ქალი.** ჰო, შენს გვერდით, რა სიმშვიდეზეა ლაპარაკი.

**ქატი.** რატომ არ არის ჩემს გვერდით სიმშვიდე?

**ქალი.** იმიტომ, რომ, განუწყვეტილად თავს მამბეზრებ. რასაჭიროა, რომ მაცივრები და გულს მიწყალე და მიწყალე.

**ქატი.** არაფერს ვიტყვი და არც რამეს გაგაკეთებ. ყველაფერზე ბრახობ. ხომ ვიცი, რასაც ფიქრობ.

**ქალი.** რას ფიქრობ?

**ქატი.** რასაც ფიქრობ, იმას ფიქრობ.

**ქალი.** ცილისნამება ვერაფერი ქარაგმაა.

**ქატი.** ეს ცილისნამება არ არის.

**ქალი.** არა, ცილისნამებაა.

**ქატი.** არა.

**ქალი.** დიას.

**ქატი.** არა.

**ქალი.** თუ ცილისნამება არ არის, მაშ, რა არის?

**ქატი.** ცილისნამება რომ დაამტკიცო, უნდა იცოდე, რა არის ცილისნამება. აბა, მითხარი, ცილისნამების განსაზღვრება.

**ქალი.** ჩავიდნენ. ზედა სართულის მეზობლები ნაიყვანეს. უკვე აღარ ყვირიან. რა უქნეს ნეტაე?

**ქატი.** ალბათ, ყვლები დასჭრეს.

**ქალი.** საინტერესოა, თუმცა არა, სულაც არ არის საინტერესო, რატომ ვეძებ?

**ქატი.** საკითხავად ხომ ვერ ნავალ სხვა მდგომარეობაა.

**ქალი.** იქნებ, ყვლები არ დასჭრეს. იქნებ, სხვანაირად მოექცნენ.

**(ქუჩიდან ყვირილი და ხმაური ისმის. კედლები შეზანზარდება)**

**ქატი.** გესმის?

**ქალი.** ხედავ?

**ქატი.** ხედავ?

**ქალი.** გესმის?

**ქატი.** ყველაფერი დანალმეს!

**ქალი.** მალე სარდაფში აღმოვჩნდებით.

**ქატი.** ან ქუჩაში. შენ ვაკცოდები.

**ქალი.** არა. უკეთესია სარდაფში. იქ გათბობის გაყვანა შეიძლება.

**ქატი.** იქ დამალუაც შეიძლება.

**ქალი.** არ მოვლენ.

**ქატი.** რატომ?

**ქალი.** სარდაფი ძალიან ღრმაა. ვერ იფიქრებენ, რომ ჩვენანორი ხალხი ან არამთლად ჩვენანორი ხალხი იმ უფსკრულში ცხოველებივით იცხოვრებენ.

**ქატი.** ისინი ყველაფერს ჩხრეკენ.

**ქალი.** დაიმალე, თუ გინდა. არ გიჭერ. სუფთა პაერით ისუნთქე. შემთხვევით ისარგებლე და შენი არსებობა შეცვალე. ნახე, არსებობს თუ არა სხვა არსებობა.

**ქატი.** შესაფერი მომენტია არ არის, ცივა და ნვიძს.

**ქალი.** შენ კი ამბობდი, რომ მხოლოდ მე მციოდა.

**ქატი.** ახლა მეც მცივა. ცივმა ოფლმა დამასხა. ამის უფლება ხომ მაქვს.

**ქალი.** ცხადია, ყველაფრის უფლება გაქვს. მე არაფრის უფლება არა მაქვს. იმის თქმისაც კი, რომ მცხელა. ნახე, რა ცხოვრება მარგუნე? კარგად შეხედე. ნახე, როგორი ვარ შენს საზოგადოებაში.

**(აჩვენებს დაკეტილ დარაბებს, კარადით ჩაკეტილ კარს)**

**ქატი.** ეს რალა ბოძეაა. ახლა იმის მტკიცება არ დამიწყო, რომ მთელი ეს სამინელება ჩემს გამო ხდება.

**ქალი.** მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ეს ყველაფერი უნდა გაგეთვალისწინებინა. ყოველ შემთხვევაში, ისე გაგეკეთებინა, რომ ეს ყველაფერი ჩვენი თანდასწრებით მაინც არ მომხდარიყო. უიღბლობის განსაზღვრება ხარ.

**ქატი.** კარგი. მივდივარ. შლაპა მომეცი.

(შლაის ალება უნდა. ამ დროს, და-  
ხურულ დარაბებს შუა ხელყუმბარა შე-  
მოვარდება და ოთახის შუაში დაეცემა.  
ორივე ხელყუმბარას ათვალეობებს)

**ქალი.** ნახე, კულოკონინას ჯავშანი.

**ქატი.** ლოკონინას ჯავშანი არ აქვს.

**ქალი.** მაშ, რა აქვს?

**ქატი.** მგონი, ნივარა.

**ქალი.** ეს ერთი და იგივეა.

**ქატი.** ოჰ! ეს ხომ ხელყუმბარაა!

**ქალი.** ხელყუმბარაა ახლავე აფეთ-  
ქდება. პატრუქს ფეხი დაადგი!

**ქატი.** ამას პატრუქი არ აქვს. ერთი ნახე,  
არ ფეთქდება.

**ქალი.** დაიძალე, ჩქარა! (კუთხეში იმა-  
ლება. კაცი ხელყუმბარას ათვალეო-  
ბებს.) მოგკლავს. ფრთხილად, შეშლილი!

**ქატი.** ოთახის შუაში ხომ არ ეგდება.  
(იღებს ხელყუმბარას და ფანჯრიდან  
აგდებას).

(ფანჯრის იქით აფეთქების ხმა ისმის)

**ქალი.** ხომ ხედავ, აფეთქდა, ალბათ, სახ-  
ლში არ აფეთქებოდა. აქ ხომ ჟანგბადი  
ცოტაა. სუფთა პაერზე ფეთქდება. ვინმე  
ხომ არ მოკალი? მკვლელი!

**ქატი.** იქ ისეთი ამბები ხდება, თუ მარ-  
თლა ვინმე მოკალი, ვერაუინ შეამჩნევდა.  
ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამჯერად გადავ-  
რჩით.

(ქუჩაში ძლიერი ხმაურია)

**ქალი.** ახლა, ალბათ, ორპირი ქარი და-  
ინწყება.

**ქატი.** დარაბების დაკეტვა არ კმარა.  
ფანჯარაში ლეიბის შეტენვაა საჭირო. ლე-  
იბი მომეცი.

**ქალი.** ცოტა ადრე ვერ მოიფიქრე? მხო-  
ლოდ მაშინ პოულობ გამოხსავალს, როცა  
უკვე გვიანია.

**ქატი.** სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

**ქალი.** ფილოსოფოსო, შეშლილი, მაც-  
დურო, მობრუნდი, ლეიბი მომიტანე. მიშ-  
კვლე.

(საწოლიდან ლეიბს იღებენ და ფან-  
ჯარას აფარებენ)

**ქატი.** რალაზე დავიძინოთ?

**ქალი.** შენა ხარ დამნაშავე, რომ მეორე  
ლეიბი არა გვაქვს სახლში. ჩემს ყოფილ  
ქმარს უამრავი ჰქონდა. ეს მაინც გვქონდა  
თავზე საყრელად.

**ქატი.** თვითონ აკეთებდა გასაყიდად და  
იმიტომ. ბუნებრივია, თავზე საყრელად  
რომ გქონდათ.

**ქალი.** როგორც ხედავ, მსგავს ვითარე-  
ბაში ბუნებრივია.

**ქატი.** სხვა შემთხვევაში საყრელი ბუ-  
ნებრივი. კარგი სანახაური უნებროდათქვე-  
ნი სახლი — ყველგან ლეიბები.

**ქალი.** უბრალო ხელოსანი კი არ იყო, მე-  
ლეიბე — ასი იყო. ხელოვნების სიყვარულით  
აკეთებდა. შენ რალას აკეთებ ჩემი სიყვა-  
რულით?

**ქატი.** შენი სიყვარულით მოწყენილი-  
ბისგან ვიხრჩობი.

**ქალი.** დიდი თავგანწირვა არ არის.

**ქატი.** იმაზეა დამოკიდებული, როგორ  
შეხედავს კაცი.

**ქალი.** ყოველ შემთხვევაში, დამლუ-  
ლი არ არის. ზარმაცე ხარ.

(იხვე ხმაური, მარჯვენა კარი ჩა-  
მოვარდება და ოთახში ბოლი შემოვა.)

**ქატი.** ეს უკვე მეტისმეტია. ერთის და-  
კეტვას ვერ ასწრებს, კაცი, მეორე იხსნება.

**ქალი.** შენი მიზეზით ავად გავხდები,  
უკვე ავად ავარ. გული მაქვს ცუდად.

**ქატი.** ... ან ვარდება.

**ქალი.** აბა, სცაადე და თქვი, რომ დამნა-  
შავე არა ხარ.

**ქატი.** ამაზე პასუხს არ ვაგებ.

**ქალი.** შენ არასოდეს არაფერზე აგებ  
პასუხს.

**ქატი.** მოელენების ლოგიკის მიხედვით,  
ასეც უნდა მომხდარიყო.

**ქალი.** რომელი ლოგიკის?

**ქატი.** საგნების ლოგიკის, ასეთია ობი-  
ექტური ნესრივი მოელენებისა.

**ქალი.** რა უწყობთ კარს? შეაკეთე.

**ქატი.** (ჩამოვარდნილ კარს იქით გა-  
იხედავს.) მეზობლები მინ არ არიან. ალბათ,  
დასასვენებლად ნაიფინენ. სახლში კი ასა-  
ფეთქებელი მასალა დააგინყდათ.

**ქალი.** ჭამა მიზად და მწყურია. ნახე  
ერთი, რამე ხომ არ დარჩათ?

**ქატი.** შეიძლება, შესელა ვცადო? ამით  
ბინაში ერთი კარია, რომელიც შესახვევში  
გადის. იქ სინყნარეა.

**ქალი.** შენ ოღონდ ნახვიდე, მოიცა. შლა-  
პას დავიხურავ. (კაცი მარჯვნივ გადის.)  
სადა ხარ?

**ქატი.** (კულისებიდან.) აქ კაცი ვერ გავა,  
კედელი ჩამოხრეულა, ასეც ვიკოდი, ნან-  
გრევეებით არის ჩახერგილი. ქვის გორებია.  
(შემოდის.) გასაველელი არ არის, ცოტა მო-  
ვიკვადოთ, ვიდრე ჩენი ქუჩა ჩანყნარდება.  
მერე კარადას გავნეოთ და გავლოთ.

**ქალი.** ნავალ, ვნახავ. (გადის.)

**ქატი.** ადრე უნდა ნასულიყავი. სამი წლის  
წინ ან ერთი წლის წინ ან გასულ კვირას მა-  
ინც. ახლა ცოლთან ერთად შორს ვიქნებოდი.



შევრიგდებოდით მაინც. მართალია ქმარი ჰყავს, ე.ი. სხვასთან არის, მთებში, მაგრამ მე ხომ უბედური სიყვარულის ტყვე ვარ და აკრძალული სიყვარულისაც. ჩათვალთ, რომ ყველაფერი დამსახურებულად მივიღე.

**ძალი (ბრუნდება.)** რას ბურტყუნებ? ისევ საყვედურები?

**ქატი.** ხმამალა ვფიქრობ.

**ძალი.** იმათ ბუფეტში ძეხვი ვიპოვე და

ლუფი. ბოთლი გაბზარულია, სად ვჭამოთ?

**ქატი.** სადაც ვინდა. იატაკზე დავჯდეთ.

მაგიდის მაგიერობას სკამი გავგინევს.

**ძალი.** ღმერთო ჩემო, სამყარო უკულ-  
მაა მონყობილი. (იატაკზე სხდებიან, შუ-  
აში სკამს ჩაიდგამენ. ქუჩიდან ხმა-  
ური, ყვირილი და სროლა ისმის.) მალ-  
ლა არიან, ამჯერად უკვე წამდვილა.

**ქატი.** შენ რომ ამბობდი, ჩამოდიანო.

**ძალი.** ის ხომ არ მითქვამს, აღარ ავლენ-  
მეთქი.

**ქატი.** შეიძლებაოდა მიმხედარიყავი.

**ძალი.** შენი აზრით, რა უნდა გამეკეთე-  
ბინა?

**ქატი.** ხომ არ მითქვამს, რამე უნდა გაგ-  
ეკეთებინა-მეთქი.

**ძალი.** რა ბედნიერებაა, რალაც მაინც  
რომ გადაწყვიტე. (ჭერზე ნახვრეტი გაი-  
ნდება, იქიდან ქანდაკება ჩამოვარდება,  
ლუდის ბოთლს გატეხს და თვითონაც  
იშხვრევს.) ჩემი კაბა! ყველაზე საუკე-  
თესო და ერთადერთი კაბა. ჩემი ცოლად  
შერთვა სახელგანთქმულ მოდელიორს  
უნდოდა.

**ქატი.** (ქანდაკების ნამსხვრევებს  
აგროვებს.) ვენერა მილოსელის ასლია.

**ძალი.** დასაგველია. კაბაც გასაწმენდია.  
ვინლა შემიღებავს ახლა? ირგვლივ ყველა  
ომობს. მათთვის ეს დასვენებაა? (ქანდა-  
კების ნამსხვრევებს დაჰყურებს.) ვენე-  
რა მილოსელი არ არის, თავისუფლების ქან-  
დაკებაა.

**ქატი.** ხომ ხედავ, ხელები არ აქვს.

**ძალი.** ხელები ჩამოვარდნისას მოემ-  
ტერა.

**ქატი.** არც ადრე ჰქონდა.

**ძალი.** ეს რას ამტკიცებს? არაფერს.

**ქატი.** გუზნები, ვენერა მილოსელია.

**ძალი.** არა.

**ქატი.** კარგად დააკვირდი.

**ძალი.** სულ ვენერა მილოსელი გელან-  
დება. თავისუფლების ქანდაკებაა.

**ქატი.** სილაშაზის ქანდაკებაა. სილაშა-  
ზე კი — ჩემი სიყვარულია. შეიძლებაოდა, მო-  
ქანდაკეც გამოვსულიყავი.

**ძალი.** მშვენიერია, ეგ შენი სილაშაზე.

**ქატი.** სილაშაზე მუდამ მშვენიერია,  
იშვიათი გამოჩაქლისის ვარდა.

**ძალი.** გამოჩაქლისი — შე ვარ, ხომ? ეს  
ვინდოდა გეთქვა?

**ქატი.** არ ვიცი, რა მიწოდდა მეთქვა.

**ძალი.** ხომ ხედავ, ისევ შეურაცხყოფ-

**ქატი.** შენთვის მიწოდდა დამემტკიცე-  
ბინა, რომ...

**ძალი.** (ანყვეტინებს.) გეყოფა ჩემთვის  
მტკიცება. თავი დამანებე.

**ქატი.** შენ დამანებე თავი. სიმშვიდე  
მწყურია.

**ძალი.** მეც სიმშვიდე მწყურია, მაგრამ  
სიმშვიდეს შენთან ვერ მივალწვე! (კედლი-  
დან ოთახში ყუმბარის ნამსხვრევი შე-  
მოფრინდება და იატაკზე ვარდება.)  
თვითონაც ხედავ, რომ შენს გვერდით სიმ-  
შვიდე შეუძლებელია.

**ქატი.** დიას, აქ სიმშვიდეს ვერ დაელო-  
დები. მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკი-  
დებული. ეს ობიექტურად შეუძლებელია.

**ძალი.** ყულში ამომივიდა ობიექტურო-  
ბისადმი შენი სწრაფვა. უმჯობესია ხელ-  
ყუმბარას მიხედო, ფეთქდება...

**ქატი.** ეს ხელყუმბარა არ არის. (ნამ-  
სხვრევის ფეხს ნაჰკრავს.)

**ძალი.** ჩუმად, შენს გამო დავილუპებით  
და მთელ ოთახს მიანგრ-შოანგრევს.

**ქატი.** ყუმბარის ნამსხვრევია.

**ძალი.** ყუმბარა ფეთქდება.

**ქატი.** ნამსხვრევი აფეთქების შედეგია  
და ასაფეთქებელიც არაფერია.

**ძალი.** აბრადაგდებას თავი დაანებე. (კი-  
დედგ ერთი ნამსხვრევი შემოვარდება და  
ტულაღის მაგიდის სარკეს ამსხვრევს.)  
სარკე გამოიტეხეს, სარკე გამოიტეხეს.

**ქატი.** მით უარესი.

**ძალი.** როგორღა დაივიარცხნო? ცხა-  
დია, შენ ისევ იტყვი, რომ კეკლუცი ვარ და  
პრანჭია.

**ქატი.** უმჯობესია, ძეხვი ქაშო.

(წვეთი ისევ ხმაური იწყება. ჭერი-  
დან რალაც იყრება. ორივე სანოლ  
ქვეშ იმალება. ქუჩაში ხმაური უფრო  
ძლიერდება. ისმის ტყვიამფრქვევის კა-  
კანი, ყვირილი „ვაშა!“ სანოლქვეში-  
დან ორივე მაყურებლისკენ იყურება.)

**ძალი.** როცა პატარა ვიყავი, ბავშვი ვი-  
ყავი, ჩემი ასაკის სხვა ბავშვებიც, პატარე-  
ბი იყვნენ: პატარა ბიჭები, პატარა გოგო-  
ნები. სხვადასხვა სიმაღლისა ვიყავით. ვი-  
ყავით ყველაზე პატარები, ყველაზე დი-  
დები, ქერები, შავგვრემანები და არც ქე-

რები, არც შეგვერემანები. ვსწავლობდით კითხვას, წერას, თელას, გამოკლებას, მიმატებას, გაყოფას, გამრავლებას იმიტომ, რომ სკოლაში დაგვიოდით. ზოგიერთი სახელში სწავლობდა. ტბა ახლოს იყო. მასში თევზები დაკურავდნენ. თევზები წყალში ცხოვრობენ. ჩვენსავეთ კი არა. ჩვენ წყალში სიცოცხლე არ შეგვიძლია, მაშინაც კი, როცა ბავშვები ვართ. თუმცა უნდა გვეცოცხლა კი, რატომაც არა?

**ქატი.** ტექნიკა შემესწავლა. ტექნიკოსი გახდებოდი. რაღაცეებს გაეკეთებდი. რთულ რაღაცეებს. ძალზე რთულ რაღაცეებს, რთულზე რთულს, ეს ცხოვრებას შემისწავლავდა.

**ქატი.** ღამე გვეძინა.

**[ამ წამიდან ჭერი ჩამონგრევის ინწყებს. პიესის პოლოს აღარც ჭერი დარჩება და აღარც კედლები. ამის მაგივრად გამოჩნდება კიბეები, სილუეტები, დასაშვებია დროშებიც]**

**ქატი.** ცისარტყელა, ორი ცისარტყელა, სამი ცისარტყელა. ხანდახან მეტიც იყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი. კითხვებზე პასუხის გაცემა კი საჭირო იყო. რას ვეკითხებოდი საკუთარ თავს? არ მახსოვს. მაგრამ პასუხი რომ გამეცა, ხომ უნდა შეკითხვა საკუთარი თავისთვის რაღაცა... როგორ მივიღებდი პასუხს თუ არ შევეკითხებოდი? მაშასადამე, ვეკითხებოდი, მიუხედავად იმისა, არ ვიცოდი ეს რა კითხვა იყო. ეს იყო უწყინარზე უწყინარი საქმე. ის, ვინც კითხვა იცის, ეშმაკია. პკითხეთ საკუთარ თავს, პასუხი დამოკიდებულია კითხვაზე ან კითხვაა დამოკიდებული პასუხზე. ეს სხვა საკითხია. ცისარტყელა, ორი ცისარტყელა, სამი ცისარტყელა, ოთხი...

**ქატი.** ეს ყველაფერი თაღლითობაა.

**[კაცი ხმაურს უსმენს, უყურებს ზევიდან ჩამოცვენილ ბათქაშს, სრულიად უაზრო ნივთებს: ფინჯნის ნამსხვრევებს, ჩიბუხებს, თოჯინების თავებს და სხვა.]**

**ქატი.** ზოგიერთებს არ სურთ თვითონ მოკედნენ; ამჟობინებენ სხვამ მოკლან. ვეღარ ითმენენ. იქნებ, მოსწონთ კედეც.

**ქატი.** ალბათ, პგონიათ, რომ ეს ნამდვილი სიკვდილი არ არის.

**ქატი.** იქნებ, ასე უფრო ადვილია. უფრო გასართობია.

**ქატი.** ამას საზოგადოება პქეცია.

**ქატი.** ერთმანეთს პკლავენ.

**ქატი.** ჯერ ერთნი იხოცებიან, მერე სხვები: ერთდროულად არაფერი გამოდის.

**ქატი.** (ისევ მოგონებებში იძირება). ზღურბლზე ვიდექი და ვაყურდებდი...  
**ქატი.** იქ ტყე გაქმნებდა... ტყეში ტყეები იყო.

**ქატი.** რა ხეები?

**ქატი.** რომლებიც იზრდებოდნენ. იზრდებოდნენ ჩვენზე სწრაფად. ფოთლიანი. შემდგომში ფოთლები ცვიცა.

**[უხილავი ყუმბარა კედელს არღვევს და დიდი ნახერტი ჩნდება. ჭერიდან სანოლზე რაღაცეები იყრება.]**

**ქატი.** ვაი!

**ქატი.** რა იყო? ხომ არ დაიჭერი!

**ქატი.** შენ ხომ არ დაიჭერი?

**ქატი.** მაშ, რა მოგივიდა?

**ქატი.** შეიძლება დაჭრილიყავი.

**ქატი.** განუწყვეტლივ ბუზღუნებ.

**ქატი.** შენ ბუზღუნებ განუწყვეტლივ.

**ქატი.** სხვას ნუ აბრალებ, მუდამ შენს ტყავს უფრთხილდები. სულ მემონია არ ნამომცდეს — ლაჩრობ-მეთქი. უკეთესი იქნებოდა ხელობა გესწავლა, საცხოვრებელი სახსარი მაინც გექნებოდა. პროფესიონალები ყველას სწირდება. ომის დროს კი ჯარში არ იწვევენ.

**[კიბეზე ძლიერი ხმაური ისმის]**

**ქატი.** ბრუნდებიან. ახლა უკვე ჩვენთან მოვლენ.

**ქატი.** ხედავ? უაზროდ არ ვწუხდებოდი.

**ქატი.** როგორც ყოველთვის, უაზროდ.

**ქატი.** მაგრამ, ამჯერად, არა.

**ქატი.** ახლაც ვინც დაამიტკიცო, მართალი ვარ.

**[ყუმბარები აღარ ფეოქდება]**

**ქატი.** დამთავრდა.

**ქატი.** ალბათ, შესვენებაა. (სანოლის ქვეშედან გამოძვრებიან. ათეაღიერებენ სხვადასხვა საგნებით მოფენილ იატაკს, კედლების ზერელებს, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდებიან) იქნებ, აქ გასვლა შეიძლება? (უჩვენებს კედლის ზერელს) სად გადის?

**ქატი.** კიბეზე.

**ქატი.** რომელ კიბეზე?

**ქატი.** კიბეზე, რომელიც ეზოში ჩადის.

**ქატი.** კიბეზე, რომელიც რომელ ეზოში ჩადის?

**ქატი.** კიბეზე, რომელიც ეზოში ჩადის და რომელიც ქუჩაში გადის.

**ქატი.** რომელიც გადის რომელ ქუჩაში?

**ქატი.** რომელიც გადის იმ ქუჩაში, სადაც ბრძოლაა.

**ქატი.** მაშ, ჩვენ ჩიხში ვყოფილვართ.

**ქატი.** ეი. უკეთესია, არსად წავიდეთ. შლაპა არ დაიხურო, არ ღირს.



**ქალი.** მუდამ უხეირო გამოსავალს პოულობ. რად გინდა გახვიდე იქ, სადაც გასასვლელი არ არის?

**ქატი.** გასვლას ვაპირებ, თუ გასვლა შეიძლება.

**ქალი.** მაშინ გასვლის შესაძლებლობის განხილვა საჭირო არ არის.

**ქატი.** არ მიმტკიცებია, გასვლის შესაძლებლობას განვიხილავ-მეთქი. ვამტკიცებ, განვიხილავდი იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებლობა შესაძლებელი იქნებოდა.

**ქალი.** ლოგიკის გაკვეთილები არ მჭირდება. ლოგიკაში შენზე ძლიერი ვარ. მთელი ცხოვრება ამას ვიმტკიცებ.

**ქატი.** სუსტი ხარ.

**ქალი.** ძლიერი ვარ.

**ქატი.** სუსტი ხარ.

**ქალი.** ძლიერი ვარ, ვაცხილებით ძლიერი.

**ქატი.** ვაჩუმდი.

**ქალი.** პირს ვერ მომაკეტინებ.

**ქატი.** უმჯობესია ვაჩუმდე და მომისმინო.

**(კიბზე და ქუჩაში ყვირილია)**

**ქალი.** რას აკეთებენ?

**ქატი.** ამოდიან... ამოდიან; ბევრნი არიან.

**ქალი.** ცხებში ჩავსვამენ. მოგვკლავენ.

**ქატი.** ჩვენ არაფერი დაგვიშავებია.

**ქალი.** ჩვენ არაფერი დაგვიშავებია.

**ქატი.** ამიტომაც ჩავსვამენ.

**ქალი.** მათ საქმეში არ ჩაერეულვართ.

**ქატი.** ამიტომაც ჩავსვამენ, ხომ ვამბობ.

**ქალი.** რომ ჩაერეულიყავით, მოგვკლავდნენ.

**ქატი.** მაშინ უკვე მკვდრები ვიქნებოდით.

**ქალი.** კაი ნუგეშია.

**ქატი.** დაბომბვა ხომ გადაეიტანეთ. დაბომბვა მორჩა.

**ქალი.** ამოდიან.

**ქატი.** ამოდიან.

**ქალი.** მღერიან.

**(ქედლის შენაგვრევიდან კიბზე ამომავალი ხალხის სილუეტები ჩანს. ისმის სიმღერა)**

**ქატი.** ბრძოლა დამთავრდა.

**ქალი.** გამარჯვებულია სიმღერაა.

**ქატი.** მათ გაიმარჯვეს.

**ქალი.** ვისზე გაიმარჯვეს?

**ქატი.** არ ვიცი, მაგრამ მათ ბრძოლა მოიგეს.

**ქალი.** ვინ მოიგო?

**ქატი.** იმან, ვინც არ წაავო.

**ქალი.** იმან, ვინც წაავო?

**ქატი.** იმან ვერ მოიგო! რაქნენაქ!

**ქალი.** გონება მახვილდობა შეგიძლება ბოდი.

**ქატი.** ლოგიკაში რაღაც გამეგება. ბევრი არა, რაღაც კი...

**ქალი.** რას აკეთებენ ისინი, ვინც ვერ მოიგო?

**ქატი.** ან დაიხოცნენ, ან ტირიან.

**ქალი.** რატომ ტირიან?

**ქატი.** სინდისი პქენჯნით. მართლები არ იყვნენ და აღიარებენ.

**ქალი.** რატომ არ იყვნენ მართლები?

**ქატი.** იმიტომ რომ წააგეს.

**ქალი.** ისინი, ვინც მოიგო?

**ქატი.** ისინი მართლები არიან.

**ქალი.** თუ არავინ მოიგო და არავინ წაავო?

**ქატი.** არამტკიცე მშვიდობა დამყარდება.

**ქალი.** მერე რა მოხდება?

**ქატი.** ნაცრისფერი დღეები დადგება და ყველა მრისხანებისგან განითლებული ივლის.

**ქალი.** ყოველ შემთხვევაში, საშობროება შემცირდა. უკიდურეს შემთხვევაში, ჯერჯერობით, მიიწვ.

**ქატი.** აღარაფრის უნდა გვეშინოდეს.

**ქალი.** შენ აღარ უნდა გეშინოდეს. გაკანკალებდა.

**ქატი.** ისე არა, როგორც შენ.

**ქალი.** ისე არ შემშინებია, როგორც შენ.

**(ღლები ჩამოვარდება. ფანჯარაში ჩანს დროშები, განათებები, ისერიან მამხალღებს.)** ეშმაკმა დაღაბეროს! ყველაფერი თავიდან იწყება. თანაც ზუსტად მაშინ, როცა ლეიბი ჩამოვარდა. სანოლქქემ დაიშალე.

**ქატი.** არა, ეს ზეიშია, გამარჯვებას ზეიმობენ. ქუჩებში დადიან და, ალბათ, ამით სიამოვნებას ლებულობენ. იქნებ...

**ქალი.** თავიანთთან მისვლას და შეერთებას არ გვაიძულებენ? თავს დაგვესხმიან? მშვიდობის დროსაც თავს არავის ანებებენ.

**ქატი.** მაინც, ასე უფრო სიმშვიდეა და უკეთესია.

**ქალი.** არა, კარგი არ არის, ცუდია.

**ქატი.** ცუდი - ჯერ კიდევ ყველაზე კარგი არ არის.

**ქალი. (ზიზლით.)** ისევ შენი ფილოსოფია. გამოუსწორებელი ხარ. ცხოვრებამ ბრძენად ვერ გაქცია. უფრო მეტად დაინყე ფილოსოფოსობა. მგონი, ქუჩაში გასვლას აპირებდი. მიბრძანდი, გთხოვ.



**ქაჩი.** მოვლენების ყოველგვარი განვითარების დროს როდი გავდივარ. თუ ახლა გავალ, თავს მომაბეზრებენ. ჯერ სახლებში წავიდნენ, მანამდე კი აქ მოვიწყენ. შენ თუ გინდა, წადი, არ გიშლი.

**ქალი.** გასაგებია, რაც გინდა.

**ქაჩი.** რა მინდა?

**ქალი.** ქუჩაში გამავდო.

**ქაჩი.** შენ გინდა ჩემი ქუჩაში გავდებო.

**ქალი.** (დამახინჯებულ კედლებს უყურებს). შენ უკვე გამავდე. ჩვენ ქუჩაში ვართ.

**ქაჩი.** მთლად არა.

**ქალი.** ისინი მზიარულებენ, ქაშენ, სვაშენ, ქუჩებში დაბარბაცებენ, საშინლად იქცევიან, ყველაფერს კადრულობენ; საცოდავ ქალს შეიძლება თავზეც დამესხნენ. არა, ბატონო, ვისთანაც მომიხდება, იმასთან არა. უმჯობესი იქნებოდა, საქმე წამდეილ იდიოტთან დამეჭირა. ის გეგმებს მაინც არ დაანებოდა.

**ქაჩი.** ზუსტად ამიტომ მსაყვედურობდი.

**ქალი.** ახლაც გასაყვედურობ.

**ქაჩი.** კიდევ რა მოიგონებს? ჩუმად არიან. ასე დიდხანს არ გაგრძელდება. კარგად ვიცნობ მაგათ, ძალიან კარგად. როცა რამეს ჩაიფიქრებენ – საშინელებაა, როცა იდეა არ აქვთ, გამოგონებას იწყებენ, რა ჩაიდიონონ. ლმერთმა იცის, ახლა რას გამოიგონებენ. მაგათგან ყველაფერი მოსალაღნელია. ისიც ხდება, ომში ჩაებმებიან და არც კი იციან რაზე იბრძვიან. საბუთები მერე ჩნდება. მოარული ქუმზარტებების მარადიული ტყვენი არიან. თუმცა, ყოველთვის არა. ასეა თუ ისე, მოვლენები განსაზღვრული მიმართულებით ვითარდება. ერთი-ორ-ზაღური დამთავრებას ვერ ასწრებს, მეორე იწყება. კიდევ რას ჩაიდიენენ? რას მოიგონებენ?

**ქალი.** შენ მოიგონე მაგათ მაგივრად არ შეგიძლია. ტვინის განძრევა არ გინდა. ინტერესი არა გაქვს. რატომ არ გაინტერესებს? მოიგონე და დაასაბუთე, რადგან გგონია, რომ დასაბუთება არა მყოფნით.

**ქაჩი.** დასაბუთება არ არსებობს.

**ქალი.** ადამიანებს ეს ხელს არ უშლით შფოთში, სხვა არაფერში გამოდგებიან მაინც.

**ქაჩი.** გესმის, რა სიჩუმეა? აღარ მღერია; რა ჩაიფიქრეს?

**ქალი.** მერე ჩვენ რა? საფრთხე, ცხადია, რჩება. რადგან ამბობ, შენი საქმე არ არისო, მაშინ ამ ოთხ კედელ შუა იცხოვრე, შენი ადგილი აქ არის. **ითახს ხელს მოატარებს.**

**რებს.** რომ მოგენდომებიან... მაგრამ შენგან ვერაფერი ხეირი იქნება. ჩემთვის არა გაქვს. ჩემი ქმარი გინდას. ვინც კვდი უქარი, რომ საყვარელთან გამოვიქცევი, მით უარესი ჩემთვის.

**ქაჩი.** ყოველ შემთხვევაში, მშვიდობიანად წავიდნენ.

**ქალი.** მართალია. მშვიდობამ დაისადგურა. მათ მშვიდობა გამოაცხადეს. ჩვენ რა ვქნათ? რა ვქნათ?

**(ქუჩაში მცირე ხმაურია)**

**ქაჩი.** უნინ, მაინც უკეთესი იყო. დრო კიდევ რჩებოდა.

**ქალი.** უნინ რა?

**ქაჩი.** უნინ ეს რითი დაინყო... უნინ რითი არ დაინყო ეს.

**ქალი.** უნინ, ვინ რითი არ დაინყო – რა?

**ქაჩი.** უნინ, რითი არაფერი არ დაინყო, უნინ, რითი რა დაინყო.

**ქალი.** როგორ შევაკეთოთ სახლი?

**ქაჩი.** საკუთარ თავსაც ამას ვეკითხები.

**ქალი.** როგორც გინდა, ისე მოავარე – შენი საზრუნავია.

**ქაჩი.** ხელოსნებს ახლა ვერ იპოვი. ზემოზე არიან, ერთობიან. ჩვენ კი სახურავი არა გვაქვს. ხან ომის გამო ვერ შეძლეს თავიანთი მოვალეობის შესრულება, ხანაც მშვიდობისა. შედეგი ერთია. ორივე შემთხვევაში, იქ არასოდეს არიან, სადაც საჭიროა.

**ქალი.** იმიტომ რომ, ერთდროულად ყველგან არიან.

**(ხმაური ნელდება)**

**ქაჩი.** უბრალო რამ არ არის, არსად არ იყო.

**ქალი.** სიჩუმე ჩამოვარდა. გესმის, სიჩუმე ჩამოვარდა.

**ქაჩი.** როცა არაფერი ხდება, ყველაფერი სწრაფად ხდება.

**(ხმაური ნელდება)**

**ქალი.** სრული სიჩუმეა.

**ქაჩი.** მართალია. ეჭვი არ არის, ახლა ხმაურს ატეხენ.

**ქალი.** ნესიერად მოქცევა არ შეუძლიათ. ასე რატომ ხდება?

**ქაჩი.** რომ იცოცხლონ.

**ქალი.** ჩვენც ვცოცხლობთ.

**ქაჩი.** მათი სიცოცხლე არც ისე უაზროა. მგონი, სხვანაირად არიან მონყენილი. მონყენილობის მრავალი საშუალება არსებობს.

**ქალი.** საკუთარი თავით არასოდეს ხარ კმაყოფილი. ყველასი გმურს. სახლის შექმნებაა საჭირო. ასე ცხოვრება არ შეიძლება.



რა სულზე მისწრება იქნებოდა ახლა ჩემი მელღობე ქმარი!

**სედლის გამონახეთქიდან ჯარისკაცის თავი გამოწნდება)**

**ჯარისკაცი.** ჟანეტა აქ არის?

**კაცი.** რომელი ჟანეტა.

**ძალი.** ჟანეტა არ არის. არავითარი ჟანეტა არ არის.

**(მარჯვენა კარის ადგილას მეზობლები გამოწნდებიან)**

**მეზობელი კაცი.** აი, ჩვენც დავბრუნდით. თქვენ სულ აქ იყავით?

**მეზობელი ძალი.** ალბათ, აქ საინტერესო ამბები ხდებოდა, არა?

**მეზობელი კაცი.** ვისევენდით და ვერაფერი გაუიგეთ. იქაც კარგად გავერთეთ.

**მეზობელი ძალი.** გამოცნობა ძნელი არ არის. გართობა ყველგან შეიძლება. მთავარია კონფლიქტი არ იყოს.

**ძალი.** კარის შეკეთება მოგინევთ.

**კაცი.** (ჯარისკაცს). ჟანეტა აქ არ არის. არავითარი ჟანეტა.

**ჯარისკაცი.** რა მოუვიდა? მითხრა, აქ ვიქნებო.

**კაცი.** (ჯარისკაცს). ჩემი საქმე არ არის. თქვენი საქმე აკეთეთ.

**ჯარისკაცი.** ვაკეთებ კიდეც.

**ძალი** (კაცს). უნდა მივალავოთ. მომეზმარე, მერე ვაისეირნე.

**კაცი.** მერე ვაისეირნო.

**ძალი და კაცი** (ერთად). მერე ვაისეირნოთ.

**ძალი** (კაცს). ჟანჯარას ლეიბი ააფარე. რიგაინად გააკეთე, გთხოვ.

**კაცი.** რა საჭიროა? საფრთხემ გაიარა.

**ძალი.** დიახ, მაგრამ ორპირ ქარს არ გაუვლია. არის კიდეც გრიპი, მიკრობები, ყოველ შემთხვევისთვის მაინც გააკეთე.

**ჯარისკაცი.** ვერ მეტყვი, ვინ შეიძლება იცოდეს სად არის?

**(საიდანაც ჯარისკაცი იყურება, იმ ადგილს ქალი სანოლს ააფარებს. მერე მეზობლებს მიუკუტავს კარს. ზემოდან ხერხის ხმა ისმის).**

**ძალი.** გესმის, ისე იწყებენ ხომ ყველა დაიწყება-მეთქი. შენ კი არ გვერუნოდა რთვად გორც ხედავ, მართალი ისევე მე ვარ.

**კაცი.** არა ხარ მართალი.

**ძალი.** კიდეც დაიწყებ მტკიცებას, რომ არ მენიხაღმდეგები? ამ წუთას არ დაამტკიცე სანინაღმდეგო?

**კაცი.** იქ სიწმეა.

**(ზემოდან თოკზე დაკიდებული უთავო სხეულები, თოჯინების უსხეულო თავები ნელა ეშვება).**

**ძალი.** ეს რაღაა? (ჯარბის, რადგან თავზე ერთი სხეულის ფეხი შეეხება.) ვაი!(ერთ თავს ხელს ჰკიდებს, მეორეს ათვალთვრებს.) ლამაზები არიან! მითხარი, ეს რას ნიშნავს? მიპასუბე! შენ ხომ ყბედი ხარ. უცებ რატომ გაჩუმდი, რა არის?

**კაცი.** ბრმა ხომ არა ხარ. უთავო სხეულებია და უსხეულო თავები.

**ძალი.** ბრმა ვიყავი, როცა შენ შეგხვდი. კარგად ვერ დაგინახე. შენ რომ გხედავ, დაბრმავება მინდა.

**კაცი.** მეც. შენ რომ გხედავ, დაბრმავება მინდა.

**ძალი.** რადგან ბრმა არა ხარ, არც სრული იდიოტი, მაშინ ამიხსენი... ვაი! სტალაქტიდებივით არიან. რატომ? ხედავ? კონფლიქტი ვერ არ დამთავრებულა.

**კაცი.** დამთავრდა. ისინი უმყოველი სინდისით სამართალს აღასრულებენ. იქ, ზევით, გილიოტინაა. უცებ მიხედები, რომ მშვიდობა დამყარდა.

**ძალი.** რა ვქნათ? აი გავებით კიდეც!

**კაცი.** მიმიფურთხებია... უმჯობესია, დავიშალოთ!

**ძალი.** მომეზმარე, ზარმაცო, მაცდურო! (ფანჯარას ლეიბს აფარებენ, კართან ბარიკადას აგებენ, დანგრეულ კედლებს შუა განუწყვეტლივ ჩანან სილუეტები, ისმის დაფდაფების ხმა).

**კაცი.** კუ!

**ძალი.** ლოკოკინა!

**(ერთმანეთს სილას გაანწავენ და ისე შეუდგებიან მუშაობას).**

**ფარდა**

ფრანგულიდან თარგმნა  
დავით ქახაბერიძე



## ტიხინა ბაბიქა

„ვილოოტიანა ზე რომ აიყვანეს ანდრე მენიე, მან მუბლ ზე ხელი მიიღო და თქვა: „აქ იყო რალაც“ – ასე იწყება ტიციან ტაბიძის პროზად დაწერილი ლექსი. ჩვენ არ ვიცით, რა თქვა ამ სიტყვების ავტორმა, როცა თავად აიყვანეს ვილოოტიანა ზე. სამაგიეროდ, 1911 წლის 5 მარტს დაწერილ მინიატურაში, რომელსაც „ნაწყვეტი დღიურიდან“ ჰქვია, ვკითხულობთ: „თულიუს კეისარს ურჩივს ქურუმებმა მარტის დღეებში სენატში არ წასულიყო, მაგრამ ბედისწერა არასოდეს არავის არაფერს აპატიებს, ფარვანასავით თავს დასტრიალებს იგი ადამიანს, სანამ არყოფნის ღამეში არ ჩაქრება ჩირალდანი ცხოვრებისა. ბრუტოსის მახვილი კეისარის სისხლში უნდა ამოსვრილიყო, რადგან ცხოვრების სასწორი დემონმა გადასწია. იქნება ეს ცთომით მომდიოდეს, მაგრამ მე მწამს, რომ არსებობს ბედისწერა, ის არის „რალაც“, რომელიც უნდა სუფევდეს. მას ვერავინ ასცდება, რაც უნდა ეცადოს, მას გრძნობს სული და მისტიური საშინელებით იმოსება“...

უაილდის პროფილი და ცისფერი თვალებიც გრძნობდნენ მოახლოებულ ბედისწერას. განსაცდელის ჟამს ერთ ადგილას ვერ ეტყოდა. სიმონ ჩიქოვანი ამბობს: „შემატყობინეს, რომ ხიფათის მოლოდინში მინ წრიალებდა, ვერ ისვენებდა და სანთელივით იღუოდა. მე მაშინვე წავედი მასთან, რათა ორივედი სათით მანც ვამოქეთიშა იგი ასეთი მდგომარეობიდან, რამდენადმე მაინც შემემსუბუქებინა განსაცდელის მოლოდინით გამოწვეული სასონარკვეთილება. ტიციანს საოცრად გაეზარდა ჩემი მისვლა, მალე გაერთო საუბარში და რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი წამიკითხა, პოეზია ზე ვისაუბრეთ და საერთო მეგობრებიც მოვიგონეთ. მისი პოეზიის მუზა, მისი კოლომბინა, მისი ცხოვ-

რების განუყრელი თანამე ზავრი – ნინო მაცაშვილი ჩვენს საუბარში მონაწილეობდა და მე კმაყოფილი თვალეებით მიყურებდა. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ნამოსვლისას ტიციანმა შუა კარებამდე ჩამაცილა და ნალელაიანი ლიმილით დამშორდა, მეც მძიმე შთაბეჭდილებით გამოვედი პოეტის ბინიდან და ქაჯქაჯათის ქუჩა ზე დავეშვი.

თბილისში შემოდგომა უკვე იწყებოდა და რუსთაველის პროსპექტის ქაღრებ ზე დაღლილი ფოთლები შრიალებდნენ. თურმე ეს ტიციან ტაბიძის სიცოცხლის უკანასკნელი შემოდგომა იყო“.

მაშინ ტიციანი 42 წლისა გახლდათ. შემოდგომის ერთ მონყენილ საღამოს მოაკითხა დემონმა და გაუყენა სიკვდილის გზას. მახსენდება მისივე სიტყვები, „ტოლსტოის დღეებში“ რომ წერდა: „უკანასკნელი სურვილი, რომელიც აწვალებდა ლეე ტოლსტოის იმ საბედისწერო ღამეს, როცა მან დატოვა იასნაია პოლიანა და წავიდა სიკვდილის შესახვედრად, ის იყო, როგორმე კავკასიამდე მიეღწია; ეტყობოდა სიკვდილი თან ახლდა იმ ღამეს და ტოლსტოისაც უნდოდა მომკვდარიყო კავკასიაში“.

ლეე ტოლსტოის სურვილს ტიციანი კ. შამსუნის ნიგნის („მოგ ზაურობა ზღაპრულ ქვეყანაში“) მიხედვით ხსნის. მასში აღწერილია რუსეთსა და კავკასიაში მოგ ზაურობა. რუსეთის იმპერატორებს ერთი ბარბაროსული ჩვეულება ჰქონდათ, – თავიანთ საუკეთესო პოეტებს სასჯელის მოხაზდელად კავკასიაში ავ ზავნიდნენ, მაგრამ კავკასია ამ პოეტებისათვის შთავონების წყაროდ ხდებოდა. და მართლაც, შეუძლებელია კავკასიის გარეშე წარმოვიდგინოთ ლიტერატურული შემკვიდრეობა ისეთი მწერლებისა, როგორიც არიან პუშკინი,



ლერმონტოვი, ვრიხოვდოვი, ტოლსტოი და სხვები.

შემოქმედების მინურულშიც ტოლსტოი კავასია ზე ფიქრობდა. ჩვენ ვვაქვს საიმედო ნივნი პოეტის უკანასკნელი სურვილის ამოცნობისა, ესაა მისი უმშვენიერესი პოეზია.

უკანასკნელი სურვილი, რომელიც ანვალდება ტიცინ ტაბიძეს იმ საბუდინსრო ლამეს, როცა მან დატოვა თავისი ოჯახი, იყო დასრულებული ენაბადიდი ნივნი, რომელსაც „სამშობლო“ უწოდა. ტიცინი სამშობლოზე შეყვარებული კაცი იყო, მისი პირველი და უკანასკნელი სურვილი – სამშობლოს ბედნიერება.

ნარკვევში „ტოლსტოის დღეები“ ტიცინის მოტანილი აქვს „პაჯი-მურატი“ დასასრული: „როცა დაჩეხილი და ტყეებით დაცხრილული პაჯი-მურატი კვდება ტყეში, ყორხები კი არ ჩხავიან, მხოლოდ სროლის დროს დამფრთხალი ბულბულები სტვენენ. აღბათ იმის ნიშნად, რომ სიცოცხლე არ თავდება“.

ტიცინი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც სიკვდილის შემდეგაც განავრძობენ სიცოცხლეს იმის მიუხედავად, რომ ვარკვეულ პერიოდში მის ლექსებს აყრილი ჰქონდა მოქალაქეობის უფლება.

პოეტები ორჯერ იბადებიან. მეორედ მაშინ, როცა ცათამდე ალაღლენენ ხალვითო პანგებს. საოცარი ბედი ენია ტიცინს. იგი ხომ სამჯერ დაიბადა.

ადვიბადე შინწელს, ჯაპროლს, დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში – ორპირის მახლობლად. ორპირი საჩინოს თემში შედიოდა. ჩემი ბავშვობის წლებში უკვე აღარავის ხეჯროდა, რომ საჩინო საქართველოს ბელად ითვლებოდა, იმდენად დაცარიელდა ეს ოდესღაც მდიდარი მხარე, რომელსაც იხსენიებდნენ ძველი ბერძენი გეოგრაფები და ჩვენი მემკვიდრეები“ – იგონებს პოეტი.

ეს იყო მისი პირველი დაბადება.

„ლექსის ნერა ძალიან ადრე დაიწყო, ბეჭდვა კი მეექვსე კლასიდან. თავდაპირველად ქუთაისის ვაზუთებში ვბეჭდავდი, შემდეგ თბილისშიც. ორიგინალური ლექსების გარდა, მაშინ მთელი რიგი თარგმანებიც დაბეჭდვა: ა. ბლოკისა, ვ. ბრიუსო-

ვისა, ო. სოლოგუბისა, ი. ანენკისა და ფრანგი პოეტებისა, აგრეთვე სხვადასხვა ენის „ლექსები და დიდ ხანგრძლივებს“ ეს იყო პოეტის მეორედ დაბადება.

ტიცინ ტაბიძე მესამედ მაშინ დაიბადა, როცა მისმა პოეზიამ დაიბრუნა განუკითხაობის ყამს აყრილი მოქალაქეობის უფლება. ტიცინის უყვარდა გრიგოლ ორბელიანის სტრიქონის განმეორება: – „სიკვდილით დადებს სიცოცხლეს“. სამჯერ დაბადებული პოეტი განუყრელი დარჩა სიცოცხლესთან. ეს რომ ასე იქნებოდა, მასაც ხეჯროდა – „მამ, გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლე, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!“

სიცოცხლესთან სიკვდილმა ჩამოიარა. ჩამოიარა და სამუდამოდ შერცხვენილი დარჩა, რადგან სამჯერ დაბადებულს ერთმა სიკვდილმა ვერაფერი დააკლო. 1926 წლით არის დათარიღებული უმშვენიერესი ლექსი:

სამჯერ ვარ დაბადებული,  
მონათლულიც ვარ სამჯერა;  
ერთხელ სიკვდილი რას მძამს,  
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.  
შეხედეთ ოქროს მზეთამზეს,  
მთები რომ მთებზე ეყარა;  
ყოველდღე ამას ხედავდეს, —  
რა მოკლავს ასეთ ქვეყანას.  
მოვა სიკვდილი, შეხვდავს  
და შერცხვენილი გაიარს,  
როცა ცა სისხლით შეღებავს  
თურამაულის განთიადს.

ტიცინ ტაბიძის სიცოცხლესთან განუყრელობის საბუთი იყო მოსკოვში ა. ფადეევის სახელობის მწერალთა სასახლეში 1976 წლის 29 ოქტომბერს გამარული მისი პოეზიის საღამო. აღბათ ამ სასახლეს და მოსკოვის ქუჩებს ახსოვთ ჭაბუკი ტიცინის ნათელი სახე და გიგანტური ნაბიჯები. „1913 წელს – იგონებს პოეტი თავის „ავტობიოგრაფიიდან“ – მოსკოვის უნივერსიტეტში შევედი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ დროს უნივერსიტეტის ავტონომია საბოლოოდ გააუქმა განათლების მინისტრმა – ბნელეთის მოციქულმა კასომ. მონინავე ლიბერალურმა პროფესორებმა დატოვეს ჩვენი უნივერსიტეტი...“

მე ვუსმენდი ნიკო მარს... ჩვენი პროფესორებიდან განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებ აკადემიკოს მ. როზანოვს... მწყინდა, რომ მიწყდა ტიუტორების უკანასკნელი სიყვარულით გამთბარი ვ.ო. კლიუჩევსკის სიტყვები, რომლებიც ვერაფრით ვერ შეცვალა რეაქციონერმა რექტორმა მ. ლიუბავსკიმ — კასოს დანიშნულმა ცალთვალა ციკლოპმა...

ტიციანი ივონებს ანდრეი ბელის ცხარე კამათს გოეთეზე, მარინეტისა და ემილ ვერპარნის ჩამოსვლას მოსკოვში, ვალერი ბრიუსოვის გამოსვლას „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების სხდომაზე, აკემისტების შეტევას სიმბოლიისტიების ნინაალმდევ, ნაცნობობას ბალმონტთან, ვატაცებას ბლოკითა და ანენსკით, მოსკოვის თეატრებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის.

ახლა კი, 1976 წლის 29 ოქტომბერს, მოსკოვის ლიტერატურული საზოგადოება ტაშს უკრავდა ოთხმოცი წლის პოეტს. ამღელვებული იყო კონსტანტინე სიმონოვის, ნიკოლოზ ტიხონოვის, პავლე ანტოკოლსკის, ირაკლი ანდრონიკოვის, ირაკლი აბაშიძის, ბელა აბზაძეულიანს, ლევ ოზეროვის, გრიგოლ აბაშიძის, რასულ გამზათოვის, ვლადიმერ ორლოვის, რევაზ მარგვიანის და სხვათა გამოხვლები.

ისინი ვატაცებით კითხულობენ ტიციანის ლექსებს რუსულ და ქართულ ენებზე და ივონებენ მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს.

1915 წელი. უკვე დაწერილია გალაკტიონის „მე და ლამე“, „გურიის მთები“, „უსიყვარულოდ“, „მესაფლავე“, „ლურჯა ცხენები“, „მთანმინდის მთვარე“, „ელეგია“ და მრავალი სხვა. ამდროს ტიციანი „ქართული პოეზიის მეფის“ ნოდების მოსაპოვებლად წერს ლექსს „ცხენი ანგელოზით“. ეს ნოდება უკვე გალაკტიონს აქვს დასაკუთრებული. თუმცა ტიციანის ავტორიტეტი საკმაოდ დიდია.

ტიციან ტაბიძის დიდ შემოქმედებით შესატყვისლობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი: ახლა, როცა გალაკტიონს სძინავს „მეფური ძილით“ მამადავითზე, როცა დღესავით ნათელია მისი პოეზი-

ის მთავარი კოორდინატები, დღევანდელი ჩვენი პოეზიის მონეტარული ძალებიც კი ვერ განთავისუფლებულან წინა გადაოსნური ზეგავლენისაგან. ტიციანი კი გალაკტიონის გვერდით მოღვაწეობდა და ყველაფერში თავისი სტილი და ხელწერა აქონდა. პირიქით, ტიციანისეულ სახეებს და ინტონაციებს ახლაც ვხვდებით თანამედროვე ლაურეატი პოეტების ლექსებში. ტიციანის პოეზიის მთავარი ნყარო მინაგანი მეზნებარება იყო. ამ მხრივ იგი ვლადიმერ მაიაკოვსკის მაგონებს. მაიაკოვსკი და ტიციანი, თუმცა არათანაბარი ძალით, მაგრამ ერთიანი პათოსით გრძნობენ დროის მაჯისცემას. განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ. ვაიხსენოთ მაიაკოვსკი:

**Поэзия — та же добыча радия.  
В грамм добыча, в год труды.  
Изводишь единого слова ради  
Тысячи тонн словесной руды.**

ახლა მოუუსმინოთ ტიციანს:

**და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი,  
უძილო ღამეს ხელში ეკავა;  
მოსკდება წვიმა თქემით და ქაფით  
და მოვარდება ლექსი წელკაყად.**

თუ შეიძლება საერთოდ მარდი და ლონიერი ვუნოდოთ ლექსს, მაშინ ტიციანის ლექსი ზეავივით მარდი და ლონიერია. ლონიერია მისი სიტყვა, ფრაზა, ტაქტი. უსაზღვრო სიმძაფრე და დაუდევრობა, ლტოლვა და თავგამეტება გრიგალივით იგრავნება მის სტრიქონებში და უსაზღვრო სამყაროებს იტევს. უსაზღვროა მისი დრამატიზმიც. ასე მგონია, ლექსებში გაბნეული მიზაკები სისბლისგან იცლებდა. მისგან შორს არის ხელოვნური ნაჭედობა და თეატრალური არტისტიზმი. მისი ლირიკული პერსონაჟი სიკედილს კი არ თამაშობს რუსთაველის თეატრის სცენაზე, იგი ნამდვილად კედება ნარიყალასთან, ტაძარში კი არ ლოცულობს სამშობლოსათვის, — ხმალშემართული იბრძვის მისი უკეთესი მერმისისათვის. ეს თვისება პოეტში და პოეზიაში ბედნიერი გამოწაკლისია. „დაებადებულვარ, რომ ვიყო მონა და



საქართველოს მედგას უღელი“ – ეს ორი ტაეპი იმდენ გრძნობას და შინაარსს, იმდენ ენერჯიას და თავგამებულობას იტყვის, ბევრი სქელტანიანი კრებულთა ვერ გადაწონის.

მხოლოდ ტიციანს ჰქონდა უფლება, ეთქვა – „ლექსებს ვიტყვი, ცის ქუბილი რა არის?! საიათნოვას მივ საფლავეში გაუტუტებო ფიცარი“.

პოეტი თავისი შემოქმედების გარიჟრაჟზე თუ კი რგავდა ბესიკის ბაღში ბოდლურის ბოროტ ყვავილებს, შემდეგ ირმების შურდულს დაადგენა მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი. ტიციანის პოეზიაში გვხვდება მეტაფორული აზროვნების ისეთი ნიმუშები, რომლის იქით ყველა ფერი ფერმკრთალდება:

**გამოვა წუთით გომბორზე მთვარე  
და გორგასლანი ხმალით გადასწევს.**

„აქ რომ მღეროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა, აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ გააკაჯა?“ – ციდან რეკვასავით ჩამოგვესმის პოეტის ხმა, რომელსაც ნუთით ჩვენი ისტორიის „ბნელ ხვეულებში“ შეეყავართ:

**ბებერი ძვლები ირავლიმაც  
მღივს გაიტანა,  
ხული დამარხა ნარიყალას  
გამსკდარ ბასტიონს.**

თავისებური და მძლავრია ტიციან ტაბიძის სიყვარულის პოეზია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არ მყევდა პოეზიაში სიყვარულის კლასიკურ ბაზს და შორს დგას „ათასერთი ლამის“ რომანებისაგან. პოეზიაში „გადავარდნილი“ პოეტი, რომლის ლერწამი ტურმოდებულად იკოცნება, პოეტი, რომელსაც „ასე თუთქავს ცეცხლის ლადარი“, საოცრად ნატიფი და მორცხვია სიყვარულში. რაოდენი კდემამოსილება, სითბო და სინაზა პოეტის სიტყვებში – „გაღებულა სამოთბის კარი და მე მრცხვენია რომ ვარ უშენოდ“. ხომ შეიძლება სამოთბის ღია კართან სატრფოს ამბორი ენატრა, ხომ შეიძლება ეთქვა – გაღებულა სამოთბის კარი და შენი ერთი კოცნა მწყურიაო. არა, მსგავს საბუნებურ ვერც ერთ ლექსში ვერ შევხვდებით.

ესეც ტიციან ტაბიძის პოეზიის თავიანთადობის ნიშანია. იქ სადაც ვერცხვით ლექსნიძე ამბობს „სუტუები რქოთ“ კალმახებიო“, ტიციანი იტყვის – „სჯობს გაიხარონ სხვა გოგოებმა, მოიბან შენი ირმის ფეხები“.

ნერილში „ნინო ჭაჯჭავაძე“ ტიციანი ნერს: „ნინო ჭაჯჭავაძეს ლექსები არ უნერია და მხოლოდ ერთხელ, უბედური სიყვარულით შთაგონებულმა, დაწერა უკუდავი პოემა თავისი ქმრის აღგრიბოვოვის საფლავის ქვაზე“:

**Ум и дела твои бессмертны  
В памяти русской,  
Но зачем пережила тебя  
Любовь моя.**

და შემდეგ მთელი მისი სიცოცხლე ერთ თავგანწირულ პოემად იქცა მარადი სიყვარულისა“.

მართალია, ნინო მაყაშვილს არ დაუნერია ასეთი სტრიქონები საყვარელი ქმრის საფლავის ქვაზე, მაგრამ თავისი ლამაზი შინაარსიანი ცხოვრებით, სიყვარულის დიდი ტაძარი დადგა. იგი სამარადისოდ ერთგული დარჩა თავისი პირველი სიყვარულისა.

დაუმთავრებელ ნერილში „ძვირფასი სახელები“ ვალაკტიონი ნერდა: „ბოდლურს აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელსაც სახელად ჰქვია „ლოცვა-კურთხევა“. მაგრამ აქ არავითარი კურთხევა არ არის. აქ არის წყველა და მხოლოდ წყველა... ლექსი გამოხატავს მგონის ამ ქვეყნად მოსვლას, დაბადებას. ღვიძლი დედისათვის მგონი არის სავანი მხოლოდ გაკვირვების და ზიზღისა – დედას რცხვენია საკუთარი შეილის ყოლა; მგონი იტანს დაციხვას სულელებისაგან, იტანს შურსა და სარკაზმს. მგონის ხანდახან მსხვერპლი ხდება რომელიმე სისხლისმსმელი დალილასი, რომელიც თავისუფლებას მისცემს იმას მას შემდეგ, რაც ამოსწოვა მასში უკანასკნელი სისხლი. მგონი, რომელმაც გამოიარა მთელი რიგი შეურაცხყოფათა და ტანჯვათა, უკანასკნელად მიდის, ამ ტანჯვათაგან განწმენდილი, სამარადისო დიდებასთან, მიდის იმ გვირგვინით, რომელიც გამზადებულა ნამებულთათვის, მათთვის,

რომელთაც ყველაფერი გადაიტანეს სილაშა ზისა და სიმართლის სამსახურ-პლოდ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ლექსი ქართულად არ დაინერა, მაგრამ აკაკის ნაწარებში ბლომადაა გაბნეული ამის მსგავსივე ფიქრები. იგი ისე ახლოა ქართველის სულთან, მის საუკეთესო და თაყვანისსაცემ შვილთა მდგომარეობასთან.

საგულისხმოა, რომ ტიცციან ტაბიძის პოეზიაშიც უხვადაა გაბნეული ამის მსგავსივე ფიქრები, იგი ისევე ახლოა მის სულთან. საინტერესოა ლექსები „ელადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“, „სერგეი ესენინს“ და „ბაღდათის ზეცა“.

ვიცი, დადგება ბაღდათის ბაღში  
ყრმა მაიაკოვსკი — ბრინჯაოს ბეჭევი;  
მე ეს უთხარი მწუხარე დედას  
და ვველას ერთად მოგვეშვა სვედა.

ახლა კი მოვისმინოთ ლექსი „სერგეი ესენინს“:

ჩოფურაშვილთან ვიყავით წესელ,  
შენზე ღრიალით გასკდა არღანც!  
საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუგონებ  
რაც ჩაიკრულა გულში ბაღდათს.  
სამწუხაროა ვველა ესენი  
და უფრო მწარე კიდევ ის არის,  
ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ,  
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი...  
ამზანაგებო, თუ ღრმა ლულეში  
ჩვენნი თავებიც სადმე დაგორდეს  
ვეველამ იცოდეს — სხვა პოეტებში  
ესენინს ჰყავდა ძმად ციხფერ ორდენს!

„ტოლსტოის დღეების“ დასასრულში ტიცციან ტაბიძე იგონებს: „მეც მესმოდა ტოლსტოის საფლავიდან თითქო ფიზიკურად გაუციკვებელი მისი გულის ფეთქვა და ვიცოდი, რომ ამ გულის ფეთქვას წინათაც და ახლაც ყურს უგდებდა რუსეთიცა და მსოფლიოც“.

ტიციანის ლექსებიდან თითქო ფიზიკურად გაუციკვებელი მისი გულის ფეთქვა ისმის; ამ გულის ფეთქვას წინათაც და ახლაც უსმენდა და უსმენს საქართველო.

# „რა ჩურჩული უსმის ჩაბთა ყურთა?“

(ანა კალანდაძის „თუთა“)

მსოფლიო ლიტერატურაში, – განაცხადებს სტრუქტურალისტებმა კარვია ბნის წინაშე, – დღეს უპირველესი პრობლემა არის არა ახალ მშატერულ ღირებულებათა შექმნა, არამედ რაც შექმნილია, იმის ახსნა.

ლირიკაში ეს ახსნა ყველაზე უკეთ ერთი ლექსის ანალიზის მაგალითით ხორციელდება, რაც წინარმოების სტრუქტურულ მთლიანობაში განხილვას გულისხმობს.

ჩვეულებრივად, პოეტებს არ უყვართ ეს ახსნა, მათს შემოქმედებით ლამორატორიაში ქვრეტა. ლექსის დანერის შემდეგ მის მიმართ ინტერესი უკარგებათ, არ სურთ მასზე საუბარი და, ზოგჯერ, ვერც კი აგიხსნიან საკუთარი შთაგონების შედეგს.

ერთ საზოგადოებაში გალაკტიონს აღელვებით უთქვამს: სანამ თქვენთან მოვიდოდი, ერთი ახალგაზრდა მეკითხება – რა აზრია გატარებული თქვენს ლექსში „სიკედილი მთვარისაგანო“: თითქოს, შე ვიდოდე ეს!

ანა კალანდაძისთვისაც „ჯოჯობეთური საქმეა“ თავისი ლექსების ახსნა, რასაც პოეტი „სულთს ევაიმშელბას“ უწოდებს (ანა კალანდაძე, *ორტომეული*, 1996, № 6, გვ. 70).

პოეტის ხელიდან გამოსული ქმნილება უმაღლე მკითხველის საკუთრება ხდება, მკითხველს სჭირდება მისი ახსნა, სჭირდება შეცნობებას ლიტერატურის შესახებ.

● ანა კალანდაძის ორტომეულის მეორე ტომი, რომელიც პოეტის პროზაულ ჩანაწერებს, საუბრებს, მოვგონებებს შეიცავს, ძვირფას ცნობებს გვანდის ცალკეულ ლექსში შემოქმედებითი ისტორიისათვის.

აქვეა „თუთის“ დანერის ისტორიაც. 1945 წლის ზაფხულის ერთ დღეს გური-აში, მშობლიურ ხიდისთავში, მამაპაპისეულ სახლში ანა ავად გამზდარა, ღამით გაულევი-ძია, ძილი გაკართოძია, ძალაუნებურად ფანჯარას მისწერებოდა... „ჟარსკლავები ციმციმებდნენ, – იგონებს პოეტი, – და აივანს მომდგარი თუთა ილანდებოდა... ფიქრებში ნასულმა ვიგრძენი, რომ ჩემსა და თუთას შორის უხილაეი ძაფი გაიბა“ (*ორტომეული*, № 6, გვ. 97).

ასე შეიქმნა „თუთა“:

**ღამის სახლში შეპიოჭრას თუთა,  
ღამის თაზე გადამიხვას ხელი,  
დამიძახებს, თვალს ჩამყარავს მუდამ  
ზე მაღალი, ხე ზურმუხტისფერა.  
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა,  
რა ჩურჩული, დამდაგველი, მწველი,  
ღამის სახლში შემოვიდეს თუთა,  
ღამის წელზე შემომხვავოს ხელი.**

ანა კალანდაძის პოეზიას ყვაეილები, მცენარეების ლამქარი ამშვენებს. ხან ქადა-რია ეს – ღამაზ საქართველოს რომ ზღა-პარს უამბობს, ხან აკაციის ტყერი და ტი-რიფების ხეივანი, ხან ძენა – იქვებით ნა-ვადარს რომ აღერისთ ავსებს, ხან მაგნო-ლია, ვისთანაც ყოფნა ასე გულით უნდა, ხან

კი იასამანი, რომლის რტოებზე ჩამოფრენას ღამობს; ვარდები, იები, ყაყაჩოები, წარგი-ზები... ლექსი „ბეთანიის გზაზე“ ამ სიტყვე-ბით იწყება: „ასკილი, მოცხარი, მოცვი, გზა-დაგზა კუნელიც გეხეება“.

ყვეა-ფშაველას სამყაროსადმი განსა-კუთრებული ლტოლვა (ფშაური ციკლი) ბუნების ძალაში სიყვარულის შედეგი უნდა იყოს.

მაგრამ ასეთი მრავალგვარობის მიუხე-დავად, 800-მდე ლექსიდან პოეტს არც ერთისთვის პირდაპირ, მშისლად რომელი-მე მცენარის სახელი არ დაურქმევია. ამ მხრივ „თუთა“ გამორჩეულია.

პირველივე შეხედვით ამქარაა, რომ „თუთა“ განცდით, გრძობით დამუხტული ლექსია, რაც გაპირობებულია იმ განსაკუთ-რებული ვითარებით, რომლის დროსაც იგი შეიქმნა: ავადმყოფი ადამიანის გული საერ-თოდ გასათუთებულია, ჩვეულებრივია ემო-ციების სიჭარბე. ამ დროს გარემომცველი სამყაროს საგნები და მოვლენები მძაფრად აირეკლება ხოლმე სულში. მით უმეტეს, რო-ცა ეს ადამიანი პოეტია, შემოქმედი. ანა კა-ლანდაძე ერთი ავტორის ციტირებას ახდენს: „პოეტს – ყველა სხვა პროფესიის კა-ცისგან განსხვავებით – მხოლოდ „სიციხი-ანს“, მხოლოდ ბედნიერებით დაავადებულს შეუძლია მუშაობა“ (*ორტომეული*, № 6, გვ. 57).

შემოქმედებით პროცესში სინამდვილის იმგვარი გარდასახვა ხდება, რომ ხშირად წარმოსახული რეალურზე მეტია, მასზე უფრო ძლიერია. გალაკტიონმა გალექსა ბალზაკის სიტყვები: „სინამდვილეზე უფრო ძლიერი არისო ფიქრი – ამბობს ბალზაკი“.



და, აი, ღამის სიჩუმეში, ვარსკვლავიანი ცის ფონზე ფანჯარასთან მომდგარი თუთა პოეტის წარმოსახვაში ცოცხალ არსებად გადაიქცევა. იგი რაღაცას ჩურჩულებს (ანა კალანდაძის ხეები, ყვავილები, მინდვრები ხშირად ჩურჩულებენ: „ჰუ, ვინ ჩურჩულებს? მზე და ნაძვი“, „ასე თუ ჩურჩულებს ელისეს მინდორი“, „არ ჩურჩულებს ლელიანი, გული შეუჯერებია“).

თუთის ჩურჩულს თავისი სემანტიკა აქვს. იგი ეძახის ყმანვილ ქალს, თვალს ჩაუკრავს, სახლში შემოსვლას ღამობს, სურს მოეფეროს, თავზე ხელი გადაუსვას, შემდეგ, თითქოს, შემოდის კიდეც, ავადმყოფის სანოლთან მიდის, მისთვის ნელზე ხელის შემოხვევა უნდა.

ყმანვილ ქალს ესმის თუთის ჩურჩული. იგი დამოკიდებულია, მწველი; გრძნობს მის მოძრაობასაც – თუ როგორ უახლოვდება მას ეს მაღალი, ღამაზი არსება.

ანა კალანდაძისთვის რომ ხის ჩურჩული იგივე სატრფოს ჩურჩულია, ეს კარგად ჩანს ერთი უსათაურო ლექსიდან: „ნახის ნეკერჩხლის ეს შრიალი, ჩურჩული მისი, ნაღვლის კომ არის, კვლავ სიხარულად გარდამესახოს, – ხმად სატრფოისა, მარად, ო, მარად“.

„უხილავი ძაფი“, რომელიც თუთასა და ყმანვილ ქალს შორის გაიბა, სიყვარულის ძაფია.

ხე მხოლოდ ხე არ არის ანა კალანდაძის პოეზიაში. იგი განსხვავებულია და მის მიმართ დამოკიდებულებაც, შეიძლება, ისეთი იყოს, როგორც რეალური პიროვნებისადმი. აი, ჭადარიც, „ასული ცამდე, შეუპოვარი ქარის და მუხის... მდუმარე, როგორც ტაი და ქალდე, როგორც დუმლი ცისა და ქვეყნის... გულში ტრფობის აღს ჩაუგდებს რამდენს, როს ღამაზს ნარბებს ამყად შეხრის“ („ო, ეს ჭადარი“). ინტიმური დამოკიდებულება იგრძნობა მაგნოლიის მიმართაც: იგი პოეტის გულის შესაიფუნელ მეგობარია („როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია“).

ასევე ყვავილებიც. ისინი, როგორც პოეტი წერს, მისთვის მხოლოდ „ბოტანიკური ერთეულები“ არ არის და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, „მათ უკან ხშირად „ეილაც“ დგას“.

ამავე ფუნქციითაა დატვირთული ყვავილები ბესიკის პოეზიაში: „რა ია გამიწერა, ნარგიზს მიემართე“ („სევედის ბალს შეველ“), რასაც ანა კალანდაძემ საგანგებო ლექსი მიუძღვნა: „რა ამბავია ყვავილთ სასახლეს?“ – ეკითხება ანა დედოფალი ბესიკს და მხედველობაში მისი სატრფონი ჰყავს.

დამაფიქრებელია ზემოთ მოტანილი ჩანაწერი: „მათ უკან ხშირად „ეილაც“ დგას“.

ამ კარაა, რომ მაგალითად, ლექსში „რაღაც მენყინა შენგან, შროშაშეცქ“ (სტ. გუგუშვილის უკან, შეიძლება ვიფიქროვებ, მაგრამ ვეღარ ვიღაც, კონკრეტული პიროვნება, მაგრამ ამის პირდაპირი გადატანა „თუთაზე“ არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ეს „ეილაც“ „თუთის“ ავტორისთვის გაუცნობიერებელია, იგი უფრო ზოგადი სახეა.

პატარა ქალია ამ დროს ანა კალანდაძე, მაგრამ გულში დიდი და ძლიერი გრძნობა უღვივის: „მეტყვი, სცდებო, პატარა ქალი! შთამბერე ქარო, – ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა“; პატარა ქალია და როგორც ყველა პატარას, ალერსი, მოფერება სწყურია. „პატარა ვარ, მოფერება მინდა“, ვკითხულობთ ლექსში „პანანია რტო ვარ“ (ამ ლექსსა და „თუთას“ შორის სხვაგვარ ბევრია საერთო. მაგრამ ამაზე შემდეგ).

სიტყვები: ალერსი და მოფერება საერთოდ ხშირია პოეტის ამდროინდელ ლექსიკაში („მოფერება მზე ალერსის მთხოვარს“, „მო, მომფერე, ჩემო ბებია“ და სხვ.). მაგრამ თუთის მოფერება სხვანაირია.

„თუთა“ სიყვარულის ლექსია.

ორტომეულში ლექსები, ქრონოლოგიის შიგნით, თემატურ-განწყობილებრივი პრინციპით არის დალაგებული. დაუაკვირდეთ კონტექსტს, რომელშიაც „თუთა“ არის მოქცეული. მას წინ უძღვის ლექსი, რომელიც ასე თავდება: „შორს დედალს უხმობს მამალი შურთხი“... და მოსდევს ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ბაღში ისევე ტირიფების ლოდინია, ხანგრძლივი და უსასრულო ლოდინი“. ამ ლექსების, ამ სტრიქონების შუაშია „თუთა“.

წინააღმდეგობა შურთხი ვერ სხვა კუთხით არის დანახული: „აქ მონადირე დაუგებს ფანდებს და გაეხმება მახეში შურთხი“. ბოლოს კი, სრულიად მოულოდნელად მყვირალობის ხმა ისმის – მამალი შურთხი დედალს ეძახის.

მომდევნო ლექსის თავში ტირიფების ხანგრძლივი და უსასრულო ლოდინი სხვა არაფერია თუ არა სიყვარულის ლოდინი. ამის მაუწყებელია ლექსის ცალკეული აქსენტუარები: გულდაკიდული მტკვარი, კენესა და ტირილი, რომელიც ტირიფების ხეივანებში ისმის.

თუ ამ კონტექსტში ნავიკითხავთ განსახილველ ლექსს, თუთასა და ყმანვილ ქალს შორის გაბმული სიყვარულის უხილავი გრძნობა ხილული და საცნაური ხდება.

სიყვარულის მოტივი ანა კალანდაძის პოეზიაში ყოველთვის მიჩუმებულია. მასზე ავტორი მხოლოდ ჩურჩულით, ნახევარტონებით გვესაუბრება. მხოლოდ გვიან და ისიც პროზაულ ჩანაწერში ვკითხბრავ: „ჩემსა და



თუთას შორის „უხილავი ძაფი“ გაიბაო“. არც ამ ლექსში და არც არსად თაყის ინტიმურ განცდას პირდაპირ არ არქმევს სახელს. ეს მისი სტილია.

მაგრამ ამ ლექსში გამოხატული გრძობა, სულაც არ არის ჩუმი, ნაზი, ტკბილი აღერსი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. იგი გულში ხმაურით შეჭრილი სიყვარულია. სიტყვას „შემოქრან“ ლექსში დიდი დატვირთვა აქვს. იგი სიყვარულით შეპყრობილი რაინდის მოძრაობაა, რომელიც სასურველი არსებობისთვის თავზე ხელის გადასმოდან ნელზე ხელის შემოხვევას ლაშობს. მაგრამ როგორი კდემამოსილებით გადმოსცემს ამას ავტორი და როგორ შეენის მას ეს „კდემადიდი“?

ეს ახოვანი თუთა იმიტომაც არის ასე მშვენიერი და იმიტომაც იზიდავს პოეტის გულს, რომ იგი მისი ეზოს თუთაა. თავისი ეზო-მიდამო კი განსაკუთრებით უყვარს ანას („ქარ-მიდამო ჩემი დამილოცეთ, ძმებო“). იგი აქ დაიბადა, ამ სახლში. ზაფხულს ყოველთვის თავის სოფელში ატარებდა, ეზოს კართან ნისქელის მიუღწერებდა, გუბაზეულის ცქერით დატკბებოდა, აჭარაგურის თოვლიან მთებს გახედავდა, მისეულ მთებს.

თუთა თბილისშიაც დახვდა პოეტს, საბურთალოს ქუჩაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს. ჩანანერებში ვკითხულობთ: „მეზობლებმა მახარეს, რომ ჩემს აივანთან თავისით ამოსულა თუთა“. მაგრამ ეს მისთვის, ალბათ, ჩვეულებრივი თუთის ხეა.

როცა ამ ლექსთან დაკავშირებულ ყველა დეტალს ერთ კომპლექსში განვიხილავთ, პოეტის განცდები კიდევ უფრო უზუნბრივი და დამარწმუნებელი ხდება, მის მიერ დახატული სურათი უფრო ნარმტაცი და მიმზიდველი.

დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ იმდამინდელი შთაგონების ფიქირება პოეტს იქვე არ უცდია. „თუთა“ თბილისში დაინერა, ისევე, როგორც ფშური ციკლი, ოცზე მეტი ლექსი – მთიდან დაბრუნების შემდეგ (I. ორტომეული, II, გვ. 73). „ნერთი მხოლოდ შინ ვნერ, – ვკითხულობთ „საუბრებში“ – „სხვაგან“, სახლის გარეთ მხოლოდ ფიქრი შემიძლია“ (იქვე, გვ. 58).

მამასადამე, იმ ჯადოსნური ღამის შთაბეჭდილებები, როცა „თუთა“ იქმნებოდა, პოეტს დიდხანს უტარებია გულში. ეს იმიტომაც ჩანს დაუჯერებელი, რომ ეს ლექსი უეცარი აფეთქების შედეგია; უეცარი აფეთქება კი მოქმედების სისწრაფეს იწვევს. ლექსი სწრაფი ტემპით იწყება: თუთა სახლში შემოქრას ლაშობს. პირველივე სტრიქონი თავისი აქტიური ფორმით (დინამიკური ენები-

თი გვარის ზმნაა) ლექსს დინამიკურ სტარტს აძლევს. ამავე ფუნქციისას (ლექსის-სამხველი სიტყვა „ღამის“ (ხრამის-მარცხსმსტაყვა, ჩვეულებრივად, ტონის მიმცემია ლექსისთვის)) „ღამის“ ლუნმარცვლიანი რიტმული ერთეულია, ისევე როგორც „შემოქრას“ და, მასთან ერთად, მოქმედების ანმყო დროშია დასმული: ჰა, საცაა უნდა შემოიქრას. ერთიც და მეორეც სტრიქონის ტემპს აჩქარებს.

დაეუშვათ ასეთი პირობითობა, დაეტოვოთ იგივე ლექსიკა და სტრიქონის მეტრი – ათმარცვლადი, მაგრამ შეეცვალოთ მოქმედების დრო და რიტმული ერთეულების ლუნმარცვლიანობა: ლაშობდა სახლში შემოქრას თუთა. როგორც ეხედავთ, ის ექსპრესია დაიკარგა.

თით სიტყვა „მუდამ“, რომელიც სტრიქონის კონტექსტში როგორღაც უხერხულად ზის (მუდამ დამიძახებს, მუდამ თვალს ჩამიკრავს), მისი სათქმელადაა საჭირო, რომ თუთის ხის ეს ქმედება ეპიზოდური კი არ არის, იგი დროდადრო კი არ ეძახის და თვალს ჩაუკრავს ხოლმე ყმანელ ქალს, არამედ მუდამივად, განუწყვეტელი, თუთის ჩურჩული ხომ უწყვეტი პროცესია. და როგორ შეძლო ახალგაზრდა ავტორმა, რომელიც სწორედ იმ წელს იწყებს ნამდვილ შემოქმედებით ცხოვრებას, რომ ეს დინამიკა, თუნდაც ორიოდ დღით, ისე „შენახა“, რომ არ მინელებულიყო?! ალბათ, ლექსის ეს სწრაფი, ცოცხალი რიტმი, იმთავითვე, შემოქმედებითი პროცესის დაწყებისთანავე თან ახლდა პოეტის ნაფიქრ-ნაგრძობს.

ეს რთული საკითხია, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ურთულესი პრობლემა, როგორც ცნობილია, ფრედრიხ შილერი ლექსის შინაარსის გამოკვეთამდე მისი მუსიკის, მელოდიის ტყვეობაში იყო.

ლიტერატურისმცოდნე როვე გაროდის ხელთ ჩაგარდნია ფრანგი პოეტის სენ ჟონ პერსის რამდენიმე ფურცელი, რომლებზედაც ახახლანა ლექსზე მუშაობის პროცესი. პირველ ფურცელზე მინანერები იყო, უფრო სწორად, მინანერების ფრაგმენტები, მეორეზე ეს მინანერები, მეტრიკის კარნახით, სალექსო სტრიქონების სახეს იღებდა, ე.ი. აზრი ნინ უსწრებდა მელოდიას.

ილია ჭავჭავაძისთვის შემოქმედებითი პროცესი მამის იწყებოდა, როცა იგი ხანერ მაგიდას მიუჯდებოდა.

აკაკი ნერეთელი ჯერ ზეპირად თხზავდა ლექსს და შემდეგ გადააქრნდა ქალაღზე. მოხდენილად შენიშნავს ეახტანგ კოტეტიშვილი: აკაკი „მელოდიის ნინამღვრებდაო“. ვაჟა-ფშაველა ლექსის დანერის ნინ ფანდურს ჩამოპკრავდა და ხშირად უკვე დანე-

რილ ლექსსაც (მის მელოდიას) ფანდურზე ამონებდა.

ანა კალანდაძის ჩანაწერებში ერცლადია საუბარი ლექსის წერის მისეულ „ტექნოლოგიაზე“: „იმითიად, რომ ქალაქი დაველი წინ და წერად განვეშადო, ან ნაფიქრალი მაშინვე გადავიტანო ქალაქზე (მით უფრო, შუალაშზე ნაშოდეგე მის დასაფიქსირებლად). ლექსზე მხოლოდ ვფიქრობ... დიდხანს ვფიქრობ. იგი ჯერ კიდევ გონებაში „ინერება“, „ახევენება“, „მუშავენება“ და დასრულებულ სახესაც „იქვე“ იღებს... გონებაშივე იქნებიან ვარიანტები, რომელთაგანაც საბოლოოდ შეირჩევა და უკვე „შეაპროდუქცია“ გადმოდის ქალაქზე. „ამავე“ ნების“ ხშირად ერთადროულად მიფიქრია რამდენიმე ლექსზე და ყველას თავისი ადგილი ჰქონია მიჩნეული, ისინი ერთმანეთში არასდროს არ ამრევია. ყველა ცალ-ცალკე ვითარდებოდა, ერთმანეთს „ხელს არ უშლიდა“. გულშივე ერთ სიტყვა იცვლება მეორით, უფრო შესაფერისით, ასევე მთელი სტრიქონები... ასეთის ფუფუნების საშუალებას ლექსების მცირე ზომა მაძლევს.“ (ორტომეული, II, გვ. 57-58).

როგორც ვხედავთ, ლექსის წერის ანა კალანდაძისეული მეთოდი გარკვეულწილად ორიგინალურია. ილიასა და პერსისგან განსხვავებით, იგი იმთავითვე ქალაქს არ მიმართავს, ზოლო აკაკისა და ვაჟასგან განსხვავებით, გონებაში შეთხზული ლექსი მაშინვე არ გადააქვს ქალაქზე.

ჩანაწერების მიხედვით ისიც დასტურდება, რომ პოეტს ესა თუ ის აზრი მშრალი ცნებების სახით კი არ ეხადება გონებაში, არამედ უკვე რიტმულად გაფორმებული, მეტრულ ჩარჩოში ჩასმული. ამას გააფიქრებინებს ჩანაწერის სიტყვები: „გონებაშივე იქნებიან ვარიანტები, იცვლება „მთელი სტრიქონები“.

ამრიგად, იმ ჯადოსნურ ღამეს ლექსი „თუთა“ მთლიანად გაფორმდა, როგორც შინა, ისე გარე სახით. პოეტს ყურში ესმოდა არა მხოლოდ ის, თუ რას ჩურჩულებდა თუთა, არამედ იმ ჩურჩულის რიტმიც, მუსიკაც.

#### როგორია ეს მუსიკა?

ანა კალანდაძე მრავალგვარი მეტრით სარგებლობს. მარტო 1945-46 წლებში დაწერილი 62 ლექსი 22 სხვადასხვა საზომით აქვს გამართული. ამ პერიოდში და, მით უმეტეს, შემდეგ ამკარად ქარაბოძს ხუთმარცვლიანი მუხლებით შედგენილი სტრიქონები (5/5/5, 5/4/5, 5/5/5 და 5). აქვინ დაამადებთ, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, წყალობა ჰყავით. უფრო იშვიათად მიმართავს ლუნმარცვლიან მუხლებს: 4 2, 4/4, 4/4/4 და სხვ.: „თოვლი იდო ჯაეახეთის მთათა ზედა“.

„თუთა“ ამ იშვიათ საზომთა რიცხვშია. უფრო მეტიც, მისი მეტრულე სქემა 4/4/2 საერთოდ იშვიათია ქართულ პოეზიაში, თუმცა სათავეს ჯერ კიდევ მაშუკა ზარბაზნაშვილის „ქაშნიკიდან“ იღებს („მურანული“) და არა ერთი ლირიკული შედევრის მეტრული საფუძველი ხდება (გალაკტიონის „ატმის რტო“).

ათმარცვლიანი საზომი ჩვეულებრივად 5/5 ფორმითაა ცნობილი და გავრცელებული. 5/5-სა და 4/4/2-ს სხვადასხვაგვარი მუსიკალური და ხშირად სემანტიკური დატვირთვა აქვს. პირველი მდორეა და უფრო ფიქიანი განცდებს შეესატყვისება (ამიტომაცაა ხშირი ანა კალანდაძის პოეზიაში), მეორე სწრაფია და ელასტიური და, ამის შესაბამისად, უფრო ცოცხალ განწყობილებებს მიესადაგება.

4/4/2, რომლითაც დაწერილია „თუთა“, სამუხლიანი საზომია, ცეზურა პირველი მუხლის შემდეგ აქვს. მესამე შეკვეცილი მუხლი კადანსურია, მეტნილად გართომული და სტრიქონის რიტმული აქცენტი მასზეა გადატანილი: „რა ჩურჩული? დამდაგველი, მწველი“; მაშინაც კი, როცა სტრიქონის ბოლო მუხლი ოთხმარცვლიანია – 4/4/2: „ვარცხენიდან ცაშან ჩამოშოვა“, ანდა ექვსმარცვლიანი – „ხე შალაღი, ხე ზურმუხტისფერი“, ორმარცვლიანი კადენციები გამოკვეთილი – „ჩამომთოვა“, „ზურმუხტისფერი“, რაც სტრიქონის მელოდის თავისებურ იერს აძლევს. იგი დაღმაველია, ბოლო, კადანსური მუხლი, როგორც ბოლო აკორდი, სტრიქონის დასრულების მაუნყებელია. სტროფში სტრიქონები ავტონომიური უფლებით სარგებლობენ, მუსიკალური ავტონომია სემანტიკურს იწვევს. გადატანა, როგორც მხატვრული ხერხი, გამოირიცხულია.

საზოგადოდ, 4/4/2 განსაზღვრულია მქონე მელოდური საზომია.

დაეაკვირდეთ ამ საზომის მოქმედების არეალს ანა კალანდაძის პოეზიაში.

1945-46 წლებში (ამ პერიოდს ცალკე გამოკყოფთ, მოტივირებას შემდეგ შევეცადებით) ამ საზომს ანამ სამჯერ მიმართა და სამივე შემთხვევაში ერთი და იმავე გრძნობა-განწყობილების სამი სხვადასხვა ვარიანტი მოგვცა. განსაკუთრებით ახლოსაა „თუთასთან“ „ჰანანინა რტო ვარ“. მასში აქცენტირებული სიტყვები: ალურსი და მოფერება, მართალია, „თუთაში“ არ გვხვდება, მაგრამ მის სტრიქონებს შორის იკითხება. შეიძლება ითქვას, რომ „თუთას“ სემანტიკური გასაღები „ჰანანინა რტოშია“.

„თუთას“ დაწერიდან ერთი წლის შემდეგ ანა ისევ მიუბრუნდა ამ თემას და მიუბრუნ-



და იმავე მუსიკით, იმავე სალექსო სქემით (მძრ. „თუთა“: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“ „პანანინა რტო ვარ“: „მეფერება მზე ალერსის მთხოვარს“). ერთ რიტმზე ანუ ბილი, ერთ მოტივზე გამართული ეს ორი ლექსი, თითქოსდა, ერთი მთლიანობაა.

თავის მხრივ, „პანანინა რტო ვარ“ საერთოს პოეზობს გალაკტიონის ლექსთან „ატმის რტო, დაღალული რტო“ (ბიძგის მიმცემი, ალბათ, ეს უნიკალური საზომი იქნებოდა).

ეს ორი ლექსი, სიტყვა რტოთი დაწყებული, აერეთი ნიშნით ჰგავს ერთმანეთს. გალაკტიონის ატმის რტო, მისი ყვაილი დაღლილი და სუსტია („დაღალული რტო“, „დაღალული ყვაილი ხარ სუსტი“); ანა კალანდაძის რტო პანანინა და შემზებული (შემზინა, პანანინა რტო ვარ“); გალაკტიონის ლექსში ქარიშხალი ბობოქრობს („ქარიშხალი მოდის საიმდრო“, ანა კალანდაძის ლექსში აებუდითი ქარი ქრის („ქარი მარბევს და ყვაილებს მაცლის“).

**გალაკტიონის ლექსში და განსაკუთრებით რითმებში ხშირად მეორდება ო ხმოვანი (დაღალული რტო, საიმდრო, შორი, ტბორი), ასევეა ანა კალანდაძის ლექსშიც (მითხარო, მებალეო, მსტოვარს, მიმატოვა, მთხოვარს, რტო ვარ).**

მაგრამ ამ ლექსთა ურთიერთმედარებისას შეუძლებელია რაიმე გავლენაზე საუბარი. ძალადობის ნინაალმდე მიახლოებული გალაკტიონის პროტესტი ტრაგიზმამდეა ამაღლებული („ნაპრალებზე გადაიხსხვრა ნარგი, ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა“), ანა კალანდაძის ლექსში კი სუსტი ვედრების ხმა ისმის („დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი“).

პირდაპირი ზეგავლენა მაშინ იქნებოდა, ანა კალანდაძის პანანინა რტო ატმის რტო რომ ყოფილიყო. სიტყვა რტო ხშირია ანას ამდროინდელ ლექსებში („ქარი იბრძოდა ვაშლის რტოებთან“, „ქარმა შეარხია რტოი ძუნისაი“); გვხვდება ატამიც „ქარო, მოიტა, ატმის ყვაილი“, „გორში იტრებს ატამი“, მაგრამ არსად არ გვხვდება ატმის რტო.

ამასთან, ო ხმოვნის დომინანტა გალაკტიონის ლექსში განსაკუთრებულ სახეს იღებს (რტო), ორი ო ერთმანეთსაა მიდევნებული (ამას აკაკი განერულია მიაქცია ყურადღება), (აკაკი განერულია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 118) რაც ანა კალანდაძის ლექსში გვხვდება.

ამრიგად, შემოქმედების ამ საწყის ეტაპზე გალაკტიონით შთაგონებული ანა კალანდაძე მისი ლექსის მარნუხებს გადაურჩა. გაგვიგრძელდა ამ სხვა ლექსზე საუბარი, თუმცა საკვლევ თემას არ დაეძვრებულ-

ვართ. ეს სხვა ლექსი არ არის, როგორც ეთქვით, იგი „თუთასთან“ წყვილდება შემდგომი დაზუსტება. **ს ი ს ზ ს ი რ ი მ ე მ ა მ**

ამ პერიოდის მესამე ლექსი, რომელიც 4/4/2 საზომითაა დაწერილი, არის „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“. იგი ენემანტიკის მხრივ განკერძოებულია: არც თუთა და პანანინა რტო, არც ალერსი და მოფერება, არც სიყვარულის განცდა. მაგრამ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“ „პანანინა რტოს“ ერთგვარი გავრძელებაა, მისი შემდგომი ეტაპი. „პანანინა რტოს“ ლირიკულ გმირს მარტო დარჩენისა ეწინაა („მებალეო, ნუ დამტოვებ მარტო, მემინია, პანანინა რტო ვარ“), არ ჰყავს მეგობარი, რომ საიდუმლო ანდოს („მითხარო! როგორ, როგორ ვანდო საიდუმლო ამარსა და მსტოვარს“) და, აი, იგი მარტოდ აღარ არის, იპოვა მეგობარი, ლამაზი, თვალფუფუნა, გულის მესაიდუმლე მეგობარი („მე ლამაზი მეგობარი მყავდა, თვალფუფუნა, ნაბლისფერი თმებით“), იპოვა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დაკარგა („ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები, დასატოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა“), რასაც ძალზე განიცდის: „ღმერთო, ჩემო, სად ვეძებო, სადა, მე ლამაზი მეგობარი მყავდა, დარდიანი ლენოს ესვამ და ვთერები“ (მომაქვს თავდაპირველი ვარიანტი, რომელსაც, ალბათ, დამეთანხმება და აეტორი ალაფენს!)

„თუთა“, „პანანინა რტო ვარ“ და „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“ სამი ერთმანეთზე გადაბმული ლექსია, ახალგაზრდა პოეტიკალის ერთიმეორეზე ასხმული განცდები, ერთი და იმავე მუსიკით გადმოცემული.

უტყველია, რომ ანალოგიური განცდების თავმოყრა ერთი და იმავე მუსიკამ, ამ იშვიათმა სალექსო ფორმამ განაპირობა.

ეს მეტრი (4/4/2) პეტეროსილაბური საზომის მეორე ცალკე გვხვდება (4/4/4 და 4/4/2) ამ პერიოდის ზოგიერთ ლექსში („კერ ნაიღეს, ვერა“, „ქართული მეომრის სიმღერა“), მაგრამ მათ შემთხვევითად ლექსებთან საერთო არაფერი აქვს.

დავინტერესდი და დაეძებნე ეს საზომი ანა კალანდაძის მიერ პოეზიაში (თარგმანების ჩათვლით). მხოლოდ ერთ ლექსს ნავანყნე 1975 წლის თარიღით – „მიაშურა მტერთა ბანას ზოგმა“.

რამ განაპირობა ამ დაკარგული საზომის კვლავ გამოჩენა. ლექსი იეზიდი გოგოს გახსენება („მესალმება იეზიდი გოგო – გაგიმარჯოთ, ქალბატონო ანა“), რომელსაც 1945 წელს პოეტმა ლექსი უძღვნა („არაბი ხარ“).

30 წლის წინანდელია ლექსში პოეტს იეზიდ გოგოსთან ერთად მისი თანმხლები რიტმიც მოაგონა, რომელიც ძალზე ახლო-

საა ახლადდანიერილი ლექსის მუსიკასთან. დავაკვირდეთ: „არაბი ხარ?“, „ჩემო კარგო, არაბი ხარ? — იეზიდო“ (4/4/4), „მიაშურა მტერთა ბანაკს ზოგმა“; „მესალმება იეზიდი გოგო (4/4/2). შემოსხენებულ პეტეროსილა-ბურ საზომშიც („კერ ნაილეს, კერა“). სწორედ ეს ორი ფორმაა შეუღლებული (4/4/4 და 4/4/2).

### მტერს უტყვია კაქასიის მაღალ მოვთან, განა მტარავს მიწის გოჯი მისცა?

მეტი თვალსაჩინოებისათვის დავანყვი-ლოთ ამ ორი ლექსის: „არაბი ხარ?“ და „მიაშურა მტერთა ბანაკს ზოგმა“ სტრიქონები:

„თქვი შავფალავ, არაბი ხარ? — იეზიდი“.  
„მესალმება იეზიდი გოგო“.

იმის მოუხედავად, რომ ერთი სტრიქონი თორმეტმარცვლიანია და მეორე ათმარცვლიანი, როგორც ვხედავთ, ლუნმარცვლიანი მუხლების გამო, ძალზე ჰგავანან ერთმანეთს და სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლის რიტმიც ბუნებრივია.

ამრიგად, სალექსო ფორმა 4/42 1945-46 წლების კუთვნილებაა. ამ ნყოფის ერთადერთი ლექსი, რომელიც შემდეგ არის დანიერილი, ანალოგიური მუსიკის წყალობით, ამ პერიოდში ნაფიქრ-ნაგრძობთან მიბრუნებაა.

1945-46 წლები ცალკე, დამოუკიდებელი ეტაპია ანა კალანდაძის შემოქმედებაში. მაგრამ ეს არ არის საწყისი ეტაპი. ისე განაფულობა ამ დროს პოეტის კალამი, რომ, ეტყობა, უკვე კარგა ხნის ნაერვიშეგია. როგორც თავად გადმოგვცემს, იგი მანამდეც წერდა ლექსებს. ერთი ლექსის სათაურიც კი გაგვიზილა („ბადრი მთვარე“), მაგრამ ამ სათაურისადმი მისი ირონიული დამოკიდებულება გვაგრძობინებს, რომ თავადაც არ მოხსნა და ეს ადრინდელი ლექსები და დაუხედავ კიდევ (ორტომეული, II, გვ. 41, 42, 60.) („არ დაეტოვე ადრეული, 1945 წლამდე დანიერილი არცერთი ლექსი“).

1945-46 წლების ცალკე გამოყოფა რამდენიმე ფაქტორით არის გამართებული.

ყველაზე მთავარი და არსებითი ის არის, რომ ეს ლექსები აუდიტორიისათვის არ იწერებოდა, თავის თავთან განმარტობული პოეტოქალის შინაგანი მონოლოგებია, რომლებსაც არავის აკითხებდა, რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამის ერთ-ერთი მონშე თავად გახლავართ. ჩვენ ერთად, ფილოლოგიის ფაკულტეტის ერთ კურსზე ესწავლებდით თბილისის უნივერსიტეტში და თანაკურსულებმა არ ვიცოდით თუ ანა ლექსებს წერდა.

განკერძობებამ განსაკუთრებული ინტი-მი შესძინა ანა კალანდაძის ლექსებს. შემდეგ, პირად საუბარში დაქუთუბნებ, რომ კარგი იქნებოდა ეს პერიოდში გაგრძობილყო, ლექსები უფრო გვიან გახმაურებულიყო, მწერალთა სახალღში მათი საჯარო კითხვა გადავადებულიყო.

საჯარო გამოხვლამ, რომელიც ნამდვილი ტრიუმფი იყო, ამ პერიოდის ლოკალიზება მოახდინა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკური ხასიათისა იყო. როგორც ცნობილია, 1946 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიდევნა ა. ედანოვმა მოხსენება გააკეთა ფურნალების: „ლენინგრადისა“ და „ზეუზდას“ შესახებ და მკაცრად დაგმო ლენინგრადელი მწერლების: ანა ახმატოვისა და მიხეილ ზომშენკოს უიდეო, აპოლიტიკური ნაწარმოებები. ამის მიხედვით ჩვენში ახმატოვისა და ზომშენკოს დაუშავების ქართული ვარიანტი შექმნეს და კრიტიკის წინავე უსიხე ყველაზე მეტად ანა კალანდაძემ იწინა.

პოეტმა საერთოდ შეწყვიტა ლექსების წერა. მისი ორტომეულის სარჩევში 1947-48 წლები გამოტოვებულია. 1949 წელსაც ერთადერთი ლექსი აქვს დანიერილი. საერთოდ, ამ შუალედში, 1953 წლამდე (მისი პირველი ნიგნის გამოცემის თარიღია) ძალზე ცოტას წერდა. თავისი შემოქმედებითი პრინციპებისთვის არ უღალატნია, არ გადასულა სოციალისტური რეალიზმის „რეცესებზე“, რომ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმულიყო (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ლექსით ერთად „ხარკის მოხდას“, ხოლო ინტიმური ლირიკა, „თუთამი“ აღძრული განწყობილებანი იმ დროს ოფიციალური წრეებისთვის ანაქრონიზმი იყო და მისკენ მიბრუნებას არავინ ამატიებდა.

ამ პერიოდის ცალკე გამოყოფას ანაკის ხელნაწებზე განაპირობებს. „ყოველ ასაკს თავისი „ცხოვრება“ აქვს, — წერს ანა, — და ამით შესაბამისად ყოველი ასაკი „თავის პოეზიას“ ქმნის“. „თუთა“ იმ ასაკის კუთვნილებაა, როცა ადამიანისთვის „ქვეყანა ჯერ კიდევ იდუმალების ბურუსშია გახვეული“. იგი ახალგაზრდობის ხანაში უნდა დანიერილიყო.

პოპულარული ლექსია „თუთა“, მასზე ფერწერული ტილო შეიქმნა, მუსიკაც დაიწერა (მერი დავითაშვილი), თითქმის ყველას, ვინც კი ანა კალანდაძის პოეზიას შეხებია (და მათი რიცხვი საკმაოდ დიდია), „თუთაზე“ თავისი სიტყვა უთქვამს.

ეს პატარა, ორსტროფიანი ლექსი ნამდვილი შთაგრძობითაა შექმნილი. გარდაახანის შესანიშნავი უნარი გამოაქვლინა ახალგაზრდა ავტორმა. სიტყვათა მინიმუმით შესძლო მაქსიმალური შედეგისთვის მიღწეა.



ლექსში სულ 33 სიტყვაა, რომელთაგან 16 მეორდება. განმეორება, როგორც მხატვრული ხერხი, საერთოდ ნიშანდობლივია, ანა კალანდაძისთვის („კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გაღება“, „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა“). ამ ლექსში განმეორებას კომპოზიციური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ლექსის თავი და ბოლო, თითქოსდა, თასმითაა შეკრული.

33 სიტყვა სიმეტრიულად არის განლაგებული რვა სტრიქონში – ოთხ-ოთხი სიტყვა თითოეულში (მხოლოდ ერთი სტრიქონია ხუთსიტყვიანი). განსაკუთრებით მკაცრია სიმეტრია პირველ და ბოლო ორტაქტებში. ორ ორმარცვლიან სიტყვას ერთი ოთხმარცვლიანი და ერთი ორმარცვლიანი მოსდევს:

**ღამის სახლში შემოიჭრას თუთა,  
ღამის თავზე გადაიხვას ხელი.**

ეს მოდელი უცვლელად მეორდება ლექსის ბოლოს. იცვლება მხოლოდ ცალკეული სიტყვები: შემოიჭრას ადგილს შემოვიდეს იჭერს, გადაიხვას ადგილს – შემომხვივის. თავზე ხელის გადახმას ნელზე ხელის შემოხვევა ცვლის.

ეს ცვლილებანი ნათლად მიგვანიშნებს თუ როგორ ყალიბდება „თუთა“ ბესიკისებური სიყვარულის ლექსად: პირველ გაუბედავ აღერსს (თავზე ხელის გადახმა) მეორე, უფრო გაბედაული მოსდევს (ნელზე ხელის შემოხვევა).

საერთოდ, ლექსის ცენტრალურ სტრიქონებს ანა ხშირად იმეორებს და მეტწილად გარკვეული ცვლილებებით.

ერთსადაიმევე ფორმაში ორი განსხვავებული შინაარსი ლექსისაღმე ინტერესს ზრდის, მისი კომპოზიციის დაძაბვას იწვევს, ფინალი უფრო საინტერესო ხდება.

ანა კალანდაძეს ძალზე გამახვილებული აქვს კომპოზიციის გრძნობა. მისი ლექსი კომპოზიციურად ყოველთვის სრულყოფილია. „ნერტილის დროზე დასმის“ ხელისუვნებაზე პოეტი თავის ჩანანერებშიაც გვესაუბრება.

აქვე, ყურადღების მიღმა არ არის დატოვებული „მდაბიური“ და „ამაღლებული“ ენის საკითხიც. როდის უნდა მიმართოს პოეტმა „მდაბიურ“, ხალხურ კილოს და როდის „ამაღლებულს“, არისტოკრატიულს. მოხდენილი პასუხია მონახული: „ამას ურვენოდაც ჩინებულად ანესრიგებს. ის“, რაიც მთავონებით გენყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ „გეკარნახებს“ რა ფორმით „სურს“ განსხვავლება (ორტომეული, II, გვ. 63)

ანა კალანდაძე ხალხურ ელემენტს სარგებლობს და „არისტოკრატიული“ ხშირად ხალხური ლექსის პირდაპირი სიტყვების ახდენს. თუმცა ძირითადად მისი სტილი დარბაისლური ქართულია. არის ისეთი სიტყვები, – ნერს პოეტი, – რომლებსაც ლექსში ძალზე იშვიათად ან სულაც არ მიემართავ ხოლმე.

სუფთა, დახვეწილი სტილის პოეტს თანამოკალმეთაგან არქაიზმისკენ მიდრეკილება გამოარჩევს. მაგრამ ეს ზომიერი არქაიზაცია ოდნავადაც არ ამძიმებს ლექსს. იგი მიზანდასახულებრივია, მხატვრული ფუნქციის მატარებელი და ძალზე უხდება მეტყველებას.

მახსოვს, კარგა ხნის წინათ, ჩვენში გაბატონებული მცდარი შეხედულების კვალობაზე, თითქოს, მწერალმა მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე სალიტერატურო ენით უნდა წერას, ანას შენიშვნა მისცეს – ლექსში „მე შივაშურებ ურარტუს ქებაებს“ რატომ ხმარობს არქაულ სიტყვას „ხამლი“.

რადგან იმ სხდომაზე ეს შენიშვნა უპასუხოდ დარჩა და, რამდენადაც ვიცი, არც შემდეგ უთქვამს ვინმეს რაიმე, მინდა მოკლედ განვმარტო, რომ ამ ერთადერთი არქაული სიტყვით პოეტს მკითხველი ურარტუს პრეისტორიულ ხანაში გადააყვას და მის მკვიდრთა დახასიათებას ახდენს.

რამიმართებაშია „თუთა“ ამ სტილთა თეორიისათმ? ყურადღებას იქცევს ძველქართული (არქაული) კონსტრუქცია – მსახლერელ-სახლერული მრავლობითის ნართანთან ფორმაში: „ქმთა ყურთა“ („რა ჩურჩული ესმის ჩემთა ყურთა“). ამ ლექსის დანერის დროს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ანა კალანდაძე ენის ჯგუფშია (კავკასიურ ენათა განყოფილება) და ცოტა ხნის შემდეგ აკაცო შინაძის ასპირანტი ხდება. ძველქართულით შეზავებული მეტყველება იმთავითვე დაჟეჟა მის ლექსებს და ამან „თუთამიც“ იჩინა თავი.

ამ ლექსშივე გამოვლინდა ანას დამოკიდებულება რითმისაღმე. იგი არ არის რითმას აყლილი პოეტი. მისი რითმები მინუნარებულ-შიწმებულია, თუმცა პოეტს აქვს საკუთარი კარგი რითმები: მომართავს – ყორანთა, მოისმის – ონისე (აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა) და სხვ.

„თუთა“ ჯვარედინად გართმული ლექსია. რითმები ჩვეულებრივია, არც სემანტიკური მოულოდნელობით იქცევს ყურადღებას, არც ფლერადობით. ვერ იტყვი, რომ მდიდრულიაო, მაგრამ ვერც სიღარიბით დაინუნებ. რითმა პოეტის ნაფიქრ-ნაგრძნობის გადმოცემის საშუალებაა და ამ ფუნქციას განსახილველ ლექსშიაც კარგად ასრულებს.

ანა კალანდაძეს შეუძლია გაიმეოროს გოეთეს სიტყვები: „მე პატივს ვცემ რიტმსა და რითმს. ისინი აქცევენ პოეზიას პოეზიად. მაგრამ არსებითი ფაქტორი პოეზიისა არის ის, რაც რჩება ლექსისგან, როცა იგი პროზაზე გადაჰყავთ“.

ანა კალანდაძის ლექსები პროზად გართქმის შემთხვევაშიც არ კარგავენ ლირებულებას. ეს „თუთაზეც“ ითქმის.

„თუთა“ უსათუოდ ქალს უნდა დაენერა. იგი ისეთი ინტიმური ლექსია, რომელშიაც ქალის განცდებია გადმოცემული და არა მათკაცის. ასეც უნდა ყოფილიყო, ლირიკა ხომ თვითგამოხატებაა, მაგრამ პოეტის იმ ლექსებშიც, სადაც ეს ინტიმი გამოკვეთილი არ არის, ქალის ბუნება ჩანს, ქალის ხმა ისმის. ეს ანა კალანდაძის, როგორც შემოქმედის, დიდი ღირსებაა. მას მონახული აქვს ფერები და ტონები ქალის და, კერძოდ, ქართველი ქალის ხასიათის წარმოსაჩვენად. ამავე დროს, ეს არ არის მოჭარბებული მგრძობილობა, რომელიც სანტიმენტალიზმში გადადის. ამ მხრივ პოეტი ქალი ძალზე თავშეკავებულია.

ანა კალანდაძის პოეზიაზე საუბარი ადვილიც არის და ძნელიც, — ვთქვი ერთხელ პოეტის შემოქმედებით ხალაშოზე, — ადვილია იმიტომ, რომ ნათელი ლექსით წერს, ძნელია იმიტომ, რომ ახსნა უნდა, როგორ ახერხებს სადა, „პარტივი“ ლექსით მკითხველის გულის დაპყრობას.

„თუთა“ ნათელი ლექსია, სისადავით გამოირჩეული. მისი ყოველი სიტყვა, სტრიქონი, აზრისა და განცდის ყოველი ნიუანსი მკითხველისთვის გასაგებია და ადვილად აღსაქმელი.

სხვა ნიშნებითან ერთად, რაზედაც საუბარი გვექონდა, ამ ლექსის შემოქმედებითი ძალის განმსაზღვრელი ერთი სტილური ნიშანი ისიც არის, რომ ეს ხასხასა გრძნობა ყოველგვარი კომპლიმენტის გარეშეა მკითხველამდე მოტანილი. პოეტი არ ცდილობს მის შელამაზებას, თვალისმომჭრელი საღებავებით აელვარებას, არ ცდილობს თავი მოგვანონოს.

დრო და დრო მხატვრული სახე ტროპული მეტაფორების გარეშეც იქმნება. ამის სა-

ილუსტრაციოდ ამას წინათ ერთმა ლიტერატორმა (თინანო თევზაძე) ანა კალანდაძის სტრიქონები მოიტანა: „კაცების ტვერე, მწელის სუსტი ღობე, ქუდში მხდელი შუქური, ღვინიანი კოპე“.

ეს მშვენიერი სახე-სურათი, რომელიც დანქრითაა შესრულებული, არც საჭიროებს აკვარელს.

ასევე „თუთაც“. მასში არც შედარება გვაქვს, არც მეტაფორა, მხოლოდ ორიოდე ჩვეულებრივი ეპითეტა (ზურმუხტის ფერი ხე, დამდაგველი, მწელი წურწული), მაგრამ მთელი ლექსი მეტაფორაა, უფრო ზუსტად — გაპირიონება. მოწურწულე თუთის ხის წარმოსახვა მეტაფორული, გადატანითი.

ანა კალანდაძის ლექსებს იმთავითვე, მართალია, არა უცნაურ, მაგრამ გასაიდუმლოებულ სამყაროში შევყავართ. ესაა მისი შემოქმედების ერთ-ერთი საიდუმლო.

პატარა ლექსია თუთა, როგორც პოეტის ლექსთა აბსოლუტური უმრავლესობა. ანა კალანდაძე, საზოგადოდ, პატარა ლექსის დიდოსტატია. ამის ნათელი დასტურია ექვსსტრიქონიანი „თქვი, არჯაკლო“, რომელიც ავტორს თავის ერთ საუკეთესო ლექსად მიაჩნია.

მინიატურული ფორმა სულაც არ ზღუდავს ანა კალანდაძეს თავისი სათქმელი ბოლომდე გვითხრას. ჩანანერებში ვკითხულობთ: „ქემშარიტი ნანარმოები, თუნდაც ერთი პოეტური სტრიქონი, სრულად გამოსცემს და გამოხატავს სათქმელსაც“ (ორტომეული, II, გვ. 60)

უხსიტყვაობა ხშირად აზიანებს კიდეც განცდას, მას გულწრფელობას უკარგავს.

„თუთა“ ყველა იმ ნიშნის მატარებელია, რაც ნებისმიერი სიგრძის ლირიკულ ქმნილებას შეიძლება ჰქონდეს. სიტყვათა ამ შემჭიდროებული რიგით პოეტმა იმდენი რამ გვითხრა და ისე კარგად, რომ, შეიძლება, მრავალსტროფიანი ლექსითაც უკეთ ვერ ვთქვა.

პატარა ლექსია „თუთა“, მაგრამ, როგორც დაეინახეთ, ძალზე ტვეადია, რამაც საკმაოდ გრძელი საუბრის საშუალება მოგვცა.



# ძნელია, მაგრამ აუცილებელი!

ახლახან გამოვიდა საჭირო და საინტერესო წიგნი „История грузинской музыки“, Т. 1, 1998 წ. აღსანიშნავი ფაქტია, ჩვენ ხომ დიდად არ ვართ განებივრებული ამგვარი შრომებით, შრომებით, რომლებიც კომპაქტურად და ქრესტომათიულად წარმოგვიდგენდა ჩვენი ეროვნულ-ინტელექტუალური ცხოვრების რომელიმე ასპექტს. მით უმეტეს, თუ საკითხი ეხება ისეთ ფენომენს, როგორც არის ქართული უნიკალური მუსიკალური ფოლკლორი და მალაქროფიული კლასიკური მუსიკა. ამ ფაქტს სასიხარულოდ და სახასიათოვად აღვიქვამთ, თუმცა დიდი სიფრთხილედ და გაზომილი ქმედებაა საჭირო, რათა საინანაღმდეგოდ არ შემოგვიბრუნდეს ჩვენი განცდები. ძალიან ძნელია შეუცდომლად გაყოლოთ თვალი ხელოვნების თუნდაც ერთი სფეროს ისტორიას, რომელიც თავისი ქვეყნის ბედს იზიარებდა. მხედველობაში მაქვს ჩვენი ეროვნული ინტელექტუალური ცხოვრების მტკივნეული საუკუნეები, როდესაც აღმოსავლეთიდან მოძალებელი მტრული ძალა ანგრევდა ქვეყნის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ცხოვრებას, თვითმყოფადობას, ეროვნულ ცნობიერებას და ცდილობდა თავს მოეხედა საკუთარი რწმენა, კულტურა, ზნეობა. საუკუნეთა განმავლობაში არაბთა, მონღოლთა, სპარსთა, თურქთა მიერ მოძალებელი იდეოლოგია გარკვეულ ადგილს მაინც პოულობდა ერის ცნობიერებაში, კულტურაში. ეს მეტისმეტად მძიმე და მტკივნეული პროცესი იყო და ახლაც ასევე ძნელია და მძიმე პროცესია გაურკვევ ამ ისტორიული უკულმართობის მიერ დანატოვარ შედეგში, ძნელია სწორად და ზუსტად შეაფასო შენი კულტურული მემკვიდრეობის წინადა სათავეც და ამღვრეული შესართავიც. ამ პრობლემას თავი რომ გაართვა, ძნელი, მაგრამ აუცილებელია ღრმად შეისწავლო მახლობელი აღმოსავლეთი, მისი ისტორია, იდეოლოგია და ცნობიერება, მისი ხელოვნების პრობლემები, მისი რელიგია თავისი მრავალფეროვანი სექტებით.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ქართული მუსიკათმცოდნეობა ვერ გაუტოლდება ჩვენსავე ისტორიისა და მხატვრული სიტყვის მცოდნეობას. ეს მკაფიოდ ჩანს ზემოხსენებული წიგნიდანაც, სადაც 26მ გვერდიან შრომაში საკითხს – ქართული მუსიკა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე – სულ 8 გვერდი უკავია. ამიტომ ჩვენ მუსიკათმცოდნეთა შრომებში არ არის გამიჯნული აღმოსავლური რელიგიონის სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნება, მათი თავისებურება, სპეციფიკურობა; ამიტომ

არის იგი წარმოდგენილი მთლიან, რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ, ძირითადად სპარსულ კულტურად; ამიტომ არის სრულიად უსაფუძვლოდ ერთმანეთში აღრეული ორი სრულიად განსხვავებული სახეობა ხელოვნებისა აბულთა და საზანდართა; ამიტომ დღემდე ვერ მოხერხდა ჩვენი დედაქალაქის, ძველი თბილისის მუსიკალური პროფილის დადგენა და ა.შ. და ა.შ. ეს სტრიქონები უსაფუძვლო და მკაცრ ბრალდებად რომ არ ჩაითვალოს, მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს ზემოაღნიშნული წიგნიდან (ესზე საილუსტრაციოდ, თორემ იგი აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურის საკითხების ანალიზის თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება სხვა შრომათაგან) და თვით მკითხველმა განსაჯოს სიმართლედ და მისგან მიღებული შედეგების რაობაც:

„დიდ საეპიკო გზაჯვარედინზე მდებარე თბილისში ამერკავკასიის ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა მოიპოვა. ამან თავისი ასახვა მუსიკაშიც გამოიხატა. ქართული, აზერბაიჯანული, სპარსული და სომხური მუსიკის ინტონაციის, კილოს, რიტმისა და სხვა თავისებურებათა სინთეზში მოგვეცა ქართული ეროვნული კულტურის დიდი და საინტერესო პლასტიკი, რომელსაც ძველი თბილისის სიმღერა ეწოდება. ძველი თბილისური სიმღერის ყველაზე უფრო ცნობილი ოსტატები იყვნენ მომღერალ-აზღუდე საიათნოვა, სათარა, მაჩაბელი, შანშიაშვილი, საგინაშვილი, შამშიაშვილი და სხვა...“

ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია ქართული ეროვნული კულტურის დიდსა და საინტერესო პლასტად აღვიქვათ ქართული, აზერბაიჯანული, სპარსული და სომხური მუსიკის ელემენტების სინთეზი, მაგრამ ეს მაინც მუსიკათმცოდნეთაგან გასარკვევი საკითხია, როგორც ჩანს, სადაო საკითხი. მე მინდა ვისაუბრო მხოლოდ იმ პრობლემებზე, რომლებიც აღმოსავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში სადაოდ არ არის მიჩნეული.

ბოლო წინადადებაიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ეს მოსაზრება ჩვენს მუსიკათმცოდნეობაში ტრადიციულად დამკვიდრებული დოგმა – ძველი თბილისის მუსიკალური კულტურა გაიგივებულია აზღუერ ხელოვნებასთან. ჩემი მიზანი კონკრეტულია, გავარკვიო ქმშარიტია ეს თვალსაზრისი და შემოჩამოთვლილი პირები მართლაც აზღუდე და ძველი თბილისური სიმღერის წარმომადგენელი იყვნენ თუ არა. რადგანაც მათთვის ჩვენი ეროვნული მუსიკის ისტორიაში გარკვეული ადგილი დაუთ-



მათ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ თუ ვინ და რანი იყვნენ ან რა დამახაზურებისათვის მოხდნენ ისინი ქართული მუსიკის ისტორიაში.

საიათნოვა ტიპური ნარმომადგენელი იყო აშუღური ხელოვნებისა, მისი სამწიგნობრო პოეზიაც სრულად ასახავს ამ პოეზიის ყველა განზომილებას.

მაშ, რა არის და როგორია ხელოვნება აშუღთა?

დაიწყებ ტერმინის განმარტებით.

„აშუღი არაბული „ამიკის“ აზერბაიჯანული ფორმაა და ნიშნავს „შეყვარებულს“, „ტრფილს“, „მიჯნურს“.

აშუღური ხელოვნება გენეტიკურად უკავშირდება თურქულენოვანი სამყაროს მთქმელ-მუსიკოსთა — ოზანთა (VII-XII სს.) შემოქმედებას. ეს უკანასკნელი თავის წინაპარს ისლამამდელ ეპოქაში, შამანთა საქმიანობაში პოულობს. აშუღური ხელოვნება ორიგინალური, სინკრეტული ხელოვნებაა, რომელიც აერთიანებს ლექსს, სიმღერას, მუსიკას, ცეკვას, იმპროვიზაციას. აშუღი თვით წერს ლექსს, თხზავს მუსიკას, მღერის სახის თანხლებით, ცეკვავს და იმპროვიზაციით ჰქუვდა დახატუბებს — ეპიკური ჟანრის თხზულებებს. აშუღის ლიტერატურული მასალა ერთგვარი სინთეზია ფოლკლორისა და კლასიკური მხატვრული სიტყვისა. აშუღი, რომელიც ვერ დახატვდა ამ ხელოვნების ყველა ელემენტს [ლექსის წერა, მუსიკის შეთხზვა], იყენებდა ხოლმე სხვათა შემოქმედებას. როდესაც ისლამის სამყაროში ჩასახარელი ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზმი, რომლის კარდინალური დოგმა — ქვემარტობის შემეცნებისა და ქვემარტობის მიღწევის გზად და საშუალებად აღიარებული სიყვარულის გრძნობა (სიყვარული შემოქმედისა, უმადლესისა, დემიურგისა) მისიონერული გააზრებით მხატვრულ სიტყვაში უპირველეს ტენდენციად დამკვიდრდა, მან ოზანთა შორისაც იწინა თავი და სუფიური განწყობილების გამოხატველი ტერმინიც იშვა, „ოზანი“, „ამიკ-აშუღმა“ შეცვალა. ეს ცვლილება მის შემოქმედებაშიც აისახა, ოზანისათვის დამახასიათებელი ეპიკური ჟანრი ღირსიკის ჟანრით შეიცვალა და აშუღთა პოეტური აზროვნება ღირსიკის ჟანრში დაიხვეწა (სანტარესო ფაქტია — შუაზიური „აშუღის“ შესატყვისი ტერმინებიც „აქინი“ და „ფირმი“ გამოხატულია „შეყვარებულის“, „მიჯნურის“ ცნებისა). თემატიკაც სასიყვარულო, სატრფილო საკითხებით შემოიფარგლა. აშუღური პოეზიის თემატიკის გამრავალფეროვნება მოგვიანებული ეპოქის დანატოვარია, როდესაც სუფიურმა რელიგიამ თანდათანობით დაკარგა პირვანდელი სახე.

შუა საუკუნეების მხატვრული სიტყვის ესთეტიკურ პრინციპებს ზერეულად გაცნობი-

ლი აშუღური პოეზია ერთის მხრივ თუ გაბატონებული ლიტერატურული კატეგორიებით იზღუდებოდა (ამიკ-მაქუქი, ჟურნერეზობა, სატრფოს ირეალური, განზოგადებული რიტმი), მეორე მხრივ, თავის საფუძველთა-საფუძველს ფოლკლორულ სამყაროსა და მის ესთეტიკურ პრინციპებს არ ღლატობდა.

მხატვრული მეტყველებაც გაორგებული ჰქონდა — ერთის მხრივ კლასიკური მხატვრული ლიტერატურის მეტყველებითი ლექსიკონი, მეორე მხრივ — ზემოწიგვერები-სათვის ნიშნული სადა და ემოციური სახეები.

ლექსთწყობის ფორმები კლასიკური პოეზიიდან ნასესხები, ხშირად დარღვეული ჰქონდა.

აშუღის სამოქმედო ასპარეზი იყო სოფლის დღესასწაულები, ყავახანები, ქალაქის მოედნები, ბაზრები. მე-18 საუკუნიდან აშუღური ხელოვნება ქალაქებიდან დაუნდობლად იდევნება უფრო მაღალი, უფრო დახვეწილი საზანდრის ხელოვნებით.

ასეთია აშუღი და აშუღური ხელოვნება, მისი კულტურულ-ესთეტიკური ბაზისი მოკლე, ზოგადად, ინფორმაციულია.

საიათნოვასთან დაკავშირებით არ შეიძლება ასეთი კითხვა არ წამოიქრას — იგი, როგორც ხელოვანი, იდენტური არ ჩანს ტიპური აშუღის კოლორიტიხა. მაშ რატომ მიაჩნათ ასეთად?

საქმეს ის არის, რომ აშუღური ხელოვნების უმთავრესი კომპონენტი — ლიტერატურული მასალა საიათნოვასი ზედმიწევნით ზუსტად ასახავს აშუღური პოეზიის როგორც თემატიკურ, ისე იდეურსა თუ მხატვრულ-ესთეტიკურ ფაქტურას. ეს პირობა განსაკუთრებით თვალშისაცემია მისი შემოქმედების აზერბაიჯანულ ნაწილში.

საიათნოვა, როგორც ჩვენამდე მოღწეული ცნობების, ისე პოეტური შემოქმედების მიხედვით ორთოდოქსული აშუღი იყო. მე მუსიკათმცოდნე არა ვარ, მაგრამ არალოგიკური არ იქნება თუ ვიტყვი, რომ აშუღური პოეზიის მუსიკალური ფიზიონომია ისევე იქნება განსხვავებული ძველი თბილისის მუსიკალური ფიზიონომიისაგან, როგორც აშუღური ხელოვნების ლიტერატურული მასალა ძველი თბილისის ლიტერატურული მასალისაგან. მართებული იქნებოდა ასეთივე ინფორმაცია ნარმომდგინა ძველი თბილისის ლიტერატურის შესახებ, მისი რაობისა და თავისებურებათა შესახებ, მაგრამ ეს ძალიან შორს ნაგვიყვანს და დავკმაყოფილდები რამდენიმე ურთიერთგანმასხვავებელი ნიმუხის ფიქსირებით, რომელიც საშუალებას მოგცემს დაეინახოთ არსებითი სხვაობა აშუღურსა და ძველი თბილისის მხატვრულ სიტყვას შორის (ამ პრობლემის უფრო ვრცელად გაცნობის მსურველ მკითხველს მიუვითოებდი ჩემს წიგნს — „ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1967 წელი).



1. აშუღური პოეზიისათვის უპირველესია სატრფილო, „ამიკური“ თემა. ძველი თბილისის პოეზიისათვის – რიგითია;

2. აშუღური პოეზია უმნიშვნელოდ ამყდავენებს პედონისტურ სულისკვეთებას, ძველი თბილისის პოეზიისათვის იგი ლიტმოტივია;

3. აშუღური პოეზიისათვის სოციალური საკითხები დაკავშირებულია ნუთისოფლის გაუტანლობის პრობლემასთან. სოციალური თემა ძველი თბილისის ლიტერატურისათვის უმთავრესია;

4. აშუღური პოეზიაში ე.წ. ჯომარდობის (ჩვენთვის ყარაჩოხლური) თემატიკა ძალიან უმნიშვნელოა, ძველი თბილისის პოეზიისათვის – კულტია;

5. აშუღური პოეზია ურბანისტული ლიტერატურული მოვლენა არ არის. ძველი თბილისის მხატვრული სიტყვა მოქალაქეთა სულისკვეთების დიქსიონარია და თავისუფლად ეტყევა ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული ე.წ. „შესამე სახის ლიტერატურის“ შებლონში, რომელსაც კლასიკური და ზეპირსიტყვიერი მხატვრული სიტყვისგან განსხვავებით „ქალაქურ ლიტერატურასაც“ უწოდებენ.

აშუღური და ქალაქური ლიტერატურის განსხვავებული ნიშანთვისებების გათვალისწინებით ძნელი არ არის შემჩნევა იმისა, რომ საიათონვა ძველი თბილისური სიმღერის სიტატი არ ყოფილა, იმ სიმღერისა, რომელიც თურმე „ქართული, აზერბაიჯანული, სპარსული და სომხური თავისებურებების სინთეზს წარმოადგენს“.

ასეთი მიდგომა პრობლემისადმი ზემოქმედებს ჩვენი კულტურის ღირსებასა და პრესტიჟზე, როგორც იტყვიან ხოლმე, მრუდე ხარკემ წარმოგვისაბაჟს მას. ფაქტობრივად ამ ნინადადებამი (არა მარტო აქ) აშუღური და ძველი თბილისის ხელოვნება აღურულია, აშუღური ხელოვნება გამოცხადებულია ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილად, ხელოვნება, რომელიც თავისი გენეტიკით, რელიგიური ნიშნით სულაც არ არის გამოშხატველი ჩვენი უროვნული ცნობიერებისა, ისტორიულად განვლილი გზისა, თვითმყოფადობის და მკვიდრებისთვის მცდელობისა. რაც მთავარია, არც არასოდეს არ ყოფილა რეალურად, მხოლოდ ჩვენ ჩვენივე გულბრყვილობით მივიჩნიეთ ასეთად. იქნებ არც კი იყოს საჭირო იმის შესტენება, რომ მაგანნი და მაგანნი რა გამიზნულად და ჯიუტად ცდილობენ ქართულ ენასა და მხატვრულ სიტყვაზე, მუსიკასა და ქორეოგრაფიაზე საკუთარი კულტურის კვალი ამოკითხონ... გუმინდელი მოსული ტომინიკას გვადება, შენგან ნასესხებს თავისად მიიჩნევს და მსესხებლად შენ გაცხადებს, შენგან ნამუნებს თავის ამუნებულად ქადაგებს, შენგან შეთხზულს თავისად ახადებს... არა მგონია ამ საკითხების და კონკრეტება იყოს საჭირო.

რაც შეეხება საიათონვას; აშუღური მუსიკას არავითარი ორგანული კონტრასტის ქართულ მუსიკალურ კულტურის სიტყვა როგორც აშუღურ ლიტერატურას ქართულ მხატვრულ სიტყვასთან? წარმოუდგენელია აშუღური მუსიკის წარმომადგენელი საიათონოვა, როგორ უნდა იყოს ქართული მუსიკალური კულტურის წარმომადგენელი? ამ კითხვაზე პასუხი იქნებ ქართულმა მუსიკათმცოდნეობამ გასცეს.



სათარაც აშუღ-მომღერლად და ძველი თბილისის სიმღერის ოსტატად არის მოჩნეული. სათარას ხელი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათიდან. სათარა სამხრეთ აზერბაიჯანშია დაბადებული. როგორც მომღერლად ახალგაზრდობაშივე გაუთქვამს სახელი. ერთ ხანს სპარსეთის შაჰის კარზე მიუწვევიათ. ნამყოფია ნახიჭევანში (აქაც უნახავს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს), უცხოურია თბილისშიც. ცნობილია, რომ აქ მას რამდენიმე კონცერტში მოუღია მონაწილეობა, მათ შორის ოპერის თეატრში გამართულ კონცერტშიც.

სათარა იყო არა აშუღ-მომღერალი, არამედ აღმოსავლური პროფესიულ-კლასიკური მუსიკის წარმომადგენელი, იმ სფეროსი, რომელიც თავისი ფორმითაც, არსითაც, ესთეტიკური კულტურითაც და ფუნქციითაც ფუნდამენტურად განსხვავებულია აშუღური ხელოვნებისგან.

მოიყვან ამ განსხვავების რამდენიმე ნიშანთვისებას:

1. ასეთ მომღერალ-შემსრულებელს ეწოდებოდა არა აშუღი, არამედ ხანანდე (სპარსული სიტყვაა, „მომღერალს“ ნიშნავს);
2. ხანანდე აშუღებით ერთპიროვნული შემოქმედ-შემსრულებელი არ ყოფილა. იგი მონაწილეობდა ჯგუფთან, ანსამბლიან ერთად. ეს ანსამბლი ჩვეულებრივ შედგებოდა სამი ნევრისგან – ხანანდე, დაირასა და ქამანაზე დამკრელები;
3. რეპერტუარი სრულიად განსხვავებულია. მათი ლიტერატურული მასალა კლასიკური პოეტების – საადი შირაზელის, ომარ ხაიამის, ჰაფეზის, ფუზულის, ეაგაფისა და სხვათა ლექსებია;
4. ასეთი ანსამბლი შედგენილია მაღალპროფესიული მუსიკოსებისაგან, ასრულებენ კლასიკური მუსიკალური ხელოვნების, ე.წ. მულაჰის ნიმუშებს და მყარებულს ნიშნდა ესთეტიკურ ფუნქციასა და ფორმებზე;
5. ანსამბლის მოქმედების სფერო და მსმენელი დიდად განსხვავდება აშუღის მოქმედების სფეროსა და მსმენელისაგან. ანსამბლი ემსახურება ელიტარულ წრეებს და ძირითადად მათ საცხოვრებელ ბინებში გამოადის. ეს საზოგადოება მუსიკოსისგან მოითხოვს არა

მარტო მაღალესთეტიკურ მუსიკალურ ფერ-  
წერას, არამედ დიდ ყურადღებას აქცევს მით  
გარეგნობასაც. ანსამბლის წევრებს უნდა  
ეცვათ ის და ისეთი, რომელიც მიღებულია მა-  
ღალი საზოგადოებისათვის;

ბ. აღნიშნული ანსამბლის, ანუ საზანდარ-  
თა ჯგუფის ხელოვნება არა საზოგადოებრი-  
ობის ადრეული პერიოდისათვის დამახასია-  
თებელი სინკრეტული ხელოვნებაა, არამედ  
ადრეინციპირებული, ესთეტიკურ-მუსიკა-  
ლურ ფენომენად ჩამოყალიბებული აღმოსავ-  
ლური მუსიკალური ხელოვნება.

სხვათა შორის, ხანანდეს ხელოვნების შე-  
სახებ მართალია მოკლედ, მაგრამ საკმაოდ  
სწორად და მკაფიოდ ჩამოყალიბდა თავისი მო-  
სახრება მუსიკათმცოდნე არჩილ მშველიძემ  
[„სახატოთა ხელოვნება“, 1977, № 7], მაგრამ იგი,  
როგორც იტყვიან ხოლმე, დარჩა ხმად მაღლა-  
დებლისად უდაბნოსა შინა.

სათარა, ზემოაღნიშნული მუსიკალური  
კულტურის წარმომადგენელი ვერ იქნებოდა  
და არც ყოფილა აშულ-მომღერალი და ძველი  
თბილისური სიმღერის ოსტატი. ძირითადად  
სიმღერას სპარსულ ენაზე ასრულებდა,  
უფრო ნაკლებად აზერბაიჯანულზე. ძველი  
თბილისის მუსიკალურსა და საზანდართა ხე-  
ლოვნებას შორისაც შეუძლებელია იგივეობის  
ნიშნის დასმა.

აშულურ ხელოვნებას არაფერი საერთო  
არ აქვს ქართულ ხელოვნებასთან, თუ არ ჩავ-  
თვლით იმ ფაქტს, რომ მრავალეროვან თბი-  
ლისში არაქართველი აშულუბი იყვნენ. მაგრამ  
სათარა აშული არ ყოფილა.

მულამათურ სტრუქტურასა და მის ესთე-  
ტიკურ პრინციპებთან ძველი თბილისის სიმ-  
ღერა-მუსიკას არავითარი საერთო არ ჰქონ-  
და, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მრავა-  
ლეროვან თბილისში საზანდრებიც მოღვაწე-  
ობდნენ. მაგრამ სათარა არც ძველი თბილი-  
სური სიმღერის შემსრულებელი ყოფილა.

სათარას მუსიკალური ენა სპარსულ-  
აზერბაიჯანული იყო.

სათარას სახიმღერო ენა სპარსულ-აზერ-  
ბაიჯანული იყო.

მამ, რა ნიშნით, რა დამსახურებისთვის  
მოხება სათარა ქართული მუსიკის ისტორი-  
აში?

პასუხი ქართულმა მუსიკათმცოდნეობამ  
უნდა გასცეს!

● მაჩაბელას შესახებ საინტერესო ცნობა  
დაგიტოვა თეიმურაზ ბატონიშვილმა, ცნობა,  
რომელიც დაკავშირებულია მაჩაბელას მონა-  
წილეობაზე 1795 წლის კრწანისის ბრძოლაში:  
„კვალად მცხოვრებთანავე ტფილისისათა  
გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარ-  
ჯუენი, რომელთაცა აღიჩინეს წინამძღვრად  
თვისად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსა სა-  
ზანდრად უწმობენ). ესე იყო წარჩინებულთა

მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა მუ-  
სიკი და კომედიანტი... ესეჲსნივე მწველ-  
ბითა და სარწმუნოებითჲცა მარჯუენდნენ  
მელსა სახელს დაბედნენ მაჩაბლად. ესე მოუ-  
ღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მი-  
მართ და ეყრა ხელთა მისთა ბარბოთი, ე.ი. და-  
ირა და უკრედა მას ზედა მადიანსა... შეწირ-  
ნეს მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვის-  
სა (ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და  
დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 112).

გვაქვს სხვა ცნობაც, გრ. ბატონიშვილის  
„ანთოლოგიაში“ დაცული ლექსი მაჩაბელასი,  
რომელიც მას შეუთხზავს „ოდეს დიმიტრი  
მდივანმა ნაიყვანა თავის ქორწინობა საზან-  
დრათა“ [საქართველოს ხელნაწერთა ინსტი-  
ტუტის ფონდი H 2 130, გვ. 14] მოგვყავს ამ ლექ-  
სის ნაწყვეტი:

**ჩვენ დიმიტრის ვეახელით მთაშია,  
პირობა შეეკრით ხელოუბანშია,  
ლონ აღარ შეგერა თუცა ჯანშია,  
ჩვენ გვეგონა მივალთ ცოტა ზანშია,  
ვეთრულით მუხების ზვიანშია.  
ჩვენ დიმიტრის ვეახელით მთაშია,  
პირობა შეეკრით ხელოუბანშია.  
... მიველით, დაგვიდგა ავი სარები,  
შემა არ გვეწოდა, დავეუთო ღარები,  
მე მაჩუქეს მათ ჯანდაგი ზარები,  
გმა მიჩვენეს, წადი, აა, კარები,  
მთ შევეფიცე, მე არ გავალ კარშია,  
ჩვენ დიმიტრის ვეახელით მთაშია. და ა.შ.**

მამასადამე, გვაქვს ორი ცნობა, ერთი მა-  
ჩაბელას წარმოგვიდგენს თავადადებულ,  
ერისა და მამულისთვის შეწირულ პატრიო-  
ტად, რომელიც მტერს ებრძვის მუსიკით (და-  
ირაზე უკრავს სამხიარულო პანგს და ამხნე-  
ვებს ლაშქარს) და მეორე – სახუმარო ლექ-  
სი, საიდანაც შეიძლება შეფასდეს მისი ლი-  
ტერატურული შეხედულებანიც, მიმართუ-  
ლებაც. ამ ლექსის მიხედვით შეუძლებელია  
გააამულო მაჩაბელა. ლექსი, გარდა ვერსიფი-  
ციაციული სტრუქტურისა, არაფრით არ ესა-  
დაგება აღმოსავლურ პოეზიას. ლექსიკა,  
მხატვრული სახეები, მდინარეება სტრიქო-  
ნისა, სასაუბრო ფოლკლორული ფორმები,  
ემფატიკური – ან გამოყენება იმაზე უფრო  
მიგვიანიშნებს, რომ „უფეროსი მსახიობთა და  
ცნობილი სამეფოსა სახლსა შინა“ ეროვნული  
კულტურის მუშაკად ვიგულისხმობთ, ვიდრე  
ძველი თბილისის სიმღერის ოსტატად და  
აშულად. შეუძლებელია ფორმულად აქციო ის  
მოვლენა, რომ საქართველოს ისტორიის გარ-  
კვეულსა და შიშიმე პერიოდში აღმოსავლური  
კულტურა თავის კვალს ტოვებდა, ფორმუ-  
ლად აქციო და შემდეგ ყოველი კონკრეტუ-  
ლი მოვლენა ამ ფორმულით ამოხსნა. მაჩა-  
ბელას შესახებ არავითარი ცნობა არ არსე-  
ბობს, რომ იგი აღმოსავლურ-ლიტერატურუ-



ლი თუ მუსიკალური კულტურის მუშაკი ყოფილიყო, ხოლო ნოდება „სახანდარი“ უთუოდ მუსიკალური ინსტრუმენტის სახის დამკერვებს არ ნიშნავდა, ქართულ ენაში ეს სიტყვა მუსიკოსის ზოგად ტერმინადაც იხმარებოდა (იხ. თეიმურაზ ბატონიშვილის ნიგნთხაცავის კატალოგი, თბ., 1948, გვ. IV, ს. იორდანიშვილის გამოცემა).

● მანშიაშვილი. იგულისხმება იარაღი მანშიაშვილი, უკანასკნელი ქართველი შეფეების კარის მგოსანი, მომღერალი და თარზე დამკერვლი. ახლდა ქართულ სამეფო საგვარეულოს გადასახლებაში, პეტრბურგში ცხოვრობდა ფარნაოზ ბატონიშვილთან. გრ. ორბელიანის ლექსი „იარაღის“ მიძღვნილია ამ პირისადმი. აღნიშნული ლექსის მიხედვით იარაღი მანშიაშვილი ყოფილა უდადესი პატრიოტი, თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი და ის ფაქტი, რომ კარის პროფესიული მგოსანი იყო, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი აშული, თურქულენოვანი ხალხების მოქმელ-მუსიკოსი ან ძველი თბილისის სიმღერის ოსტატი. არავითარი საბუთი, არავითარი დოკუმენტი ამ აზრის დასადასტურებელი არ არსებობს.

● საგინაშვილი. ბრმა გელია საგინაშვილის შესახებ გვაქვს ცნობა, რომ მან მეჯლისში ერეკლე II-ს კარზე ექსპრომტად წარმოსთქვა: ან კარგი დარბაზელი, მაჩაბელ ნინეყაროელი... [საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A 1164, გვ. IV].

სხვა რამ ხელმეხახები მისი ლიტერატურული და მუსიკალური შემოქმედების შესახებ არ გვაგანინია. რატომ აღმოჩნდა საკმარისი ეს ცნობა იმისთვის, რომ გელია საგინაშვილისთვის აშულისა და ძველი თბილისის სიმღერის ოსტატის ნოდება მიენიჭებინათ, გაუგებარია.

● მაში-მელქოზე შემოძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ მისი ლექსების იდეური თუ მხატვრული მანერა ძველი თბილისის ლიტერატურას უფრო ესადაგება, თუმცა ზოგი რამ მასში აშულურიც შეიმჩნევა.

● კულტურათა ურთიერთზე გრძელად შეგავლენა თავისთავად დადებითი მოვლენაა. უკნისოდ არც ერთი ერის სულიერი მოძრაობა არ იქნებოდა. ჩვენს ურბაც უსარგებელი ამ კეთილისმოყვებელი ფენომენით. ეს ხომ ცოცხალი, შეუქცევადი და დაუსრულებელი პროცესია! აღმოსავლური სამყარო თავისი უძველესი და უმშვენიერესი კულტურით კეთილ ზეგავლენას ახდენდა მსოფლიო, მათ შორის ქართულ ინტელექტუალურ-სულიერ ცხოვრებაზე. ამის დამადასტურებელია ჩვენი ხანგრძლივი ისტორია. მაგრამ ერი ლებულობს და ამკვიდრებს მხოლოდ უმაღლესსა და იმ სააკოზობრივ ღირებულებებს, რომელიც მის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ეროვნულ ცნობიერებას შეესატყვისება, ხოლო მიუღებებს მთელი სიმძაფრით ებრძვის: ამ უკანასკნელის დამადასტურებელია ჩვენივე ხანგრძლივი ისტორია არის. სწორედ ამ ისტორიული მყარი ლოგიკის გაუთვალისწინებლობა იმის მიზეზი, რომ ჩვენს სამეცნიერო თუ უბელიცისტურ ლიტერატურაში ასეთ ანომალიებს ვხვდებით. აშულური ხელოვნება და კიდევ ბევრი სხვა რამ სწორედ ის მოვლენაა, რომელიც არ შეესატყვისება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ცნობიერებას. საერთოდ კი ორი მოვლენის გარეგნული მსგავსება მხოლოდ ურთიერთზეგავლენის ნაყოფად არ ჩაითვლება. მაშინ, როგორც ადვილვით მე-19 საუკუნის ერთ-ერთი მონაპოვარი, — თეორია კულტურათა ტიპოლოგიის შესახებ? როგორ მოვექცეთ იმ პრობლემას, როცა მეცნიერების ერთადერთი და უმაღლესი დანიშნულება და მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ქეშმარიტების დაუღალავი ძიება და დადგენაა?

● ყოველივე ზემოთქმულით მხოლოდ ერთი რამ მინდა აღვნიშნო — ჩვენი წარსული მუსიკალური კულტურა არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი, ჩვენ არ გვყავს მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონის მუსიკის მცოდნე პროფესიონალი და რამდენადაც ვიცო (აჯობებუბა თუ შეცდებოდი) ჩვენი მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერა — სახელმწიფო კონსერვატორია ასეთი პროფესიონალის მომზადებას არც აპირებს. არა და, ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების შესახებ არსებულ უამრავ არასწორ შეხედულებას ვინ შეასწორებს?.

## მიხაკო ნერეთის „საქართველოს უფლებები“

პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საქმიანობა მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა. თურქები შეპყრობილი იყვნენ „დიდი თურქესტანის“ შექმნის იდეით, რომელშიც შუა აზიის თურქმანული ტომები და ჩრდილო და ამიერკავკასიის მუსლიმანი ხალხებიც უნდა ჩართულიყვნენ. დიდი თურანის (G. Jäschke. Der Turanismus der Jungtürken. "Die Welt des Islams" Bd. 23. 1941., S. S. 1-53; М.Э. Расул-Заде. О Пантуранизме в связи с кавказской проблемой (с предисловием Н. Жордания). Париж., 1930.) საზღვრებში საქართველოცა და სომხეთიც ექვემდებნებოდა. ცხადია, ქართველ მოღვაწეებს ამგვარი პერსპექტივა მაინც და მაინც არ ეპიტყვებოდათ. ამიტომ ძირითადი აქცენტი თურქეთის მოკავშირეზე, ქრისტიანულ გერმანიაზე გააკეთეს. გერმანელებიცა და თურქებიც მეთოდად ამიერკავკასიის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების პოლიტიკას იყენებდნენ, თუმცა მიზნები სხვადასხვა ჰქონდათ. კავკასიის არაპირდაპირი, ირიბი აჯანყებისათვის გერმანელებმა კარგად ორგანიზებული პროპაგანდა მიიწიეს. ამ პროპაგანდის მთავარი ინსტრუმენტი გახლდათ „საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის“ ანდა „აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“ („Die Nachrichtenstelle für den Orient“).

„აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“ ყოფილი საიმპერატორო მინისტრ-რეზიდენტის, ბოლო შემდგომში კი გერმანიის ვლჩის კონსტანტინოპოლში — ბარონ მაქს ფონ ოპენჰაიმის ინიციატივით შეიქმნა, 1914 წლის 2 აგვისტოს, როგორც ანგლისური ცრუპროპაგანდის „საპირისპირო სამსახური“ (Wolfdieter Bihl. Die Kaukasospolitik der Mittelmächte, Teil I, Wien-Köln-Graz, 1975, S. 102) აღნიშნული სამსახურის 1915 წ. მაპრილის დებულების მიხედვით, [Politisches Archiv des Auswärtigen Amtes, Akten., შემდგომში A.A. Deutschland Nr. 126 Bd. 26.] იგი არც ოფიციალური უნებება და არც კერძო სტრუქტურა, არამედ საიდუმლო ურთიერთობებს ამყარებს სხვადასხვა უნებებთან (საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ შტაბთან).

ოპენჰაიმის ჩანაფიქრით, „აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“-ს ინფორმაციები უნდა გაცერცვლებინა აღმოსავლეთის თითქმის ყველა ენაზე, რაშიც უნდა ჩართულიყვნენ გერმანული სავაჭრო სახლები, ბანკები, მეცნიერები, — ყველა, ვისაც კი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა აღმოსავლეთთან. სათარჯიმნო და საინფორმაციო სამსახურისათვის ოპენჰაიმმა მოითხოვა 5000-6000 მარკა თვიუ-

რად. (1916-1917 წ. წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ფონდებიდან „ბიურო“ დაფინანსდა 600 000 მარკით. იხ. Wolfdieter Bihl. დასახ. ნაშრომი, გვ. 103) მას შემდეგ, რაც ოპენჰაიმმა 1915 წ. გაზაფხულზე ელჩად დაინიშნა კონსტანტინოპოლში, „აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“-ს ხელმძღვანელობა მის ყოფილ მოადგილეს დრაგოშინ (დრაგოშინი — ოფიციალური თარჯიმანი აღმოსავლეთში აკრედიტებულ დიპლომატიურ ნარმობადგენელობებსა და საკონსულოებში.) კარლ ემილ შაბინგერს, ბარონ ფონ შოეინგერს დაეკისრა. 1916 წ. 25 თებერვლიდან „ბიუროს“ ხელმძღვანელად ორიენტალისტს პროფ. ევგენი მიტეოხს ვებდავთ.

„აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“-ს ამოცანები ფართო გახლდათ:

1. თავად პროპაგანდა აღმოსავლეთში, ნეიტრალურ უცხოეთსა და გერმანიის იმპერიაში;

2. პირადი ურთიერთობების დამყარება გერმანიასა და ნეიტრალურ უცხოეთში მყოფ აღმოსავლელ პირებთან, მათი პოლიტიკური საქმიანობის კონტროლირება და ხელმძღვანელობა გერმანიის ინტერესების შესაბამისად, აღმოსავლელი სტუმრების მიღება გერმანიის იმპერიაში;

3. საგაზეთო და პირადი არქივის შექმნა და მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდება, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის აღმოსავლეთთან დაკავშირებული აქტების მომზადება;

4. აღმოსავლურ, ევროპულსა და ამერიკულ პრესაში აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გაშუქებისათვის თვალის დევნება, დამუშავება და განსაკუთრებით საინტერესო ადგილებზე მოხსენებითი პატაკების შექმნა;

5. რუსული (კავკასიურის ჩათვლით), თურქული, სპარსული, ინდური და აღმოსავლეთ აზიური პრესის პერიოდული მიმოხილვების გამოცემა სამსახურებრივი სარგებლობისათვის;

6. მნიშვნელოვანი დოკუმენტების თარგმნა აღმოსავლური და რუსული ენებიდან პოლიტიკური და სამხედრო სამსახურებისათვის;

7. ცენზურასთან თანამშრომლობა აღმოსავლეთთან დაკავშირებული მიმოწერისა და ფორმების კონტროლისას;

8. აღმოსავლურ ენებზე დანერგილი ნერილების გადაცემა გენერალური შტაბის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო ცენზურისათვის;

9. მუსლიმანი, ქართველი და ინდოელი ტყვეების კორესპონდენციის კონტროლი;



10. სულიერ საზრდოზე ზრუნვა სამხედრო ტყვეებისათვის (საკითხავი მასალა, მოხსენებები).

11. მუსლიმანი, ქართველი და ინდოელი ტყვეებისათვის გაზუთების გამოცემა. (A.A. Deutschland Nr. 126 Bd. 26.)

გერმანიის იმპერია ცდილობდა უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანის ამოქმედებით აღმოსავლელი ხალხები ოთხთა კავშირის საპარტებლოდ განეწყო. ინდოეთი, გვიპტე და სპარსეთი უნდა აჯანყებულიყვნენ ინგლისის წინააღმდეგ; აზერბაიჯანელები და ქართველები – რუსების წინააღმდეგ; მუსლიმანური ჩრდილოეთ აფრიკა – საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგ. ომის მსვლელობის ქრონიკები იბეჭდებოდა ყველა აღმოსავლურ ენაზე, მათ შორის ქართულზეც. (Wolfdieter Bihl. დასახ. ნაშრომი. გვ. 104)

გერმანული პროპაგანდა ასევე ხელს უწყობდა ნიგნების გამოცემას ევროპულ ენებზე, რომელნიც, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში მცხოვრები აღმოსავლელებისათვის და მათი სამშობლოსთვისაც იყო ვაკუუმი.

ბერლინი 1915 წ. გამოცემა ჰასან თაქივადას სპარსეთი და ევროპული ომი“. 1917 წ. ამსტერდამში გამოვიდა მისი ინგლისური თარგმანი „Persia and the European War“, ლოზანაში ფრანგული ვარიანტი. (Ulrich Gehrke. Persien in der deutschen Orientpolitik während des Ersten Weltkrieges. „Darstellungen zu der auswärtigen Politik. Bd. 1. Stuttgart 1960, S. 349) 1917 წ. შვეიცარიაში გამოვიდა პაფი აბდალაჰის წერილები „Les Soldats Musulmans au Service de la France“ და „L'islam dans l'Armee Française“. (A.A. Deutschland Nr. 126 Bd. 21) შვეიცარიაშივე გამოვიდა სალიჰის „La verite au sujet de la Guerre sainte“. საინფორმაციო ბიუროსათვის წერდნენ თურქეთის ყოფილი გენერალური კონსული ბომბეიში პალიდ პალიდ ბეი და ცნობილი მოღვაწე სადადი ბეი. (Wolfdieter Bihl. დასახ. ნაშრ. გვ. 105) 1916 წ. ბიუროს ხელშეწყობით დამასკოში დაარსდა არაბული გაზეთი „ელ შერქ“-ი, ხოლო ბლდადში კი „სადა ულ ისლამი“. ბერლინი 1916 წლადვე გამოდიოდა სპარსული გაზეთი „ქავაპ“-ი.

1915 წ. მარტიდან სამხედრო ტყვეებისათვის გერმანიაში იბეჭდებოდა გაზეთები პინდის, ურდუს, არაბულს, თურქულს, რუსულსა და ქართულ ენებზე. (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 Bd. 2.) „ინდოსტანი, ინდოელი სამხედრო ტყვეების გაზეთი“ (პინდისა და ურდუზე) „ელ ჯიჰადი მუსულმანი სამხედრო ტყვეებისათვის“ რუსულ, აზერბაიჯანულ და არაბულ ენებზე, „კავკასია, გაზეთი ქართველი ტყვეებისათვის.“) 1915 წ. ოქტომბრისათვის ეს გაზეთი გამოვიდა 1300 ეგზემპლარად. (A.A. Deutschland Nr. 126 Bd. 3; Bd. 11; Bd. 13.) 1916 წ. მარტიდან ქართველი სამხედრო ტყვეებისათვის განკუთვნილ გაზეთს „ქართული გაზეთი“ დაურქვა და ტირაჟი 1000 ცალით განისაზღვრა.

საინფორმაციო ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აღმოსავლელ საზოგადოებას უნებებთან პირადი კონტაქტის საშუალებას უწყობდა. თუკი გერმანიაში ამ საქმეს ლიად, ოფიციალური უწყებანი კურიერებდნენ, ნეიტრალურ საზღვარგარეთში ანუ შვეიცარიაში „ბიურო“ ნახევრად ლეგალურ პოზიციაში იმყოფებოდა.

1916 წ. აპრილში აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“-ს მუდმივ წარმომადგენლად შვეიცარიაში დაინიშნა მაქს რუდოლფ ქაუფმანი. შვეიცარიაში ტრადიციულად იყრიდნენ თავს აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ემიგრანტები. ამიტომ, ეს ნოყიერი ნადაგი იყო საჯამოში საქმიანობისათვის. შვეიცარიაში მცხოვრებ აღმოსავლეთელებზე თვალყურის დევნება 1915 წ. აგვისტოდან ბერლინის „სპარსული ნოხების საზოგადოების“ დირექტორს, ჰაინრიხ იაკობს დაეკლა, რომელსაც ამ საქმისთვის 10000 მარკ გადაეცა. (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 (geheim) f.Bd. 1) განსაკუთრებით აქტიური ჯამუშები იყვნენ ანტონ ვაჰან ბეი ქოჩოიანი (იგივე ექოჩოლუ) (სომხები), (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 (geheim) Bd. 3; Bd. 5; Deutschland Nr. 126 (geheim) Bd. 19) და ზია ბეი კუბანინი (აზერბაიჯანელი). (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 (geheim) Bd. 5; Deutschland Nr. 126 (geheim) Bd. 19) გერმანული მისიისათვის უშუალოდნენ ირლანდიელი ტურნალისტი, გერალდ კიფორტი (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 (geheim) f. Bd. 1) და ცნობილი მწერალი სომერსეტ მოემი. (A.A. Der Weltkrieg Nr. 11 (geheim) Bd) პირადი კონტაქტების მოწესრიგების მიზნით გერმანიის მთავრობა ხელს უწყობდა აღმოსავლელ მოღვაწეთა პოლიტიკური საქმიანობას. ასე შეიქმნა „ინდოეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ბერლინიში, „ინდოელი ნაციონალისტების ევროპის ცენტრალური კომიტეტი“ – სტოკჰოლმიში. სპარსული კომიტეტი“- ტუნისის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, „სპარსი მოსწავლეების გერმანიაში აღზრდის სამეთვალყურეო საბჭო“, რუსეთის მუსლიმანი სტუდენტების მხარდაჭერი საზოგადოება“, „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“ – ბერლინიში ისევე, როგორც ბერლინის გერმანულ-ქართული საზოგადოების ქართველ სტუდენტთა სტამბედების ფონდი.

1917 წ. აპრილში გამოვიდა ეურნალი „ახალი აღმოსავლელი, სრულიად აღმოსავლეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ორკვირული“. იგი ისტამბუბოდა გამოცემლობა „ახალ აღმოსავლეთში“, რომლის მფლობელები იყვნენ ზემოთ ხსენებული პროფესორი ევგენი მიტევიხი და პერბერტ მიულერი. (Wolfdieter Bihl. დასახ. ნაშრ. გვ. 107-108)

ქართველი მოღვაწეების მიერ შექმნილი „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა და როგორც ენაზეთ, გერმანი-

ის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში კარგად ვხვდებით ქართველი მოღვაწეების მიზანი იყო გერმანულენოვანი უსაფაროს პოლიტიკურ ნრევები შექმნათ საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმის არსებობის სამართლებრივი საფუძვლები და მისი ნეიტრალიტეტის საჭიროების შესახებ. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი პოლიტიკოსების გიორგი მაჩაბლის, მიხეილ ნერეთლის, პეტრე სურგულაძის, ლეო კერესელიძის და სხვათა საქმიანობა.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიზანს ნერეთლის პოლიტიკურ პუბლიცისტიკას გვინდა დაუთმოთ. 1915 წ. ციურინში ანონიმურად გამოიცა მისი ნერილი „La George et la Guerre actuelle“ რომელიც მომდევნო 1916 წ. გერმანულად გამოვიდა ვაიმარში გუსტავ კიპენაუერის გამოცემლობაში. 1916 წ. ბერლინში გერმანულ-ქართული საზოგადოების ხარჯზე გამოიცა მისი ნაშრომი „კავკასიის რასობრივი და კულტურული პრობლემები“. 1916 წ. ლოზანაში გამართული ერთა კავშირის III კონგრესს მიხაკო ნერეთელმა წარუდგინა მოხსენებითი ბარათი „ქართველი ხალხის უფლებები“, (La driots du peuple georgian. Rapport Presente au Ille Congres de l'Union des Nationalites tenu a Lausanne 1916). (A.A. Rußland Nr. 97a Bd. 24-f. 24a) ეს ნაშრომი 1917 წ. გამოიცა ბერლინში გამომცემლობა „ახალ აღმოსავლეთში“ სათაურით — „საქართველოს უფლებები“. 1917 წ. ბერლინში გამოიცა მისი უაღრესად საინტერესო ნაშრომი „პოლონიის განთავისუფლება და ეროვნებათა პრინციპები ცენტრალურ კავშირსა და ანტანტასთან“. (M. von Tseretheli. Die Befreiung Polens und das Nationalitätenprinzip bei den Zentralmächten und bei der Entente. Bern., 1917.)

1915-1916 წლებში ევროპაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნინანს საეხებით ცალსახა ამოცანა იდგა. მსოფლიოს პოლიტიკურ ნრევებში მომზადებინათ საზოგადოებრივი აზრი, რომ საქართველოს ეკუთვნის სახელმწიფოებრიობა, რომ ეს ისტორიული და სამართლებრივი ფაქტია. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მიხაკო ნერეთლის მოხსენებითი ბარათი ლოზანის კონგრესისადმი და მისი ნაშრომი — „საქართველოს უფლებები“. (Michael von Tseretheli. Die Rechte Georgiens. Berlin., 1917.) ამ ნაშრომში მიხაკო ნერეთელი XIX ს. ქართული ეროვნული მოძრაობისათვის ტრადიციულ პოზიციასზე დგას ანუ მასზე, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დადასტურებასა საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. და რომ სწორედ მისი პირობების გაუქმება საქართველოს ანექსიას მოახსენებდა. მაგრამ მოკლესმისით თვით ავტორს, შესავალშივე (რომელსაც ჩვენვე ვთარგმნეთ) იგი წერს:

„ნინანსდებარე მოსახრებაში უკვე დასრულებულნი და ჩამოყალიბებულნი იყვნენ, როდესაც რუსეთში მომხდარი გადატრიალების

შესახებ შევტყვევით. მას შემდეგ რუსეთში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდეს ქვეყნულად და ელემ და ყალიბდებოდა ქრულად რუსეთის ყველა მოქალაქისათვის გამოცხადდა თავისუფლების პრინციპები და დროებითი მთავრობის აქამდელი მანიფესტებით გაუქმდა ყოველგვარი შეზღუდვა იმპერიის სხვადასხვა რელიგიური თუ ეროვნული ჯგუფის მიმართ.

ყველაფრის მიუხედავად, საქორად არ მიგვაშინია, შეეცვალოთ ჩვენი ნაშრომის მიზანსი. მთავრობის ახალი ფორმა, რომელიც რუსეთში ყალიბდება, არანაირად არ შეეხება ისტორიულ ფაქტებს, რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების დარღვევასა თუ სხვა ქვემოთ აღწერილ მოვლენებს.

მიუხედავად ჩვენი ღრმა რწმენისა, რომ იმ რეჟიმსაგან, რომელმაც საქართველო მოატყუა და პოლიტიკურად მიწასთან გაასწორა, არაფერია მოსალოდნელი. ამ ნერილში მაინც კიდევ ერთხელ მოვიხიზვეთ რუსეთის მთავრობისაგან ჩვენი უფლებების აღდგენა. ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ იმედი გვქონოდა, რომ როგორც რუსეთის მოკავშირე ხალხები, ისევე სხვა მეომარი თუ ნეიტრალური ქვეყნები ჩვენს მოთხოვნებს გაითვალისწინებდნენ. ძველი რეჟიმის დაცემის შემდეგ კი ჩვენ, მიერველ რიგში, მიგმართავთ რუსეთის ახალ მთავრობას, და მის მოვალეობად მივიჩნევთ, დაგმოს ძველი მთავრობის უკანონო ქმედებანი და საქართველოს ის ლეგიტიმური უფლებები დაუბრუნოს, რომლებიც უსინდისოდ გაითვალა ძველმა რეჟიმმა.

როგორც ამ ნაშრომიდან გამოჩნდება, საქართველოს განსაკუთრებული უფლებები გააშინა. სახელმწიფო-სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი **DE JURE** რუსული პროტექტორატის ქვეშ მდგომ ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენს და საქართველოს **DE JURE** ავტოკეფალიით სარგებლობს. აქედან გამომდინარე, ეროვნული შეზღუდვის გაუქმება საქართველოსათვის სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა მისი უფლებების აღდგენა, ისევე, როგორც ფინეთისათვის, რომელმაც ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიბრუნა ყველა მისი უფლება, ყოველ შემთხვევაში ქალაქზე მაინც.

ქმშიარტია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783, 1804 და ა.შ. ნ. დადებული ხელშეკრულებების შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობანი შეიცვალა და ჩვენ ვეღარ მოვიხიზვეთ საქართველოს ავტონომიის აღდგენას იმ ძველ საზღვრებში, რომლებშიც არაქართული ტერიტორიებიც შედიოდა, როგორც მაგალითად განვიხილოთ და ერეკნის სახანოები, საბაგიერად, რა თქმა უნდა, შემოვიფარებებით ქართული ქვეყნების ავტონომიით ეთნოგრაფიულ-ისტორიული ცნება „საქართველოს საზღვრებში“. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში სრულიად შეიცვალა საქართველოს



სოციალური სტრუქტურაც, ამიტომაც ახალი ავტონომიური საქართველოს კონსტიტუციასაც იმისგან განსხვავებული სახე უნდა ჰქონდეს, ვიდრე ეს ძველ ხელშეკრულებებშია გათვალისწინებული. ჩვენ მხოლოდ ავტონომიის უფლების აღიარებას მოვითხოვთ, რომელიც საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულებების ძალით ეკუთვნის, ხოლო ამ ავტონომიის პოლიტიკური ფორმა კი საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ თავად უნდა იქნეს დადგენილი.

საქართველოს, ისევე როგორც ფინეთს, უფლება აქვს, საკუთარი საკონსტიტუციო კრების მონუვეისა, რათა საკუთარი, ახალი პირობების შესაბამისი კონსტიტუცია და მმართველობის ფორმა შექმნას.

საქართველოს არასოდეს უღალატა რუსეთისათვის. იგი უბრალოდ ყოველთვის თავის კანონიერ უფლებებს ითხოვდა. ჩვენ დღესაც მზადა ვართ, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ დაქარჩეთ, ოღონდ რუსეთსა და ავტონომიურ საქართველოს შორის ურთიერთობები ძველი ხელშეკრულებების შესაბამისად უნდა მოხსროდეს. თუ განახლებული რუსეთი ისურვებს, რომ ჩვენ კვლავაც მისი პროტექტორატის ქვეშ დავარჩეთ, და აღიარებს ჩვენს ავტონომიის უფლებას, მაშინ საქართველოსა და რუსეთის საკონსტიტუციო კრებები ურთოდ გადაამონუმენტენ ხელშეკრულებებს და ამის საფუძველზე ახალ საჯალდებულო შეთანხმებას დადებენ. ნინაალმდე შემთხვევაში კი, ჩვენ 1783 და 1804 წლების ნინანდელი მდგომარეობის აღდგენას მოვითხოვთ (შესაბამისად აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოსათვის) და ჩვენს მომავალ ბედზე თავად ეოსკრებთ პასუხისმგებლობას, რადგან მერე აღარაფერი დაგვაკავშირებს რუსეთთან.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას, იგი უკვე დროებითი მთავრობის მანიფესტში არაპირდაპირად არის ნაცნობი. საქართველოს ეკლესიის უფლებები აქამდე რუსეთის მთავრობასა და წმინდა სინოდის მიერ იზღუდებოდა. დღეს აღარც რუსეთის ძველი მთავრობა და აღარც წმინდა სინოდის ბატონობა არსებობს. ასე რომ, ქართველი ხალხიცა და ქართული სამღვდელეობაც ამოცანის ნინამე აღმოჩნდნენ, თავად აირჩიონ ქართული ეკლესიის კათალიკოსი და ეკლესიის მართვა-გამგებლობა თავად აიღონ ხელში. ამ ეკლესიის ავტოკეფალია XI საუკუნეში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა კრებების მიერ კანონიკურად იქნა აღიარებული, და სწორედ კანონიკური სამართლის მიხედვით არც რუსეთის მთავრობასა და არც რუსულ სინოდს ხელუწიფებთ იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის არც გაუქმება და არც აღდგენა.

ეს არის ჩვენი მოთხოვნები და თუ რუსეთის ახალი რეჟიმის წევრებს სამართლიანობის გრძნობა გააჩნიათ, იმედს გამოვთქვამთ, ისინი 100 წელზე მეტ ხანს ნანამებ ქვეყანას თავი-

სუფლებასა და უფლებებს უფლებამოდ დაუბრუნებენ ისევე, როგორც ესმის ჩვენთვის. მასარგებლოდ გადაწყვიტეს. წმინდა სინოდის მხრივაც, თხვევაში, ანუ მაშინ, თუ ჩვენ მოვიჩნვეთ, რომ ახალი მთავრობა ჩვენს მიმართ ისევ ძველი სისტემით მოქმედებს, არ მოვიშლით ბრძოლას ჩვენი უფლებების აღდგენისათვის და ჩვენს მოთხოვნებს მთელი ცივილიზებული სამყაროს წინაშე საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის ძალით წამოვაყენებთ. მაშინ იმის დაჯერების უფლებაც გვექნება, რომ რუსეთში მთავრობის მხოლოდ გარეგანი ფორმა შეიცვალა, რომ ამით არავითარ შემთხვევაში არ აღდგა ერების უფლებელყოფილი უფლებები და რომ აღბათ ამ ერთა კიდევ ერთი რევოლუცია იქნება საქირო, რათა მათაც დამიკვიდრონ საკუთარი უფლებები.

ამ ნაშრომში ჩვენ რუსეთის მისამართით მხარე სიტყვებს ვამბობთ. ეს გასაგებობია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს კალამს სწორედ ის ტანჯვა ამოძრავებდა, რომელიც ნილად გვხვდა ერთი საუკუნის განმავლობაში. ნეტაც მოგვიხსნის ახალი რეჟიმი ამ ტანჯვას? ჩვენ ამის იმედს ვაქვამს. რუსულ დუმიში მხედობი ჩვენი დემუტატების - წივიძისა და ჩვენს ეკლესიის ვალია, დიციან ჩვენი უფლებები, და ამ უფლებათა დაცვა არ შეიძლება ვინმე სხვა ინდივიდთა ან ეროვნებათა ინტერესების უკან იდგეს.

ამას გარდა, რუსეთის ახალი მთავრობის მიმართ კიდევ ერთი მოთხოვნა გვაქვს, ან ზავი გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, ან ქართველთა გათავისუფლება ამ ომში მონაწილეობისაგან. ჩვენ პატარა ერი ვართ, ამ ომში უმისეზოდ ჩავგიერთივს იმ მტრის ნინაალმდეც, რომელიც საქართველოსათვის მტერი არაა. ძველი ხელშეკრულებების მიხედვით, ქართველები ვალდებული არ არიან, რუსეთის ჯარში იმსახურონ. უნდა შექმნილიყო მხოლოდ ქართული ეროვნული მილიცია, რომლის დანიშნულებაც საკუთარი საზღვრების დაცვა იქნებოდა. ძველმა რეჟიმმა ეს უფლებაც ფხუვემ გათვალა. ქართველები რუსულ ჯარში შეიფანეს და იძულებული იყვნენ, რუსეთის ეველა ომში ეოშობნ. ეხლანდელ ომში 300 000-ზე მეტი ქართველი ჩაითრიეს, უმრავლესობა დაცვა - ეს პატარა ერისათვის შეუძლებელი დანაკლისი და დიდი უბედურებაა! ჩვენ ახლა ჩვენს კანონიერ უფლებებს მოვითხოვთ, რომელთა ძალითაც ქართულ ჯარს ქართული მინის დატოვება არ სჭირდება. გარდა ამისა, ჩვენ არ გვსურს ბრძოლა გერმანიასა და ავსტროუნგრეთის ნინაალმდეც, რომლებიც ჩვენი მტრები არ არიან და მათი ინტერესები ჩვენს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. საქართველოს თუ ავტონომიის უფლება გააჩნია, მაშინ მას ძველი ხელშეკრულებების შესაბამისად იმის უფლებაც აქვს, საკუთარი ეროვნული და მხოლოდ თავდაცვისათვის განკუთვნილი მილიცია შეაფუძვლოს.



ყველა ეს მოთხოვნა ჩვენი ეროვნული კომისიის ევროპის განყოფილებამ 1917 წლის 25 მარტს თავისუფალი ქვეყნების – რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ბატონ პრემიერ-მინისტრებს წარუდგინა. ახლა ჩვენ მოველით მათ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, დაუბრუნდება თუ არა ჩვენს ქვეყანას მისი უფლებები 115-წლიანი უკანონო ბატონობის შემდეგ. ბერლინი, 1917 წლის 5 აპრილი”

აღნიშნული ნაშრომის პათოსი და შემართება ამ შესავლიდან საკმაოდ კარგად ჩანს. დაუშვამტებით მხოლოდ, რომ მიხაკო წერეთელმა უდიდესი შრომა გასწია და გერმანულად თარგმნა გეორგიევსკის ტრაქტატი. ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც გიორგი XII მოამზადა და განაერცო მისმა მეგობარმა დედითმა. ელაზნაურში დადებული ხელშეკრულება იმერეთის მეფე სოლომონ II და აღუქსანდრე I შორის. მიხაკო წერეთელი დანერვილებით იხილავს რუსეთის მიერ საქართველოს თანამიმდევრული დაპყრობის პოლიტიკას, მის დამოკიდებულებას იმერეთის ვასალებთან, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ისტორიასა და რუსეთის ასიმილაციურ პო-

ლიტიკას საქართველოში. ყოველივე ეს კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა და დამტკიცებინა საქართველოს უფლებების აღდგენისათვის.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ნაშრომმა თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ როდესაც 1918 წ. გერმანიის მთავრობის წინაშე დაისვა საკითხი საქართველოს დეიურე ცნობისა და მან სამართლებრივი დასაცვანა სთხოვა იმ დროისათვის ერთ-ერთ ნამუყვან სამართალმცოდნეს, ფრანც ლისცტს, ამ უკანასკნელმა საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მიიჩნია. იგი ასე ამთავრებს თავის თხზულებას. მეცნიერი მიხაკო წერეთლის ნაშრომებით ხელმძღვანელობდა „ქეშ თბრობაში ვეურდნობი ანონიმურ წერილს „საქართველო და მსოფლიო ომი“ (როგორც ვთქვით, მ. წერეთლის ეს ნაშრომი პირველად ანონიმურად გამოიცა შვეიცარიაში.) და მოგვიანებით გამოქვეყნებულ მ. წერეთლის დანერვილებით ნაშრომს „საქართველოს უფლებები“ 1917 (გამომცემლობა „ახალი აღმოსავლეთი“). (Franz Liszt, Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien., (Ein Gutachten). Wien., 1918.)

# ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში

გამოკვლევა ეტება მთარგმნელ ვასილ ქილაძეს, რომელიც არის შემოქმედი რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონებისა. ლექსიკონები, რომლებიც შექმნილია რუსეთის აკადემიის ლექსიკონის პირველი რედაქციის (1789-1794 წწ.) თარგმნის შედეგად, 190 წლის განმავლობაში მიენერებოდა იოანე ბატონიშვილს (ბატრატიონს). ეს ტრადიცია იმდენად ძლიერია, რომ დღესაც, როდესაც მიკვლეული და გამოქვეყნებულია პირველხარის მნიშვნელობის მქონე მასალები მათი ნამდვილი ავტორის შესახებ, ზოგერთი მკვლევარი ამ ლექსიკონებს ისევ იოანე ბატონიშვილის სახელით მოიხსენიებს.

ამ გარემოების ხელი შეუწყო საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონის გამოცემაშიც 1988 წელს, რომელსაც ტრადიციულად ავტორად კვლავ იოანე ბატრატიონი ანერია, თუმცა უკვე გამოქვეყნებული იყო ახალი მასალები ვასილ ქილაძის ავტორობის შესახებ, რომლებიც ახალ ეტაპს ქმნიან ზემოთ დასახელებული ლექსიკონების კვლევის საქმეში. მნიშვნელოვანი საბაზო მასალების იგნორირების ეს სამსუბარო შემთხვევა შეუძნეველი არ დარჩენილა სამეცნიერო წრეებში: მას გამოუმართეს და მკაცრად გააკრიტიკეს გამოცემის მიუხედავად ამისა, ვასილ ქილაძის სახელი ისევ ჩრდილობა და, როგორც ჩანს, მეტი აქტიუობაა საქარო მის დასამკვიდრებლად ქართული ლექსიკოგრაფიის სფეროში.

ახლა კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო მასალების შესახებ:

სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მნიშვნელოვანი მასალა (ოფიციალური წერილები, მისართევები, დაფიქრებები), რომელიც შექს პედენს რუსეთის აკადემიის ექსტრამული ლექსიკონის — ამ უნიკალური და უცხოელების განმსევიფრებული (კარამზინი) ნამუშობის ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიას და ცხადად წარმოგვიდგენს მის მთარგმნელს — რუსულ-ქართული ლექსიკონის ნამდვილ შემოქმედს, ვასილ ქილაძეს. ვასილ ქილაძის ავტორობის სრული ქემშარტების გარანტიას იძლევა ის ფაქტი, რომ რამდენიმე წერილი კუთვნიის თავად იოანე ბატონიშვილს ანუ პიროვნებას, რომელსაც ზღწნაწერების ანდერძების მიხედვით მიწერება რუსული ლექსიკონის თარგმნა. იოანეს წერილების ადრესატები არიან რუსეთის იმპერიის მაღალი რანგის ჩინოსნები (ა. რაზუმიუს კი, კ. კოზრადელევი და სხვ.) და იდენტური მინაარსისაა — ვველგან ვ. ქილაძის დიდ ღვაწლზე და ამის გამო მისი დაჯილდოების აუცილებლობაზეც მსჯელობა. მოუტანთ 1844 წ. მარტით დათარიღებული წერილის ქართულ თარგმანს, რომლის ადრესატაა რუსეთის სახალხო განათლების მაშინდელი მინისტრი ა. რაზუმიუს კი:

როგორც ყოველთვის სახალხო კეთილდღეობის საფუძველია განათლება და გონების განვითარება, რომლებიც ხალხს კეთილდღეობას ანიჭებენ და აპყაით ბედნიერების მწვერვალზე, ამიტომ მამულისადმი სიყვარულისა და ქართულ ენაზე კლა-

სიკური (სამეცნიერო) ნიგნების სიმკირის გამო, რადგან ძველდროში ამ მხარეს მტერი ხშირად აიხრებდა, განეიზრახე რუსულიდან ქართულ დიალექტზე მთარგმნა ექსის ტომის შემცველი ლექსიკონი, როგორც სიტყვიერების უპირველესი საფუძველი და უსაქორეზი მასალა და მისი შესრულება დაეაუღე ნადეორნი სოვეტნიქ ქილაძეს, კავკასიის გუბერნიის ქ. მოზდოკის მცხოვრებს, ადამიანს, რომელიც არსად არ მუშაობდა და პირადად იცი, რომ მალაინ საფუძველიანი მკოდნეაროგორც პირველი, ისე პირე დიალექტისა.

ბატონი ქილაძევი აქაურდედა ქალაქში ჩამოსვლისთანავე, ეი. გასული 1812 წლიდან ჩემი დაეკვლით ენეოდა ვველსათვის სასარგებლო საქმიანობას დღითა და ღამით ჩემ თვალნინ, [ლექსიკონი] გაანყო ახალი უკეთესი სისტემის მიხედვით — ანბანურ როგ ზე და მთლიანად და მთაერებული დღეს მე წარმომიდგინა.

მხოლდ ისღა დამრწენია, განკარგულება გავცემ ამ თარგმანის დასაბედად რუსეთის და ქარციანი ვალიდების სასარგებლოდ და ეი მიდოვნებ ეს განზრახვა მოკლე დროში განვახორციელო. მაგრამ ვიდრე ამას დაეინყებდე, უპირველეს და ქემშარიტ მოვაღეოობად მიიბაჩნია, უბრწყინვალესო გრაფო, ქემშარიტი პატავი მოვაგო, ნადეორნი სოვეტნიქ ქილაძის როგორც ხანგრძლივ, ისე ესოდენ სასარგებლო გარჯას, რომელიც გამოიხატება აკადემიის ლექსიკონის ექვსი ტომის თარგმნით. ეს საყოფელთაოდ სასარგებლო საგანია საქართველოში აზნაურთათვის, უმონყალესის ნებით გახსნილ კეთილმობილთა სასწავლელის ახალგაზრდობისათვის, რომელსაც არ აქვს მისთვის ესოდენ საქარო ლექსიკონი რუსული თარგმანით. ამიტომ უმორნილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეება, უშუამდგომლოთ ქილაძეს ზელმწიფე იმპერატორის ნინამე მისი შრომის შესაფერისი დაჯილდოების შესახებ, რაც ანაზღაურება იქნება მისი ნახსენები შრომისა და აგრეთვე ნახალისებაც მომავალი ასეთი საქმეების კეთებისა. მით უმეტეს, რომ ცოტაა საიამელო ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ოსტატურად თარგმნონ კლასიკური ნიგნები ამ ენებზე.

ქილაძევი ახლანდელ ჩინში იმყოფება 1808 წლის დასაწყისიდან, წარჩინების არავითარი ნიშანი არ აქვს და აქაურდედა ქალაქში საქართველოდან ჩამოსვლის დღიდან, სადაც იყო სასამართლოსა და განწინებისა პალატაში პირველად, იგი უკვე აღარ მსახურობს. მისი ქვედა პირდაპირ მმართველობა მის ნოდებასთან, ამიტომ ვიშეორებ ჩემს თხოვნას და უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეება, პატავი მცეთი იმპერატორთან შედგომლობით მისთვის უკეთნლის მიგებისათვის, რასაც ზავთელი თქვენი ბრწყინვალეების ჩემდმი სამსახურად.

თქვენი მონყალეების იმედით ბატონ ქილაძეზე ჩემი სამართლიანი წარდგინების გამო მაქვს პატავი სრული პატავის ცემითა და ერთგულებით იყო, ბრწყინვალე გრაფო, ჩემოზელმწიფე, თქვე-

ნი ბრწყინვალეების უმორჩილესი მონა, საქართველოს ბატონიშვილი იოანე.<sup>79</sup>

ნერალის მიღებისთანავე ა. რა ზუმოსეს მიუმაართავს მინისტრთა კაბინეტისთვის ვ. ჭილაძის დაჯილდოების შესახებ, მაგრამ მის მცდელობას უშედეგო არ მოჰყოლია.<sup>80</sup>

იოანე ბატონიშვილი ვასილ ჭილაძის დაჯილდოებას სიხოვს შინაგან საქმეთა მინისტრ ო. კოზოდავიძესაც. მოუყვანს ციტატას ამ ნერილიდან: „უბედავ გთხოვთ... რომ არ დაიშვას ასეთი ხანგრძლივი და საყოველთაოდ სასარგებლო შრომა „ნადეორნი სოვეტნიკ“ ჭილაძისა ყოველად უმარყავლესი ყურადღების გარეშე.“<sup>81</sup>

ერთი თვის შემდეგ (ივლისში) იოანე ბატონიშვილი იმეორებს თავის თხოვნას და უმატებს: „არ მჭირნდა საბაბი ეს ძალზე სასარგებლო ჩინოვნიკი და მკვირთა სხვა საინტერესო დავალებებით აღნიშნული საქები ლეანლისთვის დაიღვინს მიუღებლობის გამო, ამიტომ უბედავ, უმორჩილესად გაემიჯნოს ჩუმი ადრინდელი თხოვნა, რომ არ დაეკარგო დრო და ეს ჩინოვნიკი დავასაქმოს მამულის საკეთილდღელო სხვა სასარგებლო საქმეებით.“<sup>82</sup>

იმავე წლის დეკემბრის ნერალში იოანე ბატონიშვილი ვასილ ჭილაძეს უცვლელად თბილისის კანტორის პროკურორად მოხსენიებს და ისევე მის დაჯილდოებას თხოულობს, მაგრამ თხოვნა ამჯერადვე არ შესრულდა.

როგორც უბედავთ, იოანე ბატონიშვილი პირდაპირ, ცხადად და მრავალჯერ აცხადებს რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელის სახელს და ენერგულად მოქმედებს მისი შესაფეროსად დაჯილდოებისათვის. იოანეს კარგად ესმის ვასილ ჭილაძის მიერ განუღი შრომის სიმძიმე და მისი დიდი მნიშვნელობა და გულწრფელად მონდომებული ჩანს ეს თავგანზირული შრომა მთავრობის ჯილდოთი ნაწილობრივ მაინც ანაზღაურდეს. ვასილ ჭილაძის „საქები ლეანლი“ კი, მართლაც, შთამბეჭქადავია: კაცვირუებას იწვევს, როგორ მოხერხება 2 წლის განმავლობაში ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება: „აღედ და ღამ მუშაობდით“, იოანე ბატონიშვილის ეს სიტყვები სრული სიმართლე უნდა იყოს.

ამასვე გვიდასტურებს ვასილ ჭილაძის, უცვლელად სინდისის თბილისის პროკურორის მიერ განათლებისა და სასულიერო საქმეთა მინისტრ გოლიცინთან გაკაზავნილი ნერილი. მასში დანერვლითაა აღწერილი რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნის ისტორია და მთარგმნელის უშიშესი შრომა თარგმნის პროცესში: „ამ საერთო-სასარგებლო საქმიანობის დროს დღე-ღამეში აუდგომოდა ვეშუაობად მსაბათი-ნერსევი, რის გამოც არა მარტო ავადმყოფობები შეეყვარა, არამედ სანახევროდ დაებრძა დედ კიდევ.“<sup>83</sup> მისი სიტყვებით, რუსულ-ქართული ლექსიკონი შექმნილია აოღლითა და უშრომ შრომით.<sup>84</sup>

მოვიტანთ სხვა დამატებით არგუმენტებსაც ვასილ ჭილაძის სასარგებლოდ: ეს პირველ რიგში ლექსიკონების ხელნაწერებია და მეორე რიგში – იოანე ბატონიშვილისა და ვასილ ჭილაძის თანამედროვეების ცნობები რუსული ლექსიკონის მთარგმნელის შესახებ.

რუსულ-ქართული ლექსიკონის თბილისური ნუსხისა და საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონის ხელნაწერების შესწავლამ ნათელყო,

რომ იოანე ბატონიშვილის არ შექმნილი XIX საუკუნის შიან წლებში საკმაოდ მცდელო დროეს თარგმნით ლექსიკონების შექმნის რუსეთის ენის სუსტი ცოდნის გამო. ამას ცხადყოფენ მისი კანონიშვილი ხელით ლექსიკონები ჩანერალი რუსული სიტყვები, რომლებიც საესვა მეცოდროები, აგრეთვე მცდარი და დამახინჯებული განმარტებები რუსულ-ქართული ლექსიკონისა, რომლებიც ვასილ ჭილაძის მიერ გადახაზულია და ახალი განმარტებებითაა შეცვლილი. „ორივე ლექსიკონში, რომლებიც უზარმაზარ მასალას შეიცავენ (რუსულ-ქართული 40.000-ზე მეტ სიტყვას, საბუნებისმეტყველო – 2500-მდე ტერმინს), არ არის არც ერთი ჭილაძის ეული განმარტება, რომელიც შესწორებული იყოს იოანე ბატონიშვილის მიერ. იოანე გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ სინონიმებს უძებნის ქართულ შესატყვისებს და ქართულ ბოლოგაურტერმინებს ცვლის, მისი აზრით, უფრო უსიტტერმინებით. ამ კარაა, რომ იგი დიდ ნდობას უცხადებს ვასილ ჭილაძეს და, პირდაპირ რომ ვთქვათ, არც ხელეწიფის თარგმანის შემოწმება რუსულის სუსტად ცოდნის გამო. სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს ვასილ ჭილაძის სიტყვები იოანეს შესახებ, რომელიც მან თავისი უწყების მინისტრის, გოლიცინს გაუმხილა და თან სიხოვა, საიდუმლოდ შეენახა, რადგან ბატონიშვილი მისი კეთილისმყოფელია: „არ არის ბუნებრივი, რომ მას შესძლებოდა წელი დახმარება ამ შრომაში, რადგან მან არა თურქული კითხვა და წერა არ იცის, არც ლაპარაკი შეუძლია რუსულად, ამიტომ რუსებს უოველთვის თარჯიმნის მეშეობით ელაპარაკება.“<sup>85</sup>

რაც შეეხება ვასილ ჭილაძის თანამედროვეებს, ერთმა ნაწილმა მიიჩნია (რომ) აღიარაფერი ეთქვათ პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრებს, კარგად იცოდა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელის სახელი. კერძოდ, გარის ეპისკოპოსი დონსთოიზი 1946. აგვისტოში ვასილ ჭილაძის დამსახურებათა შორის ასახელებს მის მიერ რუსული ლექსიკონის თარგმნის ფაქტსაც.<sup>86</sup> საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტი კი 18 წლის გოლიცინს მიმართავდა, რომ ყურადღება მოექციათ იმ უშიშესი შრომისათვის, რაც ჭილაძემ ჩაატარა რუსული ლექსიკონის თარგმნაში. ასეთ შრომას, როგორც თავს იფორ ბატონმა ჭილაძემ, აქ ევრაივის გაუმღებს, დაბეჯითებით უშტკიცებდა თეოფილაქტე გოლიცინს და სთხოვდა ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომის დაბეჭდვას სახელმწიფოს სახრებით.<sup>87</sup>

და მთავრ მომდევნო თაობებში სრულიად დაიკარგა ვასილ ჭილაძის სახელი და ანდერძების ნვალობით ლექსიკონები იოანე ბატონიშვილის სახელს ისე დაუკავშირდა, რომ დღესაც კი უჭირთ ტრადიციის დარღვევა და მათი ნაშეული შემოქმედის ავტორობის აღიარება.

როგორ მოხვედა იოანე ბატონიშვილის სახელი ანდერძებში?

რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის პეროდში ვასილ ჭილაძე არსად მახურობდა, თავისი ოჯახით ცხოვრობდა იოანე ბატონიშვილის სახლში პეტერბურგში და სარგებლობდა მისი მზრუნველობითა და ყურადღებით. იოანეს მატრიარქული და მორალური დახმარების მადლოერი, იგი იოანეს თვალნინ არაწველებრივი მონდომებითა და ერთგულებით ასრულებდა ბატონიშვილის დაჯილდებას, თარი-



განის გასრულების შემდეგ კოთხის უმბესესი შრომის ნაყოფი – რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო ლექსიკონები იოანეს თარგმნილად გამოაცხადა და ხელნაწერებშიც თავადვე ჩანს ანისი დამატურებული სიტყვები, რომლებიც სათაურს მოსდევს. ამდენად ხელნაწერები გახდა მყარი საფუძველი იოანეს ავტორობისა, განსაკუთრებით მომდევნო თაობებში. ამავე ანდერძებმა საშუალება მისცა იოანე ბატონიშვილსაც მოგვიანებით რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე რუსეთის მთავრობისადმი თხოვნაში იგი თავისი შექმნილად გამოცხადებინა.<sup>6</sup> ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ლექსიკონის დაბეჭდვა იმ დროს შეუძლებელი იყო და დიალექტურ ტერმინებსა და მუდღობის მქონე სიტყვებს, სწორედ ისეთს, იოანე ბატონიშვილი რომ მიყოფნობდა, უნდა არც სახელი გააჩნდა და არც სახსრები! როგორც რუსეთის მთავრობამ მამულის საყიდლად გამოიყიდა 100.000 მან. სწორედ ამ თანხის ნაწილითაა პირველი იოანე ლექსიკონის გამოცემა. იოანე ბატონიშვილის გადაწყვეტილება რომ თვითნებური არ იყო, გვიდასტურებს ვახილ ქილაძის სიტყვებიც: „მის ბრწყინვალეობას სურს... გამოსცეს ეს ლექსიკონი მხოლოდ თავისი სახელით, რასაც მე, ჩემი მხრივ, ვუთმობ მას, მხოლოდ ჩემი შრომა არ დარჩეს უფურცლად“.<sup>7</sup> ეს რასა კვირეცლია, გულისხმობდა ლექსიკონის ნინასიტყვაობაში ვახილ ქილაძის ღვაწლის აღნიშვნას. ეს აზრი რომ სიმართლეს შეეფერება, დავუდასტურებ მოკლეულმა ნინასიტყვაობამ, რომელიც იწინაბება სანკტ-პეტერბურგის უროზნულ ბიბლიოთეკაში, ნანურია ვახილ ქილაძის ხელით და იოანეს ავტორობას გულისხმობს. მოყვანილი ფრაგმენტს... ნინაგანიზისაზე ვგარდმოვლება რუსულადგან ქართულსა ენასა ზედა რუსულის ლექსიკონისა, რომელიცა შემდგარ არის ექუსთა ნანილიაგან და არს პირველი საფუძველი ყოველისა სიტყვიერებასა, თა-

ნამუქერთა უფლისა ნადვორისა...<sup>8</sup>  
 ლისა ქილაძისათა...<sup>9</sup>

როგორც ვხედავთ, ნინასიტყვაობაში ვახილ ქილაძის ნელი იოანეს „თანამშენევიტო“, ე.ი. დახმარებით გამოიხატება. ეს კი მას ერთ-ერთ მთარგმნელად წარმოვიგვიფიქროვოთ, მაშასადამე მისი შრომა არ რჩება უფურცლად, მიუხედავად იმისა, რომ იოანე ბატონიშვილის არაერთგზისი მოთხოვნა, მაგრამ ლექსიკონი არ დაიბეჭდა, მიუხედავად იოანე ბატონიშვილის არაერთგზისი ცდისა, უცნობი დარჩა მისი ნინასიტყვაობაც და აქედან გამომდინარე – ვახილ ქილაძის ღვაწლიც მის შექმნაში. ანდერძში კი მხოლოდ იოანე ბატონიშვილის სახელი ფიგურირდება, რაც ლექსიკონის ავტორს მომავალში სრულ და ვინაობას უჭადა. და ია, ბუნებრივია, ვახილ ქილაძეს თანდართან უფიქრდება სინანულის გრძობა, რომ ასე ეფიქრება, მართლაც და კალმის ერთი მოსმით – ანდერძის შემუშავებით – ავტორობა იოანე ბატონიშვილს დაუკარგა ამ კოფლით და უზომო შრომით შექმნილი ნაშრომისა და ცდილობს დაიბრუნოს ის, რაც დაკარგა. სწორედ ამ სურვილისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე იოანე ბატონიშვილის მცდელობის შედეგია ის ურცელი მასალა, რომელიც დაცულია საქართველოსა და რუსეთის არქივებში და რომელიც სრული სიცხადით წარმოაჩენს რუსეთის აკადემიის ლექსიკონის შემმართველ მთარგმნელის სახელს.

შეიძლება დავასკვნათ: იოანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო ლექსიკონების ნამდვილი შემოქმედია ვახილ მათეს ძე ქილაძე და დროა, ამ უსამართლოდ მივიწყებულ პიროვნებას კუთვნილი ადგილი დაეუბიედროთ ქართული ლექსიკონოგრაფიის ისტორიაში.

შენიშვნები

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, II 2328 და სანკტ-პეტერბურგის უროზნული ბიბლიოთეკის ხელნაწ. განვ. იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 272 ა, ბ, ნ, ე, ა. ე.
2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3986.
3. ლია კიკნაძე, ახალი მასალები იოანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ (მატენ, ენისა და ლიტ. სერია), 1984, № 4, გვ. 5-23, მისივე ვახილ მათეს ძე ქილაძე – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი, მრავალთა, XVII, 1992, გვ. 107-116.
4. გამოცემლები თინა ენუქიძე და ნინა კიკნაძე.
5. აღ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ. 1995, გვ. 365-372.
6. ИГНА ЧИ-6, ф. 1284, он. 4\*, 1811 г. кн. 32, л. 296.
7. იქვე, ф. 733, он. 118, 1814, л. 9085.
8. იქვე, л. 283.
9. იქვე.
10. ИГНА ЧИ-6, ф. 786, он. 96, 1815 г. л. 78.
11. II 2328, 3а-115r.
12. ИГНА ЧИ-6, ф. 797, он. 2, 1818 г. л. 9085.
13. იქვე, ф. 1284, он. 4\*, 1811 г. л. 32.
14. იქვე, ф. 797, он. 2, 1814 г. л. 5714.
15. ამის შესახებ ურელი დაა შეფიქრობა გამოცემლები: ლია კიკნაძე, ახალი მასალები იოანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, გ. მატენ (ენისა და ლიტ. სერია), 1984, № 4.
16. ИГНА ЧИ-6, ф. 797, он. 2, 1818 г. л. 9085.
17. სანკტ-პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწ. განვ. იოანე ბატონიშვილის კოლექცია, ფ. 941, აღ. 2, № 118.



## რუსთაველის თეატრის სალიბრატორო ნაწილი

თეატრის ყველა ხელმძღვანელის დროს სხვადასხვაგვარად იკითხება თეატრის სალიტერატურო ნაწილის მოვალეობანი. ხშირად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ასრულებენ ამ საქმეს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც, რუსთაველის სახელობის თეატრი. ამ თეატრის სალიტერატურო ნაწილს სხვადასხვა დროს განაგებდნენ: მსახიობი ია ქანთარია, მწერლები გერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, აკაკი ბაქრაძე, კობა იმედაშვილი, თეატრმცოდნეები ნათელა ურუშაძე და ვასილ კიკნაძე, ხოლო ბოლო მეთხუთმეულობაში კენეზუ მუტია თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე შესანიშნავი ლიტერატორი ლილი ფოფხაძეა.

პირველად რუსთაველის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგის სამსახური შეიქმნა დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ამბუტელის დროს, როდესაც თეატრს უკვე საკმაოდ მყარი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული (მარტო მოსკოვში მისი ტრაქოვფალური გასტროლებიც კმარა ამის დასტურად). თეატრის ხელმძღვანელმა სალიტერატურო ნაწილის გასაძღვლად თეატრშივე იპოვა პიროვნება, რომელიც კარგად იცნობდა თეატრის შიდა ცხოვრებას, იცნობდა როგორ იქმნება საექტაკლი, რა არის ამისთვის საჭირო და, იმავე დროს კალაში უჭირდა, კარგად იცნობდა საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ისტორიასაც და ლიტერატურასაც, ეს პიროვნება გახლდათ ია ქანთარია.

თეატრის მუზეუმში დაცული მასალები, თვით ამბუტელისა და ქანთარიას ჩანაწერები მოგვითხრობენ იმაზე, რომ ხელმძღვანელი ქანთარიასგან მოითხოვდა თეატრის მუშაობის შიდა პროცესების წარმართებაში ხელის შეწყობას და იმ ათასგვარი, თითქოსდა წერილობითი საქმის მიხედვას, თეატრის ყოველდღიურობა რომ წარმოშობდა-ხოლმე.

ეს, რაღა თქმა უნდა, ია ქანთარიას არ ათავისუფლებდა მთავარი მოვალეობისგან ანუ დრამატურგებთან და პრესასთან ურთიერთობისაგან. მას უნდა მიეღო ავტორისაგან პიესა, ნაეკთხა, მოეხსენებინა ამბუტელისათვის თავისი აზრი და გაეცა პასუხი ავტორისათვის — უფლებად დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხი.

პრესის წარმომადგენლებთან ია ქანთარიას ურთიერთობა უნდა დაემყარებინა არა მარტო მის, არამედ გასტროლების დროსაც. ცნობილია, რომ ამბუტელის დროს თეატრი მეტად მშფოთვარე ცხოვრებით ცხოვრობდა. ძალზე მწვავე, უფრო ხშირად — უმართებულო, ზოგჯერ კი მართებული, მაგრამ მეტისმეტად მწვა-

ვე გამოანთქვამის მოგერიება უხეშობა და ბატონია ქანთარიას.

არც თეატრის შიდა ცხოვრება იყო უმფოთველი (ესეც ხომ ჩვეულებრივი ამბავია).

ქანთარია იყო ამბუტელის მარჯვენა ხელი თეატრში მუზეუმის დაარსების საქმეში. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ სწორედ მან წამოჭრა თეატრში ასეთი დანაყოფის არსებობის აუცილებლობის საკითხი და თვითონვე ითავა ეს საკმარად რთული საქმე.

1934 წელს, როდესაც ამბუტელის ინიციატივით ფართოდ აღინიშნა „დურუჯის“ 10 წლისთავი და მას თეატრის იუბილეს სახე მიეცა, ი. ქანთარიას ზურგზე უამრავმა შავმა სამუშაომა გადაიარა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი: რადგან სალიტერატურო ნაწილის გამგეს უჭირდა კალაში, უხვად უქონდა მომადლებული იუმორის გრძობა, რადგან ჩინებულად იცნობდა თეატრის ცხოვრების ყველა წერილობით, სწორედ მას დაველა ამბუტელის მიერ გააზრებული საიუბილეო დღეების პროგრამისა და სცენარის შედგენა. ეს ჩანს მუზეუმში დაცული უამრავი დოკუმენტიდან.

როდესაც აღ. ამბუტელს სამკედრო-სახიციო ცხოვრება გამოუცხადა ბერიამ, ია ქანთარია რამდენიმე სხვა ერთგულ თანამშრომელთან ერთად მხარში ამოუდგა ხელმძღვანელს. და ამ ერთგულებისთვის იწვინა კიდევ რეჟისორის მთელი სისახტიკე — 1937 წლის 29 ივნისს დახვრიტეს.

მუდმივბეღია და მშვიდებით ნიკითხი თეატრთან ია ქანთარიას გამოთხოვების ბარათი, რომელსაც სათუთად ინახავს თეატრის მუზეუმი: „მ დეკემბერი, 1935 წელი. ჩავბარე მუზეუმში მშვიდობით მშობლიურ რუსთაველის თეატროს 14 წელიწადი შენი ერთგული ვიყავი. ია ქანთარია“ იუნებდა ქალაქის ნაცლებზე ნაცვბათევი ჩანაწერი.

აღ. ამბუტელისა და მისი „ფამისტური ჯგუფის“ თეატრიდან გაძევების შემდეგ, მის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა მსახიობი და რეჟისორი აკაკი ვასაძე. ბევრ რამეში განსხვავებული მიზნები დაუსახა აკ. ვასაძემ თეატრის სალიტერატურო ნაწილს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით მან ამ დაგილზე მიიწვია უკვე საკმარად სახელმძღვანელო ლიტერატორი ლევან ასათიანი. ეს უკანასკნელი თეატრის დიდი მოყვარული იყო, თეატრთან მუდამ ახლოს მდგომი, ჰყვოდა ბევრი მეგობარი თეატრის მოღვაწეთა შორის, მაგრამ თეატრის რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე შიდა ცხოვრებაში ღრმად არ იყო ჩახედული. ათამდე წელი გაატარა ლ. ასათიანმა რუსთაველის თეატრში. ნათელი გონე-



ბის, ღრმა ანალიტიკური უნარის მქონემ, ყველაფერი გააკეთა, რათა რაც შეიძლება მალე აეღო ალლო მისთვის მანამდე უცნობ საქმისათვის – თეატრში აღამებდა და ათენებდა, უყურადღებოდ არაფერს ტოვებდა. ბუნებით უღერესად კეთილგანწყობილმა და ტაქტიანმა თეატრში ბევრი მეგობარი შეიძინა, მრავალი საწოთრო სიტუაციიდან ღირსეულად გამოვიდა, მრავალჯერ გაიარა თეატრალური ურთიერთობების ბუნვის ხიდზე და როგორც თეატრის მოღვაწეთა უფროსი თაობა ხშირად იგონებდა – არასოდეს არაფერი შექმლია.

ლევან ასათიანის თეატრში მოღვაწეობის პერიოდში რეჟიტურაში არაერთი ქართველი მწერლის გვარი გამომავდა პირველად. მათ შორის სალიტერატურო ნაწილის გამგის ძველი მეგობრები იყვნენ, ახლად გაცნობილებიც. ამ უკანასკნელთ ბატონი ლევანი თუ არ დაუმეგობრდა, მათთან მრავალწლიანი კეთილ ურთიერთობა მაინც დაამყარა.

1936 წელს რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვში. ეს იყო თეატრის პირველი გასტროლები ახმეტელის ტრიუმფალური მოგზაურობის შემდეგ.

საგასტროლო რეპერტუარში იყო თეატრის ახალი წარმოდგენები „არსენა“ და „შემოდგომის აზნაურები“ და წინა გასტროლებზე დიდი წარმატებით შესრულებული „ანზორი“. მაგრამ, რადგან ამ დროისთვის ახმეტელის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული, საგასტროლო ავიშაზე მითითებული იყო, „ანზორი“ ა.კ. ვასაძის მიერ არის აღდგენილი.

საგასტროლო წარმოდგენებზე ლ. ასათიანმა, თეატრის ძველ თავჯანისმცემლებთან ერთად, მიიწვია ის სახელოვანი რუსი მწერლები, რომლებიც ადრე თეატრის მყურებელთა შორის არ ყოფილან. და არა მარტო მიიწვია – დაუმეგობრდა კიდევ თეატრს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ადრინდელი მეგობრებთან ზოგმა ახმეტელის ზევერი გაიზიარა, ზოგი კი გრძნობდა, ხედავდა თუ ხედავდა მისი იგივე დამართოდა და ამიტომ თეატრში სიარულის ხალისი აღარ ჰქონდა.

1938 წელს საგასტროლო რეცენზიების ავტორებს შორის თითქმის ველარ ვხვდებით 1900 და 1933 წლების რეცენზენტთა გეარებს. მიზეზი ამისა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ერთი კი უდავოა – მათი გაუჩინარება საკმაოდ ართულებდა იმ ადამიანის ამოცანას, ვისაც პრესასთან კონტაქტების მოგვარება ჰქონდა დაეალბული.

1939 წელს რუსთაველის თეატრის საგასტროლოდ იყო უკრაინაში. კვლავ ლ. ასათიანის უფრო დამსახურებდად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უკრაინელი საზოგადოება განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა სტუმრებს, რომ პრესამ არაერთი აღფრთოვანებული წერილი მოუძღვნა სპექტაკლებს, რომ გაიმართა რიგი საინტერესო შეხვედრებისა, სადაც მასპინძლები სტუმარ მსახიობებს სიკეთით, სიფაქიზით, მალაღი

სტუმართმომღვარეობით სიბლაღენს. იყო გულწრფელი აღტაცებაც და ქეშმეშქაშა ქართული

1941 წელს თბილისში ჩამოტყდნენ ქვეყნის დიდი ჯგუფი. რუსთაველის თეატრის მხრიდან მათი ძირითადი მასპინძლობა, თეატრის და საერთოდ ქართული კულტურის მათთვის გაცნობა, რამდენიმე სხვა პირთან ერთად და კისრებული ჰქონდა ლ. ასათიანს. მასვე დაევადა რუსთაველის თეატრის დასში დიდი ხანი ჩარიცხული დიდი ხელოვანის ელ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენის შეურევობა. ეს არ იყო ბატონი ლევანისათვის ძნელად შესასრულებელი საქმე, რადგან ის ყოველივე ქართულის – ყოფის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნე იყო, გადმოცემის წინებული უნარაც გააჩნდა, გონება მამაზელობითაც გამორჩეული ბრძანდებოდა. ეს იყო მხოლოდ სხვა საქმეებისათვის განკუთვნილი დროის დიდ ნაწილს არამყვდა მასპინძლის როლი.

ასე იყო თუ ისე, სახელოვანი ლიტერატორი თავს წინებულად ართმევდა მასზე და კისრებულ მოვალეობებს – ავტორებთანაც პოულობდა საერთო ენას, სადავალრიცხვან წერილებსაც უსათუოდ პასუხობდა, რეპეტაციებსაც ესწრებოდა, რომ მრუდი ქართული არაეის გაპაროდა სცენიდან, მრავალ სხვა საქმესაც ასრულებდა და ყოველთვის ხალისიანი, მოძლიერი აკეთებდა ყველაფერს.

მაგრამ როდესაც ბატონ ლევანს საწერ მაგიდაზე თავმოსაბმული ლიტერატურული საქმეების დიდი რაოდენობა დაუვროდა, როდესაც მიხვდა, რომ თეატრის საქმის პატიოსნად კეთება დიდ დროს ართმევს, ზურულად, დაუდევრად მუშაობა კი არ შეუძლია, გადაწყვიტა ასერიგად შეისისხლოცებულ თეატრს გამოთხოვებოდა და თავის ძირითად საქმიანობას – ლიტერატურათმცოდნეობას დაბრუნებოდა. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ საქმეს უპატრონოდ ვერ მიატოვებდა, უკან მოუხუდაეად ვერ ნაევიოდა. ამიტომ, თეატრის ხელმძღვანელთან ერთად, ბევრი ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ უყოყმანოდ შეეძლო ჩაებადებინა საქმე თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ მონეული გერონტი ქიქოძისთვის.

ბრწყინვალე ქართველმა მწერალმა გერონტი ქიქოძემ რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობაზე მხოლოდ ერთი – 1945-46 წლების სეზონი გაატარა. თეატრის მუზეუმში მისი საქმიანობის შესახებ მასალა თითქმის არ არის. არც რაიმე მნიშვნელოვანი მომხდარა იმ სეზონში თეატრის ცხოვრებაში, გარდა სპექტაკლისათვის ადიდი ხელმწიფე სტალინური პრემიის მინიჭებისა. პრომატგვადი და უმაღური სამუშაო იყო პრემიების კომიტეტის წარსადგენი მასალების შეგროვება და თარგმნა. უთუოდ ამიტომ დაეაღიეს ეს საქმე სათეატრო მუზეუმს (ასე ერქვა მაშინ საქართველოს თეატრის, მუსიკისა და ენის მუზეუმს), გამზადებული მასალა კი მოსკოვს ხე-

ლოუნების საქმეთა სამმართველომ გაგზავნა. არ შეაწუხეს ამისათვის ბატონი გვრონტი.

სეზონის მანძილზე თეატრმა ოთხი ახალი დადგმა უწევს. სოლოვიოვის „დიდ ბელშიფეს“ (თარგმნა ს. შანშიაშვილმა) პრისტლის პიესას ინსპექტორი მოვიდა“ – (თარგმნა ს. კლდიაშვილმა) არც ერთ ამ თარგმანს ჩასწორება-რედაქტირება, რაღა თქმა უნდა არ დასჭირვებია. რაც შეეხება კ. გოლდინის ორი ბატონის მსახურს – იგი გ. ფრონისპირელის მიერ კარგა ხნის წინ იყო თარგმნილი. ამ თარგმანს და ახალგაზრდა დრამატურგის გრ. ბურძენიშვილის „დასასრულის დასაწყისს“, კი უთუოდ მოხედებოდა. ე. ქიქოძის კალამი, მაგრამ დიდი ოსტატისთვის მთელი სეზონის მანძილზე მხოლოდ ეს საქმე ზომითი არაფერს ნიშნავდა.

გასტროლები, უცხო პრესასთან და უცხო მკურნებელთან შეხვედრა თეატრს ამ სეზონში არ ჰქონია. ქართული სათეატრო კრიტიკა კარგად იცნობდა რუსთაველის თეატრს და არც მათ მოსაზიდად იყო საჭირო ძალისხმევა.

აღბათ ამიტომ იყო, რომ სეზონის დამთავრებისთანავე ბატონმა გვრონტიმ თეატრს თავი დაანთა. თეატრის გარეთ საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე ელოდა.

შემდეგი სეზონისთვის თეატრმა სალიტერატურო ნაწილის გასაძლიერებლად ბატონი შილვა აფხაიძე მიიწვია. საფიქრალია, რომ ბატონი გვრონტის რეკომენდაციით. თეატრში შ. აფხაიძის მუშაობის 4 წლის მანძილზე 24 ახალი ნარმოდგენა დაიდგა. გამოჩნდა ბევრი ახალი ავტორი, რომლებიც მანამდე რუსთაველის თეატრის აფიშაზე არ ყოფილან. მათ შორის ქართული დრამატურგებიც იყვნენ, რომელთა პიესებსაც თეატრისათვის, უფრო ხშირად, ნარმატება მოჰქონდა, მთარგმნელებიც, რომელთა ნაღვანის მოხებებითაც სცენიდან დახვეწილი ქართული ჩვიანობდა.

შ. აფხაიძის დროს თეატრის რეპერტუარში გაჩნდა ი. მოსაშვილის, მიხ. მრეველიშვილის, ე. კარსანინის, ე. პატარაიას, თ. დონაშვილის სახელები. თეატრის მიერ დადგმული არაქართული პიესების ძველი მთარგმნელების გვერდით მარაყანის, ე. გაბესკორიას, ლ. ასათიანის, ე. ჭელიძის, ელ. დონაურის სახელებიც გამოჩნდა.

შ. აფხაიძის მოღვაწეობის ოთხი სეზონის მანძილზე თეატრი საგასტროლოდ იყო: მოსკოში (1947), სოხუმიში (1948), ბათუმში (1949), ქუთაისში, ფოთსა და ზუგდიდში (1950). ვვლას გასტროლს ჭირდებოდა ნინასნარი რეკლამა, მყარი კონტაქტების დამყარება პრესასთან, მკურნებელთან შეხვედრების, სპექტაკლების განხილვების მომზადება. შ. აფხაიძემ ჩინებულად გაართვია თავი ყოველივეს.

შ. აფხაიძე ედგა სათავეები თეატრის სალიტერატურო ნაწილს, როცა თავისი პირველი სპექტაკლები დადგეს დიდ სცენაზე მიზილ თუშანიშვილმა და აკაკი ფაღლიშვილმა. პირველმა შ. კარსანინის „მარად მწვანე ქედები“, მეორემ კი თ. დონაშვილის „გამარჯებულთა ლი-

მილი“. ორივე პიესას საკმაოდ სერიოზული ხარვეზები გააჩნდა და ახალბედმა რეჟისორმა შ. აფხაიძის დახმარების გარეშე მათი წარმატებით შეხერხება უთუოდ გაუჭირდებოდა. ლიტერატურისა და თეატრის საქმეში კარგად ჩახედული კრიტიკოსის თანადგომა ახალგაზრდა რეჟისორ შოთა მესხსაც უუქველად დასჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, საქმე ბატონ შილვა აფხაიძესაც თავზე საფრული ჰქონდა თეატრში და თუ ამ პერიოდის მის შემოქმედებას გადავხედავთ, დაინახავთ, რომ ნმნიდა ლიტერატურული საქმიანობისათვის დრო ნაკლებად რჩებოდა. ალბათ ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ 1949-1950 წლების სეზონის დასასრულს მან ადგილი თეატრში ახალგაზრდა თეატრისმცოდნეს ვასილ კიკნაძეს დაუთმო.

უმთავრესი, რაც რუსთაველის თეატრში ეკიკნაძის სახელთან არის დაკავშირებული – არის პროფესიონალი თეატრისმცოდნის მოხელა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის ძალზე რთულსა და პასუხსაკვეთ თანამდებობაზე. თუმცა, ერთიც უნდა ითქვას: ზოგიერთ სამტატო განრიგში თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე იწოდება რეჟისორის თანამშენებელ სალიტერატურო დარგში და თუ ეს ასეა, იქნებ უფრო უპრიანიც იყოს, რომ ამ საქმეს სწორედ ლიტერატორი აკეთებდეს და არა თეატრისმცოდნე, ისევე, როგორც ეს იყო ბატონ ვასილმდე და როგორც არის დღეს. ასეა თუ ისე, თეატრში მოვიდა თეატრისმცოდნე.

იმ დროს, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ბატონი ვასო ჩაუდგა სათავეში ამ ძველ საქმეს, რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას სარეჟისორო კოლეგია ედგა სათავეში, თეატრის დირექტორი კი ვახლდათ იმ დროისათვის ნაკადი ხელმძღვანელი პაველ კანდელაკი. ე. კიკნაძის წინამორბედი იმ. ასათიანი, ე. ქიქოძე და შ. აფხაიძე სახელოვანი და გამოცდილი ლიტერატორები იყვნენ. მათ ჩინებულად შეეძლოთ დასადგმელად მიღებულ ახალ პიესებზე თუ თარგმანებზე ავტორებით მუშაობა, პიესასთან ურთიერთობის დამყარება, საქმიანი მიმოხერხის ნარმოვბაც, სხვა საქმეების გაძლიერება... სულ სხვა იყო ვასილ კიკნაძის მდგომარეობა. ინსტიტუტში მიღებულმა განათლებამ მხოლოდ თეორიულად მოამზადა. მის ინტერესები თეატრში მოხელის პერიოდისათვის ძირითადად გახლდათ სპექტაკლის შექმნის პროცესში უშუალოდ მონაწილეობა, რეჟისორისა და მსახიობის, რეჟისორისა და სპექტაკლის შემქმნელი სხვა ხელოვანების ურთიერთობაში გარკვევა და ამ რთულ პროცესში თავისი ადგილის პოვნა.

ვასილ კიკნაძის უშუალო მონაწილეობით მომზადდა რუსთაველის თეატრის არაერთი მსახიობის საიუბილეო თუ შემოქმედებითი საღამოები, აღინიშნა არაერთი შემოქმედების მოღვაწეობის ესა თუ ის თარიღი, აღდგა თეატრში ბენეფისების სისტემა და პირველი ასეთი ბენე-



ფისი მიეღვნა მსახიობ ნოდარ ჩხეიძეს. შემდეგ კიდევ რ. მოღენიშე ბენეფისზე მიიწვია თეატრში მაცურებელი და უკველთვის საღამოს მომზადების მრავალი. სირთულეს დაძლევა ბატონ ვასოს მოუხდა. მისივე მცდელობით გაიმართა თეატრის არაერთი ტექნიკური მუშაკის ღვაწლის დაიწყებელი საღამო. ერთი სიტყვით, თეატრი სისხლსასვე ცხოვრებით ცხოვრობდა და ამაში ვ. კიკნაძის უფრო წვლილიც უნდა.

ველა საქმეს, რომელსაც კი ახორცილებდა, ვასლი კიკნაძე თეატრში პროფესიული ცოდნის გაღრმავების, თეატრის საქმეში ღრმად ჩასახედა და იყვნებოდა. ცხადყო კიდევ ეს მისმა შემდგომმა მოღვაწეობამ.

თუ სამხატვრო საბჭოსა და სარეჟისორო კოლექტივის სხდომების ოქმების წერისაგან ბატონი ვასო თავისუფალი იყო, რადგან თეატრს ჰყავდა ამ საქმისათვის საგანგებოდ მონეული სტენოგრაფისტი ლ. ფულარიანი, ამის სანაცვლოდ ის სათადგო ედგა სარეჟისორო კოლექტივთან შექმნილ კომისიას, რომელიც ვალდებული იყო ეზრუნა დასადგმელად მიღებული არაქართული პიესების ქართული თარგმანის ხარისხზე. იყო რიგი სხვა, თეატრისათვის არც თუ მთლად ჩვეულებრივი საქმეებიც. მათ შორის ერთი, მეტად პასუხსაგები, — მზადება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც ე. მასკოვიმ 1968 წლის მარტში უნდა გამართულიყო. შედგა სადეკადო სექტაკლების ნუსხა, გამზადდა სარეკლამო მასალა, გამოიცა ბუკლეტები თეატრის მსახიობთა შესახებ. გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

გაცივდა წლები. ბატონმა ვასომ დატოვა თეატრი. შეიცვალა თეატრის ხელმძღვანელობა და ამ დიდად საპატიო და რთული საქმის მოსაგვარებლად მონეული იქნა ქალბატონი ნათელა ურუსთაველი.

რუსთაველის სახელობის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობის დაკავებამდე ბევრად უფრო ადრე ნათელა ურუსთაველი მუდამ მხარში ედგა მიხეილ თუმანიშვილსა და მის ირვტვლედ დარაზმულ მსახიობთა ჯგუფს თეატრში ახალი მიმართულების შექმნის საქმეში. ეს არც იყო გასაკვირი — ისინი ერთმორწმუნენი იყვნენ და ერთი და იგივე პრინციპების დამკვიდრებისათვის იღწეოდნენ. მ. თუმანიშვილი და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ ალ. ახმეტელის შემდეგ რუსთაველის თეატრში დამკვიდრებული ორი მსახიობის (მართლაც რომ ორი დიდი მსახიობის) თეატრი ერთი აზრის გარშემო დარაზმული ერთმორწმუნე კოლექტივად ექციათ. ეს არ იყო ადვილი საქმე. მას ბევრი მონინაღმდეგე ჰყავდა თეატრშიც და მის გარეთაც. ბრძოლა მწვავე იყო და შეურთიკებელი. დაროდესაც თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგის ადგილი გათავისუფლდა, რალა თქმა უნდა, თეატრის ხელმძღვანელობამ უნდა თეატრის თანამებრძოლი ქალბატონი ნათელა მიიწვია. თეატრის სათადგო ჩამდგარი სარეჟისორო კოლექტივა ხუთი კაცისაგან

შედგებოდა: თეატრის დირექტორი ნ. კიტია, რეჟისორები ა. ჩხარტიშვილი და მ. მანუჩარაძე, მსახიობი ს. ზაქარაძე და ნ. ცხელიძე, მსახიობი და ვეადა იმსაა, რომ კოლექტივში ისეთი სახელოვანი ადამიანები იყვნენ, როგორც ა. ჩხარტიშვილი და ს. ზაქარაძე, ლიფერი მაინც მ. თუმანიშვილი იყო — მაღალნიჭიერი რეჟისორ-რეფორმატორი.

როგორც ვთქვით, ნ. ურუსთაველი თეატრში ცხარე ბრძოლების, დიდი დაპირისპირების დროს მოვიდა.

1964 წლის 23 აპრილს რუსთაველის თეატრში შედგა პრემიერა ნარმოდგენისა „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ულიამ შექსპირის პიესის მიხედვით. იგი იქცა ახალ საბაზად, რომ თეატრალური საზოგადოებრიობის (და არა მარტო თეატრალური) დიდი ნაწილი კიდევ უფრო მწვავედ ამხედრებულიყო დამდგმელი ჯგუფის და თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

იგნისში გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მე-6 პლენუმი, რომელზეც, შეიძლება ითქვას, მოწყურ რუსთაველის თეატრის უსაზღვრესი რბევა. თეატრის მონინაღმდეგეთა გუნდში იყო გამგეობის თავმჯდომარე — თეატრის ყოფილი დირექტორი, თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ფურნალ საბჭოთა ხელოვნების რედაქტორი, ქართველ მწერალთა გარკვეული ჯგუფი. პლენუმზე მათს მზადდასაქრად მოტანილი იქნა ფურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ახალი, საღებავმეუმობელი ნომური ჩასმული აღისფერ ვეაძი. ფურნალში დაეჭვდილი იყო სტატია-პასკვილი რუსთაველის თეატრის შესახებ და მადლობა ღმერთს — აღარ იყო 30-იანი წლები, თორუე სტატისის ბრალდებები საკმარისი იქნებოდა თეატრის ხელმძღვანელობის, რეჟისურისა და ნამყევან მსახიობთა დიდი ჯგუფის, მრავალი მათი მხარდამჭერის დასაპატიმრებლად...

თეატრი ყოველ გამომდომას დამაბული შე მოქმედებით შრომით პასუხობდა. ნარმოდგენის ნარმოდგენაზე დეგამდა. „ზაფხულის ღამის სიზმარის“ შემდეგ ორ წელიწადში ოცზე მეტი სექტაკლი უჩვენეს მაცურებელს. მათგან 12 ქართველ ატვორთა პიესებზე იყო შექმნილი. მათგან თეატრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მცარე ხანში 61-იანელ მწერალთა საკმაოდ დიდი ჯგუფის შემომტება. ესენი იყვნენ ა. სულაკაური — „წყალდიდობა“ (რეჟისორი ე. ვეაძე), თ. ჭილაძე — „აქვარიუმი“ (რეჟ. გ. ჟორდანიას), დ. დუმბაძე — „შხიანი ღამე“ (რეჟ. რ. სტურუა), მ. ვლიოზიშვილი — „ბებერი მეზურნეები“ (რეჟ. ა. ჩხარტიშვილი).

დიდი იყო ქალბატონ ნათელა ურუსთაველის წვლილი ახალი სახელების მოზადეაშიც, ძველი ავტორების აფიშაზე ხელახლა დაბრუნებაშიც, არაქართული პიესების ზღვაში თეატრისთვის იმ დროისათვის შესაფერისის აღმოჩენაშიც, ნარმოდგენის მაღალ ხარისხში დადგმაშიც.

დაიბა, თეატრი ცდილობდა მხოლოდ შრომით ეპასუხა თეადხასმუნებისათვის, მაგრამ ზო-





ლოს დადგა ფაში, როცა განყდა მოთმინების ძაფი, შეუძლებელი გახდა ამდენი უსაფუძვლო შეტყვის გვერდის ავლა. სარევისორო კოლეგამ, თეატრის კოლეგების დიმა უმრავლესობამ გადაწყვიტა პასუხი გაეცა მონინალდგეგებისათვის და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე უპასუხა კიდევ მთი ერცელი სტატიით „თეატრის პასუხი“. მართალია, ეს წერილი თეატრის სახელით დაიბეჭდა, მაგრამ მისი უმთავრესი ავტორი რომ ნათელა ურუშაძე იყო, ეს არავისთვის არ იყო საიდუმლო.

1967 წლის ოქტომბერში რუსთაველის სახელობის თეატრი საგასტროლოდ გახლდათ რუმინეთში. ეს იყო ქართული თეატრის პირველი გასული საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. იმისათვის, რომ გასტროლებს წარმატებით ჩაეველო, რომ ღირსეულად წარმოიჩინილიყო ქართული თეატრის, შეტიც – ქართული კულტურის სიდიადე, მარტო კარგი წარმოდგენების დადგმა არ იყო საკმარისი. საქრო იყო ევებერთელა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება. გამზადდა ერცელი სარეკლამო მასალა რუსთაველის თეატრის შესახებ – მასალის შექმნაზე ზრუნვა ძირითადად ქალბატონ ნათელას დაეკისრა; ითარგმნა რუმინულ ენაზე საგასტროლო პიესები – ამ თარგმანის თავის მობმაც მას ევალებოდა; გამზადდა თეატრის მოღვაწეთა წერილები რუმინული პრესისათვის და ესეც ქალბატონის საზრუნავი იყო; საქრო იყო ქართულ პრესასაც სრულად მიეცანა მკითხველამდე ყოველივე, რაც ამ გასტროლების სამზადისსა თუ მსვლელობას ეხებოდა – პრესასთან კავშირი, ავტორებისათვის მასალის მინომდებაც ისეე და ისეე ქალბატონი ნათელას თავსატეხი იყო.

ყველაფერი ეს – დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა და სხვა რაიმეზე საფიქრალად დრო აღარ რჩებოდა. ისიც ითქვას, თეატრში თითქმის ერთდროულად დადგმულმა ორმა წარმოდგენამ: „მეორე სცენაზე მიხ“. თუმანიშვილის შედევრმა „ანტიგონემ“, რომელიც რეჟისორის თხოვნით, თარგმნეს ოთარ და თამაშ ქილაძეებმა, ხოლო დიდ სცენაზე რ. სტურუას „ბანუშამ“ ცხადყვეს, რომ ზაზს, რომელსაც ამჟღადრებდნენ მ. თუმანიშვილი და მისი თანამოაზრეები, ბზარი შეეპარა, რომ თეატრში შემოდის სრულიად ახალი მიმდინარეობა. ნ. ურუშაძე თეატრიდან წავიდა უკონფლიქტოდ, მშვიდად. წავიდა და ბოლომდე მ. თუმანიშვილის რეფორმატორული კურსის ერთგული დარჩა.

ნათელა ურუშაძის თეატრიდან წასვლის შემდეგ თეატრის ახალმა ხელმძღვანელმა ბატონმა სერგო ზაქარიამქმ სალიტერატურო ნაწილის სათავეში ეკლავ ლიტერატორი – ახალგაზრდა კრიტიკოსი კობა იმედაშვილი მიიწვია.

თეატრიც გულგამლით შეხედა ახალი თანამშრომლის გამოჩენას. ბატონი კობა სერიოზულად, მთელი პასუხისმგებლობით მოეკადა მისთვის უწყველო მოვალეობის აღსრულებას.

ბევრი რამის გაცნობა მოუხდა, თუკი რაიმეში ეჭვი ეპარებოდა, შეკითხვამ არცაა დგებოდა, არ თაკილობდა რჩევის მიღებამ არცაა დგებოდა.

სალიტერატურო ნაწილის გამგის მოვალეობისათვის ჩვეული ყველა საქმის კეთებაც უხდებოდა ბატონ კობას, ს. ზაქარიადის მრავალი, თითქოს და უწყველო დაუალებების შესრულებაც და ისიც, ყველაფერს გულმოდგინედ ასრულებდა.

თეატრი ემზადებოდა საგასტროლოდ გერმანიისა და პოლონეთში. შესარტევი იყო საგასტროლო რეპერტუარი. იმ დროს ამ შეტად პასუხსაგები საქმის შეთანხმება მარტო საქართველოს მთავრობასთან კი არა, მარკოვანაც აუცილებელი იყო. თეატრს ისე გონივრულად უნდა შეეფგინა რეპერტუარი, რომ მისთვის ნუნი ვერავის დაედო. საგასტროლოდ წასალები სპექტაკლების შერჩევაზე თეატრი გასტროლების დროის დადგომამდე ბევრად უფრო ადრე ზრუნავდა. არჩევენენ წარმოდგენებს, რომლებიც უფრო სრულად წარმოაჩენდნენ თეატრის სახეს. სხეებთან ერთად იღვწოდა თეატრის ლიტერატორის გამგეც. აღბათ სხეებზე მეტსაც ფიქრობდა, რადგან მსგავს საქმეში გამოცდილება არ უქონდა.

გამგ ზაქარიამდე დიდი მოსამზადებელი სამუშაო იყო ჩასატარებელი. დიქტორებისთვის გერმანულ და პოლონურ ენებზე ითარგმნა პიესები, გამზადდა სარეკლამო მასალა, სტატიები თეატრის, მსახიობების, სპექტაკლების შესახებ, გაკეთდა მრავალი სხეა წერილმანი თუ დიდი საქმე და ყველა ამის უმეტესობას ჩინებულად გაართვა თავი კობა იმედაშვილმა. ყველა მოსამზადებელ საქმეში კი გაუმკლავდა, მაგრამ თვით გასტროლების დროს ვეღარ შეძლო თავისი მოვალეობის ბოლომდე შესრულება. ვანმრთელობამ უშტყუნა. თეატრს ევლარც კი გააწყვა გერმანიიდან პოლონეთში. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით აღსავსემ, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ აღარ მოინდომა თეატრში დარჩენა. არ აპატია თავს ის, რაშიც სულ არ იყო დამნაშავე.

სერგო კი თეატრის საქმად დაძაბული და პასუხსაგები ეყოდა. მრავალი ჩანაფიქრი უქონდათ განსაზოცილებელი, ბევრი საინტიერესო ნაბიჯისთვის ემზადებოდნენ. ძალიან ჭირდებოდათ ნაცვადი, კეთილმოზილი, ერთგული მორცველი. და ბატონმა სერგო ზაქარიამქმ არჩევანი აკაი ბაქრაძეზე შეაჩერა. აკაი ბაქრაძის წყალობით სალიტერატურო ნაწილის გამგე დღემდე თავისუფალია მდივნის მოვალეობისაგან.

ორი სეზონი ეფგა სათავეში თეატრის სალიტერატურო ნაწილს აკაი ბაქრაძე, შემდეგ კი თეატრის დირექტორად დაინიშნა და წლების მანძილზე უძღვებოდა ამ რთულსა და პასუხსაგებ საქმეს.

სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამედებობაზე აკ. ბაქრაძის პერიოდს განეუიყენება



რუსთაველის თეატრის აფიშაზე დრამატურგ პ. კაქაბაძის დაბრუნებაც, თ. ჭილაძისა და ა. ხუღიაკაურის ხელახალი შეხვედრებიც რუსთაველის თეატრის მაყურებელთან, ბრწყინვალე წარმოდგენის – „გუმინდელის“ დადგმაც, სხვაე მრავალი განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ძალისხმევა ლონდონსა და მოსკოვში გასტროლების დროს 1981 წელს.

აკაკი ბაქრაძე აქტიურად მონაწილეობდა რუსთაველის თეატრისა და გერმანული თეატრის „ხელინერ ანსამბლის“ შორის გამართულ მოლაპარაკებაში საქართველოში ამ სახელგანთქმული თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით.

1972-73 წლების სეზონის დამდეგს სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობაზე დაინიშნა ფილოლოგი, წლების მანძილზე საქართველოს უპირველეს გამოცემლობაში ნამუშევარი ქალბატონი ლილი ფოფხაძე. მას შემდეგ მკითხველ საუკუნეზე მეტი გავიდა და დღესაც ეს ქალბატონი წარმატებით უძღვება ამ მეტად რთულ საქმეს.

4 წლის მანძილზე, ლ. ფოფხაძის მოვალეობათა რიგს შეემატა ერთი მეტად საინტერესო საქმე – კვირეული „სკოლა და თეატრი“, რომელსაც სათავეში განათლების სამინისტრო ედგა. კვირეული ყოველთვის მეტად დატვირთული იყო – იმართებოდა სხვადასხვა სახის მოსწავლეთა კონფერენციები, გამოფენები, მსახიობები მიღიროდნენ სტუმრად სკოლებში, თეატრები ბავშვებისთვის ანუფილდნენ ლია კარის დღეს, და ყოველივე ამაში მონაწილეობდა თეატრის ლიტნაწილის გამგეც.

1981 წლის ოქტომბერში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა რუსთაველის თეატრის 100 წლისთავი, ჩატარდა სექტაკლების კვირეული, მოეწყო საიუბილეო სესია, სურათების გალერეაში გაიმართა გამოფენა და ბოლოს, სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო. საღამოს პირველი განყოფილებისათვის სცენარი რ. სტურუამ და ლ. ფოფხაძემ შექმნეს. ეს არ იყო მათი არც პირველი და არც უკანასკნელი ერთობლივი ნამუშევარი.

თეატრის ხელმძღვანელობამ საქაროდ ჩათვალა ლ. ფოფხაძისათვის ახალგაზრდა თეატრისმცოდნეები ამოეყენებინა მხარში, რათა მათ ლ. ფოფხაძის მოვალეობათა ნაწილი თავის თავზე აეღოთ. წლების მანძილზე კეთილსინდისიერად უძღვებოდნენ თავის საქმეს თამარ ბოკუჩავა და მათა კენაძე.

მერე, ისევე როგორც მთლად საქართველოს, თეატრსაც გაუჭირდა და სალიტერატურო ნაწილში ლ. ფოფხაძის დამხმარედ მხოლოდ თამარ ბოკუჩავა დარჩა. ბევრად უფრო ადრე თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგის ინსტიტუტის შემოღებამდე, ძალზე ღრმა და მჭიდრო იყო კონტაქტები ქართულ თეატ-

რსა და ქართულ მწერლობას შორის. მწერტო ილიასა და აკაკის, მათი თანამემკვიდრეების გახსენებაც კმარა, რომ აღსანიშნავია კონტაქტი მათი წინამორბედებისა თუ მათი შემდგომი თაობების ინტერესებზე თეატრისადმი. რუსთაველის თეატრში კი ჯერ კიდევ ოციანი წლების დასაწყისში, თეატრში მწერალთა კაფე „ემერონის“ ფუნქციონირების დროს (თუ უფრო ადრეც არა, თეატრის არსებობის გართიანზე), მისი უპირველესი მეგობრები, უფრო ადრეულესი მაყურებლები და უკაცრესი მოაჯულეები ხომ ქართველი მწერლები იყვნენ. მათი უმრავლესობა არა მარტო ყველა პრემიერას ესწრებოდა, არამედ თითქმის ყველა რიგით წარმოდგენასაც, იყო თეატრის ცხოვრების ყველა წერტილშიც კურსში, იზიარებდა მის ყველა გასაჭირს თუ სიხარულს, გულწრფელად უქებდა საქებას, დიდი გულისტკივილით, და ასევე დიდი პირდაპირობით აკრიტიკებდა, რასაც საკრიტიკოს ხედავდა თავის მხრივ მწერლობა რუსთაველის თეატრის ხელეკანთა სახით თავის ურთულ მკითხველსა და საუკეთესო დამფასებელს ხედავდა. მწერალთა კავშირის თითქმის ყველა თავყრილობის დარბაზს სანახევროდ თეატრის მოღვაწეები ავსებდნენ. ისინი აქტიურად ადევნებდნენ თვალს მეგობარი მწერლების შემოქმედებას თუ მათი ცხოვრების აუკარგს. შემდეგ ეს კავშირები რამდენადმე შესუსტდა და მხოლოდ მცირე ხნით აღდგა მაშინ, როცა რუსთაველის თეატრის გარშემო 60-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მაშინ ქართველ მწერლობას თითქოს მოაგონდა ძველი მეგობრობა და როგორც მთელი საზოგადოება, მწერლობაც ერთ ორ ბანაკად – ერთნი ბრძოლის ევლის ერთ მხარეს დაედგნენ, მეორენი – მეორე მხარეს, მაგრამ მანელდა ბრძოლა და კვლავ შესუსტდა კონტაქტები.

დღეს მწერლებს მხოლოდ პრემიერაზე თუ ნახავთ. ისიც თითო-ორლას. სხვა დროს კი ისინი მოდიან, ვისაც პიესა მოაქვს ან ვისაც თავისი, უკვე მიღებული პიესის ბედ-ილბადი ანუხებეს. აქა-იქ თუ გაიყვლებს დღეს თეატრის რიგით წარმოდგენაზე ქართველი მწერალი. აღარც ქართული მსახიობები ავსებენ მწერალთა კავშირის დარბაზს. იშვიათი ვახდა პირადი კონტაქტებიც – ერთნიც და მეორენიც თითქოს თავის ნაჭუჭში ჩაიკეტნენ.

იმის თქმა არ შეიძლება, რომ რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან გაქრა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, მაგრამ წინათ ხომ მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა თეატრისა და მწერლობის მეგობრობა? ალბათ, ორივე მხარეს მართლაც მეტი ძალისხმევა მოჰყოლი ხდებოდა აღსადაგება. და ვეჭვობ, ამაში არც თუ მცირე წვლილის შეტანა შეუძლია თეატრის სალიტერატურო ნაწილს.



## ჩივების ენა

სინას მთაზე აღმოჩენილი საკმაოდ უცნაური ტექსტის თანახმად, ქართულ ენაში უძველესი მისტიური საიდუმლოა დაშიფრული. ამავე ტექსტში მოცემულია რაღაც ციფრებიც, რომელთა მნიშვნელობის გახსნა მხოლოდ გარკვეული ცოდნის საშუალებით არის შესაძლებელი. ტექსტის მიხედვით, ქართული ენის და აქედან გამომდინარე მისი დამწერლობის კოდური დასახელებაა „ლაზარე“. სინა სტატიაში ქართული ანბანი-ლაზარე, როგორც „დანანერებელი თევზკაცი“ ჩვენ ოსირის შეუადარეთ, და თუ ლაზარე და ოსირისი მართლაც მსგავსი მოვლენებია, მაშინ ქართულ ენას და ეგვიპტურ ენას ბევრი რამ უნდა ჰქონოდა აერთო. ეს, ჩვენი დროისთვის, ერთი შეხედვით, უცნაური აზრი, პეროდოტესთვის თურმე სრულიად ბუნებრივად ჟღერდა: „ცხადია, კოლხები ეგვიპტელებად არიან, ამას მე თვითონ მივხვდი, სანამ სხვისგან მოვისმენდი და ისე ვიტყვოდა... მათ მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ“-ო. — ნერდა იგი.

ეტყობა, მსგავსება, მართლაც, თვალმისაცემი იყო, რადგან პეროდოტე იმდენად დაინტერესებულა, რომ ორივე მხარე გამოუკითხავს, თუმცა მნიშვნელოვანი ვერაფერი გაურკვევია. ეგვიპტელების ვარაუდები, თითქოს კოლხები სესუსტროსის ლაშქრის ნაწილი იყოს, საკმაოდ არადასაჯერებელია, რადგან გადაღლილი ლაშქრის ნაწილი მართლაც რომ დარჩენილიყო კოლხეთში, უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე გენეტიკურად ჩამოყალიბებულ გარეგნობაზე, კულტურულ ტრადიციაზე და მითუმეტეს ენაზე, გავლენას ვერ მოახდენდა. პეროდოტეს მიერ შემწნული მხავსების მიზეზები ბევრად უფრო ღრმა ნარსულშია საძიებელი, ვიდრე სესუსტროსის ეპოქა იყო. ეს ალბათ ის პერიოდია, როცა დედამინაზე მხოლოდ ერთი ენა, ერთი რელიგია და ერთი მაღალგანვითარებული ცივილიზაცია არსებობდა. ეს იმდენად შორეული პერიოდია, რომ კოლხებსაც და ეგვიპტელებსაც დაეინყვებიათ, და თუ მათ მართლაც ჰქონდათ რაღაც საერთო, ეს პირველ რიგში რელიგიურ ტრადიციას უნდა შეეხოება, ხოლო რადგანაც აიეტსაც და ეგვიპტის ფარაონებსაც „მზის შვილს“ უწოდებდნენ, ალბათ რელიგიური ტრადიციის ამ ბაზს უნდა გაეყვით.

ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ცენტრად ითვლებოდა ქალაქი ჰელიო-

პოლისი, რომელიც ბიბლიაში „ონის“ სახელით იხსენიება, ხოლო თავად ეგვიპტელები მას უწოდებდნენ „მებრეთ ინუს“, რაც ნიშნავს „ჩრდილოეთის ბოძს“. ეგვიპტელებისთვის ეს ქალაქი იმდენად ძველი იყო, რომ შესაქმის პერიოდში პირველქმნილი ოკეანიდან ამოზრდილი მინის ნაწილად მიიჩნეოდნენ. პელიოპოლისის თეოლოგია ეყრდნობოდა მითს, რომლის თანახმადაც თავდაპირველად სამყარო სავესე იყო ბნელი, წყლიანი „არაფრით“, რომელსაც ერქვა „ნუნი“. შემდეგ ამ ინერტული კოსმოური ოკეანიდან ამოიზარდა მშრალი მინის მთა, რომელზეც მზის ღმერთი რამატერიოალიზდა ატლუმის სახით. ზოგი ვერსიით, მთაზე წყლის ფრინველმა კეერცხი დადო, საიდანაც რა დაიბადა. შემდგომ რა საკუთარი სპერმიდან ქმნის პაერის ღმერთ შუს და სინოტივის ქალღმერთ ტეფნუტს, თავის მხრივ ისინი ნარამომთბო მინის ღმერთ გებს და ცის ქალღმერთ ნუტს, რომლებიც ბადებენ ოსირისს, ისიდას, სეთს და ნეფტიდას. გადმოცემების თანახმად, ამ ღმერთებიდან ოთხი — რა, შუ, გები და ოსირისი უხსოვარ დროში ეგვიპტის მმართველები იყვნენ.

სწორედ პელიოპოლისის ლეგენდებიდან ამოიზარდა უმნიშვნელოვანესი მითი ოსირისზე, რომელიც საფუძვლად დაედო როგორც რელიგიური, ასევე კულტურული ტრადიციების განვითარებას ეგვიპტეში.

თავად პეროდოტეს მონათხრობით, „პელიოპოლისტები ეგვიპტელთა შორის ყველაზე განსწავლულები არიან. რაც მოვისმინე ლეთაებრივი ამბების შესახებ, იმათ გადმოცემას მე ვერ გაეხედავ“, მხოლოდ იმას ყვება, რომ, მათი თქმით, არსებობს წმინდა ფრინველი ფენიქსი, რომელიც ხუთას წელიწადში ერთხელ, როცა მამა უკედება, მიფრინავს არაბილადან ეგვიპტეში. იგი გარეგნულად არწივს გავს, შურისაგან აკეთებს კეერცხს, შიგ დებს თავის მშობელს, კეერცხს მურითვე გამოლესავს, აიტაცებს, მიაქვს პელიოპოლისში და მარხავს პელიოპისის სალოცავში.

ეგვიპტელები ამ მისტიურ ფრინველს უწოდებდნენ ბენუს. სწორედ ამ ფრინველთან იყო დაკავშირებული პელიოპოლისის ქურუმთა ყველაზე წმინდა და ძლიერი ფეტვი ბენბენი. ეს ნივთი იმდენად ძველი იყო, რომ ოთხი ათასი წლის წინ უკვე დიდი ხნის დაკარგულად ითვლებოდა, მხოლოდ ის



ცნობა იყო შემორჩენილი, რომ მას პირამიდის ფორმა ჰქონდა და მზეზე საოცრად ბზინავდა. ის იდო უხეშად დამუშავებული ქვის სექტზე, რითაც ანალოგიას ამტკიცებდა კოლხურ ოქროს სანმისთან, რომელიც ასევე ქვის ფალიკურ სექტზე იდო. სწორედ ამ დაუმუშავებელი მონოლითის გამო უნდა რქმევოდ ქალაქს „ბოძი“, რაც რას-ს შესაქმისეული ასპექტის სიმბოლური გამოხატულებაა, მასთანვე დაკავშირებული რელიგიის შემადგენელი ნაწილი. უნდა ყოფილიყო პეროდოტეს მიერ ნახსენები ნინდაცვეთის ტრადიცია, რაც თავდაპირველად მხოლოდ კოლხებისთვის, ეგვიპტელებისთვის და ეთიოპელებისთვის ყოფილა დამახასიათებელი და იმდენად ძველ რიტუალად არის მიჩნეული, რომ მოგვიანო ხანაშიც კი ქვის დანით სრულდებოდა.

გადმოცემების თანახმად, ბენბენი ციდან ჩამოვარდა. ეტიმოლოგიურად ზოგი მკვლევარი სიტყვას უკავშირებს სემიტურ ფუძეს „ბენ“-შვილი (იქნებ მზის შვილი? რადგან ფენიქსი მზისადმი იყო მიძღვნილი).

ე. ჯილბერტი, რომელსაც მიაჩნია, რომ ქრისტიანობას ძალიან ბევრი საერთო გააჩნია ძველევგვიპტურ, კერძოდ პელიოპოლისის რელიგიურ მოძღვრებასთან, წერს, რომ ქალაქს, როგორც ღმერთების მამის სამკურნალებელს, ეგვიპტელებისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც შემდგომში შეიძინა სინას მთამ ებრაელებისთვის.

ადგილობრივი ლეგენდების თანახმად, ეგვიპტეში გაქცეული მარიაში და იოსები პატარა იესოთა პელიოპოლისში გაჩერებულან. იმ ადგილას, სადაც მათ დაუსვენიათ, დღესაც დგას ქრისტიანული ეკლესია საკმაოდ უცნაური დასახელებით „მატარეა“. ეკლესიას პალმებით, კაქტუსებით და სხვა ეგზოტიკური მცენარეებით საესე ბალი აკრავს, რომელთა შორის გამოირჩევა ერთი ბებერი ჩინარი. სწორედ ამ ჩინარის ძირას მჯდარია გამოსახული მარიაში ერთ-ერთ ფრესკაზე. ზოგი ცნობით, ზე მისი და იოსების დარგულია, პატარა იესომ კი მისი ძირიდან წყლის ქველი გამოადინა, რის ნიშნადაც ხის გვერდით დღესაც დგას წყლიანი ვარცლი. სიცოცხლის ზე და მისი ძირიდან გამოშავალი წყალი უძველესი ალქიმიური სიმბოლოა. პერმეტიკოსები ამ ზეს ზშირად მუხად მიიჩნევენ, და აქ უნებურად კვლავ ნინა პლანზე გამოდის კოლხეთში არეხის ანუ მაგნიტურ ველზე მდგარი მულა ვერძის ტყავით, რადგან წყალი, რომელიც ესაუბრებოდათ, ფულკანელის თქმით, „არ გავს ღრუბლის წყალს, ანუ უზილავია. კოსმოპოლიტი მას აღწერს, როგორც ფოლადს და მაგნიტს, რადგან ის გარკვეულნილად მართლაც მაგ-

ნიტია, რომელსაც აქვს უნარი მარტივად ცის ზემოქმედება, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, რათა გადასცეს ისინი უფრო მარტივად დასძენს, რომ ეს ცოლადი ვერძის ნიაღვრია, რაც ნიშნავს გაზაფხულის დაწყებას ანუ იმ დროს, როცა მზე ვერძის ზოდიაქოში იმყოფება.“

პელიოპოლისის ქრისტიანულ ლეგენდას, რომელიც ჩართულია ძველ გნოსტიკურ ევანგელიუმში, ჯილბერტის აზრით, უკავშირდება ქალაქის ძველი არაბული დასახელება „აინ-ემ-შემსი“, რაც მზის შადრევანს ნიშნავს, მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი აღწერით უძველესი მზის ტაძრის ნანგრევები უწყლო საცურაო აუზს გავს და საკმაოდ მარტივ ნაგებობას წარმოადგენს. ამით ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ უძველესი დროიდან როგორც ძველევგვიპტური, ასევე ქრისტიანული ტრადიციით მზის ქალაქში აქცენტი წყალზე ყოფილა გამახლებული. ეს კი წყნეთის იმით არის საინტერესო, რომ უძველეს ქართულ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახულ მზეს თევზი ზადებს, ხოლო მუნა, რომელზეც სანმისი იდო, საეარაუდოდ ქვის თევზის სექტი უნდა ყოფილიყო.

მითოლოგიური ტრადიცია ოდნავ შეცვლილად აგვიჩვენს ფენიქსს: არის ასეთი ფრინველი ფენიქსი, რომელიც ერთადერთია თავის გვარში და ცხოვრობს ხუთას წელს. როცა სიკვდილის დრო მოუვა, სურნელოვანი მცენარეებისგან აშენებს ბუდეს, ჯდება იმე და კვდება (ზოგი ევრსიით ცეცხლში იწვება), ფერფლიდან კი გამოდის მატალი, რომელიც იზრდება, ფრთების ისხამს და როცა სათანადოდ ძალა უწნდება, აიტაცებს ბუდეს მშობლის ძელებით და შიქვს ეგვიპტეში პელიოპოლისში, დადებს ბუდეს მზის საკურთხეველზე და უკან ბრუნდება.“

აღწერილად გამომდინარე, ფენიქსი გვევლინება უკვედარსებად, რომელიც თავად ბადებს თავს, ანუ მისთვის მოკვდივინება ნიშნავს თავიდან დაბადებას, სიმბოლურად მამა განსხულებდება შვილში, ანუ ოსირისი თავიდან იბადება პორში. როგორც უკვდავების საიდუმლოს მატარებელი, იგი დაკავშირებულია ოქროს სანმისთან, რასაც ალქიმიკოსთა ენაზე ოქროს მოპოვების ნუნიჰეჰეია. ამ ევრსიას აღმათ ადასტურებს ამერიკელი მისტიკოსის ცნობაც: „მუა ხაუკუნეების პერმეტიკოსები ფენიქსს განიხილავდნენ როგორც ალქიმიური გარდასახვის დასრულების სიმბოლოს, პროცესს, რომელიც ადამიანის ალდგომის ექვივალენტურია. სახელი „ფენიქსი“ ენოდა საიდუმლო ალქიმიურ ფორმულას. ვარდის და ჯერის ხარისხის საყოველთაოდ ცნობილი პელიკანი, რომელიც

თავის შეილება საკუთარი სხეულის ნაწილებით კვებაზე, სინამდვილეში ფენიქსია. მისტერიების მიმდინარეობისას ინციტრებულზე უსწრებდნენ ფენიქსებს ანუ ხალხს, რომელიც დაიბადა თავიდან, რადგან როგორც ფიზიკურ დაბადებას მიყვარათ ადამიანურ ცნობიერებამდე ფიზიკურ სამყაროში, ასევე ნეოფიტი მისტერიების წიაღში ცხრა ხარისხის გავლის შემდეგ იბადება სულიერი სამყაროს ცნობიერებაში. „უკუეთუ ვინმე არა იმეეს მეორედ, ვერ ხელენიფების ხილვად სასუფეველი ცათა“ (იოანე 3,3) – ამბობდა იესო და ამბობდა იგი ასე ინციტაციის საიდუმლოზე. ფენიქსი სრულიად შეესატყვისება ამ სულიერი დაბადების სიმბოლიკას.

ეგვიპტური ფენიქსი იეროგლიფურად აღინიშნება რუხი ყანჩის სახით და პაპირუსებზე ხშირად გამოისახება ოსირისთან ერთად. ეგვიპტოლოგ რ. კლარკის აზრით, სიტყვა ბენუ არა მარტო მჭიდროდ უკავშირდება ოსირისს, როგორც მისი სულის გამოხატულებას, არამედ აღნიშნავს ღმერთის სიტყვას ანუ ლოგოსს. მისი ფიზიკით პელიოპოლისში სათავეს იღებს ახალი მსოფლიო ეპოქა. ამ იდეით იგი ითვლება ცის შიკრიკად.

ეგვიპტურ მითებში ოსირისზე უამრავი ცნობა არსებობს, მაგრამ ეს ცნობები ხშირად ერთმანეთის გამოშრიტებულია, ამდენად იბადება კითხვა, მაინც ვინ იყო ოსირისი? რეალურად არსებული პიროვნება, ატლანტიდიდან საფრთხეს გამოვიდებული, ეგვიპტეში ცივილიზაციის მიმტანი და დამამკვიდრებელი, რომელიც მოგვიანო ლეგენდებშია ღმერთად აქცია, თუ დაშიფრული ინფორმაცია, რაღაც საიდუმლო კოდი? ან იქნებ ერთიც და მეორეც?

არქეასტრონომმა ჯეინ ზ. ლელერსმა თავის წიგნში „ქველი ეგვიპტის დაღუპული ღმერთები“ გამოთქვა მოსაზრება, რომ ოსირისის მითში შეგნებულია დამოფრულია რაღაც გამოთვლითი პროგრამის მთავარი ციფრების კრებული, რომელთა საშუალებით შეგვიძლია გამოვთვალოთ პრეცესიასთან დაკავშირებული მოვლენები.<sup>2</sup>

პრეცესია ასტრონომიულად გაზაფხულის ბუნიაობის წინასწარგათვლას ნიშნავს. დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნვას საათის ისრის სანინააღმდეგო მიმართულებით და ერთ შემობრუნებას 24 საათს ანდომებს, შუის გარშემო კი იგივე მიმართულებით შემობრუნებას ერთი წელი სჭირდება. ამ მოძრაობის, ანუ ერთი წლის გამოხატულება წელიწადის დროების მონაცვლეობა, რომელთა საშუალებით შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ მექანიზმს, რომელიც მართავს ამ

ცვალებადობას. დედამიწის ბრუნვის ღერძი დახრილია მისი ორბიტის სწორედ წესში დაახლოებით 23,5°. სწორედ ამ კუთხესთან არის დაკავშირებული წელიწადის დროების მონაცვლეობა და ძველი რელიგიებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც არის ბუნიაობა და მზებუდობა. ფაქტურად წელიწადის დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით ეცემა დედამიწის გარკვეულ შედაპირს მზის სხივები და როგორია დღის ხანგრძლივობა.

როგორც აღვნიშნეთ, ბუნიაობის პრეცესიას გააჩნია მკაცრი და განმეორებადი მათემატიკური მექანიზმი, რომლის ანალიზი და წინასწარგანსახლება შესაძლებელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკლიპტიკის გასწვრივ მეტნაკლები თანაფარდობით გახლავებულია 12 ზოდიაქალური თანავარსკვლავედი. დედამიწის მოძრაობის შედეგად იქმნება ილუზია, რომ მზე, რომელიც სინამდვილეში უძრავია, მოძრაობს ცაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ზოლო დაახლოებით ყოველი 30 დღის გასვლისას იგი წელა გადადის ერთი ზოდიაქოს თანავარსკვლავედიდან მეორეში. ძველი ხალხისთვის კი განსაკუთრებული თავგანისცემის საგანი ხდებოდა ის თანავარსკვლავედი, საიდანაც მზე ამოდის გაზაფხულის ბუნიაობისას. მათ იხიცი აღმოაჩინეს, რომ დედამიწის ღერძის დახრის გამო ეს თანავარსკვლავედი არ არის მუდმივი, არამედ იცვლება. თითოეულ ზოდიაქოში მზე დაახლოებით 260 დღეს ჩერდება, ზოლო მთლიანი ციკლის ანუ თორმეტეულ ზოდიაქოს გავლას დაახლოებით 25 920 წელი სჭირდება. ამ პერიოდს „დიდი წელი“ ჰქვია.

საინტერესოა, რომ ქართულ ენაში ტერმინი „წელი“ აღნიშნავს არა მარტო კალენდარულ წრეს, შემდგარს 12 ზოდიაქოსგან, არამედ „სარტყელს“, „ქაშარსაც“. წინა სტიკიაში ჩვენ ბრინჯაოს ქაშრები ოქროს სანმისს დავუკავშირეთ. ოქროს სანმისი, ისევე როგორც ატლანტიდის კუნძულს სიმბოლოვრად ერთი წლის ციკლს განასახიერებს. ამასვე ადასტურებს სანმისის „ოქროს მოპოვების ნესად“ მიჩნევა, რადგან ამ პროცესს 12 ეტაპი გააჩნია, რომელთაგან თითოეული თითო ზოდიაქოს შეესატყვისება. მუშაობის დაწყება სასურველია ვერძის ზოდიაქოში და უნდა დაითავრდეს თევზებში. მ.პ. პოლის აზრით, ეს ის 12 ნაბიჯია, რომელიც მოგვაგონებს ძველი როზენკროიცერების მისტერიების 12 ხარისხს. გარკვეულწილად როზენკროიცერობა იყო ქმიურად თეოლოგიზირებული და ალქიმიურად გაფილოსოფიურებული. მისტერიების თანახმად, ადამიანი ცოდვების გამოსყიდვას აღწევს ცის



12 სამყოფელის გავლის შედეგად. 12 პროცესი, რომელთა მშვეობითაც შეიძლება განხილას „საიდუმლო არსი“, მოგვგონებს იმ 12 ამხანაგ-ხელოსანს, რომლებიც იქნენ გაგზავნილი სამყაროს მოკლული მშენებლის, უნივერსალური მერკურის საძებნელად.

ბოლო დროის საინტერესო აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს რ. ბიუველის გამოკვლევა, რომლის თანახმადაც გიზის სამივე პირამიდა განლაგებულია იმ გვეგმით, რომელიც უდიდესი სიზუსტით ემთხვევა ორიონის თანავარსკვლავედის სარტყელის სამივე ვარსკვლავის განლაგებას. ამგვარად, გიზაში მინაზე გამოსახული ყოფილა ორიონის სარტყელი. ეგვიპტური ტრადიციით კი ოსირისი ორიონის თანავარსკვლავედთან არის გაიგივებული. რთული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით ბიუველმა ისიც დაადგინა, რომ პირამიდების მდებარეობა მიუთითებს რაღაც გარკვეულ დროზე, კერძოდ ძვ. წ. 10 450 წ. ეს ის პერიოდაა, როცა პრეტესისის გამო ორიონის სარტყელი მინიმალურ სიმაღლეზე იმყოფებოდა, რის მეორეც დაიწყო მალახველა, რასაც დაახლოებით 3000 წ. სჭირდება და შეიძლება ითქვას, დღესდღეისობით იგი ზენიტს აღწევს.

ისევე როგორც პრეტესისის მთავარი მომენტი უკავშირდება მზეს, უფრო ზუსტად მზის ამოსვლას, ორიონის თანავარსკვლავედზეც მჭიდრო კავშირშია ამ მოვლენასთან. ბერძნულ ენაში „ალმოსავლეთს“ მისი სახელი ჰქვია, საბას ლექსიკონში კი იგი განმარტებულია როგორც რიფრაფი, ცისკარი და მართლაც ეს უდიდესი თანავარსკვლავედი გამოთენიასას სწორედ იმ ადგილას არის გაკრული ზაფხულის ცაზე, საიდანაც სულ ცოტა ხანში მზე უნდა გამოჩნდეს. შუა საუკუნეებში არსებობდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც ქრისტე იწოდებოდა „ალმოსავლეთად“. ლათინებს კი ორიენის მზის ღმერთისთვის მუერქმევიათა, მაგრამ ეს ტერმინი ასევე ორიენტირს, გზის მაჩვენებელს ნიშნავს, რისთვისაც ძველ საბერძნეთში ქვის სვეტები-პერმები გამოიყენებოდა. ორიენტირია რუკაც, ასევე კომპასი ანუ მაგნიტი, რომელიც ჩრდილო პოლუსს აჩვენებს ეგვიპტური ტრადიციით მაგნიტი ოსირისის შვილის ძეგლი იყო, რკინა კი მისი ძისი.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ორიონი გიგანტი მოწადირეა. „მართალია ეგვიპტური მითი განსხვავდება ოსირისის ბერძნული ისტორიისგან, სადაც ორიონი წარმოადგენილა როგორც ევლურ ცხოველებზე მოწადირე, და არა როგორც ცივილიზაციის მომტანი ღმერთი, მაგრამ ორივე ისტორიას აქვს საერთო ასპექტი, კერძოდ „ნადირობა“, რაც ნიშნავს იმას, რომ თუკი საზოგადოებას

უნდა ცივილიზებული გახდეს, მსხვერპლად უნდა გაიღოს თავისი ბუნებრივი წინააღმდეგობა.

**ნიკოლოსი**

ორიონი პოსეიდონის შვილია და მისგან შეუძენია უნარი ზღვის ფსკერზე თავისუფლად სიარულის, ისე რომ თავი მაღლა, წყლის ზევით უჭირავს. ამ თვისებით იგი მეტად უახლოვდება შუა საუკუნეების პერმეტროსტოს შორის გაერცვლებულ ლეგენდას წმ. ქრისტოფოროზე, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას იძენს იმ ანალოგიის გამო, რაც არსებობს ამ გოლიათსა და იმ მატერიას შორის, რომელიც ატარებს ოქროს.

ქალაქ ბურჯის შუა საუკუნეების ერთ-ერთ ქვის ბარელიეფზე გამოხატულ ქრისტოფორს მზარეუ პატარა ქრისტე მუხუსვამს და მდინარის მეორე ნაპირზე გადავავს. გოლიათი გამოსახულია წყალში მდგარი, მსუბუქი სამოსით, რომელზეც ზევიდან ქამარი შემოუჭირია. ფულკანელის თქმით, სწორედ ამ ადგილას არის დაფარული ქრისტოფორის ყველაზე დრამა უმოთრული არსი, რომლის შესახებაც ალქიმისტების საერთოდ არ ლაპარაკობენ. ამიტომაც აეტორი მხოლოდ სიმბოლურ ახსნას იძლევა: „ეს სიმბოლო ყველა ფილოსოფოსის მიერ გამოიყენება სრულყოფილების და უმაღლესი სისუფთავის აღსანიშნავად, რაც დამახასიათებელია მათი მერკურიალური სუბსტანციისთვის. მთელი სამუშაო მდგომარეობს მერკურის დამუშავებაში, ხანამ ის არ შეესატყვისება მითითებულ სიმბოლოს. ეს სიმბოლო ძველი აეტორების მიერ იწოდება პერმესის ბეჭედად, ბრძენთა მარიალად (ბეჭდის მნიშვნელობით), უზენაესის ნაკვალევად და ხელმოწერად, მოგვების ვარსკვლავად, პოლარულ ვასკვლავად და ა.შ. ეს ნიშანი მაშინ ჩნდება ნათლად, როცა ოქროს ხსნიან მერკურში, რათა მიიყვანონ იგი პირველად ანუ ახალგაზრდა ოქროს მდგომარეობამდე. ამიტომაც მერკური – ერთგული მსახური და მინის ბეჭედი – იწოდება სიტაბუკის წყაროდ. ფილოსოფოსები ნათლად გამოხატავენ აზრს, როცა ამბობენ, რომ მერკური გახსნის მომენტიდან ატარებს ზაფხუს – მზის შვილს – პატარა მეფეს, როგორც ნამდვილი დედა, რადგან ოქრო განახლებდა მის ნიაღში.“

ჩვენს არქეოლოგიურ მასალებში ბრინჯაოს სარტყელების ასეთი სიზუსტე, რომლებზეც ირმებზე მოწადირე თევზ-კაცებია გამოსახული (სხვათა შორის მათ ქრისტოფორის ქამრის მსგავსი ქამრები უკეთიათ), ხომ არ უკავშირდება ორიონს და მის სარტყელს? მკვლევართა აზრით, უძველესი ასტრონომიული ცოდნა, რაც დამოწმებულია მითებში, მხოლოდ იმ ხალხის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს, ვინც კარგი მეზღვაუ-

რი იყო. ასეთი მეზღვაურები კარგი შტურმანებიც იქნებოდნენ, რომლებიც ვარსკვლავებით მიიკვლევდნენ გზებს და ზუსტ რუკებს ხაზავდნენ. იქნებ ისინი იყვნენ ის დიდი არქიტექტორები და ქვის მთლებები? იქნებ სწორედ ისინი უკავშირდებიან რაღაც სახით „პირველი ეპოქის“ ღმერთებს, რომელთაც ეგვიპტეში მიიტანეს არა მარტო ასტრონომია და არქიტექტურა, მათემატიკა და დამწერლობა, არამედ სხვა ფასეული სიახლეები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინათმოქმედებას. ნილოსის ველზე ძალიან ადრეული, თითქმის გამყინვარების დასასრულის დროინდელი სამინათმოქმედო ექსპერიმენტების და პროგრესის შესახებ არსებობს ცნობები და ამ ეგვიპტური „დიდი ნახტომის“ თავისებურებანი გვაფიქრებინებს, რომ მისი ახალი იდეების ფესვები უცნობი წყაროდან იკვებებოდა.“ (შენკოკი)

ჩვენ არ ვიცით, სად არის ამ წყაროს სათავე, ერთი კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუკების პირველი ხსენება კოლხებს მიეწერებათ. ბლავატსკაიას ცნობით კი „ძველად გეოგრაფია მისტერიის ნაწილი იყო. ზოგარი გვამცნობს, რომ ეს საიდუმლოებები (შმელეთის და ზღვის საზღვრები) ეცნობებოდათ არა გეოგრაფებს, არამედ იმ ადამიანებს, რომლებიც საიდუმლო მეცნიერულ წრეებს განეკუთვნებოდნენ.“

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ ტერმინი „ქამარი“ შესაძლოა „ქამარადან“ მოდის და რომ ქამარს ძველად მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ტერმინ „ქამარას“ დაეუკავშირეთ „ქამარი“, „ყომარი“, „ყამარი“, „გომარი“. ძველ კოლხეთში კი თურმე ხომალდებს „ქამარას“ უწოდებდნენ. და მამ ჩვენში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქამრები ხომ არ არის „ხომალდები“? ხოლო მათზე გამოსახული თევზ-კაცები უძველესი მეზღვაურები? მაგრამ ქამრებზე ფიგურებთან ერთად ასტრალური, კოსმოგონური სიმბოლოებიც ხატია, რაც იმავს მიანიშნებს, რომ ეს ხომალდები „მფრინავია“ (ყურადსაღებია ისიც, რომ ტერმინი „აფრა“ ძირეული ქართული სიტყვაა და მისი ფუძიდან „ფრ“ – წარმოებულია სიტყვები „ფრთა“, „ფრინველი“, „ფრინა“, და ა.შ.)

ძველი ფინიკიური ტექსტების თანახმად, „შიზორს ვუოლა ტაუტი, ვისგანაც მივიღეთ ასოები, ხოლო სიდიკს კაბირი ანუ კორიბანტი, რომელმაც გამოიგონა ზღვაოსნობა“. უნდა აღინიშნოს, რომ სიდიკს ბევრი მისტიკოსი მელქისედეკთან აიგივებს. ხოლო გრაალის თახთან დაკავშირებული პირველი რელიეფური გამოსახულება სწორედ მას ეხება. ბერძნული ცნობებით, პრომეთე კაბი-

რია და კავკასიას უკავშირდება, ჰოგიცნობით, ნოეც კაბირია (ნიმფედიქსფუფუფიკი, რომ დევკალიონი პრომეთეს შვიფეფუქსწორედ იგი ააგებს უნიკალურ ხომალდ-კიდობანს, რომელმაც წარღვინის წყლები მშვიდობიანად გამოიარა. მოსეც, ასევე აწყლიდან ამოსული“ ამუენებს კიდობანს, რომელშიც ღმერთის სიტყვას მოათავსებს, ხოლო არაბული ტრადიცია პირამიდებს წარღვინისაგან გადასარჩენ ნაგებობად ანუ კიდობანად მიიჩნევს.

ბლავატსკაიას ცნობით: „კიდობანი არის ინდუსების წმინდა არგვა (არკა, არჩა) – ნაგრძელეზული ნავისებური ჭურჭელი. რომელიც იეროფანტების მიერ გამოიყენებოდა როგორც სამსხვერპლო თახი ასტარტას, ისიდას, აფროდიტას კულტმსახურებისას. სწორედ ეს ქალღვთაებელი განასახიერებენ სიმბოლურად კიდობანს, რადგან თავის თავში შეიცავენ ყველა ცოცხალი არსების ჩანასახს და გვევლინებიან ბუნების ანუ მატერიის დამზადებელ ძალეზად. მთავარი ნავისებური ფორმა, რომელიც იტყვის სიცოცხლის ხომალდის ყველა სიმბოლოს, მსგავსად ნოეს კიდობნისა, ინდუსების იონისა და სჯულის კიდობნისა, წარმოადგენს „ღმერთების დედის“ საყოველთაო ქალურ სიმბოლოს და ახლაც გვხვდება ყველა ეკლესიაში ქრისტიანული სიმბოლიზმის საფარქვეშ ხომალდის (or Navis) სახით. Navis ეს ის ზეციური ხომალდია, რომელიც ნაყოფიერდება სიცოცხლის სულით ანუ ღვთაებრივი მამაკაცური ხანყისით.“ უნდა აღინიშნოს, რომ იგივე აეტორი სინას მთის დასახელებას შუმერული მთავრის ღვთაება „სინის“ სახელთან აკავშირებს, ხოლო „ქამარი“, რომელზეც ვსაუბრობდით, არაბულად „მთვარეს“ ნიშნავს.

შენკოკი წერს, რომ ქრისტიანული ტრადიციით სჯულის კიდობანი ალეგორიულად ხშირად გაიგივებულია ღვთისმშობელთან. „ლორეტოს ლიტანიამი“ მარიაში ეწოდება – „არკა ფოეფერუს“, რაც ლათინურად „სჯულის კიდობანს“ ნიშნავს, რადგან ისევე როგორც კიდობანი შეიცავდა ძველ კანონს ათი მცნების სახით, ასევე მარიაში ატარებდა ახალ კანონს იესოს სახით.

ლუი შარპანტიე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ უნიკალურ მოვლენას – გოთიკას – მოსეს კიდობანს უკავშირებს, ფულკანელი კი ხომალდ „არგოს“ და ოქროს სანძისს: „ჩვენთვის ცნება – გოთიკური ხელოვნება – უბრალოდ ორთოგრაფიული დეფორმაცია სიტყვისა „გარგონული“ (argentina), და ეს უღვრადობა მშენიერება მსუხობის ფონეტურ კანონს, რომელსაც არაფერი ფერთო არა აქვს ორთოგრაფიასთან და რო-



მელზეც დაფუძნებულია ტრადიციული კაბალა. ტაძარი — ეს არის ნიშნში არგოტიკული ზელოვნებისა. ლექსიკონებში სიტყვა „ფარგონი“ ახსნილია, როგორც საგანგებო ენა ადამიანთა იმ ჯგუფისა, ვისაც არ უნდა, რომ მათი ლაპარაკი სხვასაც ესმოდეს. ამგვარად ეს არის სალაპარაკო კაბალა. იხილი, ვინც იყენებენ ამ ენას, არიან არგონავტთა შთამომავლები, რომელთაც ოქროს სანძისის მოსაპოვებლად გემ „არგონე“ იმოგზაურეს. დღემდე ძალიან ჭკვიან და ეშმაკ ადამიანზე ამბობენ: მან ყველაფერი იცის, მას ესმის „არგო“. „არგო“ ერთ-ერთი სახეობაა ჩიტების ენისა, ფილოსოფოსთა და ხელდასხმულთა ენისა. მიხი დახმარებით იესო მოციქულებს ცოდნას გადასცემდა. ეს ენა საიდუმლოში განდობილია და ხსნის ყველაზე ღრმა ჭეშმარიტებებს. ისტორია მოწმობს, რომ ადამიანები ბაბილონის გოდოლის მშენებლობამდე ამ ენაზე ლაპარაკობდნენ.

გოთიკური ტაძრები გაიგივებული ოქროს სანძისით დატვირთულ „არგოსთან“, თავის რელიგიურ თუ ფიგურულ დეკორში ოქროს მოპოვების საიდუმლო ფორმულებს შეიცავს, უფრო ზუსტად ოქროს მოპოვების

პროცესის მიმდინარეობას. კერძოდ, სკამი ეტაპი, სამი სიმბოლური ფერის გაანთიხე შავი, წითელი და თეთრი. ეს ჩვენს მიერ ადრე ნახსენები „კარტის“, ატლანტიდის ნაგებობების და შუმერული ზიკურატების ფერებია. სწორედ ამ ზიკურატებზე იდგა „ფილოსოფიური ქვა“ ანუ ტაძარი, ბენზენი, ოქროს სანძისი და რადგანაც შუმერული ტაძრები თევზის სხეულს განასახიერებდა (ალბათ იგივე შეგვეძლო გვეთქვა ეგვიპტურ პირამიდებზე და გოთიკურ ტაძრებზე, რადგან თევზი ხომ იგივე ხომალდია, თანაც „თევზია სიმბოლო ფილოსოფიური ქვისა თავის პირვანდელ მდგომარეობაში, რადგან ქვა, როგორც თევზი იბადება და ცხოვრობს წყალში“), ამდენად გამოდის, რომ ძველი ქურუმი-მშენებლები „უკვდავების“ სახით თიხის, ქვის თევზს ამეწებდნენ. სწორედ ეს თევზია თიხის კაცი ლაზარე. „დაანგრეთ ეს ტაძარი და მე სამ დღეში აღვადგენ მას“ — ამბობდა თევზ-კაცი იესო და თავის სხეულს გულ-ისხმობდა, თანაც იმ უძველეს რელიგიასთან ნათესაეობაზე მიანიშნებდა, რომელიც დღემდე ინახავს „მეორედ მოსელის“ საიდუმლოს, რათა ახალ ეპოქაში ახალი სიტყვა თავიდან დაბადოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Мэнли П. Холл. «Энциклопедическое изложение масонской, герметической, каббалистической и розенкрейцеровской символической философии. М. 1997. стр. 320, 576.
2. Г. Кеннок. Следы Богов. М. 1998. стр. 236, 323.
3. Э. Джилберт. Тайны волхвов. М. 1998. стр. 142, 146.
4. ზ. კვალიშვილი, ქართული ნაღი-კამარა. „ენგური“, 1991. I. გვ. 211.







პაპი ბაბრამი

## სამი მწერალი

ისე როგორც ჩემი თაობის ბევრ ადამიანს, მეც მჭირდა ბედნიერება, თვალა შედეგებითა ბინაკი ბაქრაძის მოღვაწეობისათვის, დაეკვირვებოდი მის პიროვნებას, მის ცხოვრებას, საქმიანობას. მომესმინა საჯარო საუბრისას თუ პირადად, რაც უდიდესი ხაზმონების მომგვრელი იყო, ნამუქითა თითქმის ყველაფერი, რასაც აქვეყნებდა, წიგნიდან წიგნამდე მასთან ერთად აღმოვეჩინა ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, თეატრისა და კინოს, ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სახე, ღირსება და ნაკლი, მეპოვა მრავალი საჭირობო-ტო კითხვის პასუხი. მაგრამ 1992 წლის თებერვალ-მარტის ის რამდენიმე დღე, როცა ბ-ნ აკაკისთან საუბარს მაგნიტოფონზე ვინერდი, შემდეგ კი ამის მიხედვით გადაცემებს ვამზადებდი, მართლაც სამახსოვრო საჩუქარით დამრჩა.

უკვე გავლილი იყო ძმათაშორის რძის პირველი ეტაპი, მაგრამ ვერ კიდევ არ მომხდარიყო ბერი რამ – სულსმემქნელი და დაუჯერებელი, ვერ დიდი დრო იყო იმ უზნეობის აღწევამდე, დღესაც რომ გვიხუთავს სულს. რუსთაველის პროსპექტი დაგნვით და დავანტრით, მაგრამ გვეგონა, რომ ჩვენი ზნეობრივი დაცემა ამით დამთავრდა. ვერაინ და, აღბათ, ვერც ბატონი აკაკი ვერ ნარმოიდგენდა, რაც შემდეგ მოხდა. ამიტომ ჩვენი მამინდელი საუბარი თუმცა მღელვარეა, შემადრწუნებელ ინტონაციებს არ შეიცავს. შემადრწუნებელი ამბები შემდეგ და შემდეგ აღარ გათავდა, რამაც ვფელა, და მათ შორის ბ-ნი აკაკი, შეძრა... შეძრა ნარმოუდგენლად და ჩვეული ნონასნორობაც დააქარგინა. მას უფვარდა თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, სწამდა მისი და მრავალთა და მრავალთა უზნეობა ვერ აიტანა...

ნონასნორობა ვახსენე... ბ-ნი აკაკი ბაქრაძის უჩვეულო პოპულარობის, საყოველთაო პატივისცემის, სიყვარულის მიზეზი, ხშირად – მოკრძალებისა და მონინებისაც, ერთი რამ არის: მან იცოდა თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის ფასი, მისი ვფელა ღირსება და ნაკლი... თანაბრად იცოდა... და მთელი არსებით, თავისი არსებობის ყოველი ნუთით, ყოველი ნამით მთელი სიცოცხლე ამ ნაკლთა და ღირსებათა სწორად ნარმართვისათვის იღვწოდა, რადგან სწამდა, რადგან სჯეროდა, რომ სწორედ ასეთი ნონასნორობით უნდა მიღწეულიყო ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი... ამ რწმენით არის გაპსქვალული 1992 წლის თებერვალ-მარტის მთელი ჩანანერიც, რომლის რამდენიმე ფრამენტს „მნათობის“ მკითხველს ვთავაზობ.

ერთი რამ მინდა კიდევ შევნიშნო: როცა ბ-ნი აკაკი ჩემთვის სასურველ საკითხზე საუბარს დაიწყებდა, ეცდილობდა, აღარ ჩაერულიყავი... ვერ ერთი, იმიტომ, რომ მისი საუბრის ძაფს მთელი ყურადღებით მივეყებოდი. მეორეც – აზრის უწვეტობა ხომ თავისთავად ბატონი აკაკის საუბრის სილამაზე იყო და არ მინდოდა რადიომსმენელისთვის ხელი შემეშალა ამ სილამაზის შეგრძნებაში. ამიტომაცაა, რომ მისი ტექსტი ისევე იბეჭდება, როგორც ჩანერილია მაგნიტოფონზე.

პროგრამა „ახახოვარმა“ აკაკი ბაქრაძესთან შეხვედრებს მაშინ ცხრა გადაცემა დაუთმო, ესე იგი, ცხრაჯერ ორმოცდახუთი ნუთი. აქედან ნახევარზე მეტი ბატონმა აკაკიმ ქართულ მწერლობაზე ისაუბრა, კერძოდ, მეოცე საუკუნის ქართულ მწერლებზე: მწერალთა წინა თაობაზე – თანამედროვე კლასიკოსებზე და მწერლობაში 1953 წლის შემდეგ მოსულეებზე.

1953 წლის შემდეგ მოსულთა დახასიათებისას მან დიდი შეფასება მისცა ეურნალ „ცისკარს“ და ვგრეთნოდებულ „ცისკრელთა“ თაობას, შემდეგ კი, ჩემი თხოვნით, „დათა თუთაშხიასა“ და მის ავტორზე ისაუბრა.

ლ.კ. – ბატონო აკაკი, „დათა თუთაშხიას“ თქვენ ერთხელ საუკუნის რომანი უნოდეთ.

ა. ბაქრაძე: – „დათა თუთაშხიას“ მიმართ ჩემი დამოკიდებულება და ჩემი აღტაცება გამოვითქვი ნერილით – „ტარიგი ღუთისაი“; მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო მასზე, რადგან მიმანჩია, რომ ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესო ნანარმოებია მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის, და ეს მით უფრო ვასახარებია, რომ

მე-20 საუკუნის ქართული პროზა ძალიან მძლავრი ნაკადი იყო ჩვენი ლიტერატურის. მარტო გვარების დასახელებაც კმარა, როგორი ადამიანები მოღვაწეობდნენ მწერლობის ამ დარგში... როცა ამ ვითარებაში, იწერება ახალი ნანარმოები და იგი სრულიად სხვა სამყაროს ხატავს, ეს უკვე თავისთავად მეტყველებს იმ მძლავრ ნიჭზე, რომელიც მის ავტორს აქვს.

„დათა თუთაშხია“ ბევრი თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ნანარმოები გახ-

ლაეთ... თუნდაც ის, რომ „დათა თუთაშხიაში“ არის ორი გმირი, ორი პერსონაჟი, რომელიც თავისი გონების სიმძლავრით ერთმანეთს არ ჩამოუვარდება... მაგრამ ერთი, ნებით თუ უნებლიეთ, ბოროტს ემსახურება და მეორე კეთილს. ეს თავისთავად ღრმა ფილოსოფიური შინაარსის შემცველი გახლავთ. აქ სრულიად მკაფიოდ, ნათლად არის მიითთვებული იმაზე, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლა არასოდეს შეწყდება. ოღონდ, კეთილი ყოველთვის ახერხებს მაინც გამარჯვებული გამოვიდეს ამ ბრძოლაში, რადგან არსებობს ბოროტ მხოლოდ მაშინ ახერხებს, როდესაც კეთილს არის მიტმასნილი.

რომანში ძალიან კარგად არის ნათქვამი და ასახული ის, რომ როცა დათა თუთაშხია დაიღუპა, მუშნი ზარანდიად მალე მოკვდა, იმიტომ რომ მას არსებობა უდათაოდ არ შეეძლო, რადგან იმ კეთილს უნდა მიტმასნიოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ნიჭიერების სიძლიერით არ ჩამორჩება დათას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მას მიზანი არა აქვს, მისი ნიჭიერება ფუჭად იხარჯება. მუშნი ზარანდიას მთელი უნარი მხაკერობისა, ცბიერებისა, არსებითად, ფუჭია იმის გამო, რომ მას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს, და შინაგან აღტაცებას სწორედ დათა იწვევს.

რომანში ამით ის არის ნათქვამი, რაც ბუნების კანონზომიერებას წარმოადგენს. მაგალითად, სადაც ხორბალს დათესავთ, იქ სარეველა ყოველთვის ამოვა, მაგრამ სადაც სარეველას დათესავენ, იქ ხორბალი არ ამოვა, რადგან ხორბალი თავისთავად არსებობს როგორც კეთილი და მას არაფერთან მიტმასნა არ სჭირდება. სარეველა კი უნდა მიტმასნოს რაღაცას, რომ იარსებოს. ეს მხარე რომანისა მეტად დამაფიქრებელი გახლავთ ყველა ადამიანისათვის, იმიტომ რომ, ეთქვათ, რა სურს ადამიანს, ვინც ამ რომანს წაიკითხავს? იფს კეთილის განმარტებელი თუნდაც მცირე მასშტაბით, თუ იყოს სარეველა, პარაზიტი, სხვას მიტმასნილი? ეს რთული პრობლემა ყველა დროში და ყველა ეპოქაშია! და, ბუნებრივია, რთული პრობლემაა დღესაც. ამგვარი პრობლემის დანსა იმ რთულ ვითარებაში, რომელშიც დღეს ჩვენი საზოგადოება ცხოვრობს, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ და ძალიან ღრმა ფიქრის გამოწვევი.

გარდა ამისა, თვითონ რომანს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, ბევრი ღირსება აქვს. თუნდაც, ერთი მაგალითი: კარგად იცით, რომ რომანში თხრობა მიმდინარეობს სხვადასხვა პირის ნაამბობისა და მიხედვით. ადამიანები ყვებიან სხვადასხვა ეპიზოდს, სხვადასხვა შემთხვევას. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნოველებს

თუ ამბებს თავისი სალაპარაკო ენა აქვს, მათი ენა ერთმანეთს არ გუყვანენ. მაგრამ მოიდგინოთ, იმდენად ზუსტად მოწოდებული, რომ კუთხურობის მიხედვითაც კი განსხვავდებიან მთხრობლები ერთმანეთისგან. ეს არის საოცარი ოსტატობა მწერლის... რომ არც იცოდეთ იმ კაცის გვარი, ვინც ყვება, მაშინვე მიხვდებით, რომელი კუთხიდან შეიძლება იყოს, და რა კუთხით შეუძლია მას სამყაროს დანახვა. ყველას თავისი ენობრივი მასალა აქვს და თავისებური კოლო მეტყველებისა...

ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა და ძალიან ღრმა ნიჭიერება სჭირდება ამგვარი ნიუანსების ნედომას. გარდა ამისა, თითოეული პერსონაჟი რა მკვერი ფერებით არის დახატული! ყველა მათგანი ცოცხალი არსება გარეგნობით, სულიერი თვისებით, საქციელით, მეტყველებით, ფესტით, ყველაფრით... ის ადამიანია, რელიეფურად გამოკვეთილი, რომელსაც ცხადედ ხედავ და არ შეიძლება დაგაინყდეს, რადგან საესებით ჩამოყალიბებულია მისი რეალური გარეგნული, ისე სულიერი პორტრეტი. და ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რა დაკვირვებითა და ღრმა დაფიქრებით ხატავს აქტორი ყველა პერსონაჟს, რას დებს ამ პერსონაჟებში, რადგან არა მარტო ის არის ადამიანი, რასაც ამბობს, არამედ ისიც, რასაც აკეთებს, როგორც იქცევა, რა საქციელიც და, თუ გნებავთ, გარეგნობაც აქვს... და ამ გარეგნობის მიმართ რა დამოკიდებულება აქვს მწერალს თვითონ. მე ვთვლი, რომ აი ამგვარი ნიუანსებით ხატვა და ამგვარი ფერებით ხატვა ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ოსტატობის თვალსაზრისით, პროფესიული თვალსაზრისით...

საინტერესოა გალერეა იმ ადამიანებისა, რომანში რომ მოქმედებენ... ისინი სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები არიან, სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ასაკის... რომანი ძალიან მრავალფეროვანია ამ მხრივ, მთელი გალერეა გაივლის ადამიანებისა ჩვენს თვალწინ... მაგრამ ერთმანეთში არცერთი არ აჯერდება. ყველა მათგანი საინტერესოა. საინტერესოა მათი შინაგანი სამყაროც და ის ამბებიც, ისინი რომ მონაწილეობენ.

მწერალი ხშირად ამა თუ იმ ვითარებაში ძალიან რთულ მდგომარეობაში აყენებს ხოლმე თავის პერსონაჟს. ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაშია პერსონაჟი ჩაყენებული, რომ მისმა საქციელმა თითქოს უარყოფითი დამოკიდებულება უნდა გამოიწვიოს მკითხველისა. თითქოს უნდა გააღიზიანოს კიდევ იგი, მაგრამ მერე შემობრუნებს მწერალი ყველაფერ ამას და ის უარყოფითი დამოკიდებულება ღრმა ტკივილად იქცევა. კონკრეტულად, თუ გავიხსენებთ ეპიზოდს,

როდესაც დათა თუთაშხია არ მიეშველება გონებასუსტ კიკუს, როდესაც ყარაღები გაუპატიურებდა დაუპირებენ და გააუპატიურებენ კოდევ — რადგან იმ პერიოდში დათას ჰქონდა გარკვეული ფილოსოფია ჩამოყალიბებული, რომ ადამიანი დახმარების ღირსი არ არის, — თავისთავად ამ სურათმა უნდა განგვანყოს დათას სანინააღმდეგოდ. მაგრამ იმდენად დიდია დათას სულიერი, სამყარო, რომ ეს არ გაღიზიანებთ, პირიქით, ეს ტკივილს აღძრავს — რა სასწაერკეთილებამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ცხოვრებამ და რა ჩაადენინოს მაგრამ შემდეგ მწერალი ამას შემოაბრუნებს... და როდესაც კიკუს ძმას — ძობას დათას მოკვლა უნდა, დათა თუთაშხიას კეთილშობილება აიძულებს, არა თუ მოკლას კაცი, არამედ, საერთოდ გადაადგოს იარაღი. და აი, აქ თქვენ ხედავთ ზნეობრივი სინონიმის ძალას, იმ ზნეობრივი ზემოქმედების ძალას, რომელსაც შეუძლია მკვლეელი და ყარაღი ისევ ადამიანად აქციოს. აი, ამგვარი ნიუანსები ძალიან ბევრია რომანში, შემობრუნების, ადამიანის სულის, ხასიათის შემობრუნების ამგვარი ნიუანსები. და ამ მხრივ რომანი ძალიან მდიდარია.

მთელი სამყაროა, მთელი ერთი დამოუკიდებელი ნაწარმოების შინაარსისა სეთური და მისი გარემო, ის სამყარო, რომელსაც პირობითად შეიძლება სეთურის ქვეყანა დაეარქვას, სადაც ცხედავთ ადამიანებს, რომლებიც გადაქცეულნი არიან მუშა-საქონლად, რომელთაც არაფერის განსჯა არა აქვთ, არაფერზე არ ფიქრობენ, არაფერს არ აკეთებენ, ეილაც სეთურის მორჩილნი არიან და მიანწიანთ, რომ ეს სეთური მათი მამა და მარჩენალია. ახლა დააკვირდით ამ სურათს. იგი არა მარტო წარსული პერიოდის ამბებს ასახავს, არამედ დღევანდელი საქართველოს სურათიც არის და დღევანდელი საქართველო ამაზე უნდა ღრმად დაფიქრდეს.

ჩემი აზრით, „დათა თუთაშხია“ ერთერთი მარადიული ნიგნია, რომელიც ჩვენს ხალხს გაყვება თავისი ცხოვრების გზაზე, ყოველთვის ექნება ინტერესი მისი კითხვისა და ექნება ამ კითხვით მოგვიღილი სიზარალები... და, რა თქმა უნდა, ბედნიერია ავტორი, როცა შეუძლია, ასეთი ნიგნი დაწეროს და დატოვოს როგორც თავის სასახელოდ, ისე იმ ხალხის სასახელოდ, ვინც უნდა იკითხოს ეს ნიგნი და ეისაც საშუალება აქვს ამ ნიგნთან ურთიერთობა ჰქონდეს... და ძალიან სამწუხაროა, რაც ჩვენში ხდება ასეთი ნიგნის ავტორის მიმართ... მაგრამ მე თავს იმით ვიწუგებ, რომ აქ არაფერი ხდება ისეთი, რაც საქართველოში არ მომხდარა.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ არ ვიცით ყველაზე დიდი ქართველის,

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარი და სახელი. ასეთი რამ ალბათ ყველა ქვეყანის შვარცხუნია. როგორ შეიძლება დაავინყდეს ხალხს იმ კაცის სახელი, ვინც განსახიერებს ყველაფერ საუკეთესოს, რაც ამ ხალხს ჰქონია. რანაირი სიძულელით უნდა სძულებოდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი... რანაირი სიძულელი უნდა ჰქონოდეთ მის მიმართ... და ეს სიძულელი მხოლოდ და მხოლოდ მისი ნიჭიერებით იყო გამოწვეული, მხოლოდ ნიჭიერების გამო სძულდით იგი... რამხელა ტრაგედიაა ის, რომ იძულებული ვართ, მოგონილი სახელით და გვართი ეიცნობდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს.

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ, რა დღეში ჩააგდეს სულხან-საბა ორბელიანი იმის გამო, რომ ზოგიერთს არ მოსწონდა მისი ორიენტაცია და ზოგიერთს მისი ნიჭი. მოხუცი კაცი წვერებით ათრევს სექტიცხოელის ეზოში... და ასეთი რამდენი მავალითის გახსენება შეიძლება თუნდაც უახლოეს ეპოქაში — მე-19 საუკუნეში. ჩამოვთვალოთ: კრიტიკოსი ესტაბლე ბოსლეველი მოკლეს, დიმიტრი ყიფიანი მოკლეს, ივანე მაჩაბელი უტო-უკულოდ დაიკარგა და არ ვიცით, რატომ და რისთვის. ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ნიკო ხიზანიშვილი მოკლეს, თედო რაზიკაშვილი მოკლეს, კათალიკოსი კირიონი მოკლეს. მოხდა დაახლოებით შეიდი მკვლელობა 35 წლის მანძილზე.

ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რა სასტიკი და უღმობელია ქართველის დამოუკიდებულება თავისი საუკეთესო შვილების მიმართ. ყველა ქვეყანაში ხდება უზეღურება, ყველა ქვეყანაში შეიძლება მოკლად დიდი ადამიანი, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე თუ სხვა, მაგრამ ასეთ პატივს მონაკვეთში ამდენი დიდი ადამიანის მოკვლა და თანაც არ ვიცით, რატომ და რისთვის, ვინ და როგორ, ეს უკვე პირდაპირ გასაოცარია და როდესაც ყველაფერ ამას გაითვალისწინებ, აღარ უნდა გაგიკვირდეს, რომ ქაბუა ამირეჯიბს, „დათა თუთაშხიას“ ავტორს, ტალახს ესერიან...

როგორც ჩანს, ისტორიამ ჩვენ ვერაფერი გვახსნავლა და ჩვენი დამოუკიდებულება ისტორიის მიმართ დარჩა წრე. მაგრამ თავისთავად ეს იმ ნიგნს ბევრს ვერაფერს დააკლავს, უბრალოდ, როგორც ჩანს, დიდი ნიგნის ავტორს ბიოგრაფიაც დიდი უნდა ჰქონდეს და ამ ბიოგრაფიის ნაწილი არის ესეც. მით უმეტეს, რომ ქაბუა ამირეჯიბს მართლა საუკეთესო ბიოგრაფია აქვს, თვითონ შეიძლება იყოს ერთი დიდი და საუკეთესო რომანის პერსონაჟი. მას, ალბათ, თავისი თავგადასავალი რომ დაუნერა, ისიც ისეთივე საინტე-



რესო ნიგნი გამოვიდოდა, როგორც „დათა თუთაშხია“ და ამ ბიოგრაფიის ავტორს ესაც სჭირდება.

ლ.კ. — თქვენ ძალზე გასაგებად ახსენით ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ მინდა შეგკითხოთ, — „დათა თუთაშხიაში“ ქართველი ხალხის სულიერ აღორძინებაზე გარკვეული ზეგავლენა ზომ მოახდინა...

ა.ბ. — რა თქმა უნდა, ამგვარ ნიგნს არ შეიძლება, გარკვეული ზეგავლენა არ მოუყვას. „დათა თუთაშხიაში“ მაშინაც მოახდინა ზეგავლენა, როცა გამოვიდა და დღესაც ახდენს ამ ზეგავლენას, მიუხედავად იმ აფიოტაგისა, რომელიც ბლო დროს არის ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ეს აფიოტაგის და ეს გალიზიანებაც გარკვეული წრისა, აგრეთვე ზეგავლენა, რადგან არის ერთი კანონზომიერება, რომელიც შეიძინევა, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაში: ნიჭისა და სილამაზეს ებრძვის ადამიანი, თავისი სულიერი სიღატაკის გამო ებრძვის. მარტო საქართველოში არ ხდება ასე, ყველგან და ყველა ეპოქაში ხდებოდა. ეს, სხვათა შორის, განსაკუთრებით აქვს ხაზგასმული კონსტანტინე გამსახურდიას. ის ამბობს, რომ ყველაზე დიდი სიძულვილი შეიძლება დაიმსახუროს ნიჭმა და სილამაზემ. სიმდიდრეც კი არ იმსახურდება იმ სიძულვილს, რასაც ნიჭი და სილამაზე, რადგან ორივე ღვთისგანაა ბოძებული და ის ადამიანი, რომელიც ღმერთმა არ დააჯილდოვა ამით, გაბოროტებულია და გაბოროტებულია არა იმის წინააღმდეგ, ვინც არ დააჯილდოვა, არამედ იმის წინააღმდეგ, ვინც დააჯილდოვებს...

თვითონ დათა თუთაშხია, როგორც პერსონაჟი, სულიერად ღატაკი ადამიანის სიძულვილს იწვევს, რადგან მას ვერ აუტანია დათას სიდიადე, თუმცე ეს გამოგონილი, არარეალური კაცია და მხოლოდ ლიტერატურაში არსებობს, მაინც ვერ აუტანია. ის, ვისაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, გალიზიანა დათა თუთაშხიას, როგორც პერსონაჟის სისპეტაკემ, სიბრძნემ, კეთილშობილებამ და ვაჟკაცობამ...და ეს ავტორზეც გადავიდა, რადგან ყველა ნაწარმოებში რაღაცა დევს ავტორისა... გავლენა დღესაც გრძელდება და გაგრძელდება მომავალშიც, როცა დღევანდელი ვნებები დაცხრება და უფრო მშვიდი დამოკიდებულება გაქვნივა გარკვეული მოვლენებისადმი, ჩვენს ცხოვრებაში რომ მოხდა და, კერძოდ, თუ ვნებათ, ამ რომანის მიმართ. ამიტომ ეს გზა ვრცელია, არსებითად, დაუსრულებელი. სხვადასხვა თაობა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად წაიკითხავს ამ ნიგნს და სხვადასხვა ღირსებას აღმოაჩენს.

ლ.კ. — ყველაზე მეტს იმაზე ლაპარაკობენ, რომ რატომ არ დაწერა ჭაბუა ამირეჯობი მე-

ორე, მესამე და მეოთხე ისეთივე რომანი, როგორცაა „დათა თუთაშხია“.

ა.ბ. — ამგვარი მოთხოვნაც უმეტეს შემთხვევაში ბრალა. ლიტერატურის ისტორიაში უამრავი შემთხვევაა, როცა ავტორი ერთ ნიგნს წერს. არიან მწერლები, ბევრს რომ წერენ, რამდენიმე რომანი აქვთ დაწერილი, ხშირად, თანაბარი ძალის... მაგრამ ისეთიც ბევრია, ერთი რომანი რომ აქვს, მაგრამ რომანში თავმოყრილია ყველაფერი, რაც მას უნდოდა ეთქვა. ეს ჩვეულებრივი აშბავია და იმაზე ლაპარაკი, რატომ მეორეს არ წერს და მესამეს არ წერს, როგორც გითხარი, უმეტეს შემთხვევაში არაა სერიოზული მსჯელობის.

ბევრი აქვს დაწერილი სერვანტესს, ნაყოფიერი მწერალი იყო, მაგრამ მისი არცერთი ნაწარმოები არ შეედრება „ღონკიხობს“. არსებითად, სერვანტესი ერთი რომანის — „ღონკიხობის“ ავტორია. სხვა არაფერი შეედრება ამ ნიგნს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს, უბრალოდ, იმიტომ მოხდა, რომ მწერლის მთელმა ნიჭიერებამ აქ, ამ ფოკუსში მოიყარა თავი, ამ ერთ ნაწარმოებში გამოჰყვანა. ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ რატომ სხვა რომანი არ არის, სხვა მოხრობები არ არის, უნაყოფო ლაპარაკია, ესეც შედეგია იმ გალიზიანების, რომელიც რომანში გამოიხატა, იმ სურვილის, რომ ვიღაცის სიკეთე არ დაინახო და ვიღაცის ნიჭიერება არ დაინახო. ესეც ადამიანის სიხარბია და მანიკერების შედეგია. ამ მანიკერებისგან ღმერთი არ ათავისუფლებს ადამიანს და ჩვენ, ბუნებრივია, ამას ვერაფრით ვერ მოვახერხებთ. ოთარ ქილაძეს აქვს ნათქვამი, რომ ათი მწერელს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ათი მანიკერების წინააღმდეგ გამოთქმული სენტენცია, მაგრამ ეს ათი მანიკერება მაინც მარადიულია ადამიანში, ამიტომ ის სენტენციებიც მარადიულია. იტყვი, არა კაც კლა, მაგრამ ადამიანი მაინც კლავს კაცს. შამასა-დამე, ეს მანიკერება რადგან მარადიულია, ეს სიბრძნეც მარადიულია. არ იმრუში, ადამიანი მაინც იმრუშებს და ეს მოთხოვნაც მარადიულია. ასე რომ, იმას, რაც ადამიანში დევს და ადამიანის თვისებაა, ვერ ცვლის ვერაფერი. რაკი ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია ეს მანიკერება და ადამიანი მას ვერ მოერევა, ამ მანიკერების გამო ჩვენ ცვდილობთ, ვიღაცას რაღაცა დაეპარალო, მოექცნოთ გზა და საშუალება, რომ დაეპარცხოთ ის, ვინც თავისი ნიჭიერებით გვაჯობა, მოექცნოთ რაღაც მიზეზი, რომელიც მოგცემს საშუალებას, ჩვენ ბოროტი გვაუბაროთ, ვაზიოთ და ეთქვათ, რომ ეს მისი დაწერილი არ არის, ვიღაცას მოპარეს ან აჩუქეს ან რაღაც ამგვარი... მაგ-

რამ ესეც ლეგენდაა... და მწერლობას უბედა ლეგენდა, განსაკუთრებით დიდ მწერალს უბედა ლეგენდა...

ლ.კ. - ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიასაც უბედა...

ა.ბ. - და ბუნებრივია, რომ ყველა დიდი მწერალი ლეგენდის გმირია და ცხადია, ჭაბუა ამირეჯიბიც უნდა იყოს ლეგენდის გმირი, ისე არ შეიძლება...

იმ 1992 წლის თებერვალ-მარტის შემ-

დგომ დამოკიდებულება „დათა თუთიაშის“ ავტორის მიმართ, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ვგულისხმობ ჩვენი საზოგადოების სწინანოლის დამოკიდებულებას, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრ სხვა სფეროშიც იჩენდა, რბილად რომ ვთქვათ, „არგავების“ თუ „ვერვავების“ შეუვალ უნარს. ეს „შეუვალობა“ ახლა, ასე თუ ისე, გაღლება, რაც მხოლოდ ხასიყეთოდ ნაადგება ჩვენს ქვეყანას.

ლ.კ. - დიდი მაძლობა...

ჩვენი მომდევნო საუბარი ანა კალანდაძეს დაეთმო. ბატონმა აკაკიმ სალიტერატურო ასპირენტზე ანა კალანდაძის პირველ გამოჩენას, კერძოდ, მისი ლექსების პირველ კითხვას მწერალთა სასახლეში ყველაზე დიდი ამბოხება უნდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ოღონდ სულიერი ამბოხება. ეს იყო უმნიშვნელოვანესი სიახლე, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გარდატეხა მოახდინა როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის სულში, თქვა მან და ამ ორიოდვე სიტყვით გამოხატა ანა კალანდაძის მშვენიერი სამყაროს მოულოდნელი გამოცხადებით გამოწვეული განცდილობა. სამყაროსი, დღემდე რომ არ კარგავს იმ პირველგამოცხადების ძალას და ცხოველყოფილობას. ეს ხომ მართლაც ამბოხი იყო, ამბოხი ნათელისა... „ნათელი ბნელსა შინა“...

კიდევ ერთი რამ თქვა ბატონმა აკაკიმ ძალზე მნიშვნელოვანი ანა კალანდაძეზე საუბრისას: ანა კალანდაძის პოეზია ყველაზე დიდი ამბოხებაა... მაგრამ იგი არაიხის კლავს, იგი ათავისუფლებს... ათავისუფლებს ადამიანს, ათავისუფლებს იმ გარემოსაგან, რომელიც მას აკნინებს და ამცირებს... ეს ხომ მხოლოდ დიდ პოეზიას შეუძლია...

მაგრამ მიყვეთ ბატონი აკაკის საუბარს:

ლ.კ. - ბატონო აკაკი, რა მოგვით პირადად თქვენ ანა კალანდაძის პოეზიაში - როგორც პიროვნებას, როგორც მწერალს, როგორც შემოქმედს.

ა.ბ. - ძალიან ბევრი რამ და ძალიან მიჭირს ლაპარაკი, იმიტომ, რომ კონკრეტულად ამის ჩამოყალიბებას ვერ მოვახერხებ... რადგან ძალიან დიდია და ძალიან ფართო ანა კალანდაძის პოეზიის ვალებია და რაიმეს გამოყოფა, როგორც გითხარით, შეძენილება და ალბათ ვერც მოვახერხებ... მაგრამ მთვარი ის არის, რომ ის, რაც ანა კალანდაძემ მოიტანა ჩვენს პოეზიაში და, საერთოდ, ანა კალანდაძის ლიტერატურული, მოცემული სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა კითხულობ, შენც სხვა სამყაროში გადადიხარ, სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს ეზიარები. მართალია, ეს ნარმოსახეთი სინამდვილეა, ილუზიაა, მაგრამ ამ მშვენიერებას შეუძლია მინიერი ყოფის გაღამაზებაც და ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: როცა საყვედურს ამბობენ, მაშინ, კომუნისტურ ხანაში ქართული მწერლობა როგორც იქცეოდა, რას ამბობდაო და ამის გამო არის ერთი შეხლა-შემოხლა, მე მინდა გავიხსენო სწორედ ის დღე, როცა პირველად ნაკითხვს ანა კალანდაძის ლექსები მწერალთა კავშირში.

მე მიმაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე დიდი ამბოხება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ოღონდ სულიერი ამბოხება, იმიტომ, რომ ამ ლექსებმა და აი, ამ ახალგაზრდა

ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა. მაშინ ცოცხალი იყო გალაკიონ ტაბიძე, ცოცხალი იყო კოლაუ ნადირაძე, ცოცხალი იყო გიორგი ლეონიძე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და აი, იმ დიდ პოეტურ სამყაროს მიჩვეულ ადამიანებსაც კი სულ სხვანაირად დაანახა ანამ სინამდვილე. რაკი ის ახალგაზრდა იყო და ახალი თაობის აზრი მოჰქონდა და ახალი სინამდვილე მოჰქონდა, ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა, იმ ლიტერატურული ცხოვრების წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა და თან იყო ისეთი მძალეერი ამბოხება, რომ მას ვერაფერი შეერეოდა, ვერაფერი შეძლებდა მის გაბათილებას. ამას აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. ანა კალანდაძის პოეზიაში უდღევსი გარდატეხა მოახდინა მაშინდელი თაობის - როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის სულიერი ცხოვრებაში და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხითაც არის დასახაზი, გასახალისებელი ანა კალანდაძის გამორჩენა ჩვენს პოეზიაში.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ რატომღაც ჩვენში მოღვაძია, რომ გინდა თუ არა, მწერალი უნდა იყოს რადიციოსთვის მებრძოლი, მაგრამ სრულებით არ არის ეს აუცილებელი, თუმცა, თუ ასე იქნება, არც ეს არის ცუდი და კარგი; მე არ ვიცი, მაგალითად, ვის წინააღმდეგ, კონკრეტულად რომ თქვას კაცმა, რა სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლია, ვთქვათ, გოეთე ან თუნდაც რუსოაველი, რა სინამდვილის წინ-

ნაღმდეგ... ის არის მებრძოლი, თქვათ, იმ თვალსაზრისით რომ ადამიანის სული უნდა აამაღლოს, აიყვანოს ზევით... რაღაცნაირად ზიდი უნდა გადოს ადამიანსა და ღმერთს შორის. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მებრძოლია მაგრამ რომელ სინამდვილეს ებრძვის რუსთაველი "ვეფხისტყაოსანში", ამის ახსნა წარმოუდგენელია ალბათ, ამის მტკიცება, ან თებნა ამისა... ანდა გოეთე, რომელიც თანამედრობით მიწისტრი ვახტანგ, ძალიან კარგადაც ცხოვრობდა და ძალიანაც აფასებდა ამ თავის მიწისტრობას. იმ დროს, როდესაც გერმანიაში დიდი ატიოტატი იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ გერმანელ ახალგაზრდებს ებრძოლათ ნაპოლეონის წინააღმდეგ, გოეთე ძალიან მშვიდად იჯდა, სრულიად არ ანუხებდა ესა და, უფრო მეტიც, შვილიც კი არ გაუშვა და ფიქრობდა კარაც ისეთზე, რასაც არავითარი კონკრეტული მნიშვნელობა ალბათ იმდროისათვის არ ჰქონდა. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად აქვს აღწერილი თომას მანს რომანში - „დოქტორ ფაუსტუსი“: საზოგადოება ვერ გარკვეულა, რატომ არის ეს ბრძენი სულ გულგრილი ყველაფრისადმი, რაც მის გარშემოა და იმ მოვლენებისადმი, რომელიც ალბათ იმ კონკრეტული ვითარების გერმანიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ის საერთოდ არის დიადი, იმიტომ რომ იმ სიღიადებში სწორედ ადამიანის სულის ამაღლებაზე ფიქრობს და ფიქრობს, რომ ისეთი სამყარო შექმნას, რომელშიაც ადამიანი იცხოვრებს და როცა მის წიგნს აიღებს ხელში, დაავიწყდება ყველა ქუჩა და უბედურება, რაც მის გარშემოა...

აი, ამგვარი სამყარო შემოიტანა ანა კალანდაძემ და იმ სამყაროში ჩვენ ყველანი გაეთავისუფლდით საპინელიზმისაგან, რომელიც გარშემო გვქონდა დაწვეული ცხოვრების უბრალო წერილობრიდან, დამთავრებული დიდი, თუ გნებავთ, იდეოლოგიური ბატონობისაგან, ყველაფერ ამისგან გათავისუფლდით.

შემთხვევით არ ვახსენე წელან, რომ ცოცხლები იყვნენ ამ დროს ჩვენი მწერლობის კოლოსები, ისინი ქმნიდნენ, ისინი აქტიური შემოქმედნი იყვნენ... და აი, ამ ეპოქებში, მოდის სრულიად ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მოაქვს სრულიად ახალი სამყარო. ამ ახალ სამყაროში სიღამაზე და ოცნებაა... ისეთი სამყაროა, არავითარი ქუჩა რომ არ ეკარება ახლოს... და, უცნაოდ თავისუფლებით ყველაფერ იმისაგან, რაც თვენ განუხებს როგორც ადამიანს და გინდა, რომ არ იყოს ის შენს გარშემო და, ბუნებრივია, რომ შენშიაც არ იყოს. ეს არის, მე მგონი, ყველაზე დიდი ბრძოლა, ყველაზე დიდი

ამბოხება, რომელიც ადამიანს შეუძლია, რადგან ის არავის კლავს, არ ფეხსკეუბედურებს. ის ადამიანს ათავისუფლებს. ეს არის, ალბათ, ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ადამიანმა, როგორც შემოქმედმა, გააკეთოს... იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ბრძოლა მიმდინარეობს, ყოველგვარი - სისხლიანიცა და უსისხლოც, ქუჩაყვანიცა და სუფთაც, მაგრამ მაინც მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ამან შენს სულში გამოიწვიოს აღორძინება და ამ აღორძინების შედეგად გათავისუფლდეს იმ გარემოსაგან, რომელიც აკინებებს და ამცირებს ადამიანს... და ანა კალანდაძის პოეზიაში სწორედ ისეთი გარდატეხა მოახდინა ჩვენს სულში, რაც, ფიქრობ, ყოველი ადამიანისათვის აუცილებელია.

ერთი გადმოცემა არსებობს ასეთი: ეფთხაველა შინ ბრუნდებოდა და ყაჩაღების რაზმი დაესხა თავს, გაძარცვა მოუნდომეს... ხურჯინში ვერაფერი ნახეს, გარდა ქალადღებისა და როცა ყაჩაღმა დაათვალიერა ეს ქალადღები, - წერა-კითხვა არ იცოდა იმან და, - რა არის ესო და მე ვერაღწევს და რაღაცეებსო და ჩემი ნაწერებიაო. აბა ერთი, ნაძიკითხეო. და ვაჟამ ნაუკითხა „გოგოთურ და აფშინა“. არაფერი უთქვამს ყაჩაღს, როცა ეს პოემა დამთავრდა, ხურჯინი უკან დაუბრუნა, ცხენზე შეჯდა და წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ ვაჟამ წერილი მიიღო, რომ ამ პოემის ნაკითხვის შემდეგ ეს კაცი მასწავლებელი გახდა.

აი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ, იმიტომ, რომ ეს მართალია თუ ტყუილი, ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც იმ აზრს აქვს მნიშვნელობა, რომ მწერლობა სწორედ ის არის, რომელიც შენ გაიძულებს მოახდინო უზარმაზარი გარდატეხა შენს სულში და სხვა გადგე. როდესაც ამას აღწევს პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, თუ ვინც გნებავთ, ეს არის ყველაზე დიდი დამსახურება მისი და ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლენა. ვთქვათ, იმ გადმოცემის ავტორი, რომელიც ვაჟაზე ამას გვიამბობს, თუ ეს ნამდვილი არ არის და მოიგონა, ძალიან კარგად ხედავს მწერლის ამოცანას და ძალიან კარგად ხედავს სწორედ ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების ამოცანასა და ეს მე მაიძულებს, რომ სწორედ აი, ამ კუთხით შევხედო ყველაფერ იმას, რასაც ჩვენი მწერლობა აკეთებდა საერთოდ და დღესაც აკეთებს და კონკრეტულად, თუ გნებავთ, რა ღირებულება და მნიშვნელობა აქვს ანა კალანდაძის პოეზიას.

პოეზიას აქვს სწორედ ის უნარი, რომ როდესაც თქვენ კითხულობთ, აუცილებლად გინდათ, სხვანაირი გახდეთ, ცუდი

მოცილოთ და რაღაცნაირად ყველგვარ ამბლებულს ეზიაროთ. აი, ეს არის პოეზიის მისია და ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის, როდესაც ამას აღწევს პოეტი, უკვე თავისთავად დიდია მისი მნიშვნელობაც და მისი ნიჭის ძლიერებაც და ჩვენ არა მარტო მაშინ, როდესაც ის, ვთქვათ, პირველად გამოვიდა, არამედ ეხლაც, აი, ამგვარი ზემოქმედება ძალიან გეჭირდება, ძალიან მძიმე ვითარებაში უნდა იყოს ადამიანი, კონკრეტული პი-

ბატონ აკაკი ბაქრაძესთან შეხვედრების მომდევნო ფრანგენტი ოთარ ჭილაძის შემოქმედებას შეეხება. მაშინ, 1992 წლის თებერვალ-მარტში, ოთარ ჭილაძეს ბოლო რომანი — „აველუმი“ გამოქვეყნებული არ ჰქონდა, ამიტომ, ბუნებრივია, ბ-ნი აკაკის საუბარში ეს რომანი არსად იგულისხმება. ის მიმოიხილავს დანარჩენ რომანებს და ამ მიმოხილვაში ბ-ნი აკაკისთვის ჩვეული სიცხადით იცვლება მთავარი და არსებითი: ოთარ ჭილაძის რომანებში და, სხვათა შორის, პოეზიაშიც, უზარმაზარი დრო და სიერცევა განუფიქრო და წარმოდგენილი... მაგრამ ამ უზარმაზარი დროსა და სიერცის შესაბამისად სული არ იხლიჩება... სული ერთიანია, მთლიანი, განუყოფელი...

ეს აზრი საგულისხმოა დღევანდელი თვალსაზრისით, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რაც ჩვენში სულ უკანასკნელ ხანებში ხდება.

ჩვენ დღეს საკუთარ სულს ვკლავთ, განაგრძობს ბ-ნი აკაკი, ვკლავთ მშვენიერს, რაც ქართულ სამყაროში არსებობდა და ამ ცხედარზე გვინდა თავისუფალი საქართველოს ამუნება, რაც შეუძლებელია. პირიქით, მშვენიერს უნდა ამქნედეს სხვა დანარჩენი — თავისუფლებაც, დამოუკიდებლობაც, დემოკრატია, ეკონომიკაც და კულტურაც, განათლებაც. თუ მშვენიერება მოეკალით, ჩვენი ქვეყანა ოჯახადობის ქვეყნად გადაიქცევა.

თუმცა, მივყვით ისევ ბ-ნი აკაკის საუბარს:

ა.ბ. — მე ვფიქრობ, ოთარ ჭილაძე თანაბრად ძლიერია პროზასა და პოეზიაში. მართალია, მის პროზაში პოეტის ხელი ეტყობა და პოეტური ელემენტი ჭარბად არის მის პროზაში, მაგრამ ის ძალიან მძლავრად აზროვნებს კიდევაც და რომანებსაც ასე წერს. ასე რომ, მე მგონია, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა, რომ ის თანაბრად აელენს ნიჭს როგორც პოეზიაში, ისე პროზაში და სწორედ ერთი მთლიანი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ის სამყარო, რომელიც მან შექმნა, რადგან ამ სამყაროში ძალიან სერიოზული პრობლემებია ერთი მხრივ წარმოდგენილი და ასევე ძალიან საინტერესოდ არის ის სამყარო დახატული.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ოთარ ჭილაძე მოქმედების თვალსაზრისით შორეულ მოვლენებზე გველაპარაკება, მართალია, აქეთაც გადმოდის, აგერ, მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ეს ვრცელი დრო, დაწყებული, ვთქვათ, ძველი ანტიკური ეპოქიდან, როდესაც არგონავტების მითის ელემენტია მის რომანში განმეორებული და აგერ დღემდე, როდესაც ის, ვთქვათ, „კრინის თეატრი“; გვიამბობს არსებითად მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ამბებს, მაინც მთელ საქართველოს ისტორიას ამოლიანებს და ერთ მოდელს ქმნის იმ მოვლენებისას, რომელიც მისთვის, როგორც ავტორისთვის, საინტერესოა და ჩვენთვისაც საინტერესოს ხდის მას.

როგნება თუ მთელი ვრი, ვისაც ამის სურვილი არა აქვს და ვერც შეუძლია, ამას არავითარი ყურადღება არ შეატყვის და ამის მიმართ ყრუ დარჩეს. ეს გარემოება დამაფიქრებელია დღევანდელ ვითარებაში და როდესაც ამას კარგად გავაანალიზებთ, კიდევ განმეორდება, აი, ის სულიერი ამბობება, რომელიც მოხდა თავის დროზე, როდესაც პირველად გამოჩნდა ანა კალანდაძე სამწერლო ასპარეზზე.

ამიტომ, აი, ამ სამყაროში მოძრაობა ძნელია. რაკი დრო და სიერცევა ძალიან დიდია, ბუნებრივია, ის ადამიანებიც ძალიან მრავალფეროვანი არიან, ვინც ამაში მოქმედებენ და ერთბაშად, რაღაცნაირად უცხაოდ წარმოდგენა და დახასიათება მათი ძალიან ძნელი ხდება, რადგან ასკარად გრძობს, რომ კაცობრი უწყვეტია და ის ცალკე არ არსებობს...

ვთქვათ, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა...“, როცა ავტორი გარკვეულ ეპოქას ანახავს, ეს ეპოქა ეხმიანება აქეთა მოვლენებს. და რაკი ეს მთლიანობაშია, ამ უზარმაზარი სიერცისა და დროის წარმოდგენა და უცხაოდ რაღაცნაირი დახასიათება ძალიან ძნელდება. ძნელდება იმიტომ, რომ დაგეგმვა მრავალი ნიუანსი, დაგეგმვა მრავალი მნიშვნელოვანი მტრიხი... და ამ ვრცელ დროში მოძრაობაც ძნელია.

ეს ძნელია, ვთქვათ, მის ლექსებშიც, იმიტომ რომ ამ ლექსებშიც, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც კონკრეტული თემა აქვს მის კონკრეტულ ლექსს. მთლიანობაში როცა წარმოდგენს, აქაც დიდი სიერცის მოძრაობაა. „თიხის ზორფიტები“ და, ვთქვათ, მომდევნო, თუ გნებავთ, ჩვენს დროში დაწერილი ლექსებიც... შეხმიანება იმ მოვლენებთან, რომლებიც მას ანუხებს როგორც პოეტს... და აი, ესეც ერთმანეთს ამსგავსებს რომანსა და პოეზიას, რომანისტიკასა და პოეზიას და ამავე დროს ართულებს მის აღქმას, რადგან ძალიან ვრცელ სამყაროს მოიცავს ის და, ბუნებ-



რვიან, რომ როცა მკითხველი ამ ვრცელ სამყაროში მოძრაობს, მას ყველაფერის ცოდნა, ყველაფერის დანახვა აინტერესებს და უჭირს ეს, რადგან ძნელია ამისი აღქმა. თან გრძნობს იმას, რომ ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. არ შეიძლება რაიმე გამოტოვებული იქნეს, რაღაც მოუღენას არ მიეცევიყს ყურადღება, იმიტომ, რომ სწორედ ოთარ ქილაძის მთელი შემოქმედება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რასაც ჩვენ ეროვნულ თვალსაზრისს ვუნოდებთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ისტორიის მისებური მოდელი აქვს შექმნილი, ჩვენი დამოკიდებულებისა მოუღენათი მიმართ, ქართული დამოკიდებულების მოდელი აქვს შექმნილი და ამ მხრივ ის საინტერესოა, რადგან როგორც ავტორი, უკვე არა მარტო ამბებს გიყვება, არა რაღაც თავგადასავალს გიყვება, არამედ იმ ფილოსოფიასაც, რა ფილოსოფიითაა ქართველი კაცო ცხოვრობდა. და ამ ფილოსოფიას და ამ დამოკიდებულებას, ამ მსოფლმხედველობას თუ ცნობიერებას ძალიან დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს ყველაფერ იმის თვალსაზრისით, რაც დღეს ხდება, რადგან თუ ამას გაეთვალისწინებთ, მაშინ შეიძლება ძალიან სერიოზული პარალელი გავაელოთ იმ ამბებს შორის, რაც ანტიკურ ეპოქაში ხდებოდა და რაც ძველ დროში მოხდა დღევანდელთან შედარებით. თუ გნებავთ ის, რომ ზოროტებამ იმდენად მოიხდგა ფესვი, რომ ის მშვენიერება, რომელსაც დარიაზანგის ბალი ერქვა, გაქრა სადღაც და ის მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როდესაც შენ დაგიბრუნდება სულიერი სილამაზე... განა ეს დღევანდელი სურათი არ არის?

დღესაც ნაკიდა ჩვენგან ეს ბალი და, უბრალოდ, სულიერი სილამაზე გვეუფლება ჩვენ. მაგრამ როდის დაბრუნდება ეს ბალი... მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ იმ სულიერ სილამაზეს დავიბრუნებთ, რაც ასე იოლად გავიმეტეთ და გადავადგეთ.

მიუხედავად უზარმაზარი ეპოქისა, რომლის შეუც დვეს მომხდარი ამბები, ხელს არაფერს უშლის, არ უშლის იმის გემო, რომ სული ერთიანია, მთლიანია. აი, ეს სული არ იხლიჩება დროის შესაბამისად, ერთიანია... და რაკი ერთიანია, ცხადია, რომ ის წარსული და აწმყო ერთმანეთისგან დამორეული არ არის, ერთმანეთში არსებობს და აქედან გამომდინარე, შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ მომავალშიც ასე იქნება, რადგან განუყოფელია, ის ერთი მთლიანობა და მხოლოდ პირობითად შეიძლება უნოდო, რომ ის რაღაც ძველ დროში ხდებოდა და დღეს რაღაც ახალი ამბავი დღევანდელ დღეს ხდება, მაგრამ ის იგავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თუ პარაბოლა, რომ ყოველთვის დაიკარგება მშვენიერება,

თუ ადამიანი სულიერად გაბატონდება, რაც ლაიტმოტივად მიმაჩნია მე, არის უმთავრესი და არის წინა პლანზე წამრანავე, რადგან ეს ძალიან მტკივნეულია დღევანდელ ვითარებაში.

დღეს ჩვენ ვითომ თავისუფლებისათვის ვიბრძვით, ვითომ დემოკრატიისთვის ვიბრძვით, ვითომ ახალი საქართველოსათვის ვიბრძვით და სინამდვილეში ვებრძვით ყველაფერ მშვენიერს, რაც ქართულ სამყაროში არსებობდა. ჩვენ ამ მშვენიერის მოკვლა გვინდა და აი, ამ ცხედარზე მერე ვითომ თავისუფალი საქართველოს აგება. აი, ეს არის ყველაზე ტრაგიკული შეცდომა ჩემი აზრით, რომელიც დღეს მოსდის საქართველოს, იმიტომ, რომ არ შეიძლება მშვენიერის მოკვლა, პირიქით, მშვენიერზე უნდა ააშენო ყველა სხვა დანარჩენი – თავისუფლებაც, დემოკრატია, დამოუკიდებლობაც, ეკონომიკური სიუხვეცა და დოვლათიც... და რა თქმა უნდა, კულტურაც, განათლებაც და ყველაფერი... ეს მშვენიერებაზე უნდა აშენდეს და თუ ეს მშვენიერება მოკალი, მაშინ ყველაფერი დაიკარგება, მაშინ ეს ქვეყანა ოყაჯადოების ქვეყნად გადაიქცევა. და ეს არის ყველაზე საშიშროლი. მაშინ ივლის ეს ზურგზე ჩანთამოკიდებული კუსა, რომლის გამოჩენა და ჩანთის ხმაური მთელ სამყაროს ზაფრას სცემს. კუსა განმეორდა ჩვენს ცხოვრებაში. ესეც წინასწარმეტყველებაა. დღეს დადის კუსა თავისი ჩანთით საქართველოში და ყველას ეშინია მისი. ეს არის სწორედ ის, რაც მწერალს აქვს, როგორც განმჭერტეს, როგორც წინასწარმეტყველებს... ის კი არ ფიქრობს ამაზე და იქნებ არც საგანგებოდ იკონებს ამას, მაგრამ მის სულში არსებობს რაღაც, რომელიც მას აიძულებს, მოუღენა იწინასწარმეტყველოს და იმ მოუღენას თავისი ინტუიციით თუ სულიერი სამყაროთი თუ ემოციური სამყაროთი ჭერეტს, ხედავს და მერე გვეუბნება.

ეს ყველაფერი არის სწორედ ისე, რაც სჭირდება საქართველოს, სჭირდება ქართველ ხალხს და რისი დანახვაც მას არ სურს და, ვთქვათ, ითხოვს ისეთ რაღაცას, რაც მას ხელში უჭირავს და ვეღარ მიმხვდება. დაახლოებით ისე გვემართება, თურამაშლის პატრონი, ტყეში პანტას ეტებდაო. ჩვენ პანტას მიეღვეთ და თურამაშელი გვინდა გადავადგოთ... და აი, ეს არის ყველაზე ტრაგიკული, რაც დღევანდელ წინამდვილეში ხდება და როგორც აი, აქედან უნდა გამოფხიზლდეს ჩვენი ხალხი. აქედან რომ გამოფხიზლდება, მაშინ სხვა ვითარება შეიქმნება და სხვა სამყარო დაიხატება, შარა გამოჩნდება, ის გზა გამოჩნდება, რომლითაც უნდა ვიაროთ ჩვენ და მე ის სურათიც ძალიან მომონს, როდეს



საც, ვთქვათ, ციმბირში მიდის ბიძა იმი-სათვის, რომ ობოლი ძმისწული ჩამოიყვანოს თავის ქვეყანაში. ამაში არის რაღაცა სიმბოლური ხატი. ცალხელა, ავადმყოფი კაცი ეძებს თავის შთამომავლობას, ეძებს სიჯანსაღეს, რომელიც მას საშუალებას მისცემს, არსებობის გაგრძელებისას. ახლაც ასე უნდა მოხდეს: რაკი ჩვენ, აი, ამ ბრძოლისა თუ ნგრევის თუ უბედურების დროს ხორციელად დაეკნინდით, სული უნდა გადაეარჩინოთ და მოქცებნოთ ის ახალი თაობა, რომელიც გაათავისუფლებული იქნება ამისგან და მშვენიერების შეგრძნება ექნება. აი, ამგვარ სურათს ვხედავ მე ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში და აი, ამ ნიუანსს, იმ სელას განახლებისა და იმ მშვენიერებისაკენ, ურომლისოდაც ვერ მოახერხებს ვერც ქართიელი ხალხი ცხოვრებას და ვერც საქართველო, როგორც ქვეყანა. ეს ღირებული სწორედ აი, ამ მხრივ არის, ეს ტკივილი სწორედ ყველგან არის მის შემოქმედებაში, ლექსი იქნება თუ პროზაული ნაწარმოები, ეს ყველგან არის ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ დოზით. ესეც რაღაც ერთ შთაბრძნობაში არის მოქცეული და ამიტომ დაეწერე ერთხელ კიდევ, რომ შართალია, არ წერია რომანში, სად მიმდინარეობს მოქმედება, მაგრამ ძალიან კარგად იგრძნობა-მეთქი, რომ სიღნაღია და ვხედავ აქედან ალაზნის ველს, ვხედავ ყველაფერს... რატომ? იმიტომ, რომ ეს სამყარო გამოგონილია, ვთქვათ, ნაწარმის არის, ისტორიულია, მითოლოგიურია - ამას მნიშვნელობა არა აქვს... მწერალი ხედავს იმ სინამდვილეს, რომლის ნაწილი თვითონ არის და რაკი სინამდვილე თავისთავად არსებობს მასში, ის უკვე ირეკლება იმ რომანში და არ გჭირდება შენ კონკრეტული მითითება. დავუშვათ, ის იტყვის, რომ ეს ქალაქი ურუქია, მაგრამ შენ ძალიან კარგად იცი, რომ ეს სიღნაღია, რადგან აი, ეს ყველაფერში ჩანს, ყველა სურათში ჩანს... რადგან აქ პერიც კი იგრძნობა, ვთქვათ, ისეთი, ბურუსიანი სიერცე... სიღნაღიდან რომ ალაზნის ველს უფურებ და რაღაცა ბურუსშია ეს ყველაფერი, ვყარლისა და კავასიონის მთები რომ მოჩანს. აი, ეს ყველაფერი ჩანს ამ რომანებში. ჩანს ეს იმდენად რელიეფურად, რომ აკო, ვამბობ, არაფრის თქმა არ არის საჭირო, თავისთავად ხედავ, ვერ იტყვი, რომ ეს სხვაა, იმდენად რეალურია ეს ყველაფერი და ეს რეალურობა კიდევ ერთხელ აძლიერებს შემოქმედებას, რადგან შინაგანად ინყება გახსენებები მოვლენების, რომელიც ყოველ ადამიანთან არის დაკავშირებული და თანაც მიგნების სიხარულსაც ინყებს, აღტაცებას და აი ეს ძალიან ღირებულია, მხატვრული ნაწარმოების კითხვისას ეს ძალიან ღირებულია და

ამის განცდა ყველასა აქვს, ვინც იცის, უბრალოდ, მხატვრული ნაწარმოების კითხვა. ასევეა სხვა რომანებშიც. აქ, მაგალითად, მითითებულია უფრო, ვთქვათ, ბათუმი და მისი მიდამოები - „რკინის თვატრში“ მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რომ მითითებულია, მკითხველი გრძნობს სულ სხვა სივრცეს, ხელ სხვა სამყაროს, ყოფას, პაერს, და იმ ხელშეუხებელ პრომატს, რაც ყველა ადგილს ახლავს და ადამიანის ყოფას, ცხოვრებას და, თუ გნებავთ, კონკრეტული ადამიანის არსებობას ახლავს. ესაა სწორედ ის, რაც ინტიმურად გვაკავშირებს ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებთან, შენეულს ხდის მას და მასთან დამორება არ გინდა. აქედან მოდის ის ემოციური კავშირი, რაც აუცილებელია და რაც ყველაზე უფრო ღირებულია მხატვრული ნაწარმოებისათვის.

ლ.კ. - თანაც რა უდიდესი შრომაა განეული მართლაც და ჩვენი სულიერი ამაღლებისათვის...

ა.ბ. - გრანდიოზული შრომაა განეული... უდიდეს ნიჭიერებასთან ერთად უდიდესი შრომისმოყვარეობაა გამოვლენილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ლ.კ. - საოცარი, მართლა ძალიან დიდი მწერალია ოთარ ჭილაძე.

ა.ბ. - ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად დაუფასებლობისა, რასაც დევნიდა ილი სანოგაძეობა მწერლების მიმართ აულენს, დღეს ჩვენ სერიოზული მწერლობა გვაქვს და სერიოზული ნაწარმოებების პატრონები ვართ. არახოდეს არ ყოფილა ისე, რომ გაუთავებლად შედეგები ინერგობდეს ლიტერატურის ამა თუ იმ პერიოდში. ინერგება ჩვეულებრივი, ვთქვათ, ისეთი რამაც, რაც დროის გაელის შემდეგ აღარაეის ემახსოვრება და ინერგება ის, რაც ღირებულია. ის ღირებული ყოველთვის ცოტაა, ასე არ ყოფილა ნიჭიერება და კარგი ნაწარმოები... მაგრამ ის, რაც არის, ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ და ძალიან ღირებული და ძალიან არსებითი მნიშვნელობის მქონე. მაგრამ ამას ალბათ მომავალი უფრო კარგად დაინახავს და დააფასებს... ამბობენ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ამას სხვა თაობა და ინახავს და მერე შეიძლება ჩვენც დავინახოთ. როცა უფრო ღრმად მოხუცდება ადამიანი და ნაწარმის უფურება და ხედავს, რა გზა გაიარა მან, იქ სხვა მწვერვალები ამოიპართება და მერე ხედავს იმას... მაგრამ როდესაც ახლოს ხარ, მაშინ ამას ვერ დაინახავ. ეს თვითონ ხედვის სპეციფიკაა, როგორც ჩანს, და თავისებურება... მაგრამ თუ ჩაუფიქრდებით, ჩვენ შეგვიძლია იმის თქმა, რომ როგორც პირველი ნახევარი მე-20 საუკუნისა ქარ-

თული მწერლობა იყო მძლავრი, ისევე მძლავრია მეორე ნახევარიც და ამ მეორე ნახევარშიც ძალიან სერიოზული შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობს როგორც ლიტერატურაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში... და ის, რომ ნამდვილუმ ფეტვის მარცვლებით არ იყრება შედეგები, ეს არასდროს მომხდარა არცერთ ქვეყანაში და არასოდეს არ მოხდება. „ოდეს ტურფა გაიადფეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო“ – ამას აქვს თავისი კანონზომიერება.

ლ.კ. – თანაც, რა წლები იყო მათი ინტენსიური მოღვაწეობის წლები. რა პირობებში უზღებოდათ წერა... იგივე ოთარ ქილაძე რამდენ ხანს ითვლებოდა ევრეთნოდებულ „ახალგაზრდა პოეტად“. ამ თაობის მწერლებს, ვიდრე ორმოცდაათი წლისანი არ გახდნენ, ახალგაზრდებს უძახდნენ.

ა.ბ. – ასე იყო. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მაშინდელი მოდა იყო. რატომღაც ახალი ცნებები გაჩნდა – „ახალგაზრდა“, „ხანდაზმული“, „შუახნისა“ და ასე შემდეგ... ეს ალბათ გამონეუელი იყო იმით,

რომ თვითონ პოლიტიკური ცხოვრება მითხოვდა, დაეხარისხებინა ადამიანები ასაკის მიხედვით თუ რომელიმე სხვა ნიშნის მიხედვით. თავისთავად, შე „შუახნისა“, შე მოქმედებაში, საერთოდ, და, კერძოდ, ლიტერატურაში ასაკის ცნება არ არსებობს. ის წლის ბარათაშვილია „შემოღამება მთანდამინდაზეს“ ავტორი და 80 წლის გოეთე არის ავტორი ისეთი ლექსებისა, როგორიცაა – „დადუმებულან მთები, ველები...“ ერთი ხანდაზმულობაში სრულიად ყმანვილის თვისებას ამგლავნებს და მეორე სრულიად ახალგაზრდა ბავშვი ხანდაზმულის სიბრძნეს აელენს. ასე რომ, შემოქმედებაში ნიქია მთავარი და ეს ნიქი ელინდება მაშინაც, როცა ავტორი ახალგაზრდა და ელინდება, როცა ბებერი. მთავარია თვითონ ნიქის არსებობა, აი, ეს არის მთავარი. ის იარღიყვი – ახალგაზრდა პოეტი, ახალგაზრდა მწერალი და სხვა ამგვარი, დროის ნიშანი იყო, ნარმავეალი მოვლენა, რომელიც დღეს აღარც კი ახსოვთ. კი, წაეიდა ეს ყველაფერი და დარჩა სერიოზული შემოქმედება...

პუბლიკაცია მოამზადა  
ლემარა კიკილაშვილმა

# ბრიგოლ ლორთქიფანიძის ნატილი მარიამ ორახელაშვილს

ენიანიტყვაოვა

მე-20 საუკუნის უკანასკნელ წლებში დიდი ინტერესი გამოიწვია იმდროინდელი ცნობილი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, სამხედრო და განათლების მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის პიროვნებამ. ჩვენ არ შეუდგებით მისი ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განხილვას. ამის შესახებ ბევრჯერ დაინერსა საფურნალო თუ საგაზეთო სტატიებში, თუნდაც, ამას წინათ ეურნალ „მნათობში“.

გრ. ლორთქიფანიძე თავის შემოქმედებაში არაერთხელ შეეხო ქვეყნისთვის და საბელ-მნიფოსთვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა მავალითად: ეროვნული საკითხი, სოფელი და გლეხი, ქალაქი, პოლიტიკური რეპრესიები და სხვა. დიდ ყურადღებას იპყრობს მისი მეტყველებანი ეროვნულ საკითხზე.

გრ. ლორთქიფანიძე ეროვნულ საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებით გამოყოფს ქართული ენისადმი დამოკიდებულებას: „საქართველოში ქართული ენა არა სიტყვით, დეკრეტით, დეკლარაციით, არამედ საქმით, ნამდვილი საქმით უნდა შეიქმნეს ნამდვილ საბელმნიფო ენად სრულიად საბჭოთა საქართველოს საზღვრებში ყველგან და ყველა დანესებულეებში. ქართული ენა, კულტურა, მეცნიერება, განსაკუთრებული მფარველობის საგნად უნდა გადაიკცეს, ავტონომიურ ოლქებში და ეროვნულ რაიონებში. საქართველოში უნდა იქნეს ერთად ერთი საბელმნიფო ენა და გარდა ამისა, ადგილობრივი ეროვნული უმცირესობათა ენა, როგორც ადგილობრივი და დამხმარე ენა“.

სწორედ შიშობლიურ ენაზე ფიქრს ადასტურებს სქელყდაიანი საერთო რეეული, რომელშიც ქართული ენის, ძირითადად, ტერმინოლოგიისა და აგრეთვე გრამატიკის ზოგი საკითხია განხილული.

საინტერესოა გრ. ლორთქიფანიძის წერილი მარიამ ორახელაშვილისადმი.

მარიამ ორახელაშვილი (ქალიშვილობაში მიქელაძე) (1887-1937 წ.წ.) იყო რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე საქართველოსა და კავკასიაში. მოღვაწეობდა პარტიის წევრი 1906-დან. დაამთავრა პეტერბურგის უცხო ენათა ორწლიანი ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი. შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პეტერბურგის ბესტუფევის ქალთა უმაღლეს კურსებზე, შემდეგ პარიზის უნივერსიტეტში.

მარიამ ორახელაშვილი I მსოფლიო ომის (1914-18 წ.წ.) დროს ელადაკავაში, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, პარტიულ მუშაობას ეწეოდა. 1918 წლიდან პედაგოგიური და რევოლუციური მოღვაწეობა განაგრძო ქუთაისში, ხოლო 1920 წ. მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად, იყო ბაქოში აღმოსავლეთის ბაღთა ყრილობის მონაწილე, საქართველოს ცკ(მ) ცკ-ის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს განათლების საბაღთა კომისარო. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორობით გამოდიოდა ფურნალები: „მშრომელი ქალი“, „კულტუროიტელსტვი“, „ნიუელი სხივი“, „პედაგოგიკოე ობრაზოვანიე“, და სხვა. 1924 წ. მონაწილეობდა კომუნისტ ქალთა III საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. დაჯილდოებულაა შრომის ნიუელი დროშის ორდენით.

წერილის დედანი მოძიებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის არქივის მასალებში. წერილი ქვეყნდება პირველად, მცირეოდენი შემოკლებით, სტილი და პუნქტუაცია დატულია.

ბრიგოლ ზარაშ

## პატივემული ქალბატონო მარიამ!

თუ ძალზე სასწყნათ დავიგროვითის გარემოება, რომ რამდენიმე წუთის ნაგართმეეთ ამ ბართის ნაკითხვით, წინდანიწვე გთხოვთ მამატილი. პირადათ მუ თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ გვაგონილი გექნებათ ჩემი ვინაობა, რადგან, თემცა ძლიერ ცოტა დროით, ხელმძღვანელად ვითვლებოდი იმ საქმისა, რომელსაც 1921 წლიდან თქვენ და ბატონი დ. კანდელაკი მზრუნველობდით.

კარგახნისწინეთ ნავიკითხეთ ქვეყნიწერილი „სახალხო განათლების საქმე საბჭოთა აჭარისტანში“ და ერთბაშად ამ წერილისადმი გამოხმარებისტინამა ამიტანა, მაგრამ ეს უნიდაესძლიე — უნაყოფოდ რატომ უნდა შემწუნებინეთ, ხოლო სხვა არა და ფორმა გამოხმარებისა, როგორც მოგესხენებათ არ არსებობს. დიახ, მაშინ ეს უნი დაესძლიე, მაგრამ ამ რამდენიმე დღისწინათ აჭარისტანის გასატოების ექვსიწლითუ-



ბილეს ვამო ვაწეთების მიმოხილვებმა და წერილებმა ხელახლა აღმოძრეს სურვილი იმ თქვენსაყურადღებო წერილს ვამოვცხმავო.

უნდა მოვახსენოთ, რომ ამ თქვენსა წერილმა შუამოგონა ვროვნულად (თქვენ იტყვიან) ანციონალისტური-იმპერიალისტურად“ ისე მოქალაქეობრივ-სოციალისტურად ანუ თქვენი კვალიფიკაციის – „სოციალ-გამყიდველურად“) და, აი, რატო.

რეცნ, თქვენ და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთის საბჭოთა აღმოსავლურ პოლიტიკას, ვგრძელ ნოდებულ („მოქ.კ“) აღმოსავლეთ ზვარაკად შეწერა სომხეთი და ნაწილობრივ საქართველო. ეს საბინელები ისტორიული ფაქტია, მაგრამ რა გაცნობა. ასეთი ყოფილა სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ბედი. დავუშვათ რომ ასეთი უნდა ყოფილიყო აუცილებლად იმ ხანებში სოციალისტური რევოლუციის შინს თანმშლები შავი წერტილები მწარე ვრისასები. მგვონა, რომ საქართველომ უკვე გამოიძინა საერთოდ ისლამურ და კერძოდ თურქულ სამსხვერპლოზე ვამო, რამდენი სისხლი, მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ ყოფილა, და ამ მთავარ ამბავს თქვენი წერილიდან ვგებულობ.

თქვენი სიტყვით, აჭარისტანად ნოდებული აჭარა ცალკე ანაციონალური რესპუბლიკა ყოფილა. ჰათუმში მცხოვრებ ყველა ვროვნების ბავშვები ვარდა აჭარლებისა სწავლობენ“ და სხვა. შემდეგ თქვენ მოგვითხრობთ, რომ აჭარისტანის განსაჯილების პირველ ხანებში ნებადართული იყო საღვთო სჯულის სწავლება. ეხლაც დართული აქვთ ნება, ხოლო თვით მცხოვრებთა ხარჯით, 15 შეწევითან ამდენივე მედრესეარსებობს, სადაც თურქები ისწავლიანო, ვარდა ამისა, თქვენი ცნობით, აჭარისტანის სკოლების პირველ საფეხურში შემოდებული ყოფილა საგადებულო სასწავლად თურქული ენა, რომელსაც, თურმე იგივე ხოვები და თურქი მასწავლებლები ასწავლიან, რადგანაც ხოვები თურქულ ენას თან ვურჩიანაც კონდრანანდით ვრისადიც, თქვენ სევითი საკითხს ასე: თუ საქორთა თურქულის სწავლება, მაშინ მეორე საფეხურშიაც შემოვილით, რათა ის მალური ენის საბჭოთა მასწავლებლები მოეპყნადითო... და ბოლოს, თქვენი წერილი შემდეგი დავუგრძებელი სტრიქონებით სრულდება: ეხლა საუკეთესო ქართველი მასწავლებლები მუშაობენ აჭარაში. მაგრამ ეს დროებითია სანამ აჭარელი შედგავიან არ იქნებიან სათანადოდ მომზადებულნი. ხოლო ამ საოცარი სტრიქონებს ზევით მეტად ასასიამოვნო და დამამშვიდებელ“ ამბავს მოგვითხრობთ იმის შესახებ, რომ საქართველოსა და აჭარას შორის საომარი ურთიერთობა არ ყოფილა, თურმე ამ კორმეზობელ სახელმწიფოთა შორის წრმალური მემორანდუმის ურთიერთობა არსებულა: აჭარისტანისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთა შორის ურთიერთობა ძალიან კარგია“ო. და, ასე წარმოიდგინეთ, ურთიერთ ინფორმაცია და გამოცდილებების ვაზარებაც“ კი არ ვერბულა (დაახლოებით ისე როგორც განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში – არა? ვრლ.)

პირველ ყოვლისა, აჭარა არის ეჭვრი და ქვეს არც არავის ტანნი“ და არც დღეს დასაბუთოებულად არ ესაჭიროებოდა. ამანანტის ქვეს ამბავს ამბავებს რომ კითხვით, მთლიანი საქართველო სრულადაც არ არსებობს, არსებობდეს ოსმალეთის პროტექტორატთან დროებით განდგომილნი, ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი მეგრე-ლისტანი, გურიისტანი, გურჯისტანი და სხვა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, აბდულგამიძისა და მის დროებით შენითლებულ მემკვიდრეთა ტერმინოლოგია არ უნდა იყვეს სავალდებულო ჩვენთვის.

მეორე. არავითარი აჭარელი ერთი და ვროვნება არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. თვით ოსმალეთის ფაშების ბობოლა ავგენტი, თქვენი და თქვენი მეგობრების თანამოღვანე, თასიმ ბიშმი-აშულიცი კი ვერ ბედავდა და ბედავს წინააღმდეგის თქმას (წაკითხეთ მისი წერილები ამ საკითხზე)“ სამცხეში ქართველობა სარწმუნოების შირიკი იყოთ მართლმადიდებლებად, მაშინდა იხება, ყათოლიკეება და მოსეს სჯულის ქართველობად (რამდენადაც ვიცი იქ ქართველი გრიგორიანები ძლიერ ცოტანი არიან); ხოლო აჭარის ქართველობა სარწმუნოების შირიკი ორ მთავარ თემში წარმოადგენენ: მაშინდა იხება და მართლმადიდებლებს. რა თქმა უნდა აჭარა არავითარ საქართველოდან განცალკევებულ ვროვნულ რესპუბლიკას არ წარმოადგენს და ვერც წარმოადგენს. წინააღმდეგის მტკიცება – ეს უბრალო პანისლავისტური ტორი თუ ზღაპარი, პირახული თურქულ დესპოტური მსუნაგი იმპერიალიზმა და მტვი არაფერი. აჭარის განსაკუთრებული თვითმმართველობა გამომხვეულია მისი რელიგიური საფუძვლით. ცეცხლითა და მახვილით ამოვლიტა ისლამმა ქართველი მოდგმის უდიდესი ნაწილი, ამავე ცეცხლით და მახვილით ვადარჯულეს და სულითა და ხორციით დააბნავეს მუსლიმან დესპოტიზმა ერთი ნაწილი ქართველი ხალხის, და არა მგონია, რომ ამ სამინიდედ დესპოტიზმის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა, ვაგრძელება და ვაღრმავება საბჭოთა სკოლის და საერთოდ საბჭოთა წყობილების სოციალისტურ და ინტერნაციონალურ მოვალეობის შეადგენდეს.

ამა, მიზრძინეთ ერთი, რა მოხებულა თურქული ენა ბათუმის ოლქის სკოლებში? რა აქვს საერთო აჭარასა და აჭარებს ოსმალეთთან ვარდა იმისა, რომ უკანასკნელი პირველთა საბინელის ისტორიული ვჯალათები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით ვურანის რეული მიაღებინეს. კარგი, ბატონო, მათ აქვთ ეხლა საერთო რელიგია, მაგრამ მაშინდის რელიგია მრავალ სხვა და სხვა ვრს აქვს: თურქებს, არაბებს, სპარსელებს, ეგვიპტელებს, ინდუსებს (ნაწილობრივ), აღბანელებს (ნაწილობრივ), სერბებს (ბოსნიამი) და სხვა. როგორც ვედავთ ამ ხალხებს თათვის ვროვნული სახეები აქვთ და ისლამს ისინი არ ვაგუთურქებია. რა შუამთა თურქული ენა? თუ წარწმუნოების საქმე მოითხოვს, მაშინ კიდევ, პო, არაბული ენის შესახებ შეიძლება და ჰარაკი. თუმცა ისიც სათქმელია: ნუთუ თქვენი რევოლუციონერ-



რობა, რადიკალიზმი და ახალთა ოპოზიციონერიზმი ნინალმდევე ბრძოლის გამომდებლობა ისე დუნდება ანგორის სათრით, რომ ვეროპის ბურჟუაზიულ-რადიკალურ მთავრობებსა და თვით ქვემალზე (რასაკვირველია „მინაოს მღვთისათვის“ აქარა, მესხეთი, ჯვანეთი, ბორჩალო, ნახიჩევანი, აზერბაიჯანი და სხვა, ეს ხომ „კარგეშე ოსმალეთი“), უფრო სუსტნი ხდებიან როდესაც საქმე ყურანის ენება. ვველა ლმურთები და მათი ნინანარმეტ-ველები რომ დაამხევი, ამ აღახსა და მის მაჰმადს რას ერიდებთ ასე უცნაურად? ხოლო თურქულ ენას სრულიად ანგორი ესაქმება არც აქარასა და არც გურისს, არც ქობულეთისა და არც მესხეთის, და არც საერთოდ საქართველოს სკოლებში, გარდა უნივერსიტეტის სპეციალური კათედრისა და სხვა.

საქართველოს ბები ისე ნაივია, რომ რუსული ენა საბჭოურ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ბრუნდება ჩვენს სკოლაში და დღითი დღე ახალ პოზიციებს იღებს, ის ლამოხს თავის ძველი მდგომარეობის დაბრუნებას. მან უკვე მტკნალიად განდევნა ქართულ სკოლიდან ევროპული ენები და მათ ადგლის ოქრს. ვველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც თვით რუსეთი თავის საკუთარ ქვეყანასა და სკოლებში მძლავრად ანეხითარებს ევროპული ენების სწავლებას. გუ-ლანბრევილითათვის ვასაოცარი ამბავი ხდება: კოსტრომიელი და პერმელი რუსის ბავშვები, რომელთა უმრავლესობა ვერც ზღვასა და ვერც ევროპელებს თავის სიცოცხლეში ვერ ნახავენ, გამალეებით სწავლობენ ევროპულ ენებს, ხოლო ბათუმელი და ფოთელი ქართველები ბავშვები, რომელნიც ზედ ევროპის შარავ ხაზე ცხოვრობენ და ყოველ ცისშარვ დღე ათობით ხედავენ ევროპულ გემებსა და მათ ეკიპაგებს რატომღაც ევროპულ ენების მაგიერ კოსტრომიელისა და პერმელების ენას უნდა „ზურავდენენ“. კარგი, ჩემი ბატონო, ამას უნდა შეურიგდეთ და დავმორჩილდეთ, რადგან ასეთი, საკვირველი ყოფილან გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა“. მაგრამ ეს მინც გვაკმარავს. მსცოვანი ქართველი პოეტრი ერემწარავად ოხუნჯობდა: „თავიშევეულს გაეცეცით, თავნი-თელმა დაგვიჭირო“. ეს მდგომარეობა მინც აღადგინეთ. ამ „თავნითელს“ ვეცმობით და ვემ-სახურებთ, მტკავ ზათორას. მაგრამ ამ „თავ-შევეულსაც“ ამევე დოროს „ბალი ღლა“ რატომღა უნდა ვუძახოთ? ბატონო რუსულ ენას რაც ძალი და ღონე გუჯუნება ვიზეპირებთ, მას ოსმალურ-თან შედარებით ერთგვარი ღირებულება აქვს, მაგრამ ინამეთ ღმერთი (რასაკვირველი კომუ-ნიკატრი ღმერთი – მიხეილ კახიანის ნაკვესი რომ ვიხმაროთ) და თურქული ენის სწავლები-დან მინც გვანთავისუფლეთ ქართველი ბავ-შეები, განურჩევლად მათი მშობლებისა და ნინა-პართა სარწმუნოებისა. სახილად აღეთქვიპით, რომ გუჯუმის ოქტომბრის რევოლუციის წმინდა ენის უპირატესობა ინგლისურ-ფრანგულ-გერ-მანულ და სხვა ბურჟუაზიულ ენებთან შედარე-ბით და კიდევ ვეცდებით მის სწავლას, მაგრამ თუ კიდევ მას თურქულიც დაუბატეთ, ღმერ-

თმანი, ვვლარ გაუძლებს ამის ვერც ერთიველი ბავშვი და ვერც ქართული კულტურა. საბჭოთა საქართველოს ქართველ სკოლებში მინც ვავ-ვანთავისუფლეთ ოსმალეთთან ბავშვობის ენას. ეს მინც შეასრულეთ რამენაირად და არამც თუ ნართმულ ვიქეთიზარადვს ვიტყვით, არამედ იმზუდავ ვავშეებთ, რომ ამბოლო დროს რე-სეთმა უკვე კონსტიტუციონერულად დაუშტკი-ცა რუსულ ენას თვით აფხაზეთი და საბურზა-ვანი...

უკაცრავად სტვტვა გამიგრძელდა დაუბრუნ-დეთ ისე თქვენი წერილის ძირითად თემს. კი-მორებარავითარი განსაკუთრებული აქარელი, ახალციხელი ან ქობულეთელი ვრი, ანუ ნაციბ არ არსებობს და არც იარსებებს. არსებობს ქარ-თველი ვრი, რომელიც რამდენადაც ვერ ის რე-დვიგის მისდევს, დანალიზებული სარწმუნოე-ბის მხრივ მართლმადიდებლად, მაჰმადიანებად, კათოლიკებად, გრიგორიანებად, მოსესარჯულის აღმზარებლებად, თთქმის ყველა ამით საკმა-ოდ ახლეთ ნარმართული რელიგიის ადით ნესე-ბი და სხვა.

ალბანეთის ვრს თუ შეუძლია თავის თავი ერთ ნაციბ იცნოს, თუ ალბანელი კათოლიკები, მაჰ-მადიანები და მართლმადიდებელნი მთლიან ერთვულ ოჯახით არის ნაციბის ყველას მიერ, თუ ამმედ ზოგუს სანყალ ალბანეთის შეუძლია ასეთ ერთვულ, ზერელიგოურ, ერთობის სიმად-ლე ზეგრძმოს თავის თავი, ნუთუ მახარაძისა და ცხაკაის, ორახელიშვილისა და ელიავას მიერ ზელმძღვანებული საქართველოს ერთვულ მე-ობისა და მძელაქობრობის მსგებლად ისე დაკ-ნინდა და ისე ძალა მიხდილია, რომ რელიგოურ და სექტანტურ პრინციპების წინ დაიქოქა? ნუ-თუ ასეთ ყოფამიზავარდა თამარისა და რუსთვე-ლის საქართველო მივიც საუკუნეში?

პატრივემული, ქალბატონო მარიამ, აბა ერთი მიბრძანეთ – რომელ ნაციბს ვეუთენის, ან რომელ ერთვულ რესპუბლიკის მოქალაქე უნდა იყვეს თქვენი გვარის კაცი, როგორც თქვენი თეორა-ბეთის, ან ოსმალეთის მხოლოდ იმიტომ რომ მას სახელად ფარხადანი კი არა ოსმანი ჰქვია. ან კი-დევ იმავე აქარის სახალხო განათლების მეთა-ური, თქვენი მიერ ქებული, ჩემი გვარის კაცი (და რამდენადაც ვიცი ნათესავი) სულიმინა ღორ-თქიფინიძე იმიტომ უნდა იქნას თურქად აღი-არებული, რომ მას სოლომონი კი არა სულეიმანი ჰქვია, და მისმა შაჰამ, თუ შაჰის მამამ დაახლო-ებით გასული საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მა-გიერ მაჰმადიანთა (ხოლო სულეიმანს უნდა ვი-ფიქროთ, არც ერთი სწამს არც მეორე) ამ ჩემ სახლის კაცს შეუძლია თავის თავი გინდ თურქად, გინდ ჩინულად ჩათვალოს – ეს მისი საწევა – მა-გრამ ამ შემთხვევაში მან უცხოელის პასპორტი აიღოს სათანადო დანესტებულებაში და ამ პას-პორტით იცხოვროს საქართველოში [თუ კი მას ეს სურს] და არა სახალხო კომისრის მონაშობითა და თანამდებობით...

მესხეთი ახალციხით, აქარა-ქობულეთი ბა-თუმით ან იქნებინა საქართველოს განუყრელი,



ორგანულად შეხორცებული ნაწილები, ანდა საქართველო არ იქნება. შესაძლებელია ეს უკანასკნელიც მოხდეს: ვინ იცის — იქნებ ახლად მოვარდნილმა ისლამურმა ტალღამ საბოლოოდ მაღლინოს თავის მიზანს კავკასიაში, ესე იგი... კავკასია საბოლოოდ განმინდოს ქართველ და სომეხი ერების ნაშთებისადგან. რა გავწყობა, თუ კი ასეთი რამ აკვირვია ბედის ნიგში? მაგრამ თქვენ, თქვენ კი როდის გადათავებთ ამ საკითხის უშუალოდ ლეჭვასა და ცოხნას? როდის მოეღება ბოლო თქვენი პოლიტიკის ყოველად უშუალო და უილაჯო ორჭოფობას, როგორც მაგალითად, გამოსტყვივის თქვენი ნეკილის ყოველ სტრიქონში? როდის დაწყნარდება ეს თქვენი დაუსრულებელი „თუ“ და „სათუოება“ საქართველოსთვის ყოფნა არყოფნის საკითხში?

კითხვა ასე დგას: ქართველ ერს, თუმცა არა საცხებით და საკმარისად მცირამ, ავად თუ კარგად, თავის ეროვნული სახე და მეობა დაუბრუნდება. საქართველოს კარგა მოზრდილი ოსმალეთის დარჩა (გარდა ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის კუთხეებისა, რომელნიც რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებში დარჩნენ) საქართველოს თითქმის უნდა მისცემოდა საშუალება რომ თავის სხეულის თავზე ნატანჯი და საშინელი ისლამური დესპოტიზმით განანამები ნაწილები რამდენიმე დამინც მოეშუშებია. თუ სხვა არა, სამცხე, აჭარა, ქობულეთი მაინც გაანათლოს, მოასულიეროს, შეიბორცოს და შეიდედოს საქართველოში. ამ თავის დაზარალებულ შეოლებს შეტის ყურადღებით და შეტეგარჯის განკეთით უნდა მიხედოს საქართველომ, ვიდრე გურიას, იმერეთსა, აფხაზეთსა და სხვას. ეს სრულიად უდაო რამ არის. თქვენ კი თქვენი ორჭოფობით უშუალებით ძველ იარებს და ქრილობებს ამ რაიონებს. პირიქით, ვერ უგვირგვინო ხონთარებებს, ყოველად უსაფუძვლო და უაზრო მომით (თითქმის 1921 წელს ცხოვრობდები) კიდევ უფრო ამიხეზებთ და ამსივცნებთ თურქულოსა და

მურქრილობებს ქართულ სხეულზე ქართველი ხალხი, რასაკერეულია შოკო ქაქუცაძე, მთავარი თხოვს თქვენგან, რომ ახალციხეში მძევლიძეები და აქარული ღლოთიქიფანიძეები წაყაროთ ჯავის წყალში და აქარის წყალში რათა ხელახლა ქრისტიანულად გადმონათლოთ, მაგრამ ერთრამს კი უეჭველად მტკიცედ მოითხოვს — დაანუბეთ თავი და აქტიურად შეებრძოლებით იმ მსუნაგ პანისლამისტური მპერალიზმს, რომელიც დღესაც განაგრძობს ქართველ მაჰმადიანთა თურქულ აზროვნებაში გადანათელას! არავითარი ისლამური მფერესები და არც სხეარჯულის სამრეცლოს კოლები არსტორია საქართველოს დღეს დაე საქართველოს კულტურის ისტორიულ აკვანში, მას სამხურთ-დასავლეთ მხარეში, ხელახლა დაიბრუნეს რევოლუციის მიერ ახლად აღორძინებული ქართული კულტურის თავისუფალი აკვანში უნდა აცუაფდეს და გამძღაერდეს ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული განათლება საქართველოს ამ კუთხეებში!

ამას მოითხოვს თქვენგან და თქვენ თანამართველთაგან არამარტო ისტორია და თანამედროება, არა მარტო ქართველი ხალხი და საქართველო, არამედ თქვენი საკუთარი ირმუნა და მოქალაქეობრივი სინდისიც, თუ კი, რა თქმა უნდა, რასაც სიტყვით ამბობთ, მეტწილად მაინც გნამო. თუ კი მეტწილად მაინც შეგიძლიათ კულტურული სიყვარული და პატოსანი სიძულელი.

ქალბატონო მარიამ, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს თუ ამ გრძელი წერილით თავი შეგანუწინეთ.

დასასრულ გისურვებთ, რომ თქვენი პირადი (რამდენადაც ეიცო) და უმრეტელი ენერგია არამც თუ საზარალო არ ყოფილიყოს ხსენებულ კუთხეთა განათლების საქმეში, არამედ მომავალ ისტორიკოსს სამართლიანად დაეკავშირებინოს თქვენი სახელთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-კულტურული აღორძინებისა და განახლების ნათელი და დიადი მოთხრობა.

**პატივისცემით ბრიტოლ ლორთქიფანიძე**  
*რუსეთი, ქალაქი კურსკი,*  
*ბოლშევიკების ქუჩა № 27*  
 1927 წელი, მარტი 29.

შეგიხსენებ

1. გრიგოლ ლორთქიფანიძე — წერილი თეოდორ ღლონკს წინასიგყვაობა გრიგოლ მარქუისი, კურს „წილობა“, 1999 წ. № 1-2, გვ. 125-127.
2. გრ. ლორთქიფანიძე, დასას ნაშრომა გვ. 290.
3. გრ. მარქუა, ერის გყელი გრიგოლ ლორთქიფანიძის გყიელია, გამ. „ერთობა“, 1997 წ. № 5 გვ. 4.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, 1984 წ. გვ. 553.
5. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, საქმის დასახელება: Материалы Вскрышашние работы антисоветшарты, ფ. № 14, ა. № 196, ოთ. № 1, გვ. 346-353.
6. მარიამ ორაბელაშვილი, სიხადო განათლების საქმეობთა აჭარისგანში, გამ. „კომუნისთი“, 1927 წ. № 34, გვ. 3
7. თ. ხმშიამიელი, მწფის საკითხი აჭარისგანში (მწწა და აჭარული), გამ. „კომუნისტი“, 1923 წ. № 111 გვ. 1, № 112, გვ. 2; თ. ხმშიამიელი, ნაციონალური საკითხი აჭარისგანში (მუშაობა კულტურულ ფრონტზე), გამ. „კომუნისტი“, 1923 წ. № 117 გვ. 1, № 118, გვ. 1

## მითოლოგია — არქაული საზოგადოების აზროვნების წესი

არქაულ ხანაში შეიქმნა პირველი ადამიანური მიკროკოსმი, სადაც მიმდინარეობდა ადამიანთა კოლექტივის ცხოვრება, ყალიბდებოდა ყოფა, წეს-ჩვეულებანი. აქ შეეცადა ადამიანი შეეცნო საკუთარი თავი, გაეაზრებინა სინამდვილე, გამოემუშავებინა გარკვეული ნარმოდგენები სამყაროზე, მასში მოქმედ ძალებზე, განესაზღვრა თავისი ადგილი ამ სამყაროში. აქვე დაიწყო ადამიანმა სამყაროს კულტურული ათვისება, დროის, სივრცისა და სხვა კატეგორიების გააზრება, მათი „ცნებითი მოდელის“ შექმნა, უნასთან დაკავშირება, რაც დროისა და სივრცის „პოპინაურების“ პროცესის დასაწყისად არის მიჩნეული.<sup>1</sup>

თანდათან ყალიბდებოდა ადამიანთა ცნობიერება, ანუ იქმნებოდა მითი, როგორც აზროვნების წესი, როგორც მსოფლალქმის ფორმა, როგორც საზოგადოებრივი მოქმედი მძლავრი ძალა, რომელიც კოდიფიცირებას უქმნიდა რწმენას, განამტკიცებდა რიტუალების ელექტურობას.

არქაული ადამიანის აზროვნება უაღრესად თავისებური იყო. იგი ვერ გამოყოფდა თავს გარე სამყაროდან, ვერ ხედავდა განსხვავებას ბუნებასა და საკუთარ თავს შორის, ვერ ანსხვავებდა სუბიექტსა და ობიექტს, მატერიალურსა და იდეალურს, მთელსა და ნაწილს, საგანსა და მის ნიშანს, სიტყვასა და ქმედებას, ვერ თიშავდა მიმართებებს სივრცესა და დროში, ვერ სწვდებოდა მოვლენის არსს. ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკური არ იყო გამოყოფილი ემოციური სფეროსგან, რის გამოც მისი აზროვნება ანაცნობიერი იყო და მხოლოდ აღქმას, გრძობას, მეტაფორულ და მეტონიმურ ასოციაციებს ემყარებოდა. გრძობებზე დამყარებულ, სპონტანურად აღმოცენებულ შთაბეჭდილებებს კონკრეტული ხატების, სიმბოლოების სახე ეძლეოდა. ამგვარ აზროვნებაში, მთელი სისრულით მოქმედებდა აპურპაციის, ანუ თანაზიარების პრინციპი, რომელიც გულგრილი იყო ნინამდვილეობათა მიმართ და თავისებურად ახერხებდა ასოციაციებს, საგნებსა თუ მოვლენებს შორის არსებულ კავშირების მონუსტრივებას.<sup>2</sup>

არქაულ ხანაში, სამყაროს ვიზუალური აღქმის საფუძველს ადამიანის ხედვის დინამიკურმა შეადგენს. იგი განსაზღვრავს რეალური სამყაროს ასახვის სივრცობრივ ხასიათს იმ პირობით სისტემას, რომელიც უკუაქროსპექტივის სახელით არის ცნობილი. მას ახასიათებს პორიზონტალობისა და ვერტიკალური თავისებური შეფარდება, ცალკეული ეპიზოდების ამ პრინციპით განაწილება, რეალური ფორმის დეფორმაცია, რაც თვალნათლივ

შეიმჩნევა როგორც ზეპირ მითებში, ასევე უძველესი ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ დეკორზე.<sup>3</sup>

მითოლოგია დღეს განიხილება როგორც განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე სიმბოლური აზროვნების ფორმა, რომლის საფუძველია არა ცნებითი აზროვნება, არამედ გრძობა, ემოცია, სადაც საზრისი მრავალრიცხოვანი სიმბოლოების მიღმა დამალული ერთი ცნება ან მოვლენა, შეგნებულად იცვლება მეორეთი, რის გამოც მეტაფორაა მიჩნეული მითიურ სახეთა შექმნის აუცილებელ ნიშანდრობად.<sup>4</sup> მაგრამ ეს მეტაფორული კავშირები მითში აღექვება არა პირობით, არამედ სავსებით რეალურად და ცოცხლად.

ამავე დროს, გამოვლენილია არქაული აზროვნების წესის მაღალი ღირებულება და ძლიერი შემეცნებითი ძალა. მითი, ანუ სინამდვილის სიმბოლური გააზრება, მიჩნეულია არაცნობიერი აზროვნების ისეთ ფორმად, სადაც სრულად მოქმედებს კონკრეტულ-გრძობიერი, მეტაფორაზე დაფუძნებული ბინარული ლოგიკა და კლასიფიცირების თავისებური უნარი.<sup>5</sup> მითი იმ ძალად გაიზრება, რომელმაც მოაშადა „ნეოლითური ეპოქის ტექნიკური პროგრესის ინტელექტუალური საფუძველი.“<sup>6</sup>

მითი ადამიანის მთელ ცნობიერებას მოიცავდა, განსაზღვრავდა მისი ცხოვრების წესს. იგი ყველაფერში უწინდებოდა, ცოცხალ არსებასა და საგანში, ყოველ ქმედებაში, მეტყველებაში.<sup>7</sup>

ამდენად, არქაული ადამიანის მსოფლალქმის ყოველი გამოვლენა, რიტუალი იქნებოდა ეს თუ ორნამენტი, ცეკვა თუ ზეპირი მითშემოქმედება; გამოხატავდა მთელი კოლექტივის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, ღირებულებათა საერთო სისტემას, რომელიც კოლექტივის აზროვნების ერთადერთი წესით, მსოფლალქმის ერთი ფორმით — მითით იყო განსაზღვრული.

არქაულ საზოგადოებაში მითოლოგიის მთავარ ამოცანას ბუნებაში მიმდინარე პროცესების გარკვეული შემეცნება და ახსნა წარმოადგენს. მითს ადამიანისათვის გასაგები უნდა გაეხადა ის, თუ რა არის სამყარო, როგორ წარმოიშვა იგი, განესაზღვრა ციური მხათობების რაობა, აეხსნა დედამიწის ნაყოფიერება, გაემართლებინა ადამიანის არსებობა, განესაზღვრა მისი უმთავრესი მიზნები და ქცევის აუცილებელი ნორმები. სინამდვილის ამგვარი მოდელირების დროს დაცული უნდა ყოფილიყო მითოლოგიის უმთავრესი მოთხოვნა — სამყაროში აუცილებელი ნუსრიგის არსებობა.<sup>8</sup> ამის გამო, სამყარო გაიზარებოდა, რო-



გორც განუყოფელი მოლიანობა, რომელშიც ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობდა, ყველა საგანსა და მოვლენას თავისი ადგილი ჰქონდა მიწინაღობა, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირში იმყოფებოდა, ერთმანეთისგან გამომდინარეობდა. ამიტომ, მითოლოგია, როგორც მარტივის საშუალებით გადმოსცემდა, გაუგებარ მოვლენებს მისთვის გასაგებ თვისებებს მიანერდა. ამით ის აუქმებდა ვაუგებრობას და კოლექტივისათვის მისაღებ სამყაროს სურათს ქმნიდა.

სამყაროს სურათი სრულად შეიცვალა ნარმოდგენებს სამყაროზე. მასში მოქმედებდნენ ისეთი უნივერსალური კატეგორიები, როგორც არის ადამიანი, საზოგადოება, ბუნება. აქ აღსახებოდა დამოკიდებულება ისეთ პრობლემებთან, როგორც არის დრო, სივრცე, მიზეზი, შედეგი, სიცოცხლე, სიკვდილი. მათი ერთობლიობა ქმნიდა კოორდინატთა იმ ბადეს, რომლის საშუალებითაც ადამიანი გაიაზრებდა სიწმინდეს და ქმნიდა მის შესატყვის ხატს, რომელიც გასაგები და მისაღები იყო ყველასათვის.

იმის გამო, რომ მითოლოგია, მეცნიერულ პლანში ვერ სწევებდა საკითხს, მითით განსაზღვრული სამყაროს სურათი ილუზორული იყო, რომელშიც ბუნებრივი პროცესების მითოლოგიური ადამიანის სულის სიღრმისეულ არსს ნარმოაჩენდა, სულის პინაგან, არაცნობიერ დრამას სიმბოლურად გამოხატავდა.<sup>6</sup>

სამყაროს სურათი განიხილება როგორც კულტურის მინარსის, ხალხის თვითცნობიერების აშახველი ისეთი ფუნქციონირება, რომელიც საზოგადოების ყველა დონეებზეა რეალიზებული.

სამყაროს სურათი ბევრი ნიშნით განაპირობებდა ხალხის თვითცნობიერების წამოყალიბებასა და განმტკიცებას, რაც პირველ რიგში კოლექტივის მიერ თავისი მოქმედების, მისწრაფებების, ინტერესების გაცნობიერებას გულისხმობდა. გარდა ამისა, ამ გზით შეიძლებოდა საკუთარი თავისთავადობის შენარჩუნება, იმ ტრადიციების დაცვა და გადარჩენა, რომელიც კოლექტივის თავის საკრალურ სამყაროსთან აკავშირებდა.

სამყაროს სურათის გააზრების შედეგად იკეთებდა მითოლოგიის უმთავრესი პრობლემა – სამყაროს არსის გამოვლენა, რომელიც კოსმოგონის ყოველსიმომცველი იდეის განსაზღვრული ხდება.

კოსმოგონიური იდეის თანახმად, სივრცე და დრო მხოლოდ კოსმოსისათვის არის დამახასიათებელი. ისინი ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნიან. ამ მთლიანობას არ გააჩნია საგნობრივი სახე, იგი გასულდგმულეულია და ამდენად – განცდის საგანი.

ადამიანსა საკმაოდ ადრე გაიაზრა სივრცის არაერთგვაროვნება, მაგნი იმ ცენტრალურ ღერძს, იმ მუდმივ ნერტილს, რომელიც სამყაროში ადამიანის ორიენტაციის საფუძველი გახდა და სრულად გამოავლინა – სამყაროს შექმნის შესაძლებლობა.<sup>7</sup>

ქაოსსა და კოსმოსს შორის ბრძოლა მუდმივად მიმდინარეობს. ქაოსს ქრეჭენ ქანაქგურება შეუძლებელია. იქ უწყვეტად უწყვეტად ფიქრობენ პერიოდულად ემუქრებიან კოსმოსის წესრიგს. ქარიზმული, წყალდიდობა, ხანძარი, ავადმყოფობა, ომიანობა, გაიაზრებოდა როგორც ქაოსის აბოციოცხლება, რაც კოსმოსისა და ქაოსის ახალი ბრძოლის დასაწყისი უნდა გამოდარყო.<sup>8</sup>

არქაულ საზოგადოებაში გაბატონებული იყო რწმენა იმის შესახებ, რომ კოლექტივის ცხოვრებაში, დროის ჩვეულებრივ მდინარეებს წინ უსწრებდა განსაკუთრებული ეპოქა, წინააღმდეგ დრო, როდესაც კოსმოგონიური აქტის შედეგად შეიქმნა სამყარო, დამკვიდრდა ადამიანური ცხოვრების წესი. ეს იყო შედეგი წინარე დროში მოქმედი მოვლენებისა, კულტურის მატარებელ გმირთა საქმიანობისა. სწორედ ესაა მითოლოგიური დრო, ადამიანის მითოლოგიური წარსული, საწყისი ყოველივესი, ეპოქა პირველსაგნებისა და პირველქმედებისა. ქაოსიდან კოსმოსის შექმნა არის ის უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელიც მითოსური წარსულში აღსრულდა. ამიტომ კოსმოგონია შეიძლება განიხილოს როგორც კულტურის პირველი აქტი, რომლის შედეგად ადამიანური საზოგადოება ღრეხულებათა სამყაროში შევიდა და ბუნებას დაუპირისპირდა.

არქაულ საზოგადოებაში კოლექტივი პროფანულ დროში ცხოვრობს, მაგრამ პროფანული დრო პერიოდულად იცვლება, როდესაც დღესასწაულების ხანა დგება. დღესასწაულებზე შესრულებული რიტუალების მეშვეობით, ადამიანს შეუძლია გადალახოს ჩვეულებრივი დროის მდინარეება და მითოლოგიურ, საკრალურ ხანაში აღმოჩნდეს. ამიტომ მითოლოგიური დრო განმეორებადი. მასში პერიოდულად ეცივლება ის საკრალური ფაქტები, რაც „დასაწყისში“ მოხდა.

მითოლოგიური ხანა ამავე დროს კოსმოგონიური დროც არის, რის გამოც რიტუალში ხანისი დროის განმეორება, სამყაროს შექმნის განმეორებასაც გულისხმობს. ადამიანს სჯერა, რომ დღესასწაულებზე სხვა დროში ცხოვრობს, რიტუალის მეშვეობით ახერხებს მითოსურ წარსულში დაბრუნებას, პერიოდულად აცივლებს საკრალურ ხანას და სამყაროს შექმნის აქტს იმეორებს.<sup>9</sup>

ასე იქმნება პროფანული ცხოვრების იდეალური ხატი, რომელთანაც აუცილებელი იყო ადამიანის ყოველდღიური ურთიერთობა. საკრალურ და პროფანულ სამყაროებს შორის კავშირი რიტუალის მეშვეობით ხორციელდებოდა. ამიტომ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება რიტუალის შესრულების ადგილსა და დროს. რიტუალი საკრალურ სივრცეში, სამყაროს ცენტრში უნდა შესრულებულიყო, იმ ნერტილში, სადაც მითოსურ წარსულში იქნა განხორციელებული შესაქმნის აქტი. კოლექტივის პროფანულ ცხოვრებაში, სამყაროს ცენტრში უნდა განმეორებულიყო ის საკრალური



ქმედება, რომლის შეხრულებასაც დრო თითქოს წერდებოდა და აღმოცენდებოდა ის საკრალური, რაც დასაწყისში მოხდა. მედიატორის ფუნქციას ისეთი საგნები ასრულებდნენ, რომლებიც ერთსა და იმავე დროს პროფანულ სამყაროსაც უკუთვნოდნენ და საკრალურსაც. ესენია: მთა, ტაძარი, სვეტი, საკურთხეველი, კერა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არქაულ საზოგადოებაში, გარკვეულწილად, დროის ხაზოვანი სისტემაც მოქმედებდა. ადამიანები და მათი უშუალო ნინაპრები დროის სხვადასხვა განზომილებაში ცხოვრობდნენ. მაგრამ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება მხოლოდ ნინაპრების ცხოვრების მარადიული განმეორება იყო. მითოსური ნარსული განუსაზღვრელად უბრუნდებოდა ადამიანს. ეს ნარსული იყო საგანთა მიზეზი, სინამდის საფუძველი, ადამიანის არსებობის გამართლება.<sup>4</sup> ამავე დროს ნარსული შედგება შეიცავდა, რადგან მითოლოგია ყოველთვის ქმნიდა საწყისი ნერტილიდან მომდინარე ახალ მიკროკოსმოსს, ხოლო ამ საწყისის აღდგენა მითის უმთავრესი თემა იყო.<sup>5</sup>

მითი ვეღვაზე მეტად ნარსულიან, საწყაროს შექმნის ხანასთან არის დაკავშირებული. მითის მიზანგანი ღირებულება ის არის, რომ ნარსულში აღსრულებული მოვლენები ანმეომიც მოქმედებენ და მომავალზეც ვრცელდებიან. ამიტომ დრო შექცევადიც არის და შეუქცევადიც. მითი ნარსულზე გვიამბობს, ამდენად იგი დიაქრონიულია. მაგრამ ნარსული არა მხოლოდ ანმეოს, არამედ მომავლის გააზრების ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ ნარსულისათვის დამახასიათებელი დიაქრონიული სტრუქტურები სინქრონულად უნდა იყოს გააზრებული. სწორედ აქ შედგადება არქაული დროის ორმაგი ბუნება – მისი დიაქრონიულობა და სინქრონიულობა, მისი შექცევადობა და შეუქცევადობა.<sup>6</sup>

ამდენად, ნარსული, ანმეო და მომავალი განიცდება როგორც ერთრიგისა და დროის ერთ განზომილებაში მიმდინარე პროცესები, რის გამოც, ამგვარი განცდა „ზედროული“ ხდება. მარადიული განმეორებადობა ხდება არქაული ადამიანის სულიერი ცხოვრების საფუძველი, რის გამოც, დროის ციკლურობის იდეა განსაზღვრავს არქაული ადამიანის ვეღვა შეხედულებას სამყაროზე. ციკლური დრო უდევს საფუძვლად კალენდარულ დღესასწაულებს, რწმენას მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების შესახებ. დროის ციკლურობის შეგრძობაზე დამყარებული არქაული საზოგადოების მთელი მსოფლალქმა, მისი აზროვნების ნეხი.

ამგვარად, მითოლოგია თავისებურად აღიქვამს სინამდვილეს, გადაამუშავებს მას და ქმნის ახალ „უმაღლეს“ რეალობას, რომელიც მისთვის ქეშმარიტს და რეალურია, ვინაიდან თავისი შემეცნების საგნის რეალურობის გარეშე, მითის გამოცელებოდა ნიადაგი.<sup>7</sup>

სამყაროს მოდელირება იმით ხორციელდება, რომ მითი დამაჯერებლად მოგვით-

ხრობს ნარსულზე, ამ მოვლენებზე, რომლებიც ნინარე ხანაში იყო აღსრულებული. რეალურ ცხოვრებაში მომდინარე ყოველი შეხედულება ნინაპრისა და რეალური დროის არჩევანზე, მათთვის ნარსულზე მონათხრობს და სტაბილურ სემანტიკურ სისტემას უერთდება. მითი ნარსულზე იღებს ორიენტაციას, ნარსულზე თხრობა კი მითის თვითგამოხატვის სპეციფიკური საშუალება ხდება.

მითის მიერ შექმნილი რეალობა არქაული კოლექტივის მიერ აღიქმება როგორც ამკოორეტირების ელემენტი, საკრალური პირველსახე, როგორც სამყაროს იდეალური ხატ.

ამ უაღრესად თავისებურ მსოფლხატს თ. გასტერი, მიკროკოსმოსსა და მაკროკოსმოსს ანალიტიკით ტოპოკოსმოს უწოდებს (ბერძნული სიტყვიდან topos ადგილი, cosmos – სამყარო, ნესრიგი). ტოპოკოსმოს ორმაგი ბუნება აქვს. იგი დროის მიღმა არსებული რეალობაა, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სულიერი, ისე უსული საგნები. ტოპოკოსმი მარადიული დროის უწყვეტობაა, რომელიც რეალური იდეალურში გადადის, ხოლო დროებითი – მარადიულსა და ტრანსცენდენტურში. ტოპოკოსმოსი ამაღლებული სული სრულად გამოხატავს ზრძოლას, სიკვდილ-სიცოცხლეს, ბნელსა და ნათელს, უნაყოფობასა და ნაყოფიერებას.<sup>8</sup>

ამგვარი მსოფლხატი, დღეს მშვენიერ მხატვრულ სახედ განიცდება. არქაული ადამიანისათვის კი სწორედ ეს იყო სინამდვილე. ეს იყო მითი, რომელშიც სამყაროს გასულდგმულებობა და მისი პერსონიფიკაციის პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა. ადამიანი ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო და მის მიმართ ემოციური, არაციონიური ერთიანობის გრძნობა უქონდა დაუფლებული. ამიტომ ბუნებას სიმბოლური მნიშვნელობა ეძლეოდა. ქუბილი განიცდებოდა, როგორც გამძვინვარებული ღვთაების ძაბილი, ელეა – როგორც მისი შურისძიების მძლავრი იარაღი, მდინარეებში სულები სახლობდნენ, ხე, ადამიანის სიცოცხლის საფუძველი იყო, გველი – სიბრძნის განსახიერება. ადამიანი ბუნებასთან საუბრობდა, ეზოდა მისი რა. როდესაც ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული ეს უშუალო კონტაქტი გაქრა, მასთან ერთად დაიკარგა ის უღრმესი და უძლიერესი ენერგია, რომელსაც ეს კავშირი იძლეოდა.<sup>9</sup>

მითისათვის დამახასიათებელ კოსმოგონიზმში ბუნების ყოველი ძალა და მოვლენა იყო ჩართული. აქ სხვადასხვა ადამიანები, ღვთაებები, ცხოველები, ციური და მიწური ძალები მოქმედებდნენ. თითოეულ ხატს, ასევე როგორც სიტყვას შეტყველებამი, პოლისემანტიკური მნიშვნელობა უქონდა მინიჭებული. ხშირად ადამიანს ან ღვთაებას სხვადასხვა ცხოველთა სახე უქონდა მიღებული, იგი ხან კეთილი იყო, ხან კი ბოროტი. მზე და მთვარე, კაცე შეიძლება ყოფილიყო და ქალიც. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ფუნქცია ეკის-



რებოდა ამ ხატს კონკრეტულ შემთხვევაში. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მითის უმთავრეს ამოცანას მოეწონათ ახსნა, მათი არსის წყვეტა, ყოველგვარი ნინაღმდეგობის მოხსნა შეუდგენდა. ამას კი მითი, როგორც აზროვნების წესი, მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით აღწევდა. მითი ქმნიდა ყველაფრისათვის ყველაფრად ყოფნისა და ყველაფრად გადაქცევის შესაძლებლობას, იძლეოდა მეტაფორული კავშირების რეალურად გააზრების საშუალებას.<sup>20</sup>

არქაულ საზოგადოებაში, ადამიანის როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური გრძობა, გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ სიცოცხლეს არ გააჩნია საზღვრები სივრცესა და დროში. სიცოცხლე მისთვის მარადიულად გრძელდებოდა. სიკვდილისა და სიცოცხლის ერთიანობის განცდა, სამყაროს მთლიანობის შეცნობიდან გამომდინარებოდა. ადამიანი სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. მას შეეძლო დაენახა როგორ „უდებოდა“ მცენარის თესლი და ამ „სიკვდილს“ ახალი მცენარის სიცოცხლე სდევდა თან, როგორ გარდაიქმნებოდა ყვეაილი ნაყოფად, ხოლო თესლი ამ ყვეაილში განაგრძობდა არსებობას. ყოველ შემოდგომაზე გამოშვებული ბუნება, გააფხულზე ახალ არსებობას იწყებდა. ნადირობისას მოკლეული ცხოველი თავიდან იმბადებოდა. ასევე ადამიანიც, სიკვდილის შემდეგ კი არ წყვეტდა თავის არსებობას, არამედ მხოლოდ გარდაიქმნებოდა, სამყაროში აგრძელებდა ყოფნას და სახეშეცვლილი კვლავ მოცვლინებოდა ქვეყანას. სწორედ აქ მოქმედებს იუნესკისული აღორძინების არქეტიპი, რომელიც სულელის გადასახუნების, რეინკარნაციის სახით, ან პიროვნების უწყვეტობაში არის გამოვლენილი.<sup>21</sup>

სიკვდილი, ცოცხალი არსების მოკვლა, არქაულ ცნობიერებაში გაიაზრებოდა, როგორც ვარკვეული ცვალებადობა, ერთი სტატუსიდან მეორეში გადასვლა, გარდაცვალება, სიკვდილი და მისი წიაღიდან ახლის აუცილებელი დაბადება, რაც თავის საფუძველში ქაოსიდან კოსმოსის მარადიული დაბადების იდეას უკავშირდებოდა.<sup>22</sup>

მითი, როგორც მსოფლალქმის ფორმა, აუცილებლად შეიცავდა ღირებულებათა იერარქიულ კავშირებს, აყენებდა გარკვეულ მოთხოვნილებებს ადამიანის მიმართ.

მითოლოგია მოკლებულია აბსტრაქციების უნარს. ამდენად, მითისთვის მხოლოდ ერთი რეალობა არსებობს – განუყოფელი და პარმონიული სამყარო. მაგრამ ეს ერთიანი სამყარო ნინაღმდეგობრივად იყო. ისეთი ოპოზიციების არსებობა, როგორც არის კეთილი-ბოროტი, ნათელი-ბნელი, თავისი-სხვისი, შიდა-გარე, დაპირისპირებასა და კონფლიქტურობას გულისხმობს. ორივე მხარე ერთნაირად იყო მონყობილი, ორივე მხარე ერთნაირი მორფოლოგიური ელემენტებით ხასიათდებოდა. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ „ნათელი“, „კეთილი“ და „თავისი“ სამყარო დადუ-

ბითი ნიშნების მატარებელი იყო, ხოლო „ბოროტი“, „ბნელი“ და „სხვისი“ – უკუაღმართული. ამ ნინაღმდეგობათა შეხებას განუტყვევებელია, მითოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო.

ქაოსის დამარცხება, კოსმოსის, ანუ წესრიგისა და პარმონიის გამარჯვება, სიკვდილის შემყოფით ახალი სიცოცხლის აღორძინება, სიკეთისა და სინათლის დამკვიდრება, მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა. ამიტომ მითოსურ ცნობიერებაში ბრძოლა ერთ-ერთი უმთავრესი რიტუალი იყო, ბრძოლა ისეთ რიტუალურ ქმედებას ნარმოადგენდა, რომლის მეშვეობით ადამიანის უმთავრესი მიზნების განხორციელება იყო შესაძლებელი. ბრძოლის რიტუალი ადამიანის აზროვნების წესი მოქმედებაში ვლინდებოდა. ამ რიტუალური მოქმედებით კი მითი თავის უპირველეს ფუნქციას ასრულებდა – დროებითი მარადიულში გადაყვება, ხოლო რეალური – იდეალურში.

მითოსური ნარმოდგენა, რაგინდ მარტივიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყოველთვის შეიცავდა კონკრეტულ ელემენტს. ამავე დროს; მის გარკვეულ განზოგადებასაც იძლეოდა. იგი ყოველთვის ახერხებდა განყენებულ იდეათა ხატოვან და საგნობრივ ნარმოდგენას, სიმბოლოდ ჩამოყალიბებასა და მის იქცაივას. სიმბოლოდ ჩამოყალიბებული ხატი ყოველთვის უფრო მეტს გულისხმობდა, ვიდრე მისი პირდაპირი და უშუალო მნიშვნელობა იყო.

ქაოსისაგან კოსმოსის შექმნის, სიკვდილის შედეგად ახალი სიცოცხლის დაბადების, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების უმნიშვნელოვანესი, მითისათვის კარდინალური იდეის სახვითი ხატი, ბრძოლის სცენებში იყო გადმოცემული. ცხოველთა ბრძოლა, ღვთაებრივი ნადირობა, ურჩხულის ან ცხოველის დამარცხება, ჩვენა ღრმარწმენით, არქაული გამოყენებით ხელოვნების ძეგლებზე, ყოელისმომცველი კოსმოგონიური იდეის სიმბოლოდ გაიაზრებოდა. ეს იყო უდიდესი, განზოგადოებული იდეის მატარებელი კოსმოგონიური ნიშანი, რომელშიც მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ყველა ღირებულება იყო ჩადებული.

არქაულ საზოგადოებაში მითი მსოფლალქმის ერთადერთი წესი და პირველადი იდეოლოგიური სინკრეტიზმის გამოხატულების ფორმა იყო. ერთიანი იყო არქაული სულიერი კულტურაც მას ახასიათებდა უტილიტარული მხატვრული სინკრეტიზმი, სადაც არქაული ცნობიერების ფორმები სრულ მთლიანობაში იყვნენ, უფრო სწორედ ურთიერთდამყუდურ იფორმით არსებობდნენ.<sup>24</sup> განსაზღვრავდნენ ერთმანეთს და ქმნიდნენ პირველად სინკრეტულ კომპლექსს,<sup>25</sup> რომელიც მთლიანად ერთი აზროვნების წესით, მითით იყო განსაზღვრული.

ამგვარად, არქაული ცნობიერების ფორმათა სრული ერთიანობის პირობებში, მითოლოგია ჩანასახოვან ფორმებში მოიცავდა რო-

გორც რელიგიას, ასევე ხელოვნებას, სიტყვიერს შემოქმედებას, უმარტივეს კლასიფიკაციებს და მათ დამოუკიდებელ არსებობას შეუძლებელს ხდიდა.

ქ. ლევი-სტროხი საგანგებოდ აღნიშნავს არქაული ადამიანის საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიკაციების განსაკუთრებულ უნარს. ადამიანის მიერ შექმნილი ეს უძველესი დაჯგუფებანი, ბევრი ნიშნით, ემსგავსებოდა შემდეგდროინდელი კლასიფიკაციების მეცნიერულ ნომენკლატურას.<sup>26</sup>

მართლაც არქაული ადამიანი ყოველთვის ცდილობდა სინამდვილის გააზრებას. ამისათვის კი საჭირო იყო მრავალფეროვან და რთულ სამყაროში წესრიგის შეტანა, მოვლენათა თუ საგანთა დაჯგუფება, რათა ადამიანს თუნდაც მარტივი რეაგირება შეეხდინა სამყაროში მიმდინარე პროცესებზე.

ამ უცხო სამყაროში სხვადასხვა ცხოველები სახლობდნენ. ადამიანსა და ცხოველებს შორის დამოკიდებულება ალბათ საკმაოდ ბუნდოვანი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოახერხა სივრცის გააზრება, გამოიშუადა მისი აგებულების უნივერსალური ვერტიკალური სტრუქტურა, ცხოველთა სამყაროშიც შედარებით მოწესრიგებული სახე მიიღო: ზუსტად ფრინველები მოთავსდნენ, შუასწნელში ადამიანები და რქოსანი ცხოველები განლაგდნენ, ხოლო ქვესწნელში – გველები და თევზები. ცხოველთა დაჰირისპირება მათი ადგილსამყოფელის მიხედვით ადვილდება სიმბოლურად საშუალებით სამყაროს სიერცობრივი სტრუქტურის აღწერას და უზრუნველყოფდა ადამიანისათვის ნათელ ასოციაციებს. უძველესი მითოსური კოდი, რომელიც ამ კლასიფიკაციაში იყო წადებული, სივრცის თავისებური გააზრებიდან გამოიშინარეობდა. ამ ცხოველებისაგან შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის მქონე სიმანტიკური მსკრივი – ირემი, ცხენი, ხარი, ფრინველი, თევზი, გველი, რომელიც იმ უძველეს არქაულ სახეებს შეიცავდა, რომელთა საშუალებით ხდებოდა სამყაროზე ადამიანთან ნარმოვტყენების ფიქსირება.

პრიმიტიული რელიგიური შეხედულებები მითზე უფრო ადრე წარმოიშვა, ალბათ ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში. ადამიანი ცდილობდა და უფლებოდა ბუნების ძალებს. ამისათვის შექმნა მან ტაბუს სისტემა, მაგის აპარატი. მაგრამ ამ პრიმიტიულ შეხედულებებსა და რელიგიურ დოგმებს შორის დიდი განსხვავება იყო. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ვ. კასირერი მაგის ქოტურ ცარწმენას უწოდებდა, ხოლო რელიგია ადამიანის ზნეობრივი იდეალების უმაღლეს გამომხატულებად მიაჩნდა.

უკვე თავისი წარმოშობის ადრეულ საფეხურზე, მითი პრიმიტიულ რელიგიურ შეხედულებებსაც მოიცავდა. მითოლოგია დასაბამითვე პოეტური რელიგია იყო.<sup>27</sup> მაგრამ მათ შორის უდიდესი განსხვავება შეინიშნება.

ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ მითოლოგია დროის უაღრესად თავისებური შეგრძნებით ხასიათდება, სადაც წარსული უდიდესი

მნიშვნელობით იყო განსაზღვრული. დროის ციკლური განცდა გამოიხატებოდა სწავლების ცნებას. ციკლური დროც ვერტიკალურ ტენზიონებზე სტემაში, თვით მრავალფეროვანობაში კოსმოგონიაც აღარ განიცდებოდა როგორც სანყისი. მხოლოდ რელიგიურმა აზროვნებამ, იუდაიზმმა და შემდეგ ქრისტიანობამ დროის სრულად ახლებური გააზრება გამოიშუადა და არა განმეორებადი, არამედ ხაზოვანი დრო დაამკვიდრა.<sup>28</sup>

მითოსური ცნობიერება ვერ ანსხვავებდა ბუნებრივსა და ზებუნებრივს. ამდენად, მითოსურ სამყაროში მოქმედი ღვთაებების გააზრება არც შეიძლებოდა ყოფილიყო რელიგიური. ისინი უფრო მითური გმირები იყვნენ, ვიდრე სასწაულმოქმედი ზებუნებრივი არსებანი. ეს ღვთაებები, ისევე როგორც თვით ადამიანი, ბუნების განუყოფელ ნაწილად განიცდებოდნენ. ისინი ცოცხალი არსებების თვისებებს იძენდნენ, ადამიანურ ურთიერთობებს ამყარებდნენ, ბუნების განახლებისა და სიუხვისათვის იღვწოდნენ, ებრძოდნენ ბოროტებას და კოსმოსში აუცილებელი წესრიგის არსებობას უწყობდნენ ხელს. ღვთაებები ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებში აღმოჩნდებოდნენ ხალხს. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქაოსის შემოტევა, ტრადიციული სივრცეში ან გველმაპის მუეროვანი მტრობა. ამის გამო ღვთაება დროებით ილუქებოდა, ან ქვესწნელში იკარგებოდა, რაც დედამინაზე სიცოცხლის დროებით გაქრობას იწვევდა. ამ მოკვდინა და აღდგომადი ღვთაებების ხელახალი გამოჩენა ახალი სიცოცხლისა და სიკეთის აღორძინების საინდრადო განიცდებოდა.

ადამიანის რეალური და რატულურ-მაგიური მოქმედება მტკიცედ იყო შერწყმული ერთმანეთთან. ადამიანები გამსჭვალულნი იყვნენ მთელ ბუნებასთან, თავიანთ ღვთაებებთან მათი სრული ერთიანობის გრძნობით. ეს კი გამორიცხავდა პიროვნების, ადამიანის ინდივიდუალობის, ადამიანური ხასიათის ცნებას, არჩევანის უფლებას. მითი უფრო მოქმედების ბატად არის მიჩნეული, ვიდრე აზროვნებისა.<sup>29</sup> რელიგია კი აზროვნების ბატია და მასში სწორედ პიროვნებასა და მის ნაზრევს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიანიჭებული.

მითოლოგიის პრაქტიკული მოთხოვნებები რიტუალში ხორციელდებოდა. რიტუალები მტკიცდებოდნენ, კანონიერ სახეს იღებდნენ და მნიშვნელოვან ძალას იძენდნენ.

მითის უშუალო ფიქსატორს უძველესი ხელოვნება წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არქაულ საზოგადოებაში მითი იყო ადამიანის ყველა ქმედება, ყოველი საგანი, მეტყველება, თვით ყოფა, ანუ მთელი ცნობიერება და ყველაფერი ის, რისკენაც ეს ცნობიერება იყო მიმართული,<sup>30</sup> ამკარა გახდებოდა, რომ არქაული ხელოვნება იგავდ მითი იყო, კულტურის თვითმგებება, თავისებური კოდი, ის გასაღები, რომელიც გვიხსნის კულტურის კონტექსტს, სრულად გადმოგვცემს მის მინაარსს.



ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მატერიალური სტილი, რომელიც უშუალოდ ემოციონათვის დამახასიათებელი მსოფლადქმნი იყო განსაზღვრული, ყოველთვის ნარმოადგენდა სულიერი კულტურის ძირითად ნიშანს, მაღალ-განვითარებულ საზოგადოებებში, ერთმანეთის გვერდით მსოფლადქმისა და მისი გამოხატვის სხვადასხვა სტილი თანაარსებობდა. არაფიფერეცირებულ, არქაულ საზოგადოებაში მსოფლადქმის ფორმა და მისი გამოხატვის სტილი მხოლოდ ერთი შეიძლებადა ყოფილიყო.

მართლაც, კარგად არის ცნობილი, რომ არქაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, დიდი მატერიალური კულტურების ვრცელ ტერიტორიებზე გავრცელება. ამ კულტურებში გაერთიანებული მატერიალური კულტურის ძველები ხასიათდება სტილისტური და შინაარსობრივი ერთიანობით. მათთვის დამახასიათებელ მხატვრულ სტილს ალბათ უნდა ეწოდოთ არაცნობიერი აზროვნებით განსაზღვრული კოლექტიური მხატვრული სტილი, რომელიც სასეგვითი ერთგვაროვანია და გამორიცხავს ყოველგვარ ინდივიდუალობას. ეს უძველესი ხელოვნება, რომელსაც გამოყენებითი ხასიათი აქვს, განეკუთვნება კოლექტივების სინკრეტულ შემოქმედებას და მისი რიტუალურ-მაგიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სწორედ იგი გამოხატავს ყველაზე სრულად მითოსური კულტურის არსს, ადამიანთა დიდი კოლექტივების საერთო მსოფლგაგებას, საზოგადოების ყველა ძირითად ღირებულებას, მის უნარს – აღიქვას და გამოხატოს სხვადასხვაგვარი ფორმა, რიტმი, ფასეულობა.

არქაული ხელოვნების ყოველი ნიმუში დღეს გააზრებული უნდა იყოს, როგორც კულტურის ისტორიის მოვლენა, როგორც სულიერი კულტურის ძველი, როგორც ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალება, როგორც ცნობიერების კოლექტიური საწყისის გამოხატულება, რომელშიც ხორცშესხმულია არა ინდივიდუალური ნარმოადგენები, არამედ თაობათა მიერ გამოუმუშავებული კოლექტიური შეხედულებები, რომლებიც უშუალოდ ასახავენ ადამიანთა ნარმოადგენებს სამყაროზე.

მართლაც, არქაულ ხანაში, პლასტიკური ან ორნამენტული სახეებით გადმოცემული იყო ადამიანის მთელი სულიერი სამყარო, მისი შეხედულებები სინამდვილეზე. ეს ხელოვნება ცალკეული ხატების სიმბოლოების საშუალებით, მატერიალურ, ხელმოქსახებ სახეს აძლევდა იმას, რაც უხილავი იყო, საკრალური, და ამით, ადამიანი სულიერ სამყაროში შეჰყავდა. გარდა ამისა, არქაულ ძეგლებზე გამოხატული სხვადასხვა ფიგურები, ადამიანთა თუ ცხოველთა გამოსახულებანი, რეალურად არსებულის მაგიერობას სწავდნენ. ამით ეს ხელოვნება თავის უმთავრეს ამოცანას ასრულებდა – აღბეჭდავდა სამყაროს, მაგიურად მოქმედებდა გარემოზე და გასცემდა ზუსტ ინფორმაციას.<sup>31</sup>

არქაულ ხელოვნებას ფუნქციონირებდა სიათი აქვს. იგი კონცეპტუალურად იმეორებს რეს ამოცანას ობიექტის არსის წყვეტა შედეგის ამოტოპ ამგვარ ძეგლებზე გამოსახული გამოსახულებანი გარკვეული აზრის მქონე ნიშნებად არის მიზნული, რომლებსაც ძლიერი აზრობრივი დატვირთვა აქვთ, დაახლოებით ისეთი, როგორც ენას თანამედროვე მეტყველებაში.<sup>32</sup> ეს ნიშნები განიხილება როგორც თავისებური სემანტიკური სტრუქტურები, როგორც უაღრესად დინამიური სემიოტიკური სისტემა, რომლის სწორი გაგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი იგი გააზრებული იქნება როგორც განუყოფელი მთლიანობა, ხოლო მისთვის დამახასიათებელი ევოლუცია, როგორც ერთიანი, უწყვეტი, შინაგანი ლოგიკის მქონე პროცესი.<sup>33</sup>

არქაული კულტურა უაღრესად ტრადიციულია და მკაცრად არის კანონიზირებული. მხატვრული შემოქმედების ყოველი აქტი ტრადიციისა და კანონის ზუსტ შესრულებას მოითხოვს. ადამიანის ყოველი მოქმედება მხოლოდ მაშინ აღასრულება და თავის მაგიურ ფუნქციას, როდესაც ზუსტად დაინახავდა ტრადიციას, ნარსულში შექმნილ და ნარსულზე ორიენტირებულ იმ კანონს, რომელიც მისი მსოფლადქმნი იყო განსაზღვრული. სწორედ მითოსური ნარსული იყო არქაული ადამიანის სულიერი ძალების საგანძურნი, უნაიდან კოლექტივის ცხოვრების წესი, მის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნა, საკრალურ ხანაში მცხოვრებ ნინაპართა სიბრძნისგან გამომდინარეობდა. მათი ქცევის ნორმები, მათი რწმენა, სამართალი ნარსულში იყო შექმნილი და დაკანონებული. ნარსული იყო საგანთა მიზეზი და ადამიანის არსებობის გამართლება საკრალურ ნარსულში იყო განსახიერებული.

ამიტომაც ფიქრობენ, რომ არქაულ ადამიანს ორიენტაცია ნარსულზე ჰქონდა ალბულები. ი. დიკოპოვი წერს, რომ არქაული ადამიანი სახით ნარსულისკენ იყო მიმართული. მუშერულენამი სიბრძნისგან უდკნრ ნიშნავდა იმას, რაც ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რაც უხილავია, ე.ი. იმას, რასაც ჩვენ მომავალს ვწოდებთ. ხოლო აქტივობით დღე NDR1 აღნიშნავდა იმას, რაც უკვე ვიცით, რამაც წინ გავიხსნო, საითიგვან მივდივართ, ე.ი. ნარსულს. კიდევ უფრო სრულად არის ნარსმოჩენილი ეს კონტექსტი აქედურ ენაში, სადაც Malrium „ინა“, აღნიშნავდა ნარსულს, ხოლო warkium „უკანა“ – მომავალს.<sup>34</sup>

ბაბილონის საზოგადოებაში ნარსული განსაკუთრებულად მაღალ შეფასებას იმსახურებდა. აქ „ქველი“ და „კარგი“ სინონიმებად იყო მიზნული.<sup>35</sup> სპეციალურად აღნიშნავენ, რომ ბაბილონელებისა და მუშერულენის ორიენტაცია დროში ნარსულისკენ იყო მიმართული, რასაც ენობრივი მონაცემებიც ამტკიცებს. აქედურ ენაზე ნარსული um pāni სიტყვა სიტყვით ნიშნავს „ინა/სახეთი დღე“, მომავალი pāni გულისხმობს უკან ყოფნას. ან კიდევ, – pāni ადრე („სახეობის“) ina mahaz – „უწინ“, ანუ წინ.

ჩემი ღრმა რწმენით, უძველეს საზოგადოებაში შექმნილ სამყაროს მოდელი წარსული ადამიანის წინ იყო აღმართული, ხოლო მომავალი – უკან. ამგვარი აზროვნების კვალი თითქმის ყველა, ძველსა თუ ახალ ენებშია დაკული. გრ. გიორგაძის ცნობით, აქადურ *Mahisium* —ს (წინა, წარსული) ხეთურ ენაში შეესაბამებოდა *hantezzius*. იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, *hantenzzius huGAR* აღნიშნავდა ადრე არსებულ, უპირველეს მეფეებს. ნიშანდობლივად აგრეთვე ის გარემოება, რომ ხეთურ იმთართან დაკავშირებულ რიტუალებში წინა მწველელ კეთილი თვისებებით ხასიათდებოდნენ, ხოლო უკანა მწველები კი – პიროვნები. ნუზის სამეთო სასახლეში მიცვალებულთა მთარველი ლეთაების ნერგალის ქურუმი, ქალწული ენტუ, წინაპართა კულტებსა და თაობათა ცვლას ასახავდა. ენტუსთან დაკავშირებულ რიტუალებში წინაპრებს უკავშირდებოდა ანა სიმნიფე, არამედ სიქაბუე, რომელშიც შემკვიდრებით გადიოდა გარდაცვლილთა სული.

ბერძნულსა და ლათინურ ენებში წინსართო პრო აღნიშნავს მიმართულებას „წინ“. სწორედ მისი სამუალებით არის წარმოებული შემდეგი სიტყვები, ბერძნული *πρῶτος, Проратер* – წინაპარი, ლათინური *pro-avus* – წინაპარი, *pro-avus* ის, რაც წინაპრისაგან გერგო, *pro-auctor* – მამამთავარი, იგივე სემანტიკურ დატვირთვას ატარებს ინგლისური *ancestor* წინაპარი, *an-centre* შემკვიდრებითობა, მამამთავარი *antique* – ძველი. ფრანგული *an-setre* წინაპარი, გერმანული *vor-fahr* – წინაპარი, *vor-gabe* წინამორბედი და რუსული *предок, предшест человек*. და ბოლოს ქართული „წინაპარი“. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ეს სიტყვა შემდეგნაირად არის განმარტებული: წინაპარი – უწინდელი; წინა – პირველი, პირველ მამანი და მშობელი, წინაპარნი ნელინადნი. ხოლო სიტყვა „წინაპირველად“ ასეა განსაზღვრული: წინათ, უწინარეს, პირველად, წინა პირველი. საბასთან ნათქვამია: წინაპარი, პირველადი, წინა პირველი. საინტერესოა მეგრულის მონაცემები: ნოხოლე – წინ, ნოხოლანი – წინანდელი. ხევსურეთში წინაპრის აღსანიშნავად იხმარება „წინანი“. უნდა ვიფიქროთ, რომ წინაპარი, წინაპირველი, იგივე წინა პირია, წინა სახე. ვინაიდან საბასთან პირ განმარტებულია, როგორც პირველი, ამავე დროს კი ნათქვამია „პირად ითქმის პირისხავე კაცისა“. უაღრესად სა-

ინტერესო სურათი გამოიკვეთა – ქართულ წინაპარში იგივე სემანტიკურ ფუნქციონირებას ხმევი, რაც აქადურ „წარსულში“ (ძველსა და წარსული) სიტყვასიტყვით ნიშნავს „წინა/სახეთი დღეს“, ხოლო ადრე – სახეს“.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ქართულ ენაში არსებული ის ტერმინები, რომლებიც სივრცის განსხვავებული ნაწილების აღსანიშნავად გამოიყენება. ისინი შესწავლილი აქვს ირ. სურგულაძეს. მისი შენიშვნით, „წინა“ და „უკანა“ სამყაროს ახარისხებდა კეთილ და ბოროტ სივრცეებთან. „წინა“ გულისხმობდა ადამიანისთვის ხილულ, მის თვალწინ გამოიღწეულ სივრცეს, დედებთან, აღქმადს. „უკანა“, ადამიანის უკან არსებული სივრცე იყო, უზილავრ, შეუგრძნობი, შეუცნობელი და საშიში. იგი ბნელი ძალებით იყო დასახლებული და ეს ძალები „წინა“ სამყაროს საწინააღმდეგო მიმართებით იყო აღბეჭდილი.<sup>26</sup>

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არქაულ საზოგადოებაში სივრცისა და დროის კატეგორიები არ იყო ერთმანეთისაგან გამოიჯნული, ერთი განუყოფელ ქრონოტიპს ქმნიდა, რომ სივრცის გააზრება ყოველთვის დროის ასპექტსაც გულისხმობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ უკანა მხარე, შეუცნობი და ბნელი, ადამიანის უზილავრ, ბურუსით მოხილი მომავალია, ხოლო „წინა“, რომელიც ადამიანის თვალწინ გამოიღწეა, კეთილ სამყაროს გულისხმობს – მისი მითური წარსული.

... მითს პირველად ოკეანეს ადარებენ, რომლისგანაც ჯერ არ არის გამოყოფილი რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, სამართალი, ფილოსოფია. სწორედ ეს სინკრეტულობა წარმოადგენს არქაული სულიერი კულტურის თვალწინაცემ ნიშანს, განსაზღვრავს მის თავისებურებასა და განუყოფლობას.

როგორც კი იკვეთება პიროვნება, იქმნება მისი უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობა, როგორც კი ემოციურ, არაცნობიერ აზროვნებაში შედის საზონისი, იმლება მითი, ირღვევა ეროიანი მსოფლგაგებითი განსაზღვრული არქაული ცნობიერების ფორმათა სინკრეტული კომპლექსი. სხვადასხვა სახით, მითშემოქმედება ყველა ეპოქაში გრძელდება, ხოლო მითოლოგია დღემდე არჩება ხატოვანი აზროვნების განუმეორებელ სისტემადა, რომელიც მუდამ კვებას როგორც სახვით, ასევე სიტყვიერ ხელოვნებას.

### შეჯამება

1. A. Lerot-Guran, *La Gest et la parole*, Paris, 1964, 105.
2. J. Леви-Брюль, *Первобытное мышление*, М. 1930, 72.
3. შ. ხიდაშელი, არქაული საზოგადოების მსოფლხატი, მაცნე, ისტორიის სერია, 1991, № 1, იქვეა მითთებული ლიტ.
4. E. Cassiret, *The philosophy of Symbolic Forms*, vol.II Mythical Thought, p. IV.
5. Э. Кассирер, *Сила Метафоры*, сб. Теория метафоры, М. 1990, 33.
6. К. Леви-Стросс, *Миф, ритуал и генетика*, «Природа», 1978, № 3.
7. ვ. ლევი-სტროსის ეს მოსაზრება ციტირებულია И.М. Дьяковом, *Введение, Мифология древнего мира*, М. 1977, с. 53.



8. O.M. Фрейдберг, Миф и литература древности, М. 1978, 227.
9. C. Levi-Strauss, La pensée sauvage, 1961, 17.
10. К.Т. Юнг, Приближаясь к бессознательному, 135.
11. M. Eliade, The Sacred and the Profane. The Nature of Religion, #9 1959, 21-22.
12. I. Fontenrose, Pythou, London, 1980, 217.
13. M. Eliade, The Sacred and the Profane, The Nature of Religion, 1959.
14. E.M. Мелетинский, Поэтика мифа, М. 1971, 51.
15. К.Г.Юнг, Душа и миф, Шесть архетипов, М. 1995, 18-21.
16. К. Левин-Стросс, Структура мифов, В.Ф. 1970, №7, 163-164.
17. ე. კასირერი, ადამიანი და თავისუფლება, თბ. 1983, 126.
18. Th. N. Gaster, Thespis Ritual, Myth and Drama in Ancient Near East, N 1, 1950.
19. К.Т.Юнг, На пути к бессознательному, 427.
20. А.Ф. Лосев, Проблема символа и реалистическое искусство, М. 1976, 185.
